საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

ვ. გაბაშვილი

ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში

(შედარებითი შესწავლის ცდა)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი —1958

შესავალი

XVI—XVIII საუკუნეების ქართული ფეოდალური წყობილების ინტენსიური შესწავლა იწყება მხოლოდ ქართული ისტორიოგრაფიის საბჭოურ პერიოდში. რევოლუციამდელი ქართული ისტორიოგრაფია უგულებელყოფდა საქართველოს ისტორიის იმ ხანას, როცა ეკონომიურად დაქვეითებულ და პოლიტიკურად დაშლილ ქვეყანაში ირანი და ოსმალეთი მძლავრობდა.

XIX ს-ის დამლევამდე ქართულ ისტორიოგრაფიას საერთოდ არ დაუსვამს XVI—XVIII სს. საქართველოს ისტორიის სოციალურ-ეკონომიური საკითხების შესწავლის საჭიროება. ამიტომ მეცნიერული მემკვიდრეობა ამ მიმართულებით მეტად ღარიბი იყო, ხოლო მონოგრაფიული გამოკვლევები ცალკეულ საკითხებზე ეპიზოდური ხასიათის მატარებელი.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ XVIII ს-ის ქართულმა ისტორიოგრაფიამ უფრო მეტი რამ გააკეთა XVI—XVII სს. საქართველოს ისტორიის შესასწავლად, ვიდრე XIX ს-ის თავადაზნაურულმა და ბურჟუაზიულმა ისტორიოგრაფიამ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი პირველი შეუდგა ქართული ფეოდალური ურთიერთობის და ინსტიტუტების შესწავლას[1]. ქართული ფეოდალიზმის საკითხები ვახუშტის „ისტორიის“ ცნობილ შესავალშია განხილული.

„შესავალში“ ვახუშტი ყველაზე ვრცლად ჩერდება XVI—XVII სს. საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების საკითხებზე. საამისოდ მას გამოყენებული აქვს უპირატესად დოკუმენტური მასალები, რომელთა ანალიზის საფუძველზე იგი აღწერს აღებული ხანის საქართველოს ფეოდალურ სტრუქტურას.

---

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ, „ანალები“, I, გვ. 1—2.

ეს იყო იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი მიღწევა. მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს აკად. ს. ჯანაშია, „ვახუშტის შეხედულება ფეოდალური საქართველოს შინაგანი, ძირითადი მამოძრავებელი ძალების ბუნების შესახებ ჯერ კიდეკ განუვითარებელი იყო“[1].

ვახუშტიმ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა დააყენა აღმოსავლური ინსტიტუტების გავლენის საკითხი საქართველოს საზოგადოებრივ და სახელმწიფო წყობილებაზე. მის დაკვირვებებს ამ მიმართულებით უშუალო კავშირი აქვთ ჩვენი გამოკვლევის საკითხების წრესთან. მას ეკუთვნის ქართული ფეოდალური წყობილების აღმოსავლურთან მიმართების შედარებითი შესწავლის პირველი ცდა.

XIV—XVII სს. საქართველოს ისტორიის აღდგენით დაინტერესებულ მკვლევარს, ცხადია, არ შეიძლებოდა გვერდი აევლო ამ მნიშვნელოვანი საკითხისათვის. ვახუშტის უცხოური გავლენის გამოვლინების აღსანიშნავად გამოყენებული აქვს სპეციალური ტერმინი „შ ე რ ე უ ლ ი წ ე ს ი“.

თუ „შეძინებული წესის“ ცნებაში ადგილობრივ ნიადაგზე განვითარებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური რიგის ახალი მოვლენებია ნაგულისხმევი, სამაგიეროდ „შერეული წესის“ ქვეშ ნაგულისხმევია ის ახალი, რაც ქართულ საზოგადოებაში სხვადასხვა დროს გარეგანი გავლენის შედეგად გაჩნდა.

ვახუშტის მხედველობაში აქვს მონღოლების, თურქების, სპარსელების ზემოქმედებით შემოღებული „შერეული“ ან „შეშლილი წესნი“.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ვახუშტი XVI ს-ში თანდათან გავრცელებულ ყიზილბაშურ წესებს, რომელთაც, მისივე დაკვირვებით, ფართო გასაქანი როსტომის მეფობის დროისათვის დამკვიდრებულ პოლიტიკურ ვითარებაში მიეცათ.

ვახუშტის შენიშნული აქვს ისიც, რომ ყიზილბაშური რიგის „წესნი“ პირველად კახეთში ვრცელდება, ხოლო ოსმალური რიგისანი—სამცხეში. ეს მნიშვნელოვანი დაკვირვება სავსებით დასტურდება ქართული და უცხოური წყაროებით.

ვახუშტის, რა თქმა უნდა, არ შეუდარებია ირანულ-ყიზილბაშური და ოსმალური ფეოდალური წყობილება ქართულ ფეოდალურ წყობილებასთან. მაგრამ მან იცის, რომ „ყიზილბაშური რიგი“

---

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

ან „ოსმალური რიგი“ განსხვავდება „ქართული რიგისაგან“. მანვე საკმაოდ ზედმიწევნით უჩვენა „ქართველობის“ (ქართული სოციალ-პოლიტიკური სისტემის) მთელი თავისებურება ირანის თუ ოსმალეთის პოლიტიკური ბატონობის პირობებში.

ვახუშტი ბაგრატიონმა XVI—XVIII სს. ქართული ფეოდალური წყობილების არა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი დააყენა და, იმ დროის კვალობაზე, გააშუქა კიდეც. აკად. ს. ჯანაშიას სიტყვებით რომ ვთქვათ „ამ მხრივ ბევრად არ წაუსწრია წინ მე-19 საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიასაც“[1].

აკად. მ. ბ რ ო ს ე ს **„Introduction“-ში** მოკლედ აღწერილია XVI—XVIII სს. საქართველოს საზოგადოებრივი წყობილება (დასტურლამალის და სიგელების მიხედვით); მანვე სცადა ზოგიერთი აღმოსავლური წარმოშობის საგადასახადო ტერმინის შინაარსობლივი მნიშვნელობის განმარტება, ყურადღებას აქცევდა იგი წყაროებში დამოწმებულ აღმოსავლურ ინსტიტუტებსაც, მაგრამ ყველაფერი ეს მოცემული იყო გაკვრით და მეტად შეკუმშულად.

ქართული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიის შესწავლის საჭიროებას, მაგრამ ამ განზრახვის რეალიზაცია მათ არ მოუხდენიათ.

XIX ს-ის მეორე ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის დ. ბ ა ქ რ ა ძ ი ს მიერ საამისოდ შედგენილი მეტად საინტერესო პროგრამა ფაქტიურად განუხორციელებელი დარჩა. გამოკვლევები საქართველოს ისტორიის სოციალურ-ეკონომიურ საკითხებზე, როგორც აღვნიშნეთ, ეპიზოდური ხასიათის მატარებელი იყო. საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ხანა უპირატესად პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით შუქდებოდა. XVI—XVIII სს. საქართველოს ისტორია კი ამ მხრივაც უგულებელყოფილი იყო. ცხადია, აღებული ხანის საქართველოს ისტორიისადმი ამგვარი დამოკიდებულება სავსებით გამორიცხავდა ირანის ან ოსმალეთის პოლიტიკური ბატონობის გამოვლინებათა შესწავლას ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში.

XIX ს-ში ქართულ და აღმოსავლურ (აღმ. ამიერკავკასიაში გაბატონებული) ფეოდალურ ურთიერთობათა შედარებით შესწავლას შეუდგა თავადაზნაურული და ბურჟუაზიული კავკასიისმცოდნეობა. რევოლუციამდელი კავკასიისმცოდნეობის წარმომადგენლები (ი. შო-

---

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

ჰენი, ნ. დუბროვინი, მ. კუჭაევი, ვ. ივანენკო, ს. ავალიანი, ი. ბახტაძე, ბ. ესაძე, ს. ესაძე და სხვ.) ინტენსიურად სწავლობდნენ ამიერკავკასიის „მუსლიმანური პროვინციების“ პოლიტიკურ და იურიდიულ ინსტიტუტებს, მაგრამ აღმ. ამიერკავკასიის სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაციის შესწავლა ხშირად წმინდა პრაქტიკული მიზნებისათვის წარმოებდა (აგრარულ ურთიერთობათა მოწესრიგება ყოფ. სახანოებში, საგლეხო რეფორმა და სხვ.). ზოგიერთი მათგანის გამოკვლევაში საკმაოდ ძლიერად იყო წარმოჩენილი ოფიციალური ცარისტული ისტორიოგრაფიის ტენდენციები.

ამიერკავკასიის გლეხთა მდგომარეობის შესწავლას ბურჟუაზიული ისტორიკოსები შეგნებულად სთიშავდნენ სოციალური ბრძოლის საკითხებს. მართალია, ისინი სცნობდნენ ფეოდალიზმს ამიერკავკასიაში (და, გასაგებია, აღმოსავლეთში), მაგრამ მათთვის უცნობი იყო ფეოდალიზმის სოციალური ბუნება. ისინი უარყოფდნენ გლეხთა მიწაზე მიმაგრების ფაქტს სომხეთსა და აზერბაიჯანში 1846 წლის 6 დეკემბრის რესკრიპტამდე[1]. მათი შეხედულებები და დასკვნები ამ საკითხში დაფუძნებული იყო მუსლიმანურ სამართალზე, მაგრამ მხოლოდ მუსლიმანური სამართლის მიხედვით შეუძლებელია აღმოსავლეთის ფეოდალურ საზოგადოებათა სოციალური აღნაგობის და ეკონომიურ ურთიერთობათა დამაჯერებელი სურათის აღდგენა.

აღნიშნულ თვალსაზრისს ყველანაირად უჭერდა მხარს ცარისტული ოფიციალური ისტორიოგრაფია, რადგან ეს მეფის მთავრობას შესაძლებლობას აძლევდა მოეხდინა ხანების, ბეგების, აღალარების და მელიქების მიწების ექსპროპრიაცია. მხოლოდ 1846 წლის რესკრიპტით მიენიჭათ მათ „აზნაურული უფლებები“. ამგვარი „დათმობა“ გამოწვეული იყო იმით, რომ გამწვავებული კლასობრივი ბრძოლისა და გლეხთა აჯანყებების პირობებში მეფის მთავრობას სჭირდებოდა დასაყრდენი ბეგების, აღალარების და მელიქების სახით აზერბაიჯანში, სომხეთში. მაგრამ შეხედულება აღმოსავლეთ

---

[1] М. М. Кучаев, Феодализм и закрепощение в Закавказском крае, «Русский Вестник», 1893, № 1; В. И. Иваненко, Гражданское управление Закавказьем от присоединения Грузии до наместничества великого князя Михаила Николаевича, Тифлис, 1901, стр. 354; С. Эсадзе, Историческая записка об управлении Кавказом, т. I—II, Тифлис, 1907; С. Л. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, Поселянская реформа и реформа сословно-поземельных отношений в мусульманских провинциях, Одесса, т. 3, 1914, стр. 4.

ამიერკავკასიაში გაბატონებული მიწათმფლობელობის თავისებურებასა და გლეხთა ფეოდალებზე დამოკიდებულების ხასიათზე ამის შემდეგაც არ შეცვლილა.

რევოლუციამდელი კავკასიისმცოდნეობის ყველა წარმომადგენელი უკლებლივ აღნიშნავდა, რომ ბატონყმური ურთიერთობა დამახასიათებელი იყო მხოლოდ საქართველოსათვის. ამგვარსავე თვალსაზრისს გამოთქვამდნენ ს. ავალიანი და ს. ესაძე. მათ, ამრიგად, შეუმჩნეველი დარჩათ აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობათა სპეციფიკური თავისებურებანი, რითაც ეს უკანასკნელი ნამდვილად განსხვავდებოდა ქართული აგრარული სისტემისა და პოლიტიკური წყობილებისაგან.

მიუხედავად ყველა ამისა უეჭველად მნიშვნელოვანია რევოლუციამდელ კავკასიისმცოდნეთა მიერ შეგროვებული ფაქტიური მასალები, თუმც, როგორც მართებულად შენიშნავს პროფ. პეტრუშევსკი, ამ მასალების გამოყენება მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული იმის გამო, რომ ბურჟუაზიული კავკასიისმცოდნეები ზოგჯერ ტენდენციურად ამახინჯებდნენ ფაქტებს, ბუნდოვანს ხდიდნენ აღმ. ამიერკავკასიის დამახასიათებელ ეკონომიურ ურთიერთობათა ბევრ მოვლენას[1]. მაგრამ არ შეიძლება წყაროების მნიშვნელობა არ ჰქონდეთ როგორც კავკასიისმცოდნე ისტორიკოსების, ისე ცარიზმის ოფიციალური მოხელეების მიერ შეგროვებულ მასალებს აგრარულ ურთიერთობათა ისტორიისათვის. ამგვარი მასალები (და ლიტერატურა) დიდი რაოდენობით გაჩნდა კავკასიის და შუა აზიის რუსეთთან შეერთების შემდეგ.

ასევე ახალციხის საქართველოსთან შეერთებას მოჰყვა „ოსმალეთის საქართველოს“ აგრარულ ურთიერთობათა აღწერილობანი. რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წწ. ომის წინა და მომდევნო პერიოდთანაა დაკავშირებული ყურადღების გამახვილება ოსმალურ აგრარულ სისტემაზე, რომლის შესწავლას ნაყოფიერად შეუდგა ისტორიკოსი და არქეოლოგი დ. ბაქრაძე. მან ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე იმოგზაურა გურიასა და აჭარაში[2]. ამ მოგზაურობის შედეგი იყო მისი კაპიტალური ნაშრომი: «Археологическое путешествие по Гурии и Адчаре» (1878 г.).

---

[1] И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX вв., Л., 1949, гг. 56—57.

[2] Д. Бакрадзе, Краткий очерк Гурии, Чурук-су и Аджары. Предварительный отчет, Изв. Кавк. Отд. Р. Г. О., 1874, т. II, № 5.

ქობულეთისა და აჭარის განთავისუფლების შემდეგ დ. ბაქრაძე უფრო ინტენსიურად და უფრო ხელსაყრელ პირობებში შეუდგა „ოსმალეთის საქართველოს“ ისტორიულ-არქეოლოგიურ შესწავლას. მან შეაგროვა ეპიგრაფიკული მასალები, გადმოწერა საბუთები, საგადასახადო დავთრებისა და მიწათმფლობელობის შესახებ საბუთების გასაცნობად კი იგი სტამბოლს გაემგზავრა. სტამბოლის სიძველეთსაცავებში მან შეისწავლა აუარებელი ისეთი საბუთი, რომელთა შინაარსი „ოსმალეთის საქართველოს“ სხვადასხვა რაიონის აგრარულ ურთიერთობას ეხებოდა. ამ მასალებზეა დაფუძნებული დ. ბაქრაძის ნაშრომები ოსმალური მიწათმფლობელობის წესებზე[1].

ოსმალურ აგრარულ ურთიერთობათა შესწავლისას დ. ბაქრაძემ მოიმარჯვა ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. იგი საჭიროდ თვლიდა ისტორიული საქართველოს ცალკეული პროვინციების მიწათმფლობელობის წესების ერთმანეთთან შედარებას, მსგავსების თუ განსხვავების დადგენის მიზნით, და მათს შედარებას თურქეთის აგრარულ კანონმდებლობასთან. კვლევა-ძიების ამ მეთოდს დ. ბაქრაძე უკავშირებდა იმ გარემოებას, რომ „ოსმალეთის საქართველოს“ აგრარულ ურთიერთობათა ბევრი თავისებურებანი, მისი დაკვირვებით, ძველი საქართველოს მიწათმფლობელობასთან იყვნენ დაკავშირებული.

დ. ბაქრაძის აზრით, სამცხე-საათაბაგოში თურქებს არ შეეძლოთ ხელის ერთი დაკვრით მოესპოთ ქართული მიწათმფლობელობა და რომ ქართულმა ლენურმა სისტემამ. რამდენადმე შეცვლილმა თურქული მიწათმფლობელობის გავლენის შედეგად დიდხანს შემოინახა თავი[2]. მხედველობაში იღებდა იგი იმასაც, რომ სულტნის მთავრობას მხოლოდ ამ გზით შეეძლო სამხრეთ საქართველოში გაბატონებული კლასის წარმომადგენლების მიმხრობა[3]. მაგრამ, მეორე მხრივ, ქართული მიწათმფლობელობაც უნდა შეგუებოდა „მუსლიმანური

---

[1] Д. Бакрадзе, О землевладении по турецким законам. «Юридическое обозрение», 1884, № 150—151; Краткий свод законов по земельному вопросу из дустура. «Юридическое обозрение», 1884, № 153, 156, 157; Исторический очерк турецкой системы землевладения. Приложение к протоколу Кавказского юридического общества, № 9, 1889, зз. 1—33.

[2] Д. Бакрадзе, Исторический очерк турецкой системы землевладения, зз. 29.

[3] იქვე.

მიწათმფლობელობის პრინციპს". დ. ბაქრაძე აღნიშნავს: «Право поземельной собственности под влиянием всё более и более бравшего в их жизни верх ислама, правда, исчезало, вместе с грузинским крепостным правом, но владение и распоряжение дворянскими поместьями не выходило из рук грузинских феодалов»[1]. იმ დროის კვალობაზე მართლაც რომ შესანიშნავი დაკვირვებაა, რომელიც სავსებით დასტურდება თურქული დოკუმენტური წყაროებით.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებას ბუნებრივად უნდა დაესვა თურქული მიწათმფლობელობის ისტორიულად შესწავლის საჭიროება. დ. ბაქრაძე სწორედ ასე მოიქცა. მისი თურქული მიწისმფლობელების ისტორიულ მიმოხილვას ახლაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

საინტერესოა, რომ თურქული მიწათმფლობელობის შესწავლისას იგი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა არა „მფლობელობის მუსლიმანურ პრინციპს", არამედ ამ პრინციპიდან იმ შესაძლებელ გადახვევებს, რომლებიც გაპირობებული უნდა ყოფილიყვნენ ისტორიულ გარემოებათა შედეგად—ბიზანტიური მიწათმფლობელობის გავლენით საკუთრივ თურქეთში და, ისტორიკოსისათვის განსაკუთრებით საინტერესო შემთხვევაში, ქართული მიწათმფლობელობის წესების რომელიმე ფორმის შეთვისებით ან ხელუხლებლად დატოვებით „ოსმალეთის საქართველოში"[2].

მაგრამ დ. ბაქრაძეს არ დაუყენებია არც ქართული და არც თურქული ფეოდალური წყობილების თავისებურებათა საკითხი. ქართული ფეოდალიზმი მის დროს შესწავლილი არ იყო, ხოლო თურქეთში ფეოდალიზმის არსებობას თითქმის უკლებლივ ყველა ბურჟუაზიული ისტორიკოსი უარყოფდა. მიუხედავად მეტად საინტერესო დაკვირვებისა და ფეოდალური ტერმინოლოგიის გამოყენებისა, დ. ბაქრაძე ფაქტიურად მოკლებული იყო ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობათა შედარებით შესწავლის საშუალებას.

ქართული ფეოდალიზმის შესწავლა იწყება მხოლოდ XIX ს-ის დამლევს.

---

[1] Д. Бакрадзе, Исторический очерк турецкой системы землевладения, გვ. 29—30.

[2] Д. Бакрадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 2.

XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე ქართულ ფეოდალიზმს სწავლობდნენ: ალ. ხახანაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ავალიანი, ს. კაკაბაძე.

ქართული ფეოდალიზმის პრობლემაზე ყურადღების გამახვილება ალ. ხახანაშვილის ნაშრომებში („ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის", 1890 წ., „იუნიტეტი საქართველოში", „მიწისმფლობელობის წესი საქართველოში (ალოდი, ბენეფიცია, ფეოდი") უეჭველად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო იმდროინდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში, რამდენადაც ქართველ ისტორიკოსთა დიდი უმეტესობა იმ დროს არ სცნობდა ფეოდალიზმის არსებობას საქართველოში.

მაგრამ ალ. ხახანაშვილის მიერ ქართული ფეოდალიზმის დახასიათებაში თავი იჩინა ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელმა შეზღუდულობამ. ფეოდალიზმში იგი ხედავდა შუა საუკუნეების პოლიტიკურ წყობილებას, ფეოდალურ პოლიტიკურ ინსტიტუტებს და შეუმჩნეველი რჩებოდა ფეოდალიზმის სოციალური ბუნება. ამავე დროს, მას მექანიკურად გადმოჰქონდა დას. ევროპის ფეოდალიზმის ინსტიტუტები და ტერმინოლოგია ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში. იგი იგივეობის ნიშანს სვამდა დასავლეთ ევროპულ და ქართულ ფეოდალიზმს შორის. ამიტომ მისი კვლევაძიების შედეგები ანალოგიური შეხვედრებისა და პარალელების ფარგლებს არ სცილდებოდა.

ამგვარადვეა დაყენებული ქართული ფეოდალიზმის პრობლემა ს. ავალიანის ნაშრომში: **«Замет ки о феодализме в Грузии»**, ისიც ქართულ ფეოდალიზმში დას. ევროპული ფეოდალიზმის ანალოგიურ გამოვლინებას ნახულობდა. როგორც ვნახეთ, ს. ავალიანი ბატონყმობას ამიერკავკასიაში მხოლოდ საქართველოსათვის დამახასიათებელ მოვლენად თვლიდა, უარყოფდა გლეხთა მიწაზე მიმაგრების ფაქტს აღმ. ამიერკავკასიის სახანოებში. „მუსლიმანური პროვინციების" აგრარულ ურთიერთობას და გლეხთა მდგომარეობას იგი არკვევდა მუსლიმანური სამართლის მიხედვით. ამდენადვე, ბუნებრივია, მას არ შეეძლო ეჩვენებინა ქართული ფეოდალური მიწათმფლობელობისაგან განსხვავებით აღმოსავლური აგრარული სისტემის ძირითადი თავისებურებანი. შედარებისას კი იგი მხოლოდ იმეორებდა ბურჟუაზიული კავკასიისმცოდნეობის ცნობილ შეხედულებებს ამ საკითხში.

ივ. ჯავახიშვილის ნაშრომებში („სამღვდელოების ფეოდალური ხასიათის შესახებ საქართველოში", „მიწის ფეოდალიზაცია სომხეთ-

სა და საქართველოში“ და სხვ.) ხაზგასმით არის აღნიშნული მიწათმფლობელობის ფეოდალური ხასიათი X—XIII სს. საქართველოში, იქვე გარჩეულია მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმები და აღებული ხანის საქართველოს „სამეფოს სოციალურ-უფლებრივი წესწყობილება“. ამ სოციალურ-უფლებრივი წყობილების ქვაკუთხედი მისი აზრით პატრონყმობა იყო[1]. პატრონყმობა ივ. ჯავახიშვილს ფეოდალიზმის ქართულ შესატყვისად მიაჩნდა და სწორედ ამიტომ ფეოდალიზმის არსებობას საქართველოში X საუკუნიდან იწყებდა[2]. რევოლუციის შემდეგაც ივ. ჯავახიშვილი უპირატესად X—XIII სს. საქართველოს ფეოდალურ ურთიერთობას და მის პოლიტიკურ ორგანიზაციას სწავლობდა.

აკად. ივ. ჯავახიშვილს სპეციალურად არ უმუშავია XVI—XVIII სს. საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების საკითხებზე, თუმცა მას გამოთქმული აქვს არა ერთი მეტად საინტერესო და საყურადღებო შეხედულება და დებულება აღებული ხანის სამართლის და ეკონომიური ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ 1918 წელს გამოქვეყნებული „ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება XVIII ს-ის საქართველოში“, სადაც ირანული ინსტიტუტების გავლენაზეც არის ლაპარაკი. მაგრამ სპარსული ტერმინოლოგიის წამლეკავ გავლენას იგი უპირატესად გვიანდელი ხანის დიპლომატიკისა და ნუმიზმატიკა-მეტროლოგიის სფეროში ხედავდა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილს განზრახული ჰქონდა შეესწავლა მომთაბარეთა შემოსევებისა და ბატონობის პოლიტიკური და ეკონომიური შედეგები მახლობელ აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში. ამ თვალსაზრისით უდგებოდა იგი კერძოდ საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის და ეკონომიური დაქვეითების მიზეზების გამორკვევას. პოლიტიკური და ეკონომიური დაქვეითების გამაპირობებელი საერთო ფაქტორების შედარებითი შესწავლა მას ისტორიის ფილოსოფიის საკითხად მიაჩნდა. „ქართველი ერის ისტორიის“ IV წიგნში აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ამ საგანზე სიტყვის გაგრძელება აქ უადგილო იქნებოდა, რადგან ეს ისტორიის ფილოსოფიის საკითხია, მით უმეტეს, რომ ჩემი „ისტორიის მიზანი“-ს მესამე წიგნში, საქართველოს, სომხეთის, სპარსეთისა და მახლობელი

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, გვ. 67.

[2] იქვე, გვ. 95.

აღმოსავლეთის ისტორიაზე დამყარებულ დაკვირვებათა გათვალისწინებით, ისტორიის ფილოსოფიის ყველა საკითხების საგანგებოდ განხილვას ვფიქრობ"[1]. სამწუხაროდ, ეს საინტერესო განზრახვა—დასმული საკითხის შედარებითი შესწავლა, აკად. ივ. ჯავახიშვილს განუხორციელებელი დარჩა.

რევოლუციამდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში XIV—XV სს. ქართული ფეოდალური წყობილების ზოგადი მონახაზი ეკუთვნის ს. კაკაბაძეს[2].

ს. კაკაბაძე . ფეოდალური წყობილების ელემენტებს იმ დროს ნახულობდა IX—X საუკუნეებში[3]. ფეოდალიზაციის პროცესის დასასრულად კი XIV საუკუნეს თვლიდა[4]. ფეოდალური ელემენტების განვითარებას იგი უშუალოდ უკავშირებდა იმუნიტეტს—„ყველა სახელმწიფოს გადასახადისაგან განთავისუფლებას"—და, იქვე, დასძენდა, რომ იმუნიტეტით მხოლოდ ეკლესია სარგებლობდა. XII საუკუნეში კი, მისი აზრით, პირველად ვხვდებით მოვლენას, რომელიც დას. ევროპის ბენეფიციუმის (beneficium) ანალოგიური იყო[5].

ს. კაკაბაძე დასახელებულ ნაშრომში აღნიშნავდა, რომ თემურლენგის საქართველოში შემოსევების შედეგი იყო ხანგრძლივი რეგრესი, რომელიც დაახლოებით გაგრძელდა ორ საუკუნეს—XV—XVI სს.[6], მაგრამ როდის და როგორ დასრულდა ეს რეგრესი მას არ აღუნიშნავს. ხოლო თვითონ რეგრესის ბუნება და ნამდვილი ხასიათი მისთვის არ შეიძლებოდა უცნობი არ დარჩენილიყო, რადგან „კულტურულ დეკადანსს" და მის პირდაპირ გამოვლინებას დაშლილი სამეფოების პოლიტიკურ მდგომარეობაში, იგი უკავშირებდა ფეოდალიზაციის სწრაფი ტემპით განვითარებას[7]. XIV ს-ის განმავლობაში, დაასკვნიდა ამასთან დაკავშირებით ს. კაკაბაძე, თითქმის მთელი საქართველო ფეოდალიზებული იყო. ამრიგად, საზოგადოებრივი განვითარებით იყო ახსნილი „კულტურული დეკადანსი" და მისი უარყოფითი გამოვლინება პოლიტიკურ სფეროში. ეს კი იმას ნიშ-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, თბ., 1948, გვ. 184.

[2] С. Н. Какабадзе, Черты Феодального строя и крестьянские повинности в Грузии в конце средних веков, Тифлис, 1912.

[3] იქვე, გვ. 7.

[4] იქვე, გვ. 14.

[5] იქვე, გვ. 8.

[6] იქვე.

[7] იქვე, გვ. 10.

წავდა, რომ საზოგადოებრივმა განვითარებამ,—ფეოდალიზაციის პროცესის დამთავრებამ,—ქვეყნის კულტურული და სამეურნეო დაქვეითება მოგვცა. ამგვარი შეხედულება შეიძლებოდა გამოთქმულიყო მხოლოდ ქართული ფეოდალიზმის თითქმის სრული შეუსწავლელობის პირობებში.

ქართული ფეოდალიზმის პრობლემის შესწავლა მკვიდრ ნიადაგზე დააყენა ქართულმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ. საამისოდ წარმატებით იქნა მომარჯვებული მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგია, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის პრინციპები.

რევოლუციამდელი ქართველი ისტორიკოსებისაგან განსხვავებით ფეოდალიზმის გენეზისი საქართველოში დანახულ იქნა III—V სს. სოციალურ და ეკონომიურ მოვლენებში. საამისო კონკრეტული მასალები შესწავლილი, გაანალიზებული და განზოგადებულია. აკად. ს. ჯანაშიას მონოგრაფიულ გამოკვლევებში[1]. მანვე დამაჯერებლად უჩვენა ფეოდალიზმის გამარჯვება VI ს-ის საქართველოში.

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში წარმატებით არის შესწავლილი ადრეფეოდალური, განვითარებული ფეოდალიზმის და გვიანფეოდალური ხანის არა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ს. კაკაბაძე, შ. ჩხეტია, დ. გვრიტიშვილი, ა. კიკვიძე. შ. მესხია, მ. დუმბაძე და სხვ.). განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კერძოდ XVI—XVIII სს. საქართველოს ფეოდალურ ურთიერთობას, ცალკეული სამეფოების სოციალურ სტრუქტურას და პოლიტიკურ-ტერიტორიულ ორგანიზაციას (სათავადოების სისტემას).

ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის დიდი ინტერესი XIII—XVIII სს. საქართველოს ისტორიისადმი გამოწვეული იყო აღებული ხანის მთელი რიგი თავისებურებებით, რომელნიც შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ზემოქმედების შედეგს წარმოადგენდნენ.

XIII—XIV სს. დამთავრდა ფეოდალიზაციის პროცესი საქართველოში, პატრონყმობა ამ დროს ბატონყმობამ შეცვალა. მაგრამ სოციალურად ზრდადასრულებული ქართული ფეოდალური საზოგადოება დაადგა არა განვითარების, არამედ დაქირავების გზას. ქვეყანა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაიშალა, ხოლო სამეფოებისა და სამთავროების შიგნით სათავადოები გაჩნდა. ამ მოვლენების მიზეზე-

---

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, თბ., 1935; მისივე, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, თბ., 1937.

ბის გამორკვევა არ შეიძლება არ ქცეულიყო ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის აქტუალურ პრობლემად.

XIII—XVIII სს. საქართველოს ისტორიის შესწავლის აქტუალურობას ზრდიდა საგარეო-პოლიტიკური ვითარების ის თავისებურებაც, რომელიც ყოველთვის მკვეთრ გამოხატულებას პოულობდა ქვეყნის ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საქართველოს მეზობლებად ამ დროს მომთაბარული ტომები და ხალხები იყვნენ. ამიერკავკასიის მიმართ აგრესიულად განწყობილ ირანსა და ოსმალეთში მეტისმეტად იყო შეზღუდული განვითარებისათვის საჭირო პირობები. მტრული გარემოცვის პოლიტიკური და ეკონომიური შედეგები არ შეიძლება არ გამხდარიყო ქართველ ისტორიკოსთა ინტენსიური ყურადღების საგანი, საჭირო იყო ქართული ფეოდალური საზოგადოების „ჩიხიდან" გამოსვლის პირობების გამორკვევა. ამდენადვე უაღრესად აქტუალურ საკითხად დგებოდა საქართველოს რუსეთთან დაკავშირების ისტორიული აუცილებლობის ჩვენება.

ერთი სიტყვით XIII—XVIII სს. საქართველოს ისტორიის თითქმის სრული შეუსწავლელობის პირობებში ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი იყო გამოსარკვევი და დასადგენი, ბევრიც ახლებურად დასასმელი ან შესაფასებელი. აღებული ხანის საქართველოს ისტორიის სპეციფიკურ თავისებურებათა გამო ყველა ამის გადაჭრა დამოკიდებული იყო როგორც ქართული ისტორიოგრაფიის, ისე საბჭოური აღმოსავლეთმცოდნეობითი ისტორიოგრაფიის განვითარებაზე. და ეს იმის გამო, რომ დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად ხშირად აუცილებელია ფეოდალური ხანის მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ვითარების გათვალისწინება.

ამ თვალსაზრისით შეუდგა XIII—XVIII სს. საქართველოს ისტორიის საკითხების (სოციალური ურთიერთობანი, ეკონომიური მდგომარეობა, პოლიტიკური წყობილება და სამხედრო ორგანიზაცია, საგარეო ურთიერთობანი...) შესწავლასა და დამუშავებას აკად. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი[1]. მისი დაკვირვებები და დასკვნები ამდრო-

---

[1] Н. А. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии в XIII—XVI вв., Тб., 1938; მისივე, ფეოდალურ ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით). მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 1, 1937. ქართლის სათავადოები მონოგრაფიულად შესწავლილი აქვთ დ. გვრიტიშვილს და გ. ჯამბურიას: დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ისტორიიდან, თბ., 1955; გ. ჯ ა მ ბ ურ ი ა, ქართული ფეოდალური ურთიერთობიდან, თბ., 1955.

ინდელ ქართულ ფეოდალურ წყობილებაზე დაფუძნებულია წყაროების ფართო წრეზე და მდიდარ დოკუმენტურ ბაზაზე, რომლის ერთი ნაწილი მან გამოაქვეყნა კიდეც („დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან" ორ წიგნად, „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის" სამ წიგნად).

აკად. ნ. ბერძენიშვილს გამოთქმული აქვს არა ერთი მოსაზრება და დებულება, რომელთა შინაარსს უშუალო კავშირი აქვთ ჩვენი გამოკვლევის საკითხებთან.

ნ. ბერძენიშვილი ყურადღებას ამახვილებდა საქართველოს ისტორიის ისეთ მოვლენებზე, როგორიცაა „ულუსობა", „ოსმალობა", და „ყიზილბაშობა". ქართულ წყაროებში დამოწმებული ეს ტერმინები გარკვეული ცნებების გამომხატველი იყვნენ და, ნ. ბერძენიშვილის მართებული დაკვირვებით, აღნიშნავდნენ მონღოლურ, ირანულ-ყიზილბაშურ და ოსმალურ სოციალ-პოლიტიკურ სისტემებს. წყაროებისავე „ქართველობა" კი ქართულ სოციალ-პოლიტიკურ სისტემას აღნიშნავდა. „ყიზილბაშობა"-„ოსმალობის" შინაარსობლივი მნიშვნელობის დადგენა საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ უკვე ქართული წყაროები, რა თქმა უნდა დროის შესაფერისი ტერმინოლოგიით, ყიზილბაშურ და ოსმალურ ფეოდალიზმს აშკარად ასხვავებენ ქართული ფეოდალიზმისაგან.

ნ. ბერძენიშვილს აღნიშნული აქვს აღმოსავლური მიწათმფლობელობის, საგადასახადო სისტემის და გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაციის თავისებურებანი (გლეხთა გადასახადზე მიმაგრება აღმოსავლეთში, რენტის და გადასახადის თანადამთხვევა გაოსმალებულ სამცხე-საათაბაგოში, გადასახადების აკრეფის ბასკაკური ხასიათი). საქართველოს მტრული გარემოცვის გარღვევის ცდების დახასიათებისას მანვე დაადგინა წყაროებში მოხსენებული „აღდგომის" (საქართველოს ტერიტორიული გაერთიანების) და „გამოხსნის" (სამშობლოს განთავისუფლების) შინაარსობლივი მნიშვნელობა. სწორედ ამ რთული საკითხების შესწავლისას მოუძებნა ნ. ბერძენიშვილმა პოლიტიკური და ეკონომიური საფუძვლები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განვითარებას XVI—XVIII საუკუნეებში.

XVI—XVIII სს. საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა მკვლევარი (ისტორიკოსი, იურისტი, ეკონომისტი...) მეტ-ნაკლებად ეხება ირანულ-ყიზილბაშური ან ოსმალური ინსტიტუტების გავლენას, მათს გამოვლინებას საქართველოს საზოგადოებრივსა და სახელმწიფო წყობილებაში. ამ საკითხში არსებობს როგორც აზრთა ერთიანობა, ისე აზრთა სხვადასხვაობა.

ქართული ფეოდალიზმის საკითხებზე და კერძოდ, XVI—XVIII სს. სოციალურ ურთიერთობაზე არა ერთი ნაშრომი გამოაქვეყნა პროფ. ს. კაკაბაძემ. იგი სპეციალურად ჩერდებოდა ქართული და აღმოსავლური ფეოდალიზმის ურთიერთმიმართების საკითხებზეც. მაგრამ ფეოდალური ურთიერთობის ყველა პერიოდში. როგორც წესი, ირანული ინსტიტუტების ძლიერ გავლენას ნახულობდა, ზოგჯერ კი იგივეობის ნიშანსაც სვამდა ქართულ და ირანულ ფეოდალიზმს შორის.

ს. კაკაბაძე საქართველოში „გაბატონებულ ფეოდალურ სისტემაში" XV—XVI საუკუნეებიდან მომხდარი ცვლილებების შეფასებისას წერდა: «Господствовавшая в Грузии феодальная система, начиная с 15—16 века, в значительной мере приспособлялась к тем нормам, которые характеризовали феодальный строй в странах иранской культуры»[1]. ასეთსავე შეხედულებას გამოთქვამდა ს. კაკაბაძე 1931 წელს გამოქვეყნებულ მოხსენებაში[2].

ს. კაკაბაძე აღნიშნავდა სოციალური წყობის ერთიანობას, სოციალური იერარქის იგივეობას[3] და გლეხთა კატეგორიების მსგავსებას[4] „ირანული კულტურის" ქვეყნებში, რომლის შემადგენელ ნაწილად (სოციალურად და ეკონომიურად) მას საქართველოც მიაჩნდა. ამავე დროს იგი პარალელებს ავლებდა მიწათმფლობელობის ქართულ და აღმოსავლურ ფორმებს შორის[5]. მისი აზრით, მულქის შესაბამისი იყო ქართული „სახელო", ხოლო თიულის შესატყვისი „სამკვიდრო მამული" და „სამკვიდრო ყმები"[6].

პროფ. ს. კაკაბაძე ფაქტიურად იგივეობის ნიშანს სვამს ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალიზმს შორის. ამიტომ, ცხადია, მას არ შეეძლო ეჩვენებინა XVI—XVIII სს. ქართული აგრარული სისტემის ნიშანდობლივი თავისებურებანი აღმოსავლურ აგრარულ სისტემასთან შედარებისას. თიულის ნამდვილი მნიშვნელობა და ადგილი ირანულ-ყიზილბაშურ აგრარულ სისტემაში ცხადყოფს, თუ რამდენად მცდარი იყო ს. კაკაბაძის შეხედულება ამ საგანზე.

---

[1] С. Н. Какабадзе, Краткий обзор истории Грузии, Сухуми, 1941 ss. 23.

[2] С. Н. Какабадзе, Черты феодального строя в Грузии и ханствах Закавказья в новые века, Бюллетень Кавк. историко-археолог. ин-та АН СССР, № 8, Тбилиси, 1931, ss. 10.

[3] იქვე, 10—11.

[4] იქვე, 11.

[5] იქვე.

[6] იქვე, 10—11.

უფრო ვრცლად ს. კაკაბაძის დამოწმებულ შეხედულებებზე საუბარი გვექნება ჩვენი გამოკვლევის იმ თაეებში, სადაც აღმოსავლური ფეოდალური წყობილების და, კერძოდ, აგრარული სისტემის თავისებურებანია განხილული.

ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობათა ურთიერთმიმართების საკითხებს ეხება აგრეთვე პროფ. ივ. სურგულაძე თავის ნაშრომებში[1]. მას ს. კაკაბაძის სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებები აქვს გამოთქმული ამ საკითხში.

იურისტ ივ. სურგულაძეს უწინარეს ყოვლისა აინტერესებდა ქართლისა და ირანის დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმის გამორკვევა XVI—XVII საუკუნეებში[2]. იგი აღნიშნავს ქართლის ირანთან დამოკიდებულების ხასიათს და კონკრეტული მასალების ანალიზის საფუძველზე დაასკვნის, რომ „XVII ს-ის მეორე ნახევარსა და XVIII ს-ის პირველ მეოთხედში როცა ქართლი ირანის ვასალი იყო, სამეფოს შიგნით ნაციონალური ინსტიტუტები არ შერყეულა, ქართლში ქართული კანონები მოქმედებდა“[3]. მაგრამ პროფ. ივ. სურგულაძეს არ შეუსწავლია ვასალური დამოკიდებულების კომპრომისული ფორმა, რომლის შინაარსი ხელუხლებლად ტოვებდა აღმ. საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წყობილებას.

ივ. სურგულაძემ თავის წიგნში „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის“ ცალკე თავად გამოჰყო „ფეოდალურ საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების თავისებურებანი“ (გვ. 444—447). ამ თავში საკმაოდ უხვად არის მოხმობილი შესადარებელი მასალა. ავტორი ცდილობს უჩვენოს აღმოსავლური ფეოდალიზმის თავისებურებანი. ამასთან დაკავშირებით დამოწმებულია კ. მარქსის და ფ. ენგელსის ცნობილი შეხედულებები აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი მიწისმფლობელობის წესის თაობაზე. ივ. სურგულაძე სავსებით მართებულად მიუთი-

---

[1] ივ. სურგულაძე, საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, № XXXVII, 1949, გვ. 30—34; მისივე, სახელმწიფო გადასახადები ქართლის სამეფოში მე-18 ს. დასაწყისში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, VI, გვ. 344—360; მისივე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1952, გვ. 116—126, 444—477.

[2] ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, გვ. 116—126.

[3] იქვე, გვ. 124.

თებს, რომ „აღმოსავლეთის ქვეყნების საზოგადოებრივი ურთიერ-
თობის საფუძველი მიწისმფლობელობის ხასიათში უნდა ვეძიოთ“[1]. მაგრამ, ჩანს, იგი არ იცნობს მიწის ფეოდალური საკუთრების ფორ-
მების განვითარებას აღმოსავლეთში, აღმოსავლეთის თითოეული ქვეყნის „სპეციფიკურ ფეოდალურ ვარიანტს“. ამასთან ივ. სურგუ-
ლაძე გამორიცხავს უშუალო დამოკიდებულებას მფლობელებსა და მწარმოებლებს შორის ფეოდალურ აღმოსავლეთში. თავის ამ შეხე-
დულებას იგი ავრცელებს ფეოდალური ხანის აღმოსავლეთის ყვე-
ლა პერიოდზე. აღმოსავლური ფეოდალიზმის თავისებურების საკი-
თხი მის ნაშრომებში განხილულია „სახელმწიფო ფეოდალიზმის“ ანუ „სამხელეო ფეოდალიზმის“ პოზიციებიდან. ამიტომ ივ. სურ-
გულაძეს არ შეეძლო ეჩვენებინა აღმოსავლური ფეოდალური წყო-
ბილების ნიშანდობლივი თავისებურებანი, რომლისგანაც მკვეთრად გამოსხვავდებოდა ქართული ფეოდალური წყობილება.

სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა ბატონობის პოლიტიკური და ეკონომიური შედეგები შესწავლილი აქვს პროფ. გ. ტ ი ვ ა ძ ე ს[2]. ერთ-ერთ მთავარ წყაროდ საამისოდ გამოყენებულია „გურჯისტ-
ნის ვილაიეთის დიდი დავთარი“. მაგრამ პროფ. გ. ტივაძეს არ დაუსვამს ქართული და ოსმალური ფეოდალიზმის შედარებითი შესწავლის საკითხი.

ქართული ფეოდალური წყობილების და, კერძოდ, მიწისმფლო-
ბელობის წესების, თავისებურებანი არა ერთგან არის ხაზგასმული პროფ. ი. პ ე ტ რ უ შ ე ვ ს კ ი ს მრავალრიცხოვან ნაშრომებში[3]. მისი შეხედულებანი იმ საკითხში ჩვენთვის მით უფრო საინტერესოა და საყურადღებო, რომ მას მონოგრაფიულად აქვს შესწავლილი XVI—XVIII სს. აზერბაიჯანის და სომხეთის ფეოდალური ურთიერ-

---

[1] ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ის-
ტორიისათვის, გვ. 450.

[2] გ. ტ ი ვ ა ძ ე, სამცხე-საათაბაგო გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთ-
რის მიხედვით, „მნათობი“, 1946, № 8, გვ. 117—144. მისივე, სამცხე-საათაბა-
გოს პოლიტიკური ვითარება XVI საუკუნეში, „მნათობი“, 1947, № 10, გვ. 122—
163; მისივე, სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ვითარება XIX საუკუნის და-
საწყისში, „მნათობი“, № 11—12, გვ. 141—158.

[3] И. П. Петрушевский, Персидские официальные документы как источник по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX вв., Проблемы источниковедения, IV, გვ. 1; მისივე, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX вв., Л., 1949, გვ. 213, შენ. 2, 214, 215 და სხვ.; მისივე, Хозяйство Рашид ад-дина, ВИ, 1951.

თობანი ყიზილბაშურ-ირანული ფეოდალური ინსტიტუტების რაობა-მნიშვნელობის გათვალისწინებათა ფონზე. საამისოდ გამოყენებულია წყაროების მეტად ფართო წრე და არქივებში (ბაქო, ერევანი, თბილისი) მოპოვებული სრულიად ახალი დოკუმენტური მასალები.

პროფ. ი. პეტრუშევსკიმ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სპარსულ საბუთებში გამოთქმა „სამკვიდრო თიული" („თიულ-ი მოურის"), რაც მიწის მემკვიდრეობით და უპირობო მფლობელობას აღნიშნავდა, იხმარება მხოლოდ საქართველოს (ქართლის, კახეთის) მიმართ. ამან მას საფუძველი მისცა აღენიშნა, რომ საქართველოში არსებობდა თავისებური ფეოდალური ურთიერთობანი, რომელნიც არ ჰგავდნენ აზერბაიჯანში, სომხეთში, არაბეთის ერაყსა და ირანში ჩამოყალიბებულ წესებს[1]. მაგრამ ი. პეტრუშევსკის არ უცდია ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის აღმოსავლურ ფეოდალურ მიწისმფლობელობასთან შედარება. მას, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს მხოლოდ ის, რომ საქართველოში გაბატონებული იყო მიწის მემკვიდრეობითი და უპირობო მფლობელობა.

ჩვენს გამოკვლევაში დასმული საკითხების მოკლე ისტორიოგრაფიული მიმოხილვის შემდეგ, შეიძლება შევეხოთ გამოკვლევის მიზანს, პრობლემის მნიშვნელობას და კვლევა-ძიების მეთოდს.

ჩვენი გამოკვლევის მიზანი ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობათა შედარებითი შესწავლა, სრულიადაც არ გულისხმობს ქართული თუ აღმოსავლური ფეოდალური წყობილების ყველა მხარის ან მოვლენის გათვალისწინებას. ჩვენს მიზანს შეადგენს იმ მოვლენების შესწავლა, რომელთაც მკვეთრად იჩინეს თავი საქართველოს მტრული სახელმწიფოებით გარემოცვის პირობებში XVI—XVII საუკუნეებში და რომელნიც უშუალოდ არიან დაკავშირებული „ოსმალობის" და „ყიზილბაშობის" შემოღების ცდებთან. ამ თვალსაზრისითაა შესწავლილი XVI—XVII სს. ქართული ფეოდალური წყობილების თავისებურებანი წინამდებარე გამოკვლევაში.

საზოგადოდ, XVI—XVII სს. საქართველოს ისტორიის ყველა მკვლევარი გაკვრით ეხებოდა ქართული ფეოდალიზმის აღმოსავლურ ფეოდალიზმთან მიმართების საკითხს, მაგრამ სპეციალური კვლევა-ძიება ამ მიმართულებით დღემდე არავის უწარმოებია.

ამ პრობლემის დასმა, ერთი მხრივ, გააპირობა აღებული ხანის ქართული ფეოდალური წყობილების ინტენსიურმა შესწავლამ, ხო-

---

[1] **И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX вв., Л., 1949, ss. 214.**

ლო, მეორე მხრივ, საბჭოური აღმოსავლეთმცოდნეობის წარმატება-განვითარებამ.

მართალია, აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შუსწავლელია, მეტად თვალსაჩინოა აზრთა სხვადასხვაობაც აღმოსავლური ფეოდალიზმის ამა თუ იმ მოვლენაზე, მაგრამ ფეოდალური ხანის აღმოსავლეთის საზოგადოებრივი და პოლიტიკური განვითარების შინაგან პროცესებზე დღეს უფრო მეტი რამ ვიცით, ვიდრე ამ ორი ათეული წლის წინათ ვიცოდით. ამასთან დიდად გაიზარდა აღმოსავლეთის სოციალ-ეკონომიური ისტორიის საკითხების შესასწავლი დოკუმენტური ბაზა.

ჩვენ უხვად ვსარგებლობდით როგორც რევოლუციამდელი, ისე საბჭოური პერიოდის რუსი ორიენტალისტების გამოკვლევებით. საბჭოთა ორიენტალისტებმა მნიშვნელოვნად წასწიეს წინ მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ფეოდალურ ურთიერთობათა მეცნიერული შესწავლის საქმე (ნ. პ ი გ უ ლ ე ვ ს კ ა ი ა, ა. ი ა კ უ ბ ო ვ ს კ ი, ე. ბ ე ლ ი ა ე ვ ი, ბ. ზ ა ხ ო დ ე რ ი, ვ. გ ო რ დ ლ ე ვ ს კ ი, ი. პ ე ტ რ უ შ ე ვ ს კ ი, ა. ბ ე ლ ე ნ ი ც კ ი, პ. ი ვ ა ნ ო ვ ი, ი. რ ე ი ს ნ ე რ ი, ა. მ ი ლ ე რ ი, ა. ტ ვ ე რ ი ტ ი ნ ო ვ ა, ვ. ვ ა ლ უ ი ს კ ი, კ. ა ნ ტ ო ნ ო ვ ა და სხვ.). დასახელებულ მკვლევართა ნაშრომებში ნაჩვენებია სხვადასხვა პერიოდის ფეოდალური წყობილების ძირითადი თავისებურებანი აღმოსავლეთში. ამ ნაშრომებიც გარეშე შეუძლებელი იქნებოდა განსახილველი პრობლემის არამცთუ შესწავლა, არამედ მისი დასმაც კი.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის სომეხ და აზერბაიჯანელ ისტორიკოსთა იმ ნაშრომებსა და წერილებს, რომლებშიაც სომხეთის და აზერბაიჯანის ფეოდალური ურთიერთობანია შესწავლილი (პ. ა რ უ თ ი ნ ი ა ნ ი, ბ. ა რ უ თ ი ნ ი ა ნ ი, ა. ე ს ა ი ა ნ ი, ა. ა ლ ი - ზ ა დ ე, ი. ჰ ა ს ა ნ ო ვ ი, მ. ე ფ ე ნ დ ი ე ვ ი და სხვ.). ამან შესაძლებლობა მოგვცა XIII—XVIII სს. საქართველოს ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა შეგვესწავლა ამიერკავკასიის საერთო ისტორიულ ვითარებასთან მჭიდრო კავშირში.

ჩვენს გამოკვლევაში გათვალისწინებულია აგრეთვე აღმ. ევროპისა და ბალკანეთის სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ორიენტალისტთა გამოკვლევები და წყაროთა პუბლიკაციები. და ეს მით უფრო, რომ ბალკანეთის ხალხთა ბრძოლა მათთვის უცხო და მიუღებელი თურქული ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბევრი კუთხით სწვდება

ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლას ყიზილბაშურ-ირანული და თურქული ფეოდალიზმის წინააღმდეგ.

სათანადოდ გვაქვს გათვალისწინებული აგრეთვე ბურჟუაზიული ორიენტალისტური ისტორიოგრაფიის შედეგები აღმოსავლეთის ისტორიის კერძო საკითხების დამუშავებაში, განსაკუთრებით კი პირველწყაროებიდან უხვად მოტანილი ფაქტიური მასალები. ამავე დროს, გაკრიტიკებულია ბურჟუაზიული აღმოსავლეთმცოდნეობის ე. წ. „უნივერსალური ფეოდალიზმის“ ანუ „მარადიული ფეოდალიზმის“ თეორია, რომლის მიხედვით თითქოს იმთავითვე (ძვ. წელთაღრიცხვის II—I ათასწლეულიდან მოკიდებული) ფეოდალიზმი წარმოადგენდა აღმოსავლეთის ბუნებრივსა და კანონზომიერ მოვლენას. ამის გარდა, ბურჟუაზიული აღმოსავლეთმცოდნეობა შუა საუკუნეების აღმოსავლური ფეოდალიზმის შესატყვისად ხმარობს „ისლამურ ფეოდალიზმს“ (**«Islamic feodalism», «La feodalite islamique»**), რითაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მუსლიმანურ სამართალს და გამორიცხავს აღმოსავლეთის ცალკეული ქვეყნების ფეოდალურ ურთიერთობათა სპეციფიკურ თავისებურებებს. ყველა ამასთან ერთად ბურჟუაზიულ აღმოსავლეთმცოდნეობას „ფეოდალიზმი“ აღმოსავლეთში ესმის პირობითი მნიშვნელობით, სთიშავს ამ ტერმინის შინაარსობლივ მნიშვნელობას „ფეოდალიზმის“ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ გაგებას და იყენებს მას „მხოლოდ აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი ბიუროკრატიული სისტემის“ აღსანიშნავად. ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია არ ცნობს საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების არსებობას, ამდენადვე მას არ შეეძლო აღმოსავლური ფეოდალიზმის ნამდვილი მეცნიერული შესწავლა.

ჩვენს გამოკვლევაში დასმული საკითხების კვლევა-ძიებაში მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის მომარჯვებას დიდად უწყობდა ხელს ის გარემოება, რომ მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებს არა ერთი მოსაზრება აქვთ გამოთქმული ფეოდალური ხანის აღმოსავლეთის შესახებ. აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური წყობის თავისებურებაზე უაღრესად საყურადღებო მოსაზრებანი და დებულებებია გამოთქმული არა მარტო კ. მ ა რ ქ ს ი ს და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი ს წერილებში (აღმოსავლეთის ომთან დაკავშირებით რომ იყვნენ დაწერილნი) და სპეციალურ ნაშრომებში („თურქეთის საკითხი“, „ბრიტანეთის მფლობელობა ინდოეთში“, „ქრონოლოგიური ამონაწერები“...), არამედ თითქმის უკლებლივ მათ

ყველა ნაშრომში. რა თქმა უნდა, ჩვენ გვაინტერესებდა არა მარტო კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შეხედულებები აღმოსავლეთის ისტორიის კონკრეტულ საკითხებზე, არამედ საერთოდ ფეოდალიზმის კანონზომიერებათა განსაზღვრაც მარქსიზმის ფუძემდებლების ნაშრომებში. ამავე მიზნითაა გამოყენებული ვ. ლ ე ნ ი ნ ი ს „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში", რომელშიაც ამომწურავადაა დახასიათებული ფეოდალურ-ბატონყმური სამეურნეო სისტემა.

ჩვენი გამოკვლევა, როგორც აღვნიშნეთ, დაფუძნებულია, ერთი მხრივ, ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის მიღწევებზე, ხოლო, მეორე მხრივ, საბჭოურ აღმოსავლეთმცოდნეობაში აღმოსავლური ფეოდალიზმის შესწავლის შედეგად მიღებულ დასკვნებზე.

ქართული და აღმოსავლური ფეოდალიზმის შესწავლით არის ძირითადად გაპირობებული საკითხების ის წრე, რომელიც წინამდებარე გამოკვლევაშია წარმოდგენილი. აქედანვე გამომდინარეობს განსახილველი პრობლემა და მისი შესწავლის მეთოდი. გამოკვლევის ზოგად თეორიულ ნაწილში დახასიათებულია ფეოდალური წყობილების თავისებურებანი საქართველოსა და მახლობელ აღმოსავლეთში, ხოლო სპეციალურ ნაწილში მოტანილია კონკრეტული მასალები ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობათა შედარებითი შესწავლისათვის (საბუთები სათათრო ხარკის შესახებ, ორენოვანი (ქართულ-სპარსული) დოკუმენტები, ელის დებულება, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი). ეს კონკრეტული მასალები უშუალოდ საქართველოს ეხება, თუმცა აქ ძირითადად აღმოსავლური აგრარული წყობა, საგადასახადო სისტემა და პოლიტიკური ორგანიზაციაა დახასიათებული.

ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობათა შესწავლის ცდას არ შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ თეორიული ინტერესი. იგი ორგანულად არის დაკავშირებული XVI—XVII სს. საქართველოს ისტორიულ ვითარებასთან. ესაა ირან-ოსმალეთის მძლავრობის ხანა, როდესაც უცხო დამპყრობლები დაჟინებით ცდილობდნენ ჩვენი ქვეყნის დაპყრობას, მის ინკორპორაციას, გაოსმალებას და გაყიზილბაშებას. ამ მიზნისათვის იყენებდნენ დამპყრობლები სხვადასხვა ღონისძიებებს ქართული მიწისმფლობელობის გასაუქმებლად (XVI ს-ის დამლევის სამცხე-საათაბაგოში, XVII ს-ის პირველი მეოთხედის ქართლსა და კახეთში).

საქართველოში აღმოსავლური მიწისმფლობელობის შემოღებას არ შეიძლებოდა არ შეექმნა ქვეყნის პოლიტიკური ინკორპორაციის საწინდარი. ამას ადასტურებს სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქარ-

თველოს გარკვეული ნაწილების (სამცხე-საათაბაგო, აღმ. კახეთი, ქვემო ქართლის სახანო-სასულტნოები...) მაგალითი.

XVI—XVII სს. ირანისა და ოსმალეთისათვის დამახასიათებული ფეოდალური ურთიერთობის გათვალისწინება გასაგებსა ხდის, თუ რატომ ებრძოდა ქართული ფეოდალური საზოგადოების სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენა (ფეოდალები, ეკლესია, გლეხები...) აღმოსავლური მიწისმფლობელობისა და საგადასახადო სისტემის (თათრის „ხარაჯობა") შემოღების ცდებს საქართველოში. რა თქმა უნდა, თითოეული საზოგადოებრივი ფენა კლასობრივი თვალსაზრისით აფასებდა „ოსმალობასთან" ან „ყიზილბაშობასთან" დაკავშირებულ მოვლენებს. საკითხის ამ მხარეს სპეციალური თავი აქვს დათმობილი ჩვენს გამოკვლევაში (იხ. „კლასობრივი ბრძოლა საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ვითარების პირობებში").

ყიზილბაშურ-ირანული ან ოსმალური ფეოდალური ინსტიტუტების შემოღების ცდებთან დაკავშირებული მოვლენების შესწავლისას მკაფიოდ ვლინდება ირანის და ოსმალეთის რეაქციული როლი საქართველოს მიმართ. შინაგანი ხასიათის ფაქტორებთან ერთად (სათავადოების სისტემა) საგარეო ფაქტორი (მტრული სახელმწიფოებით გარემოცვა) საზოგადოებრივი განვითარების შემაფერხებელ პირობად იყო გადაქცეული. ყველა ამის გათვალისწინება კი გასაგებსა ხდის საქართველოს რუსეთთან კავშირის აუცილებლობას, რუსეთის პროგრესულ როლს საქართველოს მიმართ. აქ უნდა გავიხსენოთ ფ. ენგელსის ნათქვამი, რომ „რუსეთი აღმოსავლეთში ყოველთვის ასრულებდა პროგრესულ როლს"[1]. მაგრამ ფ. ენგელსის ამ აზრს ქართველი ისტორიკოსები ხშირად იმოწმებდნენ ისე, რომ საჭირო სისრულით არ ითვალისწინებდნენ ირანის ან ოსმალეთის სოციალ-ეკონომიურ ვითარებას. ქართული ისტორიოგრაფიის ამ ხარვეზის შევსებას ისახავს მიზნად ჩვენი გამოკვლევის II თავის შინაარსი („საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთი XVI საუკუნეში").

ამავე თავში, კონკრეტული პარალელების გათვალისწინებით, ვცდილობთ ავხსნათ ისიც, თუ რითი და როგორ შეინარჩუნა ქართულმა ფეოდალურმა საზოგადოებამ საკუთარი წარმოება-მეურნეობა, პოლიტიკური ორგანიზაცია, კულტურა და იდეოლოგია. ეს საკითხი ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ დააყენა, მაგრამ დღემდე შესწავლილი და გადაჭრილი არაა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XXI, стр. 211.

XVII საუკუნის დამდეგს ახალი ძალით განახლდა ქართული მიწებისათვის ბრძოლა. შაჰ-აბასის აგრესიულ პოლიტიკაში მთავარი ადგილი ეჭირა საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციის საკითხს (მის მაჰმადიანურ სახანოდ გადაქცევას). ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ „ქართველობისათვის" (ქართული სოციალ-პოლიტიკური სისტემისათვის) ბრძოლას და ამ ბრძოლის განვითარებას, რაც XVII ს-ის 30-იან წლებში ცნობილი კომპრომისიით დამთავრდა. კომპრომისული პოლიტიკის ფორმისა და შინაარსის შესწავლა გვირკვევს აღმ. საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების თავისებურებას XVII ს-ში.

ირანთან დამოკიდებულების ეს პოლიტიკური ფორმა, შემუშავებული XVII ს-ის 30-იან წლებში, არსებობდა XVIII ს-ის მეორე მეოთხედამდე. ამდენადვე გასაგებია, თუ რატომ შემოვფარგლეთ ჩვენი გამოკვლევის ქრონოლოგიური ჩარჩოები XVI—XVII საუკუნეებით.

შესავალში სახელდახელოდ აღნიშნული გარემოებანი მოწმობენ, თუ რამდენად აუცილებელია ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობათა შედარებითი შესწავლა XVI—XVII სს. საქართველოს ისტორიის არა ერთი მნიშვნელოვანი საკითხის გასარკვევად და დასადგენად.

დასასრულ, საჭიროა აღინიშნოს, რომ ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობათა შედარებითი შესწავლისას უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლის, კახეთის) და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (სამცხე-საათაბაგოს) „ყიზილბაშობასთან" ან „ოსმალობასთან" დაკავშირებული მოვლენები გვაქვს გათვალისწინებული. დას. საქართველოში (იმერეთში) ოსმალეთი მხოლოდ XVIII ს-ის მეორე ნახევარში ცდილობს შემოიღოს ოსმალური მიწისმფლობელობა. ამ დროს ჩადგნენ იმერეთის ციხეებში ოსმალო მეციხოვნეები. ამით აიხსნება, რომ აქ „ურუმულთაგან შერეული" წესი თავის გამოხატულებას პოულობდა უმთავრესად მეფე-მთავრების ტიტულაციაში („ხონთქრის ყმა") და სათათრო ხარკში (საური, სალიანა).

აღმოსავლური „რიგის" გავლენის განსხვავებული მოცულობა შეინიშნება იქაც, სადაც ვასალური დამოკიდებულება გაფართოვდა (აღმ. საქართველო) ანდა ქვეყნის სრული ინკორპორაცია მოხდა (სამცხე-საათაბაგო). სამცხე-საათაბაგო გაოსმალდა, ხოლო აღმ. საქართველოში (XVII ს-ის 30-იანი წლებიდან) „ყიზილბაშურმა რიგმა" ქართულის გვერდით გაიდგა ფესვი და „შერეული წესის" არსებობა გააპირობა.

ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობათა შედარებითი შესწავლისას, ჩვენთვის მთავარი იყო ქართული ფეოდალიზმის ზოგადი ნიშნები, რადგან განმაზოგადებელ გამოკვლევაში არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა ფეოდალურ ურთიერთობათა და მეურნეობის ნაირსახეობის გათვალისწინებას საქართველოს ცალკეული კუთხეების მიხედვით.

თავი პირველი

წყაროთა მიმოხილვა

ჩვენს გამოკვლევაში დასმული საკითხების შესწავლად არსებობს წყაროების მეტად ფართო წრე.

ყველა წყარო ქვემოთ განხილულია მხოლოდ ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობათა შედარებითი შესწავლის თვალსაზრისით. საამისოდ მოგვეპოვება საკმაოდ ხელშესახები ცნობები (ზოგჯერ მეტად ვრცელი) როგორც ქართულ-უცხოურ ნარატიულ, ისე განსაკუთრებით დოკუმენტურ წყაროებში.

ცნობილია, რომ „ქართლის ცხოვრების" გამგრძელებლები უხვად სარგებლობდნენ „სპარსთა და სომეხთა ცხოვრებაებით". ამის მიზეზი თვითონ მათ აქვთ აღნიშნული—XV—XVI სს. საქართველოს ისტორიის გასაცნობად არ არსებობდა გაბმული თხრობის შემცველი საისტორიო ნაწარმოები ქართულად.

ის, რაც აღებული ხანიდან XVII—XVIII სს. ქართველ ისტორიკოსებს ხელთ ჰქონდათ, მათ გამოიყენეს კიდეც, სახელდობრ XV ს-ის დამდეგს შედგენილი „ძეგლი ერისთავთა" და XVI ს-ის დამლევს დაწერილი „მესხური ქრონიკა" (ეს უკანასკნელი სიტყვა-სიტყვით არის შეტანილი ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ცხოვრებაში"). ორთავე ნაწარმოები ლოკალური ხასიათის ისტორიას წარმოადგენს, მათი შინაარსი მხოლოდ საქართველოს ზოგიერთი კუთხის თავგადასავალს გადმოსცემს.

XVII საუკუნემდელი ქართული ნარატიული წყაროებიდან ჩვენთვის გარკვეული ღირებულება ჰქონდა „მესხურ ქრონიკას"[1], რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან და საყურადღებო ცნობებს „ოსმალობის" გავრცელების შესასწავლად XVI ს-ის უკანასკნელი მეოთხედის

---

[1] სამი ისტორიული ხრონიკა, ე. თაყაიშვილის გამოც., თბილისი, 1890.

სამცხე-საათაბაგოში. „მესხური ქრონიკის“ ღირებულებას ზრდის ისიც, რომ იგი აღწერილი მოვლენების თანადამხდურის და თვითმხილველის მიერ არის დაწერილი.

XVII—XVIII სს. ქართველი ისტორიკოსები XV—XVI სს. საქართველოს ისტორიის აღსადგენად უპირატესად უცხოურ წყაროებს (სპარსული, სომხური, ბიზანტიური...) იყენებდნენ. მხოლოდ ზოგიერთი მათგანი, და ისიც მეტად იშვიათად, სარგებლობდა XV—XVI სს. ქართული დოკუმენტური მასალებით („სწავლულ კაცთა“ კომისია, ვახუშტი ბაგრატიონი...). ამიტომ ჩვენ უპირატესობა მივანიჭეთ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებათა წყაროთა წყაროებს—სპარსულ და სომხურ საისტორიო თხზულებებს. რა თქმა უნდა, უკრიტიკოდ არცᲔეს წყაროებია გამოყენებული ჩვენს გამოკვლევაში.

ფარსადან გორგიჯანიძეს, როგორც ცნობილია, თავის „ისტორიაში“ თითქმის სიტყვა-სიტყვით შეუტანია ვრცელი ცნობები ისკანდერ მუნშის თხზულებიდან. ამ გარემოებაზე მიუთითა ჯერ კიდევ აკად. ივ. ჯავახიშვილმა[1]. მაგრამ ამ მიმართულებით დაკვირვების და შედარების გაღრმავებამ ცხადყო, რომ თავის მხრივ ისკანდერ მუნში დამოკიდებული იყო XVI ს-ში მოღვაწე ისტორიკოსს ჰასან რუმლუს თხზულებაზე. აღნიშნული გარემოება, ვფიქრობთ, კარგად მოწმობს, თუ რამდენად აქტუალურია, წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით, XVII—XVIII სს. ქართული საისტორიო ნაწარმოებების სპარსული წყაროების გამორკვევის საკითხი.

საზოგადოდ ჯერ ისევ გამოსარკვევია ფარსადან გორგიჯანიძის როგორც ადრინდელი (XV ს-ის), ისე გვიანდელი (XVII ს-ის პირველი ნახევრის) სპარსული წყაროები. ჯერჯერობით საფუძველი გვაქვს XV საუკუნისათვის დავასახელოთ თემურ-ლენგის ერთ-ერთი ისტორიკოსი შერეფ ედ-დინ ალი იეზდი[2], ხოლო XVII ს-ის მეორე მეოთხედისათვის, წინასწარი ვარაუდით, ისკანდერ მუნშის თხზულების გაგრძელება და მირზა მოჰამედ თაჰერი[3]. ამგვარადვე გამოსარკვევია

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 295—296.

[2] ივ. ჯ ა ვ ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 293-294. აკად. ივ. ჯავახიშვილი ასახელებს შერეფ ედ-დინის თხზულების უცნობი ავტორის მიერ შემოკლებულ რედაქციასაც, რომელსაც „ფატხნამა საჰიბყირანი“ ეწოდება.

[3] მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი, თარგმანი და შენიშვნები ვ. ფუთურიძისა. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954, გვ. 277-278.

„ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებათა და, კერძოდ, ვახუშტი ბაგრატიონის „ისტორიის“ სპარსული და ოსმალური წყაროები. ჩვენ მოგვეპოვება მხოლოდ XVII—XVIII სს. ქართველ ისტორიკოსთა უმისამართო ცნობა, რომ ისინი სპარსთა და ოსმალთა „ცხოვრებაებით“ სარგებლობდნენ.

მომავალში ალბათ სრული უეჭველობით გამოირკვევა, რომ ქართველ ისტორიკოსებს მხედველობაში ჰქონდათ თემურ-ლენგის ისტორიკოსები, ხონდემირის, ჰასან რუმლუს, ისკანდერ მუნშის და სხვა, ქართულ ისტორიოგრაფიაში შედარებით ნაკლებ ცნობილი, სპარსულენოვან ისტორიკოსთა ნაწარმოებები. ამის მთავარი საბუთია ის, რომ დასახელებულ ისტორიკოსებს უხვი ცნობები მოეპოვებათ XV—XVI სს. საქართველოს შესახებ.

უფრო რთულია ოსმალური წყაროებით სარგებლობის საკითხი, რადგან ამ მიმართულებით, ჯერ ერთი, არავის უწარმოებია დაკვირვება და, მეორეც, ოსმალური წყაროებიდან უფრო ქრონოლოგიის დასადგენად საჭირო ცნობები ჩანს გამოკრებილი, რაც შედარების ნაკლებ შესაძლებლობას იძლევა, ვიდრე ამა თუ იმ ამბის ვრცელი აღწერილობა.

გამოსარკვევია აგრეთვე XVII—XVIII სს. ქართველ ისტორიკოსთა სომხური წყაროები. მაგრამ რაკი სომხური წყაროები XV—XVII სს. საქართველოს ისტორიის აღსადგენად იყო საჭირო, უნდა ვიფიქროთ, რომ მათ განკარგულებაში იყო თომა მეწოფელის (XV ს.), არაქელ თავრიზელის (XVII ს.) და ზაქარია სარკავაგის (XVII ს.) საისტორიო თხზულებები. განსაკუთრებით უხვად უნდა ესარგებლათ ქართველ ისტორიკოსებს არაქელ თავრიზელის ვრცელი საისტორიო ნაწარმოებით, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი შაჰ-აბასის ლაშქრობანი ამიერკავკასიაში და, ამავე დროს, გვაწვდის მეტად საყურადღებო ცნობებს გიორგი საakაძის მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

ჩვენი მიზნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სამ ქართულ საისტორიო თხზულებას: ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიას, ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ცხოვრებას“ და პაპუნა ორბელიანის „მცირე ქართლის ცხოვრებას“ (მეორენაირად—„ამბავნი ქართლისანი“). ფ. გორგიჯანიძის და ვ. ბაგრატიონის ნაწარმოებებში შეფასებულია (გარკვეული პოზიციებიდან) ირანის და ოსმალეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ; დახასიათებულია „შერეული წესი“-ს თავისებურება როსტომ მეფის დროიდან მოყოლებუ-

ლი. პაპუნა ორბელიანი დაწვრილებით აღწერს „ოსმალობას“ და „ყიზილბაშობას“ XVIII ს-ის მეორე მეოთხედის საქართველოში.

XVII ს-ის ზოგიერთი პოლიტიკური მოვლენის შესაფასებლად, გარდა უკვე დასახელებული საისტორიო თხზულებებისა, გამოყენებულია აგრეთვე თეიმურაზ I-ის „წამება ქეთევან დედოფლისა“, არჩილის „გაბაასება“, იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“, ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“.

სომხური წყაროებიდან დამოწმებულია არაქელ თავრიზელის (დავრეჟაცის) და ზაქარია სარკავაგის (დიაკონის) საისტორიო ნაწარმოებში დაცული ის ცნობები, რომელთა შინაარსი შაჰ-აბასის დროს საქართველოში დატრიალებულ ამბებს ეხება.

როგორც ცნობილია, XVI ს-ის სომხური ისტორიოგრაფია მეტად ღარიბია საისტორიო ნაწარმოებებით. სამაგიეროდ XVII—XVIII სს. შეიქმნა ისეთი საისტორიო თხზულებები, რომელთა მნიშვნელობა სომხეთისა და აზერბაიჯანის ფეოდალურ ურთიერთობათა შესწავლისათვის არა ერთგზის აღუნიშნავთ ამ საკითხის მკვლევარებს[1].

ამათგან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო იყო ა რ ა ქ ე ლ თ ა ვ რ ი ზ ე ლ ი ს[2] და ზ ა ქ ა რ ი ა ს ა რ კ ა ვ ა გ ი ს[3] თხზულებები.

არაქელ თავრიზელის (დაიბადა XVI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, გარდაიცვალა XVII ს-ის 60-იან წლებში) „გირქ პატმუთიანც“ („ისტორიათა წიგნები“) მოიცავს 1601—1662 წლის ამბებს. ზაქარია სარკავაგის „პატმუთიუნი“ („ისტორია“) მოიცავს სომხეთის და, ნაწილობრივ, აგრეთვე მისი მეზობელი ქვეყნების (აზერბაიჯანი, საქართველო) ისტორიას შაჰ-აბასის დროიდან მოკიდებული 1699 წლამდე. ჩვენთვის საინტერესო იყო ორსავე სომხურ საისტორიო ნაწარმოებში დაცული საქართველოს შესახებ ცნობები, აგრეთვე იქ მოტანილი სოციალურ-ეკონომიური რიგის ფაქტები (ოსმალური და ყიზილბაშური მმართველობის წესები, გადასახადები, გლეხთა მდგომარეობა და სხვ.).

---

[1] ამ თვალსაზრისით აქვს მიმოხილული და გამოყენებული XVII—XVIII სს. სომხური ნარატიული წყაროები, კერძოდ, ი. პეტრუშევსკის იხ. И. П. Петрушевский, очерки..., გვ. 48—54.

[2] Livre d'histoires par varitabied Arakel de Tauris. Collection d'historiens Armeniens, t. I, SPb, 1874, გვ. 269—607.

[3] Mémoires historiques Sur les Sofis par le diacre Zakaria, Collection d'historiens Armeniens, t. II, SPb, 1876, გვ. 1—154.

აღმოსავლური საისტორიო ნაწარმოებები (სპარსული, თურქული) წარმოადგენენ XVI—XVII სს. საქართველოს ისტორიის პირველ წყაროებს. და ეს იმ გასაგები გარემოების გამო, რომ საქართველო, ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებთან ერთად, ირან-ოსმალეთის გაუთავებელი ომების მთავარი ასპარეზი იყო.

წინამდებარე გამოკვლევაში გამოყენებულია უპირატესად ის სპარსულენოვანი ნარატიული წყაროები, რომლებშიაც XVI—XVII სს. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ვითარების ამსახველი ცნობებია დამოწმებული. საამისო ცნობებს ვპოულობთ ხონდემირის, ჰასან რუმლუს, ისკანდერ მუნშის და მოჰამედ თაჰერის საისტორიო თხზულებებში.

ხონდემირის (დაახლ. 1475—1537) „ჰაბიბ ას-სიარ“ („ცხოვრებათააღმწერლობის მეგობარი“) წარმოადგენს აღმოსავლურ ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილ „მსოფლიო ისტორიის“ ტიპის საისტორიო ნაწარმოებს. ამ თხზულების მესამე ტომის მეოთხე ნაწილში აღწერილია ისმაილ I-ის (1502—1524) მოღვაწეობის ხანა, თხრობა მიყვანილია 1524 წლამდე. თვითონ თხზულება დამთავრებულია 1526 წელს. ჩვენთვის საყურადღებო იყო ხონდემირის ის ცნობა, რომლითაც აღნიშნულია ქართველი მეფე-მთავრების მეხარკეობა ირანის შაჰის მიმართ. 1518 წლით დათარიღებული ეს ცნობა ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოყენებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ[1].

ჰასან-ბეგ რუმლუს „აჰსანუთ-თავარიხ“ („საუკეთესო ისტორიათა შორის“) მსოფლიო ისტორიის ტიპის ნაწარმოებია და თორმეტი ტომისაგან შედგებოდა. ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ XI—XII ტომები. მეთორმეტე ტომი შეიცავს სეფიანთა სახელმწიფოს ისტორიას XVI ს-ის დამდეგიდან 1578 წლამდე. ამ ტომის სპარსული ტექსტი და ინგლისური თარგმანი გამოქვეყნდა 1931—1934 წწ. ინდოეთში[2]. ისტორიის წერას ჰასან რუმლუ 1571 წელს შესდგომია. მის განკარგულებაში ყოფილა XVI ს-ის პირველი ნახევრის სპარსული წყაროები და ირან-ოსმალეთის პირველი ომის (1514—1555 წწ.) მომსწრეთა ზეპირი გადმოცემები. მისი დროის მოვლენების აღწერა კი ავტორის პირად დაკვირვებებზეა დამყარებული.

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 227—229.

[2] **A chronicle of the early Safawis being the Ahsanui't—tawarikh of Hasan-i Rumlu, edited by S. N. Seddon, Gakward's oriental series. № LVII** (სპარსული ტექსტი), **№ LXIX** (ინგლისური თარგმანი), ბაროდა, 1932—1934.

ჰასან რუმლუ მონაწილეობდა შაჰ-თამაზ I-ის ლაშქრობაში 1547 წელს საქართველოს წინააღმდეგ. ამიტომ მთელი ამ ლაშქრობის მსვლელობა (თითქმის სიტყვა-სიტყვით გამეორებული ისკანდერ მუნშის და ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებებში) დაფუძნებულია იმაზე, რაც ავტორს საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი და განცდილი. ჰასან რუმლუ ეტყობა, კარგად იცნობდა არა მარტო აღმ. ამიერკავკასიის ქვეყნების, არამედ საქართველოს პოლიტიკურ ვითარებასაც, საქართველოს შესახებ მის საისტორიო ნაწარმოებში მოიპოვება ისეთი ცნობები, რომლის მსგავსი არც ერთ ქართულ წყაროში არ გვხვდება (ასეთია, მაგალითად, ცნობა იესე კახთა ბატონიშვილის დატყვევებისა და მისი ალამუტის ციხეში გამოკეტვის ნამდვილი მიზეზების შესახებ). ჰასან რუმლუს მრავალი ცნობა მოაქვს ირანის შაჰის კარზე მყოფი სხვა ქართველების შესახებაც.

ჰასან რუმლუს საისტორიო ნაწარმოებში აღწერილია სიმონ მეფის ძმის დავით ბატონიშვილის ყაზვინს მისვლა (1562 წელს და არა 1564 წელს, როგორც ეს ქართულ ისტორიოგრაფიაშია მიღებული), მისი გამაჰმადიანება აზნაურებთან ერთად, ყიზილბაშური ხალათის ჩაცმა და ქართლის ხანად დანიშვნა. მასვე, სწორედ ამ ამბის აღწერასთან დაკავშირებით, ნათქვამი აქვს, რომ თბილისი და მისი სანახების (ქვემო ქართლის) მიწები, შაჰის ბრძანებით, ირანის დივანს დაუქვემდებარეს. ეს ცნობა, ეტყობა ჰასან რუმლუზე დაყრდნობით, შემდეგ არა ერთხელ აქვს გამეორებული ისკანდერ მუნშის. ამ ცნობის შემოწმებისას ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ დაუდ-ხანის (1562—1578) სახელით მამულის წყალობის ან განახლების არც ერთ სიგელს არ მოუღწევია ჩვენამდე. საქმე გვაქვს არაჩვეულებრივ ფაქტთან, რომელიც ახსნას საჭიროებს. ჩვენი აზრით, ეს, ალბათ, აიხსნება იმით, რომ მამულების მფლობელობის განახლების უფლება (ქვემო ქართლში) ამიერიდან შაჰის დასტურს და შაჰისავე ფირმანს საჭიროებდა. ამ მოვლენის განვითარებასთანაა ჩვენ მიერ უშუალოდ დაკავშირებული ორენოვანი (ქართულ-სპარსული) საბუთების გაჩენა XVI ს-ის 80-იან წლებში.

ისკანდერ მუნშის (1560—1634) დიდი საისტორიო ნაწარმოები „თარიხ-ი ალემ არა-ი აბასი“ („ქვეყნის დამამშვენებელი აბასის ისტორია“) შეიცავს შაჰ-აბასის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ვრცელ აღწერას—დაბადებიდან სიკვდილამდე (1571—1629). მაგრამ მის შესავალში (მუკადემე) წინარე პერიოდის ამბებიც საკმაოდ ვრცლადაა მოთხრობილი, რისთვისაც გამოყენებულია მრავალრიცხოვანი წყაროები და კერძოდ, ჰასან რუმლუს „აჰსანუთ-თავარიხ“.

ისკანდერ-ბეგ თურქემანი, მეტსახელად მუნში (მდივანი), XVI—XVII სს. სპარსულენოვანი ისტორიოგრაფიის ერთი საუკეთესო და ნიჭიერი წარმომადგენელთაგანია. იგი 1593/4 წლიდან ესრულებდა მდივნის მოვალეობას, რის გამოც მისთვის ხელმისაწვდომი იყო სახელმწიფო საბუთები და შეეძლო მათი გამოყენება თავის საისტორიო ნაშრომში. ისკანდერ მუნში გვაწვდის სანდო და ზუსტ ცნობებს, თუმცა ის არსად არ უხვევს ირანის მთავრობის ოფიციალურ თვალსაზრისს აღწერილი მოვლენების შეფასება-გაშუქებისას.

ისკანდერ მუნში, ეტყობა, პირადად იცნობდა ამიერკავკასიის ქვეყნებს და, არც თუ ისე იშვიათად, მათს შინაგან ისტორიას გადმოსცემდა შაჰ-აბასის ამ ქვეყნებში ლაშქრობათაგან სრულიად დამოუკიდებლად[1]. ადგილობრივი ისტორიის საკითხებს და, კერძოდ, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ისტორიას არსად ისეთი ადგილი არ ეთმობა, რამდენიც ისკანდერ მუნშის საისტორიო ნაშრომში[2]. ზოგადი თვალსაზრისით კი მისი თხზულება საინტერესოა და საყურადღებო იმ მხრივაც, რომ იქ მრავლად არის მოტანილი ცნობები შაჰ-აბასის აგრარულ და საგადასახადო პოლიტიკაზე, თიულის და სოიურღალის ინსტიტუტზე, სამხელეო და სამხედრო ორგანიზაციაზე.

XVI ს-ის დამლევის და XVII ს-ის პირველი მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის, ცნობების სიუხვის მხრივ, ისკანდერ მუნშის თხზულება განუმეორებელი წყაროა. მის თხზულებაში ხშირადაა გამოყენებული ქართული სოციალური ტერმინოლოგია (თავადი, აზნაური, მსახური), რაც სხვა სპარსული წყაროებითაც არის ცნობილი, მაგრამ არავის, ისკანდერ მუნშის გარდა, ასეთი თანამიმდევრობით არ გადმოუცია ფეოდალური საქართველოს სოციალური სტრუქტურა. ამით იგი, რა თქმა უნდა, ერთგვარად აღნიშნავდა იმ განსხვავებას, რომელიც ფეოდალური საქართველოს და ფეოდალური ირანის სოციალურ წყობილებას შორის არსებობდა. ამავე დროს, ისკანდერ მუნში ქართველი მეფე-მთავრების და ფეოდალების მიმართ იყენებდა სპარსულ ფეოდალურ ტერმინოლოგიასაც: ვალი, ხანი, ჰაქიმი, ბეგი, ხოლო აღმ. საქართველოს „მულქ-ი მოურისს“ („სამკვიდრო მულქს“) უწოდებდა. ამით ისტორიკოსი გამოხატავდა ირანის მთავრობის ოფიციალურ თვალსაზრისს, რაც ნამდვილად რეალურ შინაარსს იყო მოკლებული. ისკანდერ მუნშის თხზულებიდან

---

[1] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 34.

[2] იქვე.

გამოყენებული გვაქვს სოციალურ-ეკონომიური რიგის ის ფაქტები, რომელთა შინაარსი უშუალოდ საქართველოს ეხება.

ისკანდერ მუნშის „თარიხ-ი ალემ არა-ი აბასი"-ს მრავალრიცხოვანი ხელნაწერები მოიპოვება საბჭოთა კავშირის ყველა ორიენტალისტურ სიძველეთსაცავებში, მათ შორის აგრეთვე აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში[1]. ი. პეტრუშევსკი ცდებოდა, როცა აღნიშნავდა ამ თხზულების ტექსტის თარგმანების არ არსებობას[2]. ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ გერმანულად თარგმნილი აქვს აკად. დორნს[3], ხოლო ფრანგულად აკად. ბროსეს[4].

მირზა მოჰამედ თაჰერ ყაზვინელი, მეტსახელად „ვაჰიდი" („ერთადერთი") XVII ს-ის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და ისტორიკოსია. 1645 წელს იგი დაინიშნა აბას II-ის (1642—1667) კარის ისტორიოგრაფად (მეჯლის ნავისად). მისი ძმა იყო ისტორიკოსი მოჰამედ იუსუფი. სულეიმანის ხელმწიფობაში (1667—1694) მოჰამედ თაჰერი სახელმწიფოს უპირველესი ვეზირი (ეთიმადოველე) იყო. გარდაიცვალა იგი XVII ს-ის დამლევს. მისი მოღვაწეობის ზოგიერთი მხარე აღწერილი და დახასიათებული აქვს ფარსადან გორგიჯანიძეს, რომლისთვისაც ალბათ ცნობილი იყო მისივე საისტორიო ნაწარმოები[5].

მოჰამედ თაჰერს თანამდებობრივი მდგომარეობის გამო ხელი მიუწვდებოდა სახელმწიფო საბუთებზე. ზოგი საბუთი კი მის მიერ უნდა ყოფილიყო შედგენილი. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ საბუთებზე დაყრდნობით ლაპარაკობს იგი როგორც სახელმწიფო (დივანის), ისე შაჰის სახასოს მიწების და ვაკუფის შემოსავლის აღრიცხვაზე, ავ-

---

[1] სპარსული ხელნაწერების კოლექცია, S. № 12

[2] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

[3] B. Dorn, Erster beitrag zur Geschichte d. Georgier. Memoires de l' Akatemie imper. de sciences... VI série, t. sizième.

[4] M. Brosset, Histoire de la Géorgie, II partie. Histoire moderne. Adidttion V.

[5] ვლ. ფუთურიძე ამის გამო შენიშნავს: „სპარსული ენის კარგი მცოდნე ქართველი ისტორიკოსი... რასაკვირველია, იცნობდა მირზა თაჰერის „ისტორია"-საც და შესაძლებელია კიდეც სარგებლობდა მით, მაგრამ გამორიცხული არ არის ისიც, რომ ორივე ისტორიკოსს ერთი და იგივე წყარო ჰქონდა და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოგვითხრობს ორივე ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის შესახებ". ვლ. ფუთურიძე, მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 378.

რეთვე იმ ბოროტმოქმედებებზე, რომელთაც ადგილი ჰქონდათ სახელმწიფო ბარათების მფლობელთა (ბერათ დარან) და ყოველწლიური რენტის (ჰამესალე დარან) მქონე პირთა თანხების განაღდებისას. მოჰამედ თაჰერის ამგვარ ცნობათა მნიშვნელობა ფეოდალური ურთიერთობის შესწავლისათვის აღნიშნა ი. პეტრუშევსკიმ[1].

მოჰამედ თაჰერ ვაჰიდის თხზულება, რომელიც აბას II-ის ხელმწიფობის ქრონიკას წარმოადგენს, სხვადასხვა სათაურითაა ცნობილი: „თარიხ-ი თაჰერ-ი ვაჰიდ“ („თაჰერ ვაჰიდის ისტორია“), „თარიხ-ი შაჰ-ი აბას-ი სანი“ („შაჰ-აბას II-ის ისტორია“), „აბას-ნამე“ („აბასის წიგნი“). მოჰამედ თაჰერის საისტორიო ნაშრომი გამოცემული არ ყოფილა.

დოც. ვ. ფუთურიძემ გამოაქვეყნა საქართველოს შესახებ ადგილების სპარსული ტექსტი და ქართული თარგმანი, შესავალი წერილით და შენიშვნებით[2]. გამომცემელს სპარსული ტექსტი გადმოუღია ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერიდან (აკად. დორნის კატალოგი, № 303, მეორე ნაწილი), მაგრამ შეუდარებია ის აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების დაუმთავრებელ ხელნაწერთან (სპარსული ხელნაწერების კოლექცია, S № 18). მასვე ძირითადი ტექსტის ზოგიერთი მცდარი წაკითხვა გასწორებული აქვს საქ. მუზეუმის ხელნაწერის მიხედვით.

XVI—XVII სს. საქართველოს ისტორიისათვის თურქული წყაროები კიდევ უფრო ნაკლებ არის გამოყენებული, ვიდრე სპარსული წყაროები. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ალის (1541—1599), იბრაჰიმ ფეჩევის (1574—1650), ევლია ჩელების (დაახლ. 1611—1678), მუსტაფა ნაიმას (1655—1716) და XVI—XVIII სს.[3] სხვა თურქ ისტორიკოსთა თხზულებებში უხვადაა მოტანილი საქართველოს შესახებ ცნობები. ზოგი თურქული საისტორიო ნაშრომის შინაარსი კი მხოლოდ საქართველოს ეხება. ასეთია მაგ., ალის „ნუსრეთნამე“ („გამარჯვებათა წიგნი“). XVI ს-ის 80-იანი წლების ანონიმური ავტორის „ვაყა-ი თიფლისს“ („თბილისის ამბავნი“) და XVIII ს-ის მეორე მეოთხედში შედგენილი „ფეთ-ნამე ჰაკი გურჯისტან“ („საქართველოს დაპყრობის ისტორია“).

---

[1] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

[2] მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, გვ. 375—425.

[3] თურქ ისტორიკოსთა ზოგიერთი ცნობა საქართველოს შესახებ თარგმნილი და კომენტარებული აქვს პროფ. ს. ჯიქიას (იხ. აქვე თავი V).

მართალია, ფეოდალური ხანის თურქულ ისტორიოგრაფიაშიც მთავარი ადგილი ომებს, სულტნებს, ვეზირებს, სარდლებს და ფაშებს ეთმობა. მაგრამ თურქ ისტორიკოსთა თხრობაში ზოგან სოციალურ-ეკონომიური რიგის ფაქტებიც არის ჩართული.

თურქულ ნარატიულ წყაროებში დამოწმებული ამ რიგის ცნობები გამოყენებული გვაქვს უპირატესად სამხრეთ საქართველოში შემოღებული „ოსმალობის" დასახასიათებლად. ამ ცნობათა ტენდენციურობის მიუხედავად, მათი ისტორიულ-კრიტიკული ანალიზი შესაძლებელს ხდის თვალი გავადევნოთ სამცხე-საათაბაგოს თანდათან გაოსმალებას, შევისწავლოთ აქ შემოღებული ოსმალური მიწისმფლობელობა, ადმინისტრაციული და საგადასახადო სისტემა.

ქართული დოკუმენტური წყაროებიდან უწინარეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ ისტორიული საბუთები. მათი პუბლიკაცია XIX ს-ში დაიწყო, ყველაზე დიდი რაოდენობით კი საბჭოურ პერიოდში გამოქვეყნდა.

ჩვენ ვსარგებლობდით ძირითადად XVI—XVII სს. ქართული საბუთებით. ისინი „ქართველობის" (ქართული სოციალ-პოლიტიკური სისტემის) ამსახველი არიან. მაგრამ შესადარებელი მასალა მოძიებულია ამაზე უფრო ადრინდელ და გვიანდელ საბუთებშიც. საქმე ისაა, რომ XIII—XV სს. ზოგი ქართული საბუთი „ულუსობის" ან „თათართა მფლობელობის" ბევრი მოვლენის შემცველია, ხოლო XVIII ს-ის მეორე მეოთხედის ქართული საბუთები, თითქმის მთლიანად, „ოსმალობის" და „ყიზილბაშობის" გამომხატველი არიან. ვფიქრობთ, რომ ჩვენს გამოკვლევაში ამით არ უნდა ირღვეოდეს ისტორიული პერსპექტივა, რადგან გარკვეული პერიოდის ქართული საბუთები საუკეთესო წყაროს წარმოადგენენ ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობათა შედარებითი შესწავლისათვის. ზოგიერთი საბუთიდან კი ყოველგვარი კომენტარის გარეშეც ნათლად ჩანს, თუ იმდროინდელი ქართველების წარმოდგენით რა განსხვავება არსებობდა „ულუსობასა" და „ქართველობას" შორის ანდა „ოსმალობა-ყიზილბაშობასა" და „ქართველობას" შორის.

XVI—XVII სს. ქართული ისტორიული საბუთებიდან გამოკრებილია აგრარული წყობის, სოციალური ურთიერთობის, საგადასახადო სისტემისა და პოლიტიკური წყობილების დამახასიათებელი ცნობები. საამისოდ გათვალისწინებულია მამულის ნასყიდობის, წყალობის, შეწირულების, გაცვლის და დაგირავების წიგნები, ბატონყმური რიგის (გლეხთა სოციალური მდგომარეობის ამსახველი) საბუთები, სითარხნის სიგელები, გარიგებისა და სარგოს წიგნები.

მაგრამ როგორც ამას თავის ადგილზე ვნახავთ, შესადარებელი მასალა განსახილველი პრობლემისათვის შეიძლება მოვიძიოთ თვით XVI—XVII სს. ქართულ ისტორიულ საბუთებში. ასე მაგ., საგადასახადო ტერმინების ისტორიულ-კრიტიკული ანალიზი გვირკვევს სათათრო გამოსაღების (საური, მალი, ულუფა...), შინაარსობლივ მნიშვნელობას, რაც შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ საქართველოს ირანთან თუ ოსმალეთთან დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმები. XVI ს-ის 70-იანი წლების ქართულ საბუთებში მოხსენებული მელიქი, ტარუღა, თასილდარი და მისთანანი გასაგებსა ხდის, თუ რა დროიდან შეინიშნება ირანული პოლიტიკური ინსტიტუტების გავლენა (უკეთ სპარსული სამოხელეო ტერმინოლოგიის გავრცელება) აღმ. საქართველოში. XVII ს-ის პირველი ნახევრის საბუთებში გვხვდება ისეთი ცნობებიც, საიდანაც ჩანს, თუ როგორ, რატომ და რა მიმართულებით ცდილობდა შაჰ-აბასი ქართული აგრარული სისტემის გარდაქმნას. ყველაზე უხვად კი, როგორც აღვნიშნეთ, საამისო ცნობები „ოსმალობის“ და „ყიზილბაშობის“ პერიოდის საბუთებში მოიპოვება.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც: XVI—XVII სს. ქართული საბუთებისათვის, როგორც ცნობილია, დამახასიათებელი ხდება აღმოსავლური ტერმინოლოგია. უკვე ამ გარემოებამ არ შეიძლება არ მიიქციოს განსახილველი პრობლემით დაინტერესებული მკვლევრის ყურადღება. მით უმეტეს, რომ სწორედ ეს არის იმათი მთავარი არგუმენტი, ვინც იგივეობის ნიშანს სვამს ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალურ წყობილებას შორის.

არ არსებობს XVI—XVIII სს. არც ერთი ისეთი ქართული საბუთი, სადაც დიდი რაოდენობით არ იყოს მოტანილი აღმოსავლური ტერმინი. მათი უმეტესობა სწორედ აღებულ ხანაშია ქართულში შემოხიზნული და შეთვისებული. ეს აშკარად ირანის და ოსმალეთის გავლენით აიხსნება. მართალია, აღმოსავლური ტერმინოლოგია ადრევე იკვლევს გზას ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში (სასანელი სპარსელების, არაბების, თურქ-სელჩუკების, მონღოლების, თურქების და თურქმანების დროს), მაგრამ არასდროს ისე ფართოდ არ გავრცელებულა, როგორც XVI—XVII საუკუნეებში. აღმოსავლური ტერმინები ამ დროს გამოყენებულია დიპლომატიკასა და მეტროლოგიაში, კულტურასა და მწერლობაში, ყოფა-ცხოვრებასა და ვაჭრობა-ხელოსნობაში, გადასახადების, გლეხთა ვალდებულებების, მოხელეების, სახელმწიფო დაწესებულებებისა და თვით სოციალური ინს-

ტიტუტების აღსანიშნავად, მაგრამ ყველაფერი ეს არ გამოდგება შესადარებელ მასალად, რადგან აღმოსავლური ტერმინი არ ჰფარავდა ქართული ფეოდალური ურთიერთობიდან გამომდინარე შინაარსს. ანალოგიური ვითარება შეიძლება დავინახოთ ყველა ქვეყანაში, მაგრამ თავისთავად ცხადი უნდა იყოს ამ მოვლენის სპეციალური შესწავლის საჭიროება.

ჩვენი გამოკვლევის მიზანი ისე ფართო არ არის, რომ ვუჩვენოთ თითოეული აღმოსავლური ტერმინის ქართულში შემოხიზვნის გზები და, ყველა კერძო შემთხვევაში, დავადგინოთ მისი შინაარსობლივი მნიშვნელობა. ეს აშკარად აღემატება ერთი მკვლევრის შესაძლებლობას. ქართულ ისტორიოგრაფიაში არა ერთი ფაქტია დამოწმებული და აღნიშნული, თუ როგორ იცვლებოდა აღმოსავლური ტერმინის შინაარსობლივი მნიშვნელობა ქართული ფეოდალიზმის გარეშოცვის პირობებში. ზოგიერთი დაკვირვება ამ მიმართულებით აღნიშნული გვაქვს ჩვენც სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ წერილებში[1].

ამასვე ადასტურებს XVIII ს-ის დამდეგს შედგენილი ქართული სახელმწიფო, ადმინისტრაციული და სამეურნეო სამართლის ძეგლი „დასტურლამალი"-ს შინაარსის ისტორიულ-კრიტიკული ანალიზი. მისი სათაური ყველგან მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნებში სახელმწიფო სამართლის ძეგლს აღნიშნავდა („დასტურ ალ-ალუმ"). ამავე დროს ქართული „დასტურლამალი", როგორც ცნობილია, პირდაპირ გავსებულია აღმოსავლური ტერმინებით. თავის დროზე ამან ისტორიკოსს დ. ბაქრაძეს საბაბი მისცა აღენიშნა, რომ ვახტანგ VI-ის „დასტურლამალი" სპარსეთის დაკანონების მიხედვით იყო შედგენილი[2]. მაგრამ ნამდვილად „დასტურლამალის" დებულებები, გარიგებისა და სარგოს წიგნები ახასიათებენ აღმ. საქართველოს ფეოდალურ ურთიერთობას, სამეურნეო ორგანიზაციას და პოლიტიკურ წყობილებას.

განსხვავებულ შეხედულებას გამოთქვამს ქართულ „დასტურლამალთან" დაკავშირებით ცნობილი ირანისტი და ორიენტალისტი ვ. მინორსკი. მისი აზრით, ქართული „დასტურლამალი" კომპოზიციურად და შინაარსობლივად იმეორებს 1725 წელს შედგენილ

---

[1] ვ. გაბაშვილი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, „ენიმკის მოამბე", ტ. XIII, 1943; მისივე, „სათათრო გამოსაღებელი" ფეოდალურ საქართველოში, „მიმომხილველი", ტ. III, 1953.

[2] დ. ბაქრაძე, ვახტანგ VI, გვ. 26.

„თაზქირათ ალ-მულუქს“ („მეფეთა სახსოვარს“ ანუ „სპარსულ დასტურლამალს“)[1]. ვ. მინორსკის მხოლოდ ნაწილობრივ აქვს შედარებული ორივე ძეგლის შინაარსი, საამისოდ მას გამოუყენებია ქართული დასტურლამალიდან მისთვის საგანგებოდ თარგმნილი მხოლოდ ზოგიერთი უმნიშვნელო ფრაგმენტი: **«I could use only some insignificant fragments of the book translated for me»**—ამბობს სპარსული ძეგლის გამომცემელი[2].

ქართული დასტურლამალის და თაზქირათ ალ-მულუქის ურთიერთობის გამო ვ. მინორსკი შენიშნავს: „ეს წიგნი (=სპარსულ დასტურ ალ-ამალს) გამოკრებულად გამოხატავს საქართველოს სამეფოს ადმინისტრაციას, რომელსაც სუზერენული სპარსეთის ინსტიტუტებისა და ტერმინოლოგიის ძლიერი გავლენა ეტყობა. თავისი შინაარსით იგი თაზქირათ ალ-მულუქის იდენტურია, ოღონდ თარიღის მხრივ კი ამაზე ცოტა ადრინდელი“[3]. მოტანილი შეხედულება ცალმხრივი და დაუსაბუთებელია, რაკი ავტორს, მისივე სიტყვით, საამისოდ საჭირო ქართული მასალები ჰკლებია[4].

რა თქმა უნდა, ვახტანგ VI-ის დასტურლამალს უეჭველად ეტყობა სპარსული ტერმინოლოგიის ძლიერი გავლენა, უკეთ იგი სპარსულ-აღმოსავლური ტერმინებით არის გადატვირთული, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აღმოსავლურ სამყაროდან აღებული სპეციალური ტერმინები და შეთვისებული ინსტიტუტები თავისებურად ვითარდებოდა ქართულ ნიადაგზე და ფეოდალურ გარემოცვაში. ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონმა იცოდა, თუ რომელი ქართული ინსტიტუტი იყო საგულვებელი შესაბამის სპარ-

---

[1] **Tadhkirat al-muluk, a manual of Safavid administration, Persian text in facsimile, with Translation and Commentary by V. Minorsky, London, 1943.**

[2] იქვე, გვ. 205.

[3] **„The book (=Persian Dastur al-amal, „Regulations“) epitomises the administrative make-up of the Georgian Kingdom, strongly influenced by the institurions and terminology of the suzairen Persia. In its object it is identical to, and in its date slightly earlier than the Tadhkirat al-muluk“.** იქვე, გვ. 205.

[4] დაწვრილებით იხ. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, სპარსული დასტურლამალი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXVII, 1949, გვ. 191—220.

სულ სახელს ქვეშ და რომელი „ყიზილბაშური"[1]. ხოლო, რამდენად იდენტურია ქართული დასტურლამალის შინაარსი თაზქირათ ალ-მულუქისა, ამას მხოლოდ გულდასმითი შედარება გვირკვევს, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გაირკვეს, თუ რა არის გაკეთებული ქართულ დასტურლამალში „სპარსული სახელმწიფო დავთრის მ ი ხ ე დ ვ ი თ" (დ. ბაქრაძე), რას ეტყობა სპარსულის გ ა ვ ლ ე ნ ა და რა არის ქართული იურიდიული აზროვნების ო რ ი გ ი ნ ა ლ უ რ ი ნაყოფი.

ორივე ძეგლის შინაარსის შედარება[2] ცხადყოფს, რომ მათ შორის არ შეიძლება არსებობდეს შინაარსობლივი ი დ ე ნ ტ უ რ ობ ი, როგორც ამას ფიქრობს და ვარაუდობს ვ. მინორსკი. ამიტომაც ძ ი რ ი თ ა დ ა დ ერთიმეორისაგან განსხვავდებიან იქ აღწერილი სახელმწიფო, ადმინისტრაციული და სამეურნეო დაწესებულებები.

შედგენილობის მხრივაც სპარსულ და ქართულ დასტურლამალებს შორის დიდი განსხვავებაა. ოღონდ დასტურლამალების (გარიგების წიგნების) შედგენის პრინციპი (დიპლომატიკური თვალსაზრისით) ძირითადად ერთი და იგივეა, მიუხედავად ამისა, მათი შინაარსი მაინც ქართლის ან ირანის სახელმწიფო წყობილების თავისებურებათა მიხედვითაა გამართული. XVIII ს-ის პირველ ათეულში შედგენილი სახელმწიფო სამართლის ძეგლის აღსანიშნავად გამოყენებული სპარსულ-არაბული ტერმინი, და თვითონ გარიგების წიგნების შედგენის პრინციპის ერთგვარი იგივეობა მიგვითითებს არა შინაარსობლივ იდენტურობაზე, არამედ გავლენაზე, რომელიც სეფიანთა ხანის სპარსულ დიპლომატიკას უნდა მოეხდინა ქართულ დიპლომატიკაზე[3]. ამიტომ „სპარსეთის სახელმწიფო დავთრების" მიხედვით შედგენასა თუ მიმბაძველობაზე ლაპარაკი გამორიცხული უნდა იყოს. ქართულ დასტურლამალს საფუძვლად უდევს სხვადასხვა დროს შედგენილი დასტურლამალები—გარიგებისა და სარგოს წიგნები.

რა თქმა უნდა, სპარსული სახელმწიფო სამართლის გავლენა გამორიცხული არაა. თვითონ სიტყვა „დასტურლამალი", როგორც აღვნიშნეთ, აღებულია სპარსული სახელმწიფო სამართლის ტერმინოლოგიიდან. ცხადი და უეჭველია ირანის პოლიტიკური ბატონო-

---

[1] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, „ენიმკის მოამბე", ტ. XIII, 1943, გვ. 159—160.

[2] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, სპარსული დასტურლამალი, გვ. 198—203.

[3] ამ გავლენის გამომხატველია ამდროინდელი ქართული დიპლომატიკისათვის დამახასიათებელი ტერმინები: რ ა ყ ა მ ი, ო ქ მ ი, ფ ი რ მ ა ნ ი, დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა.

ბისა და წყობილების გავლენის კვალიც. ქართლის სამეფოს ირანი-სადმი პოლიტიკური დამოკიდებულების პირდაპირი გამოხატულებაა „დასტურლამალში“ ჩართული საგანგებო დებულებები: „ხელმწიფის ტყვის ხარჯისათვის“, „ქალაქის ტყვის ხარჯისათვის“ და სხვ. ტერმინი „ხელმწიფე“ დასტურლამალში ყველგან სუზერენის, ირანის ყაენის, აღსანიშნავად იხმარება.

ქართული დასტურლამალის პირველ შვიდ კარში მოხსენებული სამოხელეო სახელები და დაწესებულებები თითქმის უკლებლივ გვხვდება თაბქირათ ალ-მულუქში, აგრეთვე სხვა სპარსულ წყაროებსა და ევროპელ მოგზაურთა იმ აღწერილობებში, სადაც ვრცლად არის საუბარი სეფიანთა ირანის ადმინისტრაციული მართვა-გამგეობისა და სახელმწიფო წყობილების გამო. მაგრამ აღნიშნული გარემოებანი გამომხატველი არიან არა სპარსული დასტურლამალის გავლენისა, არამედ, ირანის სახელმწიფო წყობილების გავლენის მ ო ც უ ლ ო ბ ი ს ა ქართლის სამეფოს სახელმწიფო წყობილებაზე. ამ „გავლენის“ ქრონოლოგიური საზღვრების დადგენა ძნელი არ იქნება, თუ გავიხსენებთ ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიას XVI საუკუნიდან მოკიდებული და, განსაკუთრებით, როსტომ-ხანის პოლიტიკის მიზანსა და დანიშნულებას.

დასტურლამალზე ასე გრძლად იმის გამო შევჩერდით, რომ ის საუკეთესო წყაროა ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობათა შედარებითი შესწავლისათვის. ამასთან მასში მოთავსებულია XVIII საუკუნემდელი გარიგების წიგნებიც (მაგ., მურდარის სარგო, სადედოფლო დასტურლამალი და სხვ.). ამის გარდა, ყველა იმას, რაც ზემოთ უკვე ითქვა, უნდა დავსძინოთ ისიც, რომ მასში გვხვდება სხვა რიგის შესადარებელი მასალაც. მაგ., ცნობები სოციალურ ინსტიტუტის, ქართლის ვალისათვის ირანში (გილანის პროვინციაში) ნაწყალობევი მიწების და მომთაბარეთა ორგანიზაციის შესახებ.

დასტურლამალში მოთავსებული „ელის დებულება“ შეიცავს საინტერესო მასალას საქართველოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილებში ჩამოსახდარი ყიზილბაშური ტომების ორგანიზაციის შესასწავლად. მართალია, თაბუნებად დაყოფილი ელი ქართველი მოხელეების ზედამხედველობას ექვემდებარებოდა (ელის აღწერა, ნოქრის გამოყენება, გასამართლება, გადასახადების აკრება და სხვ.), მაგრამ მისი სოციალური სტრუქტურა და შინაგანი ორგანიზაცია არითმეტიკით არ განსხვავდებოდა ყიზილბაშური ფეოდალური ორგანიზაციისაგან: ელის სპეციალური დებულების გარდა, საამისოდ

შეიძლება მოვიტანოთ XVII—XVIII სს. ის ქართული საბუთებიც, სადაც ელზე შეწერილი გადასახადები და მიწისმფლობელობის აღმნიშვნელი ტერმინებია დამოწმებული.

„ელის დებულება“, მთლიანად, აღდგენილი გვაქვს დასტურლამალის 1729 წლის ხელნაწერის მიხედვით. ამ ხელნაწერში, ელის შესახებ დებულებები 26-ე კარშია მოთავსებული, სათაურით: „ელის გამოსაღების რიგისა“. ეს კარი შეიცავს ელის თარხან კაცთა, ნოქართა, რუს ლანჩფართა სამ სიას და ელის შესახებ მრავალ დებულებას.

„ელის დებულების“ შესწავლას ზოგადი მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც ორიენტალისტებმა იგი შეიძლება თამამად გამოიყენონ აღმოსავლური და, კერძოდ, აზერბაიჯანის ფეოდალური ურთიერთობის საკითხების გასარკვევად. დასტურლამალში მოხსენებული სოციალური კატეგორიები ლანჩფარი (რანჩბარი, რანჯბარი), ნოქარი და სხვა ფეოდალური აზერბაიჯანის ერთ-ერთ ნიშანდობლივ მოვლენას წარმოადგენდა.

ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობათა შედარებითი შესწავლისათვის ყველაზე ცხადი და ხელშესახები მასალები შეპირისპირების თვალსაზრისით, მოიპოვება ე. წ. ორენოვან (ქართულ-სპარსულ) საბუთებში.

ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები გამოსცა დოც. ვლ. ფუთურიძემ[1]. მანვე თარგმნა სპარსული ტექსტები. წაუმძღვარა მოკლე შესავალი, და დაურთო შენიშვნები, გამოცემის ბოლოში მოთავსებულია ქართულ და სპარსულ საბუთთა ტექსტებში ხმარებულ ტერმინთა ლექსიკონი და საძიებლები. თითოეულ საბუთს ახლავს არქეოგრაფიული მიმოხილვა. შესწავლილია და, მეტწილად, გაშიფრულია კიდეც საბუთთა ბეჭდების ზედწერილები. ბევრგან აღდგენილია ან გასწორებული მცდარი წაკითხვები და ნაკლული ადგილები.

ორენოვანი (ქართულ-სპარსული) საბუთები დაცულია აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში და საქართველოს საარქივო სამმართველოს საისტორიო არქივში (ორი ქართულ-სპარსული საბუთი აღმოჩნდა სომხეთის მატენადარანში, ქართული და სპარსული საბუთების ფონდებში)[2]. საქართველოს მუზეუმის და არქივის საბუთთა მთელი

---

[1] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. VI.

[2] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები. ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1955.

ფონდი ორენოვანი საბუთების გამოსაელინებლად გადაათვალიერა დოც. ვლ. ფ უ თ უ რ ი ძ ე მ. ორენოვან საბუთებს ჩვენამდე მოუღწევია როგორც დედნების, ისე პირების სახით[1].

ქართულ-სპარსული საბუთები განეკუთვნებიან XVI—XVIII საუკუნეებს.

ვლ. ფუთურიძის პუბლიკაციაში მოთავსებულია 192 საბუთი. ამათგან ყველაზე ადრინდელი 1580 წლით არის დათარიღებული, ყველაზე გვიანდელი 1757 წლით.

ორენოვანი საბუთების ქაღალდი „ისეთივეა, როგორიც საქართველოში იხმარებოდა საბუთებისათვის XV—XVIII საუკუნეებში. ორიოდე საბუთი დაწერილია ეტრატზე... სპარსული ტექსტი უფრო ხშირად დაწერილია შექასთეთი, ე. ი. გაკრული ხელით, ზოგჯერ სრულებით უწერტილებოდ, რაც მეტად აძნელებს განსაკუთრებით პირთა და გეოგრაფიული (მაგ., სოფლების) სახელების ამოკითხვას. შექასთეს ხელის გარდა, იხმარება ხშირად ნასთალიკი და შექასთე ნარევი ნასთალიკი, ე. ი. ხელი, რომლითაც უმთავრესად იწერებოდა ირანის შაჰის სამდივნოდან გამოსული ფირმანები სეფიანთა დროს“[2]. ორენოვანი საბუთების „ქართული და სპარსული ნაწილებიდან ძირითადი და მთავარია ქართული ტექსტი“[3].

ვლ. ფუთურიძის დაკვირვებით: „ყველა ორენოვანი ქართულ-სპარსული საბუთები ეკუთვნის აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლსა და კახეთს; დასავლეთ ან სამხრეთ საქართველოდან არც ერთი არ არის. ეს გარემოება გასაგებიცაა, რადგან ქართულ-სპარსული სიგელები წარმოშობილია ჩვენში ირანის პოლიტიკური ბატონობის დროს, როცა ქართლსა და კახეთში ირანის შაჰის მიერ დანიშნული მეფეები ისხდნენ ტახტზე ან ქვეყანას მათ მიერვე გამოგზავნილი ხანები მართავდნენ“[4].

ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთების გამომცემლის წინაშე ბუნებრივად უნდა დასმულიყო მათი წარმოშობის მიზეზის საკითხი. ვლ. ფუთურიძის შეხედულებით, „ქართული „მამულის“ „თიულად“ გადმოცემაში და, საერთოდ, მთელი ტექსტის სპარსული სათიულო-სიგელის წესით აგებაში უნდა გამოიხატებოდეს ირანის მთავრობის ცდა ქართული მიწისმფლობელობის სამამულო სისტემის წინააღმდეგ ბრძოლისა, მისი ყიზილბაშური სათიულო

---

[1] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. XIII.

[2] იქვე, გვ. VI—VII.

[3] იქვე, გვ. XI.

[4] იქვე, გვ. VI.

წესით შეცვლის მიზნით. ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის მოშლით და ყიზილბაშური წესის დამკვიდრებით, ირანის მთავრობას იმედი ჰქონდა საბოლოოდ დაემორჩილებინა ქართლ-კახეთი და მისი სრული ინკორპორაცია მოეხდინა"[1].

ორენოვანი საბუთების წარმოშობა-გაჩენის საკითხს შეეხეთ ჩვენც[2]. მაგრამ ამ მოვლენის ჯერ კიდევ ბევრი მხარეა დასადგენი და გამოსარკვევი.

ორენოვანი საბუთების ქართული ნაწილები წარმოადგენენ ჩვეულებრივ ქართულ სიგელებს, რომელთა ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია კიდეც ქართულ დოკუმენტთა ცნობილ პუბლიკაციებში[3]. მათ თან ახლავს სპარსული თარგმანი. მაგრამ სპარსული ნაწილი წარმოადგენს არა ქართული ნაწილის ზუსტ თარგმანს, არამედ მის ერთგვარ რეზიუმეს (ზოგჯერ მოკლეს, ზოგჯერ ვრცელს). ამასთან ქართული ნაწილის შინაარსის სპარსულად გადმომცემი ვერ ახერხებს ქართული ცნებების (მიწისმფლობელობის ფორმების, გადასახადების, ყმა-გლეხთა ვალდებულებების და სხვ.) ზუსტად გამოხატავს და ყველგან ცდილობს მათ სპარსული შესატყვისები მოუძებნოს. სპარსული ცნებები და ტექნიკური ტერმინები კი. მიახლოებითაც ვერ გამოხატავენ ქართული სოციალურ-ეკონომიური წყობისა და სახელმწიფო წყობილებისათვის დამახასიათებელ ცნებებს. ორენოვანი საბუთის სპარსულ ნაწილში (სიმონ II-ის დროიდან)[4] მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ საბუთში მოთხრობილი უნდა „გათავდეს" (შესრულდეს) „საქართველოს დასტურლამალის მიხედვით".

---

[1] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. IX.

[2] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, სახელმწიფო წყობილების საკითხისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში, „მნმომხილველი", II, 1951, გვ. 165-166; მისივე, ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის ისტორიიდან (XVI ს-ის უკანასკნელი მეოთხედი), საქ. მეც. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1955, გვ. 197—198, 229—235.

[3] ვლ. ფ უ თ უ რ ი ძ ი ს „შესავალში" ჩამოთვლილია: „ქართველმეფეების მიერ გაცემული ყმის, მამულისა და სახელოს ბოძების და სითარხნის წყალობის წიგნები, ბრძანებები და საკანონმდებლო აქტები, ნასყიდობის წიგნები, ქართლში ან კახეთში მჯდომი ხანების თუ ბეგლარბეგების ბრძანებულებები და წყალობის წიგნები, კერძო პირთა შორის დადებული შეთანხმებები, გარდაწყვეტილობის წიგნები, გვარიშვილობის დამამტკიცებელი საბუთი არის აგრეთვე ერთი სასისხლო სიგელიც". იხ. ქართულ-სპარსული საბუთების „შესავალი", გვ. VII.

[4] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. VIII.

1640 წლიდან კი ყოველთვის აღნიშნულია თიულის ბოძება „ქართულად დაწერილის საფუძველზე“[1].

ორენოვანი საბუთების სპარსული ნაწილები (რა თქმა უნდა, ძირითადად ქართულ ნაწილთან მჭიდრო მიმართებაში) გამოყენებული გვაქვს ქართული ფეოდალური ურთიერთობის თავისებურებისა და თავისთავადობის საჩვენებლად. ამ თავისებურებას მოწმობენ სხვა (ერთენოვანი) სპარსული და თურქული საბუთებიც.

საქართველოს სიძველეთსაცავებში (საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება) საკმაოდ დიდი რაოდენობით მოიპოვება სპარსული თუ თურქული საბუთები. ამიერკავკასიაში აღმოსავლური დოკუმენტური წყაროები ასეთი რაოდენობით დაცულია მხოლოდ თბილისის დასახელებულ სამეცნიერო დაწესებულებებში და ერევნის მატენადარანში.

საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის და სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების საბუთები წარმოადგენენ ირანის შაჰების და ოსმალეთის სულტნების ფირმანებს, აგრეთვე ამიერკავკასიის სახანოების გამგებლების და ქართველი მაჰმადიანი მეფეების ოქმებს. როგორც აღვნიშნეთ, იქვე ინახება ორენოვანი (ქართულ-სპარსული) ისტორიული საბუთები.

სპარსული და თურქული საბუთების (უპირატესად XIX ს-ის პირველი ნახევრის, ნაწილობრივ კი აგრეთვე XVI—XVIII სს.) პუბლიკაცია დაიწყო უკვე XIX საუკუნეში. მოთავსებულია ისინი კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის „აქტების“ პირველ ტომებში[2]. მაგრამ მათი მეცნიერული შესწავლა და ცალკე კრებულების სახით გამოცემა დაიწყო მხოლოდ საბჭოურ პერიოდში. მხედველობაში გვაქვს სპარსული ისტორიული საბუთების გამოცემები.

საჭიროა აღინიშნოს, რომ განსახილველი პრობლემის დასმა გააპირობა და მის შესწავლას ხელსაყრელი მდგომარეობა შეუქმნა მდიდარმა დოკუმენტურმა ბაზამ, კერძოდ, სპარსული საბუთების პუბლიკაციამ. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შესასწავლია და გამოსაცემი თურქული საბუთები, რომელნიც XVI—XVIII სს. მეოთხედს განეკუთვნებიან და „ოსმალობის“ (1588—1606 და 1723—

---

[1] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. VIII.

[2] АКАК, ტ. I—VI.

1735) დროიდან მომდინარეობენ[1]. თურქულ საბუთებს დიდი მნიშვნელობა აქვთ „ოსმალობის“ ყოველმხრივი შესწავლისათვის. მით უმეტეს რომ არსებობს მათი ამავე ხანის ქართულ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებთან შეჯერების სრული შესაძლებლობა.

სპარსული საბუთების გამოვლინების, შესწავლისა და გამოცემის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის პროფ. ი. მარს. 1933 წელს მან, პროფ. ნ. ბერძენიშვილის წინადადებით, ხელი მოჰკიდა ორენოვანი საბუთების სპარსული ტექსტების შესწავლას და შვიდი მათგანი დაამუშავა კიდეც[2]. მისი მოხსენება ამ საბუთების შესახებ—«Предварительный отчет о работе над персидскими документами Музея Грузии», იმავე წელს იქნა წაკითხული კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტში[3]. ი. მარის კოლექციის ეს საბუთები გამოყენებული აქვს პროფ. ი. პეტრუშევსკის[4]. ი. მარის მონაწილეობით და რედაქციით გამოქვეყნდა აღმ. ამიერკავკასიის სახანოების სპარსული საბუთები (იხ. ქვემოთ).

დოც. მ. ხუბუამ გამოაქვეყნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები[5], რომელნიც ორიოდე (ორენოვანი) საბუთის გამოკლებით, ირანის შაჰების ფირმანებს, ქართველი მაჰმადიანი მეფეებისა და ბეგლარბეგ-ხანების ჰოქმებს წარმოადგენენ. მ. ხუბუას პუბლიკაციაში მოთავსებულია 50 სპარსული საბუთი. ამათგან ყველაზე ადრინდელი 1626 წლით არის დათარიღებული, ყველაზე გვიანდელი 1756 წლით.

ერთენოვანი (სპარსული) საბუთები, ორენოვან (ქართულ-სპარსულ) საბუთებთან ერთად, საუკეთესო წყაროა ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობათა შედარებითი შესწავლისათვის.

---

[1] გამოქვეყნებულია მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი. АКАК, II, № 1—22.

[2] ქართულ-სპარსული საბუთები, გვ. XII.

[3] იქვე.

[4] И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 213, 214, შენიშვნა 5 და გვ. 215. დოც. ვლ. ფუთურიძემ შენიშნა, რომ „პროფ. ი. პეტრუშევსკის შეცდომით როსტომ მეფის ორი უკანასკნელი საბუთი (62 და 109) ირანის შაჰების, სეფი I და აბას II, ხოლო სვიმონ I მიერ სიაუშ საკაძისადმი 1588 წ. 8 ივლისის თარიღით გაცემული წყალობის წიგნი აბას I ფირმანად მიუღია“ (იხ. ქართ.-სპარს.ისტ. საბუთები, გვ. X). როსტომ მეფის 1637 წ. მამულის წყალობის წიგნი (ი. მარის კოლექციიდან), ჩვენკ შეცდომით შაჰ-სეფის მივაწერეთ. ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის ისტორიიდან..., გვ. 195.

[5] მ. ხუბუა, საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, თბილისი, 1949.

ერთენოვანი სპარსული საბუთები ორენოვანი საბუთებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ ისინი (ფირმანები) ირანის შაჰების მიერ არიან გაცემული ქართველი ფეოდალების სახელზე ან ქართველი მაჰმადიანი მეფეების სახელმძღვანელოდ. ჩვენი მიზნისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის სპარსული ფირმანები, სადაც თიული და სოიურღალია მოხსენებული. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს შაჰის მთავრობის ოფიციალურ თვალსაზრისთან. მაგრამ თიულად ან სოიურღალად მოხსენებული სოფლების და ყმა-გლეხების მფლობელთა უფლებრივი მდგომარეობის გამორკვევა სპარსული საბუთების შინაარსის მიხედვით, ცხადყოფს, რომ თიული სრულიადაც არ გამორიცხავს ქართული მიწისმფლობელობით გათვალისწინებულ სამამულო მფლობელობას. ერთგან პირდაპირ არის მითითებული საამისოდ ხელმწიფის ნაცვლის (ქართლის მაჰმადიანი ვალის) ხელის მოწერის აუცილებლობა „საქართველოს თანამედროვე მეფის წესების შესაბამისად“ (საბ. 5). სხვა ფირმანების მიხედვით კი თიულების დამტკიცება ან განახლება ხდება ძველი (მამა-პაპეულ) მფლობელობის საფუძველზე. სპარსულ ფირმანებში სწორედ ამით არის ხაზგასმული ქართული მიწისმფლობელობის თავისებურება.

ცნობილია, რომ აღმ. ამიერკავკასიის (სომხეთის, აზერბაიჯანის...) ფეოდალურ ურთიერთობას და ადმინისტრაციულ წყობილებას XVI—XVIII სს. დიდი მსგავსება ჰქონდა ყიზილბაშური ირანის ფეოდალურ ორგანიზაციასა და ადმინისტრაციულ სისტემასთან. ამდენადვე ცხადი უნდა იყოს აღმ. ამიერკავკასიის სახანოების საბუთებისა და ეპიგრაფიკული მასალების მნიშვნელობა ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობათა შედარებითი შესწავლისათვის.

სამწუხაროდ, შესწავლილია და გამოქვეყნებული მხოლოდ საბუთების მცირე ნაწილი. განსაკუთრებით ითქმის ეს ეპიგრაფიკულ მასალებზე, რომელთა დიდი ნაწილი არამცთუ შესწავლილი, არამედ გამოვლინებულიც კი არაა. ზოგიერთი მათგანი, პროფ. ი. პეტრუშევსკის თქმით, წარმოადგენს ნამდვილ დოკუმენტს და, ამდენადვე, წყაროს ამიერკავკასიის ქვეყნების ფეოდალური ურთიერთობისათვის[1]. თუ როგორი ცნობების გამოკრება შეიძლება ამგვარი მასალებიდან, ამაზე კარგად მეტყველებს ნ. ხანიკოვის მიერ გამოცემული ორი წარწერა: ერთი მათგანი, ქ. ორდუბადის კათედრალური

---

[1] И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 17.

შეჩეთის პორტალის თავზე ამოკვეთილი და დათარიღებული 1607/8 წლით, გადმოსცემს შაჰ-აბას I-ის ფირმანს, რომლითაც ორდუბადს ებოძა საგადასახადო შეუვალობა[1]; მეორე, სოფელ ვანანდის მეჩეთის კედლის წარწერა, დათარიღებული 1732/3 წლით, აღწერს ომიანობით და ფეოდალური შინაომებით გამოწვეულ გლეხთა მძიმე მდგომარეობას[2]. დასახელებული სპარსული წარწერები ფეოდალურ ურთიერთობათა ისტორიისათვის გამოყენებული აქვს პროფ. ი. პეტრუშევსკის[3].

აღმ. ამიერკავკასიის სპარსულენოვანი საბუთები გამოქვეყნდა 1936—1937 წლებში პროფ. ი. მარის რედაქციით. 1936 წლის გამოცემაში მოთავსებულია ნახჭევანში აღმოჩენილი სპარსული საბუთები (ფირმანები, ჰოქმები, თხოვნები, ნასყიდობის წიგნები და სხვ.)[4], 1937 წლის გამოცემაში ყუბის და დერბენდის ხანთა ჰოქმები[5].

ნახჭევნის საბუთებიდან ყველაზე ადრინდელია 1648 წლის საბუთი, ყველაზე გვიანდელი კი 1835 წლით არის დათარიღებული. ჩვენი მიზნისათვის საინტერესოა ამ სერიის საბუთთა ის ცნობები, რომელთა შინაარსი ეხება აგრარულ ურთიერთობას (ადგილობრივი ხანების მიერ თიულების, სოფლების და საძოვრების წყალობას), გლეხთა გადასახად-ვალდებულებებს, მათს დამოკიდებულებას მიწისმფლობელებზე და მულქების ყიდვა-გაყიდვას (საბ. №№ 10, 11, 22, 23, 24).

მეორე სერიის საბუთები (ყუბის და დერბენდის ხანების ჰოქმები და თალიკები) მოიცავს XVIII საუკუნეს და XIX საუკუნის პირველ მეოთხედს (1706—1820). XVIII საუკუნის პირველი ნახევრის სამი საბუთი წარმოადგენს სითარხნის სიგელებს, რომლითაც გათარხნებულია სოფელი ხუდადი. საბუთების უმრავლესობაში კი ლაპარაკია ხანების მიერ მიწების, სოფლების, საძოვრების და გლეხების (უმიწოთ) ბეგებისათვის წყალობაზე, გლეხთა გადასახადვალდებულებებზე და რანჯბარების ფეოდალურ დამოკიდებულება-

---

[1] N. Khanykow, Mèmoires sur cuelques inscriptions musulmanes du Caucas, Paris, 1863. სპარსული ტექსტი, გვ. 94, 95; ფრანგული თარგმანი, გვ. 95, 96.

[2] იქვე, სპარსული ტექსტი, გვ. 96, 97; ფრანგული თარგმანი, გვ. 97, 98.

[3] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 17—18.

[4] Нахчиванские рукописные документы. Передняя Азия в документах, кн. 1. Перс. текст и русск. перевод под ред. Ю. Н. Марра, Тбилиси, 1936.

[5] Указы кубинских ханов. Перс. текст, русск. перевод и комментарий, Тбилиси, 1937.

ზე (საბ. №№ 8, 10, 11, 18, 21, 24, 25, 29 და სხვ.). ყუბის და დერბენდის ხანთა საბუთები შეიცავენ უხვ ცნობებს XVIII ს-ის **აზერბაიჯანის** (დამოუკიდებელი სახანოების) აგრარული ურთიერთობისათვის.

მართალია, აღმ. ამიერკავკასიის სახანოების საბუთების დიდი უმეტესობა ქრონოლოგიურად სცილდება ჩვენი გამოკვლევის ფარგლებს, მაგრამ მათი ღირებულება ჩვენთვის იმ მხრივ არის მნიშვნელოვანი, რომ მათში დამოწმებული ფეოდალური საკუთრების ფორმების შესწავლა საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ თიულის ინსტიტუტის განვითარებას XVI საუკუნიდან დაწყებული XVIII ს-ის შუა ხანამდე. ეს მოვლენა კი მჭიდრო კავშირშია გლეხთა ფეოდალურ ექსპლოატაციასთან. საქმე ისაა, რომ XVIII ს-ის მეორე ნახევრის სპარსულენოვან საბუთებში დამოწმებული თიული შინაარსობლივად მნიშვნელოვნად არის შეცვლილი. თიული ამ დროს მიწის უპირობო საკუთრებად არის გადაქცეული და, ამდენადვე, მის შესაბამისად ნაჩვენებია ისიც, თუ რა გამოხატულება ჰპოვა ამ მოვლენამ გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაციის ფორმებში.

სომხეთის ფეოდალური ურთიერთობისათვის მეტად საყურადღებო ცნობებს შეიცავს მატენადარანის სპარსული ფირმანების I ნაკვეთი (სპარსული ტექსტები სომხური და რუსული თარგმანითურთ, შენიშვნებით და ლექსიკონით)[1]. გამოსცა ის სომეხმა ირანისტმა ა. ფ ა ფ ა ზ ი ა ნ მ ა, რომლის ვრცელ შესავალში და მრავალრიცხოვან შენიშვნებში დაწვრილებით არის მიმოხილული XV—XVI სს. სპარსულ საბუთთა აგებულება, შინაარსი და სოციალ-ეკონომიური ტერმინოლოგია.

ა. ფაფაზიანის პუბლიკაციით შეივსო მნიშვნელოვანი ხარვეზი აღმ. ამიერკავკასიის ფეოდალური ურთიერთობის წყაროთმცოდნეობაში, რადგან XVI საუკუნე XVII საუკუნესთან შედარებით, მეტად ღარიბია სპარსულენოვანი საბუთებით. მიუხედავად იმისა, რომ საბუთების დიდი უმრავლესობა სამონასტრო მფლობელობას ეხება, მასში მოიპოვება მრავალმხრივ საყურადღებო ცნობები XV—XVI სს. სომხეთის სოციალ-ეკონომიური ისტორიისათვის. საბუთებში დიდი რაოდენობით არის მოტანილი სოციალ-ეკონომიური და ადმინისტრაციული წყობის ტერმინები (მიწისმფლობელობის ფორმები, გადასახადები, მოხელეების აღმნიშვნელი სახელები),

---

[1] **Персидские указы Матенадарана (XV—XVI вв.), выпуск I, составил А. Д. Папазян, Ереван, 1956.**

რომელთა განმარტებას პუბლიკაციაში სპეციალური განყოფილება ეთმობა.

შესადარებელი მასალის თვალსაზრისითაა გათვალისწინებული ჩვენს გამოკვლევაში შუა აზიის აგრარულ ურთიერთობათა საბუთები[1]. გამოქვეყნებული საბუთების უმეტესობა ქრონოლოგიურად XVII—XIX სს. მოიცავს. ეს კი შუა აზიის ისტორიის ის ხანაა, როცა თვალსაჩინო ხდება ცვლილებები აგრარულ სისტემაში მიწის ფეოდალური გასაკუთრების შედეგად. ამან წარმოშვა მიწის ფეოდალური საკუთრების ახალი ფორმები, გამოიწვია საკუთრების ობიექტების გამიჯვნა სახელმწიფოსა და ცალკეულ ფეოდალებს შორის. ყველაფერი ეს ფეოდალურ ურთიერთობათა შემდგომი განვითარების ნაყოფი იყო. მიწის ფეოდალური საკუთრების ახალი ფორმების შესაბამისად გაძლიერდა გლეხთა დამოკიდებულება და ექსპლოატაცია, რამდენადაც გასაკუთრების ინიციატივა მიწისმფლობელებისაგან გამომდინარეობდა[2]. ესენი ამიერიდან მემკვიდრეობით გადასცემდნენ თავიანთ მიწებს, ყიდვის გზით ზრდიდნენ „მამულების" რაოდენობას და იქცეოდნენ მემამულეებად მკაფიოდ გამოხატული სეპარატისტული ტენდენციებით[3].

თურქული ფეოდალიზმი ყოველთვის იყო და არის ბალკანეთის და აღმ. ევროპის ქვეყნების მკვლევართა ინტენსიური შესწავლის საგანი. სპეციალურ გამოკვლევებთან ერთად ჩვენ „ოსმალობის" (ოსმალური სოციალ-პოლიტიკური სისტემის) დასახასიათებლად მოხმობილი გვაქვს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (ბულგარეთში, უნგრეთში) გამოქვეყნებული თურქული დოკუმენტური წყაროებიც[4].

გადავდივართ საკუთრივ სპარსული და ოსმალური დოკუმენტური წყაროების ზოგად დახასიათებაზე.

---

[1] Документы к истории аграрных отношений в Бухарском ханстве XVII—XIX вв., выпуск 1, Акты феодальной собственности на землю XVII—XIX вв., Ташкент, 1954. დოკუმენტების პუბლიკაციების და გამოკვლევების ბიბლიოგრაფია, იქვე, გვ. 230—232. იხ. აგრეთვე О. Д. Чехович, Бухарские поземельные акты XVI—XIX вв. Проблемы источниковедения, IV, М., 1955, გვ. 220—242. ბიბლიოგრაფია, გვ. 220, შენ. 1 და 221, შენ. 2.

[2] О. Д. Чехович, დასახ. ნაშრ., გვ. 241.

[3] იქვე, გვ. 241—242.

[4] Положението на българския народ под турско робство. Документи и материали. Составил и редактировал Николай Тодоров, София, 1955; L. Fekete, Die Siyaqat—Schrift in der turkischen Finanzverwaltung, Budapest, 1955.

სპარსული დოკუმენტური წყაროებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო იყო სათიულო, სასოიურღალო და სავაკუფო ფირმანები.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენამდე მოაღწია სპარსული საბუთების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილმა. საკუთრივ ირანში საბუთები დიდი რაოდენობით არ უნდა იყოს შემონახული. XVIII ს-ში ახლად გაბატონებული დინასტიები სპობდნენ სეფიანთა დროის საბუთებს. სახელმწიფო საბუთები ნადგურდებოდა გაუთავებელი ფეოდალური შინაომების მსვლელობაშიც. ამასთან წინარე პერიოდისაგან განსხვავებით XVI—XVII საუკუნეებისათვის არ არსებობს სპარსულ საბუთთა კრებულები. ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისია XVIII ს-ის ისტორიკოსის მირზა მეჰდი-ხან ასტრაბადელის „ინშა", რომელიც სპარსული ოფიციალური დოკუმენტების კრებულს წარმოადგენს.

მაგრამ დასახელებულ „ინშა"-ში მოთავსებულია მხოლოდ XVII ს-ის დამლევის და XVIII ს-ის პირველი ნახევრის სპარსული ფირმანები (შაჰ-ჰუსეინის, თამაზ II-ის, ნადირ-შაჰის), სავაკუფო სიგელები, მმართველების განწესების წიგნები, აგრეთვე დიპლომატიური მიმოწერა რუსეთთან და ოსმალეთთან, სხვადასხვა ხასიათის წერილები და სხვა. შემდგენელს მიზნად დაუსახავს სპარსული საბუთების და წერილების ნიმუშების მოტანა. ზოგიერთი მათგანის (ფირმანების, სავაკუფო სიგელების, მოხელეთა განაწესების წიგნების) მნიშვნელობა ფეოდალური ინსტიტუტების შესასწავლად აღნიშნული აქვს პროფ. ი. პეტრუშევსკის სპარსული დოკუმენტური წყაროების მიმოხილვაში[1].

რამდენადაც ვიცით, მირზა მეჰდი-ხან ასტრაბადელის „ინშა" XVII—XVIII სს. სპარსული საბუთების ერთადერთი ლითოგრაფიული გამოცემაა. დაბეჭდა იგი აკაჯან იბნ-მოჰამედ-რიზა თებრიზელმა თეირანში 1294 წ. ჰიჯრით. ცალკეული სპარსული საბუთები ქვეყნდებოდა ორიენტალისტურ ორგანოებში. ამათგან აღსანიშნავია ხანიკოვის[2], მინორსკის[3] და ლამბტონის[4] მიერ გამოცემული რამდე-

---

[1] И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 13 და იმავე გვერდის შენ. 2.

[2] Lettre de M. Khanykov a M. Dorn. Mélanges Asiatiques, 1875, t. III, Livre I. სპარსული ტექსტი, გვ., 71—74; ფრანგული თარგმანი, გვ. 64—76.

[3] V. Minorsky. A. Soyurghal of Qasim Aq. Qoyunlu. BSOS., vol. IX, part 4, Lond., 1939, გვ. 958—959.

[4] Ann K. S. Lambton, Two Safavid Soyurghals BSOS., vol. XIV, part 1, გვ. 44—54.

ნიმე სპარსული საბუთი. ზოგიერთი სპარსული საბუთი ჩართულია (მთლიანად) ამა თუ იმ ისტორიკოსის თხრობაში[1]. სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არ გვქონდა ზოგიერთი ახლად აღმოჩენილი და გამოქვეყნებული სპარსული საბუთი[2].

მიუხედავად იმისა, რომ სპარსული დიპლომატიკა ჯერ კიდევ არაა დაწერილი, სპარსული საბუთების გარკვეული რაოდენობა საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ სათიულო ფირმანის თუ ჰოქმის აგების წესი და მისი შემადგენელი ნაწილები. ეს კი შესაძლებელს ხდის საკუთრივ სპარსული საბუთები შევუდაროთ ამიერკავკასიის შესახებ სპარსულენოვან საბუთებს.

სეფიანთა დროინდელი სპარსული საბუთებით სარგებლობისას აუცილებელია მათი კრიტიკული გამოყენება, რადგან იქ მხოლოდ შაჰის ხელისუფლების ოფიციალური თვალსაზრისია აღბეჭდილი. საქმე ისაა, რომ შაჰის ფირმანი თიულდარს სთვლიდა მოხელედ და არა მფლობელად. ამიტომ პრაქტიკაში არსებული ფეოდალური სინამდვილის აღდგენა ხერხდება ადგილობრივი მმართველების ჰოქმების და ნარატიულ წყაროებში დაცული ცნობების საშუალებით[3]. თუ სპარსულ ფირმანებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება აუცილებელია ბეგლარბეგ-ხანების ფეოდალური უფლებების დასადგენად, ცხადია კიდევ უფრო კრიტიკულად უნდა შევხედოთ საქართველოს შესახებ დამოწმებულ იმ ცნობებს, რომლებშიაც ლაპარაკია ქართველი ფეოდალების თიულების და სოიურღალების შესახებ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ შაჰის ხელისუფლების ოფიციალური თვალსაზრისის რეალიზაცია განსაკუთრებით დამახასიათებელი ხდება აბას I-ის დროიდან მოკიდებული. ირანის ეს ენერგიული შაჰი აუქმებდა ფეოდალურ სამფლობელოებს (მულქ-ი მოურისებს), უერთებდა მათ შაჰის სახასოს და ზრდიდა სახელმწიფო მიწების ფონდს. წყაროებით დადასტურებული ფაქტია, სახელმწიფო მიწების ფონდის განუხრელი ზრდა აბას I-ის მემკვიდრეების დროს. ყველაფერი ეს მჭიდროდ იყო დაკავშირებული ცენტრალისტურ პოლიტიკასთან. აღნიშნული მოვლენა ჩვენთვის იმ მხრივაა საინტერესო, რომ

---

[1] **შერეფ-ნამე**, დასახ. გამოც., გვ. 376—378; **ფარს-ნამე-ინასირი**, სპარსული ტექსტის ლითოგრაფიული გამოც., თეირანი, 1318—1895, 81—82; **Silsilat-ul-Nassab**, Publications. „Jranschahr", № 6, Berlin, 1343.

[2] H. Roemer, Uber Urkunden zur Geschichte Agyptens und Persiens in islamischer Zeit. ZDMG, Bd. 107, H. 3, 1957, გვ. 519.

[3] И. П. Петрушевский Очерки..., გვ. 13—15.

აბას I საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციის საკითხს ორგანულად უკავშირებდა ქართული მიწისმფლობელობის გაუქმებას.

XVI ს-ის ამიერკავკასიის ქვეყნების (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო) სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის კარგ წყაროს წარმოადგენს შაჰ-თამაზ I-ის „თეზქერე". დოკუმენტურ სპარსულ წყაროებში მას იმის გამო ვათავსებთ,რომ იგი ფაქტიურად წარმოადგენს თამაზ I-ის სიტყვის ოქმს (ქითაბ-ი სუხან). 1561 წელს თამაზ I-მა ოსმალეთის ელჩებს თავისი შეხედულებები გააცნო ირან-ოსმალეთის პირველ ომზე, მის მსვლელობასა და შედეგებზე. ყველაფერი ეს ოქმის და დღიურის სახითაა ჩაწერილი, რის გამოც „თეზქერეს" მეორენაირად დღიურს (რუზნამეს) უწოდებენ.

თამაზ I-ის „თეზქერე"-ში ვრცლად არის საუბარი ამიერკავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ მდგომარეობაზე[1]. ოფიციალური თვალსაზრისისა და ტენდენციურობის მიუხედავად შაჰის თხრობაში გამჭვირვალედ მოჩანს ირანის აგრესიული პოლიტიკა ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ. შაჰი დაწვრილებით აღწერს იმ ზიანსა და გაპარტახებას, რაც ამ ქვეყნებს ირან-ოსმალეთის ომმა მიაყენა. საგულისხმო ცნობებია მასში დაცული ყიზილბაშური ტომების განსახლებისა და მოძრაობის შესახებ აღმ. ამიერკავკასიაში. ყიზილბაშ ამირების განწესებასთან დაკავშირებით მოტანილია საყურადღებო ცნობები თიულის ფეოდალურ ინსტიტუტზე. მეტად საინტერესოა ცნობა საქართველოში ერთ-ერთი ყიზილბაშური ტომის (ხასინ-ჩლუს) ჩამოსახლების თაობაზე, შაჰის ლაშქრობათა აღწერა საქართველოს წინააღმდეგ და ირანის მოლაპარაკება ოსმალეთთან 1555 წლის ახლო ხანში ზავის დასადებად.

„თეზქერეს" სპარსული ტექსტი რამდენჯერმე გამოიცა[2]. არსებობს მისი გერმანული თარგმანიც შესრულებული ჰორნის მიერ[3]. XVIII ს-ის დამლევს მოჰამედ-მეჰდი-იბნ ჰადი შირაზელმა „თეზქერეს" მთელი რიგი ადგილები თითქმის მთლიანად შეიტანა თავის „თარიხ-ი თაჰმასპიე"-ში („თაჰმასპის ისტორიაში"). ნაგვიანევი ხანის ეს ქრონიკა ჰორნის მიერ დაბეჭდილია როგორც „თეზქერეს"

---

[1] შაჰ-თამაზ I-ის „თეზქერე" როგორც წყარო ამიერკავკასიის ქვეყნების ისტორიისათვის სპეციალურად შეისწავლა ისტ. მეცნ. კანდიდატმა ჯ. ტაბატაძემ.

[2] მათლაა-აშ-შამს, ტ. II, თეირანი, 1855, გვ. 165—213; P. Horn, Deukwürdigkeiten des Schah Tahmasp I von Persien, ZDMG, Bd. 44, 1890, 563—649.

[3] ZDMG, Bd. 45, 1891, 245—291.

დამოუკიდებელი ვერსია. „თეზქერეს“ ერთ-ერთი ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში.

ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობათა შედარებითი შესწავლისათვის, როგორც აღვნიშნეთ, საყურადღებო ცნობების გამოკრება შეიძლება 1725 წელს შედგენილ „თაზქირათ ალ-მულუქიდან“. მსგავსი წყარო სპარსულად XVI—XVII საუკუნეებისათვის არ არსებობს.

„თაზქირათ ალ-მულუქ“ ნახევრად ოფიციოზური ხასიათის ძეგლია. ის შედგენილია როგორც ჩანს ავღანელ ხელისუფალთა დავალებით.

ანონიმური ავტორის თხზულებაში მოიპოვება უხვი ცნობები სეფიანთა ირანის სახელმწიფო წყობილების სურათის აღსადგენად, რადგან იგი „შეიცავს სპარსული ადმინისტრაციის სისტემატურ და საკმაოდ სრულ აღწერილობას“. საამისოდ საჭირო ცნობების გამოკრება ამ ძეგლის აღმოჩენამდე შეიძლებოდა მხოლოდ ევროპელ მოგზაურ-მისიონერთა (პიეტრო დელლა ვალლეს, რაფაელ დიუმანის, ჟან შარდენის, ენგელბერტ კემპფერის, სანსონის) თხზულებებიდან.

„თაზქირათ ალ-მულუქ“ ყურადღებას იქცევს სოციალურ-ეკონომიური და ადმინისტრაციული ტერმინოლოგიის სიუხვით. იქვე მოტანილია სტატისტიკური მასალები, ცნობები სახელმწიფო ბიუჯეტისა და შესავალ-გასავლის შესახებ, აღწერილია თიული, სოიურღალი, ჰამასალა და სხვა ფეოდალური ინსტიტუტები.

ახლა ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად უფგება „თაზქირათ ალ-მულუქ“-ი ოფიციოზურ სპარსულ დასტურლამალების შინაარსს. მაგრამ ერთი რამ ცხადია: ამგვარი ნაწარმოების შედგენა სათანადო წერილობითი წყაროების გარეშე შეუძლებელია. თვითონ ავტორი ბევრგან იმოწმებს თეთრბატკნიან თურქმანთა და, განსაკუთრებით, სეფიანი მბრძანებლების ინსტრუქციებს („დასტურ ალ-ამალებს“).

საინტერესოა, რომ „თაზქირათ ალ-მულუქ“-ის საგანგებო გაანაკვეთში, სადაც საუბარია ირანის ოლქების შემოსავალზე, ქართლი მოხსენებული არაა, სამაგიეროდ იხსენიება კახეთი, რომელიც XVII ს-ში ირანის სახანოდ იყო გადაქცეული და, როგორც ხარკის გადამხდელი, მიწერილი იყო ყარაბაღის საბეგლარბეგოზე[1]. იქვე ირანის შემადგენელ ნაწილებადაა გამოცხადებული ქართლი, კახე-

---

[1] **Tadhkirat al-muluk** გვ. 101.

თი და თბილისი[1]. დახასიათებულია ქართლის ვალის, როგორც ირანის ერთ-ერთი დიდ ამირთაგანის და მოხელის, უფლება-მოვალეობა[2].

საზოგადოდ „თაზქირათ ალ-მულუქ"-ში დამოწმებული ცნობების კრიტიკული ანალიზი გვეხმარება გავარკვიოთ საქართველოს ირანთან დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმის თავისებურება XVII ს-ში. ამის გარდა, ამავე ძეგლიდან არა ერთი ცნობის დამოწმება შეიძლება ყიზილბაშურ-ირანული ფეოდალური ინსტიტუტების დასახასიათებლად.

ოსმალური დოკუმენტური მასალებიდან გამოყენებულია „კანუნ-ნამეები" და „რისალეები" (აინიალი, კოჩიბეი გორიჯელი, სეიდ მუსტაფა, ოსმან ეფენდი და სხვ.). თუმცა საჭიროა აღინიშნოს, რომ მათ უმეტესობას შემოვლილი გზით ვიცნობთ (ბელენის, ტიშენდორფის, ბერნჰაუერის გამოკვლევებში მოხმობილი მასალების მიხედვით). „კანუნ-ნამეები" თურქული ფეოდალიზმის შესწავლის საუკეთესო წყაროებია.

გამოყენებული გვაქვს XVI—XVIII სს. თურქული ისტორიული საბუთებიც.

თურქული სახელმწიფო საბუთები (თურქული, სპარსული, არაბული) მოთავსებულია ფერიდუნ-ბეის „მუნშაათ-ი სალატინ"-ში. თურქული საბუთების ეს კრებული შედგენილია 1583 წელს. გამოიცა იგი ორ ტომად 1858 წელს სტამბოლში. პირველ ტომში მოთავსებულია საბუთები 1558 წლამდე, მეორეში —1558—1625 წლისა. ფერიდუნ-ბეის გარდაცვალების შემდეგ მისი საბუთების კრებულს უმატებდნენ ახალ საბუთებს. ამიტომ მასში მოხვდა XVII ს-ის პირველი მეოთხედის საბუთებიც. ამ საბუთებიდან ზოგი უშუალოდ საქართველოს ეხება. სულტნის ფირმანებში და წერილებში აღბეჭდილი ქართველი მეფე-მთავრების ტიტულაცია საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ ოსმალეთის ოფიციალური თვალსაზრისი საქართველოს სამეფო-სამთავროებთან დამოკიდებულების შესახებ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარს", როგორც პირველწყაროს. „ოსმალობა" სამცხე-საათაბაგოში ძირითადად ამ თურქული დოკუმენტური წყაროს მიხედვით არის დახასიათებული ჩვენს გამოკვლევაში. თურქულ წყაროებს შორის ამ მხრივ მას პირველი ადგილი უჭირავს. მასში

---

[1] Tadhkirat al-muluk გვ. 43—44.

[2] იქვე.

აღწერილია ოსმალთა ბატონობის ქვეშ მოქცეული ქართული მოსახლეობა და მიწა-წყალი. ამიტომ არც ერთ სხვა თურქულ თხზულებაში ისეთი რაოდენობით არ მოიპოვება შესადარებელი კონკრეტული მასალა, როგორიც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში". ოსმალების მიერ შემოღებული თურქული სოციალ-ეკონომიური და ადმინისტრაციული ტერმინოლოგია გასაგებსა ხდის „ოსმალობის" მთელ თავისებურებას სამცხე-საათაბაგოში. ამავე დროს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა თურქული ფეოდალიზმის შესასწავლად.

„დავთარი მუფასალ-ე ვილაეთე გურჯისტან" („გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი") დიდი ხანი არაა რაც შემოვიდა მეცნიერებაში. სრულიად შემთხვევით აღმოჩენილი მისი ხელნაწერი ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში (ხელნაწ. № 478). საქ. მუზეუმის თურქული ხელნაწერის და მისი შინაარსის შესახებ 1940 წელს მოკლე ცნობა გამოაქვეყნა ს. ჯიქიამ[1]. მანვე 1941 წელს გამოსცა „დავთრის" ქართული თარგმანი[2], ხოლო 1947 წელს თურქული ტექსტი[3].

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი" შედგენილია 1595 წელს. მაგრამ როგორც მისთვის წამძღვარებული „კანუნ-ნამეს" („კანონთა წიგნის") შინაარსიდან ირკვევა, არსებულა „ძველი დავთარიც", რომელიც 1578—1595 წლებს შორის უნდა ყოფილიყო შედგენილი. ყოველ შემთხვევაში, არა უადრეს 1587 წლისა, რადგან სწორედ ამ დროისათვის განამტკიცეს ოსმალებმა თავიანთი მდგომარეობა ათაბაგის ქვეყანაში.

„ახალ დავთარში" აღწერილია შემდეგი ქართული პროვინციები: სამცხე, ჯავახეთი, პალაკაციო, კოლა, არტაანი (მტკვრის ხეობა), ტაოს ნაწილი (ჭოროხის ხეობა), ბორჯომის ხეობა ტაშის-კარამდე — სოფ. ქვიშხეთამდე (ძველი ადმინისტრაციული დაყოფით: თბილისის გუბერნიის ახალციხის და ახალქალაქის მაზრები და ყარსის ოლქის არდაგანის და ოლთისის რაიონები). დავთარში არ შესულა ოსმალებისადმი დაქვემდებარებული ყველა ქართული

---

[1] С. С. Джикия, Турецкая рукопись Музея грузии. Пространный реестр Грузинского вилайета, „სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე", ტ. 1, № 6, გვ. 483—484.

[2] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი II, თურქული ტექსტის თარგმანი, თბ., 1941.

[3] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, თურქული ტექსტი, თბ., 1947.

პროვინცია. ეს ალბათ აიხსნება იმით, რომ სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილის გაოსმალებას სულტნის მთავრობა უკვე XVI ს-ის შუა წლებში შეუდგა. აღწერა უპირატესად შეეხო სამცხე-საათაბაგოს იმ ნაწილს, რომელიც 1555 წლის ამასიის ზავით ირანის გავლენის სფეროდ იყო მიჩნეული.

„დავთრის" გამომცემლის სიტყვით: „შინაარსის მიხედვით ძეგლი შეიძლება სამ მთავარ ნაწილად დაიყოს: ერთ ნაწილს (გვ. 1—6) შეადგენს „გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნი", ე. წ. „კანუნ-ნამე". ეს კანუნ-ნამე შედგება 21 თავისაგან და შეიცავს კანონებს მიწათმფლობელობის, მიწათსარგებლობისა და სხვადასხვა გადასახადისა და სოციალურ ფენათა ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. აქვე მოცემულია სისხლის სამართლის კანონები და წესები აღებ-მიცემის შესახებ. მეორე ნაწილში (გვ. 7—21 და 393—402) მოცემულია მაშინდელი ადმინისტრაციული დანაწილების მიხედვით გეოგრაფიულად დალაგებული სია დასახლებული და დაუსახლებელი იმ პუნქტებისა, რომლებიც გადასახადთა ობიექტს შეადგენენ. ამ მარტივ სიასთან ნაჩვენებია მოცემულ ობიექტზე შეწერილი გამოსაღების ჯამი (ახჩებში). ძეგლის მესამე და ძირითადი ნაწილი (გვ. 22—392 და 403—503) ყველაზე უფრო ვრცელია და მოცემული სოფლის გამოსაღებთა სახეობისა და მოსახლეობის შესახებ დეტალური ხასიათის მასალის შემცველია. ამავე ნაწილში ჰარბადაა წარმოდგენილი ისტორიულ-ეკონომიური თვალსაზრისით მეტად საყურადღებო მონაცემების შემცველი მინაწერები"[1].

ძეგლის მრავალრიცხოვანი მინაწერების შინაარსი ეხება წყლით სარგებლობის წესებს, სავაკუფო საქონელს, ვენახების ყოფილ და ახლანდელ მფლობელებს და მათზე დაწესებულ გადასახადებს, მთავარ სავაჭრო გზებს, გზების და ხიდების დაცვა-შესაკეთებლად გლეხების გამოყვანას და სხვ. მინაწერებში ვხვდებით კლასობრივი ბრძოლის გამომხატველ ცნობებსაც. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მინაწერი XVIII ს-ის დამლევით არის დათარიღებული. ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ „ოსმალობის" თანდათანობით გავრცელებას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, რასაც ორ საუკუნეზე მეტი დრო დასჭირდა.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი" იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ მისი შედგენა ემთხვევა „ოსმალობის" დასაწყისს

---

[1] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის II წიგნის წინასიტყვაობა, გვ. VIII.

პერიოდს, როცა ქართული ფეოდალური ურთიერთობა ჯერ კიდევ საკმაოდ მტკიცე იყო სამცხე-საათაბაგოში. აღნიშნული გარემოება აღბეჭდილია კიდეც „დავთრის“ კანონთა წიგნის სათანადო თავებში. საზოგადოდ დაპყრობილი ქვეყნის პირწმინდად გაძარცვის მიზნით ოსმალეთი მარჯვედ იყენებდა ადგილობრივ ფეოდალურ სისტემას და ახდენდა ადგილობრივი ფეოდალური ინსტიტუტების უნიფიცირებას შარიათის კანონმდებლობით. ქართული ფეოდალური წესების შეთავსება „ოსმალობასთან“ აშკარად ეტყობა გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის კანონ-ნამესაც. მისი თავების შინაარსი, ერთი მხრივ, შეიცავს ოსმალეთში მოქმედ კანონებს, ხოლო, მეორე მხრივ, გათვალისწინებულია ადგილობრივი პირობები[1]. მთლიანად კი ძეგლის შინაარსი „ოსმალობის“ მრავალ თავისებურებას გადმოსცემს ახლად დაპყრობილი ქვეყნის სინამდვილეში.

განსახილველი პრობლემისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვთ რუსულ და დას. ევროპულ დოკუმენტურ წყაროებს. ასეთია რუსი ელჩების დანასაქმები და მუხლობრივი აღწერილობანი, კათოლიკე მისიონერების რელაციონები, პოლიტიკური აგენტების მოხსენებითი ბარათები, საელჩოთა წევრების ვრცელი ჩანაწერები, მოგზაურობის და ნეგოციანტების წიგნები. XVI—XVII სს. განსაკუთრებით მდიდარი და მრავალფეროვანია ამგვარი ხასიათის თხზულებებით. რუსეთის და დას. ევროპის სახელმწიფოთა ელჩები, მოგზაურები, ვაჭრები მნიშვნელოვან მასალებს გვაწვდიან ამიერკავკასიის ქალაქებზე, ვაჭრობაზე და სხვ. ამ მასალების მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის აღნიშნული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს[2]. ამავე მასალებში შეიძლება დავძებნოთ ცნობები ფეოდალურ ურთიერთობათა შესასწავლად, ოღონდ, როგორც მართებულად შენიშნავს პროფ. ი. პეტრუშევსკი, აღმოსავლურ წყაროებთან შეჯერების და კრიტიკულად გამოყენების პირობით[3]. ამასთან საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ ევროპელ მოგზაურთა ცნობები ფეოდალური მიწისმფლობელობის, ფეოდალური ურთიერთობის და გლეხთა მდგომარეობის შესახებ ფრაგმენტალური ხასიათის მატარებელი არიან.

XVI ს-ის დამდეგიდან მოკიდებული რუსეთი ინტენსიურად სწავლობდა კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნების

---

[1] ქართული თარგმნის წინასიტყვაობა, გვ. XIV.

[2] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბილისი, 1930, გვ. 118—128.

[3] И. П. П е т р у ш е в с к и й, Очерки..., გვ. 54—55.

პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას. სრულიად გარკვეულ პოლიტიკურ და ეკონომიურ მიზნებს უკავშირებდა რუსეთი, კერძოდ, კავკასიის გულდასმით შესწავლას[1]. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ რუსულ წყაროებში ასახულიყო XVI—XVII სს. საქართველოს სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება, აგრეთვე მისი ურთიერთობის ხასიათი ირანთან და ოსმალეთთან. საამისო ცნობები საკმაოდ უხვად მოიპოვება ბელოკუროვის[2], ვესელოვსკისა[3] და პოლიევკტოვის[4] პუბლიკაციებში[5].

ინტენსიურად სწავლობდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებს დას. ევროპის სავაჭრო კაპიტალის აგენტებიც. მახლობელ აღმოსავლეთში გავლით ან რეზიდენტად მყოფ თითქმის უკლებლივ ყველა ევროპელს, ვისაც კი აღმოსავლეთზე რამე დაუწერია, მოეპოვება ცნობები საქართველოს შესახებაც. ირან-ოსმალეთის მეტოქეობის მთავარ ობიექტს ამიერკავკასიაში და მათი გაუთავებელი ომების ასპარეზს არ შეიძლებოდა არ მიექცია დას. ევროპის პოლიტიკური აგენტების უურადღება. ამასთან საქართველო მათ აინტერესებდათ გარკვეული სავაჭრო და ეკონომიური მიზნითაც. საქმე ისაა, რომ XVI—XVII სს. სახმელეთო გზების ძიებისას საქართველო გათვალისწინებული იყო როგორც მარჯვე და უმოკლესი გზა აღმოსავლეთის ქვეყნებთან დასაკავშირებლად.

XVI—XVII საუკუნეებისათვის არსებობს ისეთი ევროპული თხზულებებიც, რომელთა შინაარსის ძირითადი ნაწილი საქართველოს პოლიტიკური ვითარების აღწერილობას შეიცავს (ტომაზო მინადოი, პიეტრო დელლა ვალლე).

საჭიროა აღინიშნოს, რომ დას. ევროპელ მოგზაურთა თხზულებები უპირატესად საქართველოს ირანთან დამოკიდებულების

---

[1] М. А. Полиевктов, Экономические и политические разведки Московского государства в XVII в. на Кавказе, Тбилиси, 1932.

[2] С. А. Белокуров, Сношения России с Кавказом, вып. I (1578—1613 гг.), М., 1889.

[3] Н. И. Веселовский, Памятники дипломатических и торговых отношений Московской Руси с Персией, тт. I-III, СПб, 1890—1898.

[4] Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615—1640 гг. Документы к печати подготовил и предисл. снабдил М. Полиевктов, Тб., 1937. М. А. Полиевктов, Посольство князя Мышецкого и дьяка Ключарева в Кахетию 1640—1643 гг., Тб., 1937, მისივე, Посольство стольника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию 1650—1652 гг., Тб., 1926.

[5] ვსარგებლობდით აგრეთვე აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილების გამოუქვეყნებელი მასალებით.

პოლიტიკური ფორმის ზოგიერთი მხარის გამოსარკვევად გვაქვს გათვალისწინებულ-გამოყენებული. ევროპელი ავტორები უფრო მეტად მახლობელ აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობით და ეკონომიური მდგომარეობით (სავაჭრო გზები, ქალაქები, ვაჭრობა, მეურნეობის დარგები...) იყვნენ დაინტერესებული. ამიტომ მათ თხზულებებში მეტწილად პოლიტიკური ხასიათის და ეკონომიური ცხოვრების ამსახველი ფაქტებია მოტანილი[1]. მხოლოდ ზოგიერთი მათგანი (ადამ ოლეარი, რაფაელ დიუ მანი, შარდენი, კემპფერი) უთმობს ვრცელ ადგილს ფეოდალური ორგანიზაციის (აგრარული სისტემა, სოციალური სტრუქტურა, სახელმწიფო წყობილება...) აღწერას. მაგრამ ამგვარ თხზულებათა ცნობების მნიშვნელობა საგრძნობლად შემცირდა სპარსული დოკუმენტური წყაროების აღმოჩენისა და გამოქვეყნების შემდეგ. კიდევ უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვთ დას. ევროპულ თხზულებებს თურქული ფეოდალიზმის შესასწავლად, რადგან XVI—XVII საუკუნეებისათვის, ირანისაგან განსხვავებით, დიდი რაოდენობით არსებობს თურქული კანონ-ნამეები და რისალეები.

განსახილველი პრობლემის ძირითადი საკითხები (ფეოდალური მიწისმფლობელობა, ფეოდალური ურთიერთობა და გლეხთა მდგომარეობა) წინამდებარე გამოკვლევაში დაფუძნებულია ქართულ და აღმოსავლურ დოკუმენტურ წყაროებზე. ნარატიული წყაროებიდან კი სოციალურ-ეკონომიური ვითარების დასახასიათებლად გამოკრებილია ის, რის გამოკრებაც შესაძლებელი იყო ფეოდალური ხანის ისტორიოგრაფიიდან.

---

[1] დაწვრილებით ევროპელი მოგზაურების შესახებ. იხ. М. А. Полиевктов, Европейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу, Тб., 1935.

თავი მეორე

საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთი

I. საქართველო XVI საუკუნეში

XV საუკუნის დამლევისათვის ფეოდალური საქართველო საბოლოოდ დაიშალა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად. მაგრამ საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის სათავე საძიებელია XIII—XIV სს. სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის მოვლენებში.

XIII—XIV საუკუნეებისათვის დამახასიათებელი საშინაო და საგარეო მოვლენების ურთიერთმოქმედების წყალობით ქვეყნის გამაერთიანებელი ძალები სუსტდებოდნენ, ხოლო დამრღვევ ძალთა უპირატესობა სულ უფრო და უფრო აშკარა ხდებოდა. „ეს იყო ნელი, თანდათანი და ხანგრძლივი პროცესი. XV საუკუნის დასასრული ამ პროცესის ქრონოლოგიური ტეხილია, როცა უდავო შეიქმნა დამრღვევ ძალთა უპირატესობა გამაერთიანებელ ძალებთან შედარებით. არსებითად აქ არის ამ პროცესის დასასრული"[1].

ფეოდალური საქართველოს ისტორიის ამ რთულსა და დღემდე ზოგად ხაზებში შესწავლილ საკითხს მეცნიერული ახსნა მოუძებნა მხოლოდ მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებულმა ქართულმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ.

საქართველოს როგორც პოლიტიკური გაერთიანება (ფეოდალური გაგებით), ისე დაშლილობა ქართულმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ დაუკავშირა სამეურნეო პირობებს, ქვეყნის ეკონომიურ განვითარებასა და დაქვეითებას.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, XV საუკუნის საქართველოს ფეოდალურ ურთიერთობიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის 1937, ნაკვ. I, გვ. 29.

თუ ეკონომიური პროგრესი და სამეურნეო აღმავლობა გარკვეულ პერიოდში საფუძველს უქმნის (თუმც არა მტკიცეს) ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას, ეკონომიური რეგრესი და სამეურნეო დეგრადაცია აპირობებს საქართველოს პოლიტიკურ დაშლილობას, ცენტრალური ხელისუფლების უკიდურესად დასუსტებას, აძლიერებს ქვეყნის საფეოდალოებად დანაწევრების პროცესს. ეკონომიური გათიშულობა საფუძველს უქმნის შესაბამისი პოლიტიკური ორგანიზაციის (სამეფო, სამთავრო, სათავადო...) არსებობას.

ნ. ბერძენიშვილის ნაშრომებში ნაჩვენებია XIII—XIV სს. საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის პოლიტიკური შედეგები. მას აღნიშნული აქვს, რომ ეკონომიური რეგრესის და სამეურნეო დეგრადაციის ნიადაგზე სათავადოები წარმოიშვა, ხოლო სათავადოების ნიადაგზე ერთიანი ქვეყანა პოლიტიკურად დაიშალა[1].

ქვეყნის ეკონომიურ დაცემა-დაქვეითებას და ამის შესაბამისად პარტიკულარისტული ტენდენციების გაძლიერებას ნ. ბერძენიშვილი ორგანულად უკავშირებს საგარეო ძალების ზემოქმედებას (მონღოლები, თემურ-ლენგი, თურქმანები...).

ფეოდალური მეურნეობის განვითარებას XIII—XIV სს. საქართველოში მონღოლებმა უდიდესი საფრთხე შეუქმნეს. მონღოლთა ბატონობის ხანაში იწყება საქართველოს ეკონომიური დაქვეითება, რომლის გაღრმავებამ მომდევნო ხანაში თანდათან ნიადაგი შეუმზადა ქვეყნის პოლიტიკურ დაშლას. ასე რომ ამ მხრივ, რა თქმა უნდა, მთავარი იყო არა XIII საუკუნის 50-იან წლებში მონღოლების მიერ ორმეფობის შემოღება, არამედ მონღოლთა ბატონობა და ამ ბატონობის ეკონომიური შედეგები.

სოფლის მეურნეობის დაქვეითება („ნაოხარ"-„პარტახტის" გამრავლება), სოფლის მეურნეობის ტექნიკის ერთ წერტილზე გაყინვა, ქალაქების დაღარიბება, ვაჭრობა-ხელოსნობის დაცემა, მწარმოებელი კლასის მკვეთრი შემცირება მკაფიო გამოვლინებას პოულობენ ქვეყნის საერთო ეკონომიურ ვითარებაში და საქართველოს პოლიტიკური დაშლილობაც მხოლოდ დროის საკითხს წარმოადგენდა.

თუ პოლიტიკურ კრიზისს XIII ს-ის საქართველოში მონღოლთა შემოსევამ მოუსწრო, საქართველოს პოლიტიკურ დაშლილობას (XV ს-ის დასასრულს) დაემთხვა ოსმალეთის სამხედრო-ფეორალუ-

---

1 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი", № 6, 1954, გვ. 127.

რი სახელმწიფოს გაძლიერება და სეფიანთა სახელმწიფოს წარმოქმნა (XVI ს-ის დამდეგს). ასე რომ ფაქტიურად XVI ს-ში შეიკრა საქართველოს მტრული სახელმწიფოებით გარემოცვის რკალი.

ამრიგად, XVI ს-ის დამდეგისათვის საქართველოს პოლიტიკური დაშლილობა მომხდარი ფაქტია. მაგრამ შინაგანი მოვლენების განვითარების შედეგად მიღებულ დაშლილობას კიდეე უფრო მეტად აღრმავებენ უკიდურესად გაუარესებული საგარეო პირობები.

საქართველოს ფეოდალურ დანაწევრებას ეხმარებიან (ობიექტურად) ყიზილბაშთა და ოსმალთა შემოსევები. მაგრამ არა მარტო ობიექტურად, არამედ სუბიექტურადაც უცხო დამპყრობლები ქვეყნის დაყოფის საქმეში მთელი თავიანთი ძალებით გამოდიან ფეოდალების მოკავშირეებად. არც ირანელებისათვის და არც ოსმალებისათვის პოლიტიკურად სასარგებლო არ იყო ძლიერი ცენტრის არსებობა შორეულ ამიერკავკასიაში, და თავიანთი ინტერესების უზრუნველსაყოფად აუცილებელ საჭიროებად სთვლიდნენ ფეოდალური დაშლილობის შენარჩუნებას[1]. საამისოდ ყიზილბაშები და ოსმალები ფიზიკურ საშუალებებთან ერთად (ომი, რბევა-თარეში...) მარჯვედ იყენებდნენ თითოეული ქართული სამეფოს პოლიტიკურ სტრუქტურას, აქ არსებულ სოციალურ ურთიერთობას[2].

ამიერიდან ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ძალების ცდები საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმეში შინაგანი ფეოდალური რეაქციის და მისი ბუნებრივი მოკავშირის, გარეშე მტრების, გადაულახველ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

XVI ს-ის მთელს მანძილზე სეფიანთა სახელმწიფო საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან უტევდა, ოსმალეთი სამხრეთ-დასავლეთიდან.

XVI ს-ის შუახანიდან ქართველი ხალხი მარტო უმკლავდებოდა ყიზილბაშებს, ოსმალებს. 1538 წელს ყიზილბაშებმა შირვანი დაიპყრეს, 1551 წელს შაქი. შირვანი და შაქი სეფიანთა სახელმწიფოს შემადგენელ პროვინციებად იქცნენ. სომხეთში კი ისინი ადრევე გაბატონდნენ. სომხეთის დასავლეთი ნაწილი ოსმალებს ეპყრათ, აღმოსავლეთი ყიზილბაშებს.

აკად. ივ. ჯავახიშვილს საგანგებოდ აქვს ხაზგასმული, თუ როგორ გააუარესა პოლიტიკურმა ცვლილებებმა აღმ. ამიერკავკასიაში

---

[1] Н. А. Бердзенишвили, Очерки..., გვ. 55

[2] იქვე, გვ. 26.

საქართველოს მდგომარეობა[1]. ამიერკავკასიაში ქრისტიანი თუ მუსლიმანი სახელმწიფოების გაქრობას არა მარტო პოლიტიკური, არამედ დიდი ეკონომიური მნიშვნელობაც ჰქონდა. აზერბაიჯანის და სომხეთის მოსახლეობა უძველესი დროიდან ინტენსიურ მიწისმოქმედებას მისდევდა. განვითარებულ სამიწათმოქმედო ქვეყნებში დამპყრობლები „ყიზილბაშური წესების" გავრცელებას, მათს სწრაფ გაყიზილბაშებას შეუდგნენ. აზერბაიჯანსა და სომხეთში მრავლად გაჩნდნენ ყიზილბაშური ტომები, ხოლო აქაური ფეოდალების მიწები ყიზილბაშმა ამირებმა დაისაკუთრეს.

აღმ. ამიერკავკასიაში გაბატონდა ყიზილბაშურ-ირანული ფეოდალური მიწისმფლობელობა. ამის პირდაპირი შედეგი იყო ის, რომ XVI საუკუნისათვის აზერბაიჯანსა და სომხეთში ჩამოყალიბდა მსგავსი ფეოდალური ურთიერთობანი[2]. ამიერკავკასიის დასახელებულ ქვეყნებში (სახანოებში) ფეოდალთა კლასის მთავარი და წამყვანი ჯგუფი ამიერიდან ყიზილბაშური სამხედრო-ნომადური არისტოკრატია იყო, ხოლო გლეხთა ექსპლოატაციის მთავარ ფორმად ფეოდალური ექსპლოატაციის „აღმოსავლური ფორმა" (ფ. ენგელსი) იქცა.

ამრიგად, საქართველო საკუთრივ ამიერკავკასიაში მისთვის უცხო და მიუღებელი აღმოსავლური ფეოდალური ინსტიტუტების გარემოცვაში აღმოჩნდა.

XVI ს-ის შუა წლებისათვის „საქართველოები" (ქართული ფეოდალური სამეფო-სამთავროები) მთელს ამიერკავკასიაში ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც არც „ყიზილბაშობა" იყო, არც „ოსმალობა". მაგრამ როგორც ერთის, ისე მეორის გავრცელების საფრთხე საქართველოს აგრესიული სახელმწიფოებით გარემოცვის პირობებში მუდმივად არსებობდა. საქართველო კი XVI ს-ში ყოველმხრივ მტრებშემორტყმული ქვეყანა იყო. „საქართველო ასეთი უმეზობლო, ასე მტრებშემოცვული არასოდეს ყოფილა"—სამართლიანად შენიშნავს ნ. ბერძენიშვილი[3].

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 154—155.

[2] И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX вв., Л., 1949, гг. 64-66.

[3] ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, 1944, გვ. 47.

ადვილად გასაგებია, თუ ასეთ ვითარებაში რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა საქართველოსათვის (და ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებისათვის) რუსეთის მიერ ყაზანისა და ასტრახანის დაპყრობას, როცა მდ. ვოლგის აუზში თათარ-მონღოლთა ბატონობა რუსეთის სახელმწიფოს მფლობელობით შეიცვალა. საქართველოს ჩრდილოაღმოსავლეთით მოირღვა ნომადური კედელი, რუსეთი იმიერკავკასიას მოუახლოვდა.

ასტრახანის რუსეთთან შეერთების ეკონომიური და პოლიტიკური შედეგები უკვე XVI ს-ის 60-იან წლებში გამოჩნდა (ვაჭრობის გაცხოველება აღმ. ამიერკავკასიის ქალაქებში, კახეთის ურთიერთობის განახლება რუსეთთან). იმავე საუკუნის 70-იან წლებში რუსეთმა გააქტიურა თავისი პოლიტიკა იმიერკავკასიის მიმართ, ხოლო 80-იან წლებში აქ იგი მკვეთრად დაუპირისპირდა ოსმალეთს, რომელიც დაჟინებით ცდილობდა თავისი ბატონობის გავრცელებას იმიერკავკასიის ხალხებზე და ტომებზე.

რუსეთის გამოსვლის მნიშვნელობა კავკასიის და მახლობელ აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობის ასპარეზზე იმთავითვე სწორად შეაფასეს იმდროინდელი ამიერკავკასიის ქვეყნებში. ყაზანის და ასტრახანის თათრული სახანოების გაუქმებამ დიდი გამოძახილი ჰპოვა მახლობელი აღმოსავლეთის აგრესიულ სახელმწიფოებშიც. ამას მოწმობენ თანამედროვე აღმოსავლურ წყაროებში დაცული ცნობები[1].

რუსეთის სახელმწიფოს მიერ ვოლგის აუზის გაერთიანების ეკონომიური შედეგები კარგადაა ცნობილი: «Во второй половине XVI века Волга стала главной торговой магистралью, связывавшей Россию с рынками Востока и соединявшей вместе с тем государства Востока и Запада»[2]

რუსმა ვაჭრებმა გააცხოველეს სავაჭრო ურთიერთობა შუა აზიასთან, ირანთან. თავის მხრივ ოსმალეთის სავაჭრო გზებზე დამოკიდებული ირანი დაინტერესებული იყო ვოლგის სავაჭრო მაგისტრალის გამოყენებით, რადგან ამით ოსმალეთს მნიშვნელოვანი საბაჟო შემოსავალი აკლდებოდა.

---

[1] ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XV—XVII სს.), მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1955, გვ. 69—70.

[2] М. Ф. Фехнер, Торговля Русского государства со странами Востока в XVI веке, М., 1952, გვ. 22.

მაგრამ ამავე დროს ირანს რუსეთთან დაახლოება სხვა მოსაზრებითაც სჭირდებოდა. მან დაუყოვნებლივ გამოიყენა ახალი ფაქტორი მახლობელ აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობაში ოსმალეთთან მეტოქეობაში: «Что же касается Ирана, который вел тогда ожесточенную борьбу с Турцией, то его толкали на сближение с Россией, помимо экономических причин, еще и политические соображения: Иран рассматривал Россию как возможного союзника в борьбе с Турцией»[1].

საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ყაზანის რუსეთის სახელმწიფოსთან შეერთებას და რუსეთის ასტრახანის მიმართულებით მოქმედებას, სხვა მნიშვნელოვან და კარგად ცნობილ მიზეზებთან ერთად, უნდა დაეჩქარებინა ირან-ოსმალეთის ომის შეწყვეტა და 1555 წელს ზავის დადება ამასიაში.

ყაზანის დაკავებას და ასტრახანიდან რუსეთის მთავრობის ბიერ იაღმურჩ ხანის გაძევებას ოსმალეთმა უპასუხა აქტიური შეტევითი პოლიტიკის განვითარებით 1554 წელს[2]. ოსმალეთი ჩქარობდა ამიერკავკასიის დაპყრობას და ჩრდილოეთ აზერბაიჯანიდან იმიერკავკასიაში შეეჭრა. შექმნილ ვითარებაში ირანს მარჯვედ უნდა გამოეყენებინა რუსეთთან შესაძლებელი სამხედრო კავშირის მუქარა, როგორც ოსმალეთზე დიპლომატიური ზემოქმედების ღონისძიება. ამის თქმის საბაბს გვაძლევს არა მარტო 90-იანი წლების ანალოგიური მოვლენები, არამედ ირანის პოლიტიკური დემარშებიც XVI ს-ის შუა წლებში.

საინტერესოა, რომ შირვანის ბეგლარბეგის (შაჰის მოხელის) საგანგებო ელჩობა, რომელსაც, ჩანს, სავაჭრო ურთიერთობის მო-

---

[1] М. В. Фехнер, დას. ნაშრ., გვ. 7; თუმც, როგორც ცნობილია, კახეთის (და მთლიანად საქართველოს) საკითხში ირანისათვის რუსეთი ისევე მიუღებელი იყო როგორც ოსმალეთი იმავე ამიერკავკასიაში (ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე, გვ. 69). მაგრამ ამავე დროს კახეთის გამო წინააღმდეგობათა შესუსტება ირან-რუსეთის ურთიერთობაში მახლობელ აღმოსავლეთის საერთაშორისო ვითარებაზე იყო დამოკიდებული (იქვე, გვ. 64—65, 69). ცნობილია, რომ შაჰ-თამაზმა (1524—1576) მხოლოდ 1571 წელს მოსთხოვა კახეთს რუსი მეციხოვნეების დათხოვნა. უფრო გვიან (ირან-ოსმალეთის მეორე ომში ოსმალეთის სამხედრო წარმატების პირობებში), ირანი დიპლომატიურად ითმენდა რუსეთ-კახეთის ურთიერთობას.

[2] Е. Н. Кушева, Политика Русского государства на Северном Кавказе в 1552—1572 гг., Исторические записки, кн. 34, გვ. 245.

წესრიგება ევალება, 1554 წელს იმყოფება მოსკოვში ივანე მრისხანის კარზე. ამ ელჩობის პოლიტიკური მოტივები ჩვენთვის უცნობია, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ ირანის რუსეთთან ურთიერთობა ეკონომიურ მიზეზებთან ერთად სრულიად გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებითაც იყო შეპირობებული. ამის გარდა, სავაჭრო ურთიერთობა მჭიდროდ უკავშირდებოდა პოლიტიკურ საკითხებს. ცნობილია, რომ XVI ს-ის მეორე ნახევარში ოსმალეთი დაჟინებით ცდილობდა ვოლგის სავაჭრო მაგისტრალის გადაჭრას, რათა შეენარჩუნებინა აზია-ევროპის ვაჭრობის მონოპოლია (თანაბრად მიუღებელი როგორც რუსეთისათვის, ისე ირანისათვის). საამისო ღონისძიებები (ვოლგა-დონის შეერთების განზრახვა ოსმალური ხომალდების კასპიის ზღვაში გასაყვანად, ყირიმის ხანის თარეშები იმიერკავკასიაში, ოსმალეთის ლაშქრობა ასტრახანზე 1569 წელს და სხვ.) ირანის წინააღმდეგაც იყო მიმართული, რადგან იმიერკავკასიაში სამხედრო-პოლიტიკური წარმატება ოსმალეთს შესაძლებლობას მისცემდა ირანისათვის ზურგიდან მოევლო და დაეკრა მისთვის.

რუსეთთან ირანის ურთიერთობის მნიშვნელობის გამხაზველი არაპირდაპირი ჩვენება მოიპოვება თვითონ შაჰ-თამაზ I-ის „თეზქერეში". 1562 წელს შაჰი ხონთქრის ელჩებს მოაგონებდა, რომ მან არ დაუშვა ოსმალო უფლისწულის (ბაიაზეთის) რუსეთში (ასტრახანს) გაქცევა. ბაიაზეთი კი მისი სიტყვით რუსეთის ოსმალეთის წინააღმდეგ გამოყენებას აპირებდა[1]. ჩვენთვის საინტერესოა შაჰის სიტყვაში დიპლომატიურად ხაზგასმული გარემოება, რომ რუსეთი სერიოზული ძალაა და რომ შეიძლება მისი გამოყენება ოსმალეთის წინააღმდეგ. ამას შაჰი ამბობდა ირან-ოსმალეთის ომის შესაძლებელი განახლების ვითარებაში (კონფლიქტი ბაიაზეთის ოსმალეთიდან ირანში გამოქცევასთან იყო დაკავშირებული). ცხადია, ირანის რუსეთთან ურთიერთობის არგუმენტი შაჰს კიდევ უფრო დემონსტრაციულად უნდა გამოეყენებინა ირან-ოსმალეთის ომის მსვლელობაში 1552—1555 წლებში.

ღსანიშნავია ისიც, რომ ყაზანის სახანოს გაუქმება სწორედ იმ დროს მოხდა, როცა ირანთან გახანგრძლივებული ომი აშკარა უკმაყოფილების წყაროდ იყო ქცეული საკუთრივ ოსმალეთში. ამასთან

[1] Horn, Die Denkwürdigkeiten des sah Tahmasp von Persien, ZDMG, Bd. 44, 1890.

რუსეთი ახლა უკვე ასტრახანისაკენ მოიწევდა და იმიერკავკასიაში შემოსვლას აპირებდა.>

<ასეთ ვითარებაში ხონთქარს ირანთან გაჭიანურებული ომის (1534 წელს რომ დაიწყო) გაგრძელება არ შეეძლო. ომით მძიმედ დაზარალებულ ირანს კი თავის მხრივ კიდევ უფრო მეტად სწყუროდა ზავი.>

<ყველა ამასთან ერთად მრავალწლოვანმა გამოცდილებამ ორთავე აგრესორი დაარწმუნა, რომ ამიერკავკასიის დასაპყრობად მხოლოდ ფიზიკური საშუალებების გამოყენება საკმარისი არ იყო. აქაური ხალხები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ დამპყრობლებს (აჯანყებები შირვანში, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის). თანაც ისინი საკმაოდ მარჯვედ იყენებდნენ დამპყრობელთა შორის არსებულ წინააღმდეგობებს. ამიტომ აგრესორთა შეთანხმება ამიერკავკასიის დასაპყრობად აუცილებელი იყო. საამისოდ კი საჭირო იყო ამიერკავკასიის ქვეყნების გათიშვა, ფეოდალური დაშლილობის კიდევ უფრო მეტად გაღრმავება. დამპყრობელთა ეს განზრახვა აღიბეჭდა ირან-ოსმალეთის 1555 წლის სამშვიდობო ხელშეკრულების პირობებში. ამ ზავმა დააკანონა საქართველოს პოლიტიკური დაშლილობა.>

<ირან-ოსმალეთის სამშვიდობო ხელშეკრულება დიდი ქალაქ ამასიაში 1555 წლის 22 მაისს. მას წინ უძღოდა ინტენსიური დიპლომატიური მოლაპარაკება> თვითონ ხელშეკრულების ტექსტს ჩვენამდე არ მოუღწევია ან ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა. მაგრამ როგორც მოლაპარაკების მსვლელობაში წამოყენებული, ისე ზავის შეთანხმებული პირობების გათვალისწინება ხერხდება თანამედროვე აღმოსავლური და ევროპული წყაროების მიხედვით[1].

<ამასის ზავის ძალით ირანმა და ოსმალეთმა გაინაწილეს ამიერკავკასიის ქვეყნები. მათ შუაზე გაპყვეს საქართველოც. დას. საქართველო ოსმალეთს ერგო, აღმ. საქართველო — ირანს.>

თურქეთის არქივში აღმოჩენილი და უნგრელი მეცნიერის ლ. ფეკეტეს მიერ გამოქვეყნებული სპარსული წერილებით ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ მოლაპარაკების მსვლელობაში (1554 წელს) განსაკუთრებული სიმწვავით იდგა „გურჯისტანის საკი-

---

[1] ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიციები XVI—XVII სს.), მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, გვ. 66—68; ვ. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 335.

თხი“. წერილები (ირანის დიდმოხელეების ხელის მოწერით) გაგზავნილი იყო არზრუმის ფაშის აიასის მისამართით. ავტორები სევინ-დიკ-ბეგი და უსტაჯლუ შაჰყულე ბ. ჰამზა, ცდილობენ შექმნან სამშვიდობო განწყობილება ოსმალეთში. ისინი მოითხოვენ აღკვეთილი იქნას ისეთი მდგომარეობა, რაც ქართლისა და იმერეთის მეფეებს საშუალებას აძლევს ისარგებლონ ორი მეტოქე მუსლიმანური სახელმწიფოს უთანხმოებით და წინააღმდეგობით. ზავის პირობად წერილის ავტორები აყენებენ „გურჯისტანის საკითხის“ ისეთნაირად გადაჭრას, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს ომი[1].

ამასიის ზავმა შეწყვიტა ირან-ოსმალეთის მრავალწლოვანი ომი. მასში აისახა ამ ომის პოლიტიკური და სამხედრო შედეგები ამიერკავკასიასა და ერაყ-ლურისტანში.

ირან-ოსმალეთის ორმოცდაათწლოვანი ომის შედეგი იყო: ყიზილბაშთა მიერ აღმ. ამიერკავკასიის სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია (ერევანი, განჯა, ყაზახი, შამშადილო, შაქი და შირვანი...) საბეგლარბეგოების და სახანოების საფუძველზე, რაც მიმართული იყო როგორც ადგილობრივი ხალხების, ისე უშუალოდ საქართველოს წინააღმდეგ; ოსმალეთის მიერ მესხეთის დასავლეთი ნაწილის ოსმალურ სანჯაყებად გადაქცევა, მისი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია „ოსმალობის“ საფუძველზე.

მაგრამ დამპყრობელ-მიმტაცებლებს ჯერ ისევ დასაპყრობი ჰქონდათ საქართველოს უდიდესი ნაწილი. ეს კი მათს ბატონობას საეჭვოს ხდიდა აღმ. ამიერკავკასიაში და მესხეთის დასავლეთ ნაწილში. ირანის თუ ოსმალეთის კავკასიაში გაბატონების საწინდარი საქართველოს დაპყრობა იყო. ამიტომ საქართველოს დაპყრობა-შემომტაცებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ირანისა და ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკის განხორციელებაში.

საქართველოს დაპყრობის გასაადვილებლად საჭირო იყო ფეოდალური დაშლილობის შენარჩუნება, რისთვისაც აუცილებელი იყო დამოკიდებულების განსაკუთრებული ფორმის დამყარება თითოეულ სამეფო-სამთავროსთან (ზოგან მოხარკეობა, ზოგან აშკარა დაპყრობა...). ამგვარი საშუალებით ისინი ადვილად იპოვნიდნენ მოკავშირეებს ადგილობრივ ფეოდალებში.

ირან-ოსმალეთის 1555 წლის სამშვიდობო ხელშეკრულების ერთი მთავარი დიპლომატიური ფორმულა იყო: ი რ ა ნ ი ს ც ნ ო ბ ს

---

[1] L. F e k e t e, Zur Geschichte der Grusiner des 16. Jahrhunderts, Acta Orien. Hung. T. I, fasc, I, Separatum 93—133.

ოსმალეთის უფლებას დ.ას. საქართველოზე, ოსმალეთი სცნობს ირანის უფლებას აღმ. საქართველოზე, ხოლო მესხეთი გავლენის სფეროებადაა განაწილებული. დამახასიათებელია, რომ დამპყრობლები სცნობდნენ მოპირდაპირე მხარის მიერ მიღწეულ წარმატებებს (აღმ. ამიერკავკასიაში, მესხეთის დასავლეთ ნაწილში), მაგრამ ფაქტიურად ინაწილებდნენ იმას, რაც ჯერ ისევ დასაპყრობი და მისატაცებელი იყო.

ამასიას ზავი ძირითადად ადასტურებდა ირან-ოსმალეთის პირველი ომის (1514—1555 წწ.) შედეგებს და 1555 წლისათვის მიღწეულ სამხედრო წარმატებებს (ირანის და ოსმალეთის ჯარების მიერ დაკავებული ტერიტორიების მიხედვით). მაგრამ ირანისათვის სასურველი არ იყო ოსმალეთის გაბატონება-განმტკიცება მესხეთის დასავლეთ ნაწილში, ასევე ოსმალეთისათვის სასურველი არ იყო ირანის აბრეშუმით მდიდარ შირვანში და აღმ. ამიერკავკასიაზე გამავალ სავაჭრო გზაზე გაბატონება.

ყიზილბაშთა სახელმწიფოსათვის მესხეთის დასავლეთი ნაწილი ის კარი იყო, რომლის შემორღვევა ოსმალეთს ყოველთვის შეეძლო. აბრეშუმით მდიდარი შირვანი კი, მის მახლობლად გამავალი სავაჭრო-საქარავნო გზით, ოსმალეთისათვის მეტად მიმზიდველი იყო და ასე ჩანდა, ის მასზე ადვილად ხელს არ აიღებდა. ასე რომ ირან-ოსმალეთის მომავალი ომების თესლი უკვე 1555 წლის სამშვიდობო ხელშეკრულების პირობებში იყო მოცემული.

საქმე ისაა, რომ ამ ზავის პირობები ოსმალეთის და ირანისათვის მისაღებ ფორმაში არ სწყვეტდა არც ამიერკავკასიის და არც, კერძოდ, „გურჯისტანის საკითხს“, რომელიც განსაკუთრებული სიმწვავით იდგა ირან-ოსმალეთის ურთიერთობაში XVI ს-ის მთელს სიგრძეზე და XVII ს-ის პირველ ნახევარში.

ირან-ოსმალეთის ომები 1514—1639 წლებში ამ „საკითხების“ მეტოქე მხარეებისათვის სასურველი მიმართულებით დაყენებასა და გადაჭრასთან იყო დაკავშირებული.

1555 წლის სამშვიდობო ხელშეკრულების გაუქმებას ან მასში კორექტივის შეტანას ოსმალეთი მარჯვედ უკავშირებდა ირანის შინაგან ვითარებას, მრავალწლოვან ფეოდალურ შინაომებს ან პოლიტიკურ კრიზისებს. მაგრამ დიპლომატიური მოლაპარაკების გზით მისი გაუქმება ოსმალეთმა მხოლოდ ერთხელ შეძლო (1590 წელს), როცა უკიდურესად დასუსტებული ირანი იძულებული იყო ეცნო ოსმალეთის უფლება ამიერკავკასიაზე. 1639 წელს კი ოსმალეთმა

მიაღწია ზავის პირობებში მნიშვნელოვანი კორექტივის შეტანას იმით, რომ ირანმა მის სასარგებლოდ „დასთმო“ მესხეთის აღმოსავლეთი ნაწილი.

XVIII საუკუნეს არ შეუტანია არსებითი ხასიათის ცვლილებები ამასიის ზავის პირობებში. ავღანელების დამარცხებისა და ოსმალების განდევნის შემდეგ ნადირ-შაჰმა კვლავ აღადგინა 1555 წლის ზავის პირობები (1639 წლის კორექტივით) ოსმალეთთან ურთიერთობაში. ამ ზავის ის ნაწილი, რომელიც ირანსა და ოსმალეთს შორის საზღვრების გამიჯვნას ადასტურებდა ერაყ-ლურისტანში ძალაში დარჩა XIX—XX საუკუნეებშიც.

ამრიგად, ამასიას ზავი წარმოადგენდა ირან-ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკის ინსტრუმენტს ამიერკავკასიის მიმართ XVI—XVIII საუკუნეებში. იგი იქცა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ირან-ოსმალეთის ურთიერთობის ღერძად, რომლის გარშემო ტრიალებდა ამიერკავკასიასთან დამოკიდებულების საკითხები. ზავის პირობები, რომელიც ამასიაში ქართველების „უნებურად და შეუკითხავად“[1] მიიღეს, გამორიცხავდა საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას. ამიტომ საამისო არა ერთი ცდა XVI—XVIII სს. მუდამ მარცხით მთავრდებოდა. ქართული ფეოდალური საზოგადოების რეაქციული ნაწილის კავშირი გარეშე მტრებთან და 1555 წლის ზავის პირობები გადაულახველ დაბრკოლებებს უქმნიდა საქართველოს გაერთიანების ყოველგვარ ცდას[2].

ცხადია, ვერც ირანი და ვერც ოსმალეთი საქართველოს გამაერთიანებლის როლში ვერ გამოვიდოდა. ეს არც შედიოდა მათს განზრახვებში. თითოეული მათგანი მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ დაპყრობილი ქვეყანა ყიზილბაშურ ან ოსმალურ პროვინციად (გურჯისტანის ვილაიეთად) გადაექცია. ირანის ან ოსმალეთის დახმარებით „საქართველოს გაერთიანება მხოლოდ მისი გაყიზილბაშების ან გაოსმალების პირობით შეიძლებოდა“[3]. ამავე დროს, „ამ საქმის (გაერთიანების, ე. გ.) ორგანიზაცია არც ერთ ქართულ სამეფო-სამთავროს არ შეეძლო. აუცილებელი იყო გარეშე ძალის დახმარება“[4]. სწორედ ამიტომ ქართველების ღრმა რწმენით რუსეთი

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, საქართველოს ისტორია, „საისტორიო მოამბე“, II, 1925, გვ. 215.

[2] Н. А. Бердзенишвили, Очерки..., გვ. 26—27.

[3] ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს. მიჯნაზე, გვ. 58, შენ. 2 და გვ. 129.

[4] იქვე, გვ. 131.

იყო ის ერთადერთი ძალა, რომლის დახმარებით ქართველ ხალხს შეეძლო ქვეყნის მტრული გარემოცვისაგან გამოხსნა და მისი პოლიტიკური გაერთიანება. ისტორიულად ეს ასეც მოხდა. ფაქტიურად საქართველოს რუსეთთან შეერთებამ გააუქმა ირან-ოსმალეთის 1555 წლის ზავის პირობები.

ამასიას ზავი, როგორც ვნახეთ, საქართველოს გამაერთიანებელ მომენტებს გადაულახველ დაბრკოლებას უქმნიდა. მაგრამ ამ პოლიტიკურ ფაქტორთან ერთად მოქმედებდა ეკონომიური ფაქტორიც, რომელიც თავის მხრივ საქართველოს (და საზოგადოდ ამიერკავკასიის ქვეყნების) მტრული გარემოცვის მეორე მხარეს, მის უარყოფით გამოვლინებას წარმოადგენდა. უკეთ, საგარეო პოლიტიკური და ეკონომიური ფაქტორი ორგანულად იყო ერთიმეორესთან შერწყმული.

საქმე ისაა, რომ ფეოდალური განვითარების უმდაბლეს, ბარბაროსულ საფეხურზე მდგარი[1] სახელმწიფოებით გარემოცვას არ შეიძლებოდა არ გაეპირობებინა საქართველოს შემდგომი ეკონომიური დაქვეითება, შედარებით უფრო მაღალი ფეოდალური მეურნეობის გადაგვარება, ქალაქების და ვაჭრობა-ხელოსნობის დაცემა, მწარმოებელი მოსახლეობის კატასტროფიული შემცირება.

მოსახლეობის შემცირება XVI საუკუნეში ირან-ოსმალეთის დაუსრულებელი ომების ერთი სერიოზული შედეგთაგანი იყო. ცნობილია, რომ ამ ომების ძირითად ასპარეზსს, ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებთან ერთად, საქართველოც წარმოადგენდა. მუდმივი ომი, რბევა-თარეში, მოსახლეობის გაჟლეტა, დატყვევება და აყრა-გადასახლება, მათ ადგილზე თურქულ-თურქმანული ტომების ჩამოსახლება XVI ს-ის (და არა მარტო XVI ს-ის) საქართველოს ისტორიაში ჩვეულებრივი მოვლენაა.

აღწერილს უნდა დავუმატოთ ხშირი ფეოდალური შინა ომები, სათავადო-სამთავროების ქიშპი და ფეოდალების მტრობა-შუღლი, რაც მწარმოებელი კლასის ისედაც მძიმე მდგომარეობას უკიდურესად აუარესებდა.

ქართული ფეოდალური საზოგადოება, საგარეო ფაქტორის მუდმივი ზემოქმედების წყალობით, ასცდა თავისი განვითარების ნორმალურ გზას. პირიქით XVI საუკუნეში „თავი იჩინა მეტად მძიმე ნიშანდობლივმა მოვლენამ, რაც საზოგადოებრივი განვითარების დაჩიხულობის ნიადაგზე ფეოდალური საზოგადოების გა-

---

[1] К. Маркс и Фр. Энгельс, Соч., т. IX, гв. 374.

ღაგვარების, ფეოდალური საზოგადოების დაშლის მომასწავებელი იყო. ეს იყო „ტყვეთა სყიდვა“ და „ლეკიანობა“[1] ირანის და ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკის ამ თანმხლები მოვლენების წყალობით XVI ს-ის საქართველოში კიდევ უფრო შეიზღუდა საწარმოო ძალების განვითარების პირობები. „ტყვეთა სყიდვა“ და „ლეკიანობა“ (მთიელი ფეოდალების თარეში) უწინარეს ყოვლისა მწარმოებელ კლასს ანადგურებდა, მკვეთრად აღრმავებდა დისპროპორციას მფლობელებსა და მწარმოებლებს შორის.

XVI ს-ში აღნიშნული „ნიშანდობლივი მოვლენა“ მჭიდროდ გადაეჭდო გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლას. მან კლასობრივი ბრძოლის ყველაზე მახინჯი ფორმა მიიღო, რადგან მას ადგილობრივი სოციალური ნიადაგი ჰკვებავდა, თუმცა ტყვეთა მყიდველების და მთიელი ფეოდალების მფარველი და წამქეზებელი ყიზილბაშური ირანი და, განსაკუთრებით, ოსმალეთი იყო. „ყველა და ყველაფერი, რაც კი ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში პროგრესული იყო, ამ სოციალური სენის წინააღმდეგ ბრძოლად იყო მოწყობილი, ყველაფერი, რაც კი საქართველოში რეაქციული იყო, ხელს უწყობდა ამ სოციალური სენის გავრცელება-განმტკიცებას“[2].

ასეთ ვითარებაში, ცხადია, მეურნეობის წესიერად წარმოება შეუძლებელი იყო. ამიტომ ქალაქები ვაჭარ-ხელოსნებისაგან ცარიელდებოდა, სოფლები გლეხობისაგან. აყრილ-გაქცეული გლეხები შედარებით დაწინაურებულ რაიონებისაკენ გარბოდნენ. სპეც. ლიტერატურაში დადგენილია აყრილ-გაქცეულ გლეხთა მოძრაობა დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით (შედარებით მოშენებულ-განვითარებულ კახეთისაკენ).

„ტყვეთა სყიდვა“ და „ლეკიანობა“ ირანის და ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკის უშუალო გამოვლინებები იყო ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში. მაგრამ მტრული გარემოცვის უარყოფითი შედეგები მხოლოდ ამით არ ამოიწურებოდა.

თავისთავად ჩამორჩენილი სახელმწიფოებით გარემოცვას, სახელმწიფოების, სადაც განვითარების პირობები ნაგვიანევ შუა საუკუნეებში მეტისმეტად იყო შეზღუდული, არ შეიძლებოდა უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა ამიერკავკასიის ეკონომიურ განვითარებაზე. ამდენადვე ირანის და ოსმალეთის რეაქციული როლი ამი-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, გვ. 130.

[2] იქვე.

ერკავკასიის ქვეყნების მიმართ ვლინდება არა მარტო მათი აგრესიული პოლიტიკის სხვადასხვა საშუალებებსა და ღონისძიებებში, არამედ თვითონ ჩამორჩენილი სახელმწიფოებით გარემოცვა წარმოადგენდა ისეთ ფაქტორს, რომლის გარღვევაზე იყო დამოკიდებული ამიერკავკასიის ქვეყნების სოციალური, ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარება.

სპეციალურ ლიტერატურაში არა ერთხელ აღუნიშნავთ, რომ ამიერკავკასიის ქვეყნები (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო) ყიზილბაშთა ირანთან და ოსმალეთთან შედარებით განვითარებული იყვნენ[1]. მაგრამ ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა მარტო დასახელებული ქვეყნების სამეწარმოო-კულტურაში (ასეთი იყო თავის დროზე ირანიც, მცირე აზიაც...), არამედ იმ ფაქტში, რომ ამიერკავკასიაში, მახლობელი აღმოსავლეთის მეზობელი ქვეყნებისაგან განსხვავებით, მომთაბარეებმა ყველაზე გვიან შეძლეს თავიანთი მდგომარეობის განმტკიცება. მარტო აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობას XVI საუკუნეში 300 წელზე მეტი ხანი დასჭირდა. მაგრამ ამის შემდეგაც დამპყრობლებს არასოდეს არ მიუღწევიათ გადამწყვეტი გამარჯვებისათვის. სეფიანთა სახელმწიფოში წარმოდგენილი აზერბაიჯანიც და სომხეთიც ინარჩუნებდა თავისთავად სოციალურ, ეკონომიურ და კულტურულ თავისებურებებს. ირანელი და ოსმალო ასიმილატორების ცდანი ამიერკავკასიის ხალხთა გადაგვარების საქმეში ისეთივე მარცხით დამთავრდა, როგორადაც ბალკანეთის ქვეყნებში, სადაც ყველაზე სასტიკი ოსმალო ასიმილატორები საამისოდ საუკუნეების მანძილზე მოღვაწეობდნენ.

XVI საუკუნეში აღმ. ამიერკავკასიაში ქალაქების ზრდა და ვაჭრობა-ხელოსნობის გაცხოველება, როგორც აღვნიშნეთ, გამოწვეული იყო ვოლგის სავაჭრო მაგისტრალზე რუსეთის გამოსვლით[2] ამიერიდან აღმ. ამიერკავკასიის სავაჭრო-საქარავნო გზა დაკავშირებულია როგორც ასტრახანთან, ისე ქალაქ ალეპოსთან, რომელიც XVI ს-ის შუა ხანებამდე აღმ. ამიერკავკასიის დას. ევროპასთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა იყო. აღმ. ამიერკავკასიის ქალაქებთან მჭიდრო კავშირით და აქ გამავალი სავაჭრო გზასთან

---

[1] Новая история стран Зарубежного Востока, ტ. 1, 1952, გვ. 78; К. Ашрифян, Падение державы Сефевидов (1502—1720), Очерки по новой истории стран Среднего Востока, М., 1951, გვ. 188—189.

[2] ამ გზით რუსეთი წინათაც ვაჭრობდა. უკვე XV ს-ის მეორე ნახევარში შუა აზიასა და ამიერკავკასიაში (შირვანში, კახეთში...) რუსეთის აღმოსავლეთში გამოსვლას უკავშირებდნენ მომთაბარული ბარიერების ლიკვიდაციის ამოცანას და ძველი ეკონომიური და კულტურული კავშირების აღდგენას.

სიახლოვით აიხსნება მნიშვნელოვანწილად აგრეთვე კახეთის სამეფოს ეკონომიური აღმავლობა XVI საუკუნეში.

XVI საუკუნის საქართველოს ცალკეული პროვინციების ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა (და, აგრეთვე, სოციალური ურთიერთობა) ერთიმეორისაგან საკმაოდ განსხვავდებოდა. სხვადასხვა ბუნებრივი, პოლიტიკური და ისტორიული პირობები (მთები, მთიანეთი, ბარი, მეზობლობა მთიელების, მომთაბარე-მეჯოგეების, განვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყნების, სიახლოვე განვითარებული სავაჭრო გზებისა, ირანის და ოსმალეთის პოლიტიკური მეზობლობა თუ ბატონობა...) ქმნიდნენ ნიადაგს განსხვავებული ნიშან-თვისებებისათვის[1]. ამრიგად, შინაგანი და გარეგანი ფაქტორები ამ შემთხვევაშიც ერთმანეთზე მჭიდროდ იყვნენ გადაჯდობილი და შედარებით განვითარებასაც სწორედ იქ ვღებულობთ, სადაც საამისო ხელსაყრელი პირობები არსებობს.

დას. საქართველოს ქალაქები შავზღვაზე ოსმალების გაბატონების წყალობით უკვე XV ს-ში ფაეცა, დაღარიბდა, ვაჭარ-ხელოსნებისაგან დაიცალა, თანდათან გადაშენდა და გაჰქრა (ანდა დაბასოფლებად იქცა). ვაჭრობის გაცხოველებისათვის საჭირო პირობები დას. საქართველოში აღარ არსებობდა. მართალია, დახიზნულ-დაფანტულმა ხელოსნებმა ახალ პუნქტებს მიაშურეს, მაგრამ ახალ ქალაქებს (ხ ო ფ ი, ა ნ ა კ ლ ი ა, რ უ ხ ი დას. საქართველოში) საერთო ეკონომიური დაცემულობის პირობებში ვაჭრობის გაცხოველება არ შეეძლოთ. საგარეო ვაჭრობა ამიერიდან ოსმალო ვაჭრების ხელთ იყო[2]. ოსმალების უშუალო მეზობლობა, და მით უმეტეს მათი ბატონობა, „ტყვეთა სყიდვა" (ყველაზე მეტად სწორედ დას. საქართველოში გავრცელებული), სოფლის მეურნეობის არაჩვეულებრივი დაქვეითება („ნაოხარ"-„პარტახტის" გამრავლება და სხვა), გლეხთა ექსპლოატაციის გაძლიერება, ყველა ერთად აღებული, მეურნეობის წარმოების განვითარებას დიდ დაბრკოლებას უქმნიდა. ფეოდალური დაშლილობაც, ამიტომ, ყველაზე მეტად დას. საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი.

შემთხვევით არ აიხსნება, რომ დას. საქართველოს სოციალურმა ურთიერთობამ ნაყოფიერი ნიადაგი შეუქმნა „ტყვეთა სყიდვას", რომელიც ყველგან ფეოდალურ საქართველოში ორგანულად დაუკავშირდა სოციალურ ურთიერთობათა მახინჯ გამოვლინებებს და

---

[1] Н. А. Бердзенишвили, Очерки..., გვ. 22—23.

[2] იქვე, გვ. 23.

გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლას. მაგრამ ყველაზე მახინჯი სახე მან („ტყვეთა სყიდვამ“) დას. საქართველოში მიიღო.

მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა სამცხე-საათაბაგოც, რომელიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით XVI ს-ში დაუსრულებელი რბევა-თარეშის (და ფეოდალური შინა ომების) ასპარეზად იყო ქცეული. განვითარებული მიწისმოქმედებით და მესაქონლეობით განთქმული ეს მხარე თანდათან (განსაკუთრებით კი XVII ს-ის პირველ ნახევარში) ეკონომიურად დაქვეითდა. ოსმალეთის ბატონობამ ოდინდელი მნიშვნელობა დაუკარგა აგრეთვე მესხეთის ქალაქებს (ახალქალაქს და ახალციხეს).

არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში იყო XVI საუკუნეში ქართლის სამეფო. გამუდმებული ომების წყალობით ქართლშიაც დიდად შეიზღუდა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო პირობები. შეზღუდული იყო XVI ს-ის ქართლის ქალაქების (თბილისი, გორი, ალი, სურამი და სხვ.) ეკონომიური მნიშვნელობაც. ყიზილბაშების თბილისში გაბატონება-განმტკიცებამ (და ქართლის პოლიტიკური ცენტრის გორში გადანაცვლებამ) XVI ს-ის 60-იან წლებში ქართლის ქალაქები მოსწყვიტა აღმ. ამიერკავკასიის „აბრეშუმის გზას“. დარიალი კი ამ დროს მაგრად იყო ჩაკეტილი და რუსეთთან ურთიერთობის საშუალება ქართლს იმ დროს არ ჰქონდა.

ქართლის სოციალური ურთიერთობაც საჭირო პირობებს უქმნიდა „ტყვეთა სყიდვას“, მაგრამ უფრო ფართო გასაქანი ქართლის სინამდვილეში „ლეკიანობამ“ ჰპოვა.

XVI საუკუნეში საქართველოს სამეფო-სამთავროებიდან ეკონომიურად და პოლიტიკურად კახეთის სამეფო იყო დაწინაურებული.

XVI ს-ის თითქმის მთელ სიგრძეზე კახეთის ტერიტორიაზე არც ომის და არც რბევა-თარეშის მსახვრელ ქარიშხალს არ გადაუვლია. ომებისაგან მოსვენებულ ქვეყანაში სოფლის მეურნეობა აყვავებას განიცდიდა. ძველი დროიდანვე კახეთი განთქმული იყო მევენახეობა-მეღვინეობით, მესაქონლეობით, განსაკუთრებით კი ჯიშიანი ცხენების მოშენებით (კახური ბედაური მთელს აღმოსავლეთში ცნობილი იყო „გურჯის“ სახელით და მას სპარსული წყაროები არაბული ცხენების გვერდით ასახელებდნენ). უცხო ქვეყნებში უხვად გაჰქონდათ კახური აბრეშუმი.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია გილან-შემახა-ასტრახანის „აბრეშუმის გზასთან“ სიახლოვის ეკონომიური მნიშვნე-

ლობა კახეთის საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის XVI საუკუნეში. ამ ვაჭრობაში აქტიურად მონაწილეობდნენ თვითონ კახთა მეფეები („მეფე-ვაჭრები"). კახეთიდან ახლობელ თუ შორეულ ქვეყნებში გაჰქონდათ აბრეშუმი, ხალიჩები, ოქროქსოვილები, საღებავი მცენარეები, ღვინო, ცხენები, ცხვრები. გაცხოველებული ვაჭრობით აიხსნება, რომ კახეთში ქალაქები კი არ მცირდებოდა და ქრებოდა, როგორც ეს საქართველოს დანარჩენ ნაწილებში იყო, არამედ ძველთან ერთად ახალი ქალაქებიც არსდებოდა. ქალაქები ზაგემი, გრემი, თელავი წარმოადგენენ მნიშვნელოვან სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს. ვითარდებოდა ხელოსნობა, ხელოსნური წარმოება და ხელსაქმე.

XVI საუკუნის კახეთში მოსახლეობა კი არ მცირდებოდა როგორც ეს ქართლში და დას. საქართველოში იყო, არამედ მატულობდა კიდევაც. ამიტომ გასაგებია, რომ აყრილ-გაქცეული გლეხები (იმერეთიდან, ქართლიდან...) კახეთისაკენ გარბოდნენ და იქ კახელი ფეოდალების, უპირატესად კი მონასტრების, მიწებზე სხდებოდნენ. XVI ს-ის დამლევს („ოსმალობის" დროს) აქვე მოდიოდნენ და სახლდებოდნენ აზერბაიჯანელი გლეხები. კახეთის სამეფოში მრავლად იყვნენ აგრეთვე სომეხი და ებრაელი ვაჭრები.

დამახასიათებელი ფაქტია, რომ ფეოდალური კახეთის სოციალურ ურთიერთობას არ შეუქმნია „ტყვეთა სყიდვის" პირობები. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ წყაროები ამის თაობაზე არ გვაწვდიან ცნობებს და რომ საზოგადოდ საეჭვოა „ტყვეთა სყიდვის" არსებობა XVI საუკუნის კახეთში[1]. XVI საუკუნის 80-იან წლებამდე კახეთის სამეფო ახერხებდა დაღისტნელი ფეოდალების ალაგმვასაც და მათ მორჩილებაში ყოლას[2]. დაღისტნელი აბრაგი—ფეოდალები კახეთისათვის განსაკუთრებით საშიში მას შემდეგ შეიქმნა, როცა ოსმალეთმა მთელი ამიერკავკასია დაიჭირა, კავკასიის მთიანეთში მისი გავლენა გაძლიერდა და იმიერკავკასიასა და დაღისტანში ამ გავლენის გამტარებლად ყირიმ-ხანი და შამხალი გამოვიდნენ[3].

XVI საუკუნის კახეთში მეფის ხელისუფლებაც შედარებით მტკიცე იყო. კახეთის მეფეები ეყრდნობოდნენ საშუალო და წვრილ ფეოდალებს (კახეთში არ არსებობდა თავადის აზნაური), მაშინ რო-

---

[1] Н. А. Бердзенишвили, Очерки..., გვ. 27.

[2] ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, „მიმომხილველი", III, გვ. 75.

[3] იქვე.

დესაც ქართლის და იმერეთის სამეფოებში მეფის ხელისუფლება ამგვარ სოციალურ დასაყრდენს მოკლებული იყო. მეფის აზნაურებზე მრავლად დასახლებულ ქართულ სამეფოებში თავადის და ეკლესიის აზნაურები იყვნენ.

მეფის ხელისუფლებისათვის ხელსაყრელი სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური ვითარება კახელ თავადებს რევანშის შესაძლებლობას არ აძლევდა[1]. კახეთში გატარდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და სამხედრო რეფორმები, რომელიც უმაღლესი ფეოდალური ადმინისტრაციის წინააღმდეგ იყო მიმართული და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას ისახავდა მიზნად[2]. მთელი კახეთი ოველი საერისთაოების მაგიერ სამოურაოებად დანაწევრდა. მოურავები, მრავალი წვრილ-წვრილი ადმინისტრაციული ტერიტორიების გამგებლები, ერისთავებთან შედარებით ნაკლები ძალაუფლებით სარგებლობდნენ. მათ არც სამხედრო-სალაშქრო საქმეზე მიუწვდებოდათ ხელი. სამხედრო მიზნით ქვეყანა დანაწილდა ოთხ სადროშოდ, რომლის სათავეში ეპისკოპოსები იდგნენ. ამ ოთხ ეპისკოპოსს სამხედრო საქმეში ემორჩილებოდნენ ფეოდალები და მოურავები[3].

სამხედრო რეფორმა ქართლის სამეფოში, როგორც ცნობილია, სულ სხვა საფუძველზე მოხდა. სადროშოები აქ ორგანულად დაუკავშირდა სათავადო სისტემას. საზოგადოდ კი სათავადოების სისტემის ბატონობა ქართლის და იმერეთის სამეფოებში გამორიცხავდა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რეფორმის გატარების შესაძლებლობას. სათავადოს არსებობა ქართლის და კახეთის მეფეებისათვის მისაღები იყო კიდეც იმ თვალსაზრისით, რომ ის წარმოადგენდა გარკვეულ ადმინისტრაციულ ერთეულს, რომლის შეცვლა მეფის ხელისუფლებაზე დამოკიდებული ადმინისტრაციით მოცემულ სოციალ-პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებში შეუძლებელი იყო.

სათავადო XVI—XVIII სს. საქართველოს ერთი ყველაზე დამახასიათებელი მოვლენათაგანია, რომლის პოლიტიკური სტრუქტურა აღებული ხანის საერთო ეკონომიურ ჩამორჩენილობაზე იყო დაფუძნებული.

---

[1] Н. А. Бердзенишвили, Очерки..., გვ. 28—29.
[2] იქვე, 27—29.
[3] იქვე, გვ. 28

სათავადოების უმრავლესობა XV საუკუნეში წარმოიშვა. სათავადოების ნიადაგზე კი ერთიანი ქვეყანა პოლიტიკურად დაიშალა.

XVI საუკუნეში საქართველო მოფენილი იყო საერო და საეკლესიო სათავადოებით. საერო სათავადოს სათავეში ფეოდალური სახლის უფროსი (თავადი) იდგა, საეკლესიო სენიორიის სათავეში კი კათალიკოსი და ეპისკოპოსები.

თითოეული სათავადო წარმოადგენდა განსაზღვრული ტერიტორიის ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ, სამხედრო და სამეურნეო ორგანიზაციას. ფეოდალური სახლის წევრები (თავადიშვილები) ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ერთმანეთისაგან განცალკევებულად. მათ ჰქონდათ საერთო („სახასო") საუფლისწულო (თავადიშვილის ოჯახის) და პირადი (საკუთარი, სათავისო) საკუთრება[1]. თავადი სარგებლობდა ადმინისტრაციული და სასამართლო იმუნიტეტით. სალაშქრო მოვალეობას კი სათავადოს ინტერესების შესაბამისად ასრულებდა. რამდენადაც ძლიერი იყო თავადი, იმდენად მეტი აზნაური ჰყავდა მას. თავადი საკუთარი მოხელეებით (სახლთუხუცესები, მოურავები, ბოქაულთუხუცესები, მდივნები და სხვ.) განაგებდა სათავადოს, მის მეურნეობას[2]. ამავე მოხელეების (სათავადოს აზნაურები) საშუალებით ახორციელებდა თავადი გარეეკონომიურ იძულებას ყმა-გლეხების მიმართ, თვითონ კი ფეოდალური „სახლის რიგის", შემოსავალ-გადასახადების განაწილების, მეზობელ სათავადოებთან (მტრობის თუ კეთილმეზობლობის) ურთიერთობას და მეფის ხელისუფლებასთან დამოკიდებულების საქმეს უძღვებოდა. თავადივე იყო სათავადოდან გამოყვანილი ლაშქრის სარდალი[3].

სათავადო წარმოადგენდა თავისებურ სახელმწიფოს სახელმწიფოში. თავადიც, ამიტომ, „ხელმწიფობას" იჩემებდა. მისთვის უცხო და მიუღებელი იყო ქვეყნის საერთო ინტერესები. ქართული სამეფო კი, როგორც აღვნიშნეთ, სათავადოების კრებულს წარმოადგენდა.

---

[1] **Н. А. Бердзенишвили**, Очерки..., გვ. 36-37; დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 271—275; გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 139—141.

[2] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 275—281; გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 141—142; ო. სოსელია, მასალები დასავლეთ საქართველოს სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის, მას. საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 169—172.

[3] **Н. А. Бердзенишвили**, Очерки..., გვ. 37.

ამიტომ, გასაგებია, მეფის ხელისუფლების გაძლიერება თავადის უფლებების შეზღუდვაზე იყო დამოკიდებული, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება სათავადოს სისტემის რღვევაზე. მაგრამ XVI—XVIII სს. საქართველოს სოციალ-ეკონომიური და საგარეო პირობები საამისოდ საჭირო ნიადაგს ვერ ქმნიდა. არსებითი გარდატეხისათვის აუცილებელი იყო ხანგრძლივი მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ომისა და რბევა-თარეშისაგან მოსვენებულ ქართულ პოლიტიკურ ერთეულებში ვამჩნევთ ქვეყნის ეკონომიური მოღონიერების ნიშნებს, ამის შესაბამისად მეფის ხელისუფლების განმტკიცებას, თავადის უფლებების შეზღუდვის ცდებს, სამეურნეო მშენებლობას (გზები, ხიდები, არხები...), ვაჭრობა-ხელოსნობის გამოცოცხლებას (ახალქალაქების დაარსება) და კულტურულ აღმავლობას (XVI ს-ის კახეთი, XVII ს-ის მეორე ნახევრის და XVIII ს-ის პირველი მეოთხედის ქართლი, XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთი და იმერეთი). ამ პერიოდებშიც ქვეყნის ეკონომიური აღმავლობა, რა თქმა უნდა, ფეოდალურ საფუძველზე ხდებოდა.

ჩვენთვის საინტერესო ხანაში ყველგან საქართველოში (მთის ზოლისა და ბარის იმ ნაწილის გამოკლებით, სადაც მწარმოებელი საზოგადოება თემურ მიწისმფლობელობას შერჩა), სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური ნიშანთვისებების განსხვავებულობის მიუხედავად, ბატონყმობა იყო გაბატონებული. საზოგადოება დაყოფილი იყო მებატონეებად და ყმა-გლეხებად. მემამულე-ფეოდალების ყმა-გლეხებზე ძალაუფლების განმტკიცების, ფეოდალური ექსპლოატაციის საფუძველს მემკვიდრეობითი მსხვილი მიწისმფლობელობა (სამამულო სისტემა) წარმოადგენდა. სამამულო სისტემა, ფეოდალური იმუნიტეტი და ბატონყმობის განვითარება თავის დროზე (XII—XIII სს.) ფეოდალური ეკონომიკის ყოველმხრივი განვითარების ნაყოფი იყო.

ამიტომ ისმის კითხვა, თუ როგორ შეუთავსდება ბატონყმობა (ინტენსიური ფეოდალური მეურნეობის ეკონომიური ფუნქციით) ეკონომიურ რეგრესს და სამეურნეო დეგრადაციას ნაგვიანევი შუა საუკუნეების საქართველოში?

რა თქმა უნდა, ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის იმ ფაქტს, რომ სათავადოები ბატონყმური ურთიერთობის დროს არსებობენ. მაგრამ არის თუ არა პირველი უკანასკნელის ნაყოფი?

ანდა შეიძლებოდა თუ არა ბატონყმობა საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის ერთ-ერთი მიზეზი გამხდარიყო, თუ იგი ამ დაშლილობის გამაპირობებელ სხვა დიდმნიშვნელოვან მოვლენებს არ დაუკავშირდებოდა?

სამწუხაროდ, ქართული ბატონყმობა ჯერ კიდევ არაა საჭირო სისრულით შესწავლილი. რევოლუციამდე დაწერილი გამოკვლევები (ა. ხაჯანაშვილი, ს. ავალიანი და სხვ.) დღეს ვერავის დააკმაყოფილებს. მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიაზე დაწერილი მონოგრაფიული გამოკვლევები კი ქართულ ბატონყმობაზე დღემდე არ არსებობს. თუმც ფეოდალური ხანის ქართველ ისტორიკოსთა გამოკვლევებში გზადაგზა, და არა სპეციალურად, არა ერთი საინტერესო და საგულისხმო დაკვირვებაა გამოთქმული, ზოგჯერ კი ბატონყმობის ამა თუ იმ მხარის დამახასიათებელი დასკვნაცაა მიღებული. ამავე დროს, ქართულ ბატონყმობას არა ერთი მკვლევარი შეხებია იმ თვალსაწიერით, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული ჩვენი გამოკვლევის საკითხების წრესთან. ეს, ცხადია, მნიშვნელოვნად აადვილებს ჩვენს ამოცანას ზემოთ დასმული კითხვების გამოსარკვევად.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ილია ჭავჭავაძემ პირველმა დაუკავშირა საქართველოს პოლიტიკური დაშლილობა ბატონყმობის გამარჯვებას. იგი საქართველოს უბედურების სათავეს XV საუკუნეში ნახულობდა, როცა მისი სიტყვით „გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კოლმეურნეობამ“: ილია ჭავჭავაძე საქართველოს პოლიტიკურ დაშლილობას უკავშირებდა, რა თქმა უნდა მცდარად, სათემო მიწისმფლობელობის გაუქმებას. ილია წერდა: „ზოგადმა ელემენტებმა საკუთრებისამან თანდათან გზა დაუთმო პირადსა და პირადის ელემენტების გამარჯვება მთლად და უნაკლოდ გამოისახა, მთელის თავისის სისასტიკით, ფეოდალიზმში, რომელმაც შემოიტანა ბატონყმობა“[1].

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში თითქმის უკლებლივ ყველა ისტორიკოსი, რა თქმა უნდა, სულ სხვა საფუძველზე ვიდრე ილია ჭავჭავაძე, სათავადოების სისტემის წარმოშობას და ქვეყნის პოლიტიკურად დაშლას ბატონყმობის ს ა ბ ო ლ ო ო გამარჯვებას უკავშირებს. ბატონყმობის საბოლოო გამარჯვება აღნიშნულია ერთიანი ქვეყნის დამშლელ სხვა მიზეზებთან ერთად (ფეოდალური

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. VIII, გვ. 161.

ომუნიტეტის განვითარება,ეკონომიური რეგრესი და სამეურნეო დეგრადაცია, რომელიც თავის მხრივ ერთმანეთზე რთულად გადაჭდობილი წოდებრივ-კლასობრივი და საგარეო ურთიერთობათა შედეგი იყო)[1].

ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „მთლიანი საქართველოს პოლიტიკური დაშლა შედეგი იყო იმ სამეურნეო და საზოგადოებრივი ვითარებისა, რომელიც შეიქმნა ჩვენში მე-15 საუკუნისათვის. ამ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბატონყმობას და მის ნიადაგზე წარმოშობილ სათავადოების სისტემას"[2]. ეს დებულება გაზიარებულია და ფართოდ გამოყენებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. იგი წარმოადგენს სათავადოების მკვლევარების ამოსავალ დებულებას.

გ. ჯამბურია, რომელსაც მონოგრაფიულად აქვს შესწავლილი ქვემო ქართლის სათავადოები, ეტყობა, ზემოთ დამოწმებული დებულების მიხედვით, წერს: „XV საუკუნისათვის საქართველოს ფეოდალურ საზოგადოებრივ ურთიერთობაში ახალი ვითარება შეიქმნა. ბატონყმობის ნიადაგზე სათავადოების სისტემა წარმოიშვა"[3].

ჩვენი აზრით, მცდარი უნდა იყოს ბატონყმობის საბოლოო გამარჯვების XV საუკუნით დათარიღება, რადგან ბატონყმობა საქართველოში გამარჯვებულია უკვე XII—XIII საუკუნეებში. ამას, სხვათა შორის, აღნიშნავს ყველა მკვლევარი, ოღონდ იმ შენიშვნით, რომ ამ დროს ბატონყმობა მხოლოდ ძირითადად არის გამარჯვებული.

როგორც ცნობილია, გლეხთა მიწაზე მიმაგრება საქართველოში ფიქსირებულია წერილობით სამართალში (ბექა-აღბუღას სამართლის 78 მუხლი), საიდანაც კარგად ჩანს, რომ გლეხთა მიწაზე მიმაგრება XIV საუკუნისათვის კარგა ხნის წინათ მომხდარი ფაქტია. წერილობითი კანონით ფიქსირებული გლეხთა მიწაზე მიმაგრება კი ბატონყმობის საბოლოო გამარჯვების უტყუარი მოწმობაა. კლასობრივი საზოგადოების კანონმდებლობა ამით ადასტურებდა და, რაც მთავარია, იცავდა გლეხთა ექსპლოატაციის ბატონყმურ ფორმას, ბატონყმურ ურთიერთობას.

---

[1] Н. А. Бердзенишвили, Очерки..., გვ. 18.

[2] საქართველოს ისტორია, თბ., 1946, გვ. 301.

[3] გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 3.

ნ. ბერძენიშვილის უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული ნაშრომები[1] საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ მას ზემოთ დამოწმებული დებულება, რომელიც შემდეგ არა ერთმა ისტორიკოსმა გაიმეორა, გადასინჯული აქვს.

ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს, რომ XIII საუკუნისათვის ფეოდალურ საქართველოს (საუბარია ბარის საქართველოზე) სოციალური განვითარების თვალსაზრისით თავისი ზრდა ძირითადად უკვე დასრულებული ჰქონდა „თავისუფალი, უბატონო მწარმოებელი საზოგადოებაში აღარავინ იყო... საზოგადოება ძირითადად უკვე დაყოფილი იყო ბატონებად და ყმა-გლეხებად. ეს იყო ფეოდალური ურთიერთობის ზრდის დასასრული, ამ ურთიერთობის განვითარების აღმავლობის საზღვარი, მისი შუახანის დასასრული"[2].

ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის ფარგლებში საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებას, თუ მას საამისოდ ნორმალური პირობები შეექმნებოდა, უნდა მოეცა ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების სულ სხვა სურათი, ვიდრე ეს XV საუკუნეში მივიღეთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეასრულებდა ბატონყმობა ფეოდალურ საქართველოში იმ როლს, როგორიც მან ყველა ფეოდალურად განვითარებულ ქვეყანაში შეასრულა.

XII საუკუნის დასასრულისათვის დიდგვარიანი ფეოდალების მოძრაობისა და აჯანყებების გამარჯვებასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს: „მთელი ეს მოძრაობა ფეოდალური ურთიერთობის ახალი ეტაპის, ბატონყმობის გამარჯვების მაუწყებელი იყო, რომლის შემდგომი განვითარება, ახლო დროში კლასობრივი ბრძოლის ახალ ფორმებს წარმოშობდა შესაფერისი სამეფისკარო პოლიტიკით (ამის ნიშნები უკვე ჩანდა, მაგრამ ახლო აღმოსავლეთში განვითარებულმა საერთაშორისო მოვლენებმა საქართველოს ისტორიის ჩარხი „უკუღმა დაატრიალეს....")[3].

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი", № 6, 1954, გვ. 124—125; მისივე, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1955, გვ. 177—178.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, გვ. 125.

[3] ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, გვ. 178.

ამრიგად, საქართველოში შეიძლებოდა მიგვეღო სულ სხვა პოლიტიკური ორგანიზაცია, ვიდრე სათავადო-სამთავრო სამეფოები იყო. ამ შემთხვევაში ბატონყმობა, რა თქმა უნდა, ვერ გახდებოდა ქვეყნის პოლიტიკური დაშლილობის პირობად. პირიქით, გლეხთა ბატონყმურ ფორმებში ექსპლოატაციის გაძლიერებას უნდა გამოეწვია ბატონყმური სახელმწიფოს განმტკიცება ფეოდალების კლასობრივი ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით. ოღონდ საამისოდ საჭირო იყო ფეოდალური მეურნეობის შემდგომი განვითარება, რენტის ახალ, უფრო მაღალ ფორმაზე გადასვლა. ამ შემთხვევაში, ცხადია, ვერ შეექმნებოდა სოციალური ნიადაგი „ტყვის ყიდვას", „ლეკიანობას". მაგრამ ეს ასე არ მოხდა იმის გამო, რომ „ახლო აღმოსავლეთში დატრიალებულმა საერთაშორისო მოვლენებმა საქართველოს ისტორიის ჩარხი „უკუღმა დაატრიალეს".

ფეოდალური საქართველო ამ მხრივ ერთადერთ გამონაკლისს არ წარმოადგენდა. მონღოლთა ბატონობის მომდევნო პერიოდში ეკონომიური დაქვეითება დამახასიათებელი იყო მეზობელ ამიერკავკასიის და მახლობელ აღმოსავლეთის განვითარებული ქვეყნებისოვისაც. საამისო კონკრეტული პარალელების გათვალისწინება გაადვილებს ხდის, თუ რამ გააპირობა სტაგნაციის პერიოდი XVI—XVII სს. საქართველოს ისტორიაში. საკითხის ამგვარად შესწავლა უშუალოდ არის დაკავშირებული XVI—XVII სს. ქართული ფეოდალური წყობილების ძირითადი თავისებურების გამორკვევასთან.

2. კონკრეტული პარალელები

მომთაბარეთა ბატონობამ იმთავითვე თავისებური მიმართულება მისცა აღმოსავლეთის ქვეყნებში დაწყებული ფეოდალიზაციის პროცესს.

ადრეფეოდალური ხანის დასაწყისს (VI—VII სს.) დაემთხვა არაბთა შემოსევები, ფეოდალიზმის შუა ხანას (X—XI სს.)—თურქსელჩუკების; მონღოლებმა შეაჩერეს ფეოდალიზმის ამ საფეხურის განვითარება აღმოსავლეთში. უფრო გვიან ოსმალების და ყიზილბაშების ბატონობამ ხელოვნურად გაახანგრძლივა განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდი.

მომთაბარეთა შემოსევებისა და ბატონობის ჩვეულებრივი შედეგი იყო საწარმოო ძალების განადგურება.

„გერმანულ იდეოლოგიაში“ ნათქვამია: „ბარბაროსული ხალხების შესევა, ჩვეულებრივი ომებიც კი, საკმარისია, რათა განვითარებული საწარმოო ძალებისა და მოთხოვნილებების მქონე ქვეყანა იქამდე მივიდეს, რომ იძულებული გახდეს ყველაფერი კვლავ თავიდან დაიწყოს“[1].

შუა საუკუნეების აღმოსავლეთში პერიოდულად წარმოებდა ხალხთა მომთაბარული გადმოსახლება, მომთაბარული ელემენტის ზრდა მკვიდრბინადრული მოსახლეობის ხარჯზე.

აღმოსავლეთის ფეოდალიზმის ნორმალურად განვითარებას ხელს უშლიდა და აბრკოლებდა მიწების ახალი გადანაწილება და ფეოდალური უფლებების გადაჯგუფება, რაც ჩვეულებრივ თან სდევდა მომთაბარეთა (არაბები, თურქ-სელჩუკები, მონღოლები, ოსმალები, ყიზილბაშები) შემოსევებს, მათს ბატონობას ფეოდალურად განვითარებულ ქვეყნებში.

მართალია, მომთაბარეთა ზედა ფენა ექცეოდა ადგილობრივი ფეოდალური სინამდვილის გავლენაში, მაგრამ მათს დაკავშირებას მეურნეობის ინტენსიურ დარგებთან საკმაოდ ხანგრძლივი დრო სჭირდებოდა.

მიწების გადანაწილება მომთაბარული არისტოკრატიის სასარგებლოდ ინტენსიურ მეურნეობას აცლიდა მის საფუძველს —მიწას, აგროკულტურის რაიონების ადგილს მომთაბარეთა პირველყოფილი საძოვრები იჭერდნენ.

ფეოდალური ურთიერთობანი არც მომთაბარე ხალხებისათვის იყო უცხო, მაგრამ ეს ურთიერთობანი გამოხატული იყო პატრიარქალურ-ფეოდალურ წყობაში. მომთაბარეებს თან მოჰქონდათ მიწის (საძოვრების) ფეოდალური საკუთრების მარტივი ფორმები, განვითარებული კი დაპყრობილ სამიწათმოქმედო ქვეყნებში ხვდებოდათ.

XI საუკუნიდან მოკიდებული ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლა სხვა არა არის რა, თუ არა ბრძოლა ორ ერთიმეორის გამომრიცხველ საზოგადოებასა და მეურნეობას შორის. ამას (რა თქმა უნდა, დროის შესაფერისი ტერმინოლოგიით) მკაფიოდ აღნიშნავენ ქართული და სომხური წყაროები[2].

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, გერმანული იდეოლოგიიდან, თბ., 1948, გვ. 66.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, გვ. 123; П. Т. Арутюнян, Освободительное движение армянского народа в первой четверти XVIII века, М., გვ. 12, 18.

მომთაბარეთა კულტურულ ქვეყნებში მიწებისათვის ბრძოლა პარალელებს პოულობს ფეოდალური საქართველოს სინამდვილეშიც. ამდენად აღნიშნული მოვლენა სპეციალურ შესწავლას საჭიროებს. მით უმეტეს, რომ მასთან ორგანულადაა დაკავშირებული საკითხი, თუ რითი და როგორ გადარჩა ქართული ფეოდალური საზოგადოება, ქართული სოციალურ-ეკონომიური წყობა და სახელმწიფო მომთაბარეების მოძალების პერიოდებში.

მონღოლ-თათართა ბატონობის ხანა აღინიშნა მიწების ახალი გადანაწილებით.

„მამულები ამოძრავდნენ“ შუა აზიაში, ირანში ამიერკავკასიაში[1]. ცვლილებები საადგილმამულო ურთიერთობაში და ფეოდალური უფლებების გადაჯგუფება სრულიად გარკვეული მიმართულებით თანაბრად დამახასიათებელი მოვლენაა მონღოლთა მიერ დაპყრობილი ყველა ქვეყნისათვის.

ყველგან მონღოლი ხანები, სარდლები და ნოინები დაეპატრონენ ადგილობრივი ფეოდალების მიწებს. მიწების დაკარგვა ეკონომიურად ასუსტებდა ძველ მიწისმფლობელებს (განსაკუთრებით მის საშუალო ფენას), სამაგიეროდ აძლიერებდა დამპყრობელთა მომთაბარულ არისტოკრატიას.

თურქ-სელჩუკებზე უფრო მეტი ზიანი ირანელ მიწისმფლობელებს მონღოლებმა მიაყენეს. პირველმა ილხანებმა გაანახევრეს ირანელ მიწისმფლობელთა კლასი. ფეოდალების ფიზიკურ გაჟლეტასთან ერთად საამისოდ ისინი ყველა საშუალებას და ღონისძიებას იყენებდნენ (მფლობელობის საბუთთა საეჭვოდ გამოცხადება, ყალბი საბუთების შედგენა, უზომო გადასახადები, მიწების გაუფასურება, აშკარა ძალადობა...)[2]. მონღოლებს კარგად ესმოდათ, რომ

---

[1] А. Ю. Якубовский, Феодальное общество Средней Азии и его торговля с Вост. Европой в X—XV вв., Мат. по ист. Узб. Тадж. и Туркм. ССР, ч. 1; И. П. Петрушевский, Хамдалах Казвини как источник по социально-экономической истории Восточного Закавказья, «Изв. АН СССР», Отд. общ. наук, №4, 1937, стр. 873—920; А. М. Беленицкий, К вопросу о социальных отношениях в Иране в хулагуидскую эпоху, «Советское востоковедение», V, 1948, стр. 111—128; Сборник статей по истории Азербайджана, вып. 1, Баку, 1949, стр. 95—135; П. Т. Арутюнян, Освободительное движение армянского народа в первой четверти XVIII в., М., 1954, ss. 12.

[2] А. М. Беленицкий, К вопросу о социальных отношениях в Иране в хулагуидскую эпоху, «Советское Востоковедение», № V, 1948, ss. 112—113.

მიწების დაპატრონება იყო მათი დაპყრობილ ქვეყნებში ბატონობის ჰთავარი საწინდარი.

ადგილობრივი ფეოდალების მიწების დატაცება აღწერილი აქვს XVI ს-ის დამდეგის ისტორიკოსს ვასაფს[1]. ვასაფის ცნობების მიხედვით „ინჯუს“ მიწების გაცემა, განსაკუთრებით არღუნ-ყაენის დროს, წარმოებდა ადგილობრივი ფეოდალების საკუთრების ხარჯზე.

ანალოგიურ პროცესს, ფეოდალური უფლებების გადაჯგუფების ხაზით, ვხედავთ აღმ. ამიერკავკასიაშიც.

აზერბაიჯანსა და სომხეთში მონღოლ-თურქები იყვნენ გაბატონებული, ხოლო ამ ქვეყნების მაღალმთიანი ალპური საძოვრები და დიდ მდინარეთა (მტკვარი, არეზი) ველები მათი ყიშლაღებით და იალაღებით მოფენილი.

აზერბაიჯანში შირვანი და ყარაბაღი (არანი) წარმოადგენდნენ მომთაბარეების (მონღოლების, თურქების...) დასახლების მთავარ ტერიტორიას[2]. მონღოლურ ყიშლაღებს ეჭირათ ყარაბაღის მთიანეთის რაიონები, მუღანის ველი, მდ. ჩაღათუს ხეობები, ხოლო იალაღები განლაგებული იყო არდებილში, ყარაბაღში და ალადაღში, ვანის ტბის ჩრდილოეთით[3]. დასახლებული ადგილების მკვიდრი მოსახლეობა ფიზიკურად იქნა გაჟლეტილი, მონღოლთა მახვილს გადარჩენილი ნაწილი კი მიუვალსა და მწირს მთებს შეეხიზნა.

XIV ს-ის სპარსული ისტორიკოსის და გეოგრაფოსის ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობების მიხედვით მონღოლური „იკტას“ ინსტიტუტი დიდადაა გავრცელებული აზერბაიჯანში (შირვან-ყარაბაღში), მდ. მტკვარსა და მდ. არეზს შორის მდებარე ტერიტორიაზე. აზერბაიჯანშიც მონღოლთა პოლიტიკა ადგილობრივი ფეოდალების წინააღმდეგაა მიმართული. აქაც მათი მთავარი მიზანია გაბატონება ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში[3]. აღებული ხანის აზერბაიჯანის ისტორიის მკვლევარი ა. ალი-ზადე მონღოლთა ასეთი პოლიტიკის გამო შენიშნავს: «Поэтому они иногда быстро, а в ряде случаев постепенно, лишали местных старинных феодалов

---

[1] ვ ა ს ა ფ, თარიხ, ბომბეის ლითოგრაფიული გამოც., გვ. 230—231.

[2] И. П. П е т р у ш е в с к и й, Хамдалах Казвин как источник по социально-экономической истории Вост. Закавказья, «Изв. Академии Наук СССР», Отд. общ. наук, № 4, 1937, გვ. 882—883.

[3] იქვე, გვ. 883.

[4] А. А. А л и-З а д е, К вопросу об институте «инджу» в Азербайджане, ССИА, вып. 1, Баку, 1949, გვ. 97.

их земельной собственности»[1]. მონღოლ-თათართა ბატონობის ხანაში დაწყებული ეს პროცესი აზერბაიჯანში განსაკუთრებით ძლიერდება თემურ-ლენგის შემოსევებისა და თურქმანთა ბატონობის პერიოდებში.

მრავლად ჩამოსხდნენ მონღოლ-თურქები სომხეთის ტერიტორიაზეც. აქაც დამპყრობლებმა „ბევრი ოლქი ძალით წაართვეს მკვიდრ მფლობელებს“[2]. XIV ს-ის ერთი სომხური „ჰიშატაკარანის“ მიხედვით მონღოლთა ძალადობის და ქრისტიანული მოსახლეობის ამოწყვეტის შედეგად „ვინც გუშინ სახლის, ქონების და სხვა დოვლათის მფლობელი იყო, დღეს... დანაცრებულზე შიშველ-ტიტველი დარჩა“[3]. სომხეთშიც მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მომთაბარეთა გაბატონებას, მაგრამ ამ ბრძოლის შედეგიც ისეთივე იყო, როგორიც აზერბაიჯანსა და ირანში: «...во многих областях страны власть и распоряжение землей переходили часто в руки кочевников, место армянских феодалов занимала военно-кочевая знать. Часть армянских феодалов, вместе с подвластным ей населением, была истреблена или эмигрировала, часть же феодалов сохранилась, укрывшись в неприступных местах»[4]. სამხედრო-ნომადური არისტოკრატიას თან მოჰქონდა ახალი სოციალურ-უფლებრივი ნორმები, რომელთაც სათანადო გამოხატულება ჰპოვეს ახალ ტერმინებში[5]. ძველსომხური „ნ ა ხ ა რ ა რ ი“, „ნ ა ხ ა პ ე ტ ი“, „ტ ა ნ უ ტ ე რ ი“ და სხვა მრავალი ტერმინი შეცვალა „ხ ა ნ მ ა“, „მ ე ლ ი ქ მ ა“, „ბ ე გ მ ა“, „ა ღ ა მ“ და სხვ[6]. ყველა ამან გააპირობა სომხეთისათვის დამახასიათებელი ფეოდალური ურთიერთობის თანდათან აღმოსავლურ ყაიდაზე გარდაქმნა.

XIII—XV საუკუნეებში სომეხი და აზერბაიჯანელი ფეოდალების მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი სამხედრო-ნომადური არისტო-

---

[1] А. А. Али-заде, К вопросу об институте «инджу» в Азербайджане, ССИА, вып. I, Баку, 1949, გვ. 97.

[2] ს ტ ე ფ ა ნ ო ს ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სივნიეთის ისტორია (სომხურ ენაზე), თბ., 1910, გვ. 319.

[3] Материалы по истории армянского народа, книга вторая, памятные записи армянских рукописей XIV века, Ереван, 1950. ციტირებულია ჰ. არუტუნიანის წიგნის მიხედვით: П. Т. А р у т ю н я н, Освободительное движение армянского народа в первой четверти XVIII века, М., 1954, გვ. 9.

[4] П. Т. А р у т ю н я н, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

[5] იქვე.

[6] იქვე.

კრატიის წარმომადგენლებმა მიისაკუთრეს, რითაც მათს პოლიტიკურ ბატონობას მყარი საფუძველი შეექმნა. სომხეთშიაც და აზერბაიჯანშიც მნიშვნელოვნად შემცირდა წინათ აქ გაბატონებული ფეოდალური კლასი, რომლის ადგილი მომთაბარულმა არისტოკრატიამ დაიჭირა. ადგილობრივი ფეოდალები, მელიქების სახით, შემორჩნენ მხოლოდ სომხეთის და აზერბაიჯანის მთიან რაიონებს.

დამახასიათებელია, რომ ამიერკავკასიის მიწისმოქმედი მოსახლეობა, ისევე როგორც შუა აზიასა და ირანში, იძულებული იყო მიუვალ მთებს შეხიზვნოდა, რადგან აგროკულტურის ადგილები უკვე მომთაბარეებს ეჭირათ და ყველგან, მეჯოგიური მეურნეობისათვის ვრცელი უკაცრიელი ველების შესაქმნელად, შეგნებულად ნადგურდებოდა სოფლები, ქალაქები, დასახლებული პუნქტები; იქლიტებოდა მკვიდრბინადარი მოსახლეობა, ისპობოდა მარცვლეული კულტურის დარგები.

მონღოლთა შემოსევებისა და ბატონობის ერთი უმთავრესი შედეგთაგანი იყო დამუშავებული მიწის ფართობის მკვეთრი შემცირება (შუა აზიაში, ირანში, აღმ. ამიერკავკასიაში...). მარქსი მიუთითებდა, თუ როგორი დამღუპველი გავლენა მოახდინეს მონღოლთა შემოსევებმა დაპყრობილი ქვეყნების ეკონომიკაზე, ირიგაციაზე და სამიწათმოქმედო კულტურაზე[1].

ყაზან-ყაენის დროს, მართალია, მოხდა საირიგაციო ქსელის ნაწილობრივი აღდგენა, მაგრამ ფიქრიც კი არ შეიძლებოდა მიწის იმ ფართობის მორწყვასა და გაცოცხლებაზე, რომელიც XIII საუკუნემდე ირწყვებოდა[2].

აღმოსავლეთის ქვეყნების ისედაც მცირე მიწიანობის პირობებში ხელოვნური სარწყავი არხების მნიშვნელოვანი ნაწილის მოშლა-განადგურების შედეგად არ შეიძლებოდა კიდევ უფრო არ გაზრდილიყო უმიწაწყლო გლეხთა რაოდენობა. უმიწაწყლო გლეხობა კი მუდამ მტკიცე საფუძველს უქმნიდა მიწათსარგებლობის საიჯარო წესის ბატონობას. მონღოლთა დროიდან მოყოლებული ფართო გასაქანი მიეცა ფეოდალური ექსპლოატაციის რეაქციულ ფორმებს, რომელთა კონსერვაცია მომთაბარეთა განუწყვეტელი შემოსევების პირობებში გლეხს მეურნეობის ყოველგვარ სტიმულს უკარგავდა.

---

[1] К. Маркс, Хронологические выписки, I, Архив Маркса и Энгельса, т. V, стр. 221.

[2] И. П. Петрушевский, Из истории орошения и техники сельского хозяйства в Иране в XIII—XV веках. Ученые записки ЛГУ. Серия Востоковедческих наук, вып. 4, 1954, стр. 181.

მონღოლთა ბატონობის დროს და მომდევნო ხანაში სოფლის შეურნეობის ტექნიკა ერთ წერტილზე გაიყინა. ამ ჩამორჩენილობის მიზეზს ი. პეტრუშევსკი, სავსებით მართებულად, ნახულობს არა სოფლის მეურნეობის ტექნიკის პირობებში, არამედ შუა საუკუნეების ირანის სოციალურ ურთიერთობაში, რამდენადაც ირანის ფეოდალური საზოგადოება იმის სტიმულს არ იძლეოდა, რომ შექმნილიყო სოფლის მეურნეობის იარაღების უფრო მაღალი და გაუმჯობესებული ტიპები[1]. შრომის იარაღების გაუმჯობესებით დაინტერესებული არ იყო არც გლეხი და არც მიწისმფლობელი[2].

საქარავნო ვაჭრობის შედარებითი განვითარება, დანგრეული ქალაქების ნაწილობრივი აღდგენა და საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლება არ სცვლიდა ჩამორჩენილ ეკონომიურ ურთიერთობათა შინაარსს. XVI ს. სპარსელი ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ დანგრეული ქალაქები უფრო მეტი იყო, ვიდრე აღდგენილი ან ახლად დაარსებული.

მონღოლთა ბატონობის ხანის აღნიშნულ თავისებურებათა გათვალისწინება აუცილებელია მომდევნო საუკუნეების ირანის და აღმ. ამიერკავკასიის სოციალ-ეკონომიური წყობის დასახასიათებლად.

მომთაბარენი ცდილობდნენ საქართველოს დაპყრობასაც.

საქართველოსაც მონღოლები „მოეფინეს მსგავსად მკალთა ოჯრებად და ჭცადა“ (ყამთააღმწერელი).

მონღოლ-თათართა ბატონობის დროს „შეიცვლებოდეს ყოველნი მკუიდრნი საქართველოსანი ამიერისანი“[3]. მტრის მიერ შევიწროებული ქართველები თვით „ციხეთა და მაგართა ადგილთა დაუტეობდეს და ივლტოდეს კავკასიად“[4]. ასეთივე მდგომარეობა იყო საქართველოში თემურ-ლენგის ურდოთა შემოსევების დროს. ქართული მიწების მიტაცებას ცდილობდნენ აგრეთვე თურქმანები, ყიზილბაშები, ოსმალები. მაგრამ ის რაც მოხდა მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, მცირე აზია, ირანი, შუა აზია, ჩრდილოეთ ინდოეთი...), არ მომხდარა საქართველოში. აქ ბატონობა შეინარჩუნეს ქართველმა ფეოდალებმა, რომელთა კლასობრივი ბატონობის დასაყრდენს ადგილობრივ ნიადაგზე განვითარებული სოციალ-ეკონომიური წყობა წარმოადგენდა.

---

[1] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 187.

[2] იქვე, გვ. 187—188.

[3] ყამთააღმწერელი, გვ. 595.

[4] იქვე.

საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ არ მოხდა საქართველოში ის, რაც, მაგალითად, მოხდა სომხეთსა და აზერბაიჯანში, მეტად თავისებურად აქვს დასმული და განმარტებული პროფ. ი. პეტრუშევსკის.

პროფ. ი. პეტრუშევსკი სამართლიანად მიუთითებს აზერბაიჯანის და სომხეთის სოციალური და პოლიტიკური ისტორიის საერთო პრობლემებზე არა მარტო იმ თვალსაზრისით, რომ ისინი წარმოდგენილი იყვნენ ერთსა და იმავე დიდ პოლიტიკურ წარმონაქმებში (ილხანები, თურქმანები, ყიზილბაშები), არამედ განსაკუთრებით იმ თვალსაზრისით, რომ «...в обеих странах к началу XVI в. сложились в основном сходные особенности феодальных отношений»[1]. ამ დებულების საფუძველს, როგორც ვხედავთ, წარმოადგენს ფეოდალურ ურთიერთობათა მსგავსება სომხეთსა და აზერბაიჯანში.

ი. პეტრუშევსკის გათვალისწინებული აქვს აზერბაიჯანის და სომხეთის ფეოდალური განვითარების სპეციფიკური თავისებურებანიც. იგი მართებულად მიუთითებს სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების ისტორიული განვითარების თავისთავადობაზე, თითოეული მათგანის დამოუკიდებლად განვითარებულ ეკონომიკაზე, ყოფაცხოვრებასა და კულტურაზე[2]. მაგრამ, ამავე დროს, ყველა ამის მიუხედავად, ხაზგასმული აქვს ორივე ქვეყნის ფეოდალურ ურთიერთობათა მსგავსება.

საერთო ფეოდალური ინსტიტუტების წარმოშობა და ფეოდალურ ურთიერთობათა დამსგავსება გამოწვეული იყო დასახელებულ ქვეყნებში მომთაბარეთა ხანგრძლივი ბატონობით[3].

ი. პეტრუშევსკი ამ მსგავსების საფუძველს სავსებით მართებულად მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმებში ნახულობს. მიწისმფლობელობის წესების თავისებურებათა გათვალისწინება მკვლევარს საბაბს აძლევს აღნიშნოს ის განსხვავებაც, რომელიც არსებობს ქართულსა და ყიზილბაშურ-ირანულ ფეოდალიზმს შორის.

---

[1] И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX в., Л., 1949, გვ. 64.

[2] იქვე, გვ. 66.

[3] იქვე, გვ. 64.

ამგვარი შეხედულება ი. პეტრუშევსკის გამოთქმული აქვს ადრეც[1], ხოლო შემდეგ არა ერთხელ აღნიშნული.

ი. პეტრუშევსკი, როცა იგი აღნიშნავს, აზერბაიჯანისაგან და სომხეთისაგან განსხვავებით, ქართული ფეოდალური სისტემის და სახელმწიფოებრივი წყობილების თავისებურებას, ცდილობს ახსნას თუ რატომ არ მოხდა საქართველოში ის, რაც მოხდა სომხეთსა და აზერბაიჯანში: «Теже завоеватели старались утверждать свое владычество и в Грузии, но они никогда не могли уничтожить грузинской государственности и грузинской феодальной системы, довольсвуясь вассальным подчинением себе царств Грузии и получением дани от них. Одной из причин этого было то что, в Грузии не было обширных пастбищ и больших возможностей для кочевого скотоводческого хозяйства. Благодаря этому, завоеватели-кочевники (сельджуки, монголы, туркмены) не поселялись внутри Грузии и не были заинтересованы в непосредственном установлении своих форм управления в этой стране. Не то было в Армении и в большей части Азербайджана, вплоть до р. Куры на севере. Обе эти страны славились прекрасными пастбищами, каких не было в Иране... земли старинных местных феодалов здесь в течение XIII—XIV вв. постепенно перешли в руки наследственных вождей кочевых племён»[2].

ჩვენ განგებ მოვიტანეთ ასე გრძლად ი. პეტრუშევსკის მონოგრაფიულ გამოკვლევიდან დამოწმებული ციტატი. როგორც ვხედავთ, ი. პეტრუშევსკი, ერთი მხრივ, აღნიშნავს მომთაბარე დამპყრობელთა მისწრაფებას დაამყარონ თავიანთი მფლობელობა საქართველოში, ხოლო, მეორე მხრივ, მიუთითებს იმაზე, რომ ისინი უშუალოდ დაინტერესებული არ იყვნენ იმით, რათა საქართველოში მმართველობის თავიანთი ფორმები შემოეღოთ. ამრიგად იმის ე რ თ - ე რ თ ი მიზეზი (ი. პეტრუშევსკი სხვა მიზეზებს არ ასახელებს) რომ მომთაბარე ტომებს არ მოუსპიათ ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემა, მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოში არ არსებობდა მეჯოგური მეურნეობისათვის საჭირო საძოვრები. მაგრამ განა ასეთი საძოვრები არსებობდა აღმ. ამიერკავკასიის კულტურულ ქვეყნებში (სომხეთში, აზერბაიჯანში...), სანამ აქ

---

[1] И. П. Петрушевский, Персидские официальные документы XVI—начала XIX вв. как источник для истории феодальных отношений Азербайджана и Армений, «Проблемы источниковедения», т. III, 1940.

[2] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

ინტენსიურ მეურნეობას ექსტენსიური მეურნეობა შეცვლიდა? ამგვარი ახსნა (საკმაოდ მარტივი და თანაც უსაფუძვლო) ოდნავაც არ გვეხმარება გადაეჭრათ საკითხი, რომელიც ქართული ფეოდალური საზოგადოების, ფეოდალური სისტემის, პოლიტიკური ორგანიზაციის, მეურნეობის, კულტურის და იდეოლოგიის შენახვა-გადარჩენის მიზეზების დადგენას მოითხოვს.

მომთაბარე დამპყრობლებს, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, მზამზარეული საძოვრები არსად არ ხვდებათ. ისინი პირველყოფილ საძოვრებს ჰქმნიდნენ ინტენსიური მეურნეობის განადგურების ხარჯზე. მონღოლები და, საზოგადოდ, ყველა მომთაბარე დამპყრობლები, ყველგან „თავიანთი წარმოების შესაბამისად მოქმედებდნენ“[1].

მართებული არაა პროფ. ი. პეტრუშევსკის მტკიცება, რომ მომთაბარე დამპყრობლები (სელჩუკები, მონღოლები, თურქმანები) არ სახლდებოდნენ საქართველოში და დაინტერესებული არ იყვნენ აქ მმართველობის თავიანთი ფორმების შემოღებით. ისტორია გვიჩვენებს, რომ ადრე ამით დაინტერესებული იყვნენ არა მარტო დასახელებული დამპყრობლები, არამედ გვიან ყიზილბაშებიც და ოსმალებიც.

მომთაბარული ტომები იმთავითვე დაჟინებით ცდილობენ ფეხი მოიკიდონ საქართველოს ტერიტორიაზეც. ქართული მიწებისათვის ბრძოლას ისინი XI საუკუნიდან აწარმოებდნენ. მაგრამ ქართული მიწების დაპყრობისათვის აუცილებელი იყო აღმ. ამიერკავკასიის შემომტკიცება. ამდენადვე ფეოდალურ საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლას მომთაბარეების წინააღმდეგ. თავის მხრივ ქართველები ცდილობენ გზა შეუკრან მათ კავკასიის შორეულ მისასვლელებზე. ამგვარ ღონისძიებათა ნაყოფია ამიერკავკასიის ხალხთა შეკავშირება, რომელიც კავკასიის გაერთიანებას ისახავდა მიზნად.

მომთაბარეთა განუწყვეტელი შემოსევები (მონღოლები, თემურ-ლენგი, თურქმანები, ყიზილბაშები, ოსმალები...) სულ ახალ და ახალ დაბრკოლებებს უქმნიან კავკასიის გაერთიანების საქმეს. ეს დიდი პოლიტიკური ამოცანა XVI ს-ში მარცხს განიცდის.

აღნიშნული გარემოებანი გვავალებს შევისწავლოთ XIII—XVI სს. ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის საერთო სოციალურ-ეკონომი-

---

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბილისი, 1953, გვ. 277.

ური და პოლიტიკური ხასიათის მოვლენები არა განცალკევებულად, არამედ ურთიერთთან მჭიდრო კავშირში.

მომთაბარეთა შემოსევა—ბატონობასთან დაკავშირებული ისტორიული პროცესები, მახლობელ აღმოსავლეთში განუწყვეტლივ რომ მიმდინარეობენ, თავის გამოვლინებას პოულობენ ფეოდალურ საქართველოშიც, ოღონდ განსხვავებული შედეგებით, რომლის ახსნაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავუკავშიროთ მომთაბარე დამპყრობლების „ინდიფერენტულ“ განწყობილებას საქართველოს მიმართ, როგორც ამას პროფ. ი. პეტრუშევსკი ფიქრობს.

მომთაბარეთა შემოსევას და ბატონობას საქართველოში ისევე თან სდევდა აგრიკულტურის ტერიტორიის დაკარგვა და „მამულების ამოძრავება“, როგორც მახლობელ აღმოსავლეთსა და აღმ. ამიერკავკასიაში.

ცნობილია, რომ XI ს-ის გარკვეულ პერიოდში თურქ-სელჩუკები იპყრობენ საქართველოს სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს, მტკვრის, ალაზნის და ივრის ხეობებში შემოჰყავთ თავიანთი ოჯახები და ჯოგები, აქაც ისინი, ცხადია, საძოვრებისათვის მოდიოდნენ, რითაც უდიდეს საფრთხეს უქმნიდნენ ინტენსიურ მეურნეობას.

მონღოლთა ბატონობის ხანა საქართველოშიც აღინიშნა ნომადური საზოგადოების, მისი ტერიტორიის გარკვეულ ნაწილებში „დაჯდომით“ (მდ. მტკვრის, იორის, ხრამის და დებედას ხეობები). ასე რომ მონღოლებიც (და მათთან დაკავშირებული სხვა მომთაბარული ტომები, უპირატესად თურქები) ისევე სახლდებიან საქართველოს შიგნით, როგორც მანამდე თურქ-სელჩუკები სახლდებოდნენ.

მონღოლთა ბატონობის პერიოდის საქართველოში ისეთსავე მოვლენებთან გვაქვს საქმე, როგორსაც აღმ. ამიერკავკასიის ქვეყნებში და მთელს მახლობელ აღმოსავლეთში ვხვდებით.

მონღოლთა მფლობელობის დამყარებიდან,— აღნიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი,—საქართველოს აგრიკულტურა თანდათან ჰკარგავს ტერიტორიებს, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ ფეოდალური მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. მკვლევარი მიუთითებს აღნიშნული მოვლენის შედეგებს, სახელდობრ იმას, რომ მტკვრის, იორის, ხრამის და დებედას ხეობებიდან მიწისმოქმედი მოსახლეობა სულ უფრო და უფრო უკან იხევს უბინადროთა მოძალების შედეგად და კულტურული მეურნეობა განვითარებული

მელორაციით ადგილს უთმობს პირველყოფილ საძოვრებს[1]. მაგრამ სიძნელეები, განაგრძობს ნ. ბერძენიშვილი, ამით არ ამოწურულა: მომთაბარული მესაქონლეობის დამკვიდრება მდინარეთა ველებზე აპირობებდა მეჯოგეთა მიერ მაღალმთიანი საძოვრების მიტაცებასაც. ეს საძოვრები ეჭირათ ან ქართველი ფეოდალების ჯოგებს ანდა მიწისმოქმედ მოსახლეობას. ამიტომ, მომთაბარე-მეჯოგეთა გამარჯვების შედეგად ქართული ფეოდალური მეურნეობა იდევნებოდა არა მარტო მდინარეთა ნაყოფიერი ველებიდან, არამედ საუკეთესო მაღალმთიანი საძოვრებიდანაც... ძნელად მისაწვდომი მთები მწირი კლდეღრეები და გაუვალი ტყეები რჩებოდა დამარცხებულთა ხვედრად. სოფლის მეურნეობის დაცემასთან ერთად ეცემა ხელოსნობა და ვაჭრობა. ასეთ პირობებში მონღოლთა საქალაქო გამოსაღები აუტანელი ხდება ქალაქების დაღარიბებული მოსახლეობისათვის. მცირდებიან და თანდათან ცალიერდებიან მსხვილი ფეოდალური ქალაქები. გარბიან ხელოსნები და წვრილი ვაჭრები, ბოლოს ქალაქის გამგებლებიც. არანაკლებ გამანადგურებელია სოფლისა და ქალაქის მოსახლეობისათვის ომი (ოქროს ულუსსა და ილხანებს შორის), რომლის მთავარ ასპარეზსაც უპირატესად ამიერკავკასიის ტერიტორია წარმოადგენს. ამ ომების შედეგი იყო, გარდა ჩვეულებრივი რბევა-აოხრებისა, სავაჭრო-საქარავნო გზის ამიერკავკასიიდან შორს სამხრეთით გადანაცვლება, რის გამოც ფეოდალურ ქვეყანას მნიშვნელოვანი შემოსავალი მოაკლდა. ყველა ეს მოვლენები, ერთად აღებული, ჰქმნიან პირობებს, რომელნიც აფერხებენ ფეოდალურ საქართველოს შემდგომ სამეურნეო ზრდა-განვითარებას[2].

ნ. ბერძენიშვილის მიერ აღწერილი სურათი, აღებული თათართა ბატონობის ხანის საქართველოს სინამდვილიდან, კარგადაა ცნობილი ამავე ხანის მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. აღწერილი მოვლენები საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთისათვის იმდენად იდენტურია (მიწისმოქმედი მოსახლეობის მთებით შემოზღუდვა, აგრიკულტურის ტერიტორიების, განვითარებული საირიგაციო ქსელით, პირველყოფილ საძოვრებად გადაქცევა; სოფლის მეურნეობის დაცემა, ქალაქების განადგურება და დაღარიბება, ხელოსნობის და ვაჭრობის დაცემა; გაუთავებელი ომები და ამ გამანადგურებელი ომებით გამოწვეული სავაჭრო-საქარავნო

---

[1] Н. А. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.), Тбилиси, 1938, გვ. 10.

[2] იქვე, გვ. 10—11.

გზების ხშირი გადანაცვლება), რომ უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ საერთო ისტორიულ მოვლენებზე.

მცდარი იქნებოდა გვეფიქრა რომ მონღოლები საერთოდ არ ცდილობენ ხელი დასდონ ქართულ მიწისმფლობელობას. საამისო ნიადაგს თავისთავად ამზადებს მონღოლთა მფლობელობის ხასიათი: საქართველო დივანის (მონღოლთა სახელმწიფოს) ქვეყანაა, აქვე არსებობს ხას-ინჯუს ინსტიტუტი, ხოლო ქართველ ფეოდალთა მამულებზე მონღოლური ხარკია დაწესებული[1]. ამავე დროს, თავიანთი პოლიტიკური ბატონობის უზრუნველსაყოფად მონღოლები ცდილობენ ეკონომიურად დაასუსტონ ქართველი აზნაურები, განსაკუთრებით ისინი, ვინც მეფის ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდნენ. გასაგებია, რომ ყველაზე მძიმე მდგომარეობაში საშუალო და წვრილი ფეოდალები აღმოჩნდნენ. მონღოლური ხარკის შედეგი იყო „მამულების ამოძრავება" XIII ს-ის საქართველოში.

„მამულების ამოძრავება" საქართველოშიც თათართა ბატონობის მნიშვნელოვან გამოვლინებას წარმოადგენდა.

მონღოლურმა ხარკმა გლეხებისაგან დააცარიელა მიწები, გაუკაცრიელებული მიწები კი მძიმე ტვირთად დააწვათ ფეოდალებს. ფეოდალი ცდილობს ხელიდან გაიცალოს მამული და ჩალის ფასად ჰყიდის მას: „მათ ჯამთა დია ქვეყანანი დაისყიდნეს ხარკობისაგან, ოქროჲ ძუირად იყვის და სოფელი იეფად"[2].

მამულის დაკარგვით ქართველი აზნაურიც ჰკარგავს თავისი სოციალური და ეკონომიური ძლიერების საყრდენს. „მამულების ამოძრავებას აზნაურთა სახლების ამოძრავება თან სდევდა: მამულდამცრობილი აზნაური სისხლით დამცრობის საფრთხის წინაშე დგებოდა. მცირდებიან და ქრებიან ძველი საგვარეულოები... მცირე **გამონაკლისით ნაგვიანევი ხანის** დიდი ფეოდალური საგვარეულოები თითქმის ყველა XIII საუკუნის შემდეგდროინდელი წარმონაქმი არიან"[3]. ანალოგიურ პროცესს ვხედავთ აღმ. ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში ოღონდ იმ განსხვავებით, რომ საქართველოში უცვლელი რჩება ფეოდალთა კლასის ეთნიკური შემადგენლობა.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულთა ბრძოლიდან XIII ს. საქართველოში, სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, თბ., VII, 1938, გვ. 209; მისივე, საქართველოს ისტორია მე-13—14 სს., გვ. 294.

[2] ქრონიკები, II, გვ. 133.

[3] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 291.

საადგილმამულო უფლებების ახალი გადანაწილება-გადაჯგუფება საქართველოშიც ჩვეულებრივ თან სდევს მომთაბარეთა ახალი ტალღის შემოჭრას. ასე მოხდა XV საუკუნეშიც, როცა ქვეყანამ გამოსცადა თემურ-ლენგის გაუთავებელი ლაშქრობანი და რბევა-აოხრება. „ეს ხანა საერთოდ ხასიათდება ახალი მფლობელი სახლების გამოჩენით"[1].

ამ დროსაც მთელი ქვეყანა, განსაკუთრებით აღმ. საქართველო, მოფენილი იყო ნასოფლარებით, ნაციხარებით, ნაქალაქარებით. მამულები „უსჯულოთა აგარის ნათესავთა ხელით განრყვნილი და ოხერქმნილი იყვნენ". უარესი ის იყო, რომ ახალ მამულებზე გლეხობა აღარ იჯდა და ბეგრის გამომღებნიც გადაშენებულიყვნენ[2]. მსგავს მოვლენებს, როგორც ზემოთ მივუთითეთ, თათართა ბატონობის ხანაშიც ჰქონდა ადგილი. მაგრამ „იმ კატასტროფამ, რომელიც საქართველოს... ლანგ-თემურმა დაატეხა თავს წინა საუკუნის დამლევს, საუკეთესო ნიადაგი შექმნა ფეოდალური უფლებების ხელახალი განაწილებისათვის, მათი გადაჯგუფებისათვის, ძალთა ახალი განლაგებისათვის. მსგავსი ამბები წინათაც არა ერთხელ ჰომხდარა, მაგრამ ახლა გარდატეხა მაინც მეტად მკვეთრი იყო"[3].

აკად. ს. ჯანაშია ამ მოვლენის შეფასებისას აღნიშნავს: „მთელი ქვეყნის ცხოვრება საძირკვლებამდის იყო შერყეული. საზოგადოებრივ კლასთაგან, საბოლოო ანგარიშით, ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, ისევ გლეხკაცობა დაზარალდა; მაგრამ არც ფეოდალებს დასდგომიათ კარგი დღე. კერძოდ, არა ერთი უძველესი ფეოდალური სახლი, თავისი ჩამომავლობით და შეძლებით მოქადული, მოიშალა და გადაშენდა... ზოგჯერ საგვარეულოს უფროსი შტო უმცროსს უთმობდა თავის ადგილს, უფრო ხშირად კი სენიორი—ვასალს; მაგრამ არც ის იყო იშვიათი, რომ მანამდის სრულიად უჩინარი კაცი ასეთს მიგდებულ „საბატონოს" შოულობდა, ე. ი. უპატრონოს ძალით ეპატრონებოდა, ან ჩალის ფასად ყიდულობდა, ან მეფეს „საკარგყმოდ" თავს შეაწყალებდა. მეფეებიც, რომელთაც არანაკლებ შემოლეოდათ ყმები და ვასალები, „შეწყალებულებს" „ლოცავდნენ", ახლადგაცემული მამულების „საჭერად" და „საჭმელად"[4].

მომთაბარეთა ბატონობა, როგორც ვხედავთ, იწვევს ფეოდალური უფლებების გადაჯგუფებას, მაგრამ ამით სრულიადაც არ

---

[1] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის, შრომები, II, გვ. 464.
[2] იქვე, გვ. 465.
[3] იქვე, გვ. 464.
[4] იქვე, გვ. 464—465.

იცვლება ქართული ფეოდალური წყობილება, როგორც ამას ვხედავთ აღმ. ამიერკავკასიის ქვეყნებში, სადაც ანალოგიური მოვლენის განვითარება გვაძლევს აღმოსავლურ მიწისმფლობელობას და აღმოსავლურ ფეოდალურ ინსტიტუტებს.

თათართა მფლობელობის განსხვავებული შედეგები საქართველოსა და აღმ. ამიერკავკასიაში აიხსნება იმით, რომ ფეოდალური უფლებების გადაჯგუფება საქართველოში აღმოცენებული არაა მიწის ფეოდალური საკუთრების ახალ, ქართველი ფეოდალებისათვის მიუღებელ ფორმებზე.

აღზევებული ქართველი ფეოდალი დამცრობილის ადგილს იჭერს ისე, რომ უცვლელი რჩება ფეოდალური უფლების სოციალური და ეკონომიური საფუძველი. აღსანიშნავია, რომ „სწორედ ამ ხანაში, გადასული ან ჩამომცრობილი მებატონის ადგილას ახალი დამჯდარა თუ „დაუსვამთ", რაც, ძველი ფეოდალური სახლის შეთვისებითაც დამთავრებულა"[1]. ის გარემოება, რომ ახალი მებატონის ძველი ფეოდალური სახლის მამულზე დაჯდომა ჩვეულებრივ გვარის განახლებით მთავრდება მოწმობს, რომ შეურყეველად ბატონობს აღმოსავლურისაგან განსხვავებული ქართული სამამულო სისტემა.

აღმ. ამიერკავკასიაში და მახლობელ აღმოსავლეთში კი, პირიქით, სულ უფრო და უფრო სუსტდებიან ის ფეოდალური ძალები, რომელნიც უშუალოდ იყვნენ დაინტერესებული მიწის ფეოდალური საკუთრების ადგილობრივი ფორმების და კლასობრივი ბატონობის ადგილობრივი პოლიტიკური ორგანიზაციის დაცვით. სომხეთში თურქმანები ბატონობენ, აზერბაიჯანში განუწყვეტლივ მიმდინარეობს მომთაბარული ელემენტის ზრდა. დასახელებულ ქვეყნებში გაბატონებული სამხედრო-ნომადური არისტოკრატია, ცხადია, ცდილობს მისთვის დამახასიათებელი მიწისმფლობელობის, ექსპლოატაციის წესის და კლასობრივი ბატონობის საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაციის განმტკიცებას. XII—XV საუკუნეებში მიმდინარეობს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ერთიმეორის გამომრიცხველ საზოგადოებასა და მეურნეობას შორის.

იმავე XV ს-ის საქართველოში ახლად აღზევებული თუ მამულ-დამცრობილი ქართველი ფეოდალები ენერგიულად იცავენ მათი კლასობრივი ბატონობის ეკონომიურ დასაყრდენს: მიწის ფეოდალური საკუთრების ადგილობრივ ნიადაგზე განვითარებულ ფორ-

---

[1] ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 466.

მებს, რომლის ლიკვიდაციამ, მომთაბარე ფეოდალების მხრივ. არ შეიძლება არ გააპირობოს ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა.

კიდევ მეტი: ქართველი ფეოდალები ცდილობენ აღადგინონ ქართული მიწისმფლობელობა საქართველოს იმ ნაწილებში, სადაც ახლა მომთაბარული ტომები არიან გაბატონებული. თურქმანების ჩამოსხდომა აქ, ჩანს, კარგა ხნის წინათ მომხდარი ფაქტია. აკად. ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ თურქმანთაგან გათავისუფლებულ ტერიტორიაზე მამულების აღდგენა ხდება არა მარტო სამამულო სიგელებით, არამედ იმის მიხედვითაც, თუ ვის რა სმენოდა პაპათა და მამათაგან[1].

მაგრამ მდგომარეობა კვლავ უარესდება XV ს-ის მეორე ნახევარში, როცა მახლობელ აღმოსავლეთში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამბები ხდება. ოსმალეთმა ბოლო მოუღო ბიზანტიის და ტრაპიზონის საკეისროებს, ხოლო 1475 წელს დაიპყრო ყირიმის ნახევარკუნძული, რითაც მან შავი ზღვა „თურქეთის ტბად“ აქცია. იმავე საუკუნის 60-იან წლებში ნაკლებ ძლიერი შავბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოს ადგილი ამიერკავკასიის მეზობლად შედარებით უფრო ძლიერმა თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფომ დაიჭირა. სომხეთში თურქმანებმა ხელი დასდეს ადგილობრივი ფეოდალების მიწებს.

XVI ს-ში ამიერკავკასიის მნიშვნელოვან ნაწილში ყიზილბაშები და ოსმალები ამთავრებენ თურქ-სელჩუკების, მონღოლების და თურქმანების მიერ დაწყებულ საქმეს—აღმოსავლური მიწისმფლობელობის საფუძველზე ამიერკავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ ორგანიზაციას.

ადგილობრივი ფეოდალები, რომელთაც თავი შემოინახეს აღმ. ამიერკავკასიაში, იძულებული არიან შეინარჩუნონ მიწები აღმოსავლური მიწისმფლობელობის საფუძველზე. აქაც ფეოდალი „მიწას გაჰყვა“ ისევე, როგორც „მიწას გაჰყვა“ გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალი ოსმალურ სამცხე-საათაბაგოში. ამასთან მიწის შენარჩუნების მთავარი პირობა გამაჰმადიანება იყო. კლასობრივი ინტერესები ადგილობრივ ფეოდალებს უკარნახებს დაიცვან მიწის ფეოდალური საკუთრების ახლად შემოღებული წესები და ამ წესე-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 34.

ბით გაპირობებული გარეეკონომიური იძულების ფორმები[1]. ადგილობრივი ფეოდალები ჰქმნიან სრულიად გარკვეულ ჯგუფს გაბატონებული ფეოდალური კლასის წიაღში.

XVI საუკუნის აღმ. ამიერკავკასიასა და ირანში გაბატონებული ფეოდალური კლასი შედგებოდა შემდეგი ჯგუფებისაგან:

1. სამხედრო-ნომადური არისტოკრატია (ამირები).
2. ძველი ფეოდალური სახლების ჩამომავლები (მელიქები).
3. საეკლესიო ფეოდალები (მუსლიმანური და ქრისტიანული).
4. სამოქალაქო ბიუროკრატია (ვეზირები, მუსტოფები, მდივნები, მწერლები...).

აქედან წამყვან როლს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სამხედრო-ნომადური არისტოკრატია ასრულებდა. მის პოლიტიკურ წონას დიდად ზრდიდა დაპყრობილ ქვეყნებში მიღებული მიწები.

გაბატონებული კლასის ამგვარი დანაწევრება ფეოდალურ საქართველოსათვის უცხო და უცნობი იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთში არ არსებობდა აზნაურთა საზოგადოებრივი ფენა, რაც ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას ერთბაშად ასხვავებს აღმოსავლურ ფეოდალურ საზოგადოებისაგან. აზნაურთა არ არსებობას ირანში ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ XVII ს-ის ფრანგმა მოგზაურმა შარდენმა.

ამიტომ არ შეიძლება მცდარი არ იყოს პროფ. ს. კაკაბაძის მოსაზრება საქართველოსა და ამიერკავკასიის დანარჩენი ნაწილების სოციალური წყობის ერთიანობის შესახებ XVI—XVIII საუკუნეებში[2].

---

[1] ცხადია ეს არ გამორიცხავს მიწისმფლობელობის ძველი წესების გადმონაშთის სახით არსებობას. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ე. წ. „მუსლიმანური საქართველო", სადაც დიდხანს შეინახეს თავი მიწის ფეოდალური საკუთრების ქართულმა თავისებურებებმა, რის გამოც „მუსლიმანური საქართველო" მუდამ ინარჩუნებდა მეტად თავისებურ მდგომარეობას ოსმალეთის პოლიტიკურ ორგანიზმში. თავისთავადი ეკონომიური, ყოფაცხოვრებითი და კულტურული თავისებურებანი ყოველთვის სთიშავდა აღმ. ამიერკავკასიის ქვეყნებს ყიზილბაშთა სახელმწიფო ორგანიზაციას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მის პროვინციებად იყვნენ ქცეული. აღმ. ამიერკავკასიაში არასოდეს არ გამქრალა და მუდამ ცოცხლობდა პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის იდეა. დამახასიათებელია, რომ რუსეთთან ურთიერთობას ამყარებენ ამ ქვეყნების სწორედ ის პროგრესული ძალები, რომელნიც მკვეთრად უპირისპირდებოდნენ დამპყრობლებთან დაკავშირებულ ფეოდალურ რეაქციას.

[2] С. Какабадзе, Черты феодального строя в Грузии и ханствах Закавказья в новые века, «Бюллетень Кавказского историко-археологического института АН СССР», № 8, Тбилиси, 1931, გვ. 10.

პროფ. ს. კაკაბაძის შეხედულებით სოციალური იერარქია დაახლოებით ერთი და იგივეა. ქართველი (ქართლის, კახეთის და სხვ.) მეფეები თავიანთი უფლებრივი მდგომარეობით უთანასწორდებიან ხანებს, ქართველი თავადები (князья) —მუსლიმანური ამიერკავკასიის ბეგებს და სომეხ მელიქებს. თავადებს მოსდევენ აზნაურები, რომელთაც მუსლიმანურ ამიერკავკასიაში უთანასწორდებიან მოაფები. შემდეგ მოდის გლეხთა ძირითადი მასა გ ლ ე ხ ი ს საერთო სახელწოდებით, ხოლო ამიერკავკასიის სახანოებში რაიათის სახელწოდებით. გლეხთა ყველაზე დაბალ ფენას საქართველოში შეადგენენ ნასყიდი ყმები და მოჯალაბენი (მოჯალაბე— принадлежащий семье), რომელთა ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან ამიერკავკასიის სახანოების რანჯბარები (речбары). ნასყიდი ყმები და რანჯბარები, აღნიშნავს ავტორი, ყველაზე უუფლებო გლეხთა კატეგორიას შეადგენენ და, მდგომარეობით, თითქმის მონებს უახლოვდებიან. მათი რაოდენობა, გლეხთა ძირითად მასასთან შედარებით, დიდი არ იყო[1].

ამ მეტისმეტად გამარტივებულ სოციალური იერარქიის სქემას არაფერი აქვს საერთო არც ქართულ, არც აღმოსავლურ ფეოდალურ სინამდვილესთან.

აღმ. ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში გაბატონებული ფეოდალური კლასი, როგორც ვნახეთ, ოთხ მთავარ ჯგუფად არის დაყოფილი (ამირები, საეკლესიო ფეოდალები, მელიქები, სამოქალაქო ბიუროკრატია). ფეოდალების ამგვარი დანაწევრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფეოდალური უფლებების გადაჯგუფებასთან XIII—XVI საუკუნეებში. ფეოდალური უფლებების გადაჯგუფების ხასიათი კი სულ სხვა იყო აღებული ხანის საქართველოში. „მამულების ამოძრავების“ სრულიად განსხვავებული შედეგები თავისთავად გამორიცხავდნენ აღმ. ამიერკავკასიის დამახასიათებელ სოციალური იერარქიის გაბატონებას საქართველოში.

XVI ს-ის სპარსულ ოფიციალურ წყაროებში ქართველ მეფეებს ხანები (შაჰის მოხელენი) ეწოდებათ, ქართველ ფეოდალებს ამირები, გლეხებს რაიათები. მაგრამ განა ირანის მთავრობის ოფიციალური თვალსაზრისი შეიძლება მივიჩნიოთ წყაროდ XVI—XVIII სს. ქართული ფეოდალური სინამდვილის დასახასიათებლად?

ფეოდალურ საქართველოში ასეთ საზოგადოებრივ დანაწევრებას მივიღებდით იმ შემთხვევაში, თუ აქ გაბატონდებოდა მიწის

[1] С. Какабадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 10—11.

ფეოდალური საკუთრების აღმოსავლური ფორმები და, მის საფუძველზე, ქართველი ფეოდალების ადგილს მომთაბარული არისტოკრატია დაიჭერდა. მაგრამ ფეოდალურ საქართველოში, მიუხედავად მომთაბარეების შემოსევებთან დაკავშირებული „მამულების ამოძრავებისა“, უცვლელი დარჩა გაბატონებული კლასის ეთნიკური შემადგენლობა.

ქართველი გლეხების ექსპლოატატორები მხოლოდ ქართველი ფეოდალები იყვნენ (მეფე, თავადი, თავადიშვილი, აზნაური). მაშინ, როდესაც აღმ. ამიერკავკასიის სახანოებში ამ როლს მეტწილად ყიზილბაში ხანები, ამირები, ბეგები, აღალარები და საფინანსო მოხელეები ასრულებდნენ. მელიქებს (ადგილობრივ ფეოდალებს) სამხედრო-ნომადური არისტოკრატია ითმენდა და იყენებდა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის ექსპლოატაციის უზრუნველსაყოფად, თავისი კლასობრივი ინტერესების განსამტკიცებლად[1]. ამდენადვე დაუშვებელია ქართველი გლეხის რაიათთან გაიგივება. დამახასიათებელია რომ, ქართულ წყაროებში ქართველ გლეხს „რაიათი“ ეწოდება მხოლოდ „ოსმალობის“ დროს (XVIII ს-ის მეორე მეოთხედში). ეს კი, როგორც ამას თავის ადგილზე ვნახავთ, უშუალოდ იყო დაკავშირებული „თათრის ხარაჯობასთან“.

ისმის კითხვა: რითი და როგორ შეინარჩუნეს ქართველმა ფეოდალებმა ბატონობა? რატომ არ მოხდა საქართველოში ის, რაც მოხდა მთელ მახლობელ აღმოსავლეთსა და აღმ. ამიერკავკასიაში, სადაც ძველი ფეოდალური სახლების ნაშიერები იძულებული იყვნენ პირველობა ამირებისათვის დაეთმოთ? რით გადარჩა ქართველ ფეოდალთა კლასობრივი ბატონობის პოლიტიკური ორგანიზაცია—თავადურ-ბატონყმური სახელმწიფო? ზემოთ განვითარებული მსჯელობა, ვფიქრობთ, შესაძლებლობას გვაძლევს უკანასკნელად დასმულ კითხვას დაუყოვნებლივ ვუპასუხოთ: ქართულმა მიწისმფლობელობამ უზრუნველყო ქართული ფეოდალური წყობილების არსებობა.

მაგრამ ეს არ იქნება პასუხი კითხვაზე, თუ როგორ გაუძლო ქართულმა ფეოდალურმა საზოგადოებამ მომთაბარეთა განუწყვეტლივ შემოსევებს, რადგან თავის დროზე სომხეთსა და აზერბაიჯანშიც ისევე იყო გაბატონებული მიწის ფეოდალური საკუთრების განვითარებული ფორმები, როგორც ფეოდალურ საქართველოში.

---

[1] П. Т. Арутюнян, Освободительное движение армянского народа в первой четверти XVIII века, гз. 12.

ასე, მაგალითად, XIII ს-ის სომხეთის საადგილმამულო ურთიერთობაში წამყვან როლს ასრულებს „ჰაირენიქ“ („მამული“). ჰაირენიქია აგრეთვე ნასყიდი მიწები („განძაგინ“ ან „დრამაგინ“), რომელთა გასხვისება, მემკვიდრეობით გადაცემა, ყიდვა და გაყიდვა არაფრით არაა შეზღუდული. მამულივეა „ნაწყალობევი“ („პარგევაკანკ“), „ნასისხლი“ („არეან გინ“), საგლეხო „ჰაირენიქ“, აგრეთვე ბაღები, წისქვილები, აბანოები და საზოგადოდ ყველა უძრავი ქონება[1]. მაგრამ XIII—XV სს. მანძილზე ძველსომხურ მიწისმფლობელობას თანდათან სცვლის აღმოსავლური მიწისმფლობელობა. ანალოგიური პროცესი მიმდინარეობს აღებული ხანის აზერბაიჯანშიც. ამიტომ გასაგებია, რომ XVI ს-ის სომხეთსა და აზერბაიჯანში საქმე გვაქვს მსგავს ფეოდალურ ინსტიტუტებთან და ერთნაირ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან (სახანოები).

სომეხი და აზერბაიჯანელი ფეოდალები უბრძოლველად არ სთმობდნენ თავიანთ „მამულებს“; მხოლოდ დაძაბული და ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად იქცნენ ეს „მამულები“ მოსული ხანების და ბეგების საკუთრებად. ახალი მიწისმფლობელობის შესაბამისად შირვანში საბეგლარბეგო შეიქმნა, შაქში—სახანო, სომხეთში—ერევნის, ნახჭევნის და მაქუს სახანოები.

ქართული მიწების მიტაცებისათვის ბრძოლის წარმატება საქართველოშიც ისევე წარმოშობდა სახანოებს, როგორც ეს მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში მოხდა. მაგრამ მიწისმფლობელობისათვის ბრძოლის განსხვავებული შედეგები, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ვეძიოთ იმაში, რომ ქართველები უკეთესად იცავდნენ თავიანთ მიწებს, ვიდრე სომხები და აზერბაიჯანელები.

ქართული მიწისმფლობელობის შენახვა-გადარჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ჩვენი აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ საქართველო, მეზობელ კულტურული ქვეყნებისაგან განსხვავებით, ყველაზე გვიან განიცდიდა დამპყრობელთა შემოსევებს. ამას გარდა, დაპყრობილი ხალხების აჯანყებები (რაც ჩვეულებრივ თან სდევდა მომთაბარეთა გაბატონებას აღმოსავლეთის ქვეყნებში) დამპყრობელს აიძულებდა თავისი ძალები სასწრაფოდ უკანვე გაეყვანა საქართველოს საზღვრებიდან.

საზოგადოდ გასათვალისწინებელია ის უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ აღმ. ამიერკავკასიის ხალხები (სომხები, აზერ-

---

[1] П. Т. Арутюнян, Освободительное движение армянского народа..., стр. 19—20.

ბაიჯანელები) პირველნი ხვდებოდნენ მომთაბარეებს. აღმ. ამიერკავკასიას ამ მხრივაც საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. საერთო საფრთხისაგან თავდაცვის საჭიროებამ გააერთიანა კავკასიის ხალხები თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ. სომეხი ხალხის ფართო მასების და ალბანური (შირვანული) ტომების მხარის დაჭერით და აქტიური დახმარებით სძლია საქართველომ თურქობას[1].

XIII—XV სს. მომთაბარე დამპყრობლებს სამასი წელი დასჭირდათ იმისათვის, რათა ამ გაერთიანების შედეგების ლიკვიდაცია ბოლომდე მიეყვანათ. სანამ აღმ. ამიერკავკასიის დაპყრობა-დამორჩილების გახანგრძლივებული პროცესი გრძელდებოდა, დამპყრობლებს არ შეეძლოთ მთელი თავიანთი ყურადღება საქართველოსათვის მიეპყროთ.

ყველა ამის გამო მომთაბარული ტალღა საქართველოს საკმაოდ შესუსტებული სწვდებოდა და, სანამ ჩვენს ქვეყანაში შემოაღწევდა, ილეწებოდა მეტად ვრცელ ტერიტორიაზე (შუა აზია, ირანი, აღმ. ამიერკავკასია). მომთაბარეებს სამიწათმოქმედო კულტურის ხალხები ყველგან მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ[2]. მათ ბრძოლით უნდა გამოეცლოთ შუა აზია, ირანი, აზერბაიჯანი, სომხეთი, სანამ საქართველოს საზღვრებს მოადგებოდნენ. თავის მხრივ ქართველი ხალხის წინააღმდეგობა ეხმარებოდა და მხარს უჭერდა პროგრესისათვის ბრძოლას მთელს მახლობელ აღმოსავლეთში[3].

× დამახასიათებელია, რომ იქ, სადაც ქართველები პირველნი შეხვდნენ მოზღვავებულ მტრის ძალებს (ოსმალებს) აღმ. ამიერკავკასიის ანალოგიური მდგომარეობა მივიღეთ: ცვლილებები საადგილმამულო ურთიერთობაში და გამაჰმადიანება, რასაც თან გა-

---

1. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, გვ. 124.

2 თუ რამდენად ხანგრძლივი და დაძაბული ბრძოლა სჭირდებოდა ნომადური ელემენტის გავრცელებას, ეს, ავღანთა მიერ ინდოელების შევიწროებაგანდევნის მაგალითზე, ნაჩვენები აქვს პროფ. ი. რეისნერს: **И. М. Рейснер Развитие феодализма и образование государства у афганцев, М., 1954.**

3 სამწუხაროდ, შუა საუკუნეების მახლობელ აღმოსავლეთის ისტორიის ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხი—ბრძოლა მეურნეობის ინტენსიური ფორმებისათვის—სათანადოდ არაა შესწავლილი ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ამ საკითხის შესწავლა კიდევ უფრო გასაგებს გახდის, თუ რატომ ასრულებს რუსეთი, თათრების წინააღმდეგ მებრძოლი და თათრებზე გამარჯვებული, პროგრესულ როლს აღმოსავლეთის მიმართ.

დაჰყვა ადგილობრივ ნიადაგზე განვითარებული პოლიტიკური ორგანიზაცია—ათაბაგის სამთავრო.

ოსმალეთმა საქართველოს ტერიტორიის ერთი მესამედი მიიტაცა, მაგრამ ყველაფერი ეს ერთბაშად არ მომხდარა. ოსმალებს ორასი წელი დასჭირდათ ახალციხის საფაშოს შესაქმნელად. ახალციხის დაპყრობა მათ გაუადვილა სანჯაყების შექმნამ სამხრეთ საქართველოს სანაპირო ოლქებში[1].

ოსმალეთის თვალსაზრისით ახალციხის საფაშო უნდა ქცეულიყო პლაცდარმად არა მარტო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს წინააღმდეგ, არამედ აღმ. ამიერკავკასიის წინააღმდეგაც. საამისოდ კი ქართლის გაოსმალება იყო საჭირო. სანამ ეს მიზანი მიუღწეველი რჩებოდა ოსმალებს აღმ. ამიერკავკასიის დაპყრობა და შემომტკიცება არ შეეძლოთ.

ქართველი ხალხის წინააღმდეგობის გადაულახველად ოსმალეთის აღმ. ამიერკავკასიაში მტკიცედ გაბატონება შეუძლებელი იყო.

ასევე, სანამ აღმ. ამიერკავკასიის დაპყრობა-დამორჩილების გახანგრძლივებული პროცესი გრძელდებოდა, დამპყრობლებს საქართველოში წარმატება არ შეეძლოთ[2].

---

[1] სამცხე-საათაბაგოსათვის თანამიმდევრულ ბრძოლას ოსმალები მხოლოდ ბიზანტიის და ტრაპიზონის საკვისროების მოსპობის შემდეგ იწყებენ. ომები დასავლეთში ოსმალებს იძულებულს ხდიდა ათაბაგის „ყმობას“ დასჯერებოდნენ. XVI ს-ში ვითარება იცვლება. ყიზილბაშთა სახელმწიფოს წარმოქმნამ ოსმალეთ ალტერნატივის წინაშე დააყენა: ომი დასავლეთში ან აღმოსავლეთში. აღმოსავლეთში ომის წარმოება მათთვის მიუღებლად ხდის ათაბაგის ქვეყნის დამოკიდებულებას ოსმალეთთან მოხარკეობის საფუძველზე. XVI ს-ის შუა წლებში ისინი პირველ სანჯაყებს ქმნიან (არტანუჯში), ამ საუკუნის ბოლოს კი ქვეყანა მთლიანად აღწერეს, აღწერილი ოსმალეთის დივანს დაუქვემდებარეს და ქართველი ფეოდალების მიწების მითვისებით ნიადაგი მოუმზადეს ახალციხის საფაშოს წარმოშობას (XVII ს-ის პირველ ნახევარში). თუმც, გაოსმალებითაც ვერ მოსპეს ქართული მიწისმფლობელობის თავისებურებანი, რის გამოც ახალციხის საფაშო მეტად თავისებურ მდგომარეობას ინარჩუნებდა ოსმალეთის სახელმწიფო ორგანიზმში.

[2] ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ხალხების ბრძოლას ოსმალების წინააღმდეგ უნგრეთისათვის. ლაიოშ ელეკეში აბათილებს შეხედულებას თითქოს მებრძოლი წინააღმდეგობა მხოლოდ უნგრელების თვისება ყოფილიყოს, შემთანხმებლობა და მორჩილება კი ბალკანეთის ხალხთათვის დამახასიათებელი. ავტორი ახასიათებს იმ ფაქტის მნიშვნელობას, რომ ოსმალეთმა უნგრეთს უშუალო საფრთხე შეუქმნა მხოლოდ XIV—XV სს. მიჯნაზე, ასი წლით გვიან, ვიდრე ბალკანეთს. მისი მტკიცებით უნგრეთის გაბატონებული კლასის ღალატი შედარებით ნაკლებ გამოვლინდა და ძან ვერ მიიღო დამ-

დამპყრობლების წინააღმდეგ ყველაზე აქტიურად ხალხის მასები იბრძოდნენ, რადგან XV—XVI სს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მწარმოებელი საზოგადოება აღმოჩნდა. ექსპლოატაციის აღმოსავლური ფორმა („ხარაჯობა") რაიათად გადაქცეულ გლეხს მეურნეობის განვითარების სტიმულს უკარგავდა. კიდევ უფრო მძიმე ტვირთად აწვებოდა გლეხობას „ბეგარის" აღმოსავლური ფორმის ბატონობა. სრულ გაჩანაგებამდე მიჰყავდა გლეხი აღმოსავლურ საგადასახადო სისტემას, ირან-ოსმალეთის გაუთავებელი ომები, რომელთა მთავარ ასპარეზს ამიერკავკასია წარმოადგენდა, უპირველეს ყოვლისა სოფლის მოსახლეობას ანადგურებდა. აღმ. ამიერკავკასიის შედარებით განვითარებული სოფლის მეურნეობა ირან-ოსმალეთის მრავალწლოვანი ომების შედეგად სწრაფად დაქვეითდა[1].

უკიდურესად შევიწროებული და გალატაკებული ხალხი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა და დიდ დაბრკოლებასაც უქმნიდა აღმ. ამიერკავკასიაში მომთაბარეთა გაბატონებას. ხალხის წინააღმდეგობა შეუნელებელი იყო. გლეხთა აჯანყებებს არ შეიძლებოდა არ მიეღოთ გამათავისუფლებელი ხასიათიც, რამდენადაც ანტიფეოდალური მოძრაობა აღმ. ამიერკავკასიაში მიმართული იყო, უპირველეს ყოვლისა, ახალი მებატონეების—მომთაბარული არისტოკრატიის წინააღმდეგ.

ადგილობრივი ფეოდალები თავიანთ სასარგებლოდ ცდილობდნენ გლეხთა აჯანყებების გამოყენებას. მაგრამ უკიდურესად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში ისინი საკუ-

---

თავრებული ფორმა იმის გამო, რომ უნგრეთში შესევის ჟამს ოსმალეთის ექსპანსიის ძალა უკვე შესუსტებული იყო. ლაიოშ ელეკეში აღნიშნავს ოსმალეთის სამხედრო ძალის აზიაში დაქსაქსვის მნიშვნელობასაც. **Laios Elekes, Die Verbündeten und die Feinde des ungarischen Volkes in den Kämpfen gegen die türkischen Eroberer. „Studia Historica", Budapest, 9, 1954, გვ. 2—37.**

1 ყიზილბაშებს ცეცხლის იარაღი საკმარისად არ ჰქონდათ. ამიტომ მათ არ შეეძლოთ იარაღით ოსმალების შეჩერება. სამაგიეროდ ყველგან, სადაც მტრის ჯარს უნდა გაევლო, ჰქმნიდნენ „გაუდაბურებულ ზოლს". ყიზილბაშები სწვავდნენ სოფლებს, პურის ბეღლებს, სთხრიდნენ ციხეებს, მიწით ავსებდნენ სარწყავ არხებს, წამლავდნენ ჭებს, აუკაცრიელებდნენ დასახლებულ პუნქტებს; შარაგზები, განსაკუთრებით სომხეთში, გაჭედილი იყო იძულებით აყრილი ან გაქცეული გლეხებით. ყველაფერი ეს დაწვრილებით აღწერილი აქვს თეითონ შაჰთამაზს თავის „თეზქერეში".

თარი ხალხის წინააღმდეგაც არა ერთხელ გამოსულან. ასე იქცეოდნენ აზერბაიჯანელი ფეოდალები, ასე იქცეოდა სომხური ეკლესია (როგორც მსხვილი მიწისმფლობელი), ამგვარადვე იქცეოდნენ ფიზიკურ გაჟლეტას გადარჩენილი სომეხი საერო ფეოდალები... მაგრამ ადგილობრივ ფეოდალთა კლასის წიაღში არსებობდა პროგრესული ნაწილიც, რომელიც იმთავითვე შეუნელებელ ბრძოლას აწარმოებდა მეურნეობის ინტენსიური ფორმებისათვის, ქვეყნის განთავისუფლებისა და განვითარებისათვის.

განვითარებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფისათვის საერთო ბრძოლამ დიდი ხნით დააყოვნა აღმ. ამიერკავკასიაში სომთაბარეების განმტკიცება, მიწისმფლობელობის ახალი წესების შესაბამისად მაჰმადიანობის გავრცელება.

სომხეთსა და აზერბაიჯანში XIII—XV სს. მიმდინარე პროცესი, აღმოსავლური მიწისმფლობელობის შემოღება-განმტკიცების ხაზით. მხოლოდ XVI საუკუნისათვის მთავრდება აღმოსავლურ მიწისმფლობელობასთან სრული დამსგავსებით. ამ დროისათვის უკვე ყველა საჭირო პირობა არსებობდა აღმ. ამიერკავკასიის პოლიტიკური ორგანიზაციისათვის ყიზილბაშურ საფუძველზე.

აღმ. ამიერკავკასიის სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია XVI ს-ის 40-იან წლებში ყიზილბაშებს საშუალებას აძლევდა დაეწყოთ თანმიმდევრული ბრძოლა ქართული მიწების მიტაცებისათვის.

ქართველი ხალხის ბრძოლას, ახალს ვითარებაშიც, უდიდეს სამსახურს უწევდნენ ამიერკავკასიის მოძმე ხალხები იმით, რომ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლას არასოდეს არ სწყვეტდნენ. ისინი ბრძოლას განაგრძობდნენ XVI—XVIII საუკუნეებშიც[1]. ამასთან ეს ბრძოლა თანდათან ვითარდება და ძლიერდება ისეთ ისტორიულ პირობებში, როცა რუსეთი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა ამიერკავკასიას. და რაც დრო გადის მით უფრო მყარ საფუძველს უქმნის ამიერკავკასიის ხალხთა გამათავისუფლებელ ბრძოლას.

XVII ს-ის მეორე ნახევარში ამიერკავკასიის ხალხებმა პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა შეუხამეს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორიც იყო ირანისა და ოსმალეთის და-

---

[1] П. Т. Арутюнян, Борьба армянского и азербайджанского народов за присоединение к России в 20-х годах XVIII века, Ученые записки института востоковедения АН СССР, т. III, 1951; მისივე, Освободительное движение армянского народа в первой четверти XVIII века, М., 1954.

სუსტება. ცნობილია, რომ დაპყრობილ ხალხთა ბრძოლა ირანის ბატონობის წინააღმდეგ სეფიანთა სახელმწიფოს დასუსტების და მისი მოსპობა-გადაშენების ერთი მთავარი მიზეზთაგანი იყო. ამასთან 1639 წლიდან მოყოლებული, ვიდრე 1722 წლამდე ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ომი არ ყოფილა, რადგან არც ირანი და არც ოსმალეთი 1639 წლის ზავს არ არღვევდა. მშვიდობიანი ცხოვრების პირობები ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის, ქალაქების, ვაჭრობის, ხელოსნობის განვითარებას, სწორედ ამ დროს გააქტიურდა ადგილობრივი ფეოდალური ელემენტი (აზერბაიჯანში, სომხეთში). მეტი გასაქანი მიეცა ადგილობრივ ფეოდალურ ინსტიტუტებს. აზერბაიჯანელი და სომეხი ფეოდალები კიდევ უფრო მკვეთრად დაუპირისპირდნენ ყიზილბაშ ამირებს და სპარსელ მოხელეებს.

დამახასიათებელია, რომ XVII—XVIII სს. რიცხობრივად გაიზარდა სომეხ ფეოდალთა კლასი[1]. გაჩნდა ახალი სამელიქოები[2]. სოციალურ ტერმინოლოგიაში „მელიქის“ და „ბეგის“ გვერდით კვლავინდებურად იხმარებოდა ძველსომხური „პარონი“, „ტერი“, „იშხანი“[3]. XVII—XVIII სს. გაძლიერებული სამელიქოები მიისწრაფოდნენ მოეპოვებინათ პოლიტიკური დამოუკიდებლობა[4].

სავსებით გასაგებ გარემოებათა გამო საქართველოში უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობდა ადგილობრივი ფეოდალური ინსტიტუტების და პოლიტიკური ორგანიზაციის განსამტკიცებლად.

XVII ს-ის მეორე ნახევარში ანტიმაჰმადიანური პროპაგანდის გაძლიერებასთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა ქართული სახელმწიფოს მშენებლობას. XVII ს-ის საბუთების (მეფის სიგელების) სიმრავლე აშკარად მოწმობს მეფის ხელისუფლების შესამჩნევ გაძლიერებას. XVIII ს-ის დამდეგს შედგენილი „დასტურლამალი“ (სახელმწიფო სამართლის ძეგლი) და ვახტანგ VI-ის სამართალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობისა და ფეოდალურ ურთიერთობათა მოწესრიგებისათვის იყო მოწოდებული. ქართული სახელმწიფო ვითარდებოდა ირანის პოლიტიკური ბატონობის პირობებშიც.

დამახასიათებელია, რომ დამპყრობლებმა წარმატებას მიაღწიეს საქართველოს მხოლოდ იმ ნაწილებში (აღმ. კახეთი, სამცხე-საათაბაგო...), სადაც მათ ქართულისაგან განსხვავებული მიწისმფლო-

---

[1] П. Т. Арутюнян, დასახ. ნაშრ. გვ. 59.
[2] იქვე, გვ. 59—65.
[3] იქვე, გვ. 59.
[4] იქვე, გვ. 64.

ბელობის შემოღებით ქართველი ფეოდალები საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაციას გამოსთიშეს.

ილია ჭავჭავაძემ პირველმა დასვა კითხვა: რით და როგორ გადავრჩით? დასმულ კითხვაზე პასუხს იგი ქართველი ხალხის საუკუნეო ცხოვრებაში ნახულობდა და აღნიშნავდა: „უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამისი პასუხი ჩვენს ეკონომიურ აგებულებასა და წყობაში უნდა მოინახებოდეს"[1]. მართებულად მოითხოვდა იგი საამისოდ ქართული მიწისმფლობელობის გათვალისწინებას. მაგრამ შეცდომას უშვებდა, როცა ქართველი ხალხის გამძლეობას, მისი სახელმწიფოებრიობის გადარჩენას სათემო მიწისმფლობელობას უკავშირებდა[2].

ქართული ფეოდალური საზოგადოება გადარჩა სწორედ იმ დროს, როდესაც მისთვის თემური მიწისმფლობელობა არამცთუ დამახასიათებელი, არამედ კარგა ხნის წინათ გადაშენებული იყო და საბოლოოდ ფეოდალურ საკუთრებაში გადასული. „ამას არ ეწინააღმდეგება ის მოვლენა, რომ ზოგან საქართველოს ბარში მწარმოებელი საზოგადოება თემურ მიწისმფლობელობას შერჩა: სულ ერთია უბატონო თავისუფალი თემი აქ მებეგრე თემად იქცა"[3]. ფეოდალური საქართველო ამ მხრივაც არსებითად განსხვავდებოდა აღმოსავლეთის ქვეყნებისაგან, სადაც აღმოსავლურ თემს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა.

აღმ. ამიერკავკასიაში, ისევე როგორც უკლებლივ აღმოსავლეთის ქვეყნებში, სასოფლო თემის (ჯამაათის) კონსერვაციას ხელს უწყობდა მომთაბარეთა ბატონობა და ამდენადვე, თავის მხრივ ერთგვარ დასაყრდენს უქმნიდა მათს ბატონობას.

მომთაბარეებს აღმოსავლეთის ქვეყნებში წარმატება-გამარჯვება მნიშვნელოვნად გაუადვილა იმან, რომ მათ აქ დახვდათ თემი, რომელმაც აღმოსავლეთში საზოგადოდ არაჩვეულებრივი გამძლეობა გამოიჩინა.

აღმოსავლური თემი დიდ ადგილს უთმობდა მეურნეობის ძველ ფორმებს, რაც თავისთავად ჰქმნიდა პირობებს აგრარული განვითა-

---

[1] ილია ჭავჭავაძე, **თხზულებანი, V, გვ. 204.**

[2] იქვე, გვ. 204. აღსანიშნავია, რომ აღმ. ამიერკავკასიის თემობრივი ორგანიზაციის იდეალიზაცია წარმოებდა იმ დროს, როცა ილია ჭავჭავაძე თავის შეხედულებებს გამოთქვამდა. იხ. **С. А. Егиазаров, Исследования по истории учреждений в Закавказье, Сельская община, Казань, ч. 1, 1889.**

[3] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, ჟურნ. „მნათობი", № 6, 1954, გვ. 125.

რების შედარებითი ჩამორჩენილობისათვის. მეურნეობის ამ ფორმებთან შერწყმული მომთაბარეთა ექსტენსიური მეურნეობა, ოღონდ ფეოდალური გარემოცვისა და შედარებით მაღალი კულტურის უეჭველი გავლენის პირობებში, საბოლოო ანგარიშში აპირობებდა ნახევრადპატრიარქალურ-ნახევრადფეოდალური წყობის ბატონობას.

„ქართული ფეოდალიზმის ძალთა კონსოლიდაციას“ პროფ. ი. პეტრუშევსკი მიაწერს იმას, რომ ფეოდალურ საქართველოში არ შეინიშნება ძველი ფორმაციების გადმონაშთები. პროფ. ი. პეტრუშევსკი მიუთითებს სოფლის მეურნეობის აღმავლობას X—XII სს. საქართველოში და აღნიშნავს: „საქართველოს სოფლის მეურნეობის აღმავლობა, ჩანს, გამოწვეული იყო იმ პირობების არ არსებობით, რომელნიც ჰქმნიდნენ შედარებით ჩამორჩენილობას აღმ. ამიერკავკასიის (ახლანდელი აზერბაიჯანის) აგრარულ განვითარებაში; საქართველოში არ იყო მონათმფლობელობის გადაულახველი გადმონაშთები, აღმ. საქართველოში XII საუკუნისათვის არსად არ შენახულა სასოფლო თემის კვალი (გარდა, რა თქმა უნდა, მაღალმთიანი რაიონებისა კავკასიონის მთავარი ქედის კალთებზე), მაშინ როდესაც აზერბაიჯანში თემი (არაბ. ჯამაათ) XIX საუკუნემდე მიწის ყოველწლიური გადანაწილებით და იძულებით თესლბრუნვით წარმოადგენდა სოფლის მეურნეობისა და ერთდროულად რაიათების ფეოდალური ექსპლოატაციის ჩამორჩენილი ფორმების საფუძველს“[1].

როგორც ვხედავთ, 1937 წელს პროფ. ი. პეტრუშევსკი იმოწმებდა სოციალურ-ეკონომიური ხასიათის მომენტებს „ქართული ფეოდალიზმის ძალთა კონსოლიდაციის“, ქართული ფეოდალური წყობილების და მიწისმფლობელობის შენახვა-გადარჩენის მიზეზების გასაგებად. 1949 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიულ გამოკვლევაში კი ეს მომენტები აღარ ჩანს. მკვლევარს ხაზგასმული აქვს უმთავრესად მომთაბარეთა „ინდიფერენტული“ დამოკიდებულება საქართველოს მიმართ.

პროფ. ი. პეტრუშევსკი აღნიშნავს საქართველოს უეჭველ ეკონომიურ დაქვეითებას მონღოლ-თათართა ბატონობის ხანაში; მონღოლთა საგადასახადო პოლიტიკის და ქართული ძალების მონღოლ-

---

[1] И. П. Петрушевский, Хамдилах Казвини как источник по истории Вост. Закавказья, გვ. 902—903. სასოფლო თემის მნიშვნელობის შესახებ XVI—XVIII სს. სომხეთის სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობაში იხ. П. Т. Арутюнян, Освободительное движение в Армении в первой четверти XVIII века, გვ. 72—86.

თა სამხედრო ექსპედიციებში იძულებითი მონაწილეობის შედეგებს საქართველოსათვის. ყველაფერი ეს, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, «...подрывало производительные силы страны, но те же факторы действовали и в Вост. Закавказье, и в Армении, и каков бы ни был экономический упадок Грузии, все же относительно он не был так глубок, как упадок Вост. Закавказья»[1].

მართლაც, ქართული ფეოდალური საზოგადოება თვით სოფლის მეურნეობის ტექნიკის უაღრესად დაქვეითების პერიოდში ინარჩუნებდა მეურნეობის ინტენსიურ ფორმებს და ეს იმ გასაგები გარემოების გამო, რომ შენარჩუნებული იყო ამ მეურნეობის საფუძველი—მიწა.

მართალია. მომთაბარეთა განუწყვეტელი შემოსევები, შინაგან ისტორიულ პროცესებთან მჭიდრო კავშირში, გავლენას ახდენენ საქართველოს ეკონომიურ დაქვეითებაზე, მაგრამ ვერ სპობენ მეურნეობის ინტენსიურ ფორმებს მეჯოგური მეურნეობის სასარგებლოდ.

რით აიხსნება ეს? ამ მოვლენის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ საქართველოში აღგილი არა აქვს მკვიდრ ბინადარ მოსახლეობის მომთაბარეებთან თანაცხოვრებას, თანაარსებობას. ამ მხრივ ფეოდალური საქართველო მთელს მახლობელ აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა. მომთაბარეებმა ვერ შეაღწიეს საქართველოს შიდა რაიონებში. მათ საამისო ძალა არ აღმოაჩნდათ. ამით ქართველმა ხალხმა, მძიმე მსხვერპლის ფასად, დაიცვა ის, რაზედაც მისი არსებობა იყო დამყარებული — ადგილობრივ ნიადაგზე განვითარებული მეურნეობა.

მაგრამ, მომთაბარეთა ბატონობის საკითხი ისევე მწვავედ იდგა შუა საუკუნეების საქართველოში, როგორც მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ ქვეყნებში.

ეს საკითხი, აღმ. ამიერკავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთისაგან განსხვავებით, ქართველი ფეოდალური საზოგადოების სასარგებლოდ გადაწყდა.

ფეოდალურმა საქართველომ შეძლო „ელის“ (ამ სახელით აღნიშნავენ ქართული წყაროები მომთაბარულ თურქულ-თურქმანულ ტომებს) ლოკალიზაცია. რა თქმა უნდა, როგორც აღვნიშნეთ, ეს არ მომხდარა დაძაბული ბრძოლის გარეშე. „ელის“ დასახლება, ხიზნად

---

[1] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 903.

შემოყვანა, განდევნა და კელავ დასახლება ჩვეულებრივი მოვლენაა ნაგვიანევი ხანის საქართველოს ისტორიაში.

„ელის საკითხის“ თავის სასარგებლოდ გადაწყვეტის მიზნით ქართული ფეოდალური საზოგადოება იყენებდა როგორც ფიზიკურ საშუალებებს (ომი, აჯანყება), ისე იურიდიულ-ადმინისტრაციულ და სამეურნეო ღონისძიებებს.

„ელის“ მართვა-გამგეობისათვის შედგენილი იყო სპეციალური „ელის დებულება“, რომელიც მთლიანად არის შეტანილი „დასტურ-ლამალში“. ასნაფებად და თაბუნებად დაყოფილი ელი ემორჩილებოდა ქართველ მოხელეებს. სამ წელიწადში ერთხელ, როგორც წესი, წარმოებდა ელის აღწერა. საგანგებო სამეურნეო ღონისძიებები (სარწყავი არხების გაყვანა, ბუნებრივი პირობების შესაფერისი კულტურების განვითარება ელით დასახლებულ ადგილებში და სხვ.) ერთგვარად ხელს უწყობდა ელის ნახევრადმომთაბარულ და ბინადარ ცხოვრებაზე გადაყვანას.

საქართველოს ტერიტორიაზე შედარებით მცირე რაოდენობით წარმოდგენილი ელი ქართული ფეოდალური საზოგადოების გარეშემოცვაში იმყოფებოდა. ასეთ ვითარებაში ელის დამახასიათებელ სოციალურ-ეკონომიურ წყობას, არ შეიძლებოდა არსებითი გავლენა მოეხდინა ქართულ ფეოდალურ ინსტიტუტებზე. ყველა ამის გამო „ელი“ ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში ვერ შეასრულებდა იმ როლს, როგორსაც ასრულებდა მეზობელ ქვეყნებში, სადაც გაბატონებული სამხედრო-ნომადური არისტოკრატია ელზე დაყრდნობით უპირისპირდებოდა ადგილობრივ ფეოდალურ ძალებს.

პირიქით, „ძველ საქართველოს მიწისმოქმედების მაღალხარისხოვანი კულტურა“[1] დაქვეითების მიუხედავად, ჩანს, გვიანაც გავლენას ახდენს მეზობლების მეურნეობის დარგებზე. „შემოსული მომთაბარე ტომი, რომელსაც მობინადრე ტომთათვის დამახასიათებელი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოშენების სფეროში არავითარი ტრადიცია არ ჰქონდა... სოფლის მეურნეობის დარგში ქართველების ძლიერი გავლენის ქვეშ იყო“[2]. ამას მოწმობს აღმ.

---

[1] ქართული მიწათმოქმედების კულტურის გავლენა სომხების, აზერბაიჯანელების, ინიერკავკასიის ხალხების და აღმოსავლეთ ანატოლიის თურქების სახვნელ იარაღებზე აღნიშნულია აკად. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომში: საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1930, გვ. 243, 248, 251, 260.

[2] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1930, გვ. 247—248.

ამიერკავკასიაში, სამხრეთ აზერბაიჯანში და აღმოსავლეთ ანატოლიაში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და კულტურული მცენარეების აღმნიშვნელი სახელები (გუთანი, თოხი, მარგილი, მოდგამი (კოლექტიური შრომის აღმნიშვნელი), (ჭადი || მჭადი, ტალვარ || ტალავერი, ლაზუთი და სხვ.)[1]. ქართული სახელების გავრცელება, რა თქმა უნდა, კულტურულ ურთიერთობათა ნაყოფია და არა შემთხვევითი მოვლენების შედეგი. როცა არც ომი იყო და არც ყაჩაღური თავდასხმები ადვილად შეიძლებოდა ასეთი ურთიერთობის დამყარება.

ყველაფერი ეს შეპირობებული იყო ფეოდალურ საქართველოს სოციალურ-ეკონომიური წყობის უპირატესობით. მაგრამ უფრო ღრმა, საფუძვლიან და გადამწყვეტ გავლენას გამორიცხავდა პოლიტიკურად დაშლილი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა. ქართულმა ფეოდალურმა საზოგადოებამ, ცნობილია, ვერაფერი მოუხერხა „ბორჩალუს“ და მის მსგავს ყიზილბაშურ ტომებს, მაშინ როდესაც ვაერთიანებულმა საქართველომ შეძლო ყიჩაღების სრული ასიმილირება, უეჭველია, მათი ბინადარ ცხოვრებასა და მიწათმოქმედებაზე გადაყვანის გზით. საამისო უნარი XVI—XVIII სს. საქართველოს აღარ შესწევდა. ამის მიზეზია არა მარტო მტრული სახელმწიფოებით გარემოცვა, არამედ საქართველოს თანდათანი ეკონომიური დაქვეითებაც.

საქართველოს ეკონომიური დაქვეითების უმთავრესი მიზეზი კი მომთაბარეთა განუწყვეტელი შემოსევებისა და ბატონობის შედეგებში უნდა ვეძიოთ. ამ თვალსაზრისით საქართველოს ეკონომიური დაქვეითება მახლობელ აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენების სრულიად კონკრეტულ პარალელს წარმოადგენს.

თუ მომთაბარეთა ბატონობის შედეგად მეზობელ ქვეყნებში ნახევრადპატრიარქალურ-ნახევრადფეოდალური წყობა გაბატონდა, საქართველოში ბატონყმობა, მისი ძირითადი შინაარსის დაურღვევლად, მეტად თავისებურ მდგომარეობაში მოექცა.

ბატონყმობის ნორმალურ განვითარებას უდიდეს დაბრკოლებებს უქმნის მონღოლ-თათართა ბატონობა. მონღოლთა პოლიტიკამ

---

1 ს. ჯიქია, „ლაზუტ“ სიტყვის წარმოშობისათვის, „საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე“, ტ. V, № 2, 1944, გვ. 227—236; მისივე, კოლექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინისათვის თურქულ ენებში, იბერულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1936, გვ. 393—398; მისივე, შენიშვნები „სიმინდ-სემიდალის“ შესახებ, ‹‹ტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXX/16, 1947, გვ. 437—446.

და მფლობელობის ხასიათმა სულ სხვა მიმართულება მისცა ბატონყმობის განვითარებას საქართველოში.

„მამულების ამოძრავებას“ საქართველოში, როგორც ვნახეთ, არ გამოუწვევია ფეოდალური უფლებების გადაჯგუფება მომთაბარული არისტოკრატიის სასარგებლოდ. მაგრამ ახლად აღზევებული ფეოდალური სახლებისათვის დამახასიათებელი ხდება ჩამორჩენილი ფეოდალური ეკონომიკის შესაფერისი მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმები.

ფეოდალური საკუთრებისათვის საერთოდ დამახასიათებელი მფლობელობის დანაწევრება ვითარდება არა მისი ინდივიდუალიზაციის გზით, რაც ფეოდალური ეკონომიკის რღვევის ძირითადი პირობაა და, ამდენადვე, გვიანფეოდალური ხანის შესაფერისი, არამედ მფლობელობის კიდევ უფრო მძაფრი დანაწევრების და ფეოდალური სახლების განმტკიცების გზით.

დაქვეითებული ფეოდალური ეკონომიკის შესაფერისი მიწის საკუთრების სახეობანი (ს ა ხ ა ს ო, ს ა უ ფ ლ ი ს წ უ ლ ო, ს ა თ ა ვ ი ს თ ა ო)[1] XV ს-ში აპირობებენ სათავადოების სისტემის წარმოშობას.

მიწისმფლობელობის დანაწევრება ფეოდალური სახლის წევრთა შორის მოიცავს ბატონყმური ურთიერთობის ყველა სფეროს, ამდენადვე მოითხოვს შესაფერისი ტერიტორიულ-პოლიტიკური ორგანიზაციის (სათავადოს) არსებობას ფეოდალური სახლის უფროსის (თავადის) მეთაურობით.

მაგრამ სათავადო გაჩნდა არა ბატონყმობის ნიადაგზე, არამედ პირიქით ბატონყმობა თავისებურად შეუთავსდა სათავადოების სისტემას.

მონღოლთა ბატონობის ხანაში დაწყებული ეკონომიური დაქვეითება, ხანმოკლე მოღონიერება-აღმავლობის შემდეგ (XIV ს-ის გარკვეულ პერიოდში), განუხრელად ვითარდება. საქართველოს ცალკეულ რაიონებს შორის ისედაც სუსტი ეკონომიური კავშირი (პოლიტიკური ერთიანობის საფუძველი) კიდევ უფრო სუსტდება. ეს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიული პროცესი თანდათან ნიადაგს

---

[1] განვითარების (მიწის კერძო საკუთრების ინსტიტუტის ხაზით) საწინდარია მხოლოდ „სათავისთავო“. მაგრამ „სათავისთავოს“ ხვედრითი წონა მეტად უმნიშვნელოა, და, საზოგადოდ, სუსტად განვითარებული ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში.

უმზადებს სათავადოების წარმოშობას. სათავადოების ნიადაგზე კი ერთიანი ფეოდალური ქვეყანა პოლიტიკურად დაიშალა.

ამრიგად, საქართველოს პოლიტიკურ დაშლილობას იწვევს არა ბატონყმობის გამარჯვება, არამედ ბატონყმობის არსებობა ეკონომიური დაქვეითების და საგარეო მდგომარეობის უკიდურესად გაუარესების პირობებში.

რასაკვირველია, ბატონყმობამ დაამძიმა მწარმოებელი კლასის მდგომარეობა, მაგრამ ეკონომიური აღმავლობის პირობებში ზედმეტი პროდუქტის მითვისება გლეხისათვის უფრო ასატან ფორმაში ხდებოდა, ვიდრე ეკონომიური რეგრესის პერიოდში, როცა ქართველ გლეხთა მდგომარეობა უკიდურესად უარესდება.

„თათართა" მფლობელობის ხასიათი (როცა გლეხს საკუთართან ერთად უცხო ექსპლოატატორიც უჩნდება), განუწყვეტელი შემოსევები და დატყვევება-აოხრება შეუძლებელს ხდის მეურნეობის განვითარებას. ეცემა სოფლის მეურნეობის ტექნიკა. მაგრამ აღნიშნულ მოვლენებში მთავარი ისაა, რომ კატასტროფიულად მცირდება მწარმოებელი კლასი. ფეოდალებს და ყმა-გლეხებს შორის დისპროპორციის განუხრელი ზრდის პირობებში[1], რა თქმა უნდა, ბატონყმობას არ შეუძლია შეასრულოს ის ფუნქცია. რომელიც განვითარებული ფეოდალური ეკონომიკის საფუძველზე იყო აღმოცენებული.

„თათართა მფლობელობის" მთელი სიმძიმე მწარმოებელ კლასს აწვება (ხარკი. ფეოდალური ექსპლოატაციის გაძლიერება). ამის გარდა. განუწყვეტელი ომების თანმხლები სიმშილობა, ეპიდემიები, უპირველეს ყოვლისა, მწარმოებელ საზოგადოებას ანადგურებს. უკიდურესად შევიწროებული გლეხი კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა საშუალებას მიმართავს: აქტიურს (აჯანყებას), პასიურს (აყრა-გაქცევა).

დანაკლისის შევსებას მებატონეები, ცხადია, დარჩენილ გლეხთა ექსპლოატაციის გაძლიერებით ცდილობენ. ამგვარ მოვლენებთანაა დაკავშირებული ლიტერატურაში მითითებული საწყაოების განუხრელი გაზრდა[2]. XVIII ს-ის დამლევისათვის ლიტრა ძველ ლიტრასთან შედარებით 10-ჯერ ან 12-ჯერ იყო გაზრდილი[3]. ყველა

---

[1] Н. А. Бердзенишвили, Очерк..., გვ. 15, 24.

[2] ი. ჯავახიშვილი, ქართული საფასთ-საზომთმცოდნეობა ანუ მეტროლოგია, ტბ., 1925, გვ. 120—121.

[3] Н. А. Бердзенишвили, Очерк..., გვ. 17.

ამის გამო ისედაც გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა, რაც დრო გადის, მით, უფრო მწვავდება.

მწარმოებელი კლასის კატასტროფიული შემცირება აჩანაგებს გლეხის მეურნეობას, ზრდის ნაფუძართა, პარტახტთა და ნაოხართა რიცხვს[1]. მაგრამ ეს მოვლენის მხოლოდ ერთი მხარეა. დისპროპორციის გაძლიერება მფლობელებსა და მწარმოებლებს შორის, ცხადია, ფეოდალების ინტერესებსაც ეხება. მოსული თუ მოტაცებული გლეხის მიწაზე დასმა, მსახურთა გლეხთა კატეგორიაში გადაყვანა მწვავე კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის პირობებში მიმდინარეობს. საქმე ამით არ თავდება. XIV—XV საუკუნეებისათვის დადასტურებული დისპროპორცია ფეოდალებსა და გლეხებს შორის მომდევნო საუკუნეებში კიდევ უფრო ღრმავდება. ყიზილბაშ-ოსმალების ომების ახალ ციკლს XVI ს-ში თან სდევს ახალი მოვლენები, რომელთაც ხელსაყრელ ნიადაგს უქმნის ქართული ფეოდალური სინამდვილეც.

ომების დროს დამპყრობელთა მიერ ათი ათასობით ტყვის გაყვანამ საქართველოდან, აყრა-გადასახლებამ, ტყვეთა სყიდვამ, „ლეკიანობამ“ ქვეყანა მწარმოებელი საზოგადოებისაგან დააცალიერა ამას უნდა დავსძინოთ ისიც, რომ დამპყრობლები შეგნებულად ანადგურებდნენ ინტენსიური მეურნეობის დარგებს: ვაზს, ხეხილს, კაკლისა თუ თუთის ხეებს. ამ მოვლენების აღწერილობა მოეპოვებათ XIV—XVII სს. სპარსულენოვან ისტორიკოსებს: ა ბ დ ა რ რ ა ზ ა ყ ს ა მ ა რ ყ ა ნ დ ე ლ ს, მ ი რ ხ ო ნ დ ს, ი ს კ ა ნ დ ე რ - მ უ ნ შ ი ს...

„თათართა“ მფლობელობის დროს ქართველი ფეოდალები ხარკის აკრეფის პასუხისმგებლობას კისრულობდნენ. „თათრების“ განდევნის შემდეგ კი სათათრო გამოსაღებებს არც თუ ისე იშვიათად ქართულ ფეოდალურ გადასახადთა რიგში ათავსებდნენ. ამრიგად, „თათართა“ მფლობელობის დროს გაორკეცებულ გლეხთა ექსპლოატაციას ქართველი ფეოდალები ფაქტიურად „თათართა“ განდევნის შემდეგაც ინარჩუნებდნენ. ამას ქართველი ფეოდალები ადრეც მიმართავდნენ, მაგრამ ეს „წესი“ განსაკუთრებით აუტანელი იყო, როცა ყველა რიგის გადასახადი ისედაც უზომოდ იყო გაზრდილი. ქართველი ფეოდალები სათათრო გამოსაღების შენარჩუნებას, უკეთ მისი ძველი შინაარსის ახალი შინაარსით და დანიშნულებით შევსებას, იმავე მიზნით იყენებდნენ, რა მიზნითაც საწყაოების გაზრდა იყო გამოყენებული.

---

[1] Н. А. Бердзенишвили, Очерки..., გვ. 16.

ეს მოვლენაც ადვილად გასაგებია: ინტენსიური მეურნეობის სფერო სულ უფრო და უფრო მცირდება, ქვეყანა გლეხობისაგან ცარიელდება, ფეოდალ-მფლობელების რიცხვი კი, პირიქით, მატულობს. „მჭამელთა“ მომატება და მწარმოებელთა შემცირება პირდაპირ გამოხატულებას საწყაოების გადიდებასა და გადასახადების ზრდაში პოულობს.

საბატონო ბეგრის დამძიმება გლეხს მეურნეობის ხალისს უკარგავდა. „შემცირებული მწარმოებელი მოსახლეობის ნაშრომი სამეფო-საეკლესიო-საბატონო გადასახადებსა და სათათრო ხარკს ვერ აუდიოდა, დაუნჯებისა და რეპროდუქციისათვის მწარმოებელს აღარაფერი რჩებოდა“[1]. ასეთ ვითარებაში ზედმეტი პროდუქტის მითვისებას არ შეიძლებოდა მახინჯი ფორმები არ მიეღო, ხოლო ფეოდალური განვითარების ნაყოფი ბატონყმობა არ გადაგვარებულიყო, საზოგადოებრივი განვითარების შემაფერხებლად არ ქცეულიყო.

ქართული წარმოება-მეურნეობა, მართალია, ახლაც განსხვავდება აღმოსავლური წარმოება-მეურნეობისაგან, ქართული საგადასახადო სისტემაც აღმოსავლურთან შედარებით პროგრესულია, მაგრამ ქართული ფეოდალური საზოგადოების მდგომარეობა აღმოსავლურს იმით უახლოვდება, რომ სერიოზულად შეფერხებულია შრომის პირობების, თვით საწარმოო საშუალებების რეპროდუქცია და, მეტ-ნაკლებად, წარმოების გაფართოების შესაძლებლობა.

მხოლოდ ხანმოკლე შესვენების პერიოდებში (როცა არც ომი იყო და არც რბევა-თარეში) ეძლეოდა ფეოდალურ საქართველოს ეკონომიური მოღონიერების შესაძლებლობა. მაგრამ ამ მიმართულებით მიღწეულს სწრაფად აქარწყლებდა ირანის ან ოსმალეთის ახალი აგრესია.

რაიათების (გლეხების) გაჩანაგება, გლეხის მეურნეობის დაშლა, იყო როგორც ირანის, ისე ოსმალეთის პოლიტიკური და ეკონომიური დაქვეითების უმთავრესი მიზეზი.

მარქსი ოსმალეთის იმპერიის გამძლეობის საიდუმლოებას ნახულობდა იმაში, რომ აქ დაუსრულებლივ, ბუნების მოვლენების მსგავსად, ერთსა და იმავე ფორმებში ვლინდებოდა და მეორდებოდა აღწარმოება და ხელუხლებლად ტოვებდა ძველ წარმოებით ურთიერთობას[2].

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, გვ. 127.

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1930, გვ. 311.

მარევოლუციონერებელი როლი არ შეიძლებოდა შეესრულებინა არც აღმოსავლეთში განვითარებულ მევახშეობას. მევახშეობის აზიურ ფორმებთან დაკავშირებით მარქსი წერს: „ყოველი წინაკაპიტალისტური წარმოების არსებობის დროს მევახშე რევოლუციურ როლს ასრულებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი არღვევს და სპობს საკუთრების ფორმებს, რომელთა მტკიცე საფუძველზე და ერთსა და იმავე ფორმაში დამყარებულია ქვეყნის პოლიტიკური წყობილება. აზიური ფორმების არსებობისას მევახშეობას შეიძლება ადგილი ქონდეს ძალიან დიდხანს ისე, რომ მან სხვა არა გამოიწვიოს რა გარდა ეკონომიური დაცემის და პოლიტიკური გათახსირებისა. მხოლოდ იქ და მაშინ, სადაც და როდესაც კაპიტალისტური წარმოების წესის დანარჩენი პირობები მოიპოვება, მევახშე წარმოადგენს ახალი წარმოების წესის ერთ-ერთ საშუალებას მით, რომ იგი ერთი მხრივ ანადგურებს ფეოდალებს და წვრილ მწარმოებლებს და მეორე მხრივ, ცენტრალიზაციას აძლევს შრომის პირობებს და აქცევს მას კაპიტალად“[1].

აღმოსავლეთში მიმდინარე დიდი სოციალური მოძრაობანი და გლეხთა აჯანყებები ხელს უწყობდნენ მეურნეობის პროგრესული ფორმებისათვის ბრძოლას, მაგრამ ხელუხლებლად ტოვებდნენ წინანდელ ეკონომიურ პირობებს. ენგელსი საგანგებოდ აღნიშნავდა, თუ როგორ და რითი მთავრდებოდა აჯანყებები სპარსეთში და სხვა მაჰმადიანურ ქვეყნებში[2]. მისი სიტყვით, რელიგიურ სამოსელში გამოხვეული ეს მოძრაობანი გამომდინარეობდნენ ეკონომიური მიზეზებიდან, მაგრამ თვით გამარჯვების შემთხვევაში ხელუხლებლად ტოვებდნენ ძველ ეკონომიურ პირობებს. ამგვარად ყველაფერი ძველებურად რჩებოდა და შეჯახებანი პერიოდული ხდებოდა[3]. ენგელსი მუსლიმანურ აღმოსავლეთის მოძრაობებს უპირისპირებდა „ქრისტიანული დასავლეთის სახალხო მოძრაობებს“ რეფორმაციის პერიოდში და მიუთითებდა, რომ დასავლეთის სახალხო აჯანყებებში „პირიქით, რელიგიური სამოსელი მხოლოდ დროშას წარმოადგენს და ჰფარავს თავდასხმას მოძველებულ ეკონომიურ წყობილებაზე: ეს უკანასკნელი ბოლოსდაბოლოს ინგრევა, მას სცვლის ახალი წყობილება, ქვეყანა წინ მიდის“[4].

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 128.

[2] ფ. ენგელსი, ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის, თბ., 1955, გვ. 19, შენ. 1.

[3] იქვე.

[4] იქვე.

ქალაქების ზრდა და ფართოდ გაჩაღებული ვაჭრობა-ხელოსნობა XIV ს-ის მახლობელ აღმოსავლეთში ანდა XVI ს-ის დამლევის და XVII ს-ის პირველი მეოთხედის ირანში შეპირობებული იყო დროებით მოქმედი ფაქტორებით (სავაჭრო-სატრანზიტო გზების გადანაცვლებით) და არა შესაფერისი ეკონომიური პირობებით. აღმოსავლური ქალაქი ინარჩუნებდა ფეოდალურ ხასიათს და გასაქანს არ აძლევდა ახალ სოციალურ ძალებს[1]. აქაური ქალაქების ვაჭრული კაპიტალის დასახასიათებლად ზედგამოჭრილია მარქსის სიტყვები, რომ „ვაჭრული კაპიტალის დამოუკიდებელი განვითარება შებრუნებულ შეფარდებაშია საზოგადოების საერთო ეკონომიურ განვითარებასთან"[2].

ოსმალეთში, აღნიშნავდა ენგელსი, დაცული არ იყო ვაჭრის პიროვნება და მისი საკუთრება—ძირითადი პირობა ბურჟუაზიული შეძენისა[3]. მოხელეს (ფაშას) ენგელსი თვლიდა ექსპლოატაციის მთავარი აღმოსავლური ფორმის განმახორციელებლად: «Сатрап—иначе паша—олицетворяет собой главную восточную форму эксплоатации»[4]. ასევე იქცეოდნენ აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების მოხელე-ფეოდალები.

ყველა ამასთან ერთად გასათვალისწინებელია ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ როგორც ირანი, ისე ოსმალეთი წარმოადგენდნენ კონგლომერატებს, სადაც წარმოდგენილი იყვნენ საზოგადოებრივი და ეკონომიური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგარი ხალხები. ზოგიერთი მათგანი (ბალკანეთში, აღმ. ევროპაში, ამიერკავკასიაში) ფეოდალური განვითარებით წინ უსწრებდა ოსმალეთს, ირანს. ამიტომ ყიზილბაშების თუ ოსმალების გაბატონება ამ ქვეყნებში საზოგადოებრივი განვითარების შეფერხებას ნიშნავდა. მათ არ შეიძლებოდა თან მოეტანათ მიწის ფეოდალური საკუთრების განვითარებული ფორმები. პირიქით ყიზილბაშებმა და ოსმალებმა დაპყრობილ ქვეყნებში შეაჩერეს მიწის ფეოდალური გასაკუთრების კარგა ხნის წინათ დაწყებული პროცესი, დაუბრუნეს ისინი მი-

---

[1] აღმოსავლური ქალაქების ეკონომიური მდგომარეობა, ვაჭრობის ხასიათი, ხელოსნობა და ხელოსნური ორგანიზაციები (ამქარი, ესნაფი) დახასიათებული გვაქვს შემდეგ წერილებში: ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთი XIII—XVI საუკუნეებში. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა), თბ., 1957, გვ. 291—294; ოსმალეთის ქალაქები, ხელოსნობა და ვაჭრობა XV—XVII საუკუნეებში, იქვე, გვ. 260—272.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, გვ. 285.

[3] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., ტ. XVI, ნაწ. 2, გვ 22.

[4] იქვე, ტ. XXVII, გვ. 234.

წის პირობით მფლობელობას, ე. ი. საკუთრების იმ ფორმას, რომელიც ამ ქვეყნებისათვის უკვე განვლილ ეტაპს წარმოადგენდა. დამპყრობლებმა, ამრიგად, ხელოვნურად გაახანგრძლივეს განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდი[1].

მართალია, ხანმოკლე პერიოდების და ზოგიერთი კუთხის გამოკლებით საქართველოში ადგილი არ ჰქონია ირანის ან ოსმალეთის მფლობელობას, მაგრამ მათი მეზობლობის და პოლიტიკური შატონობის შედეგები. როგორც ვნახეთ, იქცა ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ პირობად, და ეს მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მიწის ფეოდალური საკუთრების შედარებით განვითარებული ფორმები იყო გაბატონებული. ამიტომ ჩვენ ეპვს ქვეშ დავაყენეთ ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული დებულება, რომლის მიხედვით XIII—XVIII საუკუნეები გვიანფეოდალურ პერიოდად არის გამოცხადებული[2]. ფეოდალურ საქართველოსა და მახლობელ აღმოსავლეთში განვითარებული პოლიტიკური და ეკონომიური მოვლენების საფუძველზე ჩვენ გამოვთქვით სრულიად საწინააღმდეგო შეხედულება.

საწინააღმდეგო თვალსაზრისის გამოთქმას დაბრკოლებას არ უქმნის ის, რომ XIII—XIV საუკუნეებისათვის ფეოდალიზაციის პროცესი დამთავრებულია როგორც საქართველოში, ისე მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში (გლეხთა მიწაზე მიმაგრების იურიდიული გაფორმება). ამის შემდეგ, ცხადია, საქმე უნდა გვქონდეს ძველ ურთიერთობათა დაშლასთან და ახალის განვითარებასთან, მაგრამ ფაქტიურად ვიღებთ (საუკუნეთა სიგრძეზე) ფეოდალურ ურთიერთობათა კონსერვაციას, უკიდურესად ჩამორჩენილ ფეოდალურ ეკონომიკას, რომლის საფუძველზეც წარმოიშვება კიდევ უფრო ჩამორჩენილი პოლიტიკური ინსტიტუტები (სახანოები ირანში, სანჯაყები ოსმალეთში, სათავადოები საქართველოში). ის, რასაც გვიანფეოდალური ხანა გულისხმობს, სოციალური და ეკონომიური თვალსაზრისით, არც ჩანს XIII—XVII სს. საქართველოში. ამიტომ, ჩვენი აზრით, განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდი უნდა თავსდებოდეს X—XVII საუკუნეებში, ხოლო გვიანფეოდალური პერიოდი XVIII—XIX საუკუნეებში (საგლეხო რეფორმამდე).

---

[1] А. С. Тверитинова, Проблемы средневековой и новой истории Турции в трудах Болгарских ученых, СВ., № 5, 1955, зз. 178.

[2] ვ. გაბაშვილი, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთი XIII—XVI საუკუნეებში. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა), თბილისი, 1957, გვ. 290.

განვითარებული ფეოდალიზმის გახანგრძლივება საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში ერთ-ერთი ნიშანდობლივი მოვლენათაგანია და მჭიდროდაა დაკავშირებული მომთაბარეთა შემოსევების და ცვალებადი ბატონობის შედეგებთან. „სოციალური ბაზისის უძრაობა“ და „განუწყვეტელი მოძრაობა პირებისა და ტომებისა“[1] ნაგვიანევი ხანის აღმოსავლეთში, მნიშვნელოვნად აბრკოლებდა მეურნეობის მაღალი ფორმების და განვითარებული პოლიტიკური წყობილების სტადიაზე გადასვლას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს, ამიერკავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიური დაქვეითება მეტწილად დაკავშირებულია საგარეო ფაქტორების მოქმედებასთან (თურქების გაბატონება მცირე აზიაში, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგები, სავაჭრო გზების გადანაცვლება აღმოსავლეთიდან დასავლეთში...). ეს მოვლენებიც კონკრეტული პარალელების რიგში თავსდებიან. მათი მნიშვნელობა აღნიშნული აქვთ ივ. ჯავახიშვილს, ნ. ბერძენიშვილს და ს. კაკაბაძეს[2].

მახლობელ და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში ზოგიერთი გარეგანი ფაქტორი (თურქთა გაბატონება მცირე აზიაში, მომთაბარეების შემოსევები და ბატონობა...) შინაგან ფაქტორად იქცა. და სწორედ ამან გააპირობა ის, რომ ნაგვიანევ შუა საუკუნეებში ირანი და ოსმალეთი ფეოდალური განვითარების უმდაბლეს, ბარბაროსულ საფეხურზე აღმოჩნდნენ.

შეიძლება დავასკვნათ, განვითარებული ფეოდალიზმის გახანგრძლივება არ ყოფილა არც ქართული და არც აღმოსავლური ფეოდალიზმის ბუნებრივი და კანონზომიერი განვითარების შედეგი. ორგანვე გვიანფეოდალურ ხანაში გადასვლა დაობრკოლა საგარეო ფაქტორმა. მიუხედავად ამისა ფეოდალური საქართველოს „ეკონომიურ აგებულებასა და წყობაში“ მოცემული იყო ელემენტები, რომლებიც შესვენებისა და მშვიდობიანობის პერიოდებში დაუყოვნებლივ ჰქმნიდნენ განვითარებისათვის საჭირო პირობებს.

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XII, ნაწ. 2, გვ. 870.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 178—188; Н. А. Бердзенишвили, Очерк из истории феодальных отношений в Грузии в XIII—XVI вв., გვ. 6—22; ს. კაკაბაძე, საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში, „მნათობი“, 1924, № 2, გვ. 214—242; С. Н. Какабадзе, Крестьянский вопрос и крестьянские движения Восточной Грузии в XVIII веке, Сб. История классовой борьбы в Закавказье, 1930.

თავი მესამე

ფეოდალური წყობილების თავისებურებანი საქართველოსა და აღმოსავლეთში

1. ზოგადი შენიშვნები

ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობათა შედარებითი შესწავლა, როგორც აღვნიშნეთ, არ ყოფილა სპეციალური კვლევა-ძიების საგანი. ამასთან ამ საკითხით დაინტერესებული ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი მხედველობაში იღებდა არა კონკრეტულ ფაქტებს, არამედ ზოგადი ხასიათის შეხედულებებსა და თეორიებს.

აღმოსავლური ფეოდალიზმის შესწავლას არც თუ ისე ხანგრძლივი ისტორია აქვს. ალბათ ამით აიხსნება, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში XX ს-ის 30-იანი წლებიდან მოკიდებული დღემდე, აღმოსავლური ფეოდალიზმის თაობაზე მცდარი და, ზოგჯერ, შეუწყნარებელი მოსაზრებანი იყო გამოთქმული.

რევოლუციამდელი რუსული ორიენტალისტიკა არ ცნობდა ფეოდალიზმს აღმოსავლეთში. ფეოდალური ურთიერთობის არსებობას აღმოსავლეთში უარყოფდა აღმოსავლეთის ქვეყნების ისეთი მკვლევარიც კი როგორიც იყო აკად. ვ. ბარტოლდი. მან მხოლოდ 1923 წელს აღიარა გლეხთა მიწაზე მიმაგრების ფაქტი XIII—XVI სს. ირანში[1]. მაგრამ შემდეგ თვითონვე უარყო ეს შეხედულება და ამტკიცებდა, რომ „მუსლიმანურმა სამყარომ“ არ იცის ბატონყმური

---

[1] В. Бартольд, К истории крестьянских движений в Персии, Сборник в честь Н. И. Кареева, 1923, გვ. 58—60.

სამართალი და რომ აღმოსავლეთში გლეხები არ იყვნენ მიწაზე მიმაგრებული და შეეძლოთ თავისუფალი ადგილგადანაცვლება[1].

ბურჟუაზიული ისტორიკოსები დაჟინებით ცდილობენ ცხადყონ, რომ აღმოსავლეთის საზოგადოებრივმა განვითარებამ დასავლეთისაგან განსხვავებული გზა განვლო. ამგვარი შეხედულება ორგანულადაა დაკავშირებული იმპერიალისტური სახელმწიფოების კოლონიურ პოლიტიკასთან.

ფეოდალიზაციის პროცესმა აღმოსავლეთში მოითხოვა ისეთივე წარმოებითი ურთიერთობა, როგორიც დამახასიათებელი იყო შუა საუკუნეების დას. ევროპის ქვეყნებისათვის.

დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის საფუძველზე შესაძლებელია ავხსნათ აღმოსავლეთის ყველა ქვეყნის საზოგადოების განვითარება, როგორც კანონზომიერი და მთლიანი პროცესი, გამოხატული მის ყველა მრავალწახნაგოვან ფორმებსა და წინააღმდეგობებში. „ადამიანთა ყველა საზოგადოების განვითარება მრავალი ათასი წლის მანძილზე, გამოუკლებლივ ყველა ქვეყანაში, გვიჩვენებს განვითარების საერთო კანონზომიერებას, სისწორეს და თანამიმდევრობას“[2].

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ფეოდალური საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა შესახებ გვეხმარება წარმატებით გადავჭრათ აღმოსავლური ფეოდალიზმის პრობლემის მნიშვნელოვანი საკითხები.

ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის სისტემის გაბატონებული მდგომარეობისათვის აუცილებელი პირობები დამახასიათებელი იყო აღმოსავლეთის ფეოდალური საზოგადოებისთვისაც.

ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის „სისტემის გაბატონებული მდგომარეობა გულისხმობდა შემდეგ აუცილებელ პირობებს: ჯერ ერთი ნატურალური მეურნეობის ბატონობას..., მეორეც, ასეთი მეურნეობისათვის საჭიროა, რომ უშუალო მწარმოებელს მიცემული ჰქონდეს წარმოების საშუალებანი საზოგადოდ და მიწა კერძოდ. ესეც ცოტაა—საჭიროა, რომ ის მიმაგრებული იყოს მიწაზე, რადგან სხვანაირად მემამულე მუშახელით არ იქნება უზრუნველყოფილი..., მესამეც, მეურნეობის ამ სისტემის პირობაა გლეხის პირადი დამოკიდებულება მემამულისაგან. მემამულეს რომ არ ჰქონოდა პირ-

---

[1] В. Бартольд, К вопросу о феодализме в Иране, «Новый Восток», № 28, 1930, გვ. 119.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, 1951, ტ. 29, გვ. 559.

დაპირი ძალაუფლება გლეხის პიროვნების მიმართ, ის ვერ შესძ-ლებდა თავის სასარგებლოდ ემუშავებინა ადამიანი, რომელსაც მიწა მიუღია და რომელიც საკუთარ მეურნეობას ეწევა. საჭიროა, მაშა-სადამე „გარეეკონომიური იძულება“, როგორც ამბობს მარქსი, რო-ცა ახასიათებს ამ სამეურნეო რეჟიმს... ამ იძულების ფორმა და ხა-რისხი შესაძლებელია სულ სხვადასხვანაირი იყოს, დაწყებული ბა-ტონყმური მდგომარეობით და გათავებული გლეხის წოდებრივი არასრულუფლებიანობით. ბოლოს მეოთხეც, ასაწერი სამეურნეო სისტემის პირობა და შედეგი იყო ტექნიკის უკიდურესად დაბალი და რუტინული მდგომარეობა, რადგან მეურნეობის გაძღოლა წვრილ გლეხთა ხელში იყო, რომელნიც გაჭირვებისაგან წელში წყდებოდნენ და პირადი დამოკიდებულებით და გონებრივი სიბნე-ლით დაბეჩავებული იყვნენ“[1].

ვ. ი. ლენინის მითითება, რომ გარეეკონომიური „იძულების ფორმა და ხარისხი შესაძლებელია სულ სხვადასხვანაირი იყოს, დაწყებული ბატონყმური მდგომარეობით და გათავებული გლეხის წოდებრივი არასრულუფლებიანობით“, გვიჩვენებს ფეოდალური დამოკიდებულების სხვადასხვანაირი ფორმების არსებობას ფეოდა-ლიზმის დროს. აღმოსავლეთის ფეოდალურ ქვეყნებშიც ცნობილი იყო როგორც გლეხის ბატონყმური მდგომარეობა (მიწაზე მიმაგ-რება), ისე წოდებრივი არასრულუფლებიანობა.

წარმოების წესის საერთო ზოგადი ნიშნებისა და კანონზომი-ერების მიუხედავად, ფეოდალიზმის განვითარება და მისი პოლიტი-კური, საზოგადოებრივი და სამეურნეო სტრუქტურის ფორმები ამჟღავნებდა ნაირსახეობას და თავისებურებას ცალკეული ქვეყნე-ბის მიხედვით.

სხვადასხვა ქვეყნებში ფეოდალურ ურთიერთობათა ტიპი ხში-რად მეტად განსხვავებული იყო. მაგ., დას. ევროპის ქვეყნებში ფეო-დალურ ურთიერთობათა ტიპი ერთნაირი არ ყოფილა და თითოეულ მათგანში აშკარად იყო წარმოჩენილი განმასხვავებელი თავისებუ-რებანი.

ფეოდალურ ურთიერთობათა თავისებურების მიხედვით რუ-სულ ფეოდალიზმს ასხვავებენ დას. ევროპულ ფეოდალიზმისაგან, ქართულ ფეოდალიზმს რუსული ფეოდალიზმისაგან. რუსული, დას. ევროპული და ქართული ფეოდალიზმი, რომელთაც ბევრი მსგავსე-ბაც ჰქონდათ, განსხვავდებოდნენ აღმოსავლური ფეოდალიზმი-საგან.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, ტ. 3, გვ. 207—209.

მაგრამ ფეოდალიზმის სოციალური ბუნება ყველგან ერთნაირი იყო.

მეტად თავისებურადაა დასმული და გაშუქებული აღმოსავლური ფეოდალიზმის პრობლემა ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში. ამ „თავისებურებაში" ჩვენ არ ვგულისხმობთ იმას, რომ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისათვის უცხოა ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობა.

აღმოსავლურ ფეოდალიზმში ბურჟუაზიული ისტორიკოსები გულისხმობენ არა საკუთრივ ფეოდალიზმს, როგორც ეს მათ ესმით დას. ევროპის მაგალითზე, არამედ სპეციფიკურ აღმოსავლურ ადმინისტრაციულ და ბიუროკრატიულ სისტემას.

„ისლამური ფეოდალიზმი" ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში ნახმარია პირობითი მნიშვნელობით, რადგან ბურჟუაზიული ისტორიკოსები უარყოფენ ფეოდალური ინსტიტუტების არსებობას მუსლიმანურ აღმოსავლეთში.

მაგ., იკტას ფეოდალური ინსტიტუტი, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა მახლობელი აღმოსავლეთის ფეოდალიზაციაში, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით წარმოადგენდა ბიუროკრატიულ სისტემას და არა ფეოდალურ ორგანიზაციას.

ინგლისელი ისტორიკოსი ლამბტონი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ირანელი მიწისმფლობელის და გლეხის ისტორია, აღნიშნავს: „იკტას სისტემა ზოგჯერ გაგებულია როგორც ფეოდალიზმი, მაგრამ პირობები, რომელთაც იკტას სისტემა წარმოშვეს და მიზეზები, რომელთაც ხელი შეუწყვეს მის შემდგომ ზრდას, განსხვავდებოდნენ იმათგან, რომელნიც წარმოდგენილი იყვნენ დას. ევროპაში ფეოდალიზმის დროს. შედეგებიც განსხვავებული იყო, და შეცდომა იქნებოდა გველაპარაკა ფეოდალიზმზე აღმოსავლეთ სახალიფოს ქვეყნებში, სპარსეთის ჩათვლით, თუ წინასწარ არ განვმარტავდით, რომ ისლამური ფეოდალიზმი არ შეესაბამება ფეოდალიზმის დას. ევროპაში დამოწმებულ არც ერთ მრავალნაირ ტიპთაგანს. ურთიერთ მოვალეობის ელემენტი, მოცემული დას. ევროპის ფეოდალური ურთიერთობის საფუძველში, აქ არ არსებობს"[1].

ბეკერს იკტა წარმოდგენილი აქვს როგორც ადმინისტრაციული და ბიუროკრატიული სისტემა[2]. მორლენდის აზრითაც, იკტას სისტე-

---

[1] **Lambton**, Landlord and Peasant in Persie, London, 1953, გვ. 53—54.

[2] **Islamstudien**, I, გვ. 240.

მა მოღოლთა ინდოეთში წარმოადგენდა ბიუროკრატიულ და არა ფეოდალურ ორგანიზაციას[1]. ასეთსავე შეხედულებას გამოთქვამენ იკტას სხვა ბურჟუაზიული მკვლევარები[2].

მაგრამ მიწის სახელმწიფო საკუთრება აღმოსავლეთში სრულიადაც აო ჰქმნიდა მოხელეთა განსაკუთრებულ კლასს, მოხელე იქ არ ჰფარავდა ფეოდალს, როგორც ამას ბურჟუაზიული ისტორიკოსები ფიქრობენ. აღნიშნული გარემოება აპირობებდა არა „სახელმწიფო ფეოდალიზმის“ არსებობას, არამედ აღმოსავლური ფეოდალიზმის თავისებურებას.

აღმოსავლური ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელი იყო მთელი რიგი სპეციფიკური თავისებურებანი, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უკვე მარქსიზმის ფუძემდებლებმა მიაქციეს.

ფეოდალურ აღმოსავლეთში მიწის უზენაეს მესაკუთრედ სახელმწიფო გამოდიოდა. მაგრამ ის გარემოება, რომ აქ „რენტა და გადასახადი ერთმანეთს თანაემთხვეოდა“[3] სრულიადაც არ ცვლიდა რენტის ფეოდალურ ბუნებას.

აღმოსავლეთში არსებობდა რენტის სამივე სახეობა (შრომითი რენტა, რენტა პროდუქტებით, ფულადი რენტა), რა თქმა უნდა, ისეთივე თანმიმდევრობით ან შერეული სახით, როგორც ე. წ. „კლასიკური ფეოდალიზმის“ ქვეყნებში.

აღმოსავლეთში სახელმწიფო „მორწყვის ერთობლივი მომწესრიგებელი იყო“. სახელმწიფოს ხელთ იყო საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზაციის ფუნქცია.

მარქსი მიუთითებდა, რომ მოსავალი აღმოსავლეთში დამოკიდებული იყო კარგ ან ცუდ მთავრობაზე, როგორადაც ის ევროპაში

---

[1] W. H. Moreland, The Agrarian Sistem of Muslim India, Cambridge, 1929, გვ. 218—221.

[2] ა. პოლიაკი დას. ევროპის ფეოდალიზმისაგან განსხვავებით იკტას განვითარების თავისებურებას მუსლიმანურ ქვეყნებში იმაში ხედავს, რომ თუ საკარგავები, მისი სიტყვით, აღმოსავლეთში ქალაქებში იყო კონცენტრირებული, დასავლეთში ისინი ფეოდალების ციხე-კოშკების მიხედვით იყვნენ განაწილებული. საკარგავების ამგვარ კონცენტრაციას ა. პოლიაკი უკავშირებს უაღრესად განვითარებულ სამონეტო სისტემას და ნიადაგის ფიზიკურ თვისებებს აღმოსავლეთში. იხ. A. N. Poliak, La Féodalite islamique, BEI, 1936, X, გვ. 247—265; Feodalism in Egypt, Siria, Palestine and the Lebanon, 1250—1900, London, 1939.

[3] კ. მარქსი, კაპიტალი, III, ნაწ, 2, გვ. 310.

დამოკიდებული იყო კარგ ან ცუდ ამინდზე[1]. ენგელსი შენიშნავდა: „რამდენი დესპოტიები გაჩენილა და დაღუპულა სპარსეთსა და ინდოეთში და თვითეულმა მათგანმა კარგად იცოდა, რომ იგი, უწინარეს ყოვლისა, მდინარეთა ხეობათა ერთობლივი მომწესრიგებელი იყო, მოურწყავად იქ შეუძლებელია მიწათმოქმედება“[2].

კ. მარქსის და ფ. ენგელსის განსაზღვრით: „მთავრობებს აღმოსავლეთში ყოველთვის სამი უწყება ქონდა: საფინანსო (საკუთარი მოსახლეობის ძარცვა), სამხედრო (ძარცვა ქვეყნის შიგნით და უცხო ქვეყნებში), საზოგადოებრივ სამუშაოთა უწყება (ზრუნვა რეპროდუქციისათვის)“[3].

დამოწმებული დებულება შეიძლება თამამად გავავრცელოთ სასანურ ირანზე. არაბთა სახალიფოზე, თურქ-სელჩუკების, მონღოლების, თურქმანების, ყიზილბაშების და ოსმალების სახელმწიფოებზე.

ძირითადი მწარმოებელი კლასის ექსპლოატაცია ფეოდალურ აღმოსავლეთში უპირატესად სახელმწიფოს მეშვეობით წარმოებდა. განვითარებული სახელმწიფო მიწისმფლობელობის პირობებში ფართო გასაქანი ეძლეოდა. „ექსპლოატაციის აღმოსავლურ ფორმას“[4]. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს აღმოსავლეთში საქმე გვქონდეს „სახელმწიფო ფეოდალიზმთან“ ან „სამოხელეო ფეოდალიზმთან“.

აღმოსავლეთისათვის უცხო არ იყო გლეხის ფეოდალზე უშუალო დამოკიდებულება, მისი მიწაზე მიმაგრება. აქ არსებობდა გლეხთა ისეთი კატეგორიაც, რომელიც ფეოდალების პირად მეურნეობაში იყო გამოყენებული. საამისო პირობას ქმნიდა მიწის ფეოდალური გასაკუთრება. მაგრამ ამ პროცესის განვითარებას ხელს უშლიდა მიწების პერიოდული გადანაწილება და ფეოდალური უფლებების გადაჯგუფება, რაც ჩვეულებრივ თან სდევდა ხოლმე მომთაბარე ხალხების შემოსევებსა და ბატონობას.

მარქსმა ყურადღება მიაქცია ბინადარი და მომთაბარე მოსახლეობის თანაფარდობის ფაქტის მნიშვნელობას აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიულ ცხოვრებაში[5]. მომთაბარეთა მეზობლობა-ბა-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1950, გვ. 307.

[2] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 212.

[3] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, თბ., 1949, გვ. 75.

[4] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, ტ. XXVII, გვ. 231.

[5] კ. მარქსი, წერილები „კაპიტალის“ შესახებ, თბ., 1952, გვ. 47.

ტონობა და აღმოსავლური თემი მთავარი ფაქტორები იყო მეურნეობის ძველი ფორმების კონსერვაციის საქმეში.

აღმოსავლურმა თემმა დიდხანს შემოინახა თავი აღმოსავლეთის უკლებლივ ყველა ქვეყანაში. აღმოსავლეთის დესპოტიზმის ამ მტკიცე საფუძვლის დაშლის პროცესი საუკუნეებით გახანგრძლივდა. „აღმოსავლურმა დესპოტიზმმა და მომთაბარე ხალხების ცვალებადმა ბატონობამ ათასი წლების განმავლობაში ვერაფერი დააკლო ამ ძველ თემებს“[1].

მაგრამ ფეოდალური წყობილების საფუძველი ყველგან (და მომთაბარეებს შორისაც) მიწის ფეოდალური საკუთრება იყო. ამიტომ ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობათა თავისებურებების საჩვენებლად, უწინარეს ყოვლისა, ფეოდალური მიწისმფლობელობის გათვალისწინებაა საჭირო.

აკად. ნ. ბერძენიშვილს ნაჩვენები აქვს, თუ რატომ ცდილობდნენ ყიზილბაშები ან ოსმალები ქართული მიწისმფლობელობის გაუქმებას, მაგრამ მას არ შეუდარებია მიწის ფეოდალური საკუთრების საქართველოში გაბატონებული ფორმები აღმოსავლურ მიწისმფლობელობასთან. ასევე შედარების გარეშე აღნიშნავს პროფ. ი. პეტრუშევსკი ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის თავისებურებას.

მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმების შედარებითი შესწავლის პირველი ცდა, თუ არ ვცდებით, ეკუთვნის პროფ. ს. კაკაბაძეს[2].

პროფ. ს. კაკაბაძე მიუთითებდა მულქის და თიულის ინსტიტუტების პარალელებზე ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში. მისი აზრით: «Мюльку закавказских ханств соответствовали в Грузии сахелъ, т. е. бенефиции, присвоенные определенным должностям. Тиулы, которым соответствовало грузинское «самквидро» (სამკვიდრო მამული, სამკვიდრო ყმები—собственные имения, собственные крепостные) составляли другой род владения населенными имениями на правах фактической частной собственности, обычно переходившей наследственно с правом отчуждения»[3].

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 191.

[2] С. Н. Какабадзе, Черты феодального строя в Грузии и ханствах Закавказья в новые века, გვ. 10—11.

[3] С. Н. Какабадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 11.

მოტანილ ციტატებში დაშვებული ყველა შეცდომის აღნიშვნა ამჟამად საჭიროდ არ მიგვაჩნია. როგორც ქვემოთ ვნახავთ (იხ. § 3, აღმოსავლური ფეოდალური მიწისმფლობელობა) მულქი არავითარ თანამდებობასთან არ იყო დაკავშირებული, ხოლო თიულს, რომლის მფლობელი რენტა-ხარკის ან მისი წილის უფლებით სარგებლობდა, არაფერი აქვს საერთო სამკვიდრო მამულთან.

ამგვარსავე თვალსაზრისს ადგა პროფ. ს. კაკაბაძე გვიანაც, როცა ქართული და აღმოსავლური ფეოდალური ურთიერთობანი და, კერძოდ, მიწისმფლობელობის კატეგორიები შედარებით უკეთ იყო შესწავლილი, ვიდრე 30-იან წლებში.

1941 წელს პროფ. ს. კაკაბაძე წერდა: «Феодальные владения двоякого рода в Персии—тиул, т. е. наследственный военный лен, требовавший, впрочем, при каждой перемене владельца нового подтверждения своих прав со стороны сюзерена, местного ли в лице хана или центрального в лице шаха — и мюльк адарство, т. е наследственное право участия в доходах (обычно в количестве 1/10-й доли) по управленческим в деревнях и районах функциям наблюдаются и в Грузии в виде «самамуло» (фамильнородовых, т. е. передаваемых по назначению от царя в одном и том же роде, но не всегда после смерти отца его сыну) и «сахело» или «самоурао» (должностных,но наследственных держаний, передававшихся от отца к сыну)[2].

საჭიროა აღინიშნოს, რომ თავისი დასკვნების დასაბუთებისათვის პროფ. ს. კაკაბაძეს არ მოუხმია შესადარებელი მასალა. მიუხედავად ამისა, მან, როგორც ვხედავთ, მაინც შესაძლებლად დაინახა განეზოგადებინა ეს მეტად რთული და, ამავე დროს, ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულიად შეუსწავლელი საკითხი. ალბათ ამით აიხსნება, რომ მისი შეხედულება და დასკვნები ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის თავისთავადობის საკითხში არსებითად განსხვავდება, მაგალითად, პროფ. ი. პეტრუშევსკის შეხედულებებისაგან. პროფ. ს. კაკაბაძემ მსგავსება დაინახა იმაში, რამაც პროფ. ი. პეტრუშევსკის განსხვავების აღნიშვნის საფუძველი მისცა.

საზოგადოდ პროფ. ს. კაკაბაძე არ ითვალისწინებს ფეოდალური ინსტიტუტების განვითარებას და მათს შინაარსობლივ ცვალებადობას აღმ. ამიერკავკასიასა და წინა აზიაში.

---

[2] С. Н. Какабадзе, Краткий обзор истории Грузии, Сухуми, 1941, зз. 40—41.

ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობათა ურთიერთმიმართების საკითხს მეთოდოლოგიურად სწორად უდგება პროფ. ივ. სურგულაძე. ფეოდალური საქართველოს საკუთრების უფლების ინსტიტუტის შესწავლისას იგი აღნიშნავს: „ყოველი ქვეყნის ფეოდალიზმს თავისი სპეციფიკაც აქვს. ეს სპეციფიკა ძირითადად ამა თუ იმ ქვეყნის ფეოდალური საკუთრების თავისებურებაში უნდა ვეძებოთ“[1].

პროფ. ივ. სურგულაძეს ქართული და აღმოსავლური ფეოდალიზმის თავისებურებანი სავსებით მართებულად გამოჰყავს მიწისმფლობელობის წესებიდან, მაგრამ საკითხისადმი სწორ მიდგომასთან ერთად აშკარად იჩენს თავს მისი მცდარი წარმოდგენა მიწის ფეოდალური საკუთრების აღმოსავლურ ფორმებზე.

დებულება, რომ აღმოსავლეთში „ყველაფერი სახელმწიფოს სახელით ხდება“ ემხრობა „სახელმწიფო ფეოდალიზმის“ თეორიას. ეს შეხედულება ფაქტიურად ერთმანეთისაგან სთიშავს ფეოდალებს და მწარმოებლებს, ფეოდალები კი მხოლოდ მოხელის მდგომარეობამდე დაჰყავს. ამგვარადვეა დაყენებული საკითხი ნ. ფილროზეს სტატიაში, რომელშიაც გარჩეულია სეფიანთა ირანის მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმები[2]. დასახელებული ავტორიც ფეოდალური საკუთრების აღმოსავლურ ფორმებს ფაქტიურად „სახელმწიფო ფეოდალიზმის“ ანუ „სამოხელეო ფეოდალიზმის“ თეორიის მიხედვით აშუქებს.

ვითარებას არ ცვლის იმის თქმა, რომ აღმოსავლეთში „თავისებურად შერწყმული იყო ერთმანეთში მოხელე და ფეოდალი“, რადგან ივ. სურგულაძე აღმოსავლეთში ამჩნევს მხოლოდ სახელმწიფო გადასახადებს და გამორიცხავს ფეოდალური გადასახადების არსებობას. იგი წერს: „აღმოსავლეთ სახელმწიფოებში ზედმეტი ღირებულების მითვისებაც ხდება სახელმწიფო გადასახადების საშუალებით, რადგან აღმოსავლეთში ყველაფერი სახელმწიფოს სახელით ხდება“. მისი აზრით, „აღმოსავლეთის ხანი ევროპული ქვეყნების ფეოდალისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ევროპული ქვეყნების ფეოდალი, პირველ ყოვლისა, მესაკუთრე იყო და მერე მეფის მოხელე, აღმოსავლეთის ფეოდალი კი, პირიქით, ევროპული

---

[1] ივ. სურგულაძე, საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, გვ. 31.

[2] Н. Фильрозе, К вопросу о формах земельной собственности в государстве Сефевидов, Очерки по новой истории стран Среднего Востока, изд. МГУ, 1952, გვ. 175—185.

ქვეყნების ფეოდალი გადასახადებს აგროვებდა თავისთვის, აღმოსავლეთში მეფისთვის"[1].

ივ. სურგულაძე უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ აღმოსავლეთში არსებობდა მსხვილი კერძო მიწისმფლობელობაც, საკმაოდ განვითარებული კერძო საკუთრების ინსტიტუტი („მულქი") და აუარებელი ფეოდალური გამოსაღებები და ვალდებულებანი.

ფეოდალური აღმოსავლეთი იცნობდა კერძომესაკუთრულ „მამულებსაც" (არაბ. „დია" და „ამლაქი", სპ. „ზია"). ამავე დროს, აღმოსავლეთისათვის, გარკვეული დროიდან, კარგად იყო ცნობილი საგადასახადო, სასამართლო და ადმინისტრაციული იმუნიტეტი. ასე რომ აღმოსავლეთში „ყველაფერი სახელმწიფოს სახელით" არ ხდებოდა.

ის მოვლენა, რომ აღმოსავლეთში „რენტა და გადასახადი ერთმანეთს თანაემთხვევა" ივ. სურგულაძეს საბაბს აძლევს აღნიშნოს, რომ „ეს გარემოება თავისებურ ელფერს ადებს აღმოსავლეთის სახელმწიფოების ფეოდალიზმს"[2]. აღნიშნული გარემოება მართლაც აღმოსავლური ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ნიშანთვისებათაგანია. მაგრამ მართებული არაა იმის თქმა, რომ აღმოსავლური ფეოდალიზმი ამით განსხვავდებოდა ევროპული და ქართული ფეოდალიზმისაგან.

ივ. სურგულაძე წერს: „ევროპულ ქვეყნებში რენტა და გადასახადი არ ემთხვევიან ერთმანეთს, მაშინ როდესაც აღმოსავლეთისათვის სწორედ ეს იყო დამახასიათებელი"[3]. დამოწმებული დებულება გავრცელებულია ქართულ ფეოდალიზმზეც: „საქართველოში, ისე როგორც ევროპულ ქვეყნებში რენტა და გადასახადი ერთმანეთს არ ემთხვევა". მაგრამ რენტა და გადასახადი ერთმანეთს შეიძლებოდა თანადამთხვეოდა ე. წ. „კლასიკური ფეოდალიზმის" ქვეყნებშიც იმ შემთხვევაში, როცა მიწის უზენაეს მესაკუთრედ სახელმწიფო გამოდიოდა. მაგ., საქართველოში (პატრონყმობის პერიოდში საკარგავების სისტემის არსებობის პირობებში[4]),

---

[1] ივ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 32—33.

[2] იქვე, გვ. 32.

[3] იქვე, გვ. 33; მისივე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, გვ. 451, 463—464.

[4] აკად. ს. ჯანაშია აღნიშნავდა „სახელმწიფო გამოსაღებისა და ფეოდალური გამოსაღების დახვედრა"-ს ნაგვიანევი საუკუნეების საქართველოს იმ რაიონებში, სადაც „სოფლის მოსახლეობა ჯერ კიდევ საბატონო ყმებად არ

კიევის რუსეთში, სადაც მიწის უზენაეს მესაკუთრედ კიევის მთავარი გამოდიოდა[1] და სხვაგანაც. ამრიგად, გარკვეულ პირობებში, ეს განმასხვავებელი ნიშანი ადვილად შეიძლება მოთავსდეს ყველა ქვეყნის ფეოდალურ ურთიერთობათა რიგში.

საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ პროფ. ივ. სურგულაძეს დაუნაწევრებლად აქვს წარმოდგენილი „აღმოსავლეთის სახელმწიფოების ფეოდალიზმი". იგი არ ითვალისწინებს ყიზილბაშურ-ირანული და თურქული ფეოდალიზმის ნიშანდობლივ თავისებურებებს, თითოეული აღმოსავლური ქვეყნის სპეციფიკურ „ფეოდალურ ვარიანტს". ამასთან ავტორის განზოგადებული მსჯელობა დაფუძნებული არაა კონკრეტულ ფაქტებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალური ინსტიტუტების მსგავსება (შუა აზიაში, ინდოეთში, ირანში, თურქეთში, არაბეთში) აღმოცენებული იყო საკუთრების საერთო საფუძველზე და უნიფიცირებული იყო მუსლიმანური სამართლით, თითოეული მათგანი მაინც გარკვეულ ნაირსახეობას ამჟღავნებდა ცალკეული ქვეყნის მიხედვით. ასე მაგ., ირანული თიული არ ჰგავდა ოსმალურ თიმარს, და ეს მიუხედავად იმისა, რომ ორთავე გაცემული იყო სახელმწიფო მიწების ფონდიდან შეწყალებული ფეოდალების სახელზე და გარეგნულად დაფუძნებული იყო მუსლიმანური სამართლის იურიდიულ ნორმებზე.

ფეოდალური ინსტიტუტების საერთო მსგავსებაში გარკვეულ როლს (და არა გადამწყვეტს, როგორც ამას ბურჟუაზიული ისტორიკოსები ფიქრობენ) ასრულებდა ისლამი და მუსლიმანური სამართალი. ამას გარდა, აღმოსავლეთში მიწათმოქმედებისათვის აუცილებელი ხელოვნური რწყვა თავისებურ გამოხატულებას პოულობდა მიწისმფლობელობის, მიწათსარგებლობის და მწარმოებელი კლასის ექსპლოატაციის ფორმებში (მიწის გლეხებზე იჯარით გაცემა საყოველთაო მოვლენაა შუა საუკუნეების მთელ მანძილზე), მაგრამ საერთოს მხრივ მთავარი მაინც ის იყო, რომ მომთაბარული ტომების და ხალხების განუწყვეტელი შემოსევებისა და ბატონობის შედეგები საერთო ეკონომიურ მდგომარეობას ჰქმნიდა აღმოსავლეთის უკლებლივ ყველა ქვეყანაში.

ქვეყნა", ე. ი. როცა „იგი მეფის ქვეშევრდომია უშუალოდ და მეფის ვასალიც". ს. ჯანაშია, ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ, გვ. 7.

[1] Л. В. Черепнин, Основные этапы развития феодальной собственности на Руси (до XVIII века), ВИ, № 4, 1952, გვ. 48.

აღნიშნული გარემოებანი სრულიადაც არ გამორიცხავს თითოეული აღმოსავლური ქვეყნის ფეოდალურ ურთიერთობათა სპეციფიკურ თავისებურებას. პირიქით, აღმ. ამიერკავკასიის თუ შუა აზიის საბუთებში სწორედ სპეციფიკური თავისებურებანია ხაზგასმული. შეცდომა იქნებოდა იმის დაშვება, რომ მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმების მსგავსება აღმოსავლეთის ქვეყნებში ფეოდალური ურთიერთობის ერთნაირ სურათს ქმნიდა. ამ მხრივ შუა აზიური ფეოდალიზმი განსხვავდებოდა ირანულისაგან და ინდურისაგან, ირანული და ინდური კი თურქული ფეოდალიზმისაგან.

კიდევ მეტი: ფვით ირანის და ოსმალეთის ცალკეულ პროვინციებში გადასახადების სახეობანი, ფეოდალური ვალდებულებანი, მათი რეალიზაციის ფორმები და მეთოდები, გლეხთა დამოკიდებულების ფორმები გარკვეულ ნაირსახეობას ამჟღავნებდა. მით უმეტეს ეს შეიძლება ვთქვათ ირანის ან ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ქვეყნებზე.

ასე მაგ., არაბულ ქვეყნებში (ერაყი, სირია, ეგვიპტე) განსხვავება თავს იჩენდა თვით სოციალურ-ეკონომიურ ტერმინოლოგიაში. და ეს იმის გამო, რომ არაბულ ქვეყნებში ოსმალებმა მიწების დიდი ნაწილი ძველ მფლობელებს დაუტოვეს. ნაწილობრივ ასევე მოიქცნენ ისინი გაოსმალებულ სამცხე-საათაბაგოშიც. მაგრამ იქ, სადაც მიწები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა და შემოღებულ იქნა თურქული ფეოდალური სისტემა, ადგილობრივი ფეოდალური ინსტიტუტები (მაგ., ვოევოდობა, ბაშტინა, სასოფლო თემი და სხვ. ბულგარეთში) მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე შეუთავსდა ახლად შემოღებულს და მოხდა მათი იურიდიული უნიფიცირება შარიათის კანონმდებლობით[1]. ამგვარივე ხასიათის ცვლილებებთან გვაქვს საქმე „ოსმალეთის საქართველოშიც“.

პროფ. ივ. სურგულაძე მართებულად შენიშნავს: „XVI—XVII საუკუნეებში საქართველოს სხვადასხვა ნაწილები ხშირად ეპყრათ ოსმალეთსა და სპარსეთს, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ ქვეყნის ინკორპორაციის მიზნით თავისი ინსტიტუტების დანერგვას საქართველოში“[2]. ყიზილბაშური და ოსმალური ინსტიტუტების შემოღების ცდანი XVI—XVII სს. საქართველოში, გვიკარნახებს ამ

---

[1] А. С. Тверитинова, Проблемы средневековой и новой истории Турции в трудах болгарских ученых, СВ, № 5, 1955, გვ. 178.

[2] ივ. სურგულაძე, საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, გვ. 32.

ინსტიტუტების შესწავლა-გათვალისწინებას კონკრეტულ ისტორიულ პირობებში.

განსახილველი პრობლემით დაინტერესებულ მკვლევრებთან შედარებით ჩვენი მდგომარეობა უკეთესია იმ მხრივ, რომ უკანასკნელ წლებში ზედიზედ გამოქვეყნდა მონოგრაფიული გამოკვლევები აღმოსავლური ფეოდალიზმის შესახებ. მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზეა შესწავლილი კერძოდ ირანული და თურქული ფეოდალიზმი. საკმაო სისრულითაა შესწავლილი აგრეთვე ფეოდალური ურთიერთობანი სომხეთსა და აზერბაიჯანში, სადაც XVI საუკუნიდან მოკიდებული ყიზილბაშურ-ირანული აგრარული და ადმინისტრაციული სისტემა იყო გაბატონებული.

სომხეთის და აზერბაიჯანის ფეოდალურ ურთიერთობათა მკვლევრებმა ცხადყვეს რევოლუციამდელი კავკასიისმცოდნეობის შეხედულებების უსაფუძვლობა მიწის სახელმწიფო საკუთრებისა და გლეხთა ფეოდალური დამოკიდებულების საკითხში. მათვე ახლებურად შეისწავლეს ცარიზმის არქივის მასალები და გამოავლინეს ახალი წყაროები სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის. პროფ. ი. პეტრუშევსკიმ თავისი მონოგრაფიული გამოკვლევის გამოქვეყნებამდე[1] შეისწავლა სპარსული ოფიციალური ფირმანები როგორც წყარო აზერბაიჯანის და სომხეთის ფეოდალურ ურთიერთობათა ისტორიისათვის XVI—XIX ს-ის დამდეგს[2]. ამავე დროს, მის ნაშრომებში ნაჩვენებია ფეოდალური ურთიერთობის, ფეოდალური მიწისმფლობელობის და გლეხთა კატეგორიების ზოგიერთი თავისებურებანი აღმ. ამიერკავკასიის სახანოებში.

ერევნის სახანოში გავრცელებული იყო აღმოსავლური ფეოდალური ინსტიტუტები—«Оно было феодальным образованием с целым рядом специфических черт, свойственных восточному феодализму»[3]. მაგრამ მულქადარობა აქ, შინაარსობლივად ირანული და აზერბაიჯანული მულქისაგან რამდენადმე განსხვავებული, სპე-

---

[1] И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX вв., Л., 1949.

[2] И. П. Петрушевский, Персидские официальные документы как источник по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX вв., «Проблемы источниковедения», III, Л., 1940.

[3] А. М. Есаян, Поземельная собственность в бывшем Ереванском ханстве, Научные труды Ереванского гос. университета, ტ. XXIII, 1946, გვ. 278.

ციფიკური თვისებების მატარებული იყო. მულქის სპეციფიკური თავისებურებანი ერევნისა და ნახჭევნის სახანოებში აღნიშნული აქვთ ი. პეტრუშევსკის[1], ა. ესაიანს[2]. სამაგიეროდ ირანულის ანალოგიურად იყო თიულის ფეოდალური ინსტიტუტი.

მულქების მფლობელი იყო ეჩმიაძინის საკათოლიკოსოც, რომლის საქონებელი („ვაკფი") მუსლიმანური სამართლის იურისდიქციას ექვემდებარებოდა[3]. მულქს ეჩმიაძინი იმავე საფუძველზე ფლობდა, როგორც ყველა კერძო მიწისმფლობელი. აღმოსავლურისაგან განსხვავებულ სპეციფიკურ თვისებებს ამჟღავნებდა გლეხთა ზოგიერთი კატეგორიის ფეოდალური დამოკიდებულების ფორმაც.

სომხეთის ფეოდალური ურთიერთობის ნიშანდობლივი თავისებურების საკითხი შესწავლილია პ. არუთინიანის გამოკვლევაში. მას სპეც. ლიტერატურაში გამოთქმული შეხედულებების საწინააღმდეგოდ ხაზგასმით აქვს აღნიშნული, რომ სომეხმა ფეოდალებმა თავიანთი კლასობრივი ბატონობის პოზიციები შეინარჩუნეს (რიცხობრივი თანაფარდობის თვალსაზრისით) XV—XVI საუკუნეებშიც . მანვე ფაქტიური მასალებით უჩვენა სომეხი ფეოდალების რიცხობრივი ზრდა XVII ს-ის მეორე ნახევარსა და XVIII ს-ში. პ. არუთინიანი, ამავე დროს, მხედველობის გარეშე სრულიადაც არ სტოვებს ირანელი ფეოდალების გაბატონებულ მდგომარეობას ერევნის სახანოში, მათი ძალადობის გამოვლინების სხვადასხვა ფორმებს და ირანული ფეოდალური ინსტიტუტების მნიშვნელობას სომეხ გლეხთა ექსპლოატაციის რეალიზაციაში.

სპეციფიკური თავისებურებების მატარებელი იყო ფეოდალური ურთიერთობანი აზერბაიჯანშიც.

აზერბაიჯანის ფეოდალური ურთიერთობის სპეციფიკურ მოვლენად ითვლება რანჯბარის ინსტიტუტი, თუმცა რანჯბარობა (სახელი და მისი შესატყვისი—„აკერი") გავრცელებული იყო ერევნის სახანოშიც. რანჯბარების ფეოდალური დამოკიდებულების ფორმები

---

[1] И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 232, 238.

[2] А. М. Есаян, დასახ. ნაშრ., გვ. 293—296, 299—300; მისივე, Мулькадарское право в Армении, Ереван, 1948, გვ. 47—66.

[3] Б. М. Арутюнян, Крупное монастырское хозяйство в Армении в XVII—XVIII вв., Ереван, 1940.

შესწავლილი აქვთ ი. პეტრუშევსკის[1], მ. ეფენდიევს[2], ი. ჰასანოვს[3]. XVI—XVIII სს. აზერბაიჯანისა -და სომხეთის ფეოდალური ინსტიტუტების რიგი თავისებურებანი დახასიათებულია პროფ. ი. პეტრუშევსკის მონოგრაფიულ გამოკვლევაში[4].

საჭიროა აღინიშნოს, რომ XVI—XVIII სს. აზერბაიჯანის და სომხეთის ფეოდალურ ურთიერთობათა მკვლევრები აღნიშნავენ. ქართული ფეოდალური ურთიერთობისა და ბატონყმური სამართლის თავისებურებებსაც (ი. პეტრუშევსკი, პ. არუთინიანი).

ყველაფერი ეს საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ აღმოსავლური ფეოდალიზმის გამოვლინების მოცულობა და ხარისხი აღმ. ამიერკავკასიის სახანოებში. დამოწმებული თავისებურებანი

---

[1] И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 309, 316—319; მისივე სპეციალური ნაშრომი—Ранджбары и крепостничество в Азербайджане во второй половине XVIII—первой половине XIX вв. (აზერბაიჯანის მეცნ. აკადემიის ისტორიის და ფილოსოფიის ინსტიტუტის არქივის ხელნაწ. № 540).

[2] М. М. Эфендиев, К вопросу об институте ранджбарства в Азербайджане в XIX в., Труды Института истории и философии АН Азерб. ССР, ტ. II, 1952, გვ. 105—119.

[3] И. М. Гасанов, Из истории феодальных отношений в Азербайджане (Ранджбары в XIX веке), Труды Института истории и философии АН Азербайджанской ССР, ტ. IX, გვ. 26—92. ი. ჰასანოვს შესწავლილი აქვს აგრეთვე აზერბაიჯანის რაიათების და ნოქრების მდგომარეობა: И. М. Гасанов, К вопросу о владельческих райятах в Азербайджане в первой половине XIX века, «Известия АН Азерб. ССР», № 4, 1954, გვ. 63—73; მისივე, К вопросу о владельческих нукерах в Азербайджане в первой половине XIX в., «Изв. АН Азербайджанской ССР», № 4, 1952, გვ. 85—89.

[4] სომხეთის და აზერბაიჯანის ფეოდალური ინსტიტუტების ნიშანდობლივი თავისებურებების გამო პროფ. ი. პეტრუშევსკი შენიშნავს: «Мы далеки от того, чтобы отрицать наличие особенностей в социальном строе Азербайджана и Армении и даже отдельных хозяйств, сложившихся в этих странах. Особенности, и притом довольно значительные были: чисто местные институты (ранджбарство,—в Азербайджане, сочетание тиуля с мульком—в Армении), чисто местные подати, особенности местных адатов и феодальных обычаев. Иначе и быть не могло в условиях феодальной раздробленности, при господстве в основном натурального хозяйства и при существовании многих этнических групп и племен, не слившихся в единую нацию. Все эти особенности пока еще мало выявлены, еще меньше изучены. Однако и на данной стадии научной разработки вопроса мы можем сказать, что в общественном строе Закавказских ханств черты единства выступают сильнее, нежели местные различия. В частности эти черты единства преобладают в правовом положении зависимых крестьян и в их повинностях во всех ханствах». И. П. Петрушевский, Очерки..., 320—321.

კი იმ მხრივაა საყურადღებო, რომ ეს კიდევ უფრო მეტად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო XVI—XVII სს. საქართველოსათვის, სადაც არც „ყიზილბაშობა“ იყო, არც „ოსმალობა“.

ამრიგად, ქართული და აღმოსავლური ფეოდალური წყობილების თავისებურებების საჩვენებლად ჩვენს გამოკვლევაში გათვალისწინებულია ირანის, თურქეთის და აღმ. ამიერკავკასიის ფეოდალური ურთიერთობანი. ამ თვალსაზრისითაა შესწავლილი მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმები და გლეხთა მდგომარეობა საქართველოსა და მახლობელ აღმოსავლეთში.

საჭიროდ მიგვაჩნია ამთავითვე შევნიშნოთ ისიც, რომ როგორც ქართული ისე აღმოსავლური ფეოდალური ინსტიტუტები შესწავლილი გვაქვს განვითარებასა და შინაარსობლივ ცვალებადობაში, უმთავრესი ყურადღება კი, რა თქმა უნდა, XVI—XVII სს. ფეოდალურ ურთიერთობას ექცევა.

მხოლოდ საკითხის ამგვარი დასმა და შესწავლა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ვუჩვენოთ ფეოდალიზმის განვითარების თავისებურება მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში.

2. ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობა

მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმების განვითარება ფეოდალურ საქართველოში, სამწუხაროდ, სათანადოდ არაა შესწავლილი. უკეთ, არ მოგვეპოვება საამისო სპეციალური გამოკვლევები.

ქართულ ისტორიოგრაფიულ და იურიდიულ ლიტერატურაში შედარებით უკეთაა შესწავლილი ფეოდალური საკუთრების უფლებრივი მხარე, შედარებით ნაკლებად მისი ეკონომიური შინაარსი[1].

ეს აიხსნება იმით, რომ მიწის ფეოდალური საკუთრების უფლებრივი ფორმის გამორკვევა აუცილებელი პირობა იყო საკუთრების ეკონომიური შინაარსის შესასწავლად.

აღნიშნული გარემოება, რა თქმა უნდა, იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში გათვალის-

---

1 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I და წ. II, ნაკვ. 2; ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საკუთრების უფლების, ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXV ტ., გვ. 233—269 და XXXVII ტ., გვ. 1—38; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში, აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, გვ. 87—130.

წინებული არ იყოს მიწის ფეოდალური საკუთრების ეკონომიური რეალიზაცია მწარმოებლებთან დამოკიდებულებაში. ფეოდალიზმის სხვადასხვა საფეხური (ადრეფეოდალური ხანა, პატრონყმობა, ბატონყმობა...) ნაჩვენებია საადგილმამულო ურთიერთობათა ნიადაგზე (ს. ჯანაშია, ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი) და გლეხთა ექსპლოატაციის ფორმებთან ორგანულ კავშირში.

მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმები ადრეფეოდალურ ხანაში ყალიბდება, მაგრამ მიწის ფეოდალიზაციის პროცესი მთავრდება XII—XIII სს-ში. IX—X საუკუნიდან საკარგავების სისტემამ (ლენურმა მფლობელობამ) პატრონყმობის არსებობა გააპირობა,ხოლო სამამულო სისტემის (მემკვიდრეობითი მფლობელობის) გამარჯვებამ XII—XIII ს-ში—ბატონყმობის არსებობა.

ფეოდალურ საქართველოში იმთავითვე ძლიერი ჩანს მსხვილი მემამულეობის ტენდენციები[1]. VI საუკუნიდან თანდათან მტკიცდება ფეოდალური „მიწისმფლობელობა მემკვიდრეობით მყარი მემამულეობის სახით“[2].

საქართველოშიც, ,ისევე როგორც ყველგან, მიწისმფლობელობის ზრდის ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო სათემო მიწების დატაცება ფეოდალების მიერ[3].

ამასთან. ირკვევა, ფეოდალური საკუთრების წყაროებია უშენის მოშენება, უხმარი მიწის სახმარად გადაქცევა, ყიდვა (VI ს-ის წყისეს ცნობილი წარწერა)[4], შეწირულობა, წყალობა-ბოძება, ნაშოები, ნაჭირნახულები (ყამირის გატეხვა), მფლობელობის ხანდაზმულობა და სხვ.

ფეოდალურ საქართველოში მიწისმფლობელობის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი „მამული“ იყო. „მამული“ აღნიშნავდა როგორც მსხვილ, ისე საშუალო და წვრილ მიწისმფლობელობას.

აკად. ივ. ჯავახიშვილმა უჩვენა, რომ IX—X სს. ძეგლებში „მამული უკვე საგვარეულო, მემკვიდრეობით

---

[1] ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, გვ. 289.

[2] იქვე, გვ. 288.

[3] ს. ჯანაშია, ბრძოლა მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ძველ საქართველოში, შრომები, I, გვ. 439.

[4] ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს, „რომ XII საუკუნეში შიომღვიმის მონასტერში დაცული ყოფილა ნასყიდობისა თუ შეწირულობის საბუთები VI საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე XII საუკუნემდე“. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 109.

მიღებული საკუთრების აღმნიშვნელი ტერმინია“ და რომ „ეს მნიშვნელობა ამ ტერმინს საუკუნეთა განმავლობაში შერჩა“[1].

მამული ეწოდებოდა მკვიდრ, ნაწყალობევ, შეწირულ, ნამზითვ, ნასყიდ, ნასისხლ, სამსახურის სანაცვლოდ გაცემულ მიწას (და საზოგადოდ ყოველგვარ უძრავ-მოძრავ ქონებას). მაგრამ ყოველთვის, როგორც წესი, წყაროებში აღნიშნულია თუ როგორი მამულია ნაგულისხმევი: მკვიდრი თუ ნაწყალობევი, მონაგებ-ნაშოები თუ სამსახურის პირობით მიცემული.

თუ უკვე IX—X სს. „მამული“ მიწის კერძო და მემკვიდრეობით საკუთრებას აღნიშნავდა, დროებითი მფლობელობის და მქონებლობის აღმნიშვნელი ტერმინი „ქონება“ იყო. XI—XII სს. სამსახურის (უპირატესად სამხედრო) პირობით მიცემულ ქვეყანას (მოსახლეობითურთ) „საკარგავი“[2] ეწოდებოდა.

XI საუკუნეში „აზნაურთა მემამულეთა და მოსაკარგავთა“ (გიორგი II-ის სიგელი) მიწები პატრონყმური დამოკიდებულების საფუძველი იყო და ქმნიდა მეტად რთულ ფეოდალურ იერარქიას (ვასალები, არიერვასალები).

„პატრონი“ იყო მეფეც და დიდგვარიანი აზნაურიც, რომელიც მეფის ყმად ითვლებოდა, მაგრამ ამ უკანასკნელსაც ჰყავდა საკუთარი ყმები (ვასალები). ორსავე შემთხვევაში მიწისმფლობელობის და მიწათსარგებლობის პირობა სამსახური იყო.

აკად. ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ „პატრონი“ ერთდროულად „კერძო მესაკუთრესა და მფლობელსაც ჰნიშნავდა“[3]. პატრონყმური დამოკიდებულება (ფეოდალური იერარქიის კიბეზე) მფლობელობის პირობის საფუძველზე იყო აღმოცენებული.

მფლობელობა გარკვეულ თანამდებობასთან იყო დაკავშირებული. „შეწყალებულზე“ მიწა „სამსახურის სანაცვლოდ“ გაიცემოდა. „ხელისუფლებაზე დამოკიდებულ სამფლობელო ქვეყანას და მამულს საპატიო ეწოდებოდა“[4].

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. 2, გვ. 389. ხაზი ყველგან ავტორისაა.

[2] შიომღვიმის ისტორიული საბუთები, გვ. 12.

[3] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., წ. II, ნაკვ. 1, გვ. 67.

[4] იქვე, გვ. 79.

მოხელე-ხელისუფლები შეწყალებული იყვნენ ქალაქებით, ციხეებით, სოფლებით. მიწები გაიცემოდა ხოლმე სამამულოდ, საასაკუთროდ, სანახევროდ და სახარაჯოდ „მრავლითა... ქალაქებით, ციხეებით და სოფლებით“[1].

თანამდებობის ჭერა დროებითი იყო. „მიწისმფლობელობაც ამდენადვე პირობითი ხასიათის მატარებელი იყო...

მიწათმფლობელობის პირობითობასაც სხვადასხვა ფორმები ჰქონდა: იყო მიწები „საპატიო“ (სამეფო სამსახურთან დაკავშირებული), „სახარაჯო“ (მფლობელის სასარგებლოდ ხარაჯა დადებული ანუ დახარკული), „საკუთარი“ და „სანახევრო“ (პირველთაგან შემოსავალი მთლიანად ეკუთვნოდა მფლობელს, მეორეთაგან—სანახევროდ), „სამამულო“ ანუ „სამკვიდრო“ (სამემკვიდრეო მფლობელობაში გარდამავალი) და სხვ.“[2]

სახარაჯო ქვეყნის მფლობელი მხოლოდ დაწესებული გადასახადებით სარგებლობდა და თვითონ მიწაზე მსხდარ მწარმოებელ მოსახლეობაზე (გარკვეულ დრომდე მაინც) ხელი არ მიუწვდებოდა. ასეთივე ვითარება უნდა ყოფილიყო „სანახევროდ“ გაცემულ მიწებზეც. საზოგადოდ კი სახელმწიფო მიწებზე „რენტა და გადასახადი ერთმანეთს თანაემთხვეოდა“.

X—XII საუკუნეებში მიწისმფლობელობის მთავარ და წამყვან ფორმას პირობითი მიწისმფლობელობა წარმოადგენდა. ამავე დროს წარმოდგენილი იყო „სამამულო“ ანუ „სამკვიდრო“ მსხვილი მიწისმფლობელობა.

სამემკვიდრეო მფლობელობაში გარდამავალ მიწისმფლობელობას აპირობებდა ის, რომ „ფართოდ იყო გავრცელებული იმუნიტეტი („შეუვალობა“, „თავისუფლება“). განთავისუფლება ამა თუ იმ სახელმწიფოებრივ ვალდებულებათა და გამოსაღებთაგან. შეუვალობით განსაკუთრებით ეკლესია-მონასტრები და მსხვილი მემამულენი სარგებლობდნენ“[3].

მეტად ძლიერი იყო ნაწყალობევ-ნაბოძები მამულების განსაკუთრების ტენდენცია. აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „საპატიო“ და ხშირად „ნაწყალობევი“ ქონება დროთა განმავლობაში „სამკვდროდ“ და „სამამულოდ“

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

[2] ს. ჯანაშია, ქართული პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის, შრომები, II, გვ. 434.

[3] იქვე.

ე. ი. თითქმის მემკვიდრეობით საკუთრებად ხდებოდა", თუმც განსვენებულ მეცნიერს მათი სრულ საკუთრებად გადაქცევის შემაფერხებელ გარემოებად ის მიაჩნდა, რომ „ამგვარი ქონების განთვისების, გაყიდვის, თუ გაცვლის, ან შეწირვის— უფლება პირადად ხელმწიფის საგანგებო ნებისდაურთველად არა ჰქონდათ და მხოლოდ „პატრონის" „კითხვითა" და „ნება დართვითა" შეეძლოთ შეეწირათ, გაეყიდათ ან გაეცვალათ"[1].

კლასობრივი ან შინაკლასობრივი ბრძოლა აღებულ ხანაშიც საადგილმამულო ურთიერთობათა ნიადაგზე იყო აღმოცენებული და განვითარებული. ბრძოლა წარმოებდა, კერძოდ, მოსაკარგავეობის შენარჩუნებისა და სამამულო სისტემის გამარჯვებისათვის.

მეფის ხელისუფლება ცდილობს შეინარჩუნოს უზენაესი საკუთრება მიწაზე, დიდგვარიანი აზნაურები კი, პირიქით, ნაწყალობევის გასაკუთრებას, „მკვიდრი მამულებისათვის" საპატიო მამულების და სახარაჯო ქვეყნის მოკიდება-მომატებას ცდილობენ. მაგ., დავით აღმაშენებლის „პოლიტიკის მიხედვით მთელი ქვეყანა უნდა სამეფო საქონებელი ყოფილიყო, რომელიც აზნაურების სარგებლობაში იქნებოდა გადაცემული პირადი სამსახურის პირობით (მოსაკარგავე)"[2]. აზნაურების ამის საწინააღმდეგო მისწრაფება ნაწყალობევი „მამულების" გასაკუთრებას უკავშირებს მოსახლეობაზე ხელის დადებას. ასე რომ ბრძოლა ფაქტიურად მწარმოებელი საზოგადოებისათვის წარმოებს. მეფის ხელისუფლება ცდილობს გადაარჩინოს საშუალო და წვრილი აზნაურები, მდაბიორები; ამ სოციალურ ძალებთან ერთად დაეყრდნოს ქალაქებს (საქალაქო-სავაჭრო წრეებს), მაგრამ დიდგვარიანი აზნაურები, თავის მხრივ, ცდილობენ გააქარწყლონ მეფის ხელისუფლების მიერ საამისოდ მიღებული ყველა ღონისძიება.

XII საუკუნეში, როგორც ცნობილია, სახელმწიფო მიწების ფონდი განუხრელად იზრდება. საქართველომ ამ დროს მრავალი ქვეყანა შეიერთა და, ამდენადვე, გაჩნდა მიწების წყალობის წესით გაცემის ახალი წყაროები[3]. სახელმწიფოც ცენტრალისტურ პოლიტი-

---

[1] **ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 88—89.**

[2] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქ. საგარეო ურთიერთობაში, გვ. 181.

[3] საქართველომ შეიერთა სახელმწიფოს ყოფილი **„საამიროები"**-ც. ამიტომ ბუნებრივად ისმის საკითხი შემოერთებული ქვეყნების (უპირატესად კი მუსლიმანური ფეოდალური ერთეულების) მიწისმფლობელობის წესების თავისებურებათა შესახებ. ეს საკითხი, ცხადია, სპეციალურ კვლევა-ძიებას საჭი-

კას უკავშირებს პირობითი მიწისმფლობელობის განმტკიცებას, მაგრამ ამ პოლიტიკას უპირისპირდება დიდგვარიანი აზნაურების ბრძოლა სამამულო სისტემის გამარჯვებისათვის.

დავით აღმაშენებლის დროს ეს ბრძოლა თავის გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა, თამარ მეფის დროს კი ბრძოლა მოსაკარგავეობისა და მიწების უპირობო მფლობელობისათვის დიდგვარიან აზნაურთა სასარგებლოდ გადაწყდა. XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე მოსაკარგავეობის მატერიალური ბაზა მკვეთრად შეიზღუდა (თამარ მეფე დაპყრობილ ქვეყნებს კი არ იერთებდა, როგორც ამას დავით აღმაშენებელი აკეთებდა. არამედ ყმადნაფიცობის საფუძველზე ძველ მფლობელებს უტოვებდა)[1]; მსხვილი მოხელე-მოსაკარგავენი მემამულე აზნაურებად გადაიქცნენ და სამმართველო ქვეყნების გასაკუთრებას შეუდგნენ. სოციალურსა და პოლიტიკურ სფეროში გასაქანი მემამულე აზნაურებს მიეცათ, ხოლო მოსაკარგავეთა ძირითადი ფენა მათზე დამოკიდებული აღმოჩნდა. დიდებულები ცდილობენ ყმადნაფიცის მდგომარეობას მიაღწიონ. ახლა „ქართველი დიდებულები შუაზედ იდგნენ დავითის ერისთავსა (მოხელე-მოსაკარგავე) და ყმადნაფიცს (ვთქვათ, რომელიმე შირვან-შაჰი) შორის“[2].

დიდგვარიან აზნაურებს „თამარი უზიარებდა მეფობას და სამეფო დოვლათს: სოფლები, ციხეები, ქალაქები და მთელი ქვეყნები უხვად ეძლეოდა (რეალურად თუ ვიმსჯელებთ, თვითონ მიჰქონდათ) ამ დიდებულებს“[3]. მსხვილი მიწისმფლობელობა დიდგვარიანმა აზნაურებმა მარჯვედ გამოიყენეს მწარმოებელი საზოგადოების და. წვრილ აზნაურ-მოლაშქრეთა ფეოდალური დამოკიდებულების გასაძლიერებლად.

XII—XIII სს. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების რეალური პირობები მხოლოდ მსხვილ მიწისმფლობელთა წარმატებას უზრუნველყოფდა. ცნობილია, თუ როგორ მაღალ საფეხურს აღწევს ამ დროს სოფლის მეურნეობა (განვითარებული მელიორაციით), ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა. „ფეოდალურ საწარმოო ძალთა განვითარების ინტერესები მოითხოვდა მიწათმფლობელობის გამსხვილებას, მიწაზე ფეოდალური საკუთრების საბოლოო დამყარებას“[4]. წარმატებით მთავრდება მსხვილ მიწის-

---

როებს. ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ქართულ ისტორიოგრაფიაში დადგენილი ფაქტები.

[1] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 179—181.

[2] იქვე, გვ. 180.

[3] იქვე.

[4] ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე, შრომები, II, გვ. 426.

მფლობელთა მისწრაფებანი ხელი დასდონ მწარმოებელი საზოგადოების უკლებლივ ყველა ფენას, გადაიყვანონ ისინი ბატონყმობის უღელში შებმულ გლეხობაში. „ბატონყმური ურთიერთობის მთელს გლეხობაზე განვრცობის ტენდენცია იზრდებოდა და ძლიერდებოდა მე-12 საუკუნის მთელ სიგრძეზე“[1].

ფეოდალური მეურნეობის სწრაფი განვითარება უპირატესობას სამამულო სისტემას ანიჭებდა, მაღალი ფეოდალური ეკონომიკა მოითხოვდა უშუალო მწარმოებლების რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ჩაბმას ფეოდალის მეურნეობაში. ერთ თანამედროვე წყაროში პირდაპირ არის აღნიშნული: „დიდებული აზნაურები „სიმრავლესა ერისა თვისისა ზედა აღზევებულ არიან“[2].

აქ უნდა გავიხსენოთ კ. მარქსის ნათქვამი, რომ „ფეოდალური მებატონის, ისევე როგორც ყოველი სუვერენის, ძლიერება დამყარებული იყო არა მისი რენტის ოდენობაზე, არამედ მისი ქვეშევრდომების რიცხვზე, ხოლო ეს უკანასკნელი დამოკიდებული იყო საკუთარი მეურნეობის მქონე გლეხების რიცხვზე“[3].

ფეოდალურ საქართველოშიც ბატონყმური მდგომარეობა აღმოცენდა ბეგარიდან. აღებულ ხანაში უაღრესად განვითარებული ჩანს გლეხის მუშაობა-სამსახურის აღმნიშვნელი „ბეგარა“ (მისი შესატყვისია აგრეთვე „სუხრა“).

კ. მარქსი მიუთითებდა, რომ ბეგარა იშვიათად აღმოცენებულა ბატონყმური მდგომარეობიდან, პირიქით, ჩვეულებრივ ბატონყმური მდგომარეობა აღმოცენდებოდა ხოლმე ბეგარიდან[4].

ბეგარის ინსტიტუტის განვითარება საქართველოში გლეხთა მიწაზე მიმაგრების მკაფიო დადასტურებაა. „XII—XIII საუკუნისათვის ეს პროცესი ძირითადად უკვე დასრულებულია. ფეოდალის მიწაზედ საშვილიშვილოდ მჯდომი და მის სასარგებლოდ ბეგრისა და მუშაობა-სამსახურის ვალდებული მიწის მუშა არის „გლეხი გინა ყმა“. არსებითი განსხვავება „გლეხსა“ და „ყმას“ შორის უკვე გამქრალია“[5].

ამიერიდან სამამულო სისტემა ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში მიწისმფლობელობის წამყვან და გაბატონებულ ფორმას წარმოადგენდა.

---

[1] ს. ჯაუნაშია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე, გვ. 430.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტორია მე-13—14 სს., გვ. 286.

[3] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 901.

[4] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 300.

[5] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 288.

X მოხელეობის და მიწისმფლობელობის სამამულო სისტემის გამარჯვება ქმნის პირობებს დიდებულ აზნაურთა ცალკე სოციალურ ფენად ჩამოყალიბებისათვის[1]. ეკონომიურად და სოციალურად დაწინაურებული აზნაურთა ეს ფენა წარმატებით იბრძვის თავის ამ უპირატესობათა პოლიტიკური რეალიზაციისათვის[2]. ამ მოვლენის გაღრმავებას თავისებურად უწყობს ხელს მონღოლთა ბატონობის დროს შექმნილი ეკონომიური და პოლიტიკური ვითარებაც, როცა საშუალო და წვრილმა ფეოდალებმა დაკარგეს მამულები, ხოლო დიდებულები (გამთავრებული ერისთავები) კიდევ უფრო გაძლიერდნენ. მაგრამ მონღოლთა ბატონობის მეორე მხარეს იყო, რომ ფეოდალური მეურნეობის დაცემულობის პირობებში მიწისმფლობელობის სამამულო სისტემა თავისი განვითარების ნორმალურ გზას ასცდა და ძირითადად ფეოდალური „სახლის“ ფარგლებში მოექცა.

XIII საუკუნემდელი მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმების გამო ასე გრძლად საუბარი იმის საჩვენებლად დაგვჭირდა, რომ ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის განვითარების ბუნებრივ ტენდენციას, ვფიქრობთ, უნდა გამოვრიცხა აგრარული ურთიერთობის ის ფორმები, რაც ჩვენ XV ს-ის დასასრულს მივიღეთ.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სამამულო სისტემის გამარჯვების მომდევნო ხანაში მიწის ფეოდალური საკუთრება ვითარდება არა საკუთრების ინდივიდუალიზაციის გზით (რაც გვიანფეოდალური ხანის ერთი მთავარი ნიშანთაგანია), არამედ მამულების გაერთიანების და ფეოდალური სახლების განმტკიცების გზით. იქვე აღვნიშნეთ ამ მოვლენის ხელისშემწყობი შინაგანი და გარეგანი მიზეზები, რომელთა საერთო შედეგი საქართველოს ეკონომიური დაცემულობა იყო.

XIV—XV სს. საქართველოში ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილმა საქართველოს ეკონომიური, სოციალური და კულტურული დაქვეითების პირობებში შესაძლებლად დაინახა ძველი, უკვე განვლილი სოციალური წყობილების აღდგენაც კი.

ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ამ დაშლა-დანაწილებისადმი მისწრაფების დროს სახელმწიფოებრიობის განვითარების გზა თითქოს კვლავ განვლილი უნდა იყოს ხოლმე მხოლოდ უკუქცევით მიმართულებით, იმავე საფეხურებზე თანდათანი ჩამოქვეითებით, რომელიც მას სახელმწიფოს შექმნის დროს ზეაღმავლობით განვლილი ჰქონ-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 286.
[2] იქვე.

და"[1]. ამ დებულებას მოსდევს შემდეგი დასკვნა: „სახელმწიფო შემადგენელ ნაწილებად, წინანდელ სამეფოებად, და თემებად იწყებს განკერძოებას: გავლენიან წრეებში და ხალხში თემობრივობისა და ტომობრივობის გაბატონებას ვეღარაფერი ეღობება, თვით გაყრილი გვარიშვილებიც-კი თავიანთ საგვარეულოს იგონებენ და განსაცდელ-გაჭირვების წინააღმდეგ საერთო ძალით იწყებენ ბრძოლას: გაყრილობის პროცესი შეყრილობის პროცესს უთმობს ადგილს და შესაძლებელია ასეთ პირობებში გვაროვნული წესწყობილებაც კი აღდგეს"[2].

ივ. ჯავახიშვილი, რა თქმა უნდა, მძიმე შეცდომას უშვებდა, როცა XV ს-ის საქართველოში შესაძლებლად მიაჩნდა გვაროვნული წესწყობილების აღდგენა. მაგრამ მისი გამონათქვამი, რომ „გაყრილობის პროცესი შეყრილობის პროცესს უთმობს ადგილს" ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ იმ მოვლენის აღსანიშნავად, რომელიც გზას უხშობდა მიწის ფეოდალური საკუთრების ინდივიდუალიზაციის პროცესს და განამტკიცებდა საგვარეულო მფლობელობას (საგვარეულო მამულს), მამულის საერთო მფლობელობას.

რამ განაპირობა ფეოდალური „სახლების" გაერთიანების საჭიროება?

დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავიხსენოთ ჩვენთვის უკვე ცნობილი შინაგანი და გარეგანი ხასიათის მოვლენები:

„მამულების ამოძრავება" (XIII ს-ში და XIV—XV სს. მიჯნაზე); ძველი ფეოდალური საგვარეულოების დამცრობა (ან გადაშენება) და მათს ადგილზე ახალი ფეოდალური სახლების აღზევება; გამუდმებული ფეოდალური შინა ომები ცენტრალური ხელისუფლების უკიდურესი დასუსტების პირობებში; მომთაბარეების თითქმის განუწყვეტელი შემოსევების თანმხლები მოვლენები, რაც მუდმივად ქმნიდა გაბატონებული კლასის მომთაბარული არისტოკრატიით შეცვლის საფრთხეს; საერთო ეკონომიური დაცემულობა, სოფლის მეურნეობის ტექნიკის განვითარების შეჩერება და ქალაქების დაქვეითება; განსაკუთრებით კი მწარმოებელი კლასის მკვეთრი შემცირება, რაც უშუალო გავლენას ახდენს ინტენსიური მეურნეობის განვითარებაზე და, ქალაქების დაქვეითების პირობებში, აბრკოლებს ფეოდალური რენტის უფრო მაღალ ფორმაზე გადასვლას თუ მის გაბატონებას. შემთხვევით არ აიხსნება, რომ „ლეკიანობას" და

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 184.

[2] იქვე.

„ტყვეთა სყიდვას““ XVI ს-ის საქართველოში საჭირო ნიადაგი დახვდათ და სოციალური ურთიერთობის ეს მახინჯი გამოვლინებანი შინაკლასობრივ და კლასობრივ ბრძოლას დაუკავშირდნენ.»

ყველა ამას უნდა გამოეწვია ფეოდალური „სახლების“ გაერთიანების საჭიროება.

აღსანიშნავია, რომ ფეოდალური სახლების „კეთილმეზობლობა“ და მტრობა-ქიშპი „პატრონის“ (სუზერენის, მეფის) დაუკითხავად და ხშირად მისი სურვილის წინააღმდეგ ხდებოდა. ამ მოვლენის შეფასებისას ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს: «Характерен, и лишь в этих условиях понятен, развившийся к этому времени институт добрососедства (კეთილმეზობლობა) или объединения двух феодальных «домов» (сеньорий). Такой институт был бы непонятен и ненужен при наличии сильной центральной власти, например, при Давиде (XII в.). С некоторых же пор подобный институт становится необходимым. Юридические акты этого института сохранились еще с XIII в.»[1]. აღნიშნულს ნ. ბერძენიშვილი დასძენს, რომ საფიქრებელია დაახლოებით ამ დროისათვის (XIII ს-ის დასასრული და XIV ს-ის დამდეგი) ეს ინსტიტუტი საბოლოოდ გაფორმდა კიდეც[2].

აღნიშნული მოვლენის შესაბამისად „XV ს-ში წარმოიშობა თავადურ-ბატონყმური სახელმწიფო, რომელსაც არ განუცდია არსებითი ხასიათის ცვლილებები თვით XVIII ს-ის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოში.“ ამ ხნის განმავლობაში შეურყევლადაა გაბატონებული სათავადოების სისტემა, რომელიც ფეოდალური საკუთრების იმ ფორმაზეა აღმოცენებული, რომელსაც წყაროები „საერთო მამულს“ უწოდებენ[3].

თითოეულ ფეოდალურ „სახლში“ გაერთიანებული იყო არა მარტო მამულები, არამედ აზნაურებიც, ყმა-გლეხებიც. სახლისკაცები ერთად წარმოებდნენ მეურნეობას და გლეხთა ფეოდალურ ექსპლოატაციას.

ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (რუსული რეზიუმე), გვ. 55.

[2] იქვე. გვ. 55.

[3] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი სავსებით მართებულად მიუთითებს „ფეოდალური „ოჯახის“—თავადობის წინ წამოწევას“ XIII—XV საუკუნეებში. მაგრამ ეს არ უნდა ყოფილიყო „ქართული ფეოდალური ურთიერთობის პირდაპირი განვითარების ნაყოფი“, როგორც ამას ავტორი ფიქრობს. იხ. დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 255.

ივ. ჯავახიშვილს თავისი „ქართული სამართლის ისტორიაში“ მოაქვს „შეყრილობის წიგნების“ („ძმობის წიგნები“, „ძმობისა და სახლის კაცობის პირობები“) შინაარსი, რომელიც მას ზემოთ დამოწმებული დებულების საილუსტრაციოდ სჭირდება.

1675—1685 წ. საბუთში ნათქვამია: „ ესე ფიცი და პირობა მოგეც მე სარდალმან თამაზ თქვენ **ჩემსა ძმასა მდივანბეგ ვახტანგს. ძმობისა და სახლის კაცობის პირობაზე ვიყო** შენთვის კარგი და კარგის მდგომი... **ჩვენი სახლი არ მოიშალოს და არ გაიყაროს, თვარადა** ღ˝ნ ნუ ქნას, ერთობა არ მოჭდეს, **ჩვენ** ერთმანერთს არ მოვეშოროთ **და ერთნი ვიყვნეთ,** რაც ან ღ˝თითა და ან ბატონით, **მომეცეს და ვიშოვო,** ნასყიდს გარდა, **საერთო იყოს,** არც ჩემს ჟამში მოგშორდე და გაგეყარო (საქ. სიძვ., II, 208)“[1].

1717 წლის საბუთში ვკითხულობთ: „ნებითა და შეწევნითა ღ˝თისათა... ესე ძმობის წიგნი მოგართვით თქვენმა ძმისწულმა დათუნამ და პაატამ თქვენ ბიძა ჩვენს იესეს, შვილსა თქვენსა ოთარსა და გერმანოზს, ასე და ამა პირსა ზედა: გაყრილნი ვიყავით და ისევ ერთმანერთის თავი მოვინდომეთ და ისევ ძმათ შევიყარენით. ეს პირობა დავზდევით (sic), რომ მამის მამული და ბიძის და ოთარისაც და რაც ჩვენი მამაპაპათ მამული იყოს, ნასყიდიცა და უსყიდიცა ყველა გაგვიერთებია; რაც **ერთობაში შევიმატოთ საერთო იყოს,** რაც დაგვეკარგოს ისიც საერთო იყოს... ჩვენ რომ ვალი გუმართებს ოცი თუმანი, საერთოდ გადავიხადოთ, და სხვა, რაც დარჩეს, თავ-თავისთვის გადავიხადოთ. თქვენდა უკითხავად არც **მამული გავსცე,** არ დაგირბიო კაცი, არ გამოვიყვანო მსახური და მხლებელი; თუ პური და ღვინო გადაგურჩეს, **საერთოდ მოვიხმაროთ... ყველა საერთოთ იყოს** (საქ. სიძველენი, I, 445)“[2].

ჩვენ განგებ მოვიტანეთ უფრო გვიანდელი (XVII—XVIII სს.) „შეყრილობის წიგნები“ იმის საჩვენებლად, რომ ეს მოვლენა საერთოდ დამახასიათებელია თვით ნაგვიანევი ხანის ფეოდალურ საქართველოსათვის, მაგრამ ჩვენ მოგვეპოვება ამაზე როგორც ად-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, გვ. 153. საბუთის დამუშავება ყველგან ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის.

[2] იქვე, გვ. 153.

რინდელი (XV—XVI სს.), ისე გვიანდელი (XVIII ს-ის მეორე ნახევრის) „შეყრილობის“ თუ „გაყრილობის წიგნები“.

ზემოთ დამოწმებული საბუთების შინაარსის ანალიზის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი ასკვნიდა: „ამნაირად გაყრილი და დაშლილი ოჯახი ან საგვარეულო კვლავ ერთდება, მამულს აერთებს და საერთო მეურნეობის წარმოებას იწყებს. ამასთანავე სახლის, ან გვარის უფროსს ირჩევს, რომელიც ძველი დროის მამასახლისის მსგავსად საერთო საქმეებს ხელმძღვანელობს და არიგებს“[1].

ფეოდალური „სახლის უფროსის“ (თავადის—„სახლის ბატონის“) გვაროვნული წყობილების მამასახლისთან გაიგივება ივ. ჯავახიშვილს ერთხელ დაშლილი გვაროვნული წყობილების აღდგენა-განახლების შესაძლებლობის არგუმენტად მოჰქონდა. მაგრამ ამით იგი, რა თქმა უნდა, თავადს (სახლის უფროსს) ფეოდალური სამოსელისაგან ათავისუფლებდა და, რაც მთავარია, მხედველობის გარეშე ტოვებდა გლეხთა ექსპლოატაციის ფეოდალურ ხასიათს.

სათავადოს არსებობის გამაპირობებელი საკუთრების ფორმები (ს ა ხ ა ს ო, ს ა უ ფ ლ ი ს წ უ ლ ო, ს ა თ ა ვ ი ს თ ა ვ ო) ფეოდალური შინაარსის მატარებელი იყო. მართალია, მათ (სათავისთავოს გამოკლებით) არ შეეძლოთ გასაქანი მიეცათ საწარმოო ძალების განვითარებისათვის, მაგრამ ამავე დროს, არ შეიძლებოდა მიეღოთ მათ ფეოდალური ურთიერთობის გამომრიცხველი ფორმა და შინაარსი.

ივ. ჯავახიშვილი ერთ რამეში უდავოდ მართალი იყო: მამულების გაერთიანება და მეურნეობის საერთოდ წარმოება XV საუკუნისათვის ნიშნავდა არა ქართული ფეოდალური საზოგადოების წინსვლას, არამედ მისი განვითარების შეფერხებას. მიუღებელია და შეუწყნარებელი, რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ მოვლენის მცდარი კვალიფიკაცია, მაგრამ ახსნილია თვითონ მოვლენის გამომწვევი მიზეზები (ქვეყნის ეკონომიური დაცემულობა...).

ივ. ჯავახიშვილი არსად არ ხმარობს სათავადოს ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში დადგენილი მნიშვნელობით. მას შეუმჩნეველი და, ჩანს, გაუგებარი დარჩა სათავადოს სოციალურ-პოლიტიკური და სამეურნეო სტრუქტურის ფეოდალური ხასიათი.

სათავადოების სისტემა ქართული ფეოდალური საზოგადოების ერთგვარ უკანსვლას ნიშნავდა, ოღონდ ფეოდალიზმის და ფეოდალური სახელმწიფოს არსებობის პირობებში.

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, გვ. 156—157.

პროგრესულმა სამამულო სისტემამ, ჩვენთვის უკვე გასაგებ გარემოებათა გამო, ქართული ფეოდალური საზოგადოება ფართოდ განვითარებული ინდივიდუალური მეურნეობის სტადიაზე კი არ გადაიყვანა, არამედ, ფეოდალური საწარმოო ძალების განვითარების შეფერხების პირობებში, სათავადოების სისტემას დაუკავშირა.

სამამულო სისტემა, სასაკუთრო-საბატონო მეურნეობის არსებობის აუცილებელი პირობა, გაბატონებულია XVI—XVIII საუკუნეებშიც, მაგრამ სიტყვა „მ ე მ ა მ უ ლ ე" (მამულის მემკვიდრეობით მფლობელის აღმნიშვნელი) გაბატონებულმა სამამულო სისტემამ ვერ შეავსო XIX ს-ის სინამდვილიდან ჩვენთვის ცნობილი შინაარსით („მ ე მ ა მ უ ლ ე"—помещик,) თუმცა საამისო ელემენტები ყოველთვის, და განსაკუთრებით კი XVIII ს-ში, არსებობდა. ამისათვის საჭირო იყო სამამულო სისტემის სათავადოს ფარგლებიდან გამოყვანა, უკეთ სათავადოს დაშლა[1].

---

1 სათავადოს მკვლევრები აღნიშნავენ, რომ „გაყოფა" ან „გაყრა" (სათავადოს დაქუცმაცება ჩვეულებრივი და კარგად ცნობილი ფაქტია) არ ნიშნავს სათავადოს დაშლას (გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 12; დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 71). სათავადოს დაშლა არ შეიძლებოდა გამოეწვიოს არც სახლის წევრთა წინააღმდეგობას ფეოდალურ სახლში. „როდესაც ფეოდალის სახლში ამ სახლის წევრთა წინააღმდეგობა უკიდურეს წერტილს აღწევს, მაშინ მათი ერთად ცხოვრება შეუძლებელი ხდება. ერთი „სახლი" მრავალ „სახლებად" იყოფა, ახლად წარმონაქმნ „სახლებს" შორის ბრძოლა კიდევ უფრო მწვავე ხასიათს იღებს" (დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 11). ამრიგად, სათავადოს დაშლა მოცემულ სოციალ-პოლიტიკურ პირობებში ფაქტიურად შეუძლებელი იყო. სამაგიეროდ მამულების დაუფლებას გარკვეულ ტერიტორიაზე ყოველთვის შეეძლო ახალი სათავადოების წარმოქმნა. ფეოდალური სახლის აღზევება მამულების მომატებაზე იყო დამოკიდებული, დამცრობა—მამულების მოკლებაზე. ჯერ კიდევ XVIII ს-ის ქართველმა ისტორიკოსმა ვახუშტი ბაგრატიონმა აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს „გვარის გაუყრელობას" ფეოდალური სახლის ოდინდელი მნიშვნელობის შენარჩუნებისათვის. და რომ „გვარისა" და „შთამომავლობის" გვერდით აუცილებელი იყო ფეოდალური სახლის საზოგადოებაში „ზეით დგომის მატერიალური საფუძველი" (ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ, „ანალები", I, 1947, გვ. 2—3). ვახუშტის ამ შეხედულების წყარო ვახტანგის სამართალია (§ 22), სადაც პირდაპირ არის ნათქვამი: „როგორც კაცი მამულით, კაცობით, ბატონის სამსახურით, მონასტრით და უფროსის კაცის მოყვასად მოკიდებით ამაღლდების, სისხლი გაუდიდდების, ისე გაყრითა და მამულის მოკლებით სისხლიც მოაკლდების" (ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, თინა ენუქიძის გამოც., თბილისი, 1955, გვ. 55). საინტერესოა „აწინდელი" დიდებული თავადის განმარტებასთან დაკავშირებით ნათქვამი: „როცა გაუყრელი ყოფილა—ციციშვილი"-ც (§ 35). შდრ. ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, სამეფოსა საქართველოსა, გვ. 25.

ყოველ სათავადოში, როგორც არა ერთგზის აღვნიშნეთ, ფეოდალური საკუთრების სამი სახეობა იყო: 1. **სახასო** ანუ **საერთო მამული**, 2. **საუფლისწულო**, 3. **სათავისთავო** ანუ **საკუთარი.**

საკუთრების თითოეული ამ სახეობის წყარო სხვადასხვა იყო: საკუთრივ საბატონო მამული, ნაწყალობევი (მეფისაგან ერთგულად სამსახურის საფუძველზე „სამამულოდ" და „სამკვიდროდ" მიღებული)[1], ნასისხლ-მონაგები, ნასყიდი, ნამზითვი და სხვ.

„საერთო მამული" შედგებოდა თითოეული სახლის კაცის „ერძო მამულისაგან", რომელიც „სახლის" გაყრის შემთხვევაში „ბარათში ნარგებად" და „გამოყოლილად" ითვლებოდა. საერთოდ ეს გაყრა ქონების საუფროსო-საუმცროსოდ დანაწილების პრინციპით ფორმდებოდა[2].

სახასო საკუთრებაში შედიოდა: სახნავ-სათესი მიწები, საძოვრები, ტყეები, ბაღ-ვენახები, გლეხები, მსახურები, აზნაურები, ჯოგები, ზეთსახდელები, სამლებროები, საწნახელი, კალო, ციხე, მონასტერი, სასაფლაო[3]. ყმა-გლეხების დიდი ნაწილი ჩვეულებრივ სახასო საკუთრებაში იყო წარმოდგენილი.

საუფლისწულოში შედიოდა: ფეოდალური „სახლის" წევრების (თავადიშვილების) ოჯახების საკუთრება (სახნავ-სათესი მიწები, აზნაურები, ყმა-გლეხები)[4].

სათავადოში საუფლისწულოების რაოდენობა თავადიშვილის ოჯახების რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. „საუფლისწულო სათავადოს ნაწილს წარმოადგენს, რომელიც მიცემული აქვს თავადიშვილის, როგორც სახარჯო ქონება. მთელი „საუფლისწულოს" შემოსავალი ხმარდება თავადიშვილს"[5]. ამგვარადვე განმარტავს

---

[1] მართალია, მეფემ შეინარჩუნა მამულების მფლობელობის განახლების უფლება, მაგრამ ამ უფლების ნომინალური ხასიათი სავსებით აშკარაა. მეფეს ფაქტიურად ხელი არ მიუწვდება „სამამულოდ" და „სამკვიდროდ" ნაწყალობევ მამულებზე. „სამკვიდროდ" და „სამამულოდ" ნაწყალობევის დაუნაშავებლად წართმევა. მეფეს არ შეეძლო—„დაუნაშავებლად წართმა... არიდეს ყოფილიყო". ამ ფეოდალური პრინციპისადმი ცენტრალური ხელისუფლების და ფეოდალების დამოკიდებულების შესახებ იხ. ნ. ბერძენიშვილის დასახ. ნაშრ., გვ. 22.

[2] გაყრისათვის მეფის თანხმობა იყო საჭირო. აღსანიშნავია, რომ მეფეები ფეოდალური „სახლის" გაუყრელობას ცდილობდნენ.

[3] Н. А. Бердзенишвили, Очерк..., გვ. 36—37; დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 271; გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 139.

[4] მეფის „სახლსაც" ჰქონდა როგორც სახასო, ისე საუფლისწულო სოფლები, მამულები აზნაურებით და ყმა-გლეხებით.

[5] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 273.

საუფლისწულოს გ. ჯამბურია თავის გამოკვლევაში: „საუფლისწულო არის სახლის საერთო ქონების ნაწილი, რომელიც მიჩენილი აქვს საუფლისწულო სახლს (ოჯახს) სარჩოდ და საცხოვრებლად“[1], ოღონდ თუ დ. გვრიტიშვილის აზრით „საუფლისწულოში“ თავადიშვილს „შეუძლია ყმა გაათარხნოს, გაყიდოს, გაახეიბროს, მოხელე დანიშნოს, სარგო განსაზღვროს და სხვა“[2], გ. ჯამბურიას დაკვირვებით „საუფლისწულოდან სახლის წევრს არც გაყიდვა შეუძლია რაიმესი და არც გააზატება სახლის სხვა წევრების უკითხავად, რადგან იგი (საუფლისწულო) არის სახლის ქონება, ნაწილი საერთო ქონებისა, რომელიც დროებით მფლობელობაში აქვს გადაცემული უფლისწულს“[3]. მაგრამ გ. ჯამბურიასაც აღნიშნული აქვს თავადიშვილის ადმინისტრაციული და სასამართლო უფლება საუფლისწულოს ფარგლებში; „საუფლისწულოს გამგებლობა და სამართლის წარმოება უფლისწულს ეკითხებოდა“[4]. ამის საფუძველზე იგი აკეთებს მეტად საინტერესო დასკვნას: „იმის გამო, რომ საუფლისწულოს ყოველგვარ საქმეს თვით უფლისწული განაგებდა, თავადიშვილის ინტერესებში უპირველეს ყოვლისა ეს საუფლისწულო შედის. შემდეგი საფეხური კი მის თვალსაწიერში არის სათავადოს ინტერესი და ბოლოს ქვეყნის ინტერესი“[5].

ს ა თ ა ვ ი ს თ ა ვ ო ანუ ს ა კ უ თ ა რ ი ქონება სახლის კაცის პირად განკარგულებაში იყო, მის პირად საკუთრებას შეადგენდა. ასეთი იყო ნ ა ს ყ ი დ ი, ნ ა ჯ ი ლ დ ო ე ბ ი, ნ ა მ ზ ი თ ვ ი და სხვ.

ნასყიდი ყმა-მამულის გასხვისება, ყიდვა-გაყიდვა, მემკვიდრეობით გადაცემა თუ ეკლესია-მონასტრისათვის შეწირვა არაფრით არ იყო შეზღუდული. ნასყიდს მეფის გარდა ვერავინ ვერავის მოუშლიდა. თვით „დანაშაულობა-შეცოდების“ შემთხვევაში მეფეს მართებდა ყმის სხვა რიგად გარდახდევინება (ვახტანგის სამართალი, § 160). მეფემ „ნასყიდი მაინც არ უნდა მოუშალოს“—ამბობს ვახტანგის სამართალი. ნასყიდი ყველაზე მტკიცე საკუთრება იყო.

ნასყიდი თავისი ბუნებით ერთგვარად განსხვავდებოდა ნაწყალობევ-ნაჯილდოებისაგან და ნამზითვისაგან, რომლებიც მართალია

---

[1] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 139—140.
[2] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 273
[3] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 140.
[4] იქვე.
[5] იქვე, გვ. 141.

პირად საკუთრებაში იმყოფებოდნენ, მაგრამ მფლობელობის გარკვეულ პირობას მაინც არ იყვნენ მოკლებულნი. რა თქმა უნდა, სხვა საკითხია, თუ როგორ ხორციელდებოდა ეს პირობა პრაქტიკაში.

ამრიგად, სათავისთავო ანუ საკუთარი სახლის საერთო ქონებიდან იყო გამოთიშული და სახლის მეურნეობის მაგიერ ინდივიდუალურ მეურნეობასთან იყო დაკავშირებული. სათავისთავო (განსაკუთრებით მისი მთავარი ელემენტი „ნასყიდი") ფეოდალური საკუთრების ყველაზე პროგრესული ფორმა იყო. ამიტომ სათავადოების ყველა მკვლევარი „სათავისთავოში" ხედავს სათავადოების დაშლის ხელის შემწყობ პირობას[1]. მართლაც სათავადოს დაშლა შეეძლო მხოლოდ სათავისთავოს განვითარებას, მისი ხვედრითი წონის გაზრდას ფეოდალური სახლის წიაღში. ასეთ როლს სათავისთავო უეჭველია ასრულებდა კიდეც, „მაგრამ მფლობელობის ეს ფორმა იმ ძალით ვერ განვითარდა, რომ სათავადო დაერღვია"[2].

XVI—XVIII საუკუნეებში, როგორც ეს თავის ადგილზე აღვნიშნეთ, საერო ფეოდალების სათავადოსთან ერთად არსებობდა საეკლესიო სენიორიაც. თუ სათავადოს სათავეში სახლის უფროსი (თავადი) იდგა, საეკლესიო სენიორიის სათავეში კათალიკოსი და ეპისკოპოსები იდგნენ. ასეთი მსხვილი საეკლესიო საფეოდალოები იყო მცხეთა, გელათი, ბიჭვინტა, ალავერდი, შიომღვიმე და სხვ.

საეკლესიო სენიორია და, საზოგადოდ, საეკლესიო-სამონასტრო მიწისმფლობელობა შედარებით ნაკლებ არის შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში (მხედველობაში გვაქვს ნაგვიანევი შუა საუკუნეები). ეს მნიშვნელოვანი ხარვეზი ნაწილობრივ შეივსო მხოლოდ ბ. ლომინაძის მიერ ნიჭიერად დაწერილი გამოკვლევებით.

---

[1] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 273—275; გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 140—141.

[2] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 275. სათავისთავოს განვითარებისათვის აუცილებელი იყო ხანგრძლივი მშვიდობიანი ცხოვრების პირობები, რასაც XVI—XVIII სს. ფეოდალური საქართველო მოკლებული იყო და რასაც, თავის მხრივ, გამორიცხავდა ქვეყნის მტრული გარემოცვა საუკუნეების მანძილზე. სათავადოს დაშლის შინაგანი პირობები მეტისმეტად იყო შეზღუდული. ცნობილია, რომ სათავადოების სისტემა მოისპო მხოლოდ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. სამწუხაროდ, ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა სპეციალურად არავის შეუსწავლია. თუმცა აღნიშნულია, და ისიც მხოლოდ გაკვრით, რომ სათავადოების რღვევის „განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები მხოლოდ XIX საუკუნეში შეიქმნა". იხ. დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 275.

[3] ბ. ლომინაძე, სამწერველო XIII საუკუნეებში, „მიმომხილველი", I, გვ. 309—332; მისივე, ფეოდალური მეურნეობის ორგანიზაციის ისტორიიდან

საეკლესიო მიწისმფლობელობის ფორმები (სამწირველო, საწინამძღვრო და სხვ.) მას შესწავლილი აქვს ეკლესია-მონასტრების მიერ გლეხთა ფეოდალურ ექსპლოატაციასთან მჭიდრო კავშირში. მის გამოკვლევებში გარჩეულია ეკლესიის მღვდელმთავართა პოლიტიკური ძალაუფლების მატერიალური საფუძვლები და დახასიათებულია ეკლესია-მონასტრების ფეოდალური ორგანიზაციის სოციალური სტრუქტურა.

სათანადო დოკუმენტების ისტორიულ-კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ბ. ლომინაძეს აღნიშნული აქვს, რომ „საწინამძღვროებად“ დაშლილ საეკლესიო სენიორიაში უკვე ფაქტიურად ორგვარი ქონებაა: „სახასო“, რომელიც მთავარ ეკლესიას ეკუთვნის, და „საწინამძღვრო“-„საეკვდერო“, რომელიც „საწინამძღვროს“ ეკუთვნის“[1]. აღნიშნულია ამ მოვლენის განვითარების ხანაც: XIV—XV საუკუნეები.

ბ. ლომინაძე საწინამძღვროების წარმოშობას ორგანულად უკავშირებს ფეოდალური დაშლილობის საერთო პროცესს. მისი საამისო დასკვნები საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ აღებული ხანის საქართველოსათვის დამახასიათებელი სოციალ-პოლიტიკური მოვლენები, ჩანს, ანალოგიურ გამოვლინებას პოულობენ საეკლესიო-სამონასტრო მიწისმფლობელობაშიც. თუმც, რა თქმა უნდა, იმ თავისებურებებით, რომელიც ეკლესია-მონასტრების ორგანიზაციული ბუნებიდან გამომდინარეობდნენ.

ბ. ლომინაძის დაკვირვებით: „საწინამძღვრო-ეკვდერი ცალკე სამეურნეო ფეოდალური ორგანიზაციაა საეკლესიო სენიორიის შიგნით. „სამწირველოდან“ საწინამძღვროს ჩამოყალიბების პერიოდი დაახლოებით XV—XVI საუკუნეებიდან იწყება (პირველ საწინამძღვროებს ვიცნობთ მცხეთაში). ეს პროცესი კარგად ეფარდება ქვეყნის საერთო განვითარებას. ბუნებრივია, ფეოდალური დაშლილობა თანაბარი პროცესით განვითარებულიყო საერო და საეკლესიო მიწისმფლობელობის სფეროში... ამ პროცესმა საეკლესიო სფეროში საწინამძღვრო წარმოიშვა. საწინამძღვრო საუფლისწულოს ერთგვარი ანალოგიაა“[2].

გვიანფეოდალურ საქართველოში, მას. საქ. და კავკას. ისტორიისათვის, ნაკვ. 30, გვ. 101—114; მისივე, ფეოდალური მიწისმფლობელობის ისტორიიდან (საწინამძღვრო), მას. საქ. და კავკას. ისტორიისათვის, ნაკვ. 31, გვ. 145—157.

[1] **გ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, ფეოდალური მიწისმფლობელობის ისტორიიდან (საწინამძღვრო), გვ. 145.**

[2] **ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 155 – 156.**

საეკლესიო სენიორიის „სახასო“ უფრო ვრცელი და მდიდარი ქონების მომცველი იყო (მამულები, საბაჟოები, დუქნები, წისქვილები, ყმა-გლეხები, აზნაურები, ვაჭრები, ხელოსნები და სხვ.), ვიდრე „საუფლისწულო“. მაგრამ ბ. ლომინაძეს შენიშნული აქვს, რომ ქონების გაზრდის დიდ მიდრეკილებას ამჟღავნებს საწინამძღვროც[1]. „წინამძღვრის საქმიანობა სამეურნეო-სამამულო ხაზით ამ პერიოდისათვის განსაკუთრებით გაზრდილია. წინამძღვარი განაგებს ეკვდერის შემოსავალ-გასავალს, ყმათა ბეგარა-სამსახურს და ა. შ.“[2]. წინამძღვრის მოხელენი არიან: „მოურავი, მღვდელი, რომელსაც **საწინამძღვრო სოფლის ხასადრობა და მეღალობაც უკავია**[3]. მოურავების და სხვა მოხელეების მოქმედების სარბიელი სოფლებია[4]. აქ წინამძღვრის მოხელეები ბატონყმურ რიგს იცავენ და გლეხთა ექსპლოატაციას ახორციელებენ.

საეკლესიო სენიორიის ყმა-მამულის ზრდის წყარო უპირატესად შეწირული მამულები იყო. შემწირველები გარკვეულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ შეწირულ მამულებთან (და ზოგჯერ, დაღარიბება-გაჭირვების შემთხვევაში, გამოწირვასაც ცდილობდნენ). მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა არა საერო ფეოდალების ეკლესია-მონასტრებთან დამოკიდებულების ფორმები, არამედ ქართული საეკლესიო მიწისმფლობელობის თავისებურებების ჩვენება აღმოსავლურ საეკლესიო მიწისმფლობელობასთან („ვაკუფი“) შესადარებლად. ერთიც და მეორეც მსგავსი ფეოდალურ ორგანიზაციას წარმოადგენდნენ, ხასიათდებოდნენ მკვეთრად განვითარებული ფეოდალური იმუნიტეტით, მაგრამ როგორც ორგანიზაციული აღნაგობით, ისე ფეოდალურ ურთიერთობათა თავისებურებებით ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ.

საქართველოში ეკლესიას, ისევე როგორც მეფეს და თავადებს, საკუთარი აზნაურები და ყმა-გლეხები ჰყავდა. საეკლესიო სენიორიაც მიწის ფეოდალური საკუთრების დაახლოებით ისეთსავე ფორმებზე იყო აღმოცენებული და განვითარებული, როგორზედაც ფეოდალების სათავადო. მცხეთის საეკლესიო სენიორიის მაგალითზე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საეკლესიო სენიორიაშიც ისეთივე მოხელეები იყვნენ, როგორიც ყველა სათავადოში: სახლთუხუცესი, მდივანი, მეღვინეთუხუცესი, მოურავები და სხვ. მოხელეებად ეკ-

---

[1] ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 148.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

ლესიის აზნაურები იყვნენ. საეკლესიო სოფლებშიც აზნაურ-მოურავების საშუალებით წარმოებდა ყმა-გლეხების ფეოდალური ექსპლოატაცია.

შეიძლება დავასკვნათ: სათავადოში გაბატონებული ფეოდალური საკუთრების ანალიზი გასაგებსა ხდის, თუ რით არის გაპირობებული თავადის სენიორული უფლებები. ყველა ეს ელემენტი ფეოდალური თვისებისაა და, რა თქმა უნდა, არ სცილდება ფეოდალურ ურთიერთობათა ფარგლებს, როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა. პირიქით, სათავადოში მკვეთრად იჩენს თავს ფეოდალური საკუთრებისათვის საერთო დამახასიათებელი მფლობელობის დანაწევრებულობა (dominium divisum)[1]. ფეოდალური რენტის მიმთვისებლად აქ ყველა ფეოდალი (თავადი, თავადიშვილი, აზნაური) გვევლინება, მაგრამ აზნაურის თავადის (სენიორის) მიმართ ვასალური დამოკიდებულება საადგილმამულო ურთიერთობის ნიადაგზეა აღმოცენებული.

---

[1] ფეოდალური საკუთრების დანაწევრებულობის თეორიების ვრცელი დახასიათება და ამ კონცეპციის დასაბუთების არგუმენტები მოტანილია ა. ვენედიკტოვის გამოკვლევაში (А. В. Венедиктов, Государственная социалистическая собственность, М.-Л., 1948, გვ. 164—231). ა. ვენედიკტოვის აზრით, საკუთრება დანაწილებულია არა მარტო ფეოდალების კლასის შიგნით, სენიორსა და ვასალებს შორის, არამედ ფეოდალ-მემამულეებსა და დამოკიდებულ გლეხებს შორისაც. იგი გამორიცხავს მხოლოდ ყმა-გლეხების მიწაზე საკუთრების უფლების არსებობას, მაგრამ სცნობს ამ უფლებას დამოკიდებული გლეხების კატეგორიების მიმართ. მიწის ფეოდალური საკუთრების დანაწევრებულობის კონცეპციას («расчлененность собственности на землю») იზიარებდა და იცავდა აკად. ბ. გრეკოვიც, კერძოდ მიწის საკუთრების დანაწევრებას ფეოდალებსა და გლეხებს შორის XV ს-ის დამლევის ნოვგოროდის მიწაზე, სადაც «Крестьяне, как правило, прочно сидят на земле своих дедов и отцов и в то же время вынуждены признавать над собой власть стоящего над ними мощного слоя привилегированных собственников, утвержденных в правах государством. Таков характер феодальной собственности во всех странах мира» (Б. Д. Греков, Крестьяне на Руси, М.-Л., 1946, გვ. 484, აგრეთვე გვ. 619). მიწის ფეოდალური დანაწევრებულობის კონცეპციას უარყოფს ლ. დემბო (იხ. Л. И. Дембо, Земельные правоотношения в классово-антагонистическом обществе, Л., 1954, გვ. 86—87, 100—101, 192—193; სპეციალურად კი სტატიაში: Л. И. Дембо, Юридическая природа феодальной земельной собственности, Ученые записки ЛГУ, № 146. Серия юридических наук, вып. 1, გვ. 371—391). ლ. დემბო უარყოფს მიწის ფეოდალური საკუთრების დანაწევრებას როგორც ფეოდალების კლასის შიგნით, ისე განსაკუთრებით ფეოდალებსა და გლეხებს შორის. რადგან ამით იგი, მისი სიტყვით სრულიად აბსტრაგირებული ხდება.

გ. აკოფაშვილი, რომელსაც სპეციალურად აქვს შესწავლილი აზნაურის უფლებრივი მდგომარეობა XV—XVIII საუკუნეებში, აღნიშნავს, რომ თავადის აზნაურთან დამოკიდებულებაში თავს იჩენს საკუთრების ის ფორმა, რომელიც იურიდიულ ლიტერატურაში დანაწევრებული საკუთრების (**dominium divisum**) სახელწოდებით არის ცნობილი[1].

აზნაურის ყმობისა და ერთგულებით სამსახურის პირობა „სამკვიდროდ" და „სამამულოდ" ნაწყალობევი მამულია. „ასეთი „მკუიდრი მამულით" მსახურებს ყმა პატრონს. ერთგულებით სამსახური პირობაა „მამულის" მიღება-ქონებისა. პატრონი მოვალეა ერთგული სამსახურის „სანუქფოდ" წყალობა უყოს ყმას"[2]. ნ. ბერძენიშვილი კონკრეტულად ამას თავადის „სამსახურთან" დაკავშირებით აღნიშნავს, მაგრამ ეს შეიძლება თამამად გავავრცელოთ თავადის აზნაურებზეც, რომლებსაც „ერთგულებით მსახურებისათვის" მამულები აქვთ ნაწყალობევი.

მეფის, თავადების და ეკლესიის აზნაურების სამსახური ერთნაირი იყო, ერთი და იგივე ფუნქციის მატარებელი (პატრონის ხლება მშვიდობიანობის დროს, მის რაზმში ომში მონაწილეობა, პატრონთან ერთად მეზობელი „სახლების" წინააღმდეგ გამოსვლა—მეფის ნადირობაზე ყოფნა, საპატიო სამსახური პატრონის კარზე, სოფლების, გლეხების მოურაობა...)[3]. ოღონდ თავადების და ეკლესიის აზნაურებთან შედარებით მეფის აზნაურები უკეთეს პირობებში

კლასობრივ ურთიერთობათაგან, ფეოდალური საკუთრების ექსპლოატატორული არსისაგან. ლ. დემბო ფეოდალური საკუთრების უფლების სუბიექტად სცნობს მხოლოდ ფეოდალ-მემამულეს, რომელიც ფეოდალური კიბის ყველა საფეხურზე იმყოფება (Л. И. Дембо, **Юридическая природа феодальной земельной собственности**, გვ. 390). მაგრამ არც ფეოდალური საკუთრების დანაწევრებულობის თეორიის მომხრენი და არც მოწინააღმდეგენი არ უარყოფენ, რომ ფეოდალური საკუთრება, მისთვის დამახასიათებელი შეზღუდულობის გამო განსხვავდება როგორც მონათმფლობელური, ისე ბურჟუაზიული „წმინდა საკუთრებისაგან". ჩვენთვის ამჟამად მთავარია არა ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის იურიდიული ფორმები, რომელთა წარმატებით შესწავლა სპეციალისტ იურისტების საქმეა, არამედ მათი რეალური ეკონომიური შინაარსი.

[1] გ. აკოფაშვილი, აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხისათვის XV—XVIII სს. საქართველოში, მასალები საქ. და კავკას. ისტორიისათვის, ნაკვ. 32, 1955, გვ. 88—89.

[2] ნ. ბერძენიშვილი, **ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში**, **გვ. 21.**

[3] Н. А. Бердзенишвили, Очерк..., **გვ. 38.**

ემყოფებიან. მათ ეკონომიური გაძლიერების და სოციალური აღზევების მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ.

აზნაურის ყმა-მამული საკუთრების ხასიათის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა: 1. სამკვიდრო ყმა-მამული, 2. ბატონისაგან ნაწყალობევი და 3. ბატონისაგან დამოუკიდებლად ნაშოვნი, პირადი გარჯით შეძენილი ყმა-მამული (ნასყიდი, ნასისხლი, ნამზითვი, ნაჯილდოები...)[1].

აზნაურის ყველაზე მტკიცე საკუთრება ნასყიდ-ნამზითვი და ნასისხლ-ნაჯილდოები იყო. მას არ ჰქონდა სამკვიდრო და ნაწყალობევი ყმა-მამულის გასხვისების, გაყიდვის, ანდერძით გადაცემის ან შეწირვის უფლება პატრონის ნებართვის გარეშე[2]. პატრონისაგან წასვლის შემთხვევაში აზნაური „თავის ძველ ბატონთან სტოვებს როგორც მისგან წყალობის სახით მიღებულ ყმა-მამულს, ისე თავის სამკვიდრო ყმა-მამულსაც, მაგრამ საკუთრების უფლებას ინარჩუნებს თავის ნასყიდ ყმა-მამულზე"[3]. საინტერესოა, რომ თავადები ცდილობენ ხელი დასდონ აზნაურის ნასყიდ ყმა-მამულსაც, გაავრცელონ თავიანთი უფლებები აზნაურის ამ სახის საკუთრებაზეც[4].

გ. აკოფაშვილის დაკვირვებით თავადების საამისო ღონისძიებანი მიზნად ისახავს საერთოდ აზნაურის წასვლის აღკვეთას[5]. წასული აზნაური ან მეტოქე თავადს უნდა მისვლოდა ან მეფეს. თავადისათვის განსაკუთრებით მიუღებელი იყო მისი აზნაურის მეფის აზნაურობაში გადასვლა.

თავადების აზნაურებისათვის მეფის აზნაურობაში გადასვლა მიმზიდველი იყო მრავალი გარემოების გამო. სათავადოში აზნაურების ეკონომიური გაძლიერების პირობები მეტისმეტად იყო შეზღუდული. მათ განკარგულებაში საექსპლოატაციოდ იყო გლეხების უმნიშვნელო რაოდენობა. ამიტომ თავადის აზნაურისათვის რენტის განუსაზღვრელად გაზრდა შეუძლებელი იყო[6]. ამავე დროს, მატერიალურად შეეიწროებული პატრონი შემოსავლის გაზრდის მიზნით ახალ გადასახადებს აკისრებს (მუდმივს ან ერთდროულს) არა მარტო

---

[1] გ. აკოფაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 89—92.
[2] იქვე, გვ. 94.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 96.
[5] იქვე, გვ. 97—109.
[6] Н. А. Бердзенишвили, Очерк..., გვ. 39.

საკუთარ, არამედ თავის აზნაურის გლეხებსაც[1]. გასაგებია, რომ აზნაურის გლეხთა რაოდენობა არ იზრდება, პირიქით ორმაგი რენტით გაძარცულ-გაღატაკებული მათი გლეხები თანდათანი გადაშენების გზაზე არიან შემდგარნი, ანდა გარბიან[2].

შედარებით უკეთესი პირობები, როგორც აღვნიშნეთ, მეფის აზნაურებსა ჰქონდათ. „სახასო აზნაურები და მსახური გლეხები მეფის პირად შემადგენლობაშიც არიან“ .ამიტომაა, რომ დიდგვაროვან ფეოდალურ „სახლებს“ არ მოსწონთ მეფის აზნაურების გაძლიერება. ეკონომიურად გაძლიერებული მეფის აზნაური, რომელიც ზოგჯერ თავადთა მიწების და გლეხების ყიდვასაც ახერხებს, სოციალურადაც წინაურდება[3]. მეფის აზნაურის მიერ ახალი სოციალური მდგომარეობის მოპოვება და ახალი სათავადოს შექმნა დაფუძნებული იყო ტერიტორიულ ნიშანზე, ფეოდალური საკუთრების აღწერილ ფორმებზე („გვარის“ აღზევების და სისხლის გადიდების მატერიალური საფუძველი), აზნაურების და ყმა-გლეხების რაოდენობაზე.

მაგრამ ახალი სათავადო, რა თქმა უნდა, ვერ შეუქმნიდა ახალ საფუძველს მეფის ხელისუფლების განმტკიცებას (ამგვარი როლი არ შეიძლებოდა შეესრულებინათ არც XVIII ს-ის მეორე ნახევარში წარმოშობილ ე. წ. „ახალ თავადებს“). უფრო პროგრესული იყო აზნაურების და გლეხების მეფის სახასოში გადასვლა, რაც განსაკუთრებით XVIII საუკუნისათვის იყო დამახასიათებელი. ამ ნიადაგზე მიმდინარეობდა ბრძოლა მეფის ხელისუფლებასა და თავადებს შორის. ბრძოლა წარმოებდა აზნაურებისათვის, მეტადრე ყმა-გლეხებისათვის[4].

აზნაურები დაინტერესებული იყვნენ მეფის ხელისუფლების განმტკიცებით, თავადების უფლებების შეზღუდვით. მაგრამ მათი ეკონომიური და პოლიტიკური წონა ქართულ ფეოდალურ საზოგა-

---

[1] Н. А. Бердзенишвили, Очерк..., გვ. 39.

[2] იქვე.

[3] ნ. ბერძენიშვილი კვლავ ამის გამო აღნიშნავს: «Со злобою и с завистью смотрят они на этих «безродных», закупающих у них земли и крестьян, таким образом, за счет их обеднения спешащих сколотить достаточное для тавада состояние, и потом, в соответствующий момент, вымолить у царя официальное подтверждение своего нового социального положения». Н. Бердзенишвили, Очерк..., გვ. 39.

[4] Г. Натадзе, Крестьяне сахасо, მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვ. V, 1937.

დოებაში მეტისმეტად სუსტი იყო იმისათვის, რომ მათი მისწრაფებანი ამ მიმართულებით გადამწყვეტი მნიშვნელობისა ყოფილიყო.

აზნაურების წამოწევა პოლიტიკურ სარბიელზე მეფის ხელისუფლებას არ შეეძლო ისეთ პირობებში, როცა მთელი საქართველო ფაქტიურად თავადების „მამულების ჯამს“ წარმოადგენდა. კიდევ მეტი: მეფის ხელისუფლებისათვის ადვილი არ იყო დაეკმაყოფილებინა თვით აზნაურების მეფის სახასოში გადასვლის სურვილი[1]. განსაკუთრებულ შემთხვევაში, და ისიც მხოლოდ დამნაშავე თავადის დასასჯელად, მეფის ხელისუფლება ბედავს ჩამოართვას მას აზნაური[2]. საინტერესოა, რომ მეფე (უფრო გვიან აგრეთვე თავადები) ცდილობს გამოიყვანოს აზნაურები დაბალი სოციალური ფენებიდან, გააზნაუროს გლეხთა ფენიდან გამოსული პირები ეპოქის შესაფერისად თავის გამოჩენის ნიშნის მიხედვით...[3]

ამრიგად, XVI—XVIII სს. საქართველოში გაბატონებულ სამამულო სისტემას, თავისი წარმოშობით და ხასიათით უეჭველად პროგრესულს, ზემოთ აღნიშნულ და აღწერილ გარემოებათა გამო, არ შეიძლებოდა შეექმნა საზოგადოებრივი და სამეურნეო განვითარების პირობა. საამისოდ საჭირო იყო ხანგრძლივი მშვიდობიანი ცხოვრება. დამახასიათებელია, რომ ეკონომიური და სამეურნეო აღმავლობა შეინიშნება მხოლოდ ხანმოკლე შესვენების პერიოდებში, როცა არც ომი იყო და არც რბევა-თარეში. მაგრამ განვითარება ამ მიმართულებით კვლავ ფერხდება დამპყრობლების შემოსევების წყალობით.

სამამულო სისტემა ფეოდალური „სახლების“ შიგნით მოექცა, იგი შეუთავსდა ფეოდალური საკუთრების იმ ფორმებს (სახასო, საუფლისწულო, სათავისთავო), რომელთაც მტკიცე საფუძველი შეუქმნეს სათავადოების სისტემის არსებობას. ამათგან ყველაზე პროგრესული მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმები „სათავისთავო“ და „ნასყიდი“, სათავადოს დაშლის პირობას რომ ქმნიდნენ, უმნიშვნელოდ იყო განვითარებული.

სათავადოებით მოფენილ ბარის საქართველოში ძირითადად მიწის ფეოდალური საკუთრების დასახელებული ფორმები იყო გაბატონებული. ერთგვარი ნაირსახეობა (ამ მხრივ ყურადღებას იქცევს XVI ს-ის კახეთი, სადაც თავადის აზნაური არ არსებობდა) დამოუკიდებელი იყო ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებზე.

---

[1] Н. А. Бердзенишвили, Очерк..., გვ. 39.

[2] იქვე.

[3] იქვე.

ფეოდალური მიწისმფლობელობის და მიწათსარგებლობის წესების ნაირსახეობა საქართველოშიც გაპირობებული იყო ცალკეული ეკონომიური რაიონების თავისებურებებით. ფეოდალური საკუთრების შედარებით მარტივ ფორმებს ვხედავთ მთისა და ბარის დაპირისპირების ზოლში. საკუთრივ მთაში კი ისევ ძლიერია საგვარეულო ყოფა-ცხოვრება. ზოგან ბარში (იშვიათად) შემორჩენილია სათემო მიწისმფლობელობა, თუმც აქაც გლეხი მებეგრედ არის ქცეული, მაგრამ ყველაფერი ეს არ ცვლიდა ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის საერთო სურათს.

ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობა მკვეთრად განსხვავდებოდა აღმოსავლური ფეოდალური მიწისმფლობელობისაგან. აღმოსავლეთის სახელმწიფოებში (ირანში, ოსმალეთში...) ფაქტიურად აღდგენილ იქნა მიწის ფეოდალური საკუთრების ის ფორმები, რომლებიც მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ ქვეყნებში XI საუკუნემდე ერთხელ უკვე იყო გაბატონებული.

მოხელეობასთან დაკავშირებული პირობითი და დროებითი მიწისმფლობელობა ქართული ფეოდალიზმისათვის განვლილი ეტაპი იყო. ამდენადვე XVI—XVII სს. ქართული აგრარული ურთიერთობა განსხვავდებოდა როგორც ირანული, ისე ოსმალური აგრარული ურთიერთობისაგან.

3. აღმოსავლური ფეოდალური მიწისმფლობელობა

ფეოდალური ხანის მახლობელ აღმოსავლეთში ძირითადად სახელმწიფო მიწისმფლობელობა იყო გაბატონებული.

აღმოსავლური მიწისმფლობელობის დახასიათებისას კ. მარქსი შენიშნავდა: „სახელმწიფო აქ მიწის უზენაესი მესაკუთრეა. სუვერენიტეტი აქ მიწისმფლობელობაა, რომელიც კონცენტრირებულია ნაციონალური მასშტაბით. მაგრამ რადგან, ამ შემთხვევაში, არ არსებობს, არავითარი მიწის კერძო საკუთრება, მაინც არსებობს, როგორც კერძო, ისე თემობრივი მიწისმფლობელობა და სარგებლობა“[1].

აღმოსავლეთი იცნობდა მიწის უპირობო, შეუზღუდავ მფლობელობასაც. კ. მარქსი მიუთითებდა მიწის კერძო საკუთრების არ-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 310.

სებობას ინდოეთის განსაზღვრულ ადგილებში[1], მაგრამ მიწის ფეოდალური საკუთრებისათვის საერთოდ დამახასიათებელი მფლობელობის პირობითობა ყველაზე მკვეთრად ფეოდალურ აღმოსავლეთში იჩენდა თავს.

ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ აღმოსავლეთში მიწის უზენაესი მესაკუთრე სახელმწიფო იყო, გამორიცხავდა ფეოდალური იერარქიის არსებობას[2]. ამით აიხსნება, რომ ფეოდალური აღმოსავლეთისათვის უცნობი იყო აზნაურთა საზოგადოებრივი ფენა.

საინტერესოა, რომ ვასალები, სუბვასალები და არიერვასალები აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი ხდება XII—XIII საუკუნეებისათვის[3], როცა მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმების განვითარებამ საფუძველი დაუდო სამხედრო-ლენური სისტემის არსებობას.

მსხვილი კერძო მიწისმფლობელობის წყაროები იყო სახელმწიფო და სათემო მიწები. აღმოსავლეთშიც ფეოდალები სათემო მიწების დატაცების საფუძველზე გაძლიერდნენ. სათემო მიწების დატაცება მიმდინარეობდა უკიდურესად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში. ამას მოწმობენ გლეხთა მრისხანე აჯანყებები VI ს-ის სასანურ ირანში და VIII—IX სს. არაბთა სახალიფოში.

სახელმწიფო მიწისმფლობელობის გვერდით აღმოსავლეთში ყოველთვის არსებობდა მსხვილი კერძო მიწისმფლობელობა. მსხვილი კერძო მიწისმფლობელობა ჩვეულებრივ ვითარდებოდა სახელმწიფოს დეცენტრალიზაციის პირობებში. ცენტრალისტური პოლიტიკა კი სახელმწიფო მიწისმფლობელობის საფუძველზე ხორციელდებოდა.

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XXI, გვ. 501.

[2] კ. ანტონოვას დიდ მოღოლთა სახელმწიფოს ფეოდალური ურთიერთობის ნიშანდობლივ გამოვლინებად სხვა მომენტებთან ერთად მიაჩნია შემდეგი: «Концентрация земельного фонда в руках центральной власти и, как проявление этого отсутствие феодальной иерархии: все феодалы—военноначальники держали свои земельные владения непосредственно от Великого Могола—правителя империи». К. А. Антонова, Очерки общественных отношений и политического строя могольской Индии времен Акбара (1556—1605), М., 1952, გვ. 70—71. კ. ანტონოვა აღნიშნავს მოღოლებამდელი მიწისმფლობელობის სხვა ფორმების (ზამინდარობის) არსებობასაც, თუმცა მიწის ფეოდალური საკუთრების გაბატონებული ფორმა მაინც ჯაგირი (პირობითი მფლობელობა) იყო. იქვე, გვ. 71.

[3] Вл. Гордлевский, Государство Сельджукидов Малой Азии, Л., 1941, გვ. 68—84.

აღნიშნული გარემოება დამახასიათებელი იყო ფეოდალური აღმოსავლეთის უკლებლივ ყველა სახელმწიფოსათვის (არაბები, თურქ-სელჩუკები, მონღოლები, ოსმალები, ყიზილბაშები), რომელთა დაშლას და დამოუკიდებელი საფეოდალოების (საამიროები, საათაბაგოები, სახანოები, საფაშოები...) წარმოშობას, როგორც წესი, მიწის ფეოდალური გასაკუთრება აპირობებდა.

XVI—XVII სს. როგორც ყიზილბაშურ ირანში, ისე ოსმალეთში ძირითადად სახელმწიფო მიწისმფლობელობა იყო გაბატონებული.

ირანული თიული და ოსმალური თიმარი, მართალია, სპეციფიკური თვისებების მატარებელი იყვნენ, მაგრამ ორთავე ფეოდალური ინსტიტუტი გარეგნულად მუსლიმანური იურიდიული თეორიების გარსში იყო გამოხვეული.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ აღმოსავლური მიწის ფეოდალური საკუთრების ეკონომიური შინაარსი, საჭიროა აგრეთვე მისი უფლებრივი მხარის გათვალისწინება.

მუსლიმანური სამართლის მიხედვით მიწის უზენაესი მესაკუთრე სახელმწიფოა (ხალიფა, სულტანი, შაჰი, ხანი...). თუმცა ამავე დროს იგი სცნობს მიწის კერძო საკუთრების ინსტიტუტსაც— „მ უ ლ ქ ს“ ანუ „მ ი ლ ქ ს“.

„მულქი“ იმთავითვე თან სდევს აღმოსავლურ ფეოდალიზმს. შინაარსობლივად მულქი მსგავსებას ამჟღავნებს ალოდთან. მულქის გასხვისება, ყიდვა, გაყიდვა და მემკვიდრეობით გადაცემა შეუზღუდავად წარმოებდა.

„მულქი“ დამახასიათებელი იყო ირანის და ოსმალეთის აგრარული სისტემისათვისაც.

მუსლიმანური სამართლის ნორმები მრავალნაირად აკავშირებდა საკუთრების აღმოსავლურ კატეგორიებს, უკეთ მათს იურიდიულ ინტერპრეტაციას, ადრეფეოდალური ხანის აგრარულ ურთიერთობასთან. ამიტომ ირანული და ოსმალური მიწისმფლობელობის გასაცნობად აუცილებელია ადრინდელი ვითარების გათვალისწინება.

მიწის ფეოდალური საკუთრების იურიდიული ფიქსაცია ადრეფეოდალურ ხანაში (არაბთა სახალიფოში) მოხდა. შემდეგ ეს საკანონმდებლო გახდა ყველა მუსლიმანური სახელმწიფოსათვის. ამიტომ თუ საკუთრების ეკონომიური შინაარსი განვითარებასა და ცვალებადობაში იმყოფებოდა, უცვლელი რჩებოდა მისი იურიდიული ფორმა.

ამით აიხსნება, რომ ირანში და ოსმალეთში მიწისმფლობელობის კატეგორიების აღმნიშვნელი ტერმინები ადრეფეოდალური ხა-

ნიდან მომდინარეობდა. ადრეფეოდალურ ხანასთან იყო დაკავშირებული მიწის საკუთრების რეალიზაციის აღმნიშვნელი ტერმინებიც.

სახალიფოს მიწისმფლობელობას სწავლობდნენ ვ. როზენი, ნ. მედნიკოვი, ვ. ბარტოლდი, დე გუე, ა. კრემერი, ი. ველჰაუზენი, ჯ. უარი (Huart) და ბევრი სხვა. მნიშვნელოვანი მოსაზრებანი, დაკვირვებები და დებულებები აქვთ გამოთქმული VI—X სს. აღმოსავლურ მიწისმფლობელობაზე საბჭოთა ისტორიკოსებს ნ. პიგულევსკაიას, ა. იაკუბოვსკის, ბ. ზახოდერს. ამ საკითხის უახლესი ბურჟუაზიული გამოკვლევებიდან უნდა დავასახელოთ ფ. ლოკეგორის, დ. დენეტის და ა. ლამბტონის ნაშრომები[1].

ადრეფეოდალური ხანის აღმოსავლური მიწისმფლობელობის ჩვენი ზოგადი მონახაზი დაფუძნებულია დასახელებული ავტორების გამოკვლევებზე.

არაბებმა ხელთ იგდეს აუარებელი მიწები დაპყრობილ ქვეყნებში. „მიწების ამოძრავება“ არაბთა ბატონობის ერთი მნიშვნელოვანი მოვლენათაგანი იყო.

გაბატონებული საგადასახადო სისტემის მიხედვით მიწები არაბთა სახალიფოში ორ მთავარ კატეგორიად იყოფოდა: 1. უშრის მიწებად და 2. ხარაჯას მიწებად.

უშრის მიწა განიხილებოდა როგორც საკუთრება, ხარაჯას მიწებში კი მხოლოდ მფლობელობა იყო ნაგულისხმევი.

უშრის პატრონი აუცილებლივ მუსლიმანი უნდა ყოფილიყო (მას მხოლოდ უშრის ანუ მეათედის გადახდა მართებდა). ხარაჯას მიწა შეიძლებოდა ქცეულიყო უშრის მიწად იმ შემთხვევაში, თუ მას მუსლიმანი (არაბი) არამუსლიმანისაგან შეიძენდა[2]. მაგრამ ეს წესი მოქმედებდა VII ს-ის დამლევამდე, ამ დროიდან არაარაბული წარმოშობის მუსლიმანები (მავალები, არაბული ტომების კლიენტები) ვალდებული იყვნენ გადაეხადათ „ხარაჯა“ ისევე, როგორც მას „ზიმიები“ (მუსლიმანთა „მფარველობაში“ მყოფი არამუსლიმა-

---

[1] F. Lokkegaard, Islamic Taxation in the Classic Period with special reference to circumstances in Iraq. Copenhagen, 1950; D. C. Dennett, Conversion and the Poll Tax in Early Islam. Harvard University Press (Harvard Historical Monographs, XXII), 1950; A. K. S. Lambton Landlord and Peasant in Persia, London, 1953.

[2] მიწების ყიდვა-გაყიდვა სახალიფოში თავისუფლად წარმოებდა, რადგან მიწის ყიდვა და გაყიდვა გავლენას არ ახდენდა გადასახადის ოდენობაზე. იცვლებოდა მხოლოდ მიწის პატრონი.

ნები) იხდიდნენ[1]. ეს წესი კვლავ შეიცვალა აბასელთა სახალიფოში, როცა მავალები უფლებებით არაბებს გაუთანასწორდნენ.

სახალიფოში მიწები ნაწევრდებოდა მფლობელობის ნიშნის მიხედვითაც: გარდა სახელმწიფო („სავაფი“) და მუსლიმანური თეშის („ჯამაათ“) მიწებისა (საკუთრების ამ ფორმის აღმნიშვნელი სახელი იყო „ფაი“ და ფორმალურად ყველა მუსლიმანის საკუთრებად ითვლებოდა), არსებობდა კერძო საკუთრებაში მყოფი მიწებიც „მულქი“-ს სახელწოდებით.

მიწა კერძო საკუთრებად გადაიქცეოდა იმ შემთხვევაში, თუ მას ვინმე მახვილით დაიპყრობდა. მიწა საკუთრებაში შეიძლებოდა გადასულიყო წყალობის წესითაც. მიწის მესაკუთრედ ხდებოდა ისიც, ვინც გააცოცხლებდა, ე. ი. დაამუშავებდა „მკვდარ“ („მავათ“) მიწას და მას მეურნეობისათვის ვარგისად გახდიდა. არაბულ-სპარსული სამართლით მიწის პატრონი იყო ის, ვინც სარწყავ არხს გაიყვანდა და მიწას გააცოცხლებდა. წყალი აღმოსავლეთში საკუთრების აუცილებელი ელემენტი იყო.

ყველა აღნიშნული გარემოებანი წარმოადგენდნენ „მულქის“ (კერძო საკუთრების ინსტიტუტის) წყაროებს. ამიტომ „მულქის“ გასხვისება, ყიდვა-გაყიდვა და მემკვიდრეობით გადაცემა, როგორც აღვნიშნეთ, თავისუფლად შეიძლებოდა.

VII—VIII სს. „ვ ა კ უ ფ ი“ ჯერ კიდევ არ აღნიშნავდა მუსლიმანური ეკლესიის საქონებელს. დამახასიათებელია, რომ აბუ იუსუფ იაკუბის „ქითაბ ალ-ხარაჯ“-ში (VIII ს-ის დამლევს შედგენილ იურიდიულ-ეკონომიურ ტრაქტატში) საკუთრების ეს კატეგორია არც იხსენიება. ამ დროს „ვაკუფი“ ეწოდებოდა ისეთ მიწას, რომლის დამპყრობელი მესაკუთრედ გახდომის მიუხედავად, ნებით სთმობდა თავის უფლებას საკუთრებაზე, რის შემდეგაც მიწა ხდებოდა ვაკფი, ე. ი. **res extra commercium**[2].

მხოლოდ IX საუკუნიდან დაიჭირა „ვაკუფმა“ ანუ „ვაკფმა“ გარკვეული ადგილი მუსლიმანური ქვეყნების ფეოდალურ მიწისმფლობელობაში. გამოკვეთილი და დასრულებული სახით კი მუსლიმანური საეკლესიო მიწისმფლობელობა XI—XIII საუკუნეებში ჩამოყალიბდა. ამის მიუხედავად აღმოსავლეთშიც ფეოდალური შეუვალობა პირველად მუსლიმანურმა ეკლესიამ მოიპოვა. უხვმა შე-

---

[1] არაბები მკვეთრად ასხვავებდნენ ერთმანეთისაგან მახვილით დაპყრობილ მიწებს ნებით („სამშვიდობო ხელშეკრულებით“) დამორჩილებულ მიწებისაგან. პირველ შემთხვევაში მიწახე „ხარაჯი“ იყო დაწესებული, მეორე შემთხვევაში „ფაი“.

[2] **A. K. S. Lambton, Landlord and Peasant in Persia,** გვ. 27.

წირულებამ (განსაკუთრებით ნაგვიანევ ხანაში, როცა ფეოდალები ფიქტიურად სწირავდნენ თავიანთ მიწებს „ვაკუფად“) მუსლიმანური ეკლესია უმსხვილეს ფეოდალურ ორგანიზაციად გადააქცია.

აბასელთა სახალიფოში მიწები რამდენიმე კატეგორიად იყოფოდა:

1. სახელმწიფო მიწები („მულქ-ი ხარაჯ“).
2. ხალიფას და მისი სახლის წევრების მიწები („მულქ-ი სულტანი“).
3. მუსლიმანური ეკლესიის მიწები („ვაკუფი“).
4. კერძო საკუთრებაში მყოფი მიწები („მულქი“)[1].

აღნიშნულ კატეგორიებს შეიძლება დავუმატოთ სასოფლო თემის მიწები, თუმც მათ, როგორც წესი, მუსლიმანური სამართალი მიწისმფლობელობის მთავარ ოთხ კატეგორიაში არ ათავსებს.

სახალიფოს ფეოდალიზაციის საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულა იკტას ფეოდალურმა ინსტიტუტმა.

არაბ. „იკტა“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ჩამონაჭერს, ნაკვეთს.

სპეციალურ ლიტერატურაში იკტა მიჩნეულია ბენეფიციუმის სპეციფიკურ აღმოსავლურ ფორმად (ნ. პიგულევსკაია, ა. იაკუბოვსკი, ფ. ლოკეგორი)[2].

იკტამ განვითარების რთული და ხანგრძლივი გზა განვლო.

იკტას განვითარებაში მკაფიოდ გამოიყოფა სამი პერიოდი: პირველ პერიოდში (IX—X სს.) იკტა გულისხმობდა მისი მფლო-

---

[1] მიწისმფლობელობის მოტანილი სქემა დამახასიათებელია ფეოდალური ხანის უკლებლივ ყველა მუსლიმანური სახელმწიფოსათვის: დივანი (სახელმწიფო), ხასი (სულტნის ან შაჰის), ვაკუფი, მულქი. მაგრამ გარეგნულად მუსლიმანური სამართლის გარსში გამოხვეული მიწისმფლობელობა თავის შინაარსს იცვლიდა სოციალურ-ეკონომიურ განვითარების ყოველ ახალ საფეხურზე. ასე, მაგალითად, უაღრესად კონსერვატული მუსლიმანური სამართალი გამოყენებული იყო მიწის ფეოდალური საკუთრების ისეთი ფორმების მიმართ, როგორიცაა იკტა, თიული და თიმარი, მაშინ როდესაც თითოეული მათგანი დაკავშირებულია სრულიად გარკვეულ ხანასთან, განსაზღვრულ სახელმწიფოს არსებობასთან და მეტნაკლებად განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობასთან.

[2] დანიელი მეცნიერი ფრედ ლოკეგორი „იკტას“ (როგორც ბენეფიციუმის სპეციფიკური აღმოსავლური ფორმის) წარმოშობას უკავშირებს ისლამის წინადროინდელ „ჰიმა“-ს, რომელიც სატომო საკუთრებას აღნიშნავდა. იგი განიხილავს იკტას იმ სახეობას, რომელიც იურიდიულ ლიტერატურაში „იკტა, თამლიკ“-ის სახელითაა ცნობილი და გულისხმობდა მიწის წყალობას საკუთრების სრული უფლებით. **F. Lokkegaard,** დასახ. ნაშრ., გვ. 15.

ბელის (არაბ. „მ უ კ ტ ა“, სპ. „ი კ ტ ა დ ა რ ი“) წილს მიწის შემოსავალში, მის უფლებას რენტა-ხარკის გადაკვეთილ წილზე; მეორე პერიოდში (XI—XIII სს.) სამხედრო სამსახურის პირობით გაცემულ მიწას, რამაც საჭირო საფუძველი შეუქმნა სამხედრო-ლენური სისტემის ჩამოყალიბებას; მესამე პერიოდში (XIV—XV სს.) იკტა აღწევს განვითარების ახალ უფრო მაღალ საფეხურს, რის გამოც სამხედრო ლენური სისტემა დასრულებულ სახეს იღებს და, ამასთან, ვითარდება ფეოდალური იმუნიტეტი.

XV ს-ში იკტას განვითარების შედეგი იყო „ს ო ი უ რ ღ ა ლ ი ს“ ფეოდალური ინსტიტუტი, რომლისათვისაც XV ს-ში დამახასიათებელი ხდება ადმინისტრაციული, საგადასახადო და სასამართლო იმუნიტეტი.

ამრიგად, მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმები აღმოსავლეთში ამჟღავნებენ განვითარების ისეთსავე ტენდენციას, როგორიც ყველა ფეოდალური ქვეყნისათვის იყო დამახასიათებელი.

არაბულ იკტას ჩვენ ვეცნობით უპირატესად აბუ იუსუფ იაკუბის (VIII ს-ის დამლევი) და კუდამას (IX ს.) „ქითაბ ალ-ხარაჯების“ და მავერდის (XI ს.) „ალ-აჰქამ ას-სულტანია“-ს მიხედვით. დასახელებულ ეკონომიურ ტრაქტატებში საკმაოდ გამჭვირვალედაა გადმოცემული იკტას ფეოდალური ხასიათი.

მავერდი ასახელებს იკტას ორ სახეობას: „ი კ ტ ა ა ლ - თ ა მ ლ ი კ“-ს და „ი კ ტ ა ა ლ - ი ს თ ი ღ ლ ა ლ“-ს. პირველი გულისხმობდა იკტას გაცემას საკუთრების სრული უფლებით, მეორე მხოლოდ გარკვეული წილის დადებას მიწის შემოსავალში.

მავერდი მკაფიოდ ასხვავებს ერთიმეორისაგან იკტას ამ ორი სახეობის უფლებრივ საფუძველს.

იკტა ალ-ისთიღლალი აშკარად გვიანდელი წარმოშობისა ჩანს. საინტერესოა, რომ იკტას ეს სახეობა მოხსენებული არაა აბუ იუსუფის წიგნში. მართებული ჩანს ე. სიხარულიძის მოსაზრება, რომ VIII ს-ის დამლევისათვის იკტა ჯერ კიდევ არ ითვალისწინებდა უფლებას რენტა-ხარკის გარკვეულ წილზე და რომ აბუ იუსუფის დროს იგი არ არსებობდა არც თეორიასა და არც პრაქტიკაში[1].

ფ. ლოკეგორის აზრით, „იკტა ალ-თამლიკ“ IX საუკუნემდე ყარგა ხნით ადრე არსებობს[2].

---

[1] Э. Т. Сихарулидзе, Китаб ал-Харадж Абу Иусуфа Иакуба как источник по истории феодальных отношений в Халифате (автореферат кандидатской диссертации), Тб., 1955, გვ. 14.

[2] F. Lokkegaard, დასახ. ნაშრ., გვ. 15.

„იქტა ალ-ისთიღლალი“, უნდა ვიფიქროთ, ყალიბდება IX ს-ში, რადგან განვითარებული სახით წარმოდგენილია იგი X ს-ში ბუვეიანთა სახელმწიფოში (დასავლეთ ირანში).

IX—X სს. მოხელე-ხელისუფლები სარგებლობენ ხარაჯას გარკვეული წილით სარგებლობის უფლებით. ამიერიდან იქტა მოხელე-ხელისუფლებს ეძლევათ სამსახურის სანაცვლოდ ან სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის.

მართალია, ამ დროს იქტას მფლობელს უფლება ჰქონდა აეკრიბა ხარაჯა თავის სასარგებლოდ, მაგრამ მას ჯერ კიდევ ხელი არ მიუწვდებოდა არც ნაწყალობევ მიწაზე და არც მიწაზე მსხდარ გლეხებზე. გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაცია ახლაც ძირითადად სახელმწიფოს მეშვეობით წარმოებდა. მაგრამ რამდენადაც ხარაჯას აკრების უფლება ვრცელდებოდა ნაწყალობევ მიწაზე, ამდენადვე იქტადარი მეტი ინტერესით ეკიდებოდა მას და მასზე მსხდარ გლეხებს. იქტადარები მიისწრაფვიან შემოიმტკიცონ ხარაჯას შემოსავალი მთლიანად: გაისაკუთრონ მიწები და გაავრცელონ თავიანთი ძალაუფლება გლეხებზე.

იქტას განვითარებასთან დაკავშირებით პროფ. ა. იაკუბოვსკის შენიშნული აქვს ის მეტად საყურადღებო ფაქტი, რომ ფეოდალიზაციის პროცესი IX—X სს. აღმოსავლეთში მიმდინარეობს როგორც ზემოდან (იქტას საფუძველზე), ისე ქვემოდან (კომენდაციის საშუალებით)[1]. კომენდაციის აღსანიშნავად იმ დროს არაბულში იხმარებოდა სპეციალური ტერმინი „ი ლ ჯ ა“[2].

ილჯას საფუძველზე წვრილი მიწისმფლობელები და გლეხები თავიანთ მიწებს უქვემდებარებენ ძლიერი და მსხვილი მიწისმფლობელების მფარველობას. სუსტს ძლიერი დამცველად სჭირდებოდა, მის მფარველობაში ხედავდა ხარაჯას შემცირება-შემსუბუქების საშუალებას. მაგრამ მფარველობა თანდათან იცვლებოდა უშუალო დამოკიდებულებით და თავისუფლების დაკარგვით.

---

[1] ა. იაკუბოვსკის სიტყვით: «Икта—это процесс феодализации как бы сверху. Навстречу этому процессу шла феодализация снизу, мы имеем в виду комендацию со стороны крестьян и мелких землевладельцев». А. Якубовский, Вопросы периодизации истории Средней Азии в средние века КСИИМК, XXVIII, 1949, გვ. 37.

[2] ნაწარმოებია ზმნა „ლაჯაა“-დან, ნიშნავს მფარველის, დამცველის ძებნას. „ილჯა“-ს მნიშვნელობის შესახებ იხ. აგრეთვე F. Lokkegaard, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

იკტამ და ილჯამ IX—X სს. ნიადაგი მოუმზადა მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ადრეფეოდალური ხანიდან განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში გადასვლას. მაგრამ ფეოდალიზაციის პროცესის განვითარება კვლავ შეფერხდა მომთაბარეთა შემოსევების წყალობით.

თურქ-სელჩუკების გაბატონების შედეგი XI ს-ში იყო მიწების ახალი გადანაწილება, ფეოდალური უფლებების ახალი გადაჯგუფება ახლა უკვე თურქულ-მომთაბარული არისტოკრატიის სასარგებლოდ.

თურქ-სელჩუკიანებმა მარჯვედ გამოიყენეს იკტა და გლეხთა ექსპლოატაციის სახარაჯო სისტემა.

იკტა თურქ-სელჩუკიანთა მომთაბარულ არისტოკრატიას საშუალებას აძლევდა მიწაზე დაუჯდომლად წელიწადში რამდენჯერმე მიეღო ხარაჯა. იკტაში თურქ-სელჩუკიანები (ისევე როგორც კარახანიდები შუა აზიაში) ხედავდნენ სისტემატური და უეჭველი შემოსავლის საუკეთესო ფორმას[1].

გლეხთა ექსპლოატაცია სახელმწიფოს მეშვეობით თურქულ-მომთაბარული არისტოკრატიისათვის სავსებით მისაღები ფორმა იყო. იკტა მომთაბარული ცხოვრებისა და მეურნეობის წესებს იმ მხრივაც შეუთავსდა, რომ მისი მფლობელისათვის აუცილებელი არ იყო ნაწყალობევ მიწაზე ცხოვრება. მაგრამ სახელმწიფოს მეშვეობით გლეხთა ექსპლოატაცია, ჩანს, გაგრძელდა მანამდე, სანამ სელჩუკი მიწისმფლობელები გაფეოდალებას მოასწრებდნენ.

ახლაც მოხდა ის, რაც აღმოსავლეთში წინათაც და შემდეგაც არა ერთხელ მომხდარა. ადგილობრივი ფეოდალური სინამდვილის გავლენამ კვლავ გააძლიერა იკტას განვითარების ის ტენდენცია, რომელიც ამ ფეოდალურ ინსტიტუტს უკვე X ს-ში შევნიშნეთ. XI ს-ის დამლევს იკტადარები ხელს სდებენ არა მარტო სამსახურის სანაცვლოდ მიღებულ მიწას, არამედ მიწაზე მსხდარ გლეხებსაც.

ნიზამ ულ-მულქის „სიასეთ-ნამეში“ („პოლიტიკის წიგნში“) მოტანილია ფაქტები, რომელთა განსაკუთრებული მნიშვნელობა ფეოდალიზაციის პროცესის შემდგომ განვითარებაში ბევრმა მკვლევარმა აღნიშნა (ა. იაკუბოვსკი, ი. პეტრუშევსკი ბ. ზახოდერი და სხვ.).

ნიზამ ულ-მულქი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მუკტამ მხოლოდ კანონიერი გადასახადები უნდა აკრიბოს და რომ მისი უფლება არ

---

[1] А. Якубовский, დასახ. ნაშრ., გვ. 40.

ვრცელდება გლეხის პიროვნებაზე, ქონებაზე, ცოლშვილზე, აგრეთვე მის იარაღებზე და მიწის ნაკვეთებზე. ამავე დროს, იგი მოითხოვს იმათ დასჯას, ვინც ამ წესს არღვევს[1].

მაგრამ ის გარემოება, რომ ნიზამ ულ-მულქი მოითხოვს მის მიერ დახასიათებული იქტას წესის მტკიცე დაცვას და პასუხისმგებლობას აკისრებს იმას, ვინც ამ წესს არღვევს, კარგად მოწმობს, თუ რა მიმართულებით სცვლიდა თავის დამოკიდებულებას მუკტა ანუ იქტადარი მწარმოებლებთან. მართალია, ნიზამ ულ-მულქი უარყოფს გლეხთა მიწაზე მიმაგრების იურიდიულ გაფორმებას, მაგრამ საამისო პროცესი მის დროს უკვე დაწყებული ჩანს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ დასჭირდებოდა იმის თქმა, რომ იქტადარს უფლება აქვს აკრიბოს მხოლოდ კანონიერი გადასახადი[2] და რომ მას ხელი არ მიუწვდება გლეხის პიროვნებასა და ქონებამეურნეობაზე; საჭირო არ იქნებოდა ამ წესის დამრღვევის პასუხისმგებლობის აღნიშვნა და დამნაშავის დასჯის მოთხოვნა იმისათვის, რომ სხვებისათვის ეს მაგალითი ყოფილიყო. ნიზამ ულ-მულქი მტკიცედ იცავს ოფიციალურ თვალსაზრისს და ცენტრალისტური პოლიტიკის ინტერესებს, როცა ამბობს: „დაე, მუკტამ იცოდეს, რომ სახელმწიფო (მულქი) და ქვეშევრდომები (რაიათი), ყველა სულტნის საკუთრებაა“[3].

ოფიციალური თვალსაზრისით იქტა ახლაც დროებითსა და პირობით მიწისმფლობელობას ნიშნავდა. იქტადარი იმ დროის განმავლობაში, სანამ იგი გარკვეულ სამსახურს ასრულებდა, იღებდა მიწაზე დაწესებული გადასახადის იმ წილს, რომელიც სახელმწიფოს მისთვის ჰქონდა გადაკვეთილი. მისი უფლება ხარაჯაზე (მთლიანად ან ნაწილობრივ) წინასწარ იყო განსაზღვრული. თანამედროვე საბუთებში ხაზგასმულია იქტას კავშირი სახარაჯო სისტემასთან. მაგრამ სახელმწიფოს ღონისძიებები აწეწილი ფინანსების მოსაწესრიგებლად მოწმობენ იმას, რომ იქტადარები ცდილობენ მთლიანად

---

[1] **Siasat Nameh, ed. Ch. Schefer, Paris, 1891, გვ. 28.**

[2] კანონიერი გადასახადი იყო: ხარაჯა, უშრი, ჯიზია, ზაქათი. მაგრამ ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებამ წარმოშვა გადასახადთა ახალი სახეობები, ფეოდალურ გადასახადთა მთელი სერია. ნიზამ ულ-მულქის მიერ აღნიშნული გარემოება, რომ იქტადარებს მხოლოდ კანონიერი გადასახადების აკრეფის უფლება აქვთ, უნდა მიუთითებდეს არაკანონიერი გადასახადების (ნაგვიანევი ხანის ტერმინოლოგიით „ღეირი-ი ჰოქმ“) არსებობაზე.

[3] **Siasat Nameh, გვ. 28.**

მიითვისონ ხარაჯა, მიაღწიონ იქტას მემკვიდრეობით და ანდერძით გადაცემას[1].

უკვე XI ს-ში იშვიათი არ უნდა ყოფილიყო იქტას გასაკუთრება, ე. ი. ხარაჯას მიღების უფლების მიწისმფლობელობის უფლებასთან შეერთება. XII ს-ის მეორე ნახევარში, შუა აზიის შესახები წყაროების მიხედვით, იქტას მფლობელობა შერწყმულია თითქმის შეუზღუდავ უფლებასთან იქტას ტერიტორიის მოსახლეობის მიმართ. XI—XII სს. აზერბაიჯანში იქტას მფლობელობა ფაქტიურად მემკვიდრეობითი ხდება. ამავე მიმართულებით ვითარდება იქტა თურქ-სელჩუკთა მცირე აზიის სახელმწიფოში[2].

უშუალო მწარმოებლები, რაც დრო გადის, მით უფრო დამოკიდებული ხდებიან იქტადარებზე. უკვე XI ს-ში გლეხის პირადი დამოკიდებულება თითქმის საყოველთაო ფაქტი ხდება[3]. მოჰამედ ბაღდადის ოფიციალურ სპარსულ დოკუმენტთა კრებულში მოიპოვება სიგელები (ფირმანები), რომელთა მიხედვით აღიარებულია იქტადარების სრული განკარგულების უფლება როგორც მიწების, ისე მიწებზე მსხდარი გლეხების მიმართ. XII ს-ის დამლევს ხორეზმ შაჰ თექეშის მელიქ თუღანშაჰისათვის ბოძებული სიგელის შინაარსიდან კარგად ჩანს, რომ იქტადარს ხელი მიუწვდება გლეხის პიროვნებასა და მეურნეობაზე[4]. ამიერიდან გარეეკონომიური იძულება იქტადარების ხელთ იყო, მაგრამ მათი ძალაუფლება მიწის ფეოდალური საკუთრების განვითარებულმა ფორმამ გააპირობა.

XII ს-ში იქტას მფლობელები ყველგან გლეხებისაგან მოითხოვენ სამუშაო ბეგარას („სუხრა გირიფთან")[5]. XI ს-ის ქართულ დოკუმენტურ წყაროებში დამოწმებული „სუხრა" (სპ. „ბეგარის" არაბული შესატყვისი) იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ საამისო პროცესი XII საუკუნეზე ადრე იწყება მახლობელ აღმოსავლეთში. მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს არა აღმოსავლური ბეგარის „კლასიკური" ფორმა (დამოწმებული VI საუკუნიდან), რო-

---

[1] საამისო მაგალითები დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებიდან მოტანილია ლამბტონის წიგნში. იხ. Lambton, დასახ. ნაშრ., გვ. 65—70.

[2] В. Гордлевский, დასახ. ნაშრ., გვ. 63, 69, 71, 73, 74, 76.

[3] А. Якубовский, Вопросы периодизации истории Средней Азии в средние века, გვ. 41.

[4] В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, წ. I, ტექსტები, გვ. 77—75. ამ სიგელის დამოწმებულ შინაარსს სხვადასხვა დროს ყურადღება მიაქციეს ი. პეტრუშევსკიმ და ა. იაკუბოვსკიმ.

[5] А. Якубовский, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

შელიც ითვალისწინებდა გლეხთა შრომის გამოყენებას სარწყავი არხების ასაგებად, სასახლეების, ციხეების, გზების, ხიდების მშენებლობას და მისთანებს, არამედ ბეგარის გამოყენებას ფეოდალის სასაკუთრო მეურნეობაში. ბეგარის მოთხოვნა აშკარად მიუთითებს ფეოდალთა ასეთი სასაკუთრო მეურნეობების არსებობაზე.

აღებულ ხანაში მიწის ფეოდალურმა საკუთრებამ მიაღწია თავისი განვითარების ისეთ საფეხურს, რომ დღის წესრიგში დადგა ბეგარის (სუხრას) ფართოდ გამოყენება გლეხთა მიწაზე მიმაგრების გზით. მფლობელების და მწარმოებლების უშუალო ურთიერთობამ (სახელმწიფოს ჩაურევლად) ახალი შინაარსით შეავსო იქტას ფეოდალური ინსტიტუტი. ამ თვალსაზრისის გავრცელება სავსებით შეესაბამებოდა ფეოდალური ურთიერთობის იმ საფეხურს, რომელსაც აღმოსავლეთმა XII—XIII საუკუნეების მიჯნაზე მიაღწია.

განვითარებული ჩანს ამ დროს აგრეთვე „მულქის" ფეოდალური ინსტიტუტი. XIII ს-ის მოღვაწის ნასირ ედ-დინ ტუსის საფინანსო ტრაქტატში ლაპარაკია „ოქროთი ნაყიდ მულქებზე" („მულქ-ჰაი-ე ზარხარიდე")[1]. ასახელებს იგი აგრეთვე „ხ უ რ რ"-ს, რომელიც გადასახადებისაგან „დაწშენდილს" ნიშნავს. „მ უ ლ ქ - ი ხ უ რ რ"-ის მიწა-ბაღებზე ხარაჯა არ დაიდებოდა, ყველაზე ძვირად იყიდებოდა და გადადიოდა მემკვიდრეობით[2]. სწორედ მულქის ამ სახეობასთან ამჟღავნებს მსგავსებას ქართ. „ნასყიდი", რომელსაც XIII ს-ის ქართული საბუთების მიხედვით „გადასახადი არ დაედებოდა"[3].

„მულქ-ი ხურრი" (მისი შესატყვისი იყო აგრეთვე „მულქ-ი ხალის" ან „მულქ-ი ხურრი ხალის") ჩვეულებრივ მიწის ფეოდალური გასაკუთრების განვითარების პერიოდებში პოულობდა ფართო გავრცელებას[4].

---

[1] Nasir-al-Din Tusi on Finance. Persian texst, English translation and comentary, ed. by M. Minovi and V. Minorsky, BSOS, vol. X, part 3, 1940, გვ. 762.

[2] იქვე, გვ. 760.

[3] მიწის კერძო საკუთრების არსებობა და მიწების ყიდვა-გაყიდვა მონღოლებამდელ სომხეთისა და აზერბაიჯანის იმ ნაწილებში, რომლებიც სომეხი და ქართველი ფეოდალების მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდნენ და სადაც სომხური და ქართული ფეოდალური სამართლის ნორმები მოქმედებდნენ, ნაჩვენები აქვს ი. პეტრუშევსკის მულქთან დაკავშირებით. И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 225—226.

[4] Документы к истории аграрных отношений в Бухарском ханстве XVII—XIX вв., Ташкент, 1954, გვ. 233. იქვე მითითებულია საკითხის ლიტერატურა.

XIII საუკუნისათვის აღმოსავლეთში ფეოდალური განვითარების ყველა პირობა არსებობდა. ასეთ დროს მოუსწრო მას არაბებზე, და თურქებზე ბევრად უფრო მძიმე მონღოლთა ბატონობამ.

მახლობელ აღმოსავლეთში კვლავ გადანაწილდა მიწები, კვლავ მოხდა ფეოდალური უფლებების გადაჯგუფება. ხელახლად გაიზარდა სახელმწიფო მიწების ფონდი. კვლავ შეფერხდა მიწის ფეოდალური გასაკუთრების ნორმალური განვითარების პროცესი.

მონღოლთა მიერ დაპყრობილ ქვეყნებში მიწების ექსპროპრიაციის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. ქვემოთ შევჩერდებით მხოლოდ იკტას ინსტიტუტის შემდგომ ევოლუციაზე მონღოლთა ბატონობის ხანაში.

XIII—XIV სს. მიჯნაზე დამთავრდა იკტას სამხედრო ლენად ჩამოყალიბების პროცესი. ამავე დროს გლეხი საბოლოოდ იქნა მიმაგრებული მიწაზე და მოესპო ადგილგადანაცვლების უფლება. ხელახლად გაძლიერდა მიწის ფეოდალური გასაკუთრების ტენდენცია.

მონღოლურ-თურქულ არისტოკრატიაში თანდათან გზა გაიკაფა სამამულო სისტემის უპირატესობის შეგნებამ.

XIII—XIV სს. წყაროები აღნიშნავენ კონტრასტს, რომელიც არსებობდა სახელმწიფო და კერძო მფლობელთა მიწებს შორის: სახელმწიფო მიწები დაუმუშავებელი („ხარაბ“) და გლეხებისაგან დაცალიერებული იყო, კერძო მფლობელთა მიწები კი მოშენებული („აბადან“). აყრილ-გაქცეული გლეხებიც ასეთი მიწებისაკენ გარბოდნენ და სხდებოდნენ.

ყაზან-ყაენის (1295—1304) აგრარული პოლიტიკა, რომლის უმთავრეს მიზანს დაცემული სოფლის მეურნეობის აღდგენა შეადგენდა (გადასახადების მოწესრიგების გზით), იკტას მფლობელობის მთავარ პირობად აწესებდა მიწის დამუშავებას მიწაზე მიმაგრებული გლეხების საშუალებით.

ყაზან-ყაენის 1303 წლის იარლიყში ერთდროულადაა საუბარი გლეხთა მიწაზე მიმაგრებასა და იკტაზე (სამხედრო საკარგავებზე).

1303 წლის იარლიყით გარკვეული ოლქი იკტად ეძლეოდა ათას („ჰაზარ“) მხედარს, ე. ი. მომთაბარეთა იმ ტომობრივ ჯგუფს, რომელსაც უნდა გამოეყვანა 1000 მეომარი ფეოდალურ ლაშქარში („ჩერიქ“). წყალობის იარლიყი გამოწერილი იყო ათასისთავის ანუ ამირას სახელზე. ამირა ერთდროულად ტომის მეთაურიც იყო და სარდალიც. ამირა ასისთავების საშუალებით იკტას ტერიტორიას ანაწილებდა თანამეტომე მეომრებს შორის. ეს უკ-

ნასკნელნი კი უკვე დამოუკიდებლად ფლობდნენ იკტას ტერიტორიას. ამირას უფლება არ ვრცელდებოდა კერძო მფლობელთა და სავაკუფო მიწებზე (ე. ი. არ ქმნიდა ფეოდალურ სამფლობელოს). იმ შემთხვევაში, თუ მხედარი წესიერად არ ასრულებდა სამსახურს ანდა არ დაამუშავებდა თავის მიწას მასზე მიმაგრებული გლეხებით, მაშინ მას ერთმეოდა იკტას წილი[1].

მონღოლური იკტას ერთი მთავარი თავისებურებათაგანი იყო ს ა გ ა დ ა ს ა ხ ა დ ო ი მ უ ნ ი ტ ე ტ ი. ახლა იკტას ტერიტორიის შემოსავალზე არავითარი ბარათის გამოწერა არ შეიძლებოდა[2]. იკტას მფლობელი მეომრების ერთადერთი მოვალეობა (სალაშქრო მოვალეობასთან ერთად) იყო 50 თავრიზული მანის (ალბათ ხორბლის) გადაცემა სახელმწიფო ამბარში[3].

მიუხედავად ამისა, იკტადარების მიწები გამოთიშული არ იყო სახელმწიფო მოხელეების ზედამხედველობისაგან. ამ უკანასკნელთ (ბითიქჩიებს) ქონდათ არა მარტო იკტას ტერიტორიაზე შესვლის უფლება, არამედ მოვალენიც იყვნენ ყოველწლიურად მისულიყვნენ იქ და მოეხდინათ რევიზია[4]. იკტას მფლობელობის წესის დარღვევად ითვლებოდა მიწის დაუმუშავებლობა. მიწაც და გლეხებიც იკტადარებს, როგორც აღვნიშნეთ, მიწის დამუშავების პირობით ეძლეოდათ.

• მიწის ფეოდალური გასაკუთრების საერთო ტენდენციამ (მთელ წინა აზიაში) XIV—XV სს. წარმოშვა სოიურღალის ფეოდალური ინსტიტუტი.

სოიურღალისათვის დამახასიათებელი საგადასახადო, ადმინისტრაციული და სასამართლო იმუნიტეტი მსხვილი მიწისმფლობელობის ნიადაგზე განვითარდა. მაგრამ სოიურღალი მონღოლური იკტას შემდგომი განვითარება იყო.

მსხვილი მიწისმფლობელობის ბუნების გასაგებად აღმოსავლეთში აუცილებლივ საჭიროა ფეოდალური მეურნეობის თავისებურების გათვალისწინება. საქმე ისაა, რომ მსხვილი მიწისმფლობელობა აქ შეთავსებული იყო წვრილ მიწათსარგებლობასთან.

საზოგადოდ მსხვილი მიწისმფლობელობის წვრილ მიწათსარგებლობასთან შეთავსება აღმოსავლური ფეოდალიზმის ერთი ნი-

---

[1] მონღოლური იკტა აღწერილია და დახასიათებული ი. პეტრუშევსკის და ბ. ალი-ზადეს ზემოთ დამოწმებულ ნაშრომებში.

[2] L a m b t o n, დასახ. ნაშრ., გვ. 90.

[3] იქვე.

[4] И. П. П е т р у ш е в с к и й, Очерки..., გვ. 157.

შანდობლივი თვისებათაგანია. იგი ორგანულად იყო დაკავშირებული მიწათმოქმედების საირიგაციო სისტემასთან, უმიწაწყლო გლეხების დიდ რაოდენობით არსებობასთან და აღმოსავლური იჯარის კაბალურ სახეობებთან.

XIII—XIV საუკუნეებშიც ფეოდალები მსხვილ მიწათმფლობელობას უთავსებდნენ წვრილ მიწათსარგებლობას[1]. ისინი, თავიანთ მიწებს ანაწევრებდნენ მცირე ნაკვეთებად, რომელთაც უმიწაწყლო მეთემე გლეხები ან მათი ჩამომავლები ამუშავებდნენ[2].

ი. პეტრუშევსკიმ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ წყაროებში არ გვხვდება არავითარი ცნობა სასაკუთრო-საბატონო მეურნეობების არსებობისა და ამ მეურნეობებში საბეგარო შრომის გამოყენების შესახებ[3].

ამ მხრივ იგი აღმოსავლეთისაგან მკვეთრად ასხვავებს საქართველოს და სომხეთის სოფლის მეურნეობას. საქართველოსა და სომხეთში, მისი სიტყვით, ფეოდალურ ურთიერთობათა ფორმები მკვეთრად განსხვავდებოდნენ იმ ფორმებისაგან, რომელნიც არსებობდნენ ირანში და მის მეზობელ ქვეყნებში[4].

აღნიშნული გარემოებანი გვეხმარება გავერკვეთ სოიურღალის ნამდვილ მნიშვნელობაში. სოიურღალი ქმნიდა მსხვილ ტერიტორიულ ერთეულს, რომლის მფლობელი (ჩვეულებრივ, მომთაბარულ ტომთა ამირა) აღჭურვილი იყო ადმინისტრაციული, საგადასახადო და სასამართლო იმუნიტეტით, მაგრამ მიწის ფეოდალური საკუთრების ამ ფორმის არსებობა არ მოასწავებდა ფეოდალური მეურნეობის წინსვლას, მის განვითარებას. საინტერესოა, რომ სოიურღალები წარმოიშვნენ სამეურნეო დაცემულობის ხანაში და ყველაზე ფართო გავრცელება მათ თემურ-ლენგის და თურქმანების სახელმწიფოებში პოვეს.

„სოიურღალი“ მონღოლური წარმოშობის სიტყვაა. მონღოლურად „Saurxal“ ნიშნავს „ყოველგვარ შეწყალებას“[5]. მონღოლურ

---

[1] И. П. Петрушевский, Феодальное хозяйство Рашид ад-дина, ВИ, № 4, 1951, გვ. 97.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 88.

[4] იქვე, გვ. 97, შენ. 100.

[5] В. Я. Владимирцов, Общественный строй монголов, Л., 1934, გვ. 114—115. მაგრამ XIII ს-ში (ჩინგიზ-ხანის დროს) გვხვდება „სოიურღათმიში“ და არა „სოიურღალი“. შუა აზიასა და ოქროს ულუსში „სოიურღალი“

ულუსებში შემოღებულ-განმტკიცებული ეს ტერმინი მომდევნო საუკუნეებში (ეპოქის შესაფერისი შინაარსით) გავრცელდა ამიერკავკასიაში, შუა აზიაში, ირანსა და ინდოეთში.

სოიურღალის გარშემო ამჟამად საკმაო ლიტერატურა არსებობს[1] (პირველი მოსაზრებანი ამ ინსტიტუტზე 1934—1935 წწ. გამოითქვა). მაგრამ სოიურღალის ჯერ კიდევ ბევრი მხარეა გასარკვევი და დასადგენი.

ი. პეტრუშევსკიმ მნიშვნელოვნად წასწია წინ სოიურღალის მეცნიერული შესწავლის საქმე. განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ მას სოიურღალი შესწავლილი აქვს უპირატესად სომხეთისა და აზერბაიჯანის ფეოდალური მიწისმფლობელობის საკითხებთან დაკავშირებით.

ი. პეტრუშევსკის განსაზღვრით: „სოიურღალისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ნიშნებია: „მფლობელობის მემკვიდრეობითი ხასიათი და საგადასახადო იმუნიტეტი"[2]. ამგვარადვე განსაზღვრავდა სოიურღალს ვ. მინორსკიც. მაგრამ ამას ი. პეტრუშევსკიმ დაუმატა ადმინისტრაციული და სასამართლო იმუნიტეტი. სოიურღალის ამგვარ განსაზღვრას იგი დამახასიათებლად თვლის XV ს-ის სომხეთის, აზერბაიჯანის და ირანისათვის. მას ხაზგასმული აქვს, რომ შავ და თეთრ ბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოებში (XV ს.) სოიურღალი წარმოადგენდა მიწისმფლობელობის ყველაზე მეტად გავრცელებულ ფორმას[3]. თურქმანი მბრძანებლები სისტემატურად აწარმოებდნენ სოიურღალის გაცემას[4]. საამისო მაგალითები ი. პეტრუშევსკის მრავლად მოაქვს სპარსული წყაროებიდან.

პირველად დამოწმებულია XIV ს-ის 40-იანი წლებისათვის (ნიზამ ედ-დინ შამი, შერეფ ედ-დინ ალი იეზდი), საკუთრივ ირანში XIV ს-ის 80-იან წლებისათვის (აბდ არ-რაზაყ სამარყანდელი).

[1] საამისო ლიტერატურა მითითებული აქვს ი. პეტრუშევსკის: И. П. Петрушевский, К истории института сойургала, СВ, VI, გვ. 227, შენ. I. დამატებით შეიძლება მივუთითოთ: К. А. Антонова, Суюргал в Акбаровской Индии, Ученые записки тихоокеанского института, II, გვ. 149—156; მისივე, Очерки общественных отношений и политического строя могольской Индии времен Акбара (1556—1605), М., 1952, გვ. 92—100; Н. Фильрозе, К вопросу о формах земельной собственности в государстве Сефевидов, Очерки по новой истории стран Среднего Востока, изд. МГУ, 1952, გვ. 175—185; Ann K. S. Lambton, Two Safavid Soyurghals. BSOS, vol. XIV, part, გვ. 44—54.

[2] И. П. Петрушевский, К истории института сойургала, გვ. 245.

[3] იქვე, გვ. 231.

[4] იქვე, გვ. 230.

XV ს-ში სოიურღალის მფლობელები სარგებლობდნენ საგადასახადო, ადმინისტრაციული და სასამართლო იმუნიტეტით[1]. „ადმინისტრაციული იმუნიტეტი,—აღნიშნავს ი. პეტრუშევსკი,—ითვლებოდა სოიურღალის საერთო წესად"[2].

სოიურღალის მფლობელებს უშუალოდ მიუწვდებოდათ ხელი გლეხებზე, შეეძლოთ სოიურღალის მემკვიდრეობით გადაცემა. თვით სოიურღალის მფლობელის სიკვდილით დასჯის შემთხვევაშიც კი სოიურღალი რჩებოდა მისი სახლის წევრებს ან, თუ პირდაპირი მემკვიდრე არ ჰყავდა, მის ნათესავებს. სოიურღალი, ამრიგად, ფეოდალური სახლის მემკვიდრეობით კუთვნილებას წარმოადგენდა. სოიურღალის მფლობელი მკაფიოდ გამოხატული სენიორული უფლებების მატარებელი იყო. ამან ი. პეტრუშევსკის საფუძველი მისცა დაენახა სოიურღალში გვიანდელი (მონღოლური პერიოდის) იკტას ინსტიტუტის ევოლუცია, მისი შემდგომი განვითარება. ი. პეტრუშევსკის მიხედვით: «Развитие иммунитета, сперва налогового, затем и судебно-административного, было выражением процесса роста военно-ленной системы и феодальной иерархии. Крупно землевладение было базой иммунитета, а жалованные грамоты центральной государственной власти были лишь юридическим признанием сложившихся независимом от ее воли отношений»[3].

აღნიშნული პროცესის შედეგად XV ს-ში სოიურღალი იქცა მიწისმფლობელობის წამყვან და გავრცელებულ ფორმად.

ცენტრალური ხელისუფლების მიერ სოიურღალით შეწყალებული, მოვალე იყო შეიარაღებული ხლებოდა სუზერენს, გამოეყვანა მოლაშქრეთა გარკვეული რაოდენობა და პირადად მიეღო მონაწილეობა ლაშქრობაში. სხვა მხრივ სოიურღალის მფლობელები თითქმის სრული შეუვალობით სარგებლობდნენ. სახელმწიფო მოხელეებს უფლება არ ჰქონდათ ფეხი შეედგათ სოიურღალის ტერიტორიაზე. სოიურღალის ყველა ფირმანს, როგორც წესი, ახლდა ფორმულა: „მათ (მოხელეებმა) კალამი და ფეხი ამოიკვეთონ (სიტყვასიტყვით: დაიმოკლონ) და გასცილდნენ იქაურობას" (قلم و قدم از انجا کوتاه و کشیده دارند). სოიურღალის ტერიტორია მთელ

[1] И. П. Петрушевский, К истории института сойургала, გვ. 234, 235.

[2] «Административный иммунитет был общим правилом для сойургала. Это обстоятельство позволяет нам видеть в сойургале XV в. дальнейшее развитие института икта». И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 230.

[3] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 235.

ოლქებს, ი. პეტრუშევსკის სიტყვით, ფაქტიურად სამთავროებს მოიცავდა, თუმცა სოიურღალში ზოგჯერ მხოლოდ რამდენიმე სოფელი იყო ნაგულისხმევი.

სოიურღალის განვითარებაში ი. პეტრუშევსკის შენიშნული აქვს ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც: თუ წინათ სოიურღალი ეძლეოდათ მხოლოდ სამხედრო პირებს, უზუნ-ჰასანიდან მოყოლებული სოიურღალი ეძლევათ სასულიერო პირებსაც: სეიდებს, ყაზიებს, ულემებს[1]. სხვათა შორის ესენი, როგორც სოიურღალის მფლობელები, 881 წ. (1476/77) მონაწილეობდნენ უზუნ-ჰასანის საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობაში[2].

უზუნ-ჰასანს ეს ღონისძიება სჭირდებოდა იმისათვის, რათა მუსლიმანური ეკლესიის ზედაფენაზე დაყრდნობით დაპირისპირებოდა აღზევებულ-გაძლიერებულ ამირებს (სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის წარმომადგენლებს)[3]. მაგრამ მან ხელუხლებლად დატოვა სოიურღალის ინსტიტუტი.

საეკლესიო სოიურღალი ყალიბდება XV ს-ის მეორე ნახევარში. ეს კარგად შენიშნეს ი. პეტრუშევსკიმ და ა. ბელენიცკიმ, მაგრამ ი. პეტრუშევსკის დაუდგენელი დარჩა ამ მოვლენის ნამდვილი შინაარსი.

საკითხის ამ მხარეს შეეხო ა. ბელენიცკი[4]. მას გამორკვეული აქვს ტერმინ „სოიურღალის" სხვადასხვა შინაარსობლივი მნიშვნელობა XIV საუკუნიდან დაწყებული ამ საუკუნის 70-იან წლებამდე. თავდაპირველად სოიურღალი აღნიშნავდა არა მხოლოდ მიწით, არამედ საერთოდ ყოველგვარ შეწყალებას; თემურ-ლენგის დროს სოიურღალი სარდლებისათვის ნაწყალობევი მიწების აღმნიშვნელი იყო; უფრო გვიან, შაჰრუხის (1407—1446) მბრძანებლობაში, უმთავრესად საუფლისწულო მიწების, შემდეგ კი სოიურღალი იქცა სამხედრო-ფეოდალური ზედაფენის მნიშვნელოვან ეკონომიურ დასაყრდენად. მაგრამ XV ს-ის 70-იან წლებიდან მოყოლებული ყალიბდება სოიურღალის სხვა ტიპიც, რომლის მფლობელად გამოდიან არა მარტო სამოქალაქო ადმინისტრაციის, არამედ, უმთავრესად, სასულიერო პირები.

---

[1] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 230.

[2] იქვე, გვ. 230—231.

[3] იქვე.

[4] А. М. Беленицкий, К истории феодального землевладения в Средней Азии и Иране в тимуридскую эпоху (Образование института суюргал), Историк-марксист, 1941, № 4, გვ. 43—58.

სოიურღალით შეწყალებულთა შორის ბელენიცკი აღნიშნავს შეიხ ულ-ისლამს, დერვიშთა შეიხს, ყაზის, სეიდს, მუჰთასიბს და სხვ. საამისო დოკუმენტების მიხედვით ბელენიცკი აღნიშნავს, რომ ამ ტიპის სოიურღალები უახლოვდებიან დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის საეკლესიო ბენეფიციებს. ბელენიცკის დაკვირვებები, დამყარებული სპარსულენოვანი დოკუმენტური და ნარატიული წყაროების ანალიზზე, შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს სოიურღალის ორი ტიპი: სამხედრო და საეკლესიო.

აშკარად საეკლესიო მფლობელობის ხასიათის მატარებელია ბიბი ჰეიბათის, შიების მერვე იმამის ალი არ-რიზას დის, მაზარი-სათვის მიცემული ფირმანები. ამ მაზარის ჩვენამდე მოღწეული 10 ფირმანიდან სოიურღალი გვხვდება 4 ფირმანში, საამისო მაგალითები თვითონ ი. პეტრუშევსკის არა ერთი აქვს მოტანილი[1], მაგრამ მის გამოკვლევებში ამგვარი სოიურღალები გაიგივებულია სავაკუფო მფლობელობასთან. მისი აზრით, რამდენადაც სავაკუფო მფლობელობას თან ახლავს მფლობელობის მემკვიდრეობითი ხასიათი, საგადასახადო და ადმინისტრაციული იმუნიტეტი XVI—XVIII სს-ში იწოდება სოიურღალად. მაგრამ როცა მას აკლდა ეს ნიშნები, განსაკუთრებით საგადასახადო შეუვალობა,— ამბობს პეტრუშევსკი,—არ გვხვდება არც სოიურღალის სახელწოდება[2].

ამრიგად, ი. პეტრუშევსკისათვის სოიურღალი არის მხოლოდ მემკვიდრეობითი სამხედრო ლენი. ჩვენთვის საინტერესო მოვლენას იგი, როგორც სამართლიანად შენიშნავს კ. ანტონოვა, წმინდა იურიდიული თვალსაზრისით უდგება და ფაქტიურად იზიარებს ვ. მინორსკის შეხედულებას ამ საკითხზე[3]. ნამდვილად მახლობელ და შუა აღმოსავლეთში არსებობდა სოიურღალის მეორე ფორმა, რომელიც, ცენტრალური ხელისუფლების თაოსნობით, XV ს-ში წარმოიქმნა და განვითარდა სამხედრო სოიურღალებისადმი დაპირისპირების ნიადაგზე. აღნიშნული გარემოება გვეხმარება დავაყენოთ სოიურღალის საკითხი ისტორიულად.

ამას გარდა, ახალი ტიპის სოიურღალი (ბელენიცკის გამოთქმით: «другой тип суюргалов»)[4] დაკავშირებულია არა მარტო საეკლესიერო პირების მფლობელობასთან, რამაც მკვლევარს შეიძლება

---

[1] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 242—243.

[2] იქვე, გვ. 245.

[3] К. Антонова, Суюргал в Акбаровской Индии, გვ. 152.

[4] А. М. Беленицкий, დასახ. ნაშრ., გვ. 55.

ფეოდალ ვაკუფი გაახსენოს, არამედ სამოქალაქო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მფლობელობასთანაც. საამისო მაგალითები მოტანილია ა. ბელენიცკის გამოკვლევაში, თუმცა იგი იქვე აღნიშნავს, რომ ახალი ტიპის სოიურღალები უპირატესად სასულიეროებს ეძლეოდათ[1].

სოიურღალის ეს ახალი ფორმა, ჩვენი აზრით, გულისხმობს ფეოდალური სახლის და არა ფეოდალური ორგანიზაციის (მაგ., მუსლიმანური ეკლესიის) საკუთრებას. დამახასიათებელია, რომ სოიურღალები ეძლევათ არა მარტო ოფიციალური მუსლიმანური ეკლესიის წარმომადგენლებს, არამედ დერვიშული ორდენების შეიხებსაც; ერთი სიტყვით, ყველა იმას, ვინც თავისი მოღვაწეობით ასე თუ ისე დაკავშირებულია რელიგიასთან. კიდევ მეტი: მოიპოვება ისეთი ფირმანებიც, რომელთა მიმღებნი სულ სხვა რელიგიის წარმომადგენლები არიან.

კ. ანტონოვამ მეტად საინტერესო ინდური (სპარსულენოვანი) დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე დამაჯერებლად უჩვენა, რომ XVI ს-ის ინდოეთში „სოიურღალი", როგორც წესი, გამოყენებული იყო სწორედ სასულიერო პირების მფლობელობის მიმართ, სამხედრო ლენის აღსანიშნავად კი იხმარებოდა სპეციალური ტერმინი „ჯ ა გ ი რ ი"[2]. ჯაგირის შესატყვისად იმავე ინდოეთში იხმარებოდა აგრეთვე „თიული". ინდოეთის დიდ მოღოლთა სახელმწიფოში „სოიურღალი" აშკარად დაკავშირებული ჩანს ბელენიცკის მიერ აღწერილ სოიურღალის ტიპთან. ეს იყო უპირატესად სუფიების შეიხთა და მუსლიმან სწავლულთა მიწისმფლობელობა. იმ შემთხვევაში თუ შეიხი სამხედრო პირი გახდებოდა, მას ერთმეოდა სოიურღალი და ეძლეოდა ჯაგირი[3]. იურიდიულად სოიურღალი ინდოეთშიც ხასიათდებოდა იმავე ნიშნებით, რითაც აღმ. ამიერკავკასიაში, ირანსა და შუა აზიაში: მფლობელობის მემკვიდრეობითი ხასიათით და იმუნიტეტით.

აღსანიშნავია, რომ აქბარის (1556—1605) რელიგიური რეფორმის შემდეგ სოიურღალი ინდოეთში ეძლეოდათ არა მარტო მუსლიმანური ეკლესიის წარმომადგენლებს, არამედ პარსთა (მაზდეანელთა) და ინდური რელიგიის წარმომადგენლებსაც[4]. კ. ანტონოვა

---

[1] А. М. Беленицкий, დასახ. ნაშრ., გვ. 55.
[2] К. Антонова, Суюргал в Акбаровской Индии, გვ. 156.
[3] იქვე, გვ. 158.
[4] იქვე, გვ. 156—157.

აღნიშნავს ინდური სასოიურღალო ფირმანების შედგენილობისა და შინაარსის დიდ მსგავსებას ირანისა და შუა აზიის სოიურღალების ფირმანებთან. ამას გარდა, სოიურღალის მფლობელს, ჩვეულებრივ შეიხის, მოვალეობას ინდოეთშიც შეადგენდა ელოცნა მბრძანებლის დღეგრძელობისა და კეთილდღეობისათვის. სოიურღალი წარმოადგენდა წვრილ ან საშუალო მიწისმფლობელობას, რომლის მოცულობა დაახლოებით უდრიდა 100—500 ბიგას. ჯაგირი კი დიდად აღემატებოდა სოიურღალით გათვალისწინებული მიწის მოცულობას. სოიურღალის მფლობელი ჩვეულებრივ, ჯაგირის მფლობელებისაგან განსხვავებით, ცხოვრობდა თავის სოიურღალთან[1].

სოიურღალის შესატყვისად ინდოეთში იხმარებოდა აგრეთვე არაბ. „მადად-ულ მეაშ“ (ხელნაწერებში „მადად-ო-მე'აშ“), რაც ნიშნავს „ცხოვრების სახსარის გაჩენას“[2]. ასეთი ცხოვრების სახსარი ეძლეოდათ სასულიერო პირებს, დერვიშებს, პოეტებს, მუსიკოსებს და სხვ. ტერმინი „მადად-ო-მე'აშ“ გვხვდება არა მხოლოდ ინდოეთში, როგორც ამას ანტონოვა ფიქრობს, არამედ საკუთრივ ირანული წარმოშობის სასოიურღალო ფირმანებშიც[3].

ბელენიცკის და ანტონოვას შეხედულებათა სისწორეს, ჩვენი აზრით, მოწმობს ისიც, რომ ქართულ წყაროებში, განსაკუთრებით ორენოვან (ქართულ-სპარსულ) საბუთებში, გვხვდება როგორც სასულიერო, ისე საერო ფეოდალებისათვის მიცემული სოიურღალი. საქართველოს შესახებ სპარსულ საბუთებში დამოწმებული სოიურღალის მნიშვნელობა და შინაარსი შეიძლება თამამად გამოვიყენოთ აღმ. ამიერკავკასიის და შუა აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი სოიურღალის ინსტიტუტის დასახასიათებლად[4].

საეკლესიო სოიურღალების შემოღება, უეჭველია, დაკავშირებული იყო სახელმწიფოს ცენტრალისტურ პოლიტიკასთან. ეს ჩანს იქიდანაც, რომ XV ს-ის დამლევს ადგილი ჰქონდა თურქმანი ამირების სოიურღალების გაუქმების ცდას. 1497 წელს აჰმედ აყ-ყოინლუმ, ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მიზნით, გააუქმა სასოიურღალო ფირმანები[5]. ამრიგად, აჰმედ აყ-ყოინლუს ხსენებულ ღონისძიებას წინ უსწრებს საეკლესიო სოიურღალების შემოღება

---

[1] К. Антонова, Суюргал в Акбаровской Индии, გვ. 168—169.

[2] К. Антонова, დასახ. ნაშრ., გვ. 158, 169, შენ. 64.

[3] A. Lambton, Two Safavid Soyurghals, გვ. 45—46, 48—51.

[4] იხ. თავი IV, § 2.

[5] И. П. Петрушевский, Внутренняя политика Ахмеда Ак-койнлу, ССИА, I, Баку, 1949, გვ. 144—152.

თეთრბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოში. მაგრამ აჰმედ აყ-ყოინლუმ უფრო გადამწყვეტ ღონისძიებას მიმართა.

აჰმედ აყ-ყოინლუს აგრარულმა პოლიტიკამ მომთაბარული თურქმანული არისტოკრატიის უკმაყოფილება გამოიწვია. უკმაყოფილო უნდა ყოფილიყვნენ მსხვილი სასულიერო ფეოდალებიც. საინტერესოა, რომ აჰმედ აყ-ყოინლუს ღონისძიება არ ვრცელდებოდა ჩალმის მატარებლებზე (ასჰაბ-ი ამაიმ), ე. ი. სასულიერო ფეოდალების ზოგიერთ წარმომადგენლებზე. ამათ გამონაკლისის სახით მიეცათ გადასახადებისაგან გათავისუფლების სიგელები (ნიშან-ი მუაფი). აჰმედი ეყრდნობოდა სასულიეროებს და სამოქალაქო ბიუროკრატიას, აზერბაიჯანის სახალხო მასებს ჩრდილოეთში და ირანულ ელემენტს ერაყსა და ფარსში[1].

აჰმედ აყ-ყოინლუს რეფორმები მარცხით დამთავრდა. მას წინ აღუდგნენ მსხვილი მიწისმფლობელები. აჰმედის მბრძანებლობა მხოლოდ 6 თვეს გაგრძელდა.

ი. პეტრუშევსკი აჰმედ აყ-ყოინლუს რეფორმების მიზეზად თვლის გლეხთა გაღატაკებას (დასახელებულია 30-ზე მეტი სხვადასხვა გადასახადი) და მომთაბარული არისტოკრატიის ძალადობათვითნებობის გაძლიერებას. ასეთსავე დასკვნამდე ი. პეტრუშევსკისაგან დამოუკიდებლად მივიდა ვ. მინორსკიც, რომელსაც მისი სიტყვით, ხელთ ჯერ კიდევ არ ჰქონდა ი. პეტრუშევსკის გამოკვლევა, როცა აჰმედ აყ-ყოინლუს რეფორმების შეფასებისას თავის შეხედულებებს გამოთქვამდა[2]. ორთავე მკვლევარის დასკვნები დაფუძნებულია ერთი და იმავე წყაროების ანალიზზე.

წყაროებში (XVI ს-ის ისტორიკოსთა თხზულებები) აღნიშნულია ერთი მეტად საინტერესო დეტალი, რომელსაც სხვადასხვა დროს ყურადღება მიაქციეს ი. პეტრუშევსკიმ და ვ. მინორსკიმ. სახელდობრ ის, რომ აჰმედ აყ-ყოინლუს საშინაო პოლიტიკაში ნიმუშად ჰქონდა „ოსმალური წესები“. ი. პეტრუშევსკი საამისოდ იმოწმებს შერეფ-ხან ბითლისელს, ვ. მინორსკი—ყადი აჰმედ ღაფარის.

შერეფ-ხან ბითლისელის სიტყვით თურქმანი ამირები აჰმედ-ბეგს ბრალს სდებდნენ იმაში, რომ იგი „მოქმედებს ოსმალთა დინასტიის კანონების თანახმად“[3]. ყადი აჰმედ ღაფარის სიტყვითაც

---

[1] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 150.

[2] V. Minorsky, The Aq-qoynlu aud Land Reforms, BSOAS, vol. XVIII, part 3, 1955, გვ. 458, შენ. 1, 462.

[3] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 150.

ახმედ აყ-ყოინლუ „ოსმალური წესისამებრ“ („ბათარიკ-ი რუმ“) მოქმედებდა[1].

შერეფ-ხან ბითლისელის ცნობის დამოწმებისას ი. პეტრუშევსკი აღნიშნავს, რომ ახმედი, რასაკვირველია, არ იყო გლეხთა ინტერესების გამომხატველი; მას უწინარეს ყოვლისა სურდა ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება თურქმანული არისტოკრატიის ცენტრმსრბოლი ძალების დასუსტების ხარჯზე; სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ასეთმა ცენტრალიზაციამ იმ დროს, აღნიშნავს მკვლევარი, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ოსმალეთში[2]. ი. პეტრუშევსკი მიუთითებს ახმედ აყ-ყოინლუს პოლიტიკის ნიმუშზე, შედარებით ცენტრალიზებულ ოსმალეთის სახელმწიფოზე, მაგრამ არ აღნიშნავს ამ ცენტრალიზაციის საფუძველს.

ვ. მინორსკის აზრით, ყადი ღაფარის „ჯაჰან-არა“-ში დამოწმებული ცნობა, რომ ახმედის პოლიტიკა ოსმალური წესებისამებრ ხორციელდებოდა, უნდა მიეწერებოდეს მის (ახმედის) ოსმალურ წარმოშობას და ამ მხრივ, მართლაც, ზოგი რამ მართალი უნდა იყოს («and must have some truth in it»). ახმედის ოსმალური წარმოშობა, დასძენს იგი, შეიძლებოდა მისთვის სტიმულის მიმცემი ყოფილიყო, მაგრამ გადასახადების ნორმალიზაცია და სოიურღალების რევიზია წარმოადგენდნენ ლოკალურ სპარსულ პრობლემებს[3]. სავსებით სწორი შეხედულებაა. მაგრამ მაინც გამოსარკვევი რჩება, თუ რას გულისხმობენ XVI ს-ის ისტორიკოსები „ოსმალურ წესში“.

ისმის კითხვა: რატომ აქებენ ერთხმად ახმედ აყ-ყოინლუს შაჰთამაზ I-ის თანამედროვე ისტორიკოსები (ჰასან რუმლუ, ყადი ახმედ ღაფარი, შერეფ-ხან ბითლისელი...)? რა მოსწონდათ მისი? გადასახადთა მოწესრიგება და გლეხთა მდგომარეობის შემსუბუქება, რასაც ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, თუ ოსმალური გზით სიარული?

ჰასან რუმლუ, მაგალითად, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ახმედი რაიათებისათვის ზრუნავდა და რომ მის დროს გადასახადთა კა-

---

[1] V. Minorsky, დასახ. ნაშრ., გვ. 460; ახმედ აყ-ყოინლუ უზუნ-ჰასანის და ოსმალეთის სულტან მეჰმედ II-ის შვილიშვილი იყო. მის მამას, ულურლუ-მოჰამედს, ცოლად ჰყავდა სულტანის ასული (ახმედის დედა). ახმედ აყ-ყოინლუ ოსმალეთში დაიბადა და გაიზარდა. თვითონ იყი სულტან ბაიაზეთ II-ის ქალზე იყო დაქორწინებული. ახმედი 25 წლის უნდა ყოფილიყო, როცა ოსმალეთიდან ირანს ტახტის დასაუფლებლად გაეშურა.

[2] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 149—150.

[3] „But the normalization of taxes and the rigid revision of the soyrghals were certainly local Persian problems awaiting an urgent solition“. V. Minorsky, დასახ. ნაშრ., გვ. 461.

ტუბი დაიხშო; მანვე ამირებს „ხელები შეუმოკლა“ და მოაშორა „რაიათების თავებს“[1]. ყადი აჰმედ ღაფარიც აჰმედ აყ-ყოინლუს სამართლიანს უწოდებს, მაგრამ მის სამართლიანობას იგი პირდაპირ უკავშირებს „ოსმალურ წესს“.

თქმა არ სჭირდება იმას, თუ როგორ უცნაურად ჟღერს „ოსმალური სამართლიანობა“ XVI ს-ის სპარსელი ისტორიკოსის მეტყველებაში. ვ. მინორსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამგვარი შეხედულება სავსებით მოულოდნელია XVI ს-ის პოლიტიკური ვითარებისათვის და ნამდვილად წარმოადგენს ქათინაურს შაჰის მეტოქეების (ოსმალების) მისამართით[2]. მართლაც, ეს არ შეესაბამება არც XVI ს-ში შაჰსა და სულტანს შორის გაცვლილი წერილების სტილს და არც ირან-ოსმალეთის გაუთავებელი ომების თანმხლებ მოვლენებს ამავე საუკუნეში.

კიდევ უფრო შეუწყნარებელი იქნებოდა იმ აზრის დაშვება, რომ ირანელი გლეხების და ხელოსნების აჯანყებათა თანადამხდურ ოფიციალურ ისტორიკოსებს შეეძლოთ გლეხთა მდგომარეობის შემსუბუქება დაეკავშირებინათ „ოსმალურ წესთან“. ეს სავსებით გამორიცხულია, რადგან XVI ს-ის ოსმალეთში გლეხთა სოციალური მოძრაობანი და აჯანყებები ყიზილბაშურ-შიიტური იდეოლოგიით წარმოებდა[3]. მაშ რა გვრჩება? ჩვენი აზრით, მხოლოდ აყ-ყოინლუს აგრარული პოლიტიკის მსგავსება მიწისმფლობელობის ოსმალურ წესებთან. სამართლიანი „ოსმალური წესი“ ოსმალური პირობითი მიწისმფლობელობა უნდა ყოფილიყო.

თუ ეს ასეა, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ შაჰ-თამაზ I-ის დროინდელი ოფიციალური ისტორიკოსები გამოთქვამდნენ ოფიციალურ თვალსაზრისს აჰმედ აყ-ყოინლუს მიერ სოიურღალების გაუქმების თაობაზე. სასოიურღალო ფირმანების გაუქმებით ხომ ეს უკანასკნელი იმას აკეთებდა, რაც ასე წარმატებით განახორციელეს სეფიანებმა XVI ს-ის დამდეგს (სოიურღალის შეცვლა თიულით). ასე რომ „სამართლიანი ოსმალური“ წესით ფაქტიურად გამართლებული იყო თურქმან ამირების და სუნიტ სასულიერო ფეოდალების მიწების ექსპროპრიაცია ყიზილბაში ამირების სასარგებლოდ XVI ს-ში. სხვანაირად ძნელია შევუთავსოთ, მაგალითად, სუნიტ სასულიეროთა

---

[1] დამოწმებულია ი. პეტრუშევსკის დასახელებული ნაშრომის მიხედვით, გვ. 149.

[2] V. Minorsky, დასახ. ნაშრ., გვ. 460.

[3] Вл. Гордлевский, Внутреннее состояние Турции во второй половине XVI века, Труды ИВ. Сб. 2, М., 1940.

შიწების კონფისკაცია სამართლიან „ოსმალურ წესს“—ოსმალური ფეოდალური იდეოლოგიის სრულიად საწინააღმდეგო მოვლენას.

ამიტომ, ჩვენი აზრით, „ოსმალური ნიმუში“ უნდა ყოფილიყო ოსმალური მიწისმფლობელობა, რომლის საფუძველზე განვითარებული სამხედრო-ლენური სისტემა და ქვეყნის ადმინისტრაციული დანაწევრება (სანჯაყებად) XV ს-ის ოსმალეთში ცენტრალიზაციის მეტ შესაძლებლობას იძლეოდა, ვიდრე შუა აღმოსავლეთის იმ ქვეყნებში, სადაც სოიურღალის ფეოდალური ინსტიტუტი იყო გაბატონებული.

შემთხვევით არ აიხსნება, რომ თურქმანი ამირები აჰმედ აყ-ყოინლუს ბრალს სდებდნენ ოსმალური კანონების შესაბამისად მოქმედებაში. განა მათი აჯანყების მიზეზი ის არ გახდა, რომ აჰმედმა სოიურღალების გაუქმება მოინდომა?

საკითხი ამგვარად არ დაუსვამს არც ი. პეტრუშევსკის და არც ვ. მინორსკის. აღმოსავლური ფეოდალური მიწისმფლობელობის ზოგად მიმოხილვაში, რა თქმა უნდა, ამ საკითხის სპეციალურად გამორკვევას არც ჩვენ ვაპირებთ, მაგრამ მისი კავშირი ყიზილბაშების აგრარულ პოლიტიკასთან სავსებით აშკარაა. მით უფრო, რომ ყიზილბაშთა მოძრაობის სოციალური მოტივები ეხმაურება (და ქრონოლოგიურად ემთხვევა კიდეც) აჰმედ აყ-ყოინლუს აგრარული და საგადასახადო რეფორმების არსსა და მიზანს. საქმე ისაა, რომ გლეხთა მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებამ დასცა სოფლის მეურნეობა; მწარმოებელი დაინტერესებული არ იყო მეურნეობის წარმოებით, ამ საკითხის გადაწყვეტა მართლაც „ლოკალური სპარსული პრობლემა“ იყო.

ყიზილბაშთა მოძრაობა, როგორც ცნობილია, XV ს-ის მეორე ნახევრის სოციალური და ეკონომიური ვითარებით იყო გამოწვეული. ამით ისარგებლეს არდებილის შეიხებმა და ყიზილბაშთა მოძრაობაში თავიანთი მონაწილეობა მარჯვედ შეუხამეს სოციალურ დემაგოგიას, მაგრამ მათ ცენტრალისტურ პოლიტიკაში მთავარი ადგილი დაიჭირა აგრარულმა საკითხმა. ჰქონდათ თუ არა მათ ნიმუშად ოსმალური მიწისმფლობელობა, საამისო პირდაპირი ჩვენება წყაროებში არ მოგვეპოვება[1]. სამაგიეროდ სავსებით გამორკვეულია თიულის ფეოდალური ინსტიტუტის ორგანული კავშირი სეფიანთა სახელმწიფოს ცენტრალისტურ პოლიტიკასთან[2].

---

[1] ოსმალეთის პოლიტიკურ და სამხედრო ორგანიზაციას რომ სეფიანები, საერთოდ, უყურადღებოდ არ ტოვებდნენ, იქიდანაც ჩანს, რომ შაჰ-აბასი თავისი ყულის ჯარის მეომრებს „იანიჩარებს“ უწოდებდა.

[2] И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 188—190.

დასმული საკითხის სპეციალური შესწავლა უფრო ფართოა ვიდრე ჩვენი გამოკვლევის მიზანი. ჩვენთვის ამჟამად საკმარისია ისტორიულად ცნობილი იმ ფაქტის გათვალისწინება, რომ ოსმალეთში ამ დროს გაბატონებულია პირობითი მიწისმფლობელობა, მაშინ როდესაც თურქმანულ სახელმწიფოებში სოიურღალის მფლობელის (საჰიბ-ი სოიურღალ) უფლების განახლება ფადიშაჰების მიერ ფორმალური იყო და ფაქტიურად მისი მემკვიდრეობითი უფლების იურიდიულ დადასტურებას წარმოადგენდა. სოიურღალის, როგორც სამხედრო ლენის, პირობითობა ნამდვილად უპირობო მფლობელობით იყო შეცვლილი.

აღნიშნულს ისიც უნდა დავსძინოთ, რომ სეფიანებმა სწორედ სოიურღალების გაუქმების შედეგად შეძლეს პირობითი მიწისმფლობელობის (თიულის ფეოდალური ინსტიტუტის) გაბატონება. მათ მხოლოდ გამონაკლისის სახით დაუშვეს სამხედრო სოიურღალი (უაღრესად შემცირებული ტერიტორიით) და ძირითადად ხელუხლებლად დატოვეს საეკლესიო სოიურღალი.

თიული არ წარმოადგენდა სოიურღალის განვითარებას. იგი არც ოსმალური თიმარის გამეორება იყო ირანის სინამდვილეში. თიულს თიმართან მხოლოდ ის მსგავსება ჰქონდა, რომ ერთიც და მეორეც პირობით მიწისმფლობელობას ნიშნავდა.

ოსმალეთში, ისევე როგორც მუსლიმანური აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, მიწისმფლობელობის ოთხი კატეგორია არსებობდა: 1. სახელმწიფო მიწები („არზი მემლექეთ"), 2. სულტნისა და მისი სახლის წევრების მიწები („ხასი ჰუმაიუნ")[1], 3. მუსლიმანური ეკლესიის და რელიგიური დაწესებულებების მიწები („ვაკუფი" ანუ „ვაკფი"), 4. კერძო საკუთრებაში მყოფი მიწები („მულქი").

არსებობდა აგრეთვე სათემო მიწები, მაგრამ მათი რაოდენობა XVI საუკუნისათვის დიდად იყო შემცირებული.

მთავარსა და წამყვან კატეგორიას სახელმწიფო მიწები წარმოადგენდა. სახელმწიფო მიწების სახელი მირი იყო. ოფიციალური თვალსაზრისით მთელი სახელმწიფო მირის და ვაკუფის მიწებისაგან

---

[1] საბჭოურ თურქოლოგიაში (ა. მილერი, ა. ტვერიტინოვა, ა. ვალუისკი და სხვ.) ხასი ჰუმაიუნი სახელმწიფო მიწების კატეგორიასთან არის გაერთიანებული. ასეთი გამოჯვნის საფუძველს ოფიციალური წყაროები იძლევა. მაგრამ ოსმალეთში არსებობდა როგორც სულტნისა და მისი სახლის წევრების, ისე დიდებულების „ხასი" მიწები.

შედგებოდა. მულქი კი გულისხმობდა არა თვითონ მიწის საკუთრებას, არამედ საკუთრების უფლებას იმაზე, რაც მიწის ზემოთ იყო აშენებული და მოყვანილი (სახლ-კარი, სამეურნეო ნაგებობები, ყანა, ბაღი, ბოსტანი...).

სახელმწიფო მიწებიდან წარმოებდა თიმარებისა და ზეამეთების გაცემა სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ. თიმარების და ზეამეთების უმეტესობა დაკავშირებული იყო გარკვეულ თანამდებობასთან.

„თ ი მ ა რ ი“[1] ოსმალური მიწისმფლობელობის აღმნიშვნელი ზოგადი სახელი იყო. თუმც დავიწროებული მნიშვნელობით თიმარი ნაწყალობევი მიწის მცირე ერთეულს ნიშნავდა და სწორედ ამ ნიშნით განსხვავდებოდა ზეამეთისაგან[2].

ოსმალეთში არსებობდა აგრეთვე ი უ რ ტ ლ უ ქ ე ბ ი ს და ო ჯ ა ქ ლ ი ქ ე ბ ი ს მემკვიდრეობითი მფლობელობა. ამ მიწების შემოსავალი ხმარდებოდა ციხე-სიმაგრეების მეციხოვნე ჯარების შენახვას და მისთანებს. იურტლუქები და ოჯაქლიქები დამოწმებულია აგრეთვე ოსმალეთის იმ მომთაბარულ რაიონებში, სადაც ტომთა ბელადები ნახევრად დამოუკიდებელი მდგომარეობით სარგებლობდნენ (მაგ., ქურთები და სხვ.).

---

[1] J. D e n y, Timar, E I, IV, გვ. 480.

[2] ოსმალური მიწისმფლობელობის მიმოხილვა დაფუძნებულია შემდეგ გამოკვლევებზე: H a m m e r, I. Das Osmanischen Reichs Staatsverfassung und Staatsvervaltung, Bd. I—II, Wien, 1815; B e l i n, M. Durègime des fiefs militaires dans Islamisme et principalement en Turque, „Journal Asiatique“, 1870, XV; T i s c h e n d o r f, P., Das Lehnswesen in moslemischen Staaten ins besondere im Osmanische Reiche, Leipzig, 1872; I s m a i l H u s r e v, Türkiye Köy iktisadyati, Istanbul, 1943; გამოყენებულია აგრეთვე ოსმალური „კანონ-ნამეები“ და „რისალეები“. რუსულად სპეციალური გამოკვლევა ოსმალურ მიწისმფლობელობაზე, საკმაოდ მოძველებული და მეთოდოლოგიურად გაუმართავი, ეკუთვნის დ. არსლანიანს: Д. А р с л а н я н, Система сельского землевладения в османской Турции, Л., 1932. თურქულ მიწისმფლობელობაზე, თურქული ფეოდალური წყობილების ზოგად დახასიათებასთან დაკავშირებით, საინტერესო მოსაზრებანია გამოთქმული და საყურადღებო დაკვირვებები მოიპოვება საბჭოთა თურქოლოგების ნაშრომებში: А. М. В а л у й с к и й, Феодальный строй Турции XV—XVI вв., М., 1932; А. С. Т в е р и т и н о в а, Восстание Кара Языджи Дели-Хасана в Турции, М.-Л., 1946; А. Ф. М и л л е р, Мустафа-паша Байрактар, М.-Л., 1947; მისივე, Краткая история Турций, М., 1947; გ. ტ ი ბ ა ძ ე, მიწათმფლობელობის თიმარიოტული სისტემა როგორც სამხედრო-ფეოდალური ურთიერთობის საფუძველი ოსმალეთში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 63, გვ. 93—122.

ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალურ სახელმწიფოში თიმარი სამხედრო-ლენურ სისტემას უაღრესად დახვეწილ და დამთავრებულ სახეს ანიჭებდა.

ადრინდელი ოსმალური ქრონიკების მიხედვით (აშიკფაშა-ზადე და სხვ.) თიმარებს უკვე ოსმანი ურიგებდა თავის ახლო ნათესავებს და მახლობლებს. თიმარად გაიცემოდა მთელი ქვეყნები (ქალაქებით, სოფლებით), პროვინციები, სოფლები, სოფელი ანდა სოფლის ნაწილი („ჰისე").

თიმარის განმსაზღვრელი იყო წლიური შემოსავალი 20.000 ახჩამდე. ზეამეთი კი გულისხმობდა წლიურ შემოსავალს 20.000 ახჩიდან 100.000 ახჩამდე. თიმარიც და ზეამეთიც სამხედრო საკარგავი იყო და მათ აღსანიშნავად შესაფერისი სახელებიც არსებობდა: „ქ ი ლ ი ჯ თ ი მ ა რ ი" და „ქ ი ლ ი ჯ ზ ე ა მ ე თ ი".

„ქ ი ლ ი ჯ" (თურქ. ნიშნავს „ხმალს") გულისხმობდა საკარგავს, რომლის შემოსავალი ხმარდებოდა სიფაჰს. საამისო პირობა იყო ერთი „ხმლის" (მხედრის) გამოყვანა სულტნის ომში მონაწილეობის მისაღებად.

თიმარსა და ზეამეთში ნაგულისხმევი იყო საკუთრივ „ქილიჯ" (თავდაპირველი საკარგავი) და, დამატებით, მისი პროგრესული ზრდა შემოსავლის ხაზით (თერაკი). საკარგავის ეს წილი (ჰისე) შეიძლებოდა ვაკანტური ყოფილიყო ანდა ჩამორთმეოდა ერთ მფლობელს და გადასცემოდა სხვა მფლობელს. ეს წესი, ოსმალეთის ისტორიის ადრეულ საუკუნეებში, მიზნად ისახავდა სიფაჰის დაინტერესება-წაქეზებას, წარმოადგენდა მისი ერთგულად სამსახურის პირობას. ამ გზით თიმარის მფლობელი შეიძლებოდა ზეამეთის მფლობელად გამხდარიყო.

ოსმალეთის ევროპულ ნაწილში თიმარად ითვლებოდა ყველა საკარგავი, რომლის შემოსავალი წლიურად 3.000 ახჩას უდრიდა, აზიურ ნაწილში კი 2.000 ახჩას. თიმარის მფლობელს ოფიციალური წყაროები თიმარჯის (თიმარიოტებს) უწოდებენ. თიმარჯები იყვნენ საშუალო და წვრილი მიწისმფლობელები—სიფაჰები, რომლებიც ოსმალური ფეოდალური საზოგადოების ყველაზე მრავალრიცხოვან ფენას შეადგენდნენ და წარმოადგენდნენ სულტნის ხელისუფლების მტკიცე დასაყრდენს.

თიმარის მფლობელს ეწოდებოდა „თ ი მ ა რ ი ს ი ფ ა ჰ ლ ე რ" ან „ე რ ბ ა ბ ი თ ი მ ა რ".

თიმარის მემკვიდრეობით გადაცემა არ შეიძლებოდა. თიმარის, ზეამეთის („საჰიბ-ი თიმარ") მფლობელობის უფლების („ჰაკკ-ი [illegible]") პირობა სამხედრო სამსახური იყო.

ვისაც რაიმე მიზეზის გამო (სიკვდილი, დატყვევება და სხვ.) სამსახური არ შეეძლო, დაუყოვნებლივ ერთმეოდა თიმარი. დროებითი მფლობელობა შეიძლებოდა ას წლამდე გაგრძელებულიყო, დამახასიათებელია თურქულ დოკუმენტურ წყაროებში დამოწმებული მფლობელობის ხანდაზმულობის აღმნიშვნელი ტერმინები: „ა ა ლ გ ი ო ზ ლ უ“ („თვალ-წყრბ ჭაღარა“) „ა კ ბ ე ნ ზ ლ უ“ („სახე ფერმკრთალი“), „ბ უ ღ დ ა ·ბ ე ნ ზ ლ უ“ („ხორბლისფერ სახიანი“, ე. ი. „სახე ღაჟღაჟა“) და სხვ.[1] ეს გამოთქმები კარგად ახასიათებს თურქულ ფეოდალიზმს.

ზეამეთის მფლობელები იყვნენ მირ ალაი, ცალკეული აღები და სხვ.

არფალიკი, რომლის შემოსავალი არ უნდა აღმატებოდა 9.999 ახჩას, ეძლეოდათ დეფთერდარებს, დივანის სხვადასხვა მოხელეებს, ზღვისპირა რაიონების ბეგებს, კაფუჯი-ბაშებს.

სამსახურის სანაცვლოდ ნაწყალობევ ობიექტს, რომლის შემოსავალი 100.000 ახჩას აღემატებოდა ხ ა ს ი ეწოდებოდა. ხასი ჰქონდათ ვეზირებს, ბეგლარბეგებს, სანჯაყბეებს[2].

თიმარები და ზეამეთები ოსმალეთში წარმოადგენდნენ ფეოდალთა ფენის ბატონობის მატერიალურ საფუძველს. უაღრესად განვითარებული სამხედრო-ლენური სისტემა აპირობებდა ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს მთელ თავისებურებას.

საინტერესოა, რომ სიფაჰებისათვის ნაწყალობევი მიწების შემოსავალს ოსმალები უწოდებდნენ „მ ა ლ ი მ უ კ ა თ ე ლ ე ს“, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს ომის ქონებას, ომის საშუალებას. ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა „დ ი რ ლ ი ჭ ი“ (სარჩო, საცხოვრებელი). თუმც ეს უკანასკნელი ტერმინი ფართო გაგებით ნიშნავდა სულტნის სამსახურის ანაზღაურებას ნაღდი ფულით ან მიწის შემოსავლით.

თიმარის მფლობელს ყოველ 3.000 ახჩის შემოსავალზე უნდა გამოეყვანა ერთი შეიარაღებული მეომარი („ჯებელი“), ხოლო ზეამეთის მფლობელს ყოველ 5.000 ახჩის შემოსავალზე ყველა შემ-

---

[1] L. F e k e t e, დასახ. ნაშრ., დოკუმენტი № 35. ტაბულები LXXI და LXXXII.

[2] სეიდ მუსტაფას მიხედვით ყოველ ტიპიურ სანჯაყში საკარგავები შემდეგნაირად ნაწილდებოდა: 1/5 ხასის საკარგავები, 1/5 ზეამეთები, 2/5 თიმარები, 1/3 ოჯაღლიკები და იურტლუკები, 2/5 ვაკუფები. იხ. H. A. Gibb and H a r o l d B o w e n, Islamic Society and the West, I, 1951, გვ. 52, შენ. 1.

ოხვევაში მიწისმფლობელობის აუცილებელი პირობა სამხედრო სამსახური ან გარკვეული თანამდებობა იყო. ამასთან, თანამდებობასთან დაკავშირებული იყო არა მარტო ხასის მიწები,არამედ აგრეთვე ზოგიერთი თიმარი და ზეამეთიც.

სამხედრო-ლენური სისტემა მტკიცე საფუძველს უქმნიდა ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს ძლიერებას. მაგრამ მსხვილი კერძო მიწისმფლობელობის ზრდამ გააჯირობა სამხედრო-ლენური სისტემის კრიზისი. ეს პროცესი XVI ს-ის დამლევს დაიწყო.

ამ დროიდან ოსმალეთის სამხედრო ფეოდალური სახელმწიფო განუხრელი დაქვეითების გზას დაადგა.

XVI ს-ის დამდეგს ყიზილბაშთა სახელმწიფოში, როგორც ზემოთ ვუჩვენეთ, არ შემოულიათ მიწისმფლობელობის „ოსმალური წესი". მაგრამ ოსმალურს აქაური მიწისმფლობელობა იმით დაემსგავსა, რომ აქაც მიწის პირობითი მფლობელობა გაბატონდა.

ყიზილბაშთა ირანშიც, ისევე როგორც ყველა მუსლიმანურ სახელმწიფოში, მიწისმფლობელობის შემდეგი კატეგორიები არსებობდა:

1. სახელმწიფო ანუ დივანის მიწები — არაზი-ე დივანი.

2. შაჰის სახლის სახასო მიწები — ხასე, ხასეი-ე შერიფე.

3. საეკლესიო მიწები — ვაკუფი.

4. კერძომესაკუთრული მიწები — მულქი ანუ არბაბი.

5. სასოფლო თემის (ჯამაათ-ი დეჰ) მიწები[1].

აქედან მთავარსა და წამყვან კატეგორიას წარმოადგენდა სახელმწიფო მიწების კატეგორია. სახასო მიწებთან ერთად იგი ქმნიდა სახელმწიფო მიწების უზარმაზარ ფონდს. შაჰი ფორმალურად ყველა მიწის უზენაეს მესაკუთრედ ითვლებოდა.

მიწის ფეოდალური საკუთრების მთავარი და წამყვანი ფორმა იყო თიულის ფეოდალური ინსტიტუტი.

„თიული" წყაროებში დამოწმებულია XV საუკუნიდან[2].

---

[1] И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 78.

[2] სეფიანთა ირანში, როგორც აღვნიშნეთ, არსებობდა სოიურღალის ფეოდალური ინსტიტუტიც. შაჰ-ჰუსეინის (1694—1722) 1113 წ. (1701)ფირმანით სოიურღალის დამახასიათებელი ნიშნებია:

ა. გარკვეულ მიწებზე გაწერილი გადასახადის (მალო ჯიჰათ) და გამოსაღებთა (ვაჯდიჰათ) აკრების უფლების გადაცემა მეომართა გარკვეული რაოდენობის გაწეწეულობის სანაცვლოდ.

„თიული“ გავრცელებულ-განმტკიცებული იყო აგრეთვე ყიზილბაშთა მიერ დაპყრობილ იმ ქვეყნებში (აზერბაიჯანში, სომხეთში...), სადაც დამპყრობლებმა აღმოსავლურ ყაიდაზე გარდაქმნეს ადგილობრივი მიწისმფლობელობის წესი და ქვეყნის პოლიტიკური ორგანიზაცია.

ვ. მინორსკის ადრინდელი შეხედულებით „თიული“ წარმოადგენს მონღოლთა პერიოდისათვის დამახასიათებელ „იკტას“ გაგრძელებას[1]. მინორსკი მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ ტერმინი „იკტა“ ჰქრება იმ დროს, როდესაც ხმარებაში შემოდის ტერმინი „თიული“, ე. ი. თემურიანთა ბატონობის ხანაში. მაგრამ მინორსკიმ ამ შეხედულებაზე შემდეგ ხელი აიღო და აღნიშნა, რომ თიული უდრის უფრო ადრინდელი ხანის იკტას. მას მხედველობაში აქვს ის, რომ IX—X საუკუნეების „იკტა“ გულისხმობდა სამსახურის სანაცვლოდ მოხელეთათვის ნაწყალობევი მიწის მხოლოდ რენტას, და არა უფლებას მიწაზე და მიწაზე მსხდარ გლეხებზე. დაახლოებით, ზოგად ხაზებში, ასეთივე იყო „თიულის“ ინსტიტუტი XVI—XVII სს. სეფიანთა სახელმწიფოში.

საყურადღებო მოსაზრებები წამოაყენა თიულის რაობა-მნიშვნელობაზე ცნობილმა საბჭოთა ირანისტმა ი. პეტრუშევსკიმ, რომლის მრავალრიცხოვან გამოკვლევებში თიულზე არა ერთგან არის ყურადღება გამახვილებული და სპეციალური შესწავლის საგნად ქცეული[2].

ი. პეტრუშევსკის მიხედვით თიული წარმოადგენს სახელმწიფო სამხედრო ან სამოქალაქო სამსახურთან დაკავშირებულ ბენეფიციუმის სახეობას; ნაწყალობევი მიწა მიმაგრებული არ იყო პიროვნებაზე. მიწით ამგვარი სარგებლობა გრძელდებოდა მანამდე, სანამ გარკვეული პიროვნება გარკვეულ თანამდებობას ასრულებდა და სანამ მას ამ თანამდებობაზე ახალი მოხელე არ შეცვლიდა; ეს მკვეთ-

---

ბ. მფლობელობის მემკვიდრეობითი ხასიათი.

გ. საგადასახადო იმუნიტეტი (სრული ან ნაწილობრივი).

დ. ადმინისტრაციული შეუფალობა.

დამოწმებული სასოიურლალო ფირმანი გამოაქვეყნა ვ. ხანიკოვმა. იხ. W. Khanikov, Lettre à M. Dorn, Mélanges asiatiques... de l'Academie Imperiale de St. Petersbourg, 1857, t. III, liv 1, გვ. 71—76.

[1] V. Minorsky, Tiul. Enz d. Islam, ტ. IV, 1934.

[2] თიულის ფეოდალურ ინსტიტუტზე სხვადასხვა დროს გამოთქმული შეხედულებები შეჯამებულია ი. პეტრუშევსკის მონოგრაფიულ გამოკვლევაში: И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX вв., გვ. 184—221.

ბალაა ხაზგასმული სეფიანთა შაჰების ოფიციალურ ფირმანებში. სეფიანთა შაჰების ოფიციალურ ფირმანებს თიულში ესმოდათ მხოლოდ გაწეული სამსახურისათვის, ჯამაგირის სახით, რენტა-ხარკის მიღების უფლება გარკვეული ადგილიდან (პროდუქტებით, ფულით, ნაწილობრივ მუშაობით) და არა მიწის და საირიგაციო ქსელის ქანკარგულების უფლება[1]. სწორედ ამ მხრივ ჰგავდა უპირატესად თიული ადრინდელ იკტას.

ი. პეტრუშევსკიმ ცხადყო, რომ ტერმინი „იკტა“ ნარატიულ წყაროებში იხსენიება იმ დროსაც, როცა ტერმინი „თიული“ (დოკუმენტურ წყაროებში) უკვე გავრცელებული და საბოლოოდ გაბატონებული ტერმინია[2]. ამიტომ მან დააყენა საკითხი, თუ იკტას რომელ სახეობას შეესატყვისება XVI—XVIII სს. თიული[3]. ვ. მინორსკის შეხედულების კრიტიკისას ი. პეტრუშევსკი (მას გათვალისწინებული აქვს რომ ვ. მინორსკიმ ამ საკითხზე აზრი შეიცვალა) აღნიშნავს, რომ თიული, სეფიანთა დროს სრულიადაც არ წარმოადგენს იკტას უბრალო გაგრძელებას იმ სახით, როგორადაც ეს უკანასკნელი ჩამოყალიბდა მონღოლთა ბატონობის პერიოდში. პირიქით, ამბობს ი. პეტრუშევსკი, სეფიანთა სახელმწიფო მიისწრაფოდა დაბრუნებოდა იკტას იმ გაგებას, რომელიც გამოთქმული იყო XI ს-ის დამლევს ნიზამ ულ-მულქის „სიასეთ-ნამეში“[4]. სეფიანი შაჰები, ისევე როგორც ადრე თურქ-სელჩუკი სულტნები, ცდილობდნენ სახელმწიფო მიწისმფლობელობის განმტკიცებას და გლეხთა ექსპლოატაციის სახელმწიფო აპარატის მეშვეობით შენარჩუნებას. ი. პეტრუშევსკი შენიშნავს: «Сефевиды, особенно со времен шаха Аббаса 1, неохотно допускали переход государственных земель в наследственное частное—хотя бы и условное владение»[5]. სახელმწიფო მიწისმფლობელობის და სახელმწიფო აპარატის მეშვეობით გლეხთა ექსპლოატაციის დაცვა მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა სეფიანთა ცენტრალისტურ პოლიტიკასთან. «Эта система, хотя и построена была на новых основаниях, напоминала отчасти систему государственной эксплоатации крестьян в стра-

---

[1] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 184—221.
[2] იქვე, 185—188.
[3] იქვე, გვ. 188.
[4] იქვე.
[5] იქვე.

них халифатá в VII—X вв.[1] и формы икта на ранней ступени его развития, до XI в."[2] ი. პეტრუშევსკის მიხედვით, თიულები წარმოადგენენ თავისებურ ბენეფიციუმებს («своеобразные бенефиции»)[3].

ყველა ამის შემდეგ ი. პეტრუშევსკი დასკვნის: ნაგვიანევი ხანის (XI—XIV სს.) იკტას გაგრძელებას წარმოადგენს არა თიული, არამედ XIV ს-ის დამლევს და XV ს-ში ჩამოყალიბებული სოიურღალი[4], რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო საგადასახადო, საასამართლო და ადმინისტრაციული შეუვალობა.

სეფიანი შაჰები ყველანაირად უწყობდნენ ხელს თიულის განვითარებას და სოიურღალის შეკვეცა-შეზღუდვას, რადგან სოიურღალი, თიულისაგან განსხვავებით, გულისხმობდა მემკვიდრეობით მიწისმფლობელობას, თავისუფალ განკარგულებას მიწებზე, უშუალო დამოკიდებულებას მიწაზე მსხვილ გლეხებთან და ფართოდ განვითარებულ იმუნიტეტს.

თიულიც, სოიურღალის მსგავსად, ფეოდალური ინსტიტუტი იყო, რამდენადაც თიულის მფლობელი (თიულდარი) სახელმწიფოსთან ერთად მონაწილეობდა გლეხთა ფეოდალურ ექსპლოატაციაში[5].

ოფიციალურ დოკუმენტებში თიული, როგორც აღვნიშნეთ, წარმოდგენილია მხოლოდ როგორც რენტა-ხარკის წილი.

მაგრამ ნარატიული წყაროებიდან ჩანს, რომ თიულდარების უფლება უფრო ფართოა, ვიდრე ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით. თიულდართა უფლება განსაკუთრებით უნდა გაზრდილიყო იმ დროს, როდესაც სუსტდებოდა შაჰის ხელისუფლება და ირანში ჩაღდებოდა შინაფეოდალური ომები. საამისო მაგალითები დამოწმებული აქვს ი. პეტრუშევსკის[6].

XVI ს-ის სპარსულ წყაროებში არ ვხვდებით იმის მაგალითებს, რომ ვინმეს თიული მისცემოდა მემკვიდრეობით მფლობელობის წესით[7].

---

[1] იკტას ადრინდელი ინსტიტუტის წარმოშობა-განვითარების VIII—IX საუკუნიდან VII ს-ში გადატანა შესწორებას საჭიროებს, მაგრამ ამას ჩვენი მსჯელობის განვითარებისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

[2] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 189.

[3] იქვე, გვ. 194—195.

[4] იქვე, გვ. 197.

[5] იქვე, გვ. 199—200.

[6] იქვე, გვ. 193.

[7] იქვე, გვ. 194.

წყაროები თანდათან ასხვავებენ ორი სახეობის თიულს: საკუთრივ „თ ი უ ლ ს“ და „ჰ ა მ ე ს ა ლ ე ს“ (ნიშნავს: „ყოველ-წლიურს“)[1].

ჰამესალე მოწესრიგებულ სახეს ღებულობს და ვრცელდება, შაჰ-აბას I-ის დროიდან მოყოლებული, XVII საუკუნეში.

ვ. მინორსკი ჰამესალეს განსაზღვრავს როგორც თიულის სახეობას, რომლის მიხედვით შემოსავლის განსაზღვრული თანხა მსახურეულ პირებს ეძლევათ „ერთი წლით“. ი. პეტრუშევსკიმ, ჩვენი აზრით, დამაჯერებლად უჩვენა, რომ ჰამესალე გულისხმობდა არა ერთი წლის ვადით მიცემულ წყალობას, რომლის აღსანიშნავად მოიპოვება სპეციალური ტერმინი „ი ა ქ ს ა ლ ე“, არამედ „ყოველ-წლიურ“ წყალობას[2].

ჰამესალე დაკავშირებული იყო გარკვეულ თანამდებობასთან. მოხელეს წლიდან წლამდე სამსახურისათვის ეძლეოდა ბარათში (ბერათ, ჰავალე) აღნიშნული თანხა, რომელსაც ამა თუ იმ სოფლის გლეხებში ჰკრებდნენ არა ბარათის მფლობელები (არბაბ-ი ბერათ), არამედ სახელმწიფო მოხელეები. ჰამესალეთი განსაზღვრულ თანხას ბარათის მფლობელებს აძლევდნენ მხოლოდ იმ მოწმობის წარდგენის შემდეგ, რომლითაც ხელისუფალი ადასტურებდა მათს სამსახურში ყოფნას მიმდინარე წლის განმავლობაში[3]. ი. პეტრუშევსკის ჰამესალეს სინონიმად მიაჩნია „თ ა ნ ხ ა“.

ჰამესალეს კავშირი სახელმწიფო აპარატის საშუალებით გლეხთა ექსპლოატაციასთან სავსებით აშკარაა.

საკუთრივ თიულის მნიშვნელობაც XVII—XVIII სს. უფრო მკაფიოდაა განსაზღვრული, ვიდრე ეს XVI ს-ში იყო. ამასთან თიული, ამ სიტყვის დაკონკრეტებული მნიშვნელობით, ორი სახისა იყო. პირველი: ესაა მტკიცედ განსაზღვრული თანამდებობებისათვის მიკუთვნებული თიულები, როცა თიულდარი სათიულო ტერიტორიის მფლობელია მანამდე, სანამ მის ხელთაა გარკვეული თანამდებობა. თანამდებობის სხვა პირისათვის გადაცემის შემთხვევაში ახალი მოხელის ხელთ გადადის თიულიც. პირველი სახის თიულის მფლობელობა უშუალოდ უკავშირდება სათიულო ტერიტორიის მმართველობას[4]. მეორე სახის თიული პირველისაგან განსხვავდებოდა იმით, რომ აუცილებელი არ იყო თიულის დაკავშირება გარკვეულ

---

[1] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 194.
[2] იქვე, გვ. 194—195.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 197.

თანამდებობასთან. ამ შემთხვევაში თიული შეწყალებულ პირებს ეძლეოდათ პერსონალურად, როგორც სახელმწიფოსათვის გაწეული სამსახურის ანაზღაურება ანდა როგორც დამსახურების ჯილდო[1]. თეორიულად მეორე სახის თიული თიულდარს არ ანიჭებდა სათიულო ტერიტორიის მართვა-გამგეობის უფლებას და იგი მხოლოდ რენტის მითვისებით უნდა დაკმაყოფილებულიყო[2].

თიულის სხვადასხვა მნიშვნელობა მჭიდროდაა დაკავშირებული ცენტრალური ხელისუფლების და ცენტრმსრბოლი ძალების ბრძოლასთან. ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს ოფიციალური თვალსაზრისის დაცვას. თიულდარები, თავის მხრივ, ამჟღავნებენ თიულების დასაკუთრების ტენდენციას, მაგრამ წარმატებას ამ მიმართულებით ისინი მხოლოდ XVIII ს-ის მეორე ნახევარში აღწევენ.

თიულების დასაკუთრების ტენდენცია, რაც განსაკუთრებით XVII ს-ის მეორე ნახევრისათვის შეიმჩნევა, XVIII ს-ის შუა წლებში მთავრდება თიულდარების გამარჯვებით. თიულდარების თავისუფალი განკარგულება თიულზე ამ დროისათვის აღიარებული ფაქტია. XVIII ს-ის მეორე ნახევრის სპარსულ და სპარსულენოვან (აღმ. ამიერკავკასიის) დოკუმენტებში „სამკვიდრო თიული" ჩვეულებრივი და გავრცელებული ტერმინია. თიული შინაარსობლივად დაემთხვა სიიურღალს და მათ შორის არსებული განსხვავებაც წაიშალა. თიულდარმა მოიპოვა საგადასახადო იმუნიტეტი, ზოგან აგრეთვე ადმინისტრაციული და სასამართლო იმუნიტეტი[3].

ფეოდალური „სახლების" მიერ მიწების დასაკუთრების ანალოგიურ პროცესს ვხედავთ ოსმალეთშიც.

XVIII ს-ში აღმოსავლურმა მიწისმფლობელობამ ძირითადად განვლო განვითარების იგივე გზა, რაც მან ერთხელ უკვე განვლო IX—X საუკუნეებში[4].

მიწის მემკვიდრეობითი მფლობელობა საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ხელახლად ბატონდება XVIII ს-ში, „სამამულო სისტემა" კი საქართველოში XIII საუკუნიდან იყო გაბატონებული. ამდენადვე აქ ფეოდალური მიწისმფლობელობის შედარებით უფრო პროგრესული ფორმები არსებობდა, ვიდრე XVI ს-ის ირანსა და ოსმალეთში.

---

[1] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 199—200.
[2] იქვე, გვ. 200—201.
[3] იქვე, გვ. 221.
[4] ი. პეტრუშევსკი სავსებით მართებულად შენიშნავს: «В закавказских ханствах второй половины XVIII в. тиул снова прошел в основном тот же путь развития, какой уже однажды прошел институт икта в X—XIII вв.». И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 221.

4. გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაციის ფორმები

მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმების გათვალისწინება შესაძლებლობას გვაძლევს გავარკვიოთ გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაციის თავისებურებანი საქართველოსა და მახლობელ აღმოსავლეთში.

გარეეკონომიური იძულების რეალიზაციის წყარო ყველგან მიწის ფეოდალური საკუთრება იყო.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავს: „მიწა გაყოფილი იყო მსხვილ მიწათმფლობელებს, მემამულეებს შორის, რომ მემამულეები გლეხებს ამ მიწებს აძლევდნენ მათი ექსპლოატაციისათვის, ასე რომ მიწა თითქოს ნატურალური ხელფასი იყო: იგი გლეხს აძლევდა აუცილებელ პროდუქტებს, რათა მას შესძლებოდა ზედმეტი პროდუქტის შექმნა მემამულისათვის; იგი წარმოადგენდა ფონდს, რათა გლეხებს ბეგარა ეკისრნათ მემამულის სასარგებლოდ“[1].

გლეხი ყველგან მიწის მემკვიდრეობითი, ტრადიციული მფლობელი იყო. მას ხელი მიუწვდებოდა წარმოების იარაღებზე და ჰქონდა საკუთარი მეურნეობა. ასე იყო დასავლეთის და აღმოსავლეთის ფეოდალურ ქვეყნებში, ასევე იყო ფეოდალურ საქართველოში.

გლეხის ასეთ მფლობელობას XII—XIII სს. საქართველოში „საგლეხო ფუძე“ ეწოდებოდა.

საგლეხო ფუძე „მწარმოებელს საშუალებას აძლევდა ფუძის შიგნით თავისუფალი მოქმედებისას (ფუძის დანაწილება, ნაკვეთების გაყიდვა-გასხვისება, მეურნეობის ახალი სახეების წამოწყება და სხვ.), დაუნჯება რეპროდუქციისას“[2]. ვითარება ამ მხრივ მნიშვნელოვნად შეიცვალა ჩვენთვის საინტერესო ხანაში. უკვე XIV ს-ის კანონმდებლები ცდილობენ უზრუნველყონ გლეხის მიერ ფეოდალის მიწით სამუდამოდ სარგებლობა—ინტენსიური მეურნეობის მთავარი პირობა. ეს კარგად ჩანს ბექა-აღბუღას სამართლის 56-ე და 77-ე მუხლების შინაარსიდან[3].

საკანონმდებლო აქტების მიუხედავად, XV—XVI სს. ფეოდალებმა ხელთ იგდეს გლეხების და მათი მიწების სრული განკარგულების უფლება[4]. XVI საუკუნიდან ხშირდება გლეხის უმამულოდ

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, გამოცემა მეოთხე, ტ. I, გვ. 214.

[2] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, გვ. 126.

[3] ი. დ ო ლ ი ძ ე, ძველი ქართული სამართალი, გვ. 311, 313.

[4] Н. А. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.), გვ. 14.

ჯაყიდვის ფაქტები. მხოლოდ XVIII ს-ის მეორე ნახევარში, და ისიც მარტო საქართველოს ერთ ნაწილში (ქართლ-კახეთში) ცენტრალური ხელისუფლება ცდილობს აღადგინოს საგლეხო მეურნეობის ინტენსიურობის ეს ძირითადი პირობა[1].

ნაგვიანევ საუკუნეებში გლეხის მფლობელობას „საგლეხო მამული“ ან „საკომლო“ ეწოდებოდა. ერთიც და მეორეც მნიშვნელობით ძველ „საგლეხო ფუძეს“ უდრიდა.

„საკომლო მამულზე“ მოწყობილი იყო ერთი ან რამდენიმე საგლეხო მეურნეობა.

საბუთებში მოხსენებულია „თელი საკომლო“ („ყაი კვამლი“), „ნახევარი საკომლო“ (მთელ საკომლოზე „დაბალი“) და „ამათგან უმცროსი“[2]. მთელი საკომლო შეიცავდა 60 დღის მიწას, ვენახს, ბაღს და სხვ.[3]

დ. გვრიტიშვილის აზრით, „ეს შეიძლება იმას არ ნიშნავდეს, რომ ყოველ კუთხეში საკომლო 60 დღის მიწას უდრიდა“[4]. ეს შესაძლებელია ასეც ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, მთელი საკომლო, ჩანს, მტკიცედ იყო განსაზღვრული. დ. გვრიტიშვილის მიერ დამოწმებულ ერთ საბუთში პირდაპირ არის ნათქვამი: „მოგყიდეთ... საკომლო, რომელიც ერთს მთელს საკომლოს მართებს იმდენის მამულითა და თუ მთელს საკომლოზედ დააკლდეს, სხვაგნიდამ შეგ'ითაო“[5].

საკომლო მამულში გლეხი ინტენსიურ მეურნეობას აწარმოებდა. მაგრამ გლეხის უმამულოდ გაყიდვა და მისი ოჯახის დაშლა გამორიცხავდა საგლეხო მეურნეობის ინტენსიურობის ძირითად პირობას, ხოლო საგლეხო მეურნეობის მოშლა აპირობებდა ქვეყნის ეკონომიურ დაქვეითებას.

„სამკვიდრო მამულთან“ ერთად გლეხს საკუთარი, ნასყიდი მიწაც ჰქონდა. ნასყიდ მიწაზე, კანონით, ბატონს ხელი არ მიუწვდებოდა. მაგრამ ბატონი თავის ძალაუფლებას იყენებდა იმისათვის, რომ გლეხის მიერ ნაყიდი მიწა დაეკავებინა, გაესხვისებინა ან ბეგარა

---

[1] Н. А. Бердзенишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

[2] გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 19.

[3] იქვე; დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 210—211.

[4] იქვე.

[5] იქვე.

ლაკდ[1], გლეხის ნასყიდ მიწას მებატონე სხვადასხვა საბაბით ღალა-საც ადებდა. 1766 წლის ერთ საბუთში ნათქვამია: „ნასყიდ მიწას: ღალა არ ედვა, მაგრამ რადგან ხელმოკლეთ ვიყავ მეც გთხოვე და შენც მომეცო“[2].

ამრიგად, გლეხს შეეძლო ეყიდა მიწა, ექცია იგი ნასყიდად, მაგრამ ეს მას ფეოდალური დამოკიდებულებისაგან არ ათავისუფლებდა, მაშინ როდესაც გლეხი მიწას სწორედ ბეგარა-გამოსარგებისაგან თავის დასახსნელად ყიდულობდა.

კუთვნილების მიხედვით გლეხები განიყოფებოდნენ: სამეფო, საეკლესიო და საბატონო გლეხებად. მწარმოებელი კლასის აღმნიშვნელი ზოგადი სახელი X საუკუნიდან დამოწმებული ტერმინი „გლეხი“ იყო, მაგრამ ნაგვიანევ საუკუნეებში სოციალურად გლეხობა ერთფეროვან ფენას არ შეადგენდა. საქართველოს ეკონომიური რაიონების მიხედვით გლეხთა სოციალური კატეგორიები თვალსაჩინო ნაირსახეობას ამჟღავნებდა (იმერეთში, ქართლში, კახეთში...)[3]. მაგრამ ყველგან გლეხი დიდი ხანია ბატონყმობის უღელში იყო შებმული.

XVI—XVIII სს. საბუთებში დასახელებულია ყმა-გლეხების შემდეგი კატეგორიები: „მკვიდრი“, „ნაწყალობევი“, „ნასყიდი“, „ნებიერი“ ანუ „ნებით მოსული“, „თარხანი“ ანუ „აზატი“, „ხიზანი“, „ბოგანო“ და სხვა. გლეხთა წრისანი იყვნენ აგრეთვე „მსახურები“. გლეხთა ყველა ამ კატეგორიის მნიშვნელობა განმარტებულია სპეციალურ ლიტერატურაში (ნ. ბერძენიშვილი, ლ. მუსხელიშვილი, ს. კაკაბაძე, დ. გვრიტიშვილი, გ. ჯამბურია, ო. სოსელია)[4].

---

[1] საამისო მაგალითები იხ. დ. გვრიტიშვილის დასახ. ნაშრომში, გვ. 215.

[2] იქვე.

[3] საჭიროა აღინიშნოს, რომ შედარებით უკეთ დას. საქართველოს გლეხთა კატეგორიები და გლეხთა მდგომარეობაა შესწავლილი. იხ. ლ. მუსხელიშვილი, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XVI—XVII სს., „ენიმკი-ს მოამბე“, ტ. V, 1940; ო. სოსელია, კლასობრივი ბრძოლის ისტორიიდან გვიანფეოდალურ დასავლეთ საქართველოში, „მიმომხილველი“, II, გვ. 207—219; მისივე, საგლეხო ვალდებულებანი დასავლეთ საქართველოში XVII ს., მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, გვ. 75—83.

[4] აღნიშნული, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს თბილისს ქართველი გლეხების ისტორია და, განსაკუთრებით, კლასობრივი ბრძოლა დამაკმაყოფილებლად იყოს შესწავლილი. პირიქით, ქართველი გლეხების ისტორიის არა ერთი მნიშვნელოვანი საკითხია გამოსარკვევი და დასადგენი. გასაგებია, რომ ვსარგებლობთ მხოლოდ შესადარებელი მასალებით, რაც ცხადია, ჩვენი მხრივ ყველა კერძო საკითხის სპეციალურ შესწავლას არ საჭიროებს.

ყმა-გლეხების სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ კუთვნილების, ბატონთან დამოკიდებულების უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით.

უფლებრივი დამოკიდებულების მხრივ „მსახურები“ განსხვავდებოდნენ დანარჩენი ყმა-გლეხებისაგან. მათ საპატიო სამსახური, უპირატესად სალაშქრო მოვალეობა და კარზე სამსახური, მართებდათ. „ნაწყალობევი“ (პატრონის მიერ ვასალისათვის მიცემული), „ნებიერი“ (ბატონთან ნებით მისული—სარგებლობდა თავისუფალი ადგილგადანაცვლების უფლებით)[1] და „თარხანი“ (გადასახადებისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლებული) განსხვავდებოდა „ნასყიდისაგან“. ამ კატეგორიის გლეხი ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. „ნასყიდის“ უმამულოდ გაყიდვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. „ხიზანი“—აყრილ-გამოქცეული და ახალ ბატონთან თავშეფარებული გლეხი—მებატონის მიწას საღალოდ ამუშავებდა. „ბოგანო“ განსხვავდებოდა „მსახლობარი“ და „მკვიდრი“ გლეხისაგან[2]. „ბოგანო“ უმამულო და უვენახო გლეხი იყო. ბოგანოებისა და ხიზნების გამრავლება აღებულ ხანაში აშკარად მიუთითებს ინტენსიური მეურნეობის დაცემაზე.

ყმა-გლეხების უმრავლესობას შეადგენდნენ „მკვიდრი“ ანუ „მემკვიდრე“ ყმები. ისინი რამდენიმე თაობის მანძილზე მკვიდრად ისხდნენ ფეოდალის მიწაზე. ამიტომ, რაც უფრო მეტი მკვიდრი ყმა ჰყავდა მემამულე-ფეოდალს, მით უფრო მტკიცე იყო მისი ეკონომიური საფუძველი. ფეოდალიც, რა თქმა უნდა, ყველა გლეხის „მკვიდრად“ გადაქცევას ცდილობდა.

„სახასო“ (სამეფო) გლეხები, შედარებით ასატანი მდგომარეობით,განსხვავდებოდნენ საბატონო გლეხებისაგან, ამ უკანასკნელთაგან კი საეკლესიო და სამონასტრო გლეხები. საბუთებიდან კარგად ჩანს საბატონო გლეხების სახასო გლეხობაში გადასვლის ტენდენცია, რაც განსაკუთრებით XVIII საუკუნისათვის იყო დამახასიათებელი[3].

---

[1] „ნებიერი“ და „თავშეწირული“ (ეკლესია-მონასტრების ნებით ყმად გამზდარი) გლეხობის კატეგორიების არსებობა მოწმობს, რომ XVI—XVII სს. საქართველოში გლეხს უბატონოდ არსებობა არ შეეძლო და დამოუკიდებელი შრომის საშუალებას მოკლებული იყო.

[2] გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

[3] Г. Натадзе, Крестьяне сахасо, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. V, 1937.

ქონებრივი ნიშნის მიხედვით საბუთებში დასახელებულია: „შეძლებული გლეხი“, „საუკეთესო გლეხი“, „საშუალო გლეხი“ და სხვ.[1]

გლეხებს დაკისრებული ჰქონდათ სამეფო, სამოხელეო, საეკლესიო, საბატონო და სათათრო (უცხო დამპყრობელთა სასარგებლო) გადასახადები.

სახელმწიფო გადასახადი და ვალდებულება იყო: ქ ო დ ი ს პ ე ნ ი, მ ა ლ ი. ს ა ფ ი, ულ უ ფ ა, ულ ა ყ ი (ტვირთის ზიდვა), ს ე ფ ო ბ ა, ს ა ბ ა ლ ა ხ ე, პ ი რ ი ს თ ა ვ ი, ნ ა ხ ი რ ი ს თ ა ვ ი, ს ა ბ ა ზ ი ე რ ო, ს ა შ ე ვ ა რ დ ნ ო, ს ა ჯ ი ნ ი ბ ო, ს ა ს ტ უ მ რ ო (ელჩების და მოციქულების დაბინავება) და სხვ.

საბატონო: ღ ა ლ ა, კ უ ლ უ ხ ი, ულ ა ყ ი, შ ე ს ა წ ე ვ ა ხ ი (ბატონის სამგლოვიარო და სადღესასწაულო დღეებში), ს ა ს ტ ი ა ნ ო, ს ა მ ა ს პ ი ნ ძ ლ ო, ძ ღ ვ ე ნ ი (ს ა შ ო ბ ა ო, ს ა წ ე ლ ი წ დ ი ს თ ა ვ ო, ს ა ყ ვ ე ლ ი ე რ ო, ს ა მ ა რ ხ ო, ს ა ა ღ დ გ ო მ ო, ს ა ა ღ ე ბ ო...) და სხვ.

საეკლესიო: დ რ ა მ ა, ს ა კ ა ნ ო ნ ო, ს ა ხ უ ც ო „ძღვენ-საჩუქრები“ და სხვ.

სამოხელეო (სამოურავო, სანაცვლო, სამამასახლისო): ს ა მ ა ს პ ი ნ ძ ლ ო, ს ა ქ ვ რ ი ვ ო, ს ა ჩ ე ქ მ ო, შ ე ს ა მ ყ რ ე ლ ო, გ ა ს ა მ ყ რ ე ლ ო, თ ა ვ ი ს გ ა ს ა მ ტ ე ხ ლ ო და სხვ. გლეხს მოურავის სასარგებლოდ მართებდა: გუთანზედ (განსაზღვრული დღით) ხვნა, ფარცხვა, მორწყვა, მომკა, გალეწვა, მიტანა, ბარვა. როგორც მეფე-დედოფალ-უფლისწულები, ისე ფეოდალები მოურავ-მამასახლისების საშუალებით ეწეოდნენ გლეხთა ექსპლოატაციას.

შრომითი ბეგარა მებატონის ხოდაბუნებში და ზვრებში იყო გამოყენებული („ყანის მუშაობა“, „ვენახის მუშაობა“). გლეხის ნატურალურ ვალდებულებებში შედიოდა აგრეთვე ქალაქის კედლების და ციხის აშენება („ქალაქისა და ციხის მუშაობა“, „გარე მუშაობა“), გზების გაყვანა, ყარაულობა („ქეშიკი“), ულაყი (ტვირთისა და შეშის ზიდვა), ჯერგა (სანადირო ადგილის შემოკავება), კონის ჩადგმა (თევზის ჭერა), ლაშქარ-ნადირობაში მონაწილეობა და სხვ. იმდროინდელი საბუთების მოწმობით: გლეხს „რ ა ზ ე დ ა ც დ ა უ ძ ა ხ ო ნ უ ნ დ ა წ ა ვ ი დ ე ს, უ ა რ ს ვ ე რ ი ტ ყ უ ვ ი ს“[2].

ქართული საგადასახადო სისტემით გადასახადები კომლზე იყო დაწესებული, თუმც ზოგიერთი გადასახადი ზოგჯერ სოფელზეც იყო

---

[1] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 216.
[2] იქვე, გვ. 223.

ბაწერილი. სულად გადასახადად ითვლებოდა „მალი“ (უპირატესად ქალაქებში). გადასახადების გაწერა-აკრეფისას გათვალისწინებული იყო გლეხის შეძლება, მისი ქონებრივი მდგომარეობა (მამულიანზე და უმამულოზე განსხვავებული ოდენობით წესდებოდა გადასახადი) და, აგრეთვე, სოფლის სიდიდე (დიდი, შუათანა და პატარა სოფელი). ამის გარდა, გლეხის ბეგარა-გამოსაღებები სხვადასხვაგვარი იყო საქართველოს ცალკეულ სამეფო-სამთავროებში, სათავადოებში და თვით ერთი სოფლის ფარგლებშიც კი. ამ შემთხვევაში აშკარად იჩენდა თავს ფეოდალური დაქსაქსულობის პირობები, გლეხთა სოციალურ-უფლებრივი მდგომარეობის, ადგილობრივი (მთისა და ბარის) ადათების და მეურნეობის დარგების თავისებურებანი.

საერთო იყო მხოლოდ გადასახადების განუხრელი ზრდა.

გლეხთა გადასახადები და ვალდებულებანი XVI—XVIII სს. განუხრელად იზრდებოდა. „თავი ბეგარის“ (მთავარი, ადრინდელი, თავდაპირველი) გვერდით წესდებოდა „სხუაი ბეგარა“ (სხვა, დამატებითი გამოსაღები)[1]. ამას საბუთები „უდების დადებას“ უწოდებენ. საბუთებში დამოწმებული „უდების დადება“ და „ნიადაგ მუშაობა“ ნათლად მოწმობენ ბატონყმური უღლის დამძიმებას.

„ბატონყმური რიგი“ და „ბატონის სამსახური“ სათანადო დებულებებით იყო რეგლამენტირებული. „დებულების“ დაცვა ერთნაირად უნდა ყოფილიყო სავალდებულო როგორც ფეოდალისათვის, ისე გლეხისათვის. ამავე მიზნით იყო შედგენილი ვახტან VI-ის სამართლის წიგნი. მაგრამ „ბატონყმური რიგის“ მიუხედავად ყველაფერი ფეოდალის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. გლეხის „დეობა“ (ბატონის წინააღმდეგ ჩივილი) უშედეგოდ რჩებოდა.

ბატონყმური ექსპლოატაციის დამძიმების შესაბამისად გაძლიერდა გლეხთა ერთ კატეგორიაში გაერთიანების ტენდენცია. ცნობილი ფაქტია, მაგალითად, მსახურთა რიცხვის მნიშვნელოვნად შემცირება XVIII ს-ში. ადგილი აქვს აგრეთვე მკვიდრი ყმა-გლეხების გაბოგანოვებას.

გ. ჯამბურიას მოაქვს მეტად საინტერესო მოსაზრება: „ბოგანო თავდაპირველად ახლად მოსულ გლეხს უნდა რქმეოდა, რომელიც ღარიბი იყო „მკვიდრ“ გლეხებთან შედარებით. შემდეგ კი „მკვიდრ“ გლეხთა ნაწილსაც უნდა სწოდებოდა ბოგანო, როცა ქონებრივად

---

[1] Н. А. Бердзенишвили, Очерк..., გვ. 17.

ფაბოგანოვდა ეს გლეხი—ე. ი. დაემსგავსა ამ ახლად მოსული გლეხის მდგომარეობას როგორც უფლებრივად, ისე ეკონომიურადაც"[1].

გლეხის ხიზნობა და ბოგანოობა, როგორც აღვნიშნეთ, ინტენსიური მეურნეობის დაცემის მომასწავებელი იყო. ქართველი გლეხი მეურნეობის გაუმჯობესება-წარმოების სტიმულს ჰკარგავდა. საგლეხო მეურნეობის მოშლა ინტენსიური მეურნეობის დაქვეითების ერთი მთავარი მიზეზი იყო.

XVI—XVII სს. საქართველოში ძირითადად ნატურალური რენტა იყო გაბატონებული. საკმაოდ ძლიერი ჩანს შრომითი რენტაც[2]. ფულადი რენტა კი, „რომელიც პროდუქტების ფორმაში მოცემული რენტის უბრალო მეტამორფოზიდან წარმოსდგება"[3], სუსტად იყო წარმოდგენილი.

კ. მარქსი პროდუქტების ფორმაში მოცემული რენტის დახასიათებისას აღნიშნავს: „იმის გამო, რომ ეს ფორმა, რენტა პროდუქტების სახით, დაკავშირებულია პროდუქტის და თვით წარმოების განსაზღვრულ ხასიათთან, იმის გამო, რომ მისი არსებობისას აუცილებელია სოფლის მეურნეობის შინამრეწველობასთან შეერთება, ივ თითქმის სრული თვითდაკმაყოფილების გამო, რომელსაც გლეხის ოჯახი ამით ღებულობს თავისი დამოუკიდებლობით ბაზრიდან და საზოგადოების იმ ნაწილის წარმოებისა და ისტორიული მოძრაობიდან, რომელიც მის გარეშე იმყოფება, მოკლედ, საზოგადოდ ნატურალური მეურნეობის ხასიათის გამო, ეს ფორმა სავსებით გამოსადეგია იმისთვის, რომ შეიქმნას საზოგადოების უმოძრაობის ბაზისი, როგორც ჩვენ ამას, მაგალითად, აზიაში ვხედავთ"[4].

სწორედ ამით უახლოვდებოდა ქართული ფეოდალური საზოგადოების მდგომარეობა XVI—XVIII საუკუნეებში აღმოსავლეთის ფეოდალური საზოგადოების მდგომარეობას. ორგანვე მეტისმეტად იყო შეზღუდული რეპროდუქციის შესაძლებლობა, განვითარებისათვის საჭირო აუცილებელი პირობები.

ფეოდალის ყმა-მამული ამ დროს ფეოდალური სახლის მრავალრიცხოვანი წევრების „საჭმელად" იყო გადაქცეული.

საბუთებში ვხვდებით ერთ მეტად დამახასიათებელ გამოთქმას, რომელიც ერთბაშად გასაგებს ხდის, თუ როგორ მდგომარეობაში იმ-

---

[1] გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრ., გვ. 122—123.
[2] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 220.
[3] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 315.
[4] იქვე.

ყოფება ინტენსიური მეურნეობა აღებული ხანის საქართველოში. ამ გამოთქმის მიხედვით მამული „საჭმელია“, ხოლო მემამულე მისი „მჭამელი“, უკეთ, მემამულე-ფეოდალი მამულის გამოსაღებს „სჭამს“. ასეთი საბუთები მრავლად შეიძლება მოვიტანოთ,

1721 წ. ვალის წიგნში ნათქვამია: „დაგიდევ ამის გირ/ა/ოთ ასურეთს ჩემი კერძი რაც ალალათ ბარათში გამომყოლოდეს ან გლეხი, ან ხოდაბუნი, ან ზუარი ან მიწა-წყალი, ასე და ამა პირსაც ზედან, რომე სანამ შენს თეთრს მოგცემდე შენ, შენ ჩემი წილი ასურეთის გამოსაღები (sic) სჭამდე, თეთრ/ი/ს სარგებელს არა მსთხოვდ.ე. არც შენ თეთრის სარგებელს მთხოვდე, არც მე ჩემს მოცემულს სოფლის და მამულის გამოსაღებს გთხოვდე. რახან ჩემი თეთრი მოგცე, ჩემი სოფელი დამანებო“[1].

1722 წლის საბუთში ვკითხულობთ: „გირაოდ ჩემი წილი ამილბარაშვილი ფავნის/ს/ თავისის მამულით შენთვის გირაოდ მოშიცია, შენის თეთრში იმის გამოსაღები სჭამე“[2].

კიდევ უფრო დამახასიათებლადაა გადმოცემული ეს გამოთქმა 1736 წლის ერთ საბუთში: „ამ თეთრის სარგებელში ეს მიწები მოსჭამეთ, როდესაც ის მიწები მოსჭამოთ, თუ შენი თეთრი მოგბაროთ, ჩვენი მიწები ჩვენვე მოგვცეთ“[3].

„მამულის ჭამა“ არ ნიშნავს მამულის „სახარჯოდ“ და „სარჩოდ“ (შდრ. რუს. «кормление») მიცემას, რაც ბუნებრივად გამომდინარეობს ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობიდან. იგი ორგანულად უკავშირდება ინტენსიური მეურნეობის დაცემას და რენტის სიდიდის განუხრელ ზრდას. ცხადია, სასაკუთრო-საბატონო მეურნეობების განვითარების შემთხვევაში, მამულის „მოხმარების“ (საბუთების ენაა) სულ სხვა ფორმას მივიღებდით. მაგრამ ეს ასე არ მოხდა ზემოთ აღნიშნული ეკონომიური პირობების გამო.

მართალია, ინტენსიური მეურნეობის ფორმები ახლაც არსებობენ, მაგრამ მეტად თავისებურ ეკონომიურ პირობებში. უკიდურესად არის ამ დროს გაღრმავებული დისპროპორცია მფლობელებსა და მწარმოებლებს შორის, ხოლო დამუშავებული მიწის ფართობი შკვეთრად შემცირებული. ასეთ ვითარებაში ფეოდალი იძულებულია გაზარდოს რენტის სიდიდე, თუმცა მისი ფეოდალური ინტერესები

---

[1] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. II, გვ. 14.
[2] იქვე, გვ. 17.
[3] იქვე, გვ. 26.

მოითხოვენ არა რენტის გაზრდას, არამედ რაც შეიძლება მეტი სა-
გლეხო მეურნეობის ექსპლოატაციას—აქედან „ტყვეთა სყიდვა“,
რომელიც ასე სწრაფად გავრცელდა ფეოდალურ საქართველოში.

საბუთები აღნიშნავენ: გლეხის „აკლებას“, „წაგვრა-დაპერას“,
„დატყვევებას“, დატყვევებულთა ოსმალებზე და ყიზილბაშებზე
გაყიდვას. ყველაფერი ეს უდიდეს დაბრკოლებას უქმნიდა ფეოდა-
ლური მეურნეობის წარმოებას, ფეოდალური საზოგადოების წინ-
სვლას.

დ. გვრიტიშვილს მრავალი საბუთი მოაქვს იმის საჩვენებლად,
თუ როგორ არბევენ, იტაცებენ და ყიდიან გლეხებს ფეოდალები.
მაგ., პაატა ციციშვილმა „საციციანოს მრავალი ხეობა (გუჯარეთი,
ტბა, ალის ხეობა) დაარბია და 92 სული დაატყვევა“[1]. დავით ციცი-
შვილმა 155 სული გლეხი და აზნაური გაყიდა[2].

ფეოდალები ერთმანეთს სტაცებდნენ გლეხებს და ტყვედ მიჰ-
ყავდათ გასასყიდად. ამის გამო ზოგჯერ მთელი სათავადოს მოსახ-
ლეობა კატასტროფულად იყო შემცირებული. ერთი საბუთის სი-
ტყვით „საციციანო ასრე გაოხრებული იყო, ოთხი წელიწადი არც
ხვნა იყო, არც თესვა, არც ცეცხლი ანთებულა, არც კალო გალეწილა
და არც მამალს უყივლია“[3].

ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესულ ნაწილს
შეგნებული ჰქონდა, თუ რას უქადდა გლეხთა უკიდურესად დამძი-
მებული მდგომარეობა ქვეყნის მომავალს, მისი განვითარების საქ-
მეს. შემთხვევით არაა არჩილის მიერ ნათქვამი: „რა დაეცეს გლეხი-
კაცი, საქართველო დაძაბუნდა“. რა თქმა უნდა, იმათ ვინც გლეხი-
სადმი ლმობიერ დამოკიდებულებას მოითხოვდნენ ან ტყვეთა სყიდ-
ვის წინააღმდეგ იბრძოდნენ, აინტერესებდათ არა გლეხთა მდგომა-
რეობა, არამედ მათი რაციონალური ექსპლოატაცია ბატონყმური
ურთიერთობის საფუძველზე.

როგორც აღვნიშნეთ, ფეოდალის და გლეხის ურთიერთობა
ფეოდალურ საქართველოში განსაზღვრული იყო „ბატონყმობის
რიგით“, წერილობითი დებულებით. „საქართველოში ტრადიციული
თუ წერილობითი დებულება არსებობდა, რომელიც აწესრიგებდა
ყმისა და ბატონის ურთიერთობას, მას საბუთებში „ბატონყმობის
რიგი“ ან „დებულება“ ეწოდება. „ბატონყმობის რიგი“ უნდა დაე-

---

[1] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 231.
[2] იქვე.
[3] იქვე.

ცვა როგორც ყმას, ისე ბატონსაც. თუ რომელიმე მათგანი (ყმა თუ ბატონი) ბატონყმობის რიგს არ შეასრულებდა, საქმეში ერეოდა ხოლმე მეფის ხელისუფლება"[1]. ბატონყმობის რიგის ან დებულების დაცვა მეფის ხელისუფლების სიმტკიცეზე იყო დამოკიდებული. ამას ვხედავთ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში (ერეკლე II-ის საგლეხო პოლიტიკა), ნაწილობრივ აგრეთვე როსტომის მეფობაში, რომლის დროსაც გამოქვეყნებული აუარებელი წერილობითი საბუთი უეჭველად ფეოდალური ურთიერთობის მოწესრიგების აშკარა მოწმობას წარმოადგენს. ფეოდალების თავაშვებულობას ფართო გასაქანი ეძლეოდა იმ დროს, როცა მეფის ხელისუფლება უკიდურესად იყო დასუსტებული (მაგ., იმერეთის სამეფოში), განსაკუთრებით კი ყიზილბაშების ან ოსმალების თარეშის დროს. ამ დროსვე ძლიერდებოდა „ტყვეთა სყიდვა".

ფეოდალების ძალადობა ამწვავებდა კლასობრივ ბრძოლას. ქართველი გლეხები იყენებდნენ კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა საშუალებებსა და ფორმებს (უპირატესად აყრა-გაქცევას). გლეხი მიმართავდა ყაზახობას, აბრაგობას, მეკობრეობას, ფეოდალზე თავდასხმას, მოკვლას და მისი სახლ-კარის გადაწვას. მაგრამ გაერთიანებულ და მასიურ გამოსვლას, კლასობრივი ბრძოლის პასიური ფორმების აქტიურ ფორმებში (აჯანყებებში) გადაზრდას, ხელს უშლიდა გლეხთა სოციალური კატეგორიების სხვადასხვაგვარობა, პოლიტიკური დაქსაქსულობა და სუსტი კავშირი ცალკეული სათავადოების ყმა-გლეხებს შორის. დამახასიათებელია, რომ ყველაზე აქტიურად ის გლეხები იბრძოდნენ, რომელთა ბატონყმური უღელი ახლად იყო დამძიმებული და ახალი გადასახადებით იყვნენ დახარკული[2]. საბუთები მართალია ყრუდ, მაგრამ მაინც აღნიშნავენ ცალკეულ სათავადოებში გლეხთა შეიარაღებულ გამოსვლას ფეოდალების წინააღმდეგ[3].

მეტად მძიმე იყო გლეხთა მდგომარეობა ფეოდალურ საქართველოში. კიდევ უფრო უარესდება მათი მდგომარეობა ნაგვიანევ შუა საუკუნეებში. გლეხთა ურთიერთობა ქართველ ფეოდალებთან მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში მიმდინარეობს. მაგრამ საძულველ ქართულ ბატონყმობასთან შედარებით კიდევ უფრო მიუღებელი იყო მათთვის „თათრის ბატონობა" და „ხარაჯობა". ქარ-

---

[1] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 233—234.
[2] С. С. Какабадзе, Крестьянский вопрос и крестьянские движения Восточной Грузии в XVIII веке, Сб. История классовой борьбы в Закавказье, 1930, გვ. 170.
[3] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 232.

თვალ გლეხს არ სურდა „რაიათად“ გადაქცევა ისევე, როგორც ეს არ სურდა მის ექსპლოატატორ ქართველ ფეოდალს. ქვემოთ ნაჩვენები იქნება (იხ. თავი V. კლასობრივი ბრძოლა), თუ როგორ და რა საშუალებებით ებრძოდნენ ქართველი გლეხები „თათრის ბატონობას“.

აღმოსავლეთის ფეოდალური ქვეყნებისათვის უცნობი იყო გლეხთა ისეთი სოციალური კატეგორიები, როგორსაც ფეოდალურ საქართველოში ვხედავთ.

გლეხის საერთო აღმნიშვნელი სახელი აღმოსავლეთში (არაბული ქვეყნები, ოსმალეთი, ირანი, შუა აზია, ინდოეთი და, აგრეთვე, აღმ. ამიერკავკასია) „რ ა ი ა თ ი“ იყო.

არაბ. „რ ა ი ა თ ი“ (მრავლ. „რ ა ი ა“) სიტყვა-სიტყვით „ჯ ო გ ს“ ნიშნავს: მისი გლეხის აღმნიშვნელ ტერმინად გადაქცევა ორგანულად უკავშირდება „ექსპლოატაციის აღმოსავლურ ფორმას“ და აღმოსავლეთის ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ საგადასახადო სისტემას.

„რაიათი“ ორგვარი მნიშვნელობით იხმარებოდა. ფართო გაგებით „რაიათი“ აღნიშნავდა „ქვეშევრდომთ“, რომელნიც არ ეკუთვნოდნენ პრივილეგირებულ წოდებას და, ამიტომ, გადასახადები უნდა ეხადათ. გათარხნებული (მუაფი) იყვნენ ბეგები, სასულიერო ფეოდალები (მუსლიმანები და ქრისტიანები), მოქალაქეთა პრივილეგირებული საზოგადოებანი.

დავიწროებული მნიშვნელობით „რაიათი“ გლეხს ნიშნავდა.

რაიათები ეწოდებოდათ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო მიწისმფლობელთა გლეხებს, რადგან ყველა მიწიდან დივანის (ხაზინის) სასარგებლოდ გადაკვეთილი იყო რენტა-ხარკის ესა თუ ის წილი[1]. რაიათებისაგან განსხვავდებოდნენ არა მარტო მუაფები (თარხნები), არამედ ისეთი კატეგორიის გლეხებიც, რომლებიც დივანის გადასახადებისაგან განთავისუფლებული იყვნენ და უშუალოდ თავის მიწისმფლობელებს უხდიდნენ გადასახადებს, აგრეთვე რანჯბარები, ნოქრები, ღოლამები[2]. ტერმინი „რაიათი“ „ელის“ (მომთაბარე ხალხის) საპირისპირო ცნების გამომხატველიც იყო. ამ შემთხვევაში რაიათი აღნიშნავდა მიწის მუშაკებს, მებაღეებს, მევენახეებს[3].

მართალი არაა პროფ. ი. პეტრუშევსკის აზრი, რომ „რაიათი“ ან „რაია“ ირანსა და მის სამფლობელოებში მუსლიმან და ქრისტიან გლეხს აღნიშნავდა, ხოლო ოსმალეთში „ჯიზიას გადამხდელებს“, „არამუსლიმან ქვეშევრდომებს“, „ქრისტიანებს“ ან „ებრაელებს“[3].

[1] И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 248.
[2] იქვე, გვ. 248—249.
[3] იქვე, გვ. 249.

ოსმალეთშიც რაიათი ნიშნავდა გლეხს, მიწისმოქმედს[1], გადასახადების გადამხდელს, რომლის დაშვება „ასკერში“ (ოსმალურ სამხედრო-ფეოდალურ ორგანიზაციაში) დაუშვებელი იყო. რაიათებს ეხვეოდნენ ძგრეთვე იურიუქებისაგან (მომთაბარეებისაგან), სანამ მათი მოლაშქრეობა ფართოდ იყო გამოყენებული.

ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სისტემა გადაულახველ ზღვარს სდებდა ასკერსა და რაიას შორის[2]. გამონაკლისს, რა თქმა უნდა, ის არც მუსლიმანი რაიასათვის უშვებდა. ყველა თანამდებობა ოსმალეთში, სწავლულების, მწერლების და მისთანების („კალმის ხალხის“) გამოკლებით, სამხედრო ბაზაზე იყო დაფუძნებული[3].

საზოგადოების „მახვილის ხალხად“, „კალმის ხალხად“ და რაიათებად (მწარმოებლებად) დაყოფა ოსმალეთისთვისაც ისევე იყო დამახასიათებელი, როგორც აღმოსავლეთის ყველა ქვეყნისათვის. ეს სკვსებით შეესაბამებოდა აღმოსავლეთის სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი სამი უწყების არსებობას.

ოსმალურ კანონ-ნამეებში ერთ მხარეზე მმართველები არიან დაყენებული, მეორეზე „რეაია“ (გლეხები) და „შეჰირლი“ (მოქალაქენი)[4]. ამ უკანასკნელთა ერთადერთ მოვალეობას გადასახადების გადახდა შეადგენდა. მათ სასტიკად ეკრძალებოდათ ცხენზე შეჯდომა და მახვილის ტარება[5]. ასე რომ ოსმალეთშიც რაიათები ეწოდებოდათ როგორც ქრისტიან,ისე მუსლიმან გლეხებს

სპარსულ-არაბული წყაროები რაიათებს უწოდებენ სასანური ირანის გლეხებსაც. რელიგიური კუთვნილების მიუხედავად ყველგან რაიათი-გლეხის აღმნიშვნელი იყო. მაგრამ როგორი და რომელი გლეხის? ამ კითხვას ქვემოთ დავუბრუნდებით რაიათის ნამდვილი მნიშვნელობის განმარტებასთან დაკავშირებით.

არაბულ ტერმინთან ერთად ირანში გლეხს ეწოდებოდა „დეჰყან“-იც (XI საუკუნიდან)[6]. იხმარებოდა აგრეთვე შედგენილი ტერმინი „დეჰყან-ი მარდ“ („სოფლის კაცები“), „ხორდა მალიქი“ (სი-

---

[1] ოსმალთა ბატონობის დროს არაბულ ქვეყნებში რაიათთან ერთად იხმარებოდა მისი ადგილობრივი შესატყვისი „ფელაჰი“ (გლეხი, მიწისმოქმედი).

[2] H. A. R. Cibb and Harold Bowen, Islamic Society and the West, Oxford University Press, 1951, გვ. 48, შენ. 2.

[3] იქვე, გვ. 158 და შენ. 1.

[4] Kânuni Ali Osmân II (O. T. E. M., № 17, Appendix, 39) დამოწმებულია Gibb-ის და Bowen-ის წიგნის მიხედვით, გვ. 158.

[5] Gibb and Bowen, დასახ. ნაშრ., გვ. 158.

[6] საინტერესოა, რომ ეს ტერმინი დამახასიათებელი იყო საკუთრივ ირანისათვის და არა მისი სამფლობელოებისათვის (მაგ., აღმ. ამიერკავკასიის სახანოებისათვის).

ტუვასიტუვით „წვრილი მიწისმფლობელი“)[1] და უბრალოდ „მარდ“ („კაცი“).

„მარდ“ იგივეა, რაც გლეხის აღმნიშვნელი ქართ. „კაცი“, რუს. «человек», გერმ. «Mensch», ფრანგ. «l'homme». ამ ტერმინის დამოწმებას ირანის ფეოდალურ სინამდვილეში მნიშვნელობა აქვს ფეოდალიზმის გენეზისისათვის ირანული მოდგმის ხალხებში[2]. მართალია, „მარდ“ წყაროებში არ გვხვდება[3], მაგრამ იგი უეჭველად ძველი წარმოშობისა უნდა იყოს.

მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების გლეხობის ისტორია ჯერ კიდევ უცდის თავის მკვლევარს. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გამოსარკვევი და დასადგენი აღმოსავლეთის გლეხობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის სრული სურათის აღსადგენად და კლასობრივი ბრძოლის დასახასიათებლად. შეიძლება ითქვას, რომ საამისო წყაროების მნიშვნელოვანი ნაწილი ხელუხლებელია ან მხოლოდ ნაწილობრივ გამოყენებული.

ამიტომ, ცხადია, აღმოსავლეთის გლეხთა მდგომარეობა შეიძლება დავახასიათოთ მხოლოდ ზოგად ხაზებში და, ამასთან, იმდენად, რამდენადაც იგი უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენი გამოკვლევის საგანთან და საკითხების წრესთან.

საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევჩერდეთ გლეხთა მიწაზე მიმაგრების საკითხზე ფეოდალურ აღმოსავლეთში.

რევოლუციამდელი აღმოსავლეთმცოდნეები და კავკასიისმცოდნეები, როგორც ცნობილია, უარყოფდნენ გლეხთა მიწაზე მიმაგრებას აღმოსავლეთში და აღმ. ამიერკავკასიაში. ბურჟუაზიული კავკასიისმცოდნეობის აზრით, ბატონყმური დამოკიდებულება აღმ. ამიერკავკასიაში მყარდება მხოლოდ 1846 წლის რესკრიპტით.

გლეხთა მიწაზე მიმაგრების ფაქტის ჩვენება აღმოსავლეთში საბჭოური აღმოსავლეთმცოდნეობის ერთი მნიშვნელოვანი მიღწევათაგანია.

---

[1] „ხორდა მალიქის“ ნამდვილი მნიშვნელობის გამო სპეც. ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. იხ. Tadhkirat al-muluk, გვ. 24. ბევრი მკვლევარი მას გლეხის აღმნიშვნელ ტერმინად თვლის.

[2] აკად. ბ. გრეკოვი იზიარებს იმ აზრს, რომ რუს. «смерд» ნაწარმოებია სპ. „მარდისაგან“. Б. Греков, Крестьяне на Руси, М.-Л., 1946, გვ. 15—17.

[3] „მარდ“ დამოწმებულია თანამედროვე ირანში (ქერმანში) და ნიშნავს გლეხს, რომელიც ამუშავებს ერთ დღიურ მიწას და ჰყავს ერთი ხარი და ერთი სახედარი. Lambton, დასახ. ნაშრ., გვ. 434. საზოგადოდ, თანამედროვე ირანის სოციალურ-ეკონომიურ ტერმინოლოგიაში შემონახულია შუა საუკუნეებიდან გადმოსული არა ერთი. საინტერესო და საყურადღებო ტერმინი. სამწუხაროდ თანამედროვე ირანის სოციალური ტერმინოლოგია ამ მიზნით ჯერ კიდევ არაა წესწავლილი.

გლეხთა მიწაზე მიმაგრების ფაქტი ილხანთა ირანში XIII—XIV სს. მიჯნაზე დამაჯერებლად დასაბუთა პროფ. ი. პეტრუშევსკიმ[1].

ზოგიერთი საბჭოთა ისტორიკოსი (ბ. ზახოდერი[2], ა. ალი-ზადე[3] და სხვ.) ბატონყმურ დამოკიდებულებას აღნიშნავს XI—XII საუკუნეებისათვის, ოღონდ იმ შენიშვნით, რომ იმ დროს გლეხთა მიწაზე მიმაგრება მოიცავდა მხოლოდ გლეხობის გარკვეულ ნაწილს და, ამასთან, იურიდიულად ჯერ კიდევ არ იყო გაფორმებული. საწინააღმდეგო მოსაზრებას ადგა ი. პეტრუშევსკი. იგი უარყოფს ბატონყმურ დამოკიდებულებას მონღოლებამდელ მახლობელ აღმოსავლეთში და სცნობს მხოლოდ ფეოდალური დამოკიდებულების იმ ფორმას, რომელიც გლეხთა წოდებრივ არასრულუფლებიანობას გულისხმობს. აზრთა სხვადასხვაობა არსებობს გლეხთა მიწაზე მიმაგრების ხასიათის განსაზღვრაშიც.

პეტრუშევსკი მართებულად მიუთითებს იმაზე, რომ გლეხი აღმოსავლეთში ფაქტიურად მიმაგრებული იყო გადასახადზე, ხოლო გადასახადი გლეხზე. მაგრამ იგი, ამავე დროს, გამორიცხულად თვლის გლეხის მიმაგრებას მიწისმფლობელის პიროვნებაზე. ამით, ცხადია, უგულებელყოფილია გლეხის მიწაზე მიმაგრების მთავარი ელემენტი—მისი დამოკიდებულება ფეოდალზე[4].

---

[1] გლეხთა მიწაზე მიმაგრების საკითხს ი. პეტრუშევსკიმ ორჯერ მიუძღვნა სპეციალური წერილი (წყაროების და საკითხის ლიტერატურის ვრცელი დახასიათებითურთ). პირველად 1947 წელს (იხ. К вопросу о прикреплении крестьян к земле в Иране в эпоху монгольского владычества, ВИ, № 4, 1947), მეორედ 1955 წელს (იხ. О формах феодальной зависимости крестьян в Иране в XIII—XIV вв., СВ, № 5, 1955).

[2] Б. Н. Заходер, История восточного средневековья, М., 1944, გვ. 76.

[3] А. А. Али-заде, К вопросу об институте «икта» при ильханах (XIII—XIV вв.), ССИА, вып. 1, Баку, 1949, გვ. 132; მისივე, Виды земельной собственности и налоговая система ильханов в Азербайджане (XIII-XIV вв.), Известия АзФАН, 1942, № 4.

[4] შენიშვნებს იწყებს აგრეთვე ი. პეტრუშევსკის ზოგიერთი შენედულება გლეხთა მიწაზე მიმაგრების თაობაზე ილხანთა ირანში: 1. გლეხთა მიწაზე მიმაგრება დაკავშირებულია მონღოლურ საფუძველთან (არატის პირადი დამოკიდებულება მონღოლ ნოინზე). 2. გლეხთა მიწაზე მიმაგრების იურიდიული გაფორმების თარიღად მიჩნეულია არა XIII—XIV სს. მიჯნა (ყაზან-ყაენის 1303 წლის იარლიყი), არამედ პირველი მონღოლი ხანების ბატონობის პერიოდი (1220—1256 წწ.). ამრიგად წინა პლანზეა წამოწეული მონღოლების როლი გლეხთა მიწაზე მიმაგრების საქმეში. იხ. И. П. Петрушевский, К вопросу о прикреплении крестьян к земле в Иране в эпоху монгольского владычества, გვ. 67—69; მისივე, Очерки..., გვ. 250.

VI. იმაში, რომ გლეხი მიმაგრებული ყოფილა არა მიწისმფლობელის პიროვნებაზე, არამედ გადასახადზე[1], დანახულია აღმოსავლური ბატონყმობის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი. სმით, ი. პეტრუშევსკის სიტყვით, ბატონყმობა ირანში არსებითად განსხვავდებოდა, მაგალითად, საქართველოსა და რუსეთის ბატონყმობისაგან[2]. ეს, მისი სიტყვით, გამორიცხავდა გლეხის მიწის გარეშე გაყიდვას, სხვის განკარგულებაში გადაცემას ან გაანდერძებას[3]; მუსლიმანური სამართლის მიხედვით გლეხები განიხილებოდნენ როგორც იურიდიულად თავისუფალი ადამიანები[4]; თუმც მიუხედავად ამისა, დასძენს ყველა ამას ი. პეტრუშევსკი, გლეხის პირადი თავისუფლება სხვას არაფერს წარმოადგენდა თუ არა იურიდიულ ფიქციას[5]. სახელმწიფოს ეს სჭირდებოდა იმისათვის, რათა ფორმალურად არ დაერღვია მუსლიმანური სამართლის ნორმა[6].

ყაზან-ყაენის პოლიტიკაში ი. პეტრუშევსკი ხედავს კომპრომისს მონღოლურ იასასა და მუსლიმანურ სამართალს შორის, რამაც თავისი გამოხატულება თითქოს იმაში ჰპოვა, რომ გლეხი მიმაგრებულია აღმოჩნდა არა მიწისმფლობელზე, არამედ გადასახადზე[7].

სხვა მხრივ ი. პეტრუშევსკიმ დამაჯერებლად უჩვენა გლეხთა მიწაზე მიმაგრების ფაქტი ილხანთა ირანში. დოკუმენტური და ნარატიული წყაროების ანალიზის საფუძველზე მან უჩვენა, რომ გლეხებს მოესპოთ ადგილგადანაცვლების უფლება. ამ დასკვნას იგი ავრცელებს სეფიანთა სახელმწიფოს გლეხებზეც. მისი აზრით, XVI—XVII საუკუნეებშიც გლეხებს არ შეეძლოთ თავისუფალი გადანაცვლება ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე.

არსებობდა თუ არა გლეხთა მიწაზე მიმაგრება XVI—XVII სს. ირანში, აღმ. ამიერკავკასიაში?

---

[1] И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 250.

[2] И. П. Петрушевский, О формах феодальной зависимости крестьян в Иране в XIII—XIV вв., გვ. 106.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] იქვე.

[6] იქვე.

[7] И. П. Петрушевский, К вопросу о прикреплении крестьян к земле в Иране в эпоху монгольского владычества, გვ. 67—69; მისივე Очерки..., გვ. 250.

ი. პეტრუშევსკი მიუთითებს, რომ ეს საკითხი თითქმის სრულიად შეუსწავლელია[1]. ამავე დროს, მკაფიოდ იჩენს თავს აზრთა სხვადასხვაობა. ზოგი საბჭოთა ისტორიკოსი უარყოფითი შეხედულებისაა, ზოგი კი მტკიცედ დარწმუნებული გლეხთა მიწაზე მიმაგრების არსებობაში XVI—XVIII სს.

მაგ., ბ. არუთინიანი უარყოფს გლეხთა მიწაზე მიმაგრებას ერევნის სახანოში[2]. არ სცნობს იგი კერძოდ გლეხთა მიწაზე მიმაგრების ფაქტს. დაახლოებით ასეთსავე თვალსაზრისს გამოთქვამს ა. ესაიანი[3]. მისი აზრით, ერევნის სახანოში არსებობდა ბატონყმური მეურნეობის ყველა ძირითადი ნიშანი, გლეხთა ფეოდალის მიწაზე მიმაგრების ინსტიტუტის გამოკლებით[4]. ა. ესაიანი ფიქრობს, რომ გლეხები სარგებლობდნენ ადგილგადანაცვლების უფლებით, აღნიშნავს გლეხთა პირად თავისუფლებას ერევნის სახანოში თვით რუსეთთან შეერთების წინ[5]. მულქადარობას იგი განიხილავს როგორც ბატონყმობის განსაკუთრებულ ფორმას აღმოსავლეთში, რომელსაც დასავლეთის ბატონყმობასთან შედარებით მთელი რიგი სპეციფიკური ნიშნები ჰქონდა, სახელდობრ ის, რომ მულქადარობა არ ნიშნავდა გლეხთა მიწაზე მიმაგრებას. ამ მოვლენის ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანი, მისი აზრით, იყო თავისუფალი ადგილგადანაცვლების უფლება[6].

გლეხთა პირად თავისუფლებას ერევნის სახანოში რუსეთთან შეერთების წინ აღნიშნავენ სხვა სომეხი ისტორიკოსებიც[7].

---

[1] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 110.

[2] Б. М. Арутюнян, Крупное монастырское хозяйство в Армении в XVII—XVIII вв., გვ. 19—20.

[3] А. Есаян, Поземельная собственность в бывшем Ереванском ханстве, გვ. 301—304.

[4] იქვე, გვ. 303.

[5] იქვე, გვ. 304.

[6] «Мюлькадарские и тиульные крестьяне, при наличии известных условий, свободно могли оставлять земли прежних владельцев и переходить к другим владельцам. Нам думается, что именно в этом надо искать различие восточного феодализма от феодализма Запада, а не в том, что на Востоке вообще отсутствовало право частной собственности на землю и что мюлькадары были только простыми участниками в доходах казны, как это утверждают Шопен и многие другие авторы». А. Есаян, დასახ. ნაშრ., გვ. 301.

[7] Х. Г. Гуланян, Очерки истории армянской экономической мысли XIX века, М., 1955, გვ. 21. ხ. გულანიანი უარყოფს საქართველოსათვის და რუსეთისათვის დამახასიათებელი ბატონყმობის არსებობას სომხეთში. იქვე, გვ. 21—22.

სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებისაა ამ საკითხში პ. არუთინიანი, იგი არა მარტო ხედავს ბატონყმურ დამოკიდებულებას ერევნის სახანოში, არამედ ცდილობს უჩვენოს ქართული ბატონყმობის მსგავსი ფეოდალური ექსპლოატაციის ფორმებიც[1].

აზერბაიჯანელი ისტორიკოსის ი. ჰასანოვის შეხედულებით აზერბაიჯანში გლეხები მიწაზე მიმაგრებული იყვნენ XIX საუკუნემდე დიდი ხნით ადრე: «Архивные документы показывают, что в первой половине XIX в., как, впрочем, и задолго до этого, крестьяне Азербайджана были прикреплены к земле, хотя это и не нашло отражения в законодательных актах. Беглых крестьян ловили и возвращали владельцам. Для поимки беглых крестьян власти специально посылали чиновников»[2]. ავტორს ფაქტები მოაქვს მხოლოდ XIX ს-ის პირველი ნახევრიდან. იმავე XIX ს-ის პირველ ნახევარს ეხება ი. პეტრუშევსკის მონოგრაფიულ გამოკვლევაში მოტანილი ფაქტები, რომელთაც ი. ჰასანოვი თავისი დებულების შესამაგრებლად იმოწმებს[3].

ი. პეტრუშევსკის აზრით, XVI—XVII სს. ირანში და აღმ. ამიერკავკასიის სახანოებში გლეხები მიმაგრებული არიან მიწაზე. თუმც მის ამ შეხედულებას თან ახლავს მთელი რიგი შენიშვნები, ზოგჯერ

---

[1] პ. არუთინიანი ი. პეტრუშევსკის შეხედულების გამო, რომლითაც ქართულ ფეოდალურ ურთიერთობათა თავისებურება განსხვავებულია „კავკასიის სომხეთის“ ფეოდალური ურთიერთობისაგან, შენიშნავს: «это замечание в отношении «Кавказской Армении» нам кажется не убедительным. Армянское духовенство и феодалы «Кавказской Армении» поддерживали теснейшую связь с грузинскими феодалами и, начиная с XII—XIII вв., «Кавказская Армения» иногда целиком, а иногда частями, вплоть до первой четверти XIX в., находилась под властью грузинских царей. На протяжении этого времени формы эксплуатации грузинских и армянских крестьян имели много общего. Судебник Мхитара Гоша, переводившийся с армянского на грузинский язык и действовавший в грузинской феодальной среде, не мог не действовать в армянской феодальной среде. Во всяком случае, в «Джамбре» Симеона Ереванци (стр. 158 и др.) можно проследить отражение грузинских феодальных отношений в Ереванском ханстве. Рукопись № 3031 (Матенадаран) свидетельствует о том, что в северных и северо-восточных округах Армении, которые в XVI—XVIII вв. находились в составе Грузинского царства (Лори и другие округа), земельные отношения испытывали влияние грузинского феодализма». П. Т. Арутюнян, დასახ. ნაშრ., გვ. 35, შენ. 1.

[2] И. Гасанов, К вопросу о владельческих райятах в Азербайджане в первой половине XIX века, გვ. 69.

[3] И. Петрушевский, Очерки..., გვ. 258—262.

კი თავს იჩენს აშკარა წინააღმდეგობები. ეს, როგორც ჩანს, აიხსნება საკითხის სრული შეუსწავლელობით, რაზედაც თვითონ მკვლევარი მიუთითებს კიდეც.

ი. პეტრუშევსკი აღნიშნავს, რომ XVI—XVII სს. საბუთებში არ გვხვდება პირდაპირი ჩვენებანი გლეხთა მიწაზე მიმაგრების თაობაზე აზერბაიჯანსა და სომხეთში[1]. სამაგიეროდ XVII—XVIII სს. ნარატიულ წყაროებში იგი ნახულობს არაპირდაპირ. მითითებებს იმაზე, რომ მონღოლთა ბატონობის დროს არსებული გლეხთა მიწაზე მიმაგრება შემონახულია ყიზილბაშთა სახელმწიფოშიც[2].

როგორია ნარატიული წყაროების მონაცემები?

ი. პეტრუშევსკიმ ყურადღება მიაქცია ისკანდერ მუნშის, არაქელ თავრიზელის და ნადირ-შაჰის ისტორიოგრაფის მოჰამედ კაზიმის იმ ცნობებს, რომლებშიაც ლაპარაკია მოსახლეობის (რაიათების, მომთაბარეების) აყრა-გადასახლებაზე შაჰის მთავრობის განკარგულებით[3].

პირველი ცნობა ეხება კახეთში („გურჯისტან-ი კახეთ") დასახლებული შირვანელი და ყარაბაღელი რაიათების მაზანდარანს გადასახლებას 1614/5 წელს. გადასახლების მოტივად ისკანდერ მუნში ასახელებს იმას, რომ ისინი „გურჯისტანის მკვიდრი რაიათები არ იყვნენ"; მეორე ცნობა ეხება ერევნის, განჯის, თავრიზის და „მთელი ადრაბადაგანის" (სამხრეთ აზერბაიჯანის) ოლქების სომეხთა მასიურ გადასახლებას ირანში 1618 წელს „არამკვიდრის" ნიშნის მიხედვით; მესამე—აზერბაიჯანში დაფანტული (მუთაფარიკე) რაიათების და მომთაბარეების თავ-თავის ადგილებში დაბრუნებას 1738 წელს.

როგორც ვხედავთ, მოჰამედ კაზიმის ცნობის გამოკლებით, ყველგან ლაპარაკია ამიერკავკასიიდან მოსახლეობის მასიურ გადასახლებაზე ირანში.

ი. პეტრუშევსკის მეტად დამახასიათებლად მიაჩნია ის, რომ გადასახლება ამ ცნობების მიხედვით ვრცელდება ახლად მოსულებზე და არა თაობიდან თაობაში ერთსა და იმავე ადგილზე მცხოვრებ მოსახლეობაზე. მაგრამ იგივე ისტორიკოსები, როგორც ცნობილია, ლაპარაკობენ ქართველების ირანში მასიურ გადასახლებაზეც. „არამკვიდრობის" მოტივი, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში გამორიცხულია ისევე, როგორც ჯულფის სომხური მოსახლეობის ისფაჰანს გადასახლება. ამის გარდა, ი. პეტრუშევსკის მტკიცებას დაბრკოლე-

---

[1] И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 252.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 252—255.

ბას უქმნის ის, რომ კახეთში გამოქცეულ-დასახლებულ შირვანელებს და ყარაბაღელებს აბრუნებენ არა ძველ ადგილებში (შირვანსა და ყარაბაღში), არამედ. მაზანდარანს ასახლებენ. ეს, ი. პეტრუშევსკის აზრით, აიხსნება იმით ,რომ ამიერკავკასიის ქვეყნებიდან აყრილი მოსახლეობის დამცდელი ჰავის მქონე მაზანდარანში გადასახლება შედიოდა შაჰის მთავრობის პოლიტიკურ ანგარიშებში[1]. ვფიქრობთ, მოტანილი არგუმენტი მეტად საეჭვოა გლეხთა მიწაზე მიმაგრების ფაქტის დასამტკიცებლად.

შაჰ-აბასის და ნადირ-შაჰის დროს ამიერკავკასიის მცხოვრებლების მასიური აყრა-გადასახლება და, პირუკუ, ყიზილბაშების გადმოსახლება ამიერკავკასიაში, სრულიად გარკვეულ პოლიტიკურ, სამხედრო და სამეურნეო[2] მიზნებთან იყო დაკავშირებული. ამგვარ ღონისძიებათა პოლიტიკურ და სამხედრო მოტივებს აღნიშნავს ი. პეტრუშევსკიც[3].

უნდა ითქვას, რომ ი. პეტრუშევსკი ფრთხილად ეკიდება ნარატიული წყაროების მონაცემებს. მისი სიტყვით ისინი მთლიანად თუ არ გვარწმუნებენ, მაინც გვაიძულებენ ვიფიქროთ («заставляют предполагать»), რომ სეფიანთა დროს რაიათებს და მომთაბარეებს სპეციალური ნებართვის გარეშე არ შეეძლოთ თვითნებურად მიეტოვებინათ თავიანთი ადგილსამყოფელი[4]. კერძოდ მოჰამედ კაზიმის ცნობაში იგი ნახულობს მითითებას იმაზე, რომ შაჰის მთავრობა გადასახადთა გადამხდელი მოსახლეობის იმ ადგილებში გასაჩერებლად, სადაც ისინი შეტანილი იყვნენ საგადასახადო სიებში, ღებულობდა ღონისძიებებს მოსახლეობის მასიური გაქცევის წინააღმდეგ ეპიდემიების ან სტიქიურ უბედურებათა შემთხვევაში[5].

ამას მოსდევს დასკვნა: «При этом данные источника говорят не о прикреплении райятов и илятов к личности феодального владетеля, а о прикреплении к месту поселения т. е. к хараджу и местным повинностям»[6]. ამრიგად, XVI—XVII სს. ირანსა და აღმ. ამიერკავკასიაში დანახულია მონღოლთა დროინდელი გლეხთა მიწაზე მიმაგრების სრული ანალოგია, რა თქმა უნ-

---

[1] И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 253.

[2] ცნობილია, რომ შაჰ-აბასი დაინტერესებული იყო ამიერკავკასიის კულტურული მიწის მუშაკების ირანში გამოყენებით.

[3] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 255.

[4] იქვე, გვ. 254—255

[5] იქვე, გვ. 255.

[6] იქვე.

და, ანალოგია გავლებულია ი. პეტრუშევსკის თვალსაზრისის შესაბამისად.

XVI—XVII საუკუნეებშიც ი. პეტრუშევსკი გამორიცხავს რაიათების ფეოდალურ მფლობელებზე მიმაგრებას. ოღონდ, მისი განმარტებით. რამდენადაც სახელმწიფო ამა თუ იმ თანამდებობის ადამიანს უთმობდა ხარაჯას (მალუჯათის) წილს და სხვა გამოსაღებების აკრების უფლებას, ზოგჯერ კი მმართველობის უფლებასაც, რაიათები ექცეოდნენ მფლობელთა პირად დამოკიდებულებაში[1]. მაგრამ ი. პეტრუშევსკის დაკვირვებით, წყაროებში არ მოიპოვება მითითება იმის თაობაზე, რომ XVI—XVII სს. მფლობელებს შეეძლოთ თავიანთი ნებით რაიათების ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადასახლება ან ერთი სოფლიდან მეორე სოფელში გადაყვანა[2]. არ გვგონია, რომ აღნიშნული გარემოება გლეხთა მიწაზე მიმაგრების დამამტკიცებელი იყოს. აქ არ ჩანს ბატონყმური მდგომარეობის მთავარი ელემენტები: ადგილგადანაცვლების უფლების მოსპობა და გლეხის მიმაგრება მიწისმფლობელის პიროვნებაზე.

გლეხის მიწაზე მიმაგრებას სრული უეჭველობით მოწმობენ მხოლოდ XVIII ს-ის და XIX ს-ის პირველი ნახევრის საბუთები. ი. პეტრუშევსკის მოაქვს არა ერთი საბუთი, სადაც ლაპარაკია გლეხების ბოძებასა და გასაჩუქრებაზე, გაქცეულ-დაფანტულ გლეხთა ძიებასა და უკან დაბრუნებაზე[2]. მრავლადაა მოტანილი საამისო საარქივო დოკუმენტები ი. ჰასანოვის დასახელებულ ნაშრომებშიც.

ამას დაბრკოლებას სრულიადაც არ უქმნის ის, რომ ბატონყმური მდგომარეობა არ ასახულა კანონმდებლობაში. საზოგადოდ, ფაქტიურად არსებული ფეოდალური ურთიერთობანი სათანადო სისრულით არ გაფორმებულან მუსლიმანურ სამართალში; ისინი არსებობდნენ როგორც ადგილობრივი ადათები და წეს-ჩვეულებები[3].

---

[1] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 255.

[2] იქვე, გვ. 256—262. უფრო დაწვრილებით ბატონყმური მდგომარეობა დახასიათებულია ი. პეტრუშევსკის გამოუქვეყნებელ ნაშრომში: «Ранджбары и крепостничество в Азербайджане во второй половине XVIII—первой половине XIX в.».

[3] «Феодальные отношения в мусульманских ханствах, действительно, тем отличаются от грузинского крепостничества, что первые не нашли того отражения в законодательстве, какое получили вторые в XIV—XV вв. в законах самцхийских атабегов Беки и Акбути, в XVIII в. в законах картлийского царя Вахтанга VI и в других памятниках грузинского позднефеодального права. По сравнению с грузинским феодальным правом мусульманское право оказалось гораздо более консервативным и косным, менее гибким и менее способным в полной мере отразить существовавшие в живой действительности отношения». И. П. Петрушевский, Очерки.., გვ. 263.

ამიტომ 1846 წლის 6 დეკემბრის რესკრიპტით აღმ. ამიერკავკასიაში გლეხები მიწაზე პირველად კი არ იყვნენ მიმაგრებული, როგორც ამას ბურჟუაზიული მკვლევრები ამტკიცებდნენ, არამედ ფორმალურად გაფორმდა წინათ აქ არსებული ბატონყმური მდგომარეობა.

ი. ჰასანოვი მართებულად აღნიშნავს: «Этот рескрипт, адресованный Николаем I на имя кавказского наместника М. С. Воронцова, формально оформил и укрепил существовавшие в Азербайджане на протяжении веков феодально-крепостнические отношения»[1].

გლეხთა მიმაგრება XIX ს-ის პირველ ნახევარში დადასტურებული ფაქტია. ამრიგად, გაბათილებულია რევოლუციამდელი კავკასიისმცოდნეობის ნეგაციური შეხედულებები. ეს შეხედულებანი, როგორც ცნობილია, უარყოფდნენ გლეხთა მიწაზე მიმაგრებას აზერბაიჯანსა და სომხეთში, და მას მხოლოდ საქართველოსათვის სთვლიდნენ დამახასიათებლად. მაგრამ ეს არ წყვეტს გლეხთა მიწაზე მიმაგრების არსებობის საკითხს XVI—XVII საუკუნეებში.

ი. პეტრუშევსკის მიერ საამისოდ დამოწმებული ცნობები (ნარატიული წყაროებიდან) თითქოს არ უნდა მოწმობდნენ გლეხთა მიწაზე მიმაგრების არსებობის ფაქტს XVI—XVII საუკუნეებში. სამაგიეროდ ეს ფაქტი დადასტურებულია XVIII ს-ის მეორე ნახევრის და XIX ს-ის პირველი ნახევრის საბუთებით.

რით უნდა ავხსნათ ეს?

დასმული კითხვა სპეციალურ შესწავლას საჭიროებს. ამიტომ თავს ნებას ვაძლევთ გამოვთქვათ მხოლოდ სახელდახელო მოსაზრება.

უნდა ვიფიქროთ, რომ გლეხთა დაყმევების პროცესი (დაახლოებით XVII ს-ის მეორე ნახევრიდან) მიმდინარეობდა მიწის ფეოდალური გასაკუთრების პარალელურად. ამ პროცესის დასასრულად ჩანს XVIII ს-ის მეორე ნახევარი. საამისო მოწმობაა ამდროინდელი საბუთები.

ი. პეტრუშევსკიმ ყურადღება მიაქცია იმას, რომ საბუთებში, განსაკუთრებით კი ყუბის და ყარაბაღის ხანების ჰოქმებში, ლაპარაკია ბეგებისათვის და ხანის მსახურეულ პირთათვის პირად დამოკიდე-

---

[1] И. М. Гасанов, Из истории феодальных отношений в Азербайджане, გვ. 75—76. 1846 წლის რესკრიპტი სპეციალურადაა შესწავლილი ი. ჰასანოვის საკანდიდატო დისერტაციაში: И. М. Гасанов, Рескрипт 6 декабря 1846 г. (предпосылки и сущность). Автореферат, Баку, 1950.

„ბულებაში არა მარტო სოფლების, არამედ რაიათების წყალობაზეც[1]. ამის გამო ი. პეტრუშევსკი იქვე შენიშნავს: სეფიანი და ავშარი შაჰების ფირმანებში წყალობის ამგვარი ფორმა არ შეგვხვედრიაო[2]. მაშასადამე, ცვლილებები ფეოდალური დამოკიდებულების ფორმაში გამოწვეული უნდა ყოფილიყო თიულის ინსტიტუტის განვითარებით, რის გამოც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი (იხ. აღმოსავლური ფეოდალური მიწისმფლობელობა).

თუ ეს ასეა, მაშინ თიულის ინსტიტუტის თავისებურებას XVI—XVII საუკუნეებში უნდა გაეპირობებინა ფეოდალური დამოკიდებულების იმ ფორმის არსებობა, რომელიც გლეხთა წოდებრივ არასრულუფლებიანობაში იყო გამოხატული.

რა თქმა უნდა, არ შეიძლება დავუშვათ, რომ მიწის ფეოდალური საკუთრების შინაარსობლივად განსხვავებული ფორმები XVI—XVII სს. და XVIII—XIX სს. ფეოდალური დამოკიდებულების ერთსა და იმავე ფორმებს გვაძლევდნენ. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისითაა შესწავლილი გლეხთა მიწაზე მიმაგრების საკითხი XVI—XVII სს. ირანში და აღმ. ამიერკავკასიაში[3].

აქ უნდა გავიხსენოთ კ. მარქსის ნათქვამი, რომ ბატონყმური მდგომარეობა საბეგრო შრომითურთ შეიძლება შერბილებულ იქნას უბრალო სახარკო მოვალეობამდე[4]. ჩვენი აზრით, სწორედ ფეოდა-

---

[1] И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 316.

[2] იქვე.

[3] შეიძლება შეგვნიშნონ, რომ გლეხთა მიწაზე მიმაგრება XVIII საუკუნემდე კარგა ხნით ადრე არსებობდა ილხანთა ირანში და მის სამფლობელოებში. მომთაბარეთა პერიოდული ბატონობის პოლიტიკური და ეკონომიური შედეგები აღმოსავლეთში, სადაც ხშირად „კვლავ თავიდან დაწყებულა განვითარება“, მოულოდნელს და გასაოცარს არ ხდის ამგვარ მოვლენას. ჩვენ ზემოთ დავიმოწმეთ ი. პეტრუშევსკის აზრი, რომ თიულის ინსტიტუტმა XVIII ს-ის მეორე ნახევრის ამიერკავკასიის სახანოებში ძირითადად განვითარების იგივე გზა განვლო, რაც ერთხელ უკვე განვლო იკტას ინსტიტუტმა X—XIII საუკუნეებში. ამის გარდა, ყიზილბაშების და ოსმალების ბატონობის რეაქციული როლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მათ რამდენიმე საუკუნით ხელოვნურად გაახანგრძლივეს განვითარებული ფეოდალიზმის პერიოდი მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში.

[4] „საკუთრების ურთიერთობა იმავდროულად ბატონობის და დამონების უშუალო ურთიერთობად უნდა წარმოსდგეს, მაშასადამე, უშუალო მწარმოებელი წარმოსდგება როგორც არათავისუფალი; ეს კი ის არათავისუფლებაა, რომელიც ბატონყმობიდან საბეგრო შრომითურთ შეიძლება შერბილებულ და დაყვანილ იქნას უბრალო სახარკო მოვალეობამდე“. კ. მარქსი, კაპიტალი, III, ნაწ. 2, გვ. 309.

ლური დამოკიდებულების ეს ფორმა უნდა ყოფილიყო გაბატონებული XVI—XVII სს. ირანში და აღმ. ამიერკავკასიაში.

XVIII—XIX სს. კი რაიათი ბატონყმურ დამოკიდებულებაში მოექცა, იგი მიწაზე იქნა მიმაგრებული და მოესპო ადგილგადანაცვლების უფლება.

ჩვენი მოსაზრების დამასაბუთებელია მიწის ფეოდალური გასაკუთრება XVIII ს-ში.

საინტერესოა, რომ სწორედ ამ დროს ფართოდაა გამოყენებული უშუალოდ დამოკიდებული გლეხის შრომა ფეოდალის პირად მეურნეობაში. საგულისხმო ფაქტია რანჯბარების (უმიწაწყლო, ფეოდალის მეურნეობაში მომუშავე გლეხების) რიცხობრივი გამრავლება. ამავე დროს, რაიათები საბეგრო მოვალეობას ასრულებენ არა მარტო სახელმწიფოს სასარგებლოდ, არამედ კერძო მფლობელთა მიწებზეც (რაიათების იძულებითი მუშაობა წელიწადში რამდენიმე დღის განმავლობაში)[1].

მიუხედავად იმისა, რომ საბეგრო შრომა („ბეგარა"—„სუხრა") ი"შვიათად იყო გამოყენებული ფეოდალის პირად მეურნეობაში, რაიათი ფაქტიურად არაფრით არ განსხვავდებოდა ყმისაგან. „ექსპლოატაციის აღმოსავლური ფორმა", როგორც ქვემოთ ვნახავთ, მეტად თუ არა, ბატონყმურ მდგომარეობაზე ნაკლებ მძიმე არ იყო.

ფეოდალურ აღმოსავლეთში გლეხის ექსპლოატატორი იყო სახელმწიფო, ფეოდალები და მუსლიმანური ეკლესიის ფეოდალური ორგანიზაცია.

გლეხები ისხდნენ დივანის (სახელმწიფოს), ვაკფის (ეკლესიის) და კერძო მფლობელთა მიწებზე (ამლაქები).

გლეხი აღმოსავლეთშიც მიწის ტრადიციული, მემკვიდრეობითი მფლობელი იყო. გლეხის ქონებას და მიწის მემკვიდრეობით მფლობელობას ეწოდებოდა „მულქი".

საგლეხო მულქის მნიშვნელობით იხმარებოდა ტერმინი „ამლაქ-ი რაია" („საგლეხო ამლაქი"). მულქად ითვლებოდა აგრეთვე სასოფლო თემის მიწები („არაზი-ე უმუმი").

გლეხს თავისუფლად შეეძლო მულქის გასხვისება და ყიდვა-გაყიდვა, მაგრამ ახალი მფლობელი ფეოდალის მიმართ ვალდებული

---

[1] И. М. Гасанов, К вопросу о владельческих райятах в Азербайджане, ss. 68.

ყო შეესრულებინა იგივე მოვალეობა, რასაც ძველი მფლობელი ასრულებდა.

საგლეხო მულქი ამ მნიშვნელობით გავრცელებული იყო ირანში, აღმ. ამიერკავკასიაში, შუა აზიაში, ოსმალეთში.

ოსმალეთში გლეხის მულქად ითვლებოდა მისი მიწის ნაკვეთი, ბაღი, ვენახი, სახლი. თითოეულ სახლს მოზომილი ჰქონდა ნახევარი დონუმი მიწა. სოფლის იმ სივრცეს, რომელზეც გლეხი აშენებდა თავისი მეურნეობისათვის საჭირო ნაგებობას, ეწოდებოდა „თ ე თ ი მ ე ი - ს უ ქ ნ ა“, თვითონ მიწას კი მ ი რ ი ან ვ ა კ ფ ი[1].

ამრიგად, მულქად ითვლებოდა არა თვითონ მიწა, რომელიც მირის ან ვაკფის საკუთრებას შეადგენდა, არამედ ბაღი, ვენახი, ყოველგვარი ნარგავის ნაყოფი[2]. ასე რომ, თუ გლეხი მიწას გააცოცხლებდა, ასეთი მიწა წესისამებრ მირის ან ვაკფის საკუთრებად ხდებოდა.

ოსმალეთში გლეხის მემკვიდრეობით ფლობას ეწოდებოდა „თ ა ს ა რ უ ფ“ (ნიშნავს მფლობელობას). გლეხის მიწისმფლობელზე ფეოდალური დამოკიდებულების ფორმა იყო „თ ა ფ უ“ (მიწათსარგებლობის წერილობითი პირობა და სარგებლობის გადასახდელი).

„თასარუფი“ გადადიოდა მამიდან შვილზე. თუ გარდაცვლილ მფლობელს მემკვიდრე არ ჰყავდა, მაშინ მიწისმფლობელი მის თასარუფს აძლევდა მისავე ახლო ნათესავს (ქალიშვილს, ძმას, დას, მამას, დედას) ახალი „თაფუს“ პირობით. შორეული ნათესავები, განსაკუთრებულ შემთხვევებში შვილიშვილების გამოკლებით, პრეტენზიას ვერ განაცხადებდნენ თასარუფზე და ხელს ვერ შეუშლიდნენ მის ნათესავთა წრიდან გამოთიშვას. ქალისათვის თასარუფის მემკვიდრეობით გადაცემა ითვალისწინებდა მის ვაჟებს (ანდა ქმარს), ოღონდ მათ უნდა გადაეხადათ ახალი თაფუ[3].

---

[1] H. A. R. Gibb and Harold Bowen, დასახ. ნაშრ., გვ. 237.

[2] ამ წესს შუა აზიაში ეწოდებოდა „სუქნიათ“. «В понятие «сукнят» включается не только тот или иной материальный объект, но и право на пользование землей, без которой данный объект не имеет ценности». П. П. Иванов, Хозяйство джуйбарских шейхов, гг. 38, 44.

[3] „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ნათქვამია: „უკეთუ ქალი მის მფლობელობაში მყოფ მიწას დაუმუშავებელს და ცარიელს არ დასტოვებს და ახალ სახელმწიფო დავთარში ჩაწერილი (წესების) მიხედვით იხდის ბეჰრესა და გამოსაღებს, მისგან (მიწების) ჩამორთმევა ნება დართული არ არის, და უკეთუ რეაჯადან კვდება ვინმე და მას მიწა რჩება, ეს (მიწა) შვილზე გადადის, როგორც სამკვიდრო მფლობელობა. თუ მას შვილი არა ჰყავს, მის ძმაზე არ გადადის; თა-

ზოგჯერ თასარუფს ორი ან მეტი გლეხი ერთად ფლობდა, სულ ერთია იყვნენ ისინი ნათესავები თუ არა. ამ შემთხვევაში თითოეულის წილი მის პირდაპირ მემკვიდრეზე გადადიოდა, თუმც სხვა ნათესავს თუ ნათესავებს უფლება ჰქონდათ თასარუფის განთავისუფლებული ნაწილი მიეღოთ თაფუს გადახდის პირობით. იმ შემთხვევაში, როცა გლეხს რამდენიმე ვაჟი ჰყავდა, მაშინ ესენი საერთოდ ფლობდნენ თასარუფს. თუ რომელიმე მათგანი მოინდომებდა თავისი წილის სხვისთვის (გარეთ მოსულისთვის) გადაცემას, დანარჩენ ძმებს შეეძლოთ ეს არ დაეშვათ.

თასარუფის გადაცემა თუ გაყიდვა მიწისმფლობელის შეუკითხავად ან უნებართვოდ გაბათილებულად ითვლებოდა („სიფაჰიდენ იზინსიზ ოლან მუამელათ კულიენ ბათილდირ"). თვითონ მიწისმფლობელს თასარუფის სხვა სოფლის გლეხებისათვის გადაცემა მხოლოდ მას შემდეგ შეეძლო, როცა ამას ჯერ მოცემული სოფლის გლეხებს შესთავაზებდა.

საბოგადოდ სახელმწიფოს და მიწისმფლობელის სურვილი იყო ამგვარი რეგლამენტაციით ხელი შეეშალათ თასარუფის დანაწევრებისათვის, უზრუნველეყოთ თასარუფით გლეხთა ოჯახების მუდმივად სარგებლობა[1], რაც ცხადია, ფიქსირებული გადასახადების უდანაკარგოდ აღების მთავარი პირობა იყო.

ოსმალეთში ყველა გლეხს არ ჰქონდა თასარუფი. ასეთი გლეხების დიდი ნაწილი თავისი ნათესავების მფლობელობაში მყოფ მიწებზე მუშაობდა. უთასარუფო გლეხები თასარუფის მქონე გლეხებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდნენ, რომ მათი გადასახადები შედარებით მსუბუქი იყო[2].

გლეხი ოსმალეთში მიწერილი იყო მირზე, ვაკფზე და სიფაჰიზე[3], ე. ი. მიწისმფლობელის პიროვნებაზე. გლეხის სოციალურ და

ფუს წესს დაექვემდებარება. მაგრამ თუ მისი ძმა გადაიხდის თაფუს იმ გამოსაღებს, რომელსაც სხვა იძლევა, მაშინ (მიწა) სხვას არ გადაეცემა. პაპის მიწა მისი შვილის შვილზე არ გადადის". „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", წ. II, ქართული თარგმანი, გვ. I, წ. I, თურქული ტექსტი, გვ. 1.

[1] H. A. R. Gibb and Harold Bowen, დასახ. ნაშრ., გვ. 239—240; თასარუფის დახასიათება დაფუძნებულია სულეიმან 1-ის „კანონ-ნამეზე" და ისმაილ ხუსრევის ნაშრომზე (Ismail Husrev, Türkiye Köy Iktisadiyâti Istambul, 1934).

[2] H. A. R. Gibb and Harold Bowen, დასახ. ნაშრ., გვ. 238.

[3] იქვე, გვ. 241.

ეკონომიურ მდგომარეობას არ ცვლიდა ის, თუ ვინ იყო მიწისმფლობელი: სახელმწიფო, ეკლესია თუ მოსაკარგავე.

ერთი სიტყვით, გლეხი იყო მირის, ვაკფის ან სიფაჰის რაიაკერძოდ თითოეული გლეხი რეგისტრირებული უნდა ყოფილიყო თითოეული სიფაჰის რაიად[1]. ზოგადი წესიდან გადახვევას მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, როცა რამდენიმე საკარგავს ორი ან ამაზე მეტი სიფაჰი ერთდროულად ფლობდა და, ამდენადვე თითოეული მათგანი თანაბრად ახორციელებდა თავის ფეოდალურ უფლებას საერთო გლეხებზე[2]. სხვა შემთხვევაში, როცა გლეხი რეგისტრირებული იყო ორი ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი სიფაჰის რაიად, გლეხი შუაზე უყოფდა მათ გადასახადებს[3]. ზოგიერთი გლეხი, მართალია, არ იყო მიწერილი სიფაჰიზე, მაგრამ ასეთად ჩანს უმიწაწყლო გლეხი, რომლის გადასახდელს, კერძოდ ბენაქს, მირის მოხელე („მევკუფჩე") ყრებდა[4].

საჭიროა აღინიშნოს, რომ აღწერილი მდგომარეობა დამახასიათებელი იყო XVI ს-ის ოსმალეთისათვის, როცა სახელმწიფო კონტროლს უწევდა საკარგავებით სარგებლობას. მდგომარეობა ამ მხრივ მნიშვნელოვნად შეიცვალა XVII—XVIII საუკუნეებში. მიწების მსხვილი ფეოდალების მიერ გასაკუთრებამ და მემკვიდრეობით მფლობელობად გადაქცევამ აღკვეთა საკარგავების მფლობელობის მიხედვით მოძრაობა და გლეხიც საბოლოოდ ერთსა და იმავე ფეოდალზე დამოკიდებული აღმოჩნდა.

ამრიგად, როგორც ვნახეთ, აღმოსავლეთშიც, ისევე როგორც ყველა ფეოდალურ ქვეყანაში, ფეოდალი მიწის მესაკუთრეა, გლეხი მფლობელი.

მდგომარეობას არ ცვლის ის, რომ სახელმწიფო მიწის უზენაეს მესაკუთრედ გამოდის, რამდენადაც მოხელეობის საფუძველზე ან დამსახურება-სამსახურისათვის სახელმწიფოსაგან მიღებული მიწა გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაციისათვის გამოიყენება.

ამასთან, იმის მიუხედავად რომ იმთავითვე არ შეიძლებოდა სახელმწიფო მიწების არც გაყიდვა, არც გასაჩუქრება და არც ვაკფისათვის შეწირვა, მუსლიმანური სამართალი აქედან გამოსავალს იმაში პოულობდა, რომ მესაკუთრედ სცნობდა იმას, ვინც სახელმწიფო მიწაზე ხეხილს გააშენებდა, ვაზს დარგავდა, სარწყავ არხს გაიყვან-

---

[1] H. A. R. Gibb and Harold Bowen, დასახ. ნაშრ., გვ. 241.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

და, ხორბალს ან მრავალწლოვან ბალახს დასთესდა. ამდენადვე დაშვებულად ითვლებოდა არა თვითონ სახელმწიფო მიწის, არამედ აღნიშნული გზით შექმნილი მისი მატერიალური ობიექტების (ბაღის, ვენახის, ყანის, ბალახის და სხვ.) გაყიდვა[1].

სახელმწიფო მიწების კატეგორიას ფეოდალები იყენებდნენ გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაციისათვის.

ფეოდალურ აღმოსავლეთში გლეხობა ორ ძირითად ფენად იყოფოდა: მიწის წვრილმფლობელებად და უმიწაწყლო გლეხებად.

წყაროებიდან აშკარად ჩანს, რომ მიწის მფლობელ გლეხს „რ ა ი ა თ ი“ ერქვა, ხოლო მეიჯარე უმიწაწყლო გლეხს არაბ. „მ უ ზ ა რ ა ნ“ (სპარსულად—„ბ ა რ ზ ი გ ა რ“).

რაიათის ნამდვილ მნიშვნელობას, ამრიგად, გვირკვევს წყაროებში რაიათთან ერთად ჩვეულებრივ მუზარანის დასახელება—„რ ა ი ა თ ვ ა მ უ ზ ა რ ა ნ“. გლეხთა ორი ძირითადი ფენის ამგვარად მოხსენიება, ცხადია, მხოლოდ იმას უნდა მოწმობდეს, რომ რაიათი უმიწაწყლო გლეხისაგან საგლეხო მულქის მფლობელობით განსხვავდება.

„რაიათ ვა მუზარან“ გვხვდება როგორც ადრინდელ (თურქსელჩუკების, მონღოლების...), ისე გვიანდელ (სეფიანთა ხანის) ნარატიულ წყაროებში.

XI—XV სს. წყაროები აშკარად ასხვავებენ ერთმანეთისაგან რაიათს და ბარზიგარს (იგივე არაბ. „მუზარან“)[2]. შაჰ-ჰუსეინის 1708 წლით დათარიღებულ ერთ საბუთში ერთიმეორის გვერდითაა მოხსენებული რაიათი და ბარზიგარი—„რაიათ ვა ბარზიგარან“[3]. აღმ. ამი-

---

[1] შუა აზიის მაგალითზე პ. ივანოვი აღნიშნავს: «Итак, мы можем убедиться, что и на данной категории земель, составлявших формально собственность верховной власти, между этой властью и непосредственными производителями существовало еще посредствующее звено в лице крупного землевладельца, уже от себя сдававшего государственные земли в держание крестьянам. Крестьяне, следовательно, обязаны были теперь помимо общих государственных феодальных повинностей, связанных с пользованием землями мемлеке и падишахи, нести еще новые дополнительные повинности в пользу фактического владельца земли. Таким образом, здесь налицо типичная для феодализма раздробленная и иерархическая форма земельной собственности». П. П. Иванов, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

[2] სინტერესოა, რომ XIII ს-ის მოღვაწის და მეცნიერის ნასირ-ედ-დინ ტუსის „ახლაყ-ი ნასირი“-ში ერთადაა მოხსენებული „ბარზიგარ“ და „დიჰაყინ“ (დეჰყანები). Lambton, დასახ. ნაშრ., გვ. XXIV—XXV. დეჰყანი, როგორც აღვნიშნეთ, ირანში რაიათის სინონიმური მნიშვნელობით იხმარებოდა.

[3] Lambton, დასახ. ნაშრ., გვ. 117.

ერკავკასიის სახანოების საბუთები ერთმანეთისაგან ასხვავებენ რაიათებს და რანჯბარებს, რადგან რანჯბარი თავდაპირველად მეიჯარე გლეხს აღნიშნავდა.

ვფიქრობთ, რაიათის ნამდვილი მნიშვნელობის განმარტებას მეტი დასაბუთება არ სჭირდება. ამიტომ ძნელი არაა იმის გაგება, თუ რა მნიშვნელობით იხმარება, მაგალითად, შუა აზიის საბუთებში „რაია ვა მუზარან", როგორც ეს პ. ივანოვს ეჩვენებოდა[1].

აღმოსავლეთში ყოველთვის დიდი რაოდენობით არსებობდა უმიწაწყლო გლეხობა.

ეს გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, სოციალური ფაქტორით, ხოლო, მეორე მხრივ, ხელოვნური რწყვის რთული სამეურნეო პირობებით. აღმოსავლეთში წყალი მიწის საკუთრების აუცილებელი ელემენტი იყო.

მეიჯარე გლეხების რიცხვს ამრავლებდა როგორც სათემო მიწების დატაცება ფეოდალების მიერ, ისე ომების შედეგად სარწყავი არხების მოშლა.

აღნიშნული ფაქტორები მოქმედებდნენ შუა საუკუნეების მთელ მანძილზე. ამდენადვე შეურყევლად ბატონობდა მიწის იჯარის წესით დამუშავება[2].

უმიწაწყლო გლეხობის დიდი რაოდენობა მუდამ მტკიცე საფუძველს უქმნიდა მიწის იჯარის წესით დამუშავებას.

მიწას იჯარით დასამუშავებლად იღებდა მცირე მიწიანი გლეხიც. ამავე დროს, აღმოსავლეთში ყველა გლეხს არ ჰყავდა მუშა-საქონელი, არ ჰქონდა თესლი, გუთანი, სხვა სამეურნეო საშუალებები. ამ შემთხვევაში, ხარები და თესლი (პლიუს სამეურნეო საშუალებები), მიწასა და წყალთან ერთად, საიჯარო პირობის ერთი ელემენტთაგანი იყო.

ყველა ამასთან ერთად აღმოსავლეთში, როგორც აღვნიშნეთ, მსხვილი მიწისმფლობელობა მუდამ შეთავსებული იყო წვრილ მიწათსარგებლობასთან. თუ უმიწაწყლო ან მცირე მიწიანი გლეხი-

---

[1] П. П. Иванов, დასახ. ნაშრ., გვ. 33, შენ. 3.

[2] მიწის იჯარის წესით დამუშავების გამაპირობებელი მიზეზების შესახებ იხ. А. Ю. Якубовский, Ирак на грани VIII и IX вв., Труды первой сессии арабистов, Л., 1937; მისივე Об исполных арендах в Ираке в VIII в., СВ, ტ. IV, 1947; И. П. Петрушевский, Феодальное хозяйство Рашид ад-дина, ВИ, № 4, 1951; მისივე, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX вв., გვ. 308—310.

ნათვის მიწის იჯარის წესით დამუშავება ეკონომიურ აუცილებლობას წარმოადგენდა, ფეოდალისათვის იგი გლეხთა ექსპლოატაციის ყველაზე მარჯვე ფორმა იყო. ფეოდალი უმჯობესად თვლიდა თავისი მიწების მცირე ნაკვეთებად დანაწევრებას და გლეხებზე იჯარის წესით გაცემას, ვიდრე საკუთარ მეურნეობაში საბეგრო შრომის გამოყენებას.

უეჭველია, ამით აიხსნება, რომ, მაგალითად, XIII—XIV სს. წყაროებში, ი. პეტრუშევსკის დაკვირვებით, არ გვხვდება არავითარი მითითება საბეგრო შრომით დამუშავებული საბატონო მეურნეობის არსებობაზე[1]. საბეგრო შრომა იშვიათად იყო გამოყენებული XVI—XVII საუკუნეებშიც.

მეიჯარე გლეხთა ფენის შიგნით ვხედავთ გარკვეულ განშრეებას იჯარის პირობის („კაბალა") ნიშნის მიხედვით.

VIII ს-ის არაბი მწერლის აბუ იუსუფ იაკუბის „ქითაბ ალ-ხარაჯ"-ში დასახელებულია იჯარის სხვადასხვა ფორმა და საიჯარო პირობის შესაბამისად დასახელებულია მეიჯარე გლეხთა აღმნიშვნელი ტერმინები: „მუზარა", „მუსაკატ", „კაბალა", „ბაკარი", „შარიკი", „მუნასიფი", „მუსთაჯირი", „მუსთაირი" და სხვ.[2]

საყურადღებო ცნობები მოიპოვება მეიჯარე გლეხების შესახებ რაშიდ ედ-დინის წერილებში („მაქათიბ-ი რაშიდი")[3]. აქ ვხვდებით იჯარის ყველა იმ ფორმას, რომელიც გაბატონებული იყო XVI—XX სს. ირანშიც.

XIV ს-ში, ჰამდალაჰ ყაზვინის სიტყვით, მეიჯარე გლეხი მოსავლის 1/3 დივანს უხდიდა, 1/3 მიწისმფლობელს, 1/3 კი თვითონ რჩებოდა[4].

მეიჯარე და მენახევრე გლეხი მიწისმფლობელისაგან იღებდა მიწასა და წყალს, ხოლო თესლი და მეურნეობის სხვა საშუალებები

---

[1] ი. პეტრუშევსკი შემდეგ შენიშვნას აკეთებს: «Мы не имеем в виду здесь сельского хозяйства Грузии и Армении, где формы феодальных отношений резко отличались от форм, существовавших в Иране и других сопредельных странах». И. П. Петрушевский, Феодальное хозяйство Рашид ад-дина, გვ. 97, შენ. 109.

[2] Abu Yusuf Yaqub, Kitab El Kharadj. Le livre de l'impôt foncier, tr. E. Fagnan, Paris, 1921.

[3] Makatibi Rashidi, èd. Shafi, Lahore, 1947, გვ. 12, 182, 235, 236, 244, 246.

[4] Hamdullah Mustaufi, The Geographical, Part of the Nuzahatal-Qulub, ed G. Le Strange. G. M. S. London, Leyden, 1915, გვ. 31.

თვითონ ჰქონდა. ზოგჯერ კი გლეხი ყველა ამას მოკლებული იყო. მაგ., რაშიდ ედ-დინის მიწებზე მსხდარი გლეხები ერთ შემთხვევაში იღებენ მიწასა და წყალს, სხვა შემთხვევაში ხარებს, თესლს და სოფლის მეურნეობის იარაღს[1].

იჯარის ყველაზე კაბალური ფორმა იყო ისეთი საიჯარო პირობა, როცა მიწა, წყალი, თესლი, ხარები და გუთანი მიწისმფლობელს ეკუთვნოდა. ამ შემთხვევაში სანაზღაუროდ მხოლოდ გლეხის შრომა იყო გათვალისწინებული. მოსავალიც ამის მიხედვით ნაწილდებოდა მიწის პატრონსა და მეიჯარე გლეხს შორის. იჯარის ეს ფორმა ირანისათვის დამახასიათებელი იყო არა მარტო შუა საუკუნეებში, არამედ თვით XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე[2] და, ნაწილობრივ, აგრეთვე XX ს-ის მეორე მეოთხედში[3].

მეიჯარე გლეხები არსებობდნენ ამიერკავკასიის სახანოებშიც. მეიჯარე გლეხის აღმნიშვნელი სახელი იყო „აკერი" (ნაწარმოებია არაბ. „აკარ"-იდან) თალიშის სახანოში და არდებილის რაიონში, „რანჯბარი" შაქისა და შირვანის სახანოებში, „იარიკერი" ერევნისა და ნახჭევნის სახანოებში[4].

ამიერკავკასიის სახანოებში იჯარის ყველაზე გავრცელებული ფორმა ითვალისწინებდა მოსავლის ნახევარს[5]. ზოგან კი მიწისმფლობელის სასარგებლოდ მოსავლის 2/5 იყო დაწესებული[6].

გლეხთა ძირითად კატეგორიას ირანში და ამიერკავკასიის სახანოებში რაიათები შეადგენენ. ისინი ცხოვრობდნენ თემებად (ჯამაათი), ჰქონდათ თავისი წარმოების იარაღები (მუშა-საქონელი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი) და პირად შრომაზე დამყარებული კერძო მეურნეობა[7]. მეიჯარე გლეხები კი თემის გარეშე იდგნენ.

მიწებს რაიათებს შორის ანაწილებდა სასოფლო თემი. რაიათები ვალდებული იყვნენ მალუჯათის სახით დივანისათვის და კერ-

---

[1] Makatibi Rashidi, გვ. 12, 244, 246. შდრ. И. П. Петрушевский, Феодальное хозяйство Рашид ад-дина, გვ. 97.

[2] Г. Н. Ильинский, Аграрные отношения в Иране в конце XIX начале XX века. Ученые записки Института Востоковедения, ტ. VIII, გვ. 130—133.

[3] Lambton, დასახ. ნაშრ., გვ. 306—329.

[4] И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 309.

[5] იქვე, გვ. 310.

[6] იქვე.

[7] И. М. Гасанов, К вопросу о владельческих райятах в Азербайджане, გვ. 64.

ძო მფლობელებისათვის მიეცათ თავიანთი მოსავლის 1/5-დან 1/3-მდე[1]. გადასახადებისათვის პასუხისმგებელი იყო სასოფლო თემი. ამიტომ აყრილ-გაქცეული გლეხის საგადასახადო წილი მძიმე ტვირთად აწვებოდათ ხოლმე დარჩენილ გლეხებს.

სომხეთსა და აზერბაიჯანში შეინიშნება გლეხთა კატეგორიების ზოგიერთი სპეციფიკური თავისებურებანი.

ი. შოპენი გლეხთა დამოკიდებულების ნიშნის მიხედვით ერევნის სახანოს სოფლებს ოთხ ძირითად ჯგუფად ჰყოფდა: ბაჰრაკერული, იარიკერული, რანჩბარული და გამოსასყიდად მიცემული[2].

ბაჰრაკერები (ბაჰრას გადამხდელები) იხდიდნენ 10 თუმანს ბინაჩიზე[3] და მიწის მოსავლის 1/3. იარიკერების (მენახევრეების) მდგომარეობა უახლოვდებოდა რანჩბარების (მეიჯარეების) მდგომარეობას; განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ იარიკერებს საკუთარი მეურნეობა ჰქონდათ, რანჩბარები კი „მოჯამაგირეების“ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ[4]. გამოსასყიდად მიცემულ სოფლებში ი. შოპენი გულისხმობს იმ სახაზინო სოფლებს, რომლის შემოსავალი რენტა-ხარკის სახით სარდრის (ხანის) ხაზინაში შედიოდა[5].

აზერბაიჯანში გლეხთა კატეგორიებს შეადგენდნენ: რაიათები, რანჯბარები, ნოქრები.

რანჯბარი აღნიშნავდა არა მარტო მეიჯარე გლეხს, არამედ ფეოდალის პირად მეურნეობაში მომუშავე გლეხსაც. ამგვარ მოვალეობას ეწოდებოდა „უმურ-ი რანჯბარი“ („რანჯბარული მოვალეობანი“)[6]. „მკვიდრი“ რანჯბარების რიგებს ავსებდნენ გამოქცეული გლეხები ან ტყვედ მოყვანილები. მაგრამ ხანს შეეძლო რაიათის რანჯბარად გადაქცევა და მისი გასაჩუქრება[7]. რანჯბარები

---

[1] И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 308.

[2] И. Шопен, Исторический памятник состояния Армянской области в эпоху присоединения её к Российской империи, СПб, 1853, გვ. 988—989. შდრ., А. Есаян, Поземельная собственность в бывшем Ереванском ханстве, გვ. 290—292.

[3] სიტყვა „ბინაჩი“ ნაწარმოებია „ბინა“-დან. ა. ესაიანს იგი რუსულ «тягло»-ს შესატყვისად მიაჩნია, А. Есаян, დასახ. ნაშრ., გვ. 290, შენ. 2. იქვე ი. ბახტაძის წიგნის მიხედვით აღნიშნულია, რომ თითოეულ ბინაჩიზე ერთიდან გლეხის ათ ოჯახამდე მოდიოდა (И. А. Бахтадзе, Податное обложение государственных крестьян Закавказского края, გვ. 20).

[4] А. Есаян, დასახ. ნაშრ., გვ. 290.

[5] იქვე, გვ. 291—292.

[6] И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 316.

[7] იქვე.

ჰყავდათ ხანებს, საერო და სასულიერო ფეოდალებს, მუაფებს, ქეთხუდებს, მოქალაქეებს და სხვ.[1]

მ. ეფენდიევი რანჯბარებს რაიათებისაგან ასხვავებს სრულიად გარკვეული ნიშნებით: რანჯბარ გლეხებს არ ჰქონდათ საკუთარი მეურნეობა, საქონელი, ინვენტარი და მუშაობდნენ ფეოდალების მეურნეობაში[2]. ი. ჰასანოვს მცდარად მიაჩნია ამ შეხედულების დამასაბუთებელი მონაცემები. მას მოაქვს საბუთები, საიდანაც ირკვევა, რომ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო მფლობელთა რანჯბარების გარკვეულ ნაწილს ჰქონდა საკუთარი მეურნეობა. სხვა საკითხია, თუ რამდენად დიდი იყო ეს მეურნეობაო—დასძენს ი. ჰასანოვი[3]. ამასთან ყველგან იგი ამ მეურნეობას სრულიად უმნიშვნელოს უწოდებს.

რანჯბართა ძირითად საქმიანობას მეაბრეშუმეობა შეადგენდა (აკერები თალიშში უპირატესად ბრინჯის ყანებში მუშაობდნენ). თითოეულ აბრეშუმის ბაღზე მიმაგრებული იყო რანჯბარის ერთი ოჯახი[4]. მხოლოდ მათი ერთი ნაწილი, ვისაც მიწა, მუშა-საქონელი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი და თესლი ჰქონდა, მისდევდა მიწათმოქმედებას, რის გამოც ამათ ხაზინა მალუჯათს ახდევინებდა[5]. მაგრამ უმრავლესობა, ი. ჰასანოვის სხვა საბუთებით, მოკლებული იყო მცირე კერძო მეურნეობის ქონების შესაძლებლობას, რადგან არ ჰყავდა მუშა-საქონელი, არ გააჩნდა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, თესლი[6]. განზოგადებისათვის, ჩვენი აზრით, სწორედ უმრავლესობის მდგომარეობაა გასათვალისწინებელი და არა, გამონაკლისს შემთხვევებში, რანჯბარის მცირე კერძო მეურნეობის არსებობის თუნდაც დოკუმენტურად დადასტურება.[7]

ზოგიერთი რანჯბარი, ი. პეტრუშევსკის მოსაზრებით, მიწას ფლობდა არა იმ დროიდან, როცა ის რაიათად იწოდებოდა, არამედ იმ დროიდან, როცა მფლობელი მას მიწას აძლევდა ოჯახის გამოსაკვებად[8]. ი. ჰასანოვი იზიარებს ამ მოსაზრებას იმის კონსტატირები-

---

[1] И. М. Гасанов, Из истории феодальных отношений в Азербайджане, გვ. 33.

[2] М. М. Эфендиев, К вопросу об институте ранджбарства в Азербайджане в XIX в., გვ. 106.

[3] И. М. Гасанов, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

[4] იქვე, გვ. 50.

[5] იქვე, გვ. 49—50.

[6] იქვე, გვ. 50.

[7] ზოგიერთ რანჯბარს საქართველოშიც (ელის ხალხში) საკუთარი მეურნეობა ჰქონდა (იხ. თავი IV, § 3).

[8] И. П. Петрушевский, Ранджбары и крепостничество..., გვ. 93.

სათვის, რომ რანჯბარებს მიღებულ მიწის ნაკვეთებზე შეეძლოთ მეურნეობის წარმოება[1]. ამიტომ რაიათების და რანჯბარების გამმიჯვნელი ზღვარის გავლებისას, მას უფრო მართებულად მიაჩნია: „დავახასიათოთ რანჯბარები ისეთ გლეხებად, რომელთა დიდი უმრავლესობა უმიწაწყლოა ან მცირემიწიანი და რომელთა ექსპლოატაცია საბეგრო შრომის ფორმაში ხორციელდება“[2].

არ გვგონია, რომ პრინციპული განსხვავება არსებობდეს მ. ეფენდიევის და ი. ჰასანოვის შეხედულებებში. რანჯბარის მცირე კერძო მეურნეობა (უფრო ხშირად პატარა ბაღი და ბოსტანი) ალბათ არ ცვლიდა რანჯბარის სოციალურ და ეკონომიურ მდგომარეობას.

რანჯბარების გამრავლება XVIII ს-ში გამოწვეული იყო აბრეშუმით და ბრინჯით ვაჭრობის გაცხოველებით, რაც მსხვილ ფეოდალებს აიძულებდა გაეფართოებინათ თავიანთი მეურნეობანი გლეხთა ზოგიერთი ნაწილისათვის მიწების ჩამორთმევის ხარჯზე[3]. ასე შეიქმნა მსხვილი ფეოდალური მეურნეობანი თალიშში (ჩალთუქის პლანტაციები), შაქსა და შირვანში (აბრეშუმის ბაღები). ი. ჰასანოვის სიტყვით, «Эти хозяйства базировались на труде обезземеленных крестьян, обращенных ханами в своих крепостных»[4].

თვითონ სახელი „რანჯბარი“[5] (ნიშნავს „ტვირთის მზიდველს“, „მშრომელს“) კარგად ახასიათებს გლეხთა ამ კატეგორიის მდგომარეობას. რანჯბარობა ფეოდალური აზერბაიჯანის სპეციფიკური მოვლენა იყო. რანჯბარის ინსტიტუტს არ იცნობდა ირანი.

გლეხთა ყველაზე დაბეჩავებულ კატეგორიას შეადგენდა ნოქრობა.

ნოქრის სამსახურს, მისი მუშაობის ოდენობას, ადგილსაცხოვრებელს მფლობელი განსაზღვრავდა. ფეოდალი თავისი ნება-სურვილით აწესრიგებდა თვით ნოქრის ოჯახურ ცხოვრებას[6].

ნოქრები ემსახურებოდნენ ფეოდალის სახლს. ისინი ასრულებდნენ ყველაზე მდაბალ მოვალეობას.

---

[1] И. М. Гасанов, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

[2] იქვე, გვ. 66.

[3] იქვე, გვ. 32—33.

[4] იქვე, გვ. 33.

[5] „რანჯბარი“ XVII—XVIII სს. ქართულ წყაროებში დამოწმებულია „რანჩბარის“ ან „ლანჩფარის“ სახით.

[6] И. М. Гасанов, К вопросу о владельческих нукерах в Азербайджане в первой половине XIX в., გვ. 86; ბეგების ნოქრების შესახებ იხ. აგრეთვე: И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 315—316.

ზოგჯერ მფლობელი, ნოქრების შენახვის გასაადვილებლად, მათ ნებას აძლევდა გაეშენებინათ პატარა ბაღი და ბოსტანი. მაგრამ, შენიშნავს ი. ჰასანოვი, ეს სრულიადაც არ ცვლიდა იმ ფაქტს, რომ ნოქრებს არ ჰქონდათ საკუთარი მეურნეობა, წარმოების იარაღები[1].

ნოქრები მკვიდრ ჯგუფს შეადგენდნენ. ამავე დროს, მათი რიგების შევსება ხდებოდა გამოქცეული გლეხებით[2]. არც თუ ისე იშვიათად, ფეოდალებს ნოქრებში გადაჰყავდათ რანჯბარები[3]. მაგრამ ნოქრების რიგების შევსების ძირითადი წყარო რაიათობა იყო. ხშირი იყო რაიათის ნოქრად გადაქცევა[4].

ფეოდალის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეები ნოქრებს იყოფდნენ სხვა ქონებასთან ერთად[5].

ფეოდალებს ემსახურებოდნენ აგრეთვე მულაზიმები (ხანის ან ბეგის მცველები), ღოლამები. ესენიც რაიათების რიგებიდან იყვნენ გამოყვანილი. რაიათის მულაზიმად, ნოქრად ან ღოლამად გადაყვანა ხანის ბრძანებით ან იძულებით წარმოებდა[6]. ამრიგად, რაიათები იხდიდნენ არა მარტო ათასნაირ გადასახადს, არამედ მათ ათასგვარი მოვალეობაც მართებდათ. თითოეული სოფელი ვალდებული იყო გადაკვეთილი რაოდენობით გამოეყვანა რანჯბარი, ნოქარი, ღოლამი. ზოგჯერ ისეც ხდებოდა ხოლმე, რომ ხანი ამა თუ იმ სოფლის მულაზიმებს რაიათებთან ერთად უწყალობებდა ხოლმე ბეგებს, მოხელეებს[7].

რაიათებთან შედარებით რანჯბარების, აკერების და ნოქრების რიცხვი მცირე იყო. რანჯბარების რაიათებთან პროცენტული შეფარდება ნაჩვენები აქვს როგორც ი. პეტრუშევსკის[8], ისე (უფრო ვრცლად) ი. ჰასანოვს[9].

XVI—XVIII სს. აზერბაიჯანსა და სომხეთში გარკვეული რაოდენობით არსებობდა ისეთი სასოფლო თემები, რომლებიც არ

---

[1] И. М. Гасанов, დასახ. ნაშრ., გვ. 86.
[2] იქვე, გვ. 85.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე, გვ. 86.
[6] И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 319—320.
[7] იქვე, გვ. 319.
[8] იქვე, გვ. 318.
[9] И. М. Гасанов, Из истории феодальных отношений в Азербайджане, გვ. 44—46.

იმყოფებოდნენ ფეოდალურ დამოკიდებულებაში[1]. ესენი, გლეხთა ან სოფლებისაგან განსხვავებით, რომელნიც დივანს (სახელმწიფოს), ხანის ოჯახს, ვაკფს ან კერძო მფლობელებს ეკუთვნოდნენ, იხდიდნენ მალუჯათის მხოლოდ იმ წილს, რომელიც დივანში შესატანად ჩვეულებრივ მულქებზე იყო დაწესებული[2]. ისინი განთავისუფლებული იყვნენ მულქადარის სასარგებლო წილისა და სხვა გამოსაღებ-ვალდებულებებისაგან. მათი სახლ-კარი, ბაღები, ვენახები და საერთო სარგებლობაში მყოფი სახნავ-სათესი მიწები, ითვლებოდა მათ პირად მულქად და შეეძლოთ მისი გაყიდვა[3].

აღსანიშნავია, რომ XVI—XIX სს. ზოგიერთი გლეხი ითვლებოდა „მუაფად“ (გათარხნებულად)[4]. ასეთი გლეხი განთავისუფლებული იყო ყოველგვარი გადასახადისაგან. მას მხოლოდ ფეოდალურ ლაშქარში („ჩერიქ“) მონაწილეობა მართებდა.

მაგრამ „მუაფი“ XVIII ს-ის აზერბაიჯანის და სომხეთის დამოუკიდებელ სახანოებში, დავიწროებული და სპეციალური მნიშვნელობით, ეწოდებოდა წვრილ მიწისმფლობელთ, რომლებიც თავიანთი საზოგადოებრივი მდგომარეობით ბეგებზე და ზოგჯერ თვით ზოგიერთ გლეხებზე და მომთაბარეებზე დაბლა იდგნენ[5]. მუაფების რიცხვი დიდი არ იყო. ისინი, როგორც სამხედრო მსახურები, შეადგენდნენ ამიერკავკასიის სახანოების ძირითად სამხედრო ძალას XVIII ს-ში[6]. მუაფებისაგან შემდგარი ფეოდალების (ხანების, სულტნების) რაზმები გამოყენებული იყო გლეხთა დასამორჩილებლად და მათი აჯანყებების ჩასაქრობად.[7]

---

[1] ი. პეტრუშევსკი შენიშნავს: «Каково происхождение свободных крестьян-общинников и их мульков в Азербайджане и Армении в XVI—XVIII вв., пока сказать трудно. Несомненно одно, что даже к началу XIX в. не всё азербайджанское и армянское крестьянство было закрепощено». И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 240. იქვე მოტანილია XVIII ს-ში საგლეხო მულქების დიდი რაოდენობით შესყიდვის ფაქტები ბეგების, ქალაქის ვაჭრების, მევაჭრეების და სხვა ძლიერი ადამიანების მიერ.

[2] იქვე, გვ. 239—240.

[3] И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 240.

[4] XVI—XIX სს. არაბ. „მუაფი“ (მისი სპარსული შესატყვისი იყო „აზადი“) ფართო გაგებით აღნიშნავდა ყოველგვარ პირს ან ყოველგვარ კოლექტივს (სასოფლო თემს, მომთაბარულ ტომს, მოქალაქეთა საზოგადოებას, დერვიშთა ხანაკას, ქრისტიანთა მონასტერს), რომლებიც გათარხნებული იყვნენ როგორც დივანის, ისე მფლობელის და კოლექტივის მეთაურის სასარგებლო გადასახადებისაგან. И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 180.

[5] იქვე, გვ. 182.

[6] იქვე, გვ. 183.

[7] იქვე.

მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში და აღმ. ამიერკავკასიაში უმრავლესობას შეადგენდნენ სახელმწიფო გლეხები. XVI — XVIII სს. ამიერკავკასიაში ისინი დივანის მიწებზე ისხდნენ, XVIII — XIX სს. კი ხანების (უკეთ ხანის დივანის) მიწებზე.

სახელმწიფო და კერძო მიწისმფლობელთა გლეხების ფეოდალური ვალდებულებანი ერთნაირი იყო.

წყაროები არ უჩვენებენ რაიმე განსხვავებას რაიათების ფეოდალურ ვალდებულებებში დივანის (სახელმწიფოს), მულქადარების, თიულდარების, სოიურღალის მფლობელების ან ვაკფის გამგებლის (მუთავალის) მიმართ[1]. იგივე უნდა ვთქვათ ოსმალეთის რაიათების ფეოდალური ვალდებულებების შესახებ მირის, ვაკფის, თიმარ-ზეამეთების მფლობელების და მულქადარების მიმართ.

ი. პეტრუშევსკის აზრით, მულქების და თიულების მფლობელები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მხოლოდ თავიანთი მფლობელობითი უფლებების პირობითი ან უპირობო ხასიათით; აგრეთვე რენტა-ხარკის იმ წილის განსხვავებული ოდენობით, რომელიც მათთვის იყო გადაკვეთილი; განმასხვავებელი ნიშანი არ ჩანს რაიათულ ვალდებულებებშიც; მიწისმფლობელის სხვადასხვა სახეობისათვის წყაროები საერთოდ ასახელებენ რაიათებზე დაწესებულ ერთსა და იმავე გადასახადებსა და ვალდებულებებს[2]; შეფარდება დივანისა და მიწისმფლობელის სასარგებლოდ გამოყოფილი რენტა-ხარკის ნაწილებს შორის ცვალებადობას განიცდიდა ამა თუ იმ ოლქისათვის დამახასიათებელი ჩვეულებების, მოცემული სოფლის მიწისმფლობელობის ამა თუ იმ კატეგორიისადმი კუთვნილების და, დასასრულ, საგადასახადო იმუნიტეტის მიხედვით; უკანასკნელ შემთხვევაში მიწისმფლობელის ხელში გადადიოდა უკლებლივ ყველა გადასახადის მოკრეფის უფლება, მაგრამ გლეხისათვის ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა, რამდენადაც ამით რენტის ოდენობა არ იცვლებოდა[3].

---

[1] И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 263; П. Арутюнян, Освободительное движение..., გვ. 38.

[2] «Разграничить повинности на группы по принципу отбывания их в пользу государства или землевладельцев невозможно, так как право на одни и те-же подати и повинности принадлежало в разных случаях то государству, то землевладельцам, в зависимости от категории землевладения (земли дивани, хассе, мульк, вакф, тиул, сойюргал)». И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 263.

[3] იქვე.

რაც შეეხება რენტის ფორმების ნაირსახეობას, ეს დამოკიდებული იყო მოცემული რაიონის ეკონომიურ პირობებზე.

ის გარემოება, რომ აღმოსავლეთში „რენტა და გადასახადი ერთმანეთს თანაემთხვეოდა“, რა თქმა უნდა, არ ცვლიდა რენტის ფეოდალურ ხასიათს: „როგორიც უნდა იყოს რენტის სპეციფიკური ფორმა, ყველა მის ტიპს საერთო ის აქვს, რომ რენტის მითვისება არის ის ეკონომიური ფორმა, რომელშიაც რეალიზაციას იღებს მიწის საკუთრება, და რომ მიწის რენტა, თავის მხრივ, გულისხმობს, მიწის საკუთრებას, განსაზღვრულ ინდივიდუმთა საკუთრებას დედამიწის განსაზღვრულ ნაკვეთებზე“[1].

გადასახადების ნაირსახეობანი და შინაარსობლივი თავისებურებანი აღმოსავლეთშიც შეპირობებული იყო მრავალი ფაქტორით. ამ მხრივ აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ირანის და ოსმალეთის სახელმწიფოებში შედიოდნენ სხვადასხვა ქვეყნები და ხალხები, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების, მეურნეობის და კულტურის განსხვავებულ დონეზე იმყოფებოდნენ[2]. სწორედ საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულების შედეგად ნაჩვენებია, მაგალითად, აზერბაიჯანსა და სომხეთში ბევრი ფეოდალური ინსტიტუტის თავისებურება.

როგორც ირანში, ისე ოსმალეთში კანონიერად 4 გადასახადი ითვლებოდა: 1. უ შ რ ი, 2. მ ა ლ ი ა ნუ მ ა ლ უ ჯ ა თ ი (ოსმალეთში „ხ ა რ ა ჯ ი“), 3. ჯ ი ზ ი ა და 4. ზ ა ქ ა თ ი. მაგრამ დიდი ხანი იყო უკვე ერთმანეთში არეული კანონიერი და არა კანონიერი („ავარიზათ-ი ჰუქმი ვა ღეირ-ი ჰუქმი“) გადასახადები.

„ ა ვ ა რ ი ზ“ ან „ ა ვ ა რ ი ზ ა თ“ (რომელიც ერთგვარ მსგავსებას ამჟღავნებს ქართ. „უდებთან“) ჰქმნიდა გადასახადების მთელ სერიას, რადგან იგი სულ ახალი და ახალი გადასახადების დაწესების შესაძლებლობას იძლეოდა. ასევე ოსმალეთში კანონიერი გადასახადების („რუსუმი შერიე“) გვერდით იმავე ავარიზათის საშუალებით იქმნებოდა ახალი გამოსაღებები, დიდდებოდა უკვე არსებული გადასახადების ოდენობა. წყაროები ასხვავებენ „ასლ“-ს (თავდაპირველს, ადრინდელს—შდრ. ქართ. „თავი ბეგარა“ და „სხუაი ბეგარა“) გადიდებული გადასახადებისაგან. საამისოდ არსებობდა სპეციალური ტერმინი „თაფავუთ“, რაც განსხვავებას ნიშნავს და მკაფიოდ მი-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, III, ნაწ. 2, გვ. 313.
[2] П. А р у т ю н я н, დასახ. ნაშრ., გვ. 105.

უთითებს იმაზე, თუ რა ადგილი უნდა დაეჭირა მას გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაციის გაძლიერების საქმეში.

ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ, ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲬᲔᲡᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲔᲑᲡ („იხრაჯათ“) დივანის ხარჯების დასაფარავად („იხრაჯათ-ი დივანი“, „იხრაჯათ-ი მამლაქათი“). ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲘᲧᲝ ᲒᲚᲔᲮᲗᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲔᲒᲐᲠᲐ („ᲑᲘᲒᲐᲠ“, „ᲡᲣᲮᲠᲐ“).

სახელმწიფოს გლეხები ბეგარაზე ზოგჯერ ისე გამოჰყავდათ, რომ სრულიად არ ითვალისწინებდა იმას, რომ ისინი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს მოსცდებოდნენ.

სახელმწიფო ბეგარა გლეხს მეურნეობის ნორმალურად წარმოების საშუალებას უსპობდა.

ბეგარის ყველაზე გავრცელებული ფორმა აღმოსავლეთში, როგორც არა ერთგზის შევნიშნეთ, გულისხმობდა გლეხების მონაწილეობით ქალაქის კედლების აგებას, ციხე-სიმაგრეების და სასახლეების მშენებლობას, სარწყავი არხების აშენებას და მოვლა-შეკეთებას, გზების, ხიდების გაყვანას, ტვირთის ზიდვას (უპირატესად სამხედრო) და სხვ. ნაკლებ, შეიძლება ითქვას უმნიშვნელოდ, იყო გამოყენებული ბეგარის ის ფორმა, რომელიც გულისხმობდა გლეხის მუშაობას ფეოდალის პირად მეურნეობაში. ცხადია, ბეგარის ეს ფორმა გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მეურნეობა არსებობდა.

მრავალრიცხოვანი გადასახადების წყალობით გლეხს რეპროდუქციისათვის აღარაფერი რჩებოდა.

მონღოლთა ბატონობის დროიდან მოკიდებული განუხრელად იზრდებოდა ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ (მუთავაჯიჰათ-ი დივანი—სინონიმები: ვუჯუჰათ, ჯიჰათ, თაქალიფ-ი დივანი, თაჰმილიათ-ი დივანი, ითლაკათ-ი დივანი), ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲣᲠᲘ (სამასპინძლო, ფეშქაში, სალამათი და ბაზდიდი—ფეოდალის სოფელში მოსვლის და წასვლის აღსანიშნავად—ტვირთისა და შეშის ზიდვა, შიქარი და ჯერგა (ნადირობასთან დაკავშირებული მუშაობა), ᲡᲐᲛᲔᲤᲝ (მუთალიბათ-ი სულტანი, იხრაჯათ-ი შაჰზადე— საუფლისწულო), ᲡᲐᲛᲝᲮᲔᲚᲔᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ გამოსაღები და გადასახადები.

მეტად მძიმე იყო გლეხობისათვის მრავალრიცხოვანი საფინანსო მოხელეების (უმალ) და მათი ამალის დაბინავება-გამასპინძლებისათვის დაწესებული გადასახად-ვალდებულებანი (ულაღი, ულუფე, ალაფე, სალამი, ფეშქაში, ულამი (გზაზე გაძღოლა უსასყიდლოდ),

ყონალღა...), ლაშქრის შესანახი ხარჯი (სურსათი, ულუფე, ალაფე) და ბეგარა (ციხის მუშაობა, სამხედრო ტვირთის გადაზიდვა).

გლეხს უნდა თავის სახლში დაებინავებინა მოხელე (ყონალღა), მისი ამალა, გამასპინძლებოდა მათ და საკვები მიეცა მათი ცხენებისათვის[1]. გლეხი ვალდებული იყო საჭმელ-სასმელით უზრუნველეყო მის სახლში „ჩამომსხდარი ყიზილბაში მეომრები და ნოქრები და თანაც „საჩუქრები“ მიერთმია მათთვის[2], სწორედ ამ ნიადაგზე წარმოიშვა ხალხში ირონიული გამოთქმა „დ ი შ ქ ი რ ა ს ი“—სიტყვა-სიტყვით ნიშნავს მოხელის „კბილის გაცვეთისათვის“ დაწესებულ გადასახადს[3].

XVI—XVIII სს. ირანში (აგრეთვე აღმ. ამიერკავკასიაში) დამოწმებული აუარებელი გადასახადებიდან ზოგი სასანური ირანიდან და არაბთა სახალიფოდან მომდინარეობდა (ხარაჯა, უშრი, ჯიზია, ბეგარა), ზოგი თურქ-სელჩუკთა და მონღოლთა დროიდან (მუთავაჯიჰათ-ი დივანი, იხრაჯათ, ულუფე, ალაფე, ულაღ, ჩერიქ), ზოგიერთ ტერმინს ვხვდებით აყ-ყოინლუს ფადიშაჰების დროინდელ ფირმანებში (მალუჯათი, თაფავუთი, თაუჯიჰათი, ყონალღა, ულამი, შილთაკათი, ავარიზათი, რუსუმი, დარუღეგი, საერი, ფიშქეში, ჯიჰათი, შიგარი)[4]. ზოგი გადასახადი სეფიანთა დროს გაჩნდა. ზოგსაც სახელი შეეცვალა, მაგრამ გადასახადის შინაარსი ძველი დარჩა (მაგ., „ჩობანბეგი“ ანუ „ქოდავი“—საბალახე).

თუ რამდენად მცირედ არის შესწავლილი ირანული გადასახადები კარგად ჩანს იქიდან, რომ ვ. მინორსკის[5] და ი. პეტრუშევსკის[6] ნაშრომებში დასახელებული გადასახადების გარდა, როგორც ჩანს, უკვე XV საუკუნეში ცნობილი იყო შემდეგი გადასახადები:—„მუშთულუკ“ (სამახარობლო), „იამბარდარ“ (საიამე), „დასტანდაზი“, „შილან ბაჰა“ (გადასახადი სადღესასწაულო დღეებში თავმოყრისა-

---

[1] ი. პ'ეტ რ უ შ ე ვ ს კ ი ს ოლვარის თხზულებიდან დამოწმებული აქვს ცნობა, საიდანაც ჩანს თუ როგორ გაუმასპინძლდნენ 1636 წელს აზერბაიჯანზე გზად მიმავალ ჰოლშტინის ელჩობას სოფ. ნიზაბადის გლეხები. ადგილობრივმა ქევხამ (ქეთხუდამ) ელჩს და მის ამალას მიუყვანა 2 ცხენი, 2 ხარი, 12 ცხვარი, 20 ქათამი, მიუტანა 5 ტომარა ხორბლის ფქვილი, 2 კალათა ვაშლი, 3 დიდი დოქი ღვინო და დოქებით სუფთა წყალი, რაც მეტად იშვიათი რამ არის იმ ადგილებში. И. П. П е т р у ш е в с к и й, Очерки..., გვ. 275.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 265.

[5] V. M i n o r s k y, A Soyurghal of Qasim Aq-Qoyunlu, სპარს. ტექსტი, გვ. 930, ინგლ. თარგმანი, გვ. 933.

[6] И. П. П е т р у ш е в с к и й, დასახ. ნაშრ., გვ. 265—294.

თვის), „სუფრებაჰა“ (გადასახადი საქეიფო სუფრის გაწყობისათვის), „სარღუ“ (Sarghu), „გუსფენდი“ და სხვ.[1]

მრავალრიცხოვანი გადასახადები არსებობდა ფეოდალურ ოსმალეთშიც: უშრი, ხარაჯა, ჯიზია, ზაქათი, ისლენჯი, ბენაქი, სალარიე, ფექმეზი ანუ კუფთერი, ადეთი ალნამი, აჯილ რესმი, მარიფეთ აკჩესი, ჩიფ აკჩესი, ურუს რესმი (საქორწინო) და სხვ.

ოსმალეთში, ისევე როგორც ყველა მუსლიმანურ ქვეყანაში, ხარაჯას აღების ორნაირი წესი არსებობდა: ხ ა რ ა ჯ ი მ უ კ ა ს ა მ ა და ხ ა რ ა ჯ ი მ უ ვ ა ზ ა ფ. პირველ შემთხვევაში გათვალისწინებული იყო მოწეული მოსავლის წილი, მეორე შემთხვევაში მიწის მოცულობა, როცა გლეხი ვალდებული იყო გადაეხადა წინასწარ გადაკვეთილი გადასახადის ოდენობა. გადასახადის აკრეფის დროს, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მიიღებოდა ის, თუ როგორი მოსავალი მოუვიდა გლეხს.

ირანელი და ოსმალო ფეოდალების დიდი უმეტესობა არ ცხოვრობდა ნაწყალობევ მიწებზე და იქ არც არავითარ მეურნეობას მისდევდა. ისინი მხოლოდ გადასახადების მიღებით იყვნენ დაინტერესებული. იგივე უნდა ვთქვათ მულქადარებზე, რომლებიც, აგრეთვე, მეურნეობის წარმოებას გადასახადების აკრეფას ამჯობინებდნენ. მხოლოდ ზოგიერთი ფეოდალი ამუშავებდა თავის „ამლაქს“ (ირანში) და „ჩიფთილიკს“ (ოსმალეთში) პირადი მეთვალყურეობით ან მოურავების საშუალებით.

როგორც წინარე საუკუნეებში, ისე XVI—XVII სს. შედარებით უკეთესი იყო იმ გლეხების მდგომარეობა, რომლებთანაც მიწისმფლობელები უშუალო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ (სიფაჰი და მულქადარი ოსმალეთში, მულქადარი და სოიურღალის მფლობელი ირანში). ამიტომ გლეხები უფრო ხშირად ახლაც სახელმწიფო მიწებიდან გარბოდნენ. მათ ხალისით იღებდნენ და თავიანთ მიწებზე სვამდნენ კერძო მიწისმფლობელები.

სახელმწიფო გლეხებში გადასახადების მოკრეფა „მუთასარიფების“ (ირანში) და „მულთაზიმების“ (ოსმალეთში) ხელთ იყო. ფაქტიურად ესენი გადასახადების შემსყიდველები იყვნენ. და რაკი დროებით ჰქონდათ მიცემული გადასახადების აკრეფის უფლება, ჩქარობდნენ იმაზე მეტი აეკრიფათ, ვიდრე ეს „ბარათებით“ ან საგადასახადო ნუსხებით იყო გათვალისწინებული.

---

[1] **L a m b t o n**, დასახ. ნაშრ., გვ. 102—103. ლამბტონს დამოწმებული აქვს ამირ ალვანდის 1498—99 წწ. დათარიღებული სასოიურღალო ფირმანი.

თასილდარ-მუთასარიფების შუამავლობა გლეხებსა და მიწის-მფლობელებს შორის „ბარათების“ განაღდების ათასნაირ საშუალებას იძლეოდა. უმნიშვნელო წილი მოსავალში გლეხს ძლივს ჰყოფნიდა ოჯახის გამოსაკვებად. გლეხის შრომა ინახავდა მოხელე-ფეოდალებს, ლაშქარს, სახელმწიფოს. ამას, სხვათა შორის, აღნიშნავს ეკონომიური ტრაქტატების უკლებლივ ყველა ავტორი უკვე VIII საუკუნიდან მოყოლებული.

აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი „სახარკო სისტემა“ (კ. მარქსი) და „ექსპლოატაციის აღმოსავლური ფორმა“ (ფ. ენგელსი) ორგანულად იყო დაკავშირებული ფეოდალური ურთიერთობის თავისებურებასთან. გადასახადების მოკრეფა ნაგვიანევი ხანის აღმოსავლეთში ბასკაკური ხასიათის მატარებელი იყო. ამდენადვე ცხადი უნდა იყოს, თუ რაში იყო განსხვავება ქართულ საგადასახადო სისტემასა და აღმოსავლურ საგადასახადო სისტემას შორის, რაც ლიტერატურაში აღნიშნული არის კიდევაც[1].

აღმოსავლეთში ფეოდალის და გლეხის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად არ არსებობდა არავითარი რეგლამენტაცია (ეს გარემოება აღნიშნული აქვთ ი. პეტრუშევსკის, ი. ჰასანოვს, ა. ესაიანს და სხვ.). „ბატონყმურ რიგს“ ან „დებულებას“ ფეოდალური აღმოსავლეთი არ იცნობდა. ეს ფართო ასპარეზს უქმნიდა ფეოდალების თვითნებობას, გადასახადების განუხრელ ზრდას, აღვირახსნილ ექსპლოატაციას.

ა. ჰაკსტჰაუზენი წერდა: «Персидские крестьяне лично свободны, но несравненно угнетеннее и более заслуживают сожаления, нежели крепостные»[2].

მეფის მთავრობის მოხელეები აღნიშნავდნენ რაიათების, რანჯბარების, ნოქრების მძიმე მდგომარეობას. მთავარმართებელ ა. ერმოლოვის ჩანაწერებში ნათქვამია: «В татарских дистанциях Борчалинской, Казахской и Шамшадильской, агалары (род дворян) издавна присвоили себе такую степень власти над черным народом, что сей последний делаются совершенно рабами. Не было повинности определенной, не было собственности, которую агалар не мог присвоить по произволу»[3].

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, გვ. 126.

[2] А. Гакстгаузен, Закавказский край, ტ. I, გვ. 246. დამოწმებულია ა. ესაიანის მიხედვით: А. Есаян, Мулькадарское право в Армении, გვ. 64.

[3] Записки Алексея Петровича Ермолова, ნაწ. 2, 1816—1287, М., 1868, გვ. 39—40. კურსივი ეკუთვნის ი. ჰასანოვს, რომლის მიხედვით ვიმოწმებთ ერ-

გლეხთა ვალდებულებათა რეგლამენტაციის პირველი ცდა ეკუთვნის 1812 წელს[1]. მაგრამ საამისოდ გამოქვეყნებული ინსტრუქციები ყოველნაირად უზრუნველყოფდნენ ფეოდალების ინტერესებს[2]. ამის მიუხედავად, ფეოდალები სისტემატურად არღვევდნენ ინსტრუქციებს[3]. ფაქტიურად უშედეგოდ დამთავრდა გლეხთა ვალდებულებათა მეორე (1817 წ.) და მესამე (1824 წ.) რეგლამენტაციის ცდაც[4]. ამგვარი მდგომარეობა გაგრძელდა 1846 წლის რესკრიპტის გამოქვეყნებამდე.

ირანში და ოსმალეთში მთავრობას აზრადაც არ მოსდიოდა გლეხთა ვალდებულებათა რეგლამენტაცია.

„თათრის ხარაჯობას" (ქართველ გლეხთა საბუთების გამოთქმაა) სრულს გაჩანაგებამდე მიჰყავდა გლეხის მეურნეობა აღმოსავლეთში.

გლეხი აღმოსავლეთში მიმართავდა კლასობრივი ბრძოლის როგორც პასიურ (აყრა-გაქცევა), ისე აქტიურ ფორმებს (აჯანყებები).

ფეოდალური აღმოსავლეთისათვის იმთავითვე დამახასიათებელი იყო მასიური სოციალური მოძრაობანი. ეს სოციალური მოძრაობანი ყოველთვის რელიგიურ სამოსელში იყო გამოხვეული.

გლეხთა აჯანყებას მასიურ ხასიათს ანიჭებდა ის, რომ აღმოსავლეთში ძირითადად გლეხთა ერთიანი კატეგორია იყო წარმოდგენილი რაიათების სახით. ამავე დროს, რაიათების უმრავლესობას სახელმწიფო გლეხები შეადგენდნენ.

XVI—XVIII სს. ირანში და ოსმალეთში ხშირი იყო გლეხების და ხელოსნების აჯანყებები[5]. ირანში ან ოსმალეთში აჯანყებულ

მოლოვს: იხ. И. Гасанов, К вопросу о владельческих райятах в Азербайджане, გვ. 65.

[1] იქვე.

[2] «Из документа явствует, что, регламентируя повинности крестьян, власти стремились как можно полнее удовлетворить интересы феодалов: крестьян обязывали в избытке доставлять землевладельцу продукты, выставлять ему домашнюю прислугу; если же бек вёл своё хозяйство, то он обеспечивался бесплатной рабочей силой и даровым рабочим скотом». იქვე.

[3] И. Гасанов, დასახ. ნაშრ., გვ. 65—68.

[4] იქვე, გვ. 66—67.

[5] И. П. Петрушевский, Восстание ремесленников и городской бедноты в Тебризе в 1571—1573 гг., ССИА, I, გვ. 214—224; მისივე, Народное восстание в Гиляне в 1629 году. Ученые записки Института востоковедения, III, 1951, გვ. 225—256; Г. И. Ибрагимов, Крестьянские восстания в Турции XV—XVI вв., ВВ, VII, 1953, გვ. 122—145; А. С. Тверитинова, Восстание Кара-Языджи—Дели-Хасана в Турции, М.-Л., 1946; К. З. Ашрафян, Антифеодальные движения в империи Надир-шаха (1736—1747), Уч. записки Ин-та востоковедения, VIII, 1953, გვ. 166—204.

გლეხებს უერთდებოდნენ აღმ. ამიერკავკასიის სახანოების გლეხებიც. ცნობილია, რომ ოსმალეთში დაწყებული ჯალალიების მოძრაობა გავრცელდა აღმ. ამიერკავკასიაში, აგრეთვე სამცხე-საათაბაგოში.

მასიურ ხასიათს იღებდა გლეხთა აჯანყებანი ამიერკავკასიის სახანოებში. ანტიფეოდალური მოძრაობანი აქ ეროვნული ელფერის მატარებელიც იყო იმის გამო, რომ გლეხთა აჯანყება, უწინარეს ყოვლისა, ირანელი ან ოსმალო ფეოდალების წინააღმდეგ იყო მიმართული[1].

აღმ. ამიერკავკასიაში ირანელი მიწისმფლობელები მძლავრობდნენ. უცხო დამპყრობელთა ბატონობა უკიდურესად ამძიმებდა გლეხთა ისედაც მძიმე მდგომარეობას, რადგან გამოსაღებისა და გადასახადების გადამხდელი მხოლოდ გლეხობა იყო[2].

გლეხთა აჯანყებებმა ირანის ფეოდალური სახელმწიფოს წინააღმდეგ მნიშვნელოვნად დაასუსტა სეფიანთა ბატონობა აღმ. ამიერკავკასიაში.

---

[1] აღმ. ამიერკავკასიის გლეხთა ანტიფეოდალური მოძრაობებისა და აჯანყებების შესახებ დაწვრილებით იხ. И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 322—327.

[2] იქვე, გვ. 331.

თავი მეოთხე

კონკრეტული მასალები ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობათა შედარებითი შესწავლისათვის

აგრარულ ურთიერთობათა და გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაციის ფორმების თავისებურებათა ჩვენება საქართველოსა და მახლობელ აღმოსავლეთში სავსებით ადასტურებს პროფ. ი. პეტრუშევსკის შეხედულებას, რომ საქართველოში გაბატონებული იყო «Особый тип феодализма и особые формы землевладения, непохожие на те, какие существовали в Азербайджане или Иране»[1].

ამიტომ როგორც ირანი, ისე ოსმალეთი დაჟინებით ცდილობდა ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის გაუქმებას და მის მაგიერ საკუთარი მიწისმფლობელობის შემოღებას.

ირანში და ოსმალეთში კარგად ესმოდათ, რომ მხოლოდ ეს შეუქმნიდა მტკიცე საფუძველს საქართველოს გაყიზილბაშება-გაოსმალებას, მის სახანოდ ან საფაშოდ გადაქცევას.

საამისოდ გამოყენებული იყო სხვადასხვა ღონისძიებები. სწორედ ამ ღონისძიებათა რეალიზაციას უკავშირდებიან ის კონკრეტული მასალები, რომელთა საშუალებით ხერხდება ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობათა შედარებითი შესწავლა.

კონკრეტული მასალების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მათი შინაარსი უშუალოდ საქართველოს ეხება.

ამგვარი კონკრეტული ხასიათის მასალებია: სათათრო გამოსაღების შესახები ცნობები, ორენოვანი (ქართულ-სპარსული) საბუ-

---

[1] И. П. Петрушевский, Очерки..., зз. 215.

თები, „ელის დებულება“ და „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“.

სათათრო გამოსაღების ანუ ხარკის ბუნების ჩვენება შესაძლებლობას გვაძლევს გავარკვიოთ საქართველოს ირანთან ან ოსმალეთთან დამოკიდებულების პოლიტიკური ხასიათი (მეძღვნეობა-მეხარკეობა). სათათრო გამოსაღები მხოლოდ ვასალურ დამოკიდებულებას გულისხმობდა.

ორენოვანი საბუთების წარმოშობა, როგორც ამას თავის ადგილზე ვნახავთ, დაკავშირებული იყო ვასალური დამოკიდებულების გაფართოების ცდებთან. ორენოვანი საბუთის სპარსული ნაწილით სუზერენი (ირანის შაჰი) ფორმალურად ხელს სდებდა ქართულ მიწებს და, ამრიგად, საპატრონყმო ურთიერთობა ფაქტიურად თუ არა, თეორიულად მაინც, საადგილმამულო ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენებულად ითვლებოდა. ორენოვანი საბუთების ქართული და სპარსული ნაწილების ისტორიულ-კრიტიკული ანალიზი საშუალებას იძლევა ქართული აგრარული და საგადასახადო სისტემა შევუდაროთ ყიზილბაშურ-ირანულს.

„ელის დებულებაში“ ზუსტადაა ასახული „ელის ხალხის“ სოციალური ორგანიზაცია. მის ცალკეულ თავებში გადმოცემულია აზერბაიჯანის და ირანის ფეოდალურ ურთიერთობათა ნიშანდობლივი თავისებურებანი. ელის ფეოდალური ორგანიზაციის გათვალისწინება საინტერესოა იმ მხრივაც, რომ იგი ქართული ფეოდალიზმის უშუალო გარემოცვაში იმყოფებოდა.

როგორც კონკრეტული მასალა სულ სხვა რიგისა და თვისებისაა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. მასში აღწერილია ოსმალური ფეოდალური წყობილება. ამ შემთხვევაში „ქართველობა“ (ქართული სოციალ-პოლიტიკური სისტემა) შეცვლილია „ოსმალობით“ (ოსმალური სოციალ-პოლიტიკური სისტემით). მეხარკეობაზე აგებული დამოკიდებულების პოლიტიკური ფორმა აქ გადაზრდილია ქვეყნის სრულს ინკორპორაციაში, რომელმაც თავისი გამოხატულება „ოსმალობის“ შემოღებაში ჰპოვა.

მეძღვნეობა-მეხარკეობის ამავე მიმართულებით განვითარებას ცდილობდა ირანიც.

ამდენადვე ზემოთ მოკლედ დახასიათებული კონკრეტული მასალების შინაარსობლივი მნიშვნელობა, შეიძლება ითქვას, სხვადასხვა საფეხურია ამ საბოლოო მიზნის რეალიზაციის საქმეში.

კონკრეტული მასალების შესწავლა ცხადყოფს, რომ ყიზილ-ბაშ-ოსმალები დაინტერესებული იყვნენ საქართველოში თავიანთი მმართველობის შემოღებით.

ოსმალეთის პოლიტიკური ღონისძიებები საქართველოს მიმართ XVI ს-ის 80—90-იან წლებში და ირანის პოლიტიკური გეგმები XVII ს-ის პირველ მეოთხედში, ქართული მიწებისათვის ადრე დაწყებული ბრძოლისათვის „თავის მობმას“ გულისხმობდა.

ამ ბრძოლის განვითარება ქართულ ისტორიოგრაფიაში უპირატესად პოლიტიკური ხასიათის მომენტებთანაა დაკავშირებული. მაგრამ მას ჩვენ შეიძლება თვალი გავადევნოთ იმ კონკრეტული მასალების მიხედვითაც, რომელთა შინაარსში აღმოსავლური ფეოდალური ინსტიტუტების შემოღების ცდანია აღბეჭდილი.

1. სათათრო გამოსაღები

სათათრო გამოსაღები თან სდევს საქართველოს ისტორიას ნაგვიანევი შუა საუკუნეების მთელ მანძილზე, წარმოადგენს აღებული ხანის თითქმის მუდმივ მოვლენას[1].

სათათრო გამოსაღები თუ ხარკი თანაბრად დამახასიათებელია როგორც საკუთრივ თათართა ბატონობის ხანისათვის (XIII—XIV სს.), ისე საქართველოს ირანის თურქმანულ სახელმწიფოებთან (XV ს.) და ყიზილბაშ-ოსმალთა სახელმწიფოებთან დამოკიდებულების პერიოდებისათვის (XVI—XVIII სს.).

მართალია, „სათათროს“ პარალელურად ქართულ საბუთებში გვხვდება აგრეთვე „ს ა უ ლ უ ს ო“, „ს ა ყ ი ზ ი ლ ბ ა შ ო“, „ს ა ო ს მ ა ლ ო“, „ს ა ლ ე ქ ო“[2], ხოლო XVI ს-ის 80-იან წლებიდან მოყოლებული „ს ა ყ ა ე ნ ო“ („საყაენო საური“, „ყაენის ბეგარა“, ცოტა გვიან „ხელმწიფის (=ყაენის) ხარჯი“), მაგრამ უფრო ხშირად მაინც „ს ა თ ა თ რ ო“ იხმარება.

სათათრო გამოსაღების[3] ერთი ნაწილი (მალი, ულუფა) სათათროს აღუნიშნავად (ყალან-ტამღა და სხვ.) თანდათან ქართულ გადა-

---

[1] Н. А. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии в XIII—XVIII вв., გვ. 17.

[2] Introduction, გვ. CLXXIII.

[3] „სათათრო გამოსაღებელი“ მოხსენებულია უკვე 1260 წ. სიგელში. იხ. ქრონიკები, II, გვ. 146—147. „სათათრო“ კი გვხვდება 1236—1257 წ. ერთ საბუთში: „არცარაი სათათროი გამოჰვიდოდეს: მალი, ყაფჩერი, სალაშქროი და საიამე“. იქვე, გვ. 127.

სახადებად იქცა. „სათათრო საურმა“ და „სათათრო ულუფამ“ კი XVIII ს-ის შუა წლებამდე შეინარჩუნა „სათათროს“ მნიშვნელობა.

XVI—XVIII სს. საბუთებში ყველაზე ხშირად „სათათრო საური“ (მოკლედ: „საური“) და „სათათრო ულუფა“ არის მოხსენებული. XVII—XVIII სს. განსაკუთრებულ ადგილს იჭერს „ს ა ტ ყ ვ ე ო“. XVIII ს-ის პირველ ნახევარში ჩნდება ოსმალური „მ ი რ ი“ და ყიზილბაშური „მ ა ლ უ ჯ ა თ ი“.

საინტერესოა, რომ ქართული საბუთები სათათროს „ს ა ძ ა ლ ო“ სათხოვარის და გამოსაღების რიგში ათავსებენ. 1712 წლით დათარიღებულ ერთ სითარხნის წიგნში ნათქვამია: „ახლა ჩვენც შენ ასე გათარხნეთ და გათავისუფლეთ, რომე არა გეთხოვებოდეს რა, არა ბაჟი და ჯარჯი, არა სატყვეო და სათემო და სათათრო, ს ა ძ ა ლ ო ს ა თ ხ ო ვ ა რ ი და გ ა მ ო ს ა ღ ე ბ ი“[1].

„სათათრო გამოსაღების“ დანიშნულება ქართულ საბუთებში არა ერთგანაა განმარტებული. ასე მაგ., 1440 წ. დათარიღებულ მცხეთის სიგელში ნათქვამია: „ვინცა შემდგომად ჩუენისა მეფენი და პატრონნი იყუნეს, მათთჳს მალი არავინ აიღოს; და თუ ულუსი მოვიდეს და თათართაგან ძალი დაემართოს, რაიცა ციხეთა და საყდართა დაუქცევლობისა და თემთა და ქ ̄ნთა ამოუწყუჱდლობისა და ჟ ̄მთა და ქ ̄ ყნთა დაუტყუჱვლობისათვის— მათთჳს,— სხუად მოსაკმარებლად მალი არავინ აიღოს“[2].

სათათრო გამოსაღები (საური, მალი, ულუფა, სატყვეო, მირი, მალუჯათი და სხვ.) წარმოადგენენ ერთ-ერთ წყაროს საქართველოს უცხო სახელმწიფოებთან (მონღოლები, თურქმანები, ყიზილბაშები, ოსმალები...) ურთიერთობის პოლიტიკური ფორმის დასადგენად.

„სათათრო გამოსაღები“ უშუალოდაა დაკავშირებული მეძღვნეობა-მეხარკეობის საკითხთან.

•

ა) ს ა თ ა თ რ ო ს ა უ რ ი

ჩვენთვის ცნობილ საბუთებში სიტყვა „საური“, როგორც სა-გადასახადო ტერმინი, პირველად 1511 წელს კახთა მეფე ავგიორგის საბუთში გვხვდება[3].

ამ დროისათვის საური ახლად შემოღებულია თუ წინათაც არსებობდა, არ ჩანს.

---

[1] საქ. სიძვ., II, გვ. 451.
[2] ქრონიკები, II, გვ. 248.
[3] ისტ. საბ., III, გვ. 45.

ჩვენ დადგენილი გვაქვს, რომ ქართული წყაროების „საური“ იგივეა, რაც აღმოსავლური წყაროების „სავერი“[1]. ეს ტერმინი მოხსენიებულია ილხანთა ირანის საგადასახადო ნომენკლატურაში[2]. დამოწმებულია „სავერი“ აგრეთვე XIII—XIV სს. აზერბაიჯანში[3]. ამიტომ სავსებით შესაძლებელია „სავერი“-ს არსებობა მონღოლთა მფლობელობის დროინდელ საქართველოშიც.

სიტყვა „სავერის“ განმარტებას სხვადასხვა დროს ცდილობდნენ: კატრმერი, მინორსკი და პეტრუშევსკი. კატრმერი „სავერის“ თარგმნიდა როგორც „ნებაყოფლობით საჩუქარს“[4]. ვ. მინორსკის „სავარი“ (savari, saveri) მიაჩნია თურქულ სიტყვად და აღნიშნავს, რომ სპარსულ ლექსიკონებში ეს სიტყვა განმარტებულია, როგორც „მისართმეველი“ („tuhfa va pishkash“)[5]. ი. პეტრუშევსკიც შენიშნავს, რომ «под «савери» при сефевидах понимались подношения»[6]. ამრიგად, ამ საგადასახადო ტერმინით დაინტერესებული ყველა მკვლევარი „სავერის“ უკავშირებს „ფეშქაშს“, მონღ.-თურქ. „სავერი“ მიჩნეულია სპ. „ფეშქაშის“ სინონიმად.

მისართმეველის ელფერი გადაჰკრავს „სავერის“ ისკანდერ მუნშის იმ ცნობაში, სადაც შაჰ-აბასის ისტორიკოსი ალექსანდრე კახთა მეფის ოსმალებთან დამოკიდებულების გამო საუბრობს. ისკანდერ მუნშის სიტყვით, სიმონ ქართლის მეფემ უარი თქვა ოსმალთა მორჩილებაზე და ყიზილბაშებთან ერთად მათ წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღა, მაგრამ „ცბიერი და ქვეგამხედვარე ალექსანდრე, თავის გადარჩენის მიზნით, ოსმალებს დაუმეგობრდა, ლალა ფაშას ურდოში ნუზლი (სურსათ-სანოვაგე) და სავერი გაუგზავნა და ოსმალთ მორჩილება განუცხადა“[7].

---

[1] ვ. გაბაშვილი, „სათათრო გამოსაღებელი“ გვიანფეოდალურ საქართველოში, „მიმომხილველი“, ტ. III, გვ. 134—137.

[2] И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI—начале XIX вв., გვ. 280.

[3] А. Али-заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII—XIV вв., Баку, 1956, გვ. 240—241.

[4] M. Quatrmére, Notices et extraits, t. XIV, გვ. 60.

[5] V. Minorsky, A Soyurghal of Qasim b. jahangir Aq-Quyunlu, გვ. 950.

[6] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 281.

[7] თარიხ-ი ალემ-არაი აბასი, თეირანის ლით. გამოც., 1314 წ. ჰიჯრით, გვ. 169. اما الکسندر خان که مرد محیل عاقبت اندیش بود صلاح حال خود

თარგმანის მიხედვით, ნუზლი და სავერი საჩუქრების მნიშვნელობით აქვს გადათარგმნილი („envoya des presents au camp de Lala-Pacha"[1]). მართლაც, ისკანდერ მუნშის „სავერი" აქ „ფეშქაშთან" აქვს გაიგივებული.

კიდევ უფრო სარწმუნო ხდება „სავერის" კავშირი „ფეშქაშთან" ისკანდერ მუნშის თხზულების სხვა ადგილიდან. ისტორიკოსი ერთხელ კიდევ უბრუნდება ალექსანდრე კახთა მეფის ირანთან და ოსმალეთთან დამოკიდებულებას XVI ს-ში ქართლის და კახეთის მეფეების შაჰ-აბასთან გამოცხადების აღწერისას. ალექსანდრემო, ამბობს ისკანდერ მუნში, რომელიც ირანის შაჰის მოხარკეთა („ბაჯ გოზარან") და მორჩილთა შორის ირიცხებოდა და ყოველწლიურად ბაჟს და ხარაჯას („ბაჯ ო ხარაჯ") იძლეოდა[2], ოსმალო ფაშებს და სარდლებს ნუზლი და სავერი მისცა, მაგრამ როდესაც ოსმალებმა შირვანი და აზერბაიჯანი დაიპყრეს, მან ბაჟის და ხარაჯის გამოღებაზეც თანხმობა გამოაცხადა და ოსმალთა ხონთქარს გაუერთგულდა[3]. ამრიგად, ისკანდერ მუნში ასხვავებს „სავერის" სავალდებულო ხარკისაგან. თუმცა ერთიც და მეორეც გარკვეულ პოლიტიკურ დამოკიდებულებასთან არის დაკავშირებული.

ისკანდერ მუნშის თხზულებაში დაცული ცნობებიდან ვგებულობთ, რომ „სავერი" დამოკიდებულების უფრო მსუბუქი ფორმის გამომხატველია, ვიდრე „ბაჯ ო ხარაჯ". როდესაც ირან-ოსმალეთის დროებითი ზავის დროს ალექსანდრე მეფემ პირი კვლავ ყიზილბაშებისაკენ იბრუნა, თანაც სამი წლის გადაუხდელი ხარკის გამოღება იკისრა, მას გადაახდევინეს არა „სავერი", არამედ „ბაჟი და ხარაჯა"[4].

„საური" საქართველოშიც „ფეშქაშთან" დაკავშირებული ჩანს. ეს მისი უცხოურობის და სადაურობის, მისი მონღოლურ-თურქულ „სავერთან" კავშირის უეჭველი მოწმობაა.

ملاحظه نموده با رومیان مدارا کرد نزل و ساوری باردوی لله پاشا فرستاده اظهار انقیاد نمود

[1] Histoire de la Géorgie, Addition, გვ. 457.

[2] თარიხ-ი ალემ არა, გვ. 448. از جمله باج گزاران این دودمان و تابع امر و فرمان بود...همه ساله باج و خراج میداد

[3] იქვე, გვ. 449. با پاشایان و سرداران که میامدند طریقه باز گشت مرعی میداشت و نزل و ساوری داده خدمات میکرد و چون ولایت شیروان و آذربایجان بتصرف رومیه در آمد مشارالیه نیز باج و خراج قبول کرده نسبت بخواندکار روم اظهار اخلاص مینمود

[4] იქვე, გვ. 198.

მაგალითად, დასტურლამალის „ქალაქის სატყვეოს ხარჯის“ შესახებ დებულებაში ნათქვამია: „ქალაქს საური და ტყვის ხარჯი არ აძეს, მაგრამ როდესაც ბედნიერის ჯელმწიფის ფეშქაშს გაისტუმრებენ ვინც ქალაქში სახლობან ასი თუმანი ბატონს უნდა შეაწიონ“[1].

რა ირკვევა? ქალაქი საურისა და ტყვის ხარჯისაგან თავისუფალია—„ქალაქს საური და ტყვის ხარჯი არ აძეს“. ქალაქი მხოლოდ ფეშქაშის გასტუმრებაში მონაწილეობს. ასევე გორი, ელი და სადედოფლო. გორის გამო, რომელიც აგრეთვე, ჩანს, საურისაგან განთავისუფლებულია, ნათქვამია: „ამავ გორს სძეს, როდესაც ჯელმწიფის ფეშქაში წავა, მაშინ უნდა გამოიღონ გაცემულ გაუცემელმან თუმანი თორმეტი“[2]. ელის შესახებ დებულებაშიც ვკითხულობთ: „როდესაც ბედნიერის ყეენის ფეშქაში წავა, მაშინ ელმა ბატონს ფეშქაშის გასაგზავნი უნდა მოართვას“[3]. სადედოფლო დასტურლამალშიც „ჯელმწიფის ტყვის ჯარჯის“ გამო აღნიშნულია: „უნდა გამოიღონ ერთობით სომხითის აზნაურიშვილებმა ბედნიერის ყეენის საფეშქაშო ტყვის ჯარჯი თუმანი თურამეტი“[4]. საკითხავია: ვინღა ამზადებს ფეშქაშს, ვინ მონაწილეობს ფეშქაშის გამზადებაში? ცხადია ის, ვინც საურს იხდის. ჩანს, ხელმწიფის ფეშქაშის წყაროს საური შეადგენს.

საურის ნამდვილ დანიშნულებას და მის მნიშვნელობას კიდევ უფრო გასაგებს ხდის დავით II (იმამყული-ხანის) 1711—1716 წწ. დათარიღებული ბრძანების შინაარსი, რომლითაც იგი იოსებ სამებელს საურის სითარხნის დროებით მოშლას სთხოვს: „აწე წელს ჯელმწიფემ ნავროზის ფეშქაში ითხოვა და შიოუშბეგ მდივანი გამოვგზავნეთ და ტყვე და საური ორივ გვეთხოვნა, მაგ ქვეყანას დიდათ ძალი დაემართებოდა და ტყვე აღარავის ვსთხოვეთ და მაგდენი ხარჯი მაგ ქვეყნით არ გამოვა, რომე ფეშქაში გამომზადებულიყო .და ყოვ[ე]ლს ეფისკოპოზს წლევანდელი საური ვსთხოვეთ და შენც ამდენი ერთგულობა და ჩვენი სამსახურის მდომი იყავ, რომე მაგის უარს ნურც შენ მოგვახსენებ; წლევანდელი შენი ყმის საური შე-

---

[1] დასტ., გვ. 85.
[2] იქვე, გვ. 20.
[3] იქვე, გვ. 67.
[4] იქვე, გვ. 107.

მოგვაწივე, ნურც ამის უარს იტყვი და ეს კი ნუ გ/გ/ონია ანღა სა-
კულადიოთღა ვითხო/ო/ ან ჩვენი წყალობა გუჯრები მოვშალო და
წელს დიაღ გვეჭი/რ/ება, კიდეც შემოგვაწივე და ნურც უარს იტყვი.
შენც ახლა გაკეთებული კაცი იყავ, არ უნდა გვეთხოვნა, მაგრამ
წელს კი დაგვითმე, შემოგვწივე და შენც ჩვენის წყალობის მოიმე-
დე იყავ"[1].

მოტანილი საბუთიდან, ვფიქრობთ, კარგად ჩანს, რომ იმ-
სათვის, რათა „ჭელმწიფის ფეშქაში გამომზადებულიყო", საამისოდ
ტ ყ ვ ე დ ა ს ა უ რ ი იყო საჭირო. საური და სატყვეო ყაენის
ს ა ფ ე შ ქ ა შ ო დ იკრიფება. სწორედ ამიტომ XVII ს-ის საბუთებ-
ში საურს „ს ა ყ ა ე ნ ო ს ა უ რ ი" ეწოდება, მიუხედავად იმისა,
რომ ირანის შაჰს ეგზავნება არა საური, არამედ საურის საფუძველზე
გამზადებული ფეშქაში[2]. ასე მაგ., 1648 წ. როსტომის მიერ გაცემულ
სითარხნის წიგნში, რომლითაც გათარხნებულია „გარესჯას ორივე
უდაბნო და სრულიად გარესჯის სახლი", ნათქვამია: „ს ა ყ ა ე ნ ო ს
ს ა უ რ ს ა, ლაშქარ-ნადირობასა და გომბორს გარეთ სხუა ჩ~ნი
ჭელი არა შემოვიდოდეს"[3]. „საყაენო საური" დამოწმებული აქვს
ბროსესაც თავის ქართულ გადასახადთა ნუსხაში[4]. „საყაენო საური",
როგორც ჩანს, აღებულ ხანაში „სათათრო საურის" პარალელურად
იხმარებოდა. „საყაენო საურს" მოკლედ „საყაენოც" ეწოდებოდა.
მაგ., 1679 წ. გიორგი XI ათარხნებს შეშაბერიძეებს „საყაენო-
საგან"[5].

„საყაენო საური" თუ „საყაენო", აშკარაა, იმ გამოსაღების აღმ-
ნიშვნელია, რომლითაც შემდგარი თანხა „ყაენის ფეშქაშის გამზა-
დებას" ხმარდება[6].

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 385.

[2] მ. ხ უ ბ უ ა ს სპარსული ფირმანების და ჰოქმების პუბლიკაციაში მოთავსებულია შაჰ-ხულეიმანის 1667 წ. დათარიღებული ფირმანი, სადაც ნათქვამია: „ზაზა-ბეგმა უწყოდეს: დანიშნულმა ფეშქაშმა, რომელიც ამ ხანებში გამოგზავნილი იყო ქვეყნის საყუდლის სასახლეში, მიაღწია კეთილგანწყობილების მხერას" (მ. ხუბუა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, თბ., 1949, გვ. 18). ფირმანის უკანა მხარეზე ქართულად წერია: „ზაზას სალთხუცის რაყამი—ფეშქაში რომ გაეგზავნა, ხალათი მოსლოდა" (იქვე, გვ. 100).

[3] ქრონიკები, ტ. II, გვ. 464.

[4] Introduction, გვ. CLXXIV.

[5] დოკუმენტები საქ. სოციალური ისტორიიდან, I, გვ. 64.

[6] შესაძლებელია ამ თანხას აღნიშნავდეს ერეკლე II-ის 1756 წ. საბუთში დამოწმებული გამოთქმა: „ს ა ბ უ რ ი ს თ ე თ რ ი". იხ. საქ. სიძვ., I, გვ. 173.

ფეშქაშში კი უპირატესად ტყვე ქალ-ვაჟები და სხვა მისართმეველი იყო ნაგულისხმევი, ამას მოწმობს „ყაენის ბეგარა“, რომლის რაობა-დანიშნულება სავსებით ნათელია „ქართლის ცხოვრების“ ქვემოთ მოტანილ კონტექსტში. დასახელებულ წყაროში აღნიშნულია: სიმონ I „ყაენის ბეგარა ქართლსა შინა... განაწესა კომლის თავს გლეხზედ მარჩილი ასი, რამეთუ ამა თეთრითა იყიდდეს ტყვესა შვიდსა და წარუგზავნიდეს ყაენსა“[1]. ამგვარივე ცნობა მოეპოვება ვახუშტი ბაგრატიონს, რომლის მიხედვით: „გარნა ჰყო უჯერო სეიმონ მეფე-მან, რამეთუ დასდვა კომლს გლეხსა ზედა მარჩილი და ამით მოიყიდდა ოვსთა, ჩერქეზთა და წარუგზავნიდა ყაენსა“[2]. ალექსანდრე ამილახვრის „გეორგიანულ ისტორიაშიც“ ნათქვამია: „გადასახადებს სპარსელები ჩვენში კომლზე მარჩილს (ე. ი. 60 კაპეიკს) ღებულობენ; ამ ფულით შვიდი ვაჟი ან ქალი უნდა იყიდონ და სპარსეთის შაჰს გაუგზავნონ შვიდ წელიწადში ერთხელ“[3]. ეს ცნობები მრავალმხრივაა საყურადღებო. უწინარეს ყოვლისა კი იმით, რომ აქ მოგვეპოვება პირდაპირი მითითება, რომლის მიხედვით მწარმოებელ კლასზე დადებული თეთრით „მოისყიდებოდა“ ირანს გასაგზავნი ტყვე[4].

საკუთრივ სეფიანთა ირანში შაჰისათვის ფეშქაში უნდა გადაეცათ ამირებს და უმაღლეს მოხელეებს. ისინი, საამისოდ, მოსახლეობაში წინასწარ აგროვებდნენ საჭირო თანხას და საშუალებებს ხელმწიფისათვის აუცილებელი საჩუქრების შესადგენად[5], ქართული დოკუმენტების ენით რომ ვთქვათ, „ფეშქაშის გამოსამზადებლად“. თუ რა შედიოდა ხელმწიფის მისართმეველში, ამის შესახებ არა ერთი ცნობა მოიპოვება ისკანდერ მუნშის თხზულებაში. მაგ., 1031 წ. ჰიჯრით, მოგვითხრობს ისკანდერ მუნში, შირვანის ბეგლარბეგი იუსუფ-ხანი „იმ ქვეყნის ამირებთან და წარჩინებულებთან ერთად“ მაზანდარანს წარუდგა შაჰს „ღირსეული საჩუქრებით (ფეშქაშჰა-ი

---

[1] შედეგი ქართლის ცხოვრებისა, იხ. „ქართლის ცხოვრება“, ნაწ. II, ჩუბინაშვილის გამოც., 1854, გვ. 303.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ჭიჭინაძის გამოც., გვ. 51.

[3] ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი, გეორგიანული ისტორია, ჟურნ. „მნათობი“, 1939, № 8, გვ. 127.

[4] როსტომ-ხანის დროიდან მოყოლებული, ვახუშტის მიხედვით, ტყვე აღარ მოიყიდებოდა და ტყვის გამოყვანა საზოგადოების ყველა ფენას ევალებოდა (ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ჭიჭინაძის გამოც., გვ. 51). მაგრამ სავალდებულოდ გამხდარი „სატყვეო“ არ გამორიცხავდა ტყვის „მოყიდვას“.

[5] И. П. П е т р у ш е в с к и й, დასახ. ნაშრ., გვ. 281.

ლაიეუ)". ფეშქაში შემდგარი იყო: იოსების მსგავსი ახალგაზრდა მონებისა, ზულეიკას სადარი მხევლებისა, სწრაფი ცხენებისა და ორკუზიანი აქლემებისაგან; დატვირთული იყო ფულებით, სხვადასხვა ქვეყნის საქონლით, ქსოვილებით, იარაღით, ტყავეულობით და სხვ.[1] ქარავანს, რომელსაც ასეთი მისართმეველი მიჰქონდა ხელმწიფის კარზე, „ბარხანა" ეწოდებოდა[2].

ასევე ირანის შაჰის „ყმადნაფიც" ქართველი მეფეების ფეშქაშში შედიოდა ტყვე ქალ-ვაჟები, ღვინო, ცხენები და მიმინოები. ეს ფეშქაში კი ძირითადად, ჩანს, „საურის" საფუძველზე იყო შედგენილი.

ახლა, როდესაც „საურის" ნამდვილი დანიშნულება და მნიშვნელობა დადგენილია, გასაგები ხდება, თუ რატომ არაა გათვალისწინებული სეფიანთა ირანის სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავალი ქართლიდან XVII—XVIII საუკუნეებში (ყიზილბაშობამდე). საქმე ისაა, რომ საური ხარკი არაა, ისევე როგორც ხარკი არაა აღმოსავლური „სავერი". ჩანს, ქართლი ირანის ხელმწიფეს ხარკს კი არ უხდის, არამედ ფეშქაშს—ძღვენის სახით გამოხატულ მისართმეველს. სამაგიეროდ ფულადი შემოსავალი გათვალისწინებულია კახეთისათვის, სადაც მმართველებად XVII ს-ის გარკვეულ პერიოდებში ყიზილბაში ხანები სხედან. კახეთი, როგორც ხარკის გამომღები, მიწერილი იყო ყარაბაღის საბეგლარბეგოზე[3]. კახეთს დადებული ჰქონდა ისეთი გადასახადი, როგორიც იყო „საყაენო ჩობანბეგი". 1696 წ. ყარაბაღის ბეგლარბეგი და კახეთის მმართველი ქალბალიხან ათარხნებს „საგარეჯოს მამულებს" ყველა გადასახადისაგან გარდა „ერთი ჩობან-ბეგის საყაენოს მეტი"[4]. ჩობანბეგი იმდენად მძიმე გადასახადად ითვლებოდა ყიზილბაშთა სახელმწიფოში, რომ უკიდურეს გაჭირვებამდე მიყავდა მწარმოებელი კლასი[5]. ამრიგად, კახეთი XVII ს-ში, ქართლისაგან განსხვავებით, ირანს „საურთან" ერთად ხარკსაც უხდის.

---

[1] თარიხ-ი ალემ არაი აბასი, გვ. 696—697.

[2] ვ. გაბაშვილი, სპარსული დასტურლამალი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1949, XXXV ტ., გვ. 218.

[3] Tadhkirat al-muluk, by V. Minorsky, გვ. 101, 167.

[4] ისტ. საბ., IV, გვ. 12.

[5] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 270—271; Н. Д. Миклухо-Маклай, К вопросу о налоговой политике в Иране при шахе Абассе I, «Советское Востоковедение», VI, გვ. 354.

„საურის“ შინაარსობლივი მნიშვნელობის გათვალისწინება, ურთიერთობის სხვა ფორმებთან ერთად, გვირკვევს ქართველი მაჰმადიანი მეფეების ირანთან დამოკიდებულების თავისებურებას. „მისართმეველი“ და „ხარკი“, ცხადია, სხვადასხვანაირად განსაზღვრავს პოლიტიკური დამოკიდებულების ფორმას.

„ფეშქაში“ არ გულისხმობს უპირობო დამოკიდებულებას „ხარკის“ მსგავსად. „ფეშქაშით“ განსაზღვრულია „მემკვიდრე მეფის“ ხარისხობრივი დამოკიდებულება „ხელმწიფეზე“. სპ. სიტყვა „ფეშქაში“, როგორც წესი, სპარსულ წყაროებში იხსენიება მხოლოდ დამოკიდებული მმართველის ან დიდმოხელის მიერ ხელმწიფისათვის გაგზავნილი მისართმევლის აღსანიშნავად.

ხელმწიფის მიერ ხელმწიფისათვის გაგზავნილი საჩუქრების აღსანიშნავად კი გამოყენებულია მრავლობითში დასმული „თოჰაფ“ (تحف) და „ჰადაია“ (هدایا). არაბ. „თოჰფე“ (تحفه) და „ჰადიე“ (هدیه) საჩუქარს, მისართმეველს ნიშნავს. ამ მნიშვნელობით ხმარობენ მათ სპ. ფეშქაშის გვერდით თანამედროვე სპარსელები. ისკანდერ მუნშის დროინდელ ირანში კი მათ აზრობრივ და ტერმინოლოგიურ შინაარსს არ ურევდნენ ზუსტად განსაზღვრულ უფლებრივ მდგომარეობაში. არაბ. تحف و هدایا იმ დროს მხოლოდ ხელმწიფეთა მისართმეველს ნიშნავდა, სპ. پیشکش კი „ხელდებულთა“ და მოხელეთა მისართმეველს.

მაგალითად, ინდოეთის ელჩობიდან დაბრუნებულმა ასლან-ბეგ თავრიზის გერაქიარალმა შაჰ-აბასს თავის მხრივ ძვირფასი ინდური ნივთები და სანაქებო ფეშქაში (پیشکشهای لایق) მიართვა, ინდოეთის მბრძანებლის მხრივ კი მას تحف و هدایا გადასცა[1]. ისკანდერ მუნში მხოლოდ ამ არაბ. ტერმინებით აღნიშნავს შაჰ-აბასის მიერ ოსმალეთის სულტნის, მოსკოვის მეფის, ინდოეთის მბრძანებლის და ევროპის ხელმწიფეებისათვის გაგზავნილ საჩუქრებს; ამ ტერმინებით აღნიშნავს იგი აგრეთვე მოსკოვის მეფის, ესპანეთის კოროლის და ინდოეთის მბრძანებლის ელჩების მიერ შაჰ-აბასის კარზე მოტანილ საჩუქრებს[2]. ამრიგად, „ფეშქაში“ გარკვეული პოლიტიკური დამოკიდებულების აღმნიშვნელია, მაგრამ ხარკისაგან მაინც მკვეთრად განსხვავებული.

---

[1] თარიხ-ი ალემ არა, გვ. 362.

[2] იქვე, გვ. 355, 363, 372, 388, 449, 462, 552, 615, 663 და სხვ.

ხარკის აღსანიშნავად, როგორც ქვემოთ ვნახავთ, იხმარებოდა არა „სათათრო საური“, არამედ „სათათრო მალი“ (XIII—XV სს.) ან მალის სინონიმი „მალუჯათი“ (XVIII ს-ის პირველ ნახევარში, ყიზილბაშობის დროს).

მაგრამ „საური“ ხარკისაგან ფაქტიურად არაფრით არ განსხვავდებოდა. გლეხს სამეფო, საეკლესიო, სამოხელეო და საბატონო გადასახადთან ერთად უნდა გამოეღო „სათათრო“ ანუ „საყაენო საური“[1]. ამ სათათრო გამოსაღებს მხოლოდ გლეხი იხდიდა, რადგან დასტურლამალის მიხედვით ქალაქს და ელს „საური არ აძეს“. ამათ მხოლოდ ხელმწიფის ფეშქაშის გასტუმრების ხარჯში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. „ყაენის ფეშქაშის გამომზადება“ გლეხობისათვის, ცხადია, მეტად მძიმე ვალდებულება უნდა ყოფილიყო. გლეხს საური უნდა გამოეღო იმ დროსაც, როდესაც მისი ბატონი საურისაგან გათავისუფლებული იყო და იმ დროსაც, როდესაც ამგვარი საგადასახადო შეუვალობით ბატონი არ სარგებლობდა.

იყო თუ არა „საური“ ყოველწლიური გამოსაღები? დასტურლამალში საურის გამო ასე არის ნათქვამი: „როდესაც ქვეყანაზე საური შევარდების, მესაურობას ვისაც ბატონი უბრძანებს იმისი არის“[2]. გამოდის რომ „საური“ დრო და დრო უნდა „შეეგდოთ ქვეყანაზე“. ალბათ იმის მიხედვით, თუ როდის მოითხოვდა ფეშქაშს ირანის ხელმწიფე, ანდა როდის ჩათვლიდა საჭიროდ მეფე ფეშქაშის გაგზავნას ირანის ხელმწიფის კარზე. „ფეშქაში“ ჩვეულებრივ სპარ-

---

[1] ამასთან დაკავშირებით პროფ. ნ. ჭოიავა შენიშნავს: „ავტორი აცხადებს რომ საური ფეშქაშის წყარო იყო და არა ხარკი ამ სიტყვის პოლიტიკური აზრით. ამავე დროს ავტორი კარგად გრძნობს, რომ საური მძიმე გადასახადი იყო საქართველოს მშრომელებისათვის. ავტორის ვრცელი, ორიგინალური და საინტერესო მსჯელობა ჩვენ დამაჯერებლად მიგვაჩნია. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ იძულებითი ფეშქაში არსებითად ხარკს წარმოადგენს; იგი ხარკს წარმოადგენს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მას ნატურალური ფორმა აქვს. ეს გარემოება არ ცვლის ვ. გაბაშვილის ძირითად დასკვნას, რომ საური საქართველოს ვასალური დამოკიდებულების მაჩვენებელი იყო“. იხ. ნ. ქ ო ი ა ვ ა, ქართლ-კახეთის ფინანსები XVIII საუკუნეში (1701—1761 წწ.), სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 63, გვ. 50, შენ. 1. ამ შენიშვნასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ საური ჩვენ გვაინტერესებდა, უწინარეს ყოვლისა, როგორც პოლიტიკური დამოკიდებულების სრულიად გარკვეული ფორმის გამომხატველი, მაგრამ ჩვენ მას ფაქტიურად არ ვასხვავებთ ხარკისაგან. იხ. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, „სათათრო გამოსაღებელი“ გვიანფეოდალურ საქართველოში, გვ. 141. იქვე დამოწმებულია სიბას განმარტება, რომ „საური“ ხარკია. იქვე, გვ. 134.

[2] დასტ., გვ. 73.

სული ახალი წლისათვის უნდა შემდგარიყო და სანავრუზოდ მირთმეოდა შაჰს. ამ საყოველთაო წესისთვის არც ქართველ მეფეს უნდა გადაეხვია. იმამყულ-ხანის საბუთში პირდაპირ არის ნათქვამი: „აწ ე წ ე ლ ს ქ ე ლ მ წ ი ფ ე მ ნ ა ვ რ ო ზ ი ს ფ ე შ ქ ა შ ი ი თ ხ ო ვ ა-“ ო. მაგრამ სანავრუზო ფეშქაშის(پیشکشهای نوروز) გარდა შაჰს სხვა დროსაც ეგზავნებოდა ღირსეული ფეშქაში (پیشکشهای لایق). ყურადღებას იქცევს იმამყულ-ხანის საბუთში ნათქვამი: „წლევანდელი საური“, „წლევანდელი შენი ყმის საური“. აქ, თითქო, „საური“ ყოველწლიური . გამოსაღების მნიშვნელობით არის ნახმარი. მაგრამ ანგარიშგასაწევია აგრეთვე იქვე აღნიშნული: „წელს... ითხოვა (შაჰმა)“, „წელს გვეჭირება“, „წელს დაგვითმე“. ამასთან, ჩანს, მესაურე (საურის ამკრეფი მოხელე) მხოლოდ დროდადრო ინიშნებოდა. ამიტომ დასტურლამალისეული „როდესაც ქვეყანაზე საური შევარდების“ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ საურის აკრეფის დრო მტკიცედ არ იყო განსაზღვრული, და მისი „ქვეყანაზე შეგდება“ ნავრუზის მოახლოებაზე ან საგანგებო ვითარებაზე იყო დამოკიდებული. ამის მიხედვით ინიშნებოდა მესაურე, რომლის თანამდებობა (საყურადღებო ფაქტია) მუდმივი არ იყო.

ჩვენ მოგვეპოვება პირდაპირი ჩვენებაც, საიდანაც ჩანს, რომ საური ყოველწლიურად არ გროვდებოდა. 1708 წლით დათარიღებული ორენოვანი საბუთის (იმამყული-ხანის (დავით II) წყალობის წიგნი) სპარსულ ტექსტში განმარტებულია: „მაღალი კარის (ხაზინის) რწმუნებულებმა ხსენებულ მცხოვრებთაგან გარდა საურისა, რომელიც ყ ო ვ ე ლ ს ა მ წ ე ლ ი წ ა დ შ ი ერთხელ ევალებათ და რომელსაც კომლზე ექვსასი თავრიზული დინარის ოდენობით მაღალ ხაზინას აძლევენ, რომელიც მაღალ ხაზინას ეკუთვნის და უნდა აიღონ“[1].

საბუთის გამომცემელი დოც. ვლ. ფუთურიძე თავის კომენტარებში ფრთხილად შენიშნავს: „ენისელთ მოურავის მერაბისადმი დავით II მიერ მიცემული წყალობის წიგნის სპარსული ნაწილის მიხედვით (საბ. 175), თ უ ი ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ს გ ა მ ო ხ ა ტ ა ვ ს, საურს მოსახლეობა იხდიდა სამ წ ე ლ ი წ ა დ შ ი ერთხელ“[2].

დამოწმებული ადგილი რომ ქართულ სინამდვილეს უნდა გამოხატავდეს, ამას ადასტურებს იმავე სპარსულ ტექსტში ნათქვამი

---

[1] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 420—421.

[2] იქვე, გვ. 472. ხაზი ყველგან ჩვენია.

„[აგრეთვე გარდა] ბეგრისა და ნადირობისა“[1]. ქართული ნაწილის სპარსულად მთარგმნელი, როგორც ვხედავთ, ითვალისწინებს ქართული სითარხნის წიგნების ჩვეულებრივ ფორმულას: „საურისა და ლაშქარ-ნადირობის კიდე“. ამის გარდა, კომლზე დაწესებული საური 600 თავრიზული დინარის (12 შაურის) ოდენობით უახლოვდება დასტურლამალით გათვალისწინებულ 14 შაურს და ზუსტად ემთხვევა ალექსანდრე ამილახვრის მიერ დასახელებულ 60 კაპიკს.

პროფ. ივ. სურგულაძის აზრითაც, „დასტურლამალის მიხედვით, საური დროებითი ხასიათის გადასახადი უნდა იყოს“[2].

საური ხარკი იყო იმათთვის, ვინც მას იხდიდა, მაგრამ ქართლის მეფის ირანის შაჰთან დამოკიდებულებაში ის მხოლოდ ფეშქაში იყო.

საურის ამგვარი მნიშვნელობა საპატრონყმო ურთიერთობაში კარგადაა ცნობილი სპარსულენოვანი ისტორიკოსებისათვის (ხონდემირი და სხვ.).

საურის აღნიშნული მნიშვნელობა ნათლადაა ნაჩვენები ზოგიერთ ქართულ წყაროშიც. 1569 წ. სითარხნის წიგნს გაკეთებული აქვს შემდეგი შინაარსის მინაწერი: „ჭ. ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოისა მეორე ირაკლი, ვამტკიცებთ სითარხნის სიგელსა ამას. რადგანაც ამ სიგლით სათათრო საურის გამოღება სდებია, საურის მაგიერ სარუსო და სალეკო ხარჯი გამოიღოს, სხვა კი გვიპატივებია. ამას სარუსოსა და სალეკოს გარდა საჩვენო ხარჯი და გამოსაღები არა უნდა რა ეთხოოს“[3].

დამოწმებული მინაწერის შინაარსიდან ირკვევა:

1. XVIII ს-ის მეორე ნახევარში საური ამოკვეთილია,

2. საურის მაგიერ ახლა წესდება სარუსო.

მაგრამ სარუსო, რა თქმა უნდა ხარკი ჰრაა, იგი ისევე ითვალისწინებს საპატრონყმო ურთიერთობის მეძღვნეობაზე დამყარებულ პოლიტიკურ ფორმას, როგორც ამას წინათ საური ითვალისწინებდა.

---

[1] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 421. შრდ. „ბატონს ლაშქრობა და საური უნდა, არ დაგუაკლო“, საქ. სიძვ., II, გვ. 28.

[2] ივ. სურგულაძე, სახელმწიფო გადასახადები ქართლის სამეფოში მე-18 საუკუნის დასაწყისში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, VI, გვ. 345. საჭიროა აღინიშნოს, რომ პროფ. ივ. სურგულაძის მიერ საურის მნიშვნელობის და დანიშნულების განმარტება ემთხვევა ჩვენს დასკვნებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ საურის საშუალებით შაჰისათვის ფეშქაშის მომზადება მას XVIII ს-ის დასაწყისში შემოღებულ წესად მიაჩნია. იქვე. გვ. 351—353.

[3] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 285.

ბ) სათათრო მალი

„სათათრო მალი“ უცხო დამპყრობელთა სასარგებლოდ დაწესებულ ხარკს ეწოდებოდა.

მალი, საგადასახადო ტერმინის მნიშვნელობით, საქართველოში თათართა ბატონობის დროს ვრცელდება.

მონღოლთა მიერ დაპყრობილ საქართველოშიც XIII—XV სს. „სასოფლო მეურნეობაზე დადებულ გადასახადს „მალი“ ეწოდებოდა“[1]. ამრიგად, საქართველოშიც, ისევე როგორც ილხანთა სახელმწიფოში შემავალ სხვა ქვეყნებში (ირანი, სომხეთი, აზერბაიჯანი, მცირე აზიის აღმოსავლეთი ნაწილი...), „მალი“ მიწაზე დაწესებული გადასახადის აღმნიშვნელი იყო. მიწაზე დაწესებული გადასახადი კი არ შეიძლებოდა დაკავშირებული არ ყოფილიყო ხარკთან და უცხო დამპყრობთა მფლობელობასთან.

მალის სინონიმური შესატყვისები როგორც აღმოსავლური, ისე ქართული წყაროების მიხედვით იყო: ხარაჯა, ბაჰრა, მალუჯათი. გამოთქმა „სათათრო მალი“ ჩვენ მიერ ქართული საბუთიდან არის აღებული[2]. ამიტომ მას ჩვენ ყველგან სათათრო ხარკის მნიშვნელობით ვხმარობთ. XVIII ს-ის პირველი ნახევრის ქართულ საბუთებში უცხო მფლობელობის, და მასთან დაკავშირებული ხარკის, აღსანიშნავად გამოყენებულია „ხარაჯობა“ და „მალიათობა“. მათს შორის არავითარი შინაარსობლივი განსხვავება არ არსებობს. ერთიც და მეორეც დაკავშირებულია უცხო მფლობელობასთან და ქვეყნის აღწერასთან.

იქ, სადაც დამპყრობელი ხარკს აწესებდა, ქვეყნის აღწერასაც აწარმოებდა. მონღოლებმა საქართველო აღწერეს XIII ს-ში, ოსმალებმა XVI ს-ის დამლევს (სამცხე-საათაბაგო) და XVIII ს-ის პირველ მეოთხედში (ქართლი), ყიზილბაშებმა—1741 წელს. ქვეყნის აღწერის და დახარკვის შედეგი იყო „ულუსობა“, „ოსმალობა“ და „ყიზილბაშობა“.

1725 წელს ოსმალებმა „აღწერეს ქართლი სრულიად და დასდვეს ხარკი“. წესისამებრ, ამიერიდან ქართლის მიწა-წყლის უზენაეს მესაკუთრედ ოსმალეთის სულტანი ხდებოდა. ამიტომ „ქართლის ფეოდალები მოვალენი იყვნენ თავიანთი ყმა-მამულის მფლობელო-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, გვ. 56.

[2] ისტ. საბ., III, გვ. 28.

ბის უფლება ახლად მიეღოთ ოსმალთა ხელისუფლებისაგან"[1]. ოსმალებმა ქართლი ისე მძიმედ დახარკეს, რომ „მებატონე ცდილობდა ხელიდან გაეცალა აგრე აუტანელ ტვირთად ქცეული მამული. ჩალის ფასად ყიდდა მამა-პაპის ნაქონ მამულს ან, ხშირად, სრულიად მუქთად უთმობდა მას უფრო შეძლებულ თავის სახლის კაცს, რომელიც ამ მამულზე დადებულ ხარკისათვის პასუხისმგებლობას იკისრებდა"[2].

კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა შეიქმნა ქართლში ყიზილბაშობის დროს: 1741 წელს ნადირ-შაჰის ბრძანებით საქართველო აღწერეს. ამ აღწერის შესახებ თანამედროვე მწერალი შემდეგს გადმოგვცემს: „ესრეთ იყო აღწერა. რაც ძველთ ნასოფლარი სადმე იყო, ყველგან ზომეს მიწები საბლით, ხრევი (ე. ი. ხარკი) დასდვეს. აგრეთვე ამ სახით შენობა (თუ) სადმე იყო, დიდი ხრევი დასდვეს. ვითაც ერანის ქვეყანაში მომცემი მიწა არის და ბევრი გამოსავალი აქვს, (ისე) ამ ქვეყანას განუწესეს. თვალეს ვაზები. ეგრე ვაზის სათვალავს რასაც მიხვდნენ (ე. ი. რამდენი ვაზის დათვლაც კი შეძლეს), ვაზს ერთი ბისტი (ორი კაპ.) დასდვეს, სოფელსა და ბაღს შინა რაც ხე ნახეს, თითო შაური დასდვეს, კაცს ორი მინალთუნი, ყმაწვილსა ასაკოვანსა ხუთი აბაზი და შემდგომი ამისი ათს წლამდის ხარჯი დასწერეს, ყმაწვილზე, პირუტყვზე, ყოველს ზედა განაწესეს, ბოსტანსა, წისქვილსა, ყოველს ფერს შენობას ანუ ოხერს ადგილს ასეთი ხარჯი დასდვეს, რომ ყოვლის კაცისაგან დიდად შეუძლებელი იყო. ოდეს ურუმთ მცირეთა (ე. ი. ცოტა ხანს) ეს ქვეყანა ეჭირა, შაშინ იმათაც დაწერეს და დასდვეს მირი, რომელი არს ხარკი, თ ო რ ე მ ა რ ა ს დ რ ო ს ე რ ა ნ ი ს ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს ა გ ა ნ ქ ა რ თ ლ ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ა ა რ დ ა წ ე რ ი ლ ი ყ ო"[3].

ყველა ამის გამო ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, რომ „ყიზილბაშური ხარკი („მალუჯათი") ისეთივე უჩვეულო და მძიმე იყო, როგორც ოსმალური მირი"[4].

ოსმალობა-ყიზილბაშობის თანადამხდურის და აღმწერლის პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს თხზულებაში დამოწმებული ოსმალური „მირი" და ყიზილბაშური „მალუჯათი" ოსმალურ-ყიზილბა-

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქ. და კავკას. ისტორიისათვის, ნაკვ. IV, 1944, გვ. 180.

[2] იქვე, გვ. 181.

[3] ციტირებულია ნ. ბერძენიშვილის დასახ. ნაშრომის მიხედვით, გვ. 198—199.

[4] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 200.

შურ მიწისმფლობელობასთანაა უშუალოდ დაკავშირებული. „მირი“ (میری) ოსმალეთში სახელმწიფო მიწების კატეგორიას ეწოდებოდა. „მირის“ ნამდვილი მნიშვნელობის გათვალისწინების შემდეგ კიდევ უფრო გასაგები ხდება, თუ რატომ იყვნენ მოვალენი ქართლის ფეოდალები „თავიანთი ყმა-მამულის მფლობელობის უფლება ახლად მიეღოთ ოსმალთა ხელისუფლებისაგან“. ქართლის მიწების „ერაზ-ი მირიედ“ გამოცხადებით ქართლის ფეოდალთა მამულები ოსმალეთის სახელმწიფოს საკუთრებად ცხადდებოდა. უცხო მიწისმფლობელობის შემოღების ცდას არ შეიძლებოდა ქვეყნის გაოსმალების პირობა არ შეექმნა, როგორც ეს სამცხე-საათაბაგოში მოხდა, სადაც „აზნაური მიწას გაჰყვა“ და გამაჰმადიანდა. ამას, ცხადია, ქართლის ფეოდალები ვერ შეურიგდებოდნენ და არც შერიგებიან.

ქართველი ფეოდალებისათვის ყიზილბაშური „მალუჯათიც“ ისევე მიუღებელი იყო, როგორც ოსმალური „მირი“.

„მალი“, ზემოთ აღწერილი მნიშვნელობით, მხოლოდ XIII—XIV სს. საქართველოს გარკვეული პერიოდებისათვის იყო დამახასიათებელი. გვიან კი „მალი“ თანდათან სათათროს ელფერს კარგავს და სამეფო გადასახადებს შორის მთავარ ადგილს იჭერს. XV ს-ში „მალი“ საამისო ტენდენციას ამჟღავნებს[1], XVI ს-ში კი, ჩანს, საბოლოოდ სამეფო გადასახადად არის ქცეული. ამავე დროს, შეცვლილია მისი შინაარსობლივი მნიშვნელობა: XVI—XVIII სს. „მალი“ სულადობრივი გადასახადია და ყველა სრულწლოვან მამაკაცს, სანამ დაბერდებოდა და „რისამე მოგება“ შეეძლო, „მალი“ უნდა ეხადა.

ამრიგად, XVI—XVIII სს. „მალი“ სათათრო ხარკს აღარ ნიშნავს. საზოგადოდ, აღებული ხანის ქართულ დოკუმენტებში (ოსმა-

---

[1] XV ს-ის გარკვეულ პერიოდში მალი ჯერ კიდევ იხმარება „სათათროს“ მნიშვნელობით. ამას მოწმობს მეფე გიორგის 1448 წლის საბუთში მოხსენიებული „სათათრო მალი“ (ისტ. საბ., III, გვ. 28). ამ საბუთის დამოწმებით ნ. ბერძენიშვილს აღნიშნული აქვს, რომ „გიორგის მეფობის გარკვეულ დროს თათართა მფლობელობა უდავო ამბავია“ (ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, გვ. 15). XV ს-ის სომეხი ისტორიკოსის თომა მეწოფელის სიტყვით, 1440 წ. ხარკი და ხარაჯა დაუწესებია ჯაჰან-შაჰსაც (თომა მეწოფელი, თარგმანი, შესავალი წერილი და კომენტარები ლ. მელიქსეთ-ბეგისა, თბ., 1937, გვ. 27; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 40—41). ცოტა უფრო გვიან საქართველო „მალს“ უხდის უზუნ-ჰასანსაც. ხევდგინიძიანთ საბუთების მიხედვით მალი მამულზეა შეწერილი. საინტერესოა, რომ ხევდგინიძეს „თავისი „ჴრმლითა ნაშოვნი“ 2.100 თანგა გაუღია, რადგან მამული ამოწყუეედილი იყო, ის ვერას გამოიღებდეს“ (ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 44).

ლობა-ყიზილბაშობამდე) მიწაზე დაწესებული ხარკის აღმნიშვნელი ტერმინი არც მოიპოვება. რაკი ქვეყანა „დაწერილი“ არ იყო, ცხადია, მას არც ხარკი დაედებოდა. პაპუნა ორბელიანს უეჭველად ეს აქვს მხედველობაში, როცა ამბობს: „არასდროს ერანის ხელმწიფისაგან ქართლის ქვეყანა არ დაწერილიყო“[1]. სწორედ ამიტომ ყიზილბაშობის დროინდელი „მალუჯათი“ ქართლისათვის არ შეიძლებოდა უჩვეულო და მძიმე არ ყოფილიყო.

XVI—XVII სს. სათათრო გამოსაღებლებიდან, როგორც წესი, მხოლოდ „სათათრო საური“ და „სათათრო ულუფა“ იხსენიება. ეს კი იმის აშკარა მოწმობაა, რომ ირანის პოლიტიკური ბატონობა ოსმალობასთან შედარებით მსუბუქი იყო. მაგრამ სპარსული წყაროებიდან ირკვევა, რომ ირანის შაჰი ზოგჯერ ფეშქაშით არ კმაყოფილდებოდა. ის ქართველ მეფეს, გარკვეული პოლიტიკური ურთიერთობის პირობებში, ხარკსაც ახდევინებდა, ოღონდ ქვეყნის აღწერის და მალუჯათის გარეშე. ასეთ ხარკს „ბაჟი და ხარაჯა“ („باج و خراج“) ეწოდებოდა.

ამ ყოველწლიური ხარკის შესახებ ჩვენთვის ხელმისაწვდომ სპარსულ წყაროებში ორი ცნობა მოიპოვება. ერთი ხონდემირს ეკუთვნის, მეორე ისკანდერ მუნშის.

ხონდემირის სიტყვით: 1518 წ. ახლო ხანში შაჰ-ისმაილ I-ის (1502—1524) სარდალ დივ-სულთანს ქართველი მეფე-მთავრები ნახჭევანს ჩაუყვანია, აქ ქართველი ამირები (امرای گرجی) ხელმწიფეს ფადიშაჰური წყალობით მიუღია და როცა ქართველები ხარკის გამოღებას დათანხმებულან (گرجیان باج و خراج قبول نموده), თაჯ-გვირგვინებით და ხალათებით დაუსაჩუქრებია. ქართველ მეფე-მთავრებს ხელმწიფისათვის მორჩილება-სამსახური აღუთქვამთ და თავთავის ქვეყნებში უკან გაბრუნებულან[2]. მსგავსი ცნობა ქართულ წყაროებში არ მოგვეპოვება გარდა იმისა, რომ დავით მეფემ შაჰ-ისმაილს თავისი შვილი რამაზი მიაგება და ძღვენი მიართვა.

ხონდემირის ცნობაში ყურადღებას იქცევს ის, რომ იქ „ხარაჯა“ დასახელებულია „ბაჟის“ გვერდით. უნებლიედ ისმის კითხვა: ხომ არ

---

[1] იყო თუ არა „დაწერილი“ სახანოდ ქცეული კახეთი XVII ს-ში, არ ვიცით. მაგრამ კახეთში არა ერთი ყიზილბაშური გადასახადი არსებობდა.

[2] შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, 1948, გვ. 227—228.

ცელის ხარაჯას ჩვეულებრივ მნიშვნელობას მისი დაკავშირება ბაჟთან? ბაჟის რაობა-მნიშვნელობა აღმოსავლეთის ქვეყნებში კარგადაა ცნობილი. ის საქონლის გზებზე გატარების უფლებისათვის საჭირო ასაღებია, აგრეთვე ხელოსნობაზე დაწესებული გადასახადი. ბაჟს არავითარი კავშირი არ აქვს რენტა-ხარკის წილთან. პეტრუშევსკი აერთიანებს „ბაჟის“ და „ხარაჯას“ დამოუკიდებელ მნიშვნელობებს და „ბაჟს და ხარაჯას“ განმარტავს როგორც ვაჭრობასა და ხელოსნობაზე, ისე სოფლის მეურნეობაზე დაწესებულ ასაღებს («сборы с торговли и ремесла, как и с сельского хозяйства»[1]). თუმცა იგი, ზოგიერთ შემთხვევაში „ბაჟს“ ხარკს (дань) უწოდებს[2]. მაგრამ ამ შედგენილი საგადასახადო ტერმინის ზოგადი ტერმინოლოგიური მნიშვნელობის აღნიშვნა საკმარისი არაა მისი ნამდვილი შინაარსის დასადგენად. „ბაჯ ო ხარაჯ“ არ შეიძლება არ განსხვავდებოდეს ჩვეულებრივი „ბაჟისა“ და „ხარაჯასაგან“, რადგან ის სეფიანთა ირანში საპატრონყმო ურთიერთობასთან იყო დაკავშირებული. ეს რომ ასეა, ამას გვირკვევს ისკანდერ მუნშის იმ ცნობის ანალიზი, სადაც მოხსენებულია „ბაჯ ო ხარაჯ“ ალექსანდრე კახთა მეფის ირანთან დამოკიდებულებასთან დაკავშირებით.

1582 წელს, ირან-ოსმალეთის დროებითი ზავის დროს, ალექსანდრე კახთა მეფემ ხელახლად გამოუცხადა მორჩილება ირანის შაჰს. მას, მოგვითხრობს ისკანდერ მუნში, რამდენიმე წლის გადაუხდელი „ბაჯ ო ხარაჯ“ მოსთხოვეს 3.000 ერაყული შაჰური თუმნის ოდენობით. გარდა ამისა, კახთა მეფე კისრულობდა 1.000 თუმანი შაჰის მემკვიდრის სასარგებლოდ გამოეღო, ხოლო მეორე 1.000 თუმანი საქართველოში საგანგებო დავალებით მყოფ ირანის უპირველესი ვეზირის მირზა სალმანის და ყიზილბაშ ამირების სამასპინძლოდ (აღამათ[3]). ისკანდერ მუნში ამ ცნობაში ლაპარაკობს ყოველწლიურ ხარკზე და არ ურევს მას იმ 2.000 თუმანში, რომელიც კახთა მეფემ დამატებით გამოიღო და ირანის უფლისწულს და დიდმოხელეებს დაურიგდათ.

---

[1] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 230.

[2] იქვე, გვ. 230, შენ. 2.

[3] თარიხ-ი ალემ არა, გვ. 189. الکسندر خان التزام ادای باج و خراج چند ساله که نداده بود نمود مبلغ سه هزار تومان رایج شاهی عراقی بجهت سرکار خاصه شریفه و یک‌هزار تومان بجهت نواب جهانبانی و یک هزار تومان جهت اقامت میرزا سلمان و امرا و ارکان دولت قبول نموده

ისკანდერ მუნშის ამ ცნობის გამო აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: რაკი კახთა მეფეს „3.000 ერაყული შაჰური თუმანი მოსთხოვეს, უნდა ვიფიქროთ, რომ კახთა სამეფოს სპარსეთისათვის ყოველწლიურად 750—1000 ერაყული შაჰური თუმანი უხდია ხარკად“[1]. ამ თანხის გადახდა ძნელი არ უნდა ყოფილიყო ისეთი კეთილმოწყობილი და მდიდარი სამეფოსათვის, როგორსაც XVI ს-ში კახეთი წარმოადგენდა. საინტერესოა, რომ ალექსანდრე კახთა მეფემ სამ წლის გადაუხდელი ხარკი ერთბაშად გადაიხადა და დაუყოვნებლივ თავისი ვეზირის ხოჯა იაკუბის ხელით ირანის შაჰს გაუგზავნა[2]. ხოჯა იაკუბი ირანელ ამირებთან და დიდმოხელეებთან ერთად გაემგზავრა ირანს. აქედან კარგად ჩანს: ალექსანდრე კახთა მეფეს ქვეყანა არ „დაუხარკავს“, „ხარაჯა“ აქ მამულზე არაა შეწერილი, ხოლო კახეთის მიწები ირანის სახელმწიფო დივანში რეგისტრირებული. ამას მოწმობს, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ ალექსანდრე კახთა მეფეს 3.000 თუმანი შეაქვს არა ირანის სახელმწიფო ხაზინაში (დივანში), არამედ შაჰის კერძო სალაროში (سرکار خاصه شریفه).

„ხარაჯა“ (იგივე „მალუჯათი“, „მალი“, „ბაჰრა“) კი, როგორც ვნახეთ, დივანის მისამართით იგზავნებოდა. ამიტომ „ბაჯ ო ხარაჯ“, რომელსაც 1518 წ. ახლო ხანაში ქართველი მეფე-მთავრები

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. IV, გვ. 276—277.

[2] თარიხ-ი ალემ არა, გვ. 196. XVII ს-ის დამდეგს 50.000 დინარი 50 ერაყულ თუმანს უდრიდა (იქვე, გვ. 340. پنجاه هزار دینار کپکی که پنجاه تومان عراقی باشد). 1 თუმანი, ამრიგად, უდრის 1.000 დინარს. ასე რომ კახეთი ირანს ყოველწლიურად უხდის 100.000 დინარს. ჩვეულებრივ კი თუმანი უდრიდა 10.000 დინარს. ამიტომ ჩვენ დაანგარიშებული გვაქვს კახეთის ყოველწლიური ხარკის ოდენობა როგორც ისკანდერ მუნშის ამ ცნობის, ისე ევროპული წყაროების მიხედვით. პიეტრო დელლა ვალლეს ცნობით (XVII ს-ის დამდეგი) 1 თუმანი (10.000 დინარი) უდრის 10 ცეხინს, შარდენის ცნობით (1671 წ.) 3 ეკიუს, ვოლინსკის მიხედვით (1717 წ.) 10 რუსულ მანეთს (შდრ. И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 199, შენ. 3). დამოწმებული ცნობების მიხედვით კახეთი ყოველწლიურად ირანს უხდის 10.000 ცეხინს, 3.000 ეკიუს ან 10.000 რუსულ მანეთს. ცხადია, ეს თანხა შეუდარებლად დიდი იქნებოდა, რომ „ბაჯი ო ხარაჯ“, რომელსაც კახთა მეფე ალექსანდრე უხდის ირანის შაჰს, ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობაზე ყოფილიყო დადებული. საინტერესოა, რომ იტალიელი დ'ალესანდრის მიხედვით (1571 წ.) ქართველთა მეფე ირანის შაჰს ყოველწლიურად 20.000 დუკატს უგზავნის. თუ ეს ქართველთა მეფე დაუთ-ხანია (ვ. მინორსკი ამას კითხვის ქვეშ აყენებს; Tadhkirat al-muluk, გვ. 166, შენ. 2), მაშინ 20.000 დუკატი ირანის დივანში რეგისტრირებულ ქვემო ქართლის მიწებიდან უნდა აკრეფილიყო.

უხდიან ირანის შაჰს და რომელსაც იხდის ალექსანდრე კახთა მეფე 1578 წლამდე და ხელახლად განაახლებს 1582 წელს, არ შეიძლება განსხვავებული არ იყოს ჩვეულებრივი „ხარაჯასაგან“.

„ბაჯ ო ხარაჯს“, როგორც წესი, იხდიდნენ ირანის ფეოდალური სამთავროების მპყრობელ-მფლობელები. XVII ს-ის დამდეგამდე ირანის ტერიტორია მოფენილი იყო ვასალური სამთავროებით, რომელთა სათავეში ასი წლობით იდგნენ მემკვიდრე დინასტიები. ასეთ მპყრობელ-მფლობელთა მიწებს, უკეთ ქვეყანას, ეწოდებოდა „მ უ ლ ქ - ი მ ო უ რ უ ს“ („სამკვიდრო მულქი“), ი. პეტრუშევსკით: «Мульк-сеньория»[1]. ირანული მულქ-ი მოურუსების შესახებ უხვი ცნობები მოიპოვება ნიზამშაჰის ელჩის ხურშაჰის ისტორიაში.

მულქ-ი მოურუსის მპყრობელი, როგორც ხელდებული, ორგვარი მოვალეობით იყო დაკავშირებული ირანის შაჰთან: 1. გ ა მ ო ე ღ ო ბ ა ჯ ო ხ ა რ ა ჯ[2]. 2. პ ი რ ვ ე ლ მ ო წ ო დ ე ბ ი ს თ ა ნ ა ვ ე, გ ა მ ო ს ულ ი ყ ო თ ა ვ ი ს ი ჯ ა რ ი თ შ ა ჰ ი ს ს ა მ ს ა ხ ურ შ ი. ამ ვალდებულებათა გათვალისწინება ი. პეტრუშევსკის საფუძველს აძლევს დასკვნას, რომ მულქ-ი მოურუსი არ წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურისაგან დამოუკიდებელ უპირობო მფლობელობას; მულქ-სენიორიის მფლობელს სალაშქრო მოვალეობის შესრულება ეკისრებოდა იმ დროსაც, როდესაც იგი შაჰის განსაკუთრებული წყალობით, საგადასახადო იმუნიტეტით (მუ'აფი) სარგებლობდა[3]. ამ შემთხვევაში, აღნიშნავს ი. პეტრუშევსკი, მულქ-სენიორია, არაფრით არ განსხვავდებოდა სოიურღალისაგან[4]. ი. პეტრუშევსკის ეს შეხედულება არსებითი ხასიათის შესწორებას საჭიროებს.

ი. პეტრუშევსკის ბოლომდე არ განუმარტავს სამკვიდრო მულქის, როგორც დინასტიური მფლობელობის განსაკუთრებული ფორმის, მთელი თავისებურება. უამისოდ კი შეუძლებელია „ბაჯ ო ხარაჯ“-ის ნამდვილი დანიშნულებისა და მნიშვნელობის გაგება.

ი. პეტრუშევსკი სამკვიდრო მულქის გამო მსჯელობს თავის მონოგრაფიული გამოკვლევის იმ თავში, სადაც მის მიერ მიმოხილულია მულქის სხვადასხვა ტერმინოლოგიური მნიშვნელობა («терминологические значения этого слова»)[5]. „მულქი“, როგორც ცნობილია, ეწოდებოდა შეუზღუდავ საკუთრებას მიწაზე. მულქის

---

[1] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 230.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე, გვ. 229.

გასხვისება, მემკვიდრეობით გადაცემა, ყიდვა და გაყიდვა თავისუფლად შეიძლებოდა. ამავე დროს მულქის მფლობელობა დაკავშირებული არ იყო გარკვეული სახელმწიფო სამსახურის ასრულებასთან. პეტრუშევსკი აცალკევებს ამ მულქს სამკვიდრო მულქისაგან და საამისო ერთ-ერთ საბუთად, სხვათა შორის, მოტანილია ის, რომ «не встречаем мы в источниках XVI—XVIII вв. и упоминаний о продаже таких княжеств»[1].

„მულქსა“ და „მულქ-ი მოურუსს“ შორის მართლაც არსებითი ხასიათის განსხვავება არსებობს. მაგრამ ამის აღნიშვნა სრულიადაც არ ხდის გასაგებს სამკვიდრო მულქის ნამდვილ რაობა-მნიშვნელობას. ი. პეტრუშევსკის მტკიცება, რომ სამკვიდრო მულქის მპყრობელს შაჰის ხელისუფლება ოფიციალურად მოხელედ თვლის, ხოლო მის მფლობელობას სახელმწიფო სამსახური აპირობებს[2], უფრო მუსლიმანურ „თეორიას“ ემყარება, ვიდრე პრაქტიკაში არსებულ სინამდვილეს. ეს რომ ასე ყოფილიყო, შაჰ-აბასს არ დაჭირდებოდა გილანის, მაზანდარანის, ლურისტანის და ირანის სხვა ფეოდალური სამთავროების ცეცხლით და მახვილით დაპყრობა. ირანის პოლიტიკური გაერთიანების შაჰ-აბასისეული საშუალებები მოწმობენ, რომ სამკვიდრო მულქები წარმოადგენდნენ ისეთ პოლიტიკურ ორგანიზმებს, რომელთა არსებობა გამორიცხავდა ირანის პოლიტიკურ გაერთიანებას.

რა არის და რას ნიშნავს ნამდვილად მულქ-ი მოურუს?

სპარსულ ნარატიულ წყაროებში დაცული ცნობების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ მულქ-ი მოურუსი ეწოდებოდა გარკვეულ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ - ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ ე რ თ ე უ ლ ს, რომლის სათავეში ესა თუ ის დინასტია იდგა[3]. ამ შედგენილი ტერმინით აღინიშნებოდა გარკვეულ დინასტიურ მფლობელობასთან დაკავშირებული გარკვეული ტერიტორია. ამას მოწმობენ მულქ-ი მოურუსის პარალელურად ნახმარი გამოთქმები: „ს ა მ კ ვ ი დ რ ო ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო“ (مملکت موروثی), „ს ა მ კ ვ ი დ რ ო ქ ვ ე ყ ა ნ ა“ (ولایت موروثی), „ს ა მ კ ვ ი დ რ ო ო ლ ქ ე ბ ი“ (الکای موروثی).

---

[1] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 230.

[2] იქვე, გვ. 239.

[3] „მ უ ლ ქ-ი მ ო ო რ უ ს ი ს“ ოსმალური შესატყვისი იყო „ო ჯ ა კ ლ ი კ ჰ ი უ ქ უ მ ე თ“. საინტერესოა, რომ ეს ტერმინი ოსმალურ წყაროებში გამოყენებულია იმერეთის სამეფოს მიმართ. ე ვ ლ ი ა ჩ ე ლ ე ბ ი, II, გვ. 320. შდრ. L. Fekete, Zur Geschichte der Grusiner des 16 Jahrhunderts, გვ. 112.

მულქ-ი მოურუსი ეწოდებოდა არა მარტო მემკვიდრე მთავრის ქვეყანას, არამედ თვითონ ირანის შაჰის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებსაც. ასე მაგ., შაჰ-აბასი ხორასანს თავის მულქ-ი მოურუსს უწოდებს ინდოეთის მბრძანებელ ჯელალ ედ-დინ აქბარის მისამართით დაწერილ წერილში[1]: ოზბეგთა სულტან ალ-მუმინისათვის საგანგებოდ გაგზავნილ წერილში კი, რომლითაც შაჰ-აბასი ხორასნის მულქ-ი მოურუსის უკან დაბრუნებას მოითხოვს, ოზბეგთა საყურადღებოდ აღნიშნულია: საჭიროა ხორასნის მულქზე, რომელიც ძველი დროიდან ირანში შედის და ასი წელია ამ დინასტიის (ე. ი. სეფიანთა—ვ. გ.) სამკვიდროდ ითვლება, ხელის აღებით (მაგ მხარეში) მეგობრობა და მშვიდობა დამყარდესო[2]. მულქ-ი მოურუსად თვლის შაჰ-აბასი იმ ქვეყნებსაც, რომელნიც ოსმალეთმა ირან-ოსმალეთის მეორე ომის დროს დაიპყრო და 1590 წ. ზავით დაისაკუთრა. როდესაც ერთხელ ოსმალო სარდალმა 1602 წ. ომის განახლების მიზეზი იკითხა, შაჰ-აბასის ელჩმა თავის მხრივ მას კითხვა დაუსვა, თუ რატომ დაარღვია სულტან მურად III-მ 1555 წლის ზავის პირობები და „სეფიან მბრძანებელთა მულქ-ი მოურუსი დაიპყრო“ (ملك موروث سلاطين صفويه در تصرفات نمود)[3]. ამ ქვეყნების უკან დაბრუნების მოთხოვნას შაჰ-აბასი „მემკვიდრეობით უფლებას“ (حق موروثی) უდებდა საფუძვლად. ირანის ეს ენერგიული მბრძანებელი თავის მოვალეობად თვლიდა „მემკვიდრეობითი უფლების“ აღდგენას და ოსმალეთთან ურთიერთობაში, სანამ 1612 წ. ზავი დაიდებოდა, დაჟინებით ხაზავდა ამ მოთხოვნას. როდესაც ოსმალებმა ირანს ზავი შესთავაზეს, ირანმა ერთხელ კიდევ გაახსენა მათ 1555 წ. ზავის პირობები და ოსმალთა მიერ ამ საზავო ხელშეკრულების დარღვევა. ოსმალებმა, აღნიშნავდნენ შაჰის კარზე, ირანში დაწყებული შინაური შფოთით ისარგებლეს და „ჩვენი სამკვიდრო სახელმწიფო დაიპყრეს. ახლა კი ჩვენი სამკვიდრო უფლების [აღდგენა] გვსურს“[4]. ამას ირანელები მტკიცე გადაწყვეტილებით დასძენდნენ,

---

[1] თარიხ-ი ალემ არა, გვ. 382.

[2] იქვე, გვ. 389. اولی این است که دست از ملک خراسان قدیما داخل ایران و موروثی یکصد ساله این دودمانست باز داشته در مقام اتحاد والفت و اعتذار بوده باشد

[3] იქვე, გვ. 465.

[4] იქვე, გვ. 505. مملکت موروثی مارا بغصب متصرف شدند و اکنون ما طالب حق موروث خودیم

თუ ვინიცობაა ოსმალეთმა ეს პირობები არ მიიღო, მაშინ „სამკვიდრო უფლებაზე ხელს არ ავიღებთ“-ო[1].

მოტანილი ცნობებიდან კარგად ჩანს: შაჰისეული მულქ-ი მოურუს წარმოადგენს ირანის მთელ სახელმწიფოს მასში შემავალი ქვეყნებით და ოლქებით. ყველა ამ ქვეყნის და ოლქის მიმართ სეფიანი შაჰები მემკვიდრეობითი უფლებით სარგებლობენ. მაგრამ შაჰის, როგორც ხელმწიფის, უზენაესობა არ გამორიცხავს ხელდებული მეფეების და მთავრების არსებობას. ამრიგად, სამკვიდრო მულქში ნაგულისხმევია არა საკუთრების განსაკუთრებული ფორმა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, გაბატონებული დინასტიის მემკვიდრეობითი უფლება (حق موروثی) გარკვეული ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულის მიმართ. სწორედ ამიტომ აღნიშნავს შაჰ-აბასი, რომ ხორასანი ძველი დროიდან ირანს ეკუთვნის, მაგრამ სეფიანთა დინასტიის სამკვიდროდ კი ასი წლის წინათ იქცა. ამგვარივე მემკვიდრეობითი უფლებით სარგებლობდნენ ირანის ფეოდალურ სამთავროებში გაბატონებული დინასტიები, სანამ შაჰ-აბასი ირანის გაერთიანებას დღის წესრიგში დააყენებდა და მულქ-ი მოურუსებს გააუქმებდა.

ირანის დამოუკიდებელი მთავრები ცნობდნენ სეფიანი შაჰების უზენაესობას, მაგრამ შაჰის ჩვეულებრივი მოხელისაგან (ბეგლარბეგი, ხანი, სულტანი...) იმით განსხვავდებოდნენ, რომ სამკვიდროდ ეჭირათ განსაზღვრული ტერიტორია, ატარებდნენ სათანადოდ შედგენილ ტიტულაციას და მემკვიდრეობითი წესით აგრძელებდნენ თავიანთ დინასტიურ ბატონობას.

შაჰ-აბასი, სანამ ოსმალეთთან ომს განაახლებდა, ზედიზედ იპყრობდა ირანის ფეოდალურ სამთავროებს, სპობდა ასწლოვან დინასტიებს და აუქმებდა მულქ-ი მოურუსებს. მისი ამ ღონისძიებების აღწერისას სპარსულ ნარატიულ წყაროებში ხშირად გვხვდება ამგვარი გამოთქმა: „იმ მავნე ხალხს მულქ-ი მოურუსზე ხელი ააღებინეს და ღვთივდაცულ სახელმწიფოს შეუერთეს“[2].

აღნიშნული გარემოებანი, როგორც ჩანს, გაუთვალისწინებელი დარჩა ი. პეტრუშევსკის. მისი შეცდომა იქიდან წარმოდგება, რომ მას მულქ-ი მოურუს საკუთრების განსაკუთრებულ ფორმად

---

[1] იქვე, გვ. 505. دست از طلب حق موروثی باز نمیداریم

[2] იქვე, გვ. 354. دست تغلب آنجماعت را از ملک موروث کوتاه ساخته مضمومهٔ ممالک محروسه کردند

მიაჩნია. მან უგულებელყო მფლობელობის დანაწევრება ფეოდალურ სახლებს შორის მულქ-ი მოურუსის ტერიტორიაზე და იგი, მიწისმფლობელობის თვალსაზრისით, ერთ მთელად წარმოიდგინა.

მულქ-ი მოურუსის მპყრობელ-მფლობელი, როგორც მემკვიდრე მმართველი, შაჰის ხელდებული—ვასალია და არა მოხელე.

XVI—XVII სს. სპარსულ ნარატიულ წყაროებში ქართლის და კახეთის სამეფოები მულქ-ი მოურუსად იწოდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ირანის შაჰები ცნობენ ქართლის და კახეთის მეფეების „მემკვიდრეობით უფლებას“ (حق موروثی). ასე მაგ., ირანიდან დაბრუნებული სიმონ ქართლის მეფის გამო ისკანდერ მუნში ამბობს, რომ „მას კეთილშობილი ძმის წოდებულება მიენიჭა, დიდის პატივისცემით დაბრუნდა საქართველოში და სამკვიდრო ოლქების მპყრობელი შეიქმნა“[1]. თეიმურაზ მეფის შაჰის კარზე ხელდასხმის გამო ნათქვამია: „ქართველთა კანონისამებრ, როდესაც ამ დინასტიის (دودمان) რომელიმე უფლისწული მულქ-ი მოურუსის საბატონოდ ტახტზე ადის...“[2], ესა და ეს წესი სრულდება (ისკანდერ მუნშის აღწერილი აქვს ქართველთათვის დამახასიათებელი ხელდასხმის ცერემონიალი). გიორგი ქართლის მეფეც,—გადმოგვცემს ისკანდერ მუნში,—მამის დატყვევების შემდეგ, ქართლში სამკვიდრო ვილაეთის მპყრობელ-მფლობელად დაჯდა[3]. ლუარსაბ II, მამის გარდაცვალების შემდეგ, მულქ-ი მოურუსის მბრძანებლად აღზევდა[4]. ამრიგად, ირანის მთავრობის თვალსაზრისით ქართლის და კახეთის სამეფოები მულქ-ი მოურუსებს წარმოადგენდნენ. ამ თვალსაზრისის მიხედვით ირანი აღიარებს საქართველოს სამეფოების პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. საპატრონყმო ურთიერთობის პირობებში (ასეთი ურთიერთობა ირანის შაჰს მხოლოდ კახთა მეფეებთან ჰქონდა გაფორმებული) კი „ყმას“ (და არა მოხელეს) მხოლოდ „ბაჯ ო ხარაჯის“ გამოღება და სალაშქრო მოვალეობა ეკი-

---

[1] იქვე, გვ. 163. سمایون خان لقب ارجمند برادری یافت و قرین اعزاز و احترام روانه گرجستان و متصرف الکأ موروثی گردید

[2] იქვე, გვ. 498. قانون گرجیان آنست که هرگاه یکی از سلاطین زادهای آن دودمان برسند سلاطین ملک موروث جلوس نماید...

[3] იქვე, გვ. 449. کرکین خان ولد سمایون خان که بعد از گرفتاری پدر در گرجستان کارتیل ولایت موروثی با یالت و دارای نشسته بود

[4] იქვე, გვ. 503. بحکومت ملک موروث و لقب ارجمند فرزندی سربلندی یافت

სრებოდა. ამიტომ აქ ხარაჯას და მალუჯათის დასაწესებლად საჭირო პირობა არ არსებობდა.

მეტად საყურადღებოა, რომ ლუარსაბ II-ისა და თეიმურაზ II-ის შემდეგ მულქ-ი მოურუსი აღარ იხსენიება. მაგ., გამაჰმადიანებულ-გასპარსელებული ბაგრატ-ხანის ქართლში გაბატონებასთან დაკავშირებით ისკანდერ მუნში მულქ-ი მოურუსის დაუსახელებლად აღნიშნავს: ბაგრატ-ხანს „ქართლის პროვინციის (ولایت کارتیل) ბატონობა მისცეს"-ო[1]. მულქ-ი მოურუსად არ ჩაითვლებოდა არც კახეთის ყიზილბაში ხანების საგამგეო. XVII ს-ის დამდეგიდან მოყოლებული ირანის მთავრობის თვალსაზრისი საქართველოს სამეფოების პოლიტიკური ორგანიზაციის მიმართ მკვეთრად იცვლება.

ქართველი მეფის უფლებრივი მდგომარეობის შეცვლის ცდა სავსებით გასაგებია. შაჰ-აბასი „გურჯისტანის საკითხის" ირანის სასარგებლოდ გადაწყვეტას ქართული სამეფოების მაჰმადიანურ სახანოებად გადაქცევის გზით აპირებდა. მას ქართლსა და კახეთში ირანის ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებული მოხელე ჰირდებოდა.

დამახასიათებელია, რომ თუ წინათ, როდესაც შაჰის ხელისუფლება ქართულ სამეფოებს მულქ-ი მოურუსად ცნობდა, ქართველ მეფეს „ბაჯ ო ხარაჯის" გამოღება ეკისრებოდა (ქართლი მისგან თავისუფალი ჩანს, რადგან ისკანდერ მუნშის ყველგან მხოლოდ ალექსანდრე კახთა მეფის მოხარკეობა აქვს აღნიშნული), ახლა მხოლოდ ხარაჯაზეა ლაპარაკი. 1614 წ. შაჰ-აბასი ოსმალებს უმტკიცებდა, რომ ქართველები დიდიხანია მისი მორჩილი და ხარკის გადამხდელი არიან. საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობის გასამართლებლად შაჰი სულტან აჰმედს წერდა, რომ „ბევრი ურწმუნო ქართველი, დიდიხნის მორჩილნი და ხარაჯას გადამხდელნი რომ იყვნენ, აჯანყდა და მორჩილებიდან გამოვიდა"[2]. ხონთქრისათვის გაგზავნილ წერილში გახაზული ხარაჯა (ცხადია, დიპლომატიური მოსაზრებით ჩართული და არა სინამდვილის გამომხატველი) შაჰ-აბასს ქართველების ირანთან განსაკუთრებული პოლიტიკური დამოკიდებულების დასამტკიცებლად ჭირდებოდა.

---

[1] თარიხ-ი ალემ არა, გვ. 621. حکومت ولایت کارتیل را باو ارزانی داشتند

[2] იქვე, გვ. 633. بعضی از کفرا" گرج که از قدیم الایام و تابع خراج گذارانید و دمان بوده اند سر از جیب عصیان و نافرمانی بر آورده بودند

ისკანდერ მუნში, ჩანს, ერთიმეორისაგან კარგად ასხვავებს „ბაჯ ო ხარაჯს“ და საკუთრივ „ხარაჯას“. მისი მოწმობით, ოსმალთა მიერ დაპყრობილი სამცხე-საათაბაგო ხონთქარს ხარაჯას უხდიდა. ხარაჯა საქართველოს ამ კუთხეში ოსმალთა უპირობო ბატონობას ნიშნავდა. ამასთან ოსმალები თვითონ კრეფდნენ ხარაჯას. სიმონ მეფის ასული და მანუჩარ ათაბაგის ცოლი, რომელმაც მცირეწლოვან შვილთან და ერთგულ მხლებლებთან ერთად მთებს და ტყეს შეაფარა თავი,—მოგვითხრობს ისკანდერ მუნში,—ოცდახუთი წლის განმავლობაში, სანამ ქართველთა ქვეყანა ოსმალთ ე მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ო დ ა, დაჟინებით ცდილობდა, რათა ოსმალებს ქვეყანა ათაბაგად წოდებულ მისი შვილისათვის მიეცათ და ხარკიც, საქართველოს წესისამებრ, აქაც ისე აეკრიფათ როგორც საქართველოს სხვა ნაწილებში კრეფდნენ, მაგრამ ოსმალები ამას არ თანხმდებოდნენ[1]. საინტერესო ცნობაა: ისკანდერ მუნში ასხვავებს სამცხე-საათაბაგოზე დაწესებულ ხარკს საქართველოს სხვა ნაწილებზე დაწესებულ ოსმალურივე ხარკისაგან. ცხადია, აქ მიწაა აღწერილ-დახარკული, სხვაგან კი „მორჩილების“ განსხვავებული ფორმის აღსანიშნავად გარკვეული სათათრო გამოსაღებია დაწესებული. მეტად საყურადღებოა, რომ ალექსანდრე კახთა მეფე ოსმალებს ჯერ საერის უხდის (დამოკიდებულების ყველაზე მსუბუქ ფორმას აღიარებს), ხოლო შემდეგ, როდესაც ოსმალთა ბატონობა თითქმის მთელ ამიერკავკასიაზე ვრცელდება, „ბაჯ ო ხარაჯის“ გამოღებაზეც თანხმობას აცხადებს (მეხარკეობით თავს ხონთქრის „ყმად“ ცნობს), ხარაჯას (უპირობო პოლიტიკურ დამოკიდებულებას რომ აღნიშნავდა) გადახდა კი მას არ უკისრია. ამით კახეთის მდგომარეობა განსხვავებული იყო სამცხე-საათაბაგოს და ქართლის იმ ნაწილის მდგომარეობისაგან, სადაც ოსმალეთი დაპყრობილი ქვეყნების გაოსმალებას შეუდგა.

აღმოსავლურ მიწისმფლობელობასთან დაკავშირებული ხარაჯა ქვეყნის გაოსმალებას და გაყიზილბაშებას აპირობებდა. გაოსმალება-გაყიზილბაშება მხოლოდ ქართული მიწისმფლობელობის გაუქმებით იყო შესაძლებელი. ეს, შაჰ-აბასამდე კარგა ხნით ადრე, შაჰთამაზ I-მა სცადა. მისი ბრძანებით თბილისისა და ქვემო ქართლის მი-

---

[1] იქვე, გვ. 554. در مدت بیست و پنجسال که گرجستانات بالتمام تابع و خراج گذار رومیان بود عورت مذکور سعی بسیار کرد که رومیه آنولایت‌را بدستور سایر گرجستانات که بولاة گرجی خراج گذاشته میگیرند به پسر او که اتابیگ نام دارد گذاشته خراج بگیرند رومیان قبول نکردند

წები დივანის რეესტრებში გაატარეს[1]. ეს ღონისძიება, ცხადია, ქართლის იმ ნაწილზე ვრცელდებოდა, რომელზედაც დაუთ-ხანს მიუწვდებოდა ხელი. ამით დაუთ-ხანი ირანის პირწავარდნილ მოხელედ ხდებოდა. წესისამებრ მას და ქართველ ფეოდალებს ყმა-მამულის მფლობელობა ახლად უნდა მიეღოთ ირანის შაჰისაგან. მაგრამ დაუთ-ხანის ბატონობა ხანმოკლე აღმოჩნდა. მისი დროის საბუთებში ყიზილბაშური „მალი“ თუ „ხარაჯა“ არ ჩანს.

ამრიგად, „ბაჯ ო ხარაჯ“, რომელსაც კახთა მეფე ალექსანდრე უხდის ირანის შაჰს, არ ნიშნავს არც მალს (სათათროს მნიშვნელობით), არც მალუჯათს და არც ბაჰრას. ის დაწესებული არაა მიწაზე და „შეგდებული მამულზე“, რაც, რასაკვირველია, გარდა იმისა რომ შეუდარებლად გაზრდიდა ხარკის ოდენობას, კახეთის მეფის და ირანის შაჰის ურთიერთობაში პოლიტიკური დამოკიდებულების ისეთ ფორმას დაამყარებდა, რის მიღწევასაც ასე დაჟინებით ცდილობდა შაჰ-აბასი.

„ბაჯ ო ხარაჯს“, როგორც ხარკს, ჩვენი აზრით, საშუალო თუ გარდამავალი ადგილი უკავია „საურსა“ და „მალ-მალუჯათს“ შორის.

„სათათრო მალის“ ბუნების შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ: „ბაჯ ო ხარაჯის“ შეცვლა „მალუჯათით“ არსებითად სცვლის საქართველო-ირანის ურთიერთობის პოლიტიკურ ფორმას, აუარესებს დამოკიდებული ქვეყნის საერთო პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობას. „საური“ კი, პირიქით, დამოკიდებულების თვალსაზრისით „ბაჯ ო ხარაჯზე“ უფრო მსუბუქ ფორმას წარმოადგენს.

„სათათრო მალი“, როგორც ვნახეთ, მჭიდროდაა დაკავშირებული თათართა მფლობელობასთან, უცხო დამპყრობელ სახელმწიფოსთან ისეთ პოლიტიკურ დამოკიდებულებასთან, რომლის აღსანიშნავად და დასახასიათებლად ქართულ საისტორიო მწერლობაში გამოყენებულია: „ულუსობა“, „ოსმალობა“ და „ყიზილბაშობა“. ქართული ფეოდალური საზოგადოებისათვის ყველა ეს უცხოური მოვლენა მიუღებელი იყო, რამდენადაც მათ არსებობას აპირობებდა ქართულისაგან მკვეთრად განსხვავებული აღმოსავლური მიწისმფლობე-

---

[1] ვ. გაბაშვილი, სახელმწიფო წყობილების საკითხისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში, „მიმომხილველი“, II, გვ. 143.

ლობა. „სათათრო მალი“ ქართულ სინამდვილეში მხოლოდ ამ მიწის-მფლობელობის შედეგად შეიძლებოდა წარმომდგარიყო.

„სათათრო მალი“ დამახასიათებელია მხოლოდ თათართა ბატონობის ხანისათვის (XIII—XIV სს.) და, ნაწილობრივ, XV ს-ის იმ გარკვეული დროისათვის, როდესაც „თათართა მფლობელობა უდავო ამბავია“. მალი მალუჯათის სახით ერთხელ კიდევ გვევლინება აღმ. საქართველოში, როდესაც ნადირ-შაჰმა ქვეყანა აღწერა და დახარკა.

გ) სათათრო ულუფა

„ულუფა“, როგორც სათათრო გამოსაღების აღმნიშვნელი სიტყვა, „მალის“ მსგავსად თათართა ბატონობის ხანაშია შემოღებული.

თათართა ბატონობის დროს, სხვადასხვა გადასახადთან (საიამე, ტამღა, ყალანი და სხვ.) ერთად, „ულუფად“ წოდებული სამოხელეო გამოსაღებიც იყო დაწესებული[1].

„ულუფას“ სინონიმად ჩანს XVIII ს-ის ქართული საბუთების „სურსათი“. „სურსათის“ კავშირი ფეოდალური ლაშქრის, სურსათ-სანოვაგით მომარაგებასთან ცხადი და აშკარაა.

„ულუფა“ (სათათროს დაურთველად) XV—XVIII სს. საქართველოში ადგილობრივ გადასახადად იქცა და ქართულ სამეფო და ფეოდალურ გადასახადთა რიგში მოექცა. ამ დროს რამდენიმე სახის საულუფო გამოსაღები არსებობდა: „სათათრო ულუფა“, „მუდამი ულუფა“[2], „მთელი ულუფა“[3] და „წვრილი ულუფა“[4].

„სათათრო ულუფას“ ბროსე განმარტავდა როგორც თათართა შესანახად განკუთვნილ გამოსაღებს: «**Sathathro oulupha**», **სათათრო ულუფა, impôt d'entretien, pour les Tatars**»[5]. „თათარში“ შეიძლებოდა ნაგულისხმევი ყოფილიყო მხედრობაც და ციხეებში ჩაყენებული მეციხოვნე ჯარიც. „სათათრო ულუფა“, უეჭველი, დამპყრობელი ქვეყნის ლაშქრის დასაკმაყოფილებლად, განსაკუთრებით კი მეციხოვნე ჯარის შესანახად გროვდებოდა. მაგ., ალექ-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, თბ., 1941, გვ. 56.
[2] ქრონიკები, ტ. II, გვ. 306.
[3] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები..., გვ. 361—362.
[4] **Introduction**, გვ. **CLXIII**.
[5] **იქვე**.

სანდრე კახთა მეფე ოსმალთა ჯარის სარდლებს საერისთან ერთად ნუზლსაც (სურსათ-სანოვაგეს) უგზავნის. საამისოდ კი მას კახეთში „სათათრო ულუფა“ უნდა მოეგროვებინა. მაგრამ თუ დამპყრობელთა ლაშქარი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო მოძრაობდა საქართველოს ტერიტორიაზე, სამაგიეროდ მეციხოვნე ჯარი მთავარ ციხეებში თითქმის მუდმივად იდგა. მეციხოვნე ჯარს „აზუყი“ (სურსათ-სანოვაგე) ჭირდებოდა. „აზუყის“ წყაროს კი, უეჭველია, „სათათრო ულუფა“ წარმოადგენდა. 1666 წ. დათარიღებულ, სამწუხაროდ მეტად დამახინჯებულ თუ ცუდი ქართულით დაწერილ, საბუთში ნათქვამი: „თათრების ხარჯ, ლუფისათჯს“ (ცხადია უნდა იყოს: „ულუფისათვის“[1]) მეციხოვნე ჯარისათვის გაკუთვნილ ხარჯს და ულუფას უნდა ნიშნავდეს. „ციხის თათარი“, „ყიზილბაშთა მეციხოვნე ჯარის აღსანიშნავად, აღებულ ხანაში, საყოველთაოდაა გავრცელებული.

„სათათრო ულუფა“, „სათათრო საურის“ მსგავსად, თითქმის მუდმივად თან სდევს საქართველოს ნაგვიანევ შუა საუკუნეებს. ამიტომ საგადასახადო იმუნიტეტში ეს სათათრო გამოსაღებიც შედარებით ნაკლებადაა გათვალისწინებული. აღებული ხანის სითარხნის წიგნებისათვის ჩვეულებრივია ფორმულა: „გვითარხნებია და გვითავისუფლებია... თვინიერ სათათრო ულუფას კიდე“-ო.

როდესაც მტერი ქვეყნის ციხეებში აღარ იდგა და განდევნილი იყო, „სათათრო ულუფა“ შეიძლებოდა ადვილად ამოკვეთილიყო. მაგ., კონსტანტინე მეფის მიერ მცხეთისათვის ბოძებულ 1488 წ. სიგელში ნათქვამია: „აგარისა ნათესავნი, მტერნი და წინაღმდგომნი სამარადისოდ ლტოლვილ და უკუნქცეულ არიან... ახლად გუჯრითა ამით დავამტკიცეთ, ვათარხნეთ და ვათავისუფლეთ... საცა... მცხეთისა... მამულნი არიან, არა ეთხოებოდეს რა... არა სათათრო ულუფა, არა წურილი საწერი, მუდამი ულუფა...“[2]

საბუთებში ხშირად მოხსენიებული „დიდი სათათრო ულუფა“ გვაფიქრებინებს, რომ დიდის გვერდით მცირე ანუ „წვრილი სათათრო ულუფაც“ არსებობდა. ბროსეს

---

[1] თ. ჟორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტ. საბუთები, გვ. 196.

[2] ქრონიკები, ტ. II, გვ. 306.

„წვრილი ულუფა“ მუდმივ ულუფად ჩიაჩნდა[1]. მაგრამ მუდმივი, და თანაც ადგილობრივი დანიშნულების, ულუფას აღსანიშნავად არსებობდა სპეციალური ტერმინი „მუდამი ულუფა“. განსხვავება „დიდსა“ და „წვრილ“ სათათრო ულუფას შორის მარტო ულუფას რაოდენობაზე, საწყაოებზე ან განსაკუთრებულ ვითარებაზე არ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. გასათვალისწინებელია ,ისიც, თუ ვისი მისამართით მიდიოდა საერთოდ სათათრო ულუფა და რის მიხედვით ნაწევრდებოდა იგი „დიდ“ და „წვრილ“ სათათრო ულუფად.

„სათათრო ულუფა“, ჩანს, ეძლეოდათ არა მარტო უცხო დამპყრობელთა მხედრობას და მეციხოვნე ჯარს, არამედ თათრის მოხელე-ელჩებსაც, დროდადრო საგანგებო დავალებით რომ მოდიოდნენ ქართველი მეფის კარზე.

უცხო სახელმწიფოს მოხელე-ელჩებისათვის დაწესებულ ულუფას უნდა გულისხმობდეს „ს ა ე ლ ჩ ო დ“[2] წოდებული გამოსაღები, რომელიც როსტომ მეფის 1650 წლის სითარხნის წიგნში სწორედ „ულუფასთან“ არის დაკავშირებული. საინტერესოა, რომ დასახელებულ საბუთში „ს ა ე ლ ჩ ო ულ უ ფ ა“ მოხსენიებულია „სათათრო ულუფას“ გვერდით. ჯვარის მამისათვის მიცემულ სითარხნის წიგნში როსტომ მეფე აღნიშნავს: „ახლად ამა სიგლითა გაგიახლეთ და ჩუენცა ვათარხნეთ სოფელი დირბი და გავათავისუფლეთ ყოვლისა სათხოვარისა და გამოსაღებისაგან. არა ეთხოებოდეს და არა ეჯერებოდეს არა დიდი ს ა თ ა თ რ ო ულ უ ფ ა, არა წურილი ს ა ე ლ ჩ ო ულ უ ფ ა...“[3] დამოწმებულ საბუთში, თითქოს, ცხადადაა ნაჩვენები, რომ „დიდი სათათრო ულუფა“ ერთია, ხოლო საელჩოსთან დაკავშირებული „წვრილი (სათათრო) ულუფა“ კი მეორე. ულუფის სიდიდეს, რა თქმა უნდა, განსაზღვრავდა ის, რომ უცხო დამპყრობელთა ლაშქრის და მეციხოვნე ჯარის რაოდენობა შეუდარებლად აღემატებოდა ამა თუ იმ ელჩობის შემადგენლობას.

---

[1] „La charte distinguent l'oulupha simple le grand დიდი სათათრო ულუფა, pour les Tatars; le petit წვრილი ულუფა le perpetuel...“ Introduction, გვ. CLXXIII.

[2] იქვე. გვ. CLXXIV.

[3] ისტ. საბ., III, გვ. 45. საინტერესოა, რომ სიმონ I-ის 1559 წ. დათარიღებულ და მცხეთისათვის ბოძებულ სიგელში „წურილი ულუფა“ განსხვავებულია „საჩუენო (ე. ი. სამეფო) საწერი ულუფასაგან“. სიგელში ნათქვამია: „სათათროს საურისა და ულუფას მეტი არა ეთხოვებოდეს წურილი ულუფა, საჩუენო საწერი მუდამი ულუფა...“, ქრონიკები, II, გვ. 407.

მეციხოვნე ჯართან, მთავარ ციხე-ქალაქებში პოლიტიკური და სამხედრო მიზნით რომ იყო ჩაყენებული, დაკავშირებული „სათათრო ულუფა“ ისევე ხაზავდა ქართველი მეფის „ხელმწიფეზე“ დამოკიდებულებას, როგორც საური და ხარკი („ბაჯ ო ხარაჯ“). მაგრამ დამოკიდებულების თავისებურებას და შინაარსს არც „სათათრო ულუფა“ ცვლიდა „მალის“ ან „მალუჯათის“ მსგავსად. „მალი“ და მისი სინონიმი „მალუჯათი“, როგორც ვნახეთ, უპირობო პოლიტიკურ დამოკიდებულებასთან იყო დაკავშირებული, უშუალოდ ეხებოდა ქართულ ფეოდალურ მიწისმფლობელობას და ამ მიწისმფლობელობის თავისებურებით გაპირობებულ სოციალურ-ეკონომიურ წყობას და პოლიტიკურ ორგანიზაციას.

2. ორენოვანი (ქართულ-სპარსული) საბუთები

ორენოვანი საბუთების მთელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი ქართული ნაწილის შინაარსის სპარსულად გადმოსაცემად გამოყენებულია ირანული ფეოდალური ტერმინოლოგია.

მიწის ფეოდალური საკუთრების ქართული ფორმების აღსანიშნავად ნახმარია: თ ი უ ლ ი, მ უ ლ ქ ი, ს ო ი უ რ ღ ა ლ ი, ვ ა ქ ფ ი.

სოციალური ტერმინოლოგიიდან: თ ი უ ლ დ ა რ ი, ა ღ ა, მ უ ლ ა ზ ი მ ი, ნ ო ქ ა რ ი. მაგრამ ორენოვანი საბუთის სპარსულ ტექსტში ხშირადაა დასახელებული აგრეთვე აზნაური.

გადასახადებიდან: დ ა ს ტ ა ნ დ ა ზ ი, დ ო თ ა ყ უ, ვ ე ზ ი რ ა ნ ე, თ ა რ ჰ ი, მ ა დ ა დ - ხ ა რ ჯ ი, ს ა რ შ ო მ ა რ ა, ყ ო ნ ა ლ ღ ა, მ ა ლ უ ჯ ა თ ი, ბ ა ჰ რ ა, ა ვ ა რ ი ზ ა თ ი (ვასახელებთ იმ აღმოსავლურ საგადასახადო ტერმინებს, რომლებიც დამოწმებული არაა XVI—XVIII სს. ქართულ საბუთებში).

მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში ქართული გადასახადები უცვლელადაა გადატანილი ორენოვანი საბუთის სპარსულ ტექსტში. მაგ., საბალახე, ნახირისთავი, პირისთავი და კოდისპური[1]. მაგრამ ეს იშვიათი გამონაკლისი ეკუთვნის როსტომ-მეფის (1632—1658) დროინდელ საბუთებს, როდესაც ორენოვანი საბუთების სპარსულ ტექსტებს აშკარად ეტყობათ ქართული ნაწილების ძლიერი გავლენა.

[1] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 143, 147.

ორენოვანი საბუთის სპარსულ ნაწილს ეწოდება „ჰოქმი". იგი შედგენილია სპარსული დიპლომატიკის წესების მიხედვით. ამასთან ჩანს, რომ სპარსული ტექსტი დაწერილია სპარსეთის სამდივან-მწიგნობროში გაწაფული მდივნის მიერ.

„ჰოქმი", როგორც ცნობილია, შაჰის „ფირმანისაგან" განსხვავებით ეწოდებოდა ხანის სახელით გაცემულ საბუთს[1]. ამიტომ, ცხადია, ორენოვანი საბუთის ქართული ნაწილისათვის დართული სპარსული ტექსტი გარკვეულ ისტორიულ პირობებში უნდა წარმოშობილიყო.

ორენოვანი საბუთები პირველად XVI ს-ის 80-იან წლებში გაჩნდა[2].

ქვემოთ გაანალიზებულია XVI ს-ის უკანასკნელი მეოთხედის ორენოვანი საბუთები, რომელთა ფორმასა და შინაარსში მკაფიოდაა აღბეჭდილი ქართული მიწისმფლობელობის დაცვისათვის (ქართული ფეოდალური საზოგადოების მხრივ) და გაუქმებისათვის (ყიზილბაშ-ირანელების მხრივ) ბრძოლის ანარეკლი.

ჩვენი მიზნისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა სიმონ I-ის დროინდელი ორენოვანი საბუთები არა მარტო იმის გამო, რომ ისინი ამ მხრივ პირველნი არიან, არამედ იმის გამოც, რომ ისინი, ქრონოლოგიურად ახლოს დგანან დაუთ-ხანის (1562—1578) დროსთან. ეს კი ის ხანაა, როცა თბილისის და ქვემო ქართლის მიწები ყიზილბაშებმა პირველად აღწერეს და ირანის სახელმწიფო დივანის და-

---

[1] ხანის საბუთს „თ ა ლ ი კ ა"-ც ერქვა. 1735 წ. საბუთში, რომლითაც ქართლის გამგე სულხან მდივანს თავის მამულს უმტკიცებს, ნათქვამია: „წყალობის თ ა ლ ი ყ ა გვთხოვა"-ო (საქ. სიძვ., III, გვ. 419—420). ასევე ნაზარალი-ხანის 1701 წ. მამულის წყალობის წიგნს, მერმინდელი მინაწერის მიხედვით, ეწოდება „თ ა ლ ღ ა ნაზარალი ხანისა" (ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 403). საინტერესოა, რომ „თალიკა" საზოგადოდ ეწოდებოდა აღმ. ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ხანების (XVIII ს-ის მეორე ნახევარში) საბუთს წინანდელი „ჰოქმისაგან" განსასხვავებლად.

[2] ქართულ დიპლომატიკაში ქართული საბუთისათვის დართული სპარსული ტექსტი XIV საუკუნიდანაა ცნობილი. ნ. ბერძენიშვილი ამის გამო შენიშნავს: „ამ საბუთის ორივე ფურცლის ზურგზედ სპარსული ტექსტია მოთავსებული, რაც თავისთავად საინტერესო ფაქტია. XVI—XVII საუკუნეებში ასეთი რამ ჩვეულებრივი მოვლენაა ქართულ დიპლომატიკაში. ამ მოვლენას უნდა ფეხი მოეკიდა ჯერ კიდევ XIV საუკუნიდან. ყოველ შემთხვევაში XIV საუკუნის ერთ ქართულ საბუთზე სპარსული წარწერა უკვე გვხვდება" (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, გვ. 35). მაგრამ ამ საბუთის სპარსული ტექსტის შინაარსს არაფერი აქვს საერთო XVI—XVII სს. ორენოვანი საბუთების სპარსული ნაწილების შინაარსთან.

თრებში გაატარეს[1], ირანიდან მაჰმუდ-ხანის წოდებულებით დაბრუნებულ მაჰმადიან სიმონ მეფეს ერთბაშად არ უნდა უარეყო პოლიტიკური დამოკიდებულების იმ ფორმის ყველა მხარე, რომელიც დაუთ-ხანსა და ირანის შაჰს შორის დამყარდა. „ქართველობისათვის" აქტიური ბრძოლა მას ხელახლად გაქრისტიანების მომენტიდან უნდა დაეწყო. ამიტომ მისი ადრინდელი საბუთების სპარსულ ნაწილებში ირანული გავლენის კვალი უფრო ძლიერად ჩანს წარმოჩენილი, ვიდრე როსტომ-ხანის საბუთებში.

აღსანიშნავია, რომ სიმონ I-ის ორენოვანი საბუთების სპარსული ტექსტები ზუსტად იმეორებენ სპარსული დიპლომატიკის ფორმას და წესებს, მაშინ როდესაც XVII ს-ის გარკვეული პერიოდის ორენოვან საბუთების სპარსულ ტექსტებზე ქართულის გავლენა აშკარაა. ყველაფერი ეს სრულიადაც არ უნდა იყოს გასაოცარი, რადგან XVII ს-ის 30-იან წლებში ქართული მიწებისათვის წარმოებული მრავალწლოვანი ბრძოლის შედეგები ირანისათვის სავსებით ცხადი და გამორკვეული იყო. თვითონ როსტომ-ხანის ცნობილი კომპრო-

---

[1] ცნობა თბილისის და მიმდგომი სანახების დივანისადმი დაქვემდებარების შესახებ ისკანდერ მუნშის ეკუთვნის (თარიხ-ი ალემ არა, გვ. 67). ამ ფაქტს ისტორიკოსი ერთხელ კიდევ აღნიშნავს, როცა ბაგრატ-ხანის გარდაცვალების გამო მოკლედ აღწერს მის ბიოგრაფიას და ბაგრატ-ხანის მძევლობას უშუალოდ უკავშირებს თბილისის დივანზე დამორჩილებას (თარიხ-ი ალემ არა, გვ. 667). ისკანდერ მუნშის ცნობას ერთგვარად ემოწმება დაუთ-ხანის თანამედროვე ჰასან რუმლუ, რომლის მიხედვით დაუდ-ბეგი ახნაურებისჯგუფთან ერთად ყაზვინს მივიდა, გამაჰმადიანდა და შაჰმაც სამმართველოდ თბილისი მას უწყალობა (ჰასან რუმლუ, სპ. ტექსტი, C. N. Seddon-ის გამოც., გვ. 617). თბილისის და მიმდგომი სანახების დივანისადმი დამორჩილება, რა თქმა უნდა, შემოწმებას საჭიროებს, რადგან საამისო ცნობა ქართულ წყაროებში არ გვხვდება. მაგრამ საქართველოს შესახებ ისკანდერ მუნში საერთოდ ზუსტ ცნობებს გვაწვდის. ამასთან ახსნას მოითხოვს ის გარემოება, რომ დაუთ-ხანის დროიდან ჩვენამდე სამამულო ურთიერთობის ამსახველ სიგელებს და, საზოგადოდ, დოკუმენტებს არ მოუღწევიათ. შესაძლებელია, ეს იმის არაპირდაპირი ჩვენება იყოს, რომ ქალაქის და სომხით-საბარათიანოს მამულების განახლების უფლება ამ დროს ირანის შაჰს ეკუთვნის. ამ მოსაზრების გაზიარებას, უეჭველია, დაბრკოლებას უქმნის ის, რომ არც სპარსული ფირმანები მოგვეპოვება (თუმცა, ორენოვანი საბუთების გაჩენას მათი გაუქმება-მოსპობა უნდა გამოეწვია). გასათვალისწინებელია პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტიც: ყიზილბაშურმა ირანმა „ქალაქი და სომხით-საბარათიანო" დაიპყრო და აქ ხანად გამაჰმადიანებული დაუთ-ხანი დასვა. ასეთ ვითარებაში გამორიცხული არაა დაპყრობილი ქვეყნის „აწერა" და მისი დივანის დაფთრებში გატარება. საინტერესოა: იტალიელი დ'ალესანდრის ცნობით (1571 წ.), ქართველი მეფე ირანის შაჰს ყოველწლიურად უხდის 20.0000 დუკატს. ასეთი თანხა მხოლოდ აწერილ მამულებს შეეძლოთ გამოეღოთ.

მისული პოლიტიკა ირანის მხრივ საქართველოს ინკორპორაციის მარცხის აღიარებას ნიშნავდა. XVI ს-ის 70-იან წლებში კი საქართველოს ინკორპორაციისათვის ბრძოლა იმ ახალ ფაზაში შედიოდა, რომლის განვითარებისათვის შემდეგ აგრე ენერგიულად იღვწოდა შაჰ-აბასი.

ჩვენ არ ვიცით, როდის იწყება თბილისის და ქვემო ქართლის მიწების ირანის დივანთან დაკავშირება ან როდის მთავრდება მათი ირანთან კავშირი. ისკანდერ მუნში საამისო თარიღებს არ გვაწვდის. გრძელდებოდა თუ არა სიმონ I-ის დროს აღნიშნული მდგომარეობა? არც ეს ვიცით. თუმცა „სათათრო მალის" მოუხსენებლობა და „სათათრო საურის" მოხსენიება აღებული ხანის ქართულ საბუთებში იმის საფუძველს გვაძლევს, რომ დასმულ კითხვას უარყოფითი პასუხი გავცეთ.

ყოველ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ სიმონ I-ის დროინდელ საბუთებში უპირატესად ქვემო ქართლის სოფლებია მოხსენიებული. ამ სოფლების პატრონებს დაუთ-ხანის დროს, ირანული წესისამებრ, მფლობელობის უფლება ირანის შაჰისაგან ახლად უნდა მიეღოთ, ისევე როგორც ამას, მაგალითად, წახურის ან ელისუს მფლობელები ღებულობდნენ[1], ანდა ღებულობდნენ ქართლის ფეოდალები „ოსმალობის" დროს XVIII ს-ის მეორე მეოთხედში.

შესაძლებელია, ამ სოფლების მფლობელობის უფლების განახლება ახალი, და ისიც მაჰმადიანი, მეფის საბუთებისათვის დართული ტექსტით ამ მოვლენის ერთგვარი ანარეკლი იყოს. ოღონდ იმ მნიშვნელოვანი განსხვავებით, რომ დაუთ-ხანი დივანის მიწებს წყალობის წესით ვერც გასცემდა და ვერც განაახლებდა. სიმონ მეფეს კი ეს შაჰის შეუკითხავად შეეძლო, თუმცა მიწისმფლობელისათვის შაჰის მოხელის (ასეთი მეთვალყურე მოხელე სიმონ მეფის გვერდით უეჭველად სავარაუდებელია) დასტურიც სასურველი უნდა ყოფილიყო[2]. მით უმეტეს, რომ მფლობელობის განახლება თავის დროზე ირანის დივანში რეგისტრირებულ მამულებს ეხებოდა. ამერიდან,

---

[1] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 202, 212.

ამის ანალოგიად გამოდგება 1729 წ. ერთი საბუთი, სადაც ნათქვამია: „შაჰნადირ რომ ყეენი იყო, მისის ბრძანებით თბილისის ხანი სანჯან იყო. მაშინ ვიყიდე ატენს ნონიაშვილისაგან ვენახი. ნასყიდობის წიგნი გორელს თამდივნიშვილს გიორგის დავაწერინე, რაც იმ დროს კარის კაცნი ქართველნი ბძანდებოდნენ ყველას დავაბეჭდინე, შიხალიხამსაც თათრულად მივაწერინე და დავაბეჭდინე". ისტ. საბ., V, გვ. 80.

მფლობელობის თვალსაზრისით, საბუთის სპარსულ ნაწილს ისეთივე ძალა უნდა ჰქონოდა, როგორიც მის მთავარ, ე. ი. ქართულ ნაწილს[1]. ამასთან ორენოვან საბუთებზე, ქართველი მეფის გარდა, შაჰის მოხელეების სარეგისტრაციო ბეჭდებიც იჯდა. ყველაფერი ეს მფლობელობის უტყუარი საბუთები უნდა ყოფილიყო და, ამდენადვე, აუცილებელი მათი გამეორება. სწორედ ამიტომ საინტერესო იქნებოდა იმის დადგენა, თუ რომელი სოფლების მფლობელობა მეორდება განახლებულ ორენოვან საბუთებში.

აღნიშნული, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ორენოვანი საბუთების გაჩენის ერთადერთი ახსნა იყოს, რადგან მოგვეპოვება ირანის შაჰების ერთენოვანი, ე. ი. სპარსული საბუთებიც. ამიტომ ამ საკითხს ერთხელ კიდევ დავუბრუნდებით, როცა სპეციალურად შევეხებით ირან-საქართველოს ურთიერთობის პოლიტიკურ ფორმას, რომლის ნაყოფი უნდა იყოს, ჩვენი აზრით, თვითონ ორენოვანი საბუთი.

ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა ფონზე კიდევ უფრო საინტერესოდ გამოიყურებიან სიმონ I-ის დროინდელი ორენოვანი საბუთები. ისინი მიცემული აქვთ უპირატესად ქვემო ქართლის ფეოდალებს, შედგენილი არიან ქვემო ქართლში „ქართველობის“ აღდგენის პერიოდში და, ჩანს, ჯერ კიდევ ეტყობათ „ყიზილბაშობის“ რეციდივების კვალი. ამდენადვე სწორედ ასეთი საბუთების ანალიზის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის იმ თავისებურების ჩვენება, რომელიც გარეგნულად ირანულ-ყიზილბაშური ტერმინების გარსშია გამოხვეული.

ქვემოთ შესადარებლად მოტანილია სიმონ I-ის დროინდელი ორენოვანი საბუთების ქართული და სპარსული ტექსტების შინაარსი, შედარებისა და ანალიზისათვის შერჩეულია სამი საბუთი: ერთი მამულის წყალობის წიგნია, მეორე—მამულისა და ყმების, მესამე—სითარხნის წიგნი.

1581 წელს სიმონ მეფე გიორგი და ამირან თულაშვილებს აძლევს მამულის წყალობის წიგნს, რომელიც ნაგვიანევი ხანის ქარ-

---

[1] მაგრამ ირანის მთავრობის ოფიციალური თვალსაზრისი ამ საკითხშიც იჩენდა თავს. ამ თვალსაზრისით მთავარი იყო ორენოვანი საბუთის სპარსული ნაწილი. 1717 წ. შაჰნავაზ III (ბაქარის) წყალობის წიგნის სპარსულ ნაწილში განმარტებულია: „ქართლის ვილაიეთის ყველა ადამიანებმა იმოქმედონ იმ შინაარსისა და განმარტებების მიხედვით, რომელიც მთავარ ბრძანებულებაში წერია მუსლიმანური დამწერლობით და ქართულად არის დაწერილი და დამტკიცებული [დართულ] საბუთში“. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 429.

თული დიპლომატიკის ჩვეულებრივ ნიმუშს წარმოადგენს. საბუთში ნათქვამია:

„ჩუენ, ღ[უ]თივ გუირგუინოსანმან მეფეთ-მეფემან სიმეონ, ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა ყმასა თულაშვილს გიორგის და ძმასა შენსა ამირანს;—მას ჟამსა, ოდეს წყალობა გიყავით და გიბოძეთ სამართლიანი თქუენი კერძი სოფელი ზრბითი, სოფელი აწუფისი და სოფელი ღვევი, სამართლიანისა მისის სამზღვრითა, მთით ბარამდი, თქუენთვინ გუიბოძებია. გქონდეს და გიბედნიეროს ღ[მერ]თმ[ა]ნ ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგან. აწე გ[ი]ბ[რძანე]ბთ ალგეთის პირი[ს]ა და ვერის ჭევის ტარუღავ, მელიქო და სხვანო მოსაქმენო, ვინგინდავინ იყუნეთ, მერმე ზრბითს, აწუფის და ღვევს სამართლიანი მათი წილი თულაშვილის გ[იორ]გისა და მისის ძმისათვინ გუიბოძებია და თქუენცა დ[ა]ნებეთ და ნუ ეცილებით. დაიწერა ნიშანი და ბძ[ანე]ბა ესე ქ[ორონი]კ[ონ]სა სჲთ, მარტსა ექუსსა“[1].

ამას მოსდევს სპარსული ტექსტი, რომლის ქართული თარგმანი ასეთია:

„ამჟამად თანასწორთა ბურჯის, გიორგი-ბეგ თულაშვილის მიმართ უსაზღვრო მოწყალების გამო და [მისი] დამსახურების, ამაგის და სამსახურის საფუძველზე, ქვემოთ მოხსენებულ ადგილებიდან: სოფ. ზრბითი, სოფ. აწუფისი, სოფ. ღვევი,—რაც მისი სამართლიანი წილი არის, მისთვის გვიწყალობებია და გვიბოძებია თიულად. [მან] იმავე წესით [როგორც წინათ], მალუჯათი და სახელმწიფო გადასახადი იმ ადგილებისა, რაც მისი სამართლიანი წილი იყოს, წლითი წლამდე, თანახმად არსებული წესისა და ჩვეულებისა, აიღოს და ისე მოიქცეს, რომ გლახაკნი და გლეხები კმაყოფილნი და მისი მაქებარი იყვნენ. იმ ადგილების გლეხებმა უნდა იცნონ ხსენებული პირი თავის თიულდარად, მისდამი სრული მორჩილება და ერთგულება გამოიჩინონ და მის სამსახურში ერთი წუთიც არ გააცდინონ. ამის შესახებ [გამოცემული] ბრძანება იცოდნენ, წინააღმდეგობა არ გასწიონ და თავის მოვალეობად აღიარონ [ამის შესრულება]. დაიწერა მოჰარემ ალ-ჰარამის თვესა, წელსა ცხრაას ოთხმოცდაცხრასა“[2].

დამოწმებული ორენოვანი საბუთის ქართული, და ამასთან ძირითადი, ნაწილი ბატონყმობის ეპოქის საადგილმამულო ურთიერ-

---

[1] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 7.

[2] იქვე, გვ. 7—9.

თობის ამსახველია. იგი ზედმიწევნით გადმოგვცემს ფეოდალური საქართველოს იურიდიულ ნორმებს. მამული „ყმას“ (თულაშვილს ვიორგის და მის ძმას ამირანს) ნაბოძები აქვს „ერთგულების“ გამო და მეფის „ერთგულად სამსახურსა შიგან“.

ქართული ფეოდალური სინამდვილისათვის, რა თქმა უნდა, ეს ყოვლად ჩვეულებრივი ამბავია. „ერთგულებით სამსახური პირობაა „მამულის“ მიღება-ქონებისა. პატრონი მოვალეა ერთგული სამსახურის „სანუქფოდ“ წყალობა უყოს ყმას და ყმას უფლება აქვს საამისო აჯა მოხსენებით მიმართოს პატრონს. ასეთ შემთხვევაში ყმა ხშირად თითონ ასახელებს ხოლმე წყალობის საგანს“[1]. სავსებით ვასაგები გარემოების გამო ორენოვანი საბუთების ქართულ ნაწილებშიც „ყმის“ აჯა და მოხსენება და მის მიერ „წყალობის“ საგნის დასახელებაა აღნიშნული. ის რომ ეს არ ჩანს ზემორე დამოწმებულ საბუთში, საქმის ვითარებას სრულიადაც არ ცვლის. ქართული ფეოდალური სინამდვილის გამომხატველია ისიც, რომ გიორგი თულაშვილს და მის ძმას ნაწყალობევი აქვთ სოფლების ზრბითის, აწუფისის და ღვევის „სამართლიანი წილი“, ე. ი. მათი „კერძი მამული“. დაბოლოს, ჩვეულებრივია საბუთის ბრძანებულების ნაწილში მეფის მოხელეებისადმი ცნობილი მიმართვა; საბუთში მოთხრობილის „გათავება“ მეფის მოხელეებს ეკისრებათ. „შეწყალებულთ“ მათ „უცილოდ“ უნდა „დაანებონ“ მათი „სამართლიანი წილი“. ფეოდალური საქართველოს იურიდიული ნორმებიდან გადახვევას, როგორც ვხედავთ, არსად ადგილი არა აქვს.

როგორ ახერხებს ყველა ამის სპარსულად გადმოცემას საბუთის ქართული ნაწილის მთარგმნელი? სოფლის „წყალობა“ მისთვისაც „დამსახურების, ამაგის და სამსახურის“ საფუძველია. ეს სპარსულად მთარგმნელისათვის ირანულ-ყიზილბაშური ფეოდალური სინამდვილიდანაც უნდა ყოფილიყო ცნობილი. იმავე სინამდვილიდან მისთვის ცნობილი იყო ისიც, რომ შეწყალებული პირის „ბარათში“ აღინიშნებოდა ხოლმე ან მთელი ოლქი, ან სოფლები ანდა სოფელი და სოფლის გარკვეული წილიც კი. უკანასკნელ შემთხვევაში თიულდარის უფლება რენტა-ხარკის წილზე მოიცავდა სოფლის იმ ნაწილს, რომელიც მას ცენტრალური ხელისუფლების მიერ ჰქონდა მიცემული. თუმცა ამ ერთგვარ საერთო შეხვე-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით), მას. საქ. და კავკას. ისტორიისათვის, ნაკ. I, 1937, გვ. 21—22.

დრაში გადასახვევი, თუ შეიძლება ასე ითქვას, იქ იყო, სადაც ქართული ფეოდალური სინამდვილე „საერთო მამულს“ სახლისკაცის „წილი“ და „კერძი“ მამულისაგან ასხვავებდა. დამოწმებულ საბუთში სწორედ ამაზეა ლაპარაკი, თუმც ეს, როგორც შევნიშნეთ, სპარსულად მწერალს დიდ დაბრკოლებას არ უქმნის, რადგან თულაშვილების წილის აღნიშვნით იგი საბუთში ქართულად ნათქვამის აზრს ფაქტიურად არ ცვლის. დაბრკოლებები სპარსულად მთარგმნელისათვის ამის შემდეგ იწყება.

საქმე ისაა, რომ ქართული საბუთის სპარსულად მთარგმნელს „მამულის“ აღმნიშვნელი ტერმინი არ მოეპოვება. ამიტომ ნაწყალობევ სოფლებს იგი თიულს უწოდებს—„გვიწყალობებია და გვიბოძებია თიულად“. ამ შემთხვევაში მას მხედველობაში უნდა ჰქონდეს „თიულის“ ის ტიპი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ უფლებას რენტა-ხარკის წილზე და არა რენტა-ხარკის უფლების შეერთებას ტერიტორიულ მმართველობასთან. თიულის შემდეგ მალუჯათის დასახელება სავსებით ბუნებრივი უნდა ყოფილიყო და სპარსულად მწერალიც სწორედ ასე იქცევა, როცა ამბობს: „მალუჯათი და სახელმწიფო გადასახადი იმ ადგილებისა, რაც მისი სამართლიანი წილი იყოს.., აიღოს“. მაგრამ საინტერესოა, რომ იქვე ურთავს: „თანახმად არსებული წესისა და ჩვეულებისაო“. ისმის კითხვა: რომელი წესის და ჩვეულების? „ქართველობის“ თუ „ყიზილბაშობის“? ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ „მალუჯათი“ ქართულ საბუთებში მხოლოდ „ყიზილბაშობის“ დროს ჩნდება, ისევე როგორც ოსმალური „მირი“ ოსმალობის დროს. ამდენად, არსებულ წესსა და ჩვეულებაში „ქართველობის“ შესაფერისი წესი და ჩვეულებაა ნაგულისხმევი. წინათი „წესიც“, სპარსულ ტექსტში რომ არის აღნიშნული მალუჯათის აღებასთან დაკავშირებით, „ქართველობის“ წესის და რიგის შესაფერისი უნდა იყოს. თუ, რა თქმა უნდა, არ დავუშვებთ, ჩვენი აზრით, მეტად საეჭვოს და ამდენადვე დაუშვებელს, რომ სიმონ I-ის ირანიდან დაბრუნების დროს უცვლელი რჩება დაუთ-ხანის დროინდელი წესები, რასაც, სხვათა შორის, არც ერთი ქართული და უცხოური (მათ შორის სპარსული) წყარო არ ემოწმება.

საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სიმონ I-ის მეფობაში შემოღებული ზოგიერთი ყიზილბაშური ინსტიტუტი სამამულო ურთიერთობის სფეროს არ უნდა შეხებოდა. ამ ახალ ინსტიტუტებში უფრო „ყიზილბაშობის“ რეციდივი, უკეთ ირანული პოლიტიკური წყობილების გავლენის ანარეკლი, ჩანს და არა სამამულო ურთიერთობაში მომხდარი ცვლილებების რეალიზაცია პოლიტიკური

წყობილების სფეროში. ახლაც თავადურ-ბატონყმური სახელმწიფო იცავდა არა თიულდარების, არამედ ქართველი ფეოდალების ინტერესებს, ფეოდალური ექსპლოატაციის ადგილობრივ ფორმებს.

ამიტომ ისმის კითხვა: მიწისმფლობელობის რომელი წესია ნაგულისხმევი საქართველოს შესახებ სპარსულ ან ორენოვან (ქართულ-სპარსულ) დოკუმენტების თიულში?

პროფ. ი. პეტრუშევსკიმ ყურადღება მიაქცია ქართველი ფეოდალისათვის მიცემული სპარსული ფირმანების იმ უჩვეულო გამოთქმას, რომლითაც თიულის მემკვიდრეობითი ხასიათია აღნიშნული. ესაა მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ ი თ ი უ ლ ი.

პროფ. ი. პეტრუშევსკი აღნიშნავს: «Выражение «наследственный тиул» нам приходилось для данного периода видеть только в документах, относящихся к Грузии»[1] და განაგრძობს: «О пожаловании наследственного тиула говорят, повидимому, исключительно шахские фирманы, относящиеся к Грузии, где существовали очень своеобразные феодальные отношения, не похожие на порядки, сложившиеся в Азербайджане, кавказской Армении, равно как и в Ираке арабском и в Иране»[2]. ამას პროფ. ი. პეტრუშევსკი ღასძენს, რომ სეფიანთა დროს აზერბაიჯანსა და სომხეთში მემკვიდრეობითი თიულების არსებობა ოფიციალურად არ ყოფილა აღიარებული. ყოველ შემთხვევაში, ამბობს მკვლევარი, საამისო მითითებებს არ ვხვდებით წყაროებში[3].

ამრიგად, გამოთქმა „ს ა მ კ ვ ი დ რ ო თ ი უ ლ ი“ („თ ი უ ლ - ი მ ო უ რ უ ს“) გვხვდება მხოლოდ ქართველი ფეოდალებისათვის მიცემულ სპარსულ დოკუმენტებში. „სამკვიდრო თიულზე“ ლაპარაკია მხოლოდ იმ სპარსულ ფირმანებში, რომელთა შემდგენელნი, ჩანს, სათანადოდ ითვალისწინებენ ქართული ფეოდალური ურთიერთობის თავისებურებას. ეს გარკვეული საშუალებებით არის კიდევაც აღბეჭდილი აღნიშნულ სპარსულ ფირმანებში, თუმცა, შედგენილობით და სხვა ნიშნებით, ისინი არაფრით არ განსხვავდებიან ჩვეულებრივი სპარსული ფირმანებისაგან.

ამ მხრივ ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა საქართველოსადაც, აღმ. ამიერკავკასიის, მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მიწისმფლობელობისაგან გან-

---

[1] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 213, შენ. 2.

[2] იქვე, გვ. 214.

[3] იქვე.

სხვავებით, სამამულო სისტემა იყო გაბატონებული. ყველაფერი ეს ი. პეტრუშევსკის საფუძველს აძლევდა დაესკვნა: «Становится ясным, что «тиулом» в Грузии называли совсем не то, что называлось этим именем в других странах, входивших в состав державы Сефевидов»[1].

უეჭველია, რომ საქართველოს შესახებ სპარსულ დოკუმენტებში თიული წარმოადგენს უბრალო ტექნიკურ ტერმინს, რომელსაც დოკუმენტების შემდგენელნი იყენებენ ფაქტიურად ქართული მიწისმფლობელობის წესების აღსანიშნავად. და ეს იმ გასაგები გარემოების გამო, რომ არც სპარსულ და არც სხვა აღმოსავლურ ენებში ქართულ ფეოდალურ ინსტიტუტებს შესატყვისი ტერმინები არ მოეპოვება. ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, სპარსული დოკუმენტის შემდგენელს ქართული მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის შესახებ დოკუმენტურ ცნობაში აღენიშნა ის, რაც მისთვის მახლობელი და გასაგები იყო. პირობითი ტერმინის ნამდვილი შინაარსი, ცხადია, გასაგები უნდა ყოფილიყო როგორც საბუთის გამცემისათვის, ისე მიმღებისათვის.

საამისო მაგალითები სპარსულ (ერთენოვან, შაჰის მიერ გაცემულ) ფირმანებშიც მოიპოვება[2]

საინტერესოა, რომ ორენოვანი საბუთის სპარსულ ნაწილში ასახულია ქართველ გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაციის თავისებურებაც.

ეს კარგად ჩანს ზემოთ დამოწმებული საბუთის სპარსული ტექსტის შინაარსიდან. სპარსულ ტექსტში ამ მხრივ ყურადღებას იქცევს სპარსული სათიულო ფირმანებისათვის უჩვეულო ფორმულა, სახელდობრ იქ ნათქვამი: „იმ ადგილების გლეხებმა უნდა იცნონ ხსენებული პირი თავის თიულდარად, მისდამი სრული მორჩილება და ერთგულება გამოიჩინონ და მის სამსახურში ერთი წუთიც არ გააცდინონ“[3]. ამგვარი ფორმულა გვხვდება მხოლოდ XVIII ს-ის მეორე ნახევრის სპარსულ საბუთებში, როცა თიული შინაარსობლივად სოიურღალს დაემთხვა. ასეთ ფორმულას XVI—XVII სს. სპარ-

---

[1] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 215.

[2] მ. ხუბუა, საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, გვ. 20—22.

[3] ი. მარის კოლექციის ორენოვანი საბუთების სპარსული ტექსტების ამ უჩვეულო გამოთქმას პირველად ი. პეტრუშევსკიმ მიაქცია ყურადღება. И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 215.

სული სათიულო ფირმანები არ იცნობს. XVIII ს-ის მეორე ნახევრისათვის დამახასიათებელი თიულის თავისებურებათა ჩვენებისას პროფ. ი. პეტრუშევსკი შენიშნავს: «Здесь тиулдару отдавались не только рента-налог и другие сборы с селений (причём, по смыслу указов, он мог взимать их сам, а не получать через казенного сборщика податей или из дивана), но и самые селения, причем крестьяне ставились в полную зависимость от него и обязывались отправлять ему «службу» (хидмат), т. е. все установленные обычаем крестьянские повинности. Тиулдар конца XVIII в. чаще всего сам жил в пожалованном ему селении и сам управлял им»[1].

მორჩილებას რაიათებისაგან (გლეხებისაგან) სათიულო ფირმანების გამცემი შაჰებიც მოითხოვდნენ, მაგრამ არსად რაიათების თიულდარებზე დამოკიდებულებას და თიულდარის სასარგებლოდ გლეხის სამსახურს არ აღნიშნავენ[2] (ამიტომ ირანელი ფეოდალებისათვის მიცემულ სათიულო ფირმანებში არც გვხვდება ფორმულა: გლეხებმა „ი ც ნ ო ნ ხ ს ე ნ ე ბ უ ლ ი პ ი რ ი თ ა ვ ი ს თ ი უ ლ დ ა რ ა დ, მ ი ს დ ა მ ი ს რ უ ლ ი მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა და ერთგულება გამოიჩინონ და მის სამსახურში ერთი წუთიც არ გ ა ა ც დ ი ნ ო ნ“). ოფიციალური თვალსაზრისით, როგორც ვიცით, თიულდარს ხელი არ მიუწვდებოდა სათიულო ტერიტორიაზე და ამ ტერიტორიის მოსახლეობაზე, გადასახადთა გადამხდელ გლეხებზე. თანაც თიულდარების დიდი უმეტესობა გლეხის შრომითი ბეგარით დაინტერესებული არ იყო, რადგან თიულდარი იშვიათად ცხოვრობდა მისთვის თიულად მიცემულ სოფელში და იქიდან მხოლოდ რენტა-ხარკს ან რენტა-ხარკის წილს იღებდა. უკვე ის გარემოება, რომ ქართული საბუთის სპარსულად მთარგმნელი ქართველი გლეხის ქართველ ფეოდალზე მორჩილებას სამსახურით აღნიშნავს, ქართულ „მამულს“ (რომლის შესატყვისი მას სპარსულად არ მოეპოვება) აშკარად ასხვავებს თიულისაგან. ამ მხრივ კიდევ უფრო საყურადღებოა სპარსელი მწერლის დამოკიდებულება იმ ქართული საბუთებისადმი, სადაც მამულთან ერთად ყმების წყალობაზეა საუბარი.

---

[1] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 218.

[2] მაშინ, როდესაც ზოგიერთ სპარსულ ფირმანში გლეხებთან ერთად ქართველ თიულდარებზე აზნაურების მორჩილებაც არის აღნიშნული (მ. ხუბუა, დასახ. ნაშრ., გვ. 12—13). ეს მით უფრო საინტერესოა, რომ აზნაურთა საზოგადოებრივი ფენა ირანში საერთოდ არ არსებობდა.

მეტად უცნაურად გამოიყურება მამულისა და ყმების წყალობა. XVI ს-ის 80-იანი წლების სპარსულად დაწერილ დოკუმენტში. საქმე ისაა, რომ თვით XVII ს-ში თიული გამორიცხავს მიწისა და მიწაზე მსხდარი გლეხების „წყალობას". მხოლოდ XVIII ს-ის მეორე ნახევარში, ახლა უკვე ოფიციალურად, რენტა-ხარკთან ან მის წილთან ერთად თიულდარებს ეძლევათ აგრეთვე მიწები (სოფლები, ყიშლაღები, იალაღები) მოსახლეობით და გადასახადების გადამხდელი გლეხებით[1]. მამულისა და ყმების წყალობა გვხვდება მხოლოდ XVI—XVII სს. ორენოვან და, საზოგადოდ, საქართველოს შესახებ სპარსულ საბუთებში.

სანიმუშოდ მოგვაქვს მამულისა და ყმების წყალობის ორენოვანი საბუთის ქართული და სპარსული ნაწილების შინაარსი.

საბუთის ქართულ ტექსტში ნათქვამია:

„ჩვენ, ღ[უ]თივ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან სვიმონ, ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ. ჩვენთა ერთგულთა ყმათა სოლაღაშვილის ყაფარის შვილთა იოვანეს, მერაბს და დავითს;—მას ჟამსა ოდეს წყალობა გიყავით და გიბოძეთ სამართლიანი თქვენი წილი მამული ქალაქის პირშია და ვერის ხევში, ტაბახმელას კუ[ა]მლი სამი, ოხერი სამი; გუდელის[ს] კუ[ა]მლი ორი, ოხერი ორი; ტაგნაგეთს კვამლი ერთი, ოხერი ერთი, სოფელი დრე და სოფელი შავნი, სოფელი მამისდაბა თქვენთვის მოგვიცემია სამართლიანისა მათის სამძღვრითა, მთით ბარამდისინ თქვენთვის. გვიბოძებია. გქონდეს და გიბედნიეროს ღ[მერ]თ[მა]ნ ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შიგან. აწე გიბძანებთ ქალაქის პირის ტარუღავ და ვერის ხევის ტარუღავ, მელიქო და სხვანო მოსაქმენო, ვინგინდავინ იყვნეთ, მერმე სამართლიანი მათი წილი ამ სოფლებში ყაფარის შვილებისათვის გვიბოძებია და ეს ჩუენგან ნაწყალობევი ფარვანა თქუენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადცა ამ ფარვანაში ეწეროს და ნურას ეცილებით"[2].

საბუთის სპარსულ ნაწილში ნათქვამია:

„ამჟამად ამირათა ბურჯების ყაფარ სოლაღაშვილის შვილების: ივანეს, მერაბის და დავითის მიმართ ყურადღების მიპყრობის გამო, [ჩვენ] გავუჩინეთ და ვუწყალობეთ თიულად [მათი] სამკვიდრო წილი ქვემოთ დაწერილებით ჩამოთვლილ ადგილებში, რომელნიც თბილისსა და ვერის ხევს არიან დამოკიდებულნი.

---

[1] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 217.

[2] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 9.

თბილისს დამოკიდებული— [სოფ.] დრე, მთელი წილი; [სოფ.] შავნი მთელი წილი; ტაგნაგეთი—შენი [კომლი] ერთი და ხარაბა [ერთი].

ვერის ხევს დამოკიდებული—გუდელისი, და [მასში] ივანეს კომლი და ორი ხარაბა; სოფელი ტაბახმელა—სამი შენი [კომლი] და სამი ხარაბა.

ხსენებული ადგილების გლეხებმა, შეუძლებლებმა და ღარიბებმა თავის თიულდარად უნდა იცნონ აღნიშნული [პირება] და მალუჯათი და სახელმწიფო გადასახადები წლიდან წლამდე უკლებლივ მათ უნდა გადასცენ. მოხსენებული თიულდარების მოვალეობა ის არის, რომ მოითხოვონ ის, რასაც მაღალი დივანის დადგენილების თანახმად მოითხოვდნენ წინანდელი თიულდარები და [ზედმეტი გადასახადებით] არ შეაწუხონ და არ შეავიწროონ [ხსენებული სოფლების გლეხები]. დიდებულმა მუსტოფებმა შეიტანონ [ეს ბრძანება]დავთარში. ამის შესახებ [გამოცემული] ბრძანება იცოდნენ, წინააღმდეგობა არ გასწიონ და თავის მოვალეობად აღიარონ [მისი შესრულება]. დაიწერა [საქმის] კეთილად და გამარჯვებით დამთავრების თვესა საფარსა 989 წ.“[1]

მოტანილი საბუთის სპარსული ტექსტი ფაქტიურად წარმოადგენს ყმების წყალობის ფირმანს, რასაც, როგორც ვნახეთ, სავსებით გამორიცხავს თიულის ინსტიტუტი საკუთრივ აზიზილბაშურ ირანში. ასე რომ, ჩანს, თიული ამ შემთხვევაშიც უბრალო ტექნიკური ტერმინია და ირანის ფეოდალური სინამდვილისათვის უცხო მოვლენის სიტყვიერად გადმომცემი.

ქართული ფეოდალური სინამდვილის აღმნიშვნელია საბუთის სპარსულ ნაწილში ფეოდალის „სახლის“ წევრების დასახელება[2]. ცნობილია: თიულდარის „სახლის“ წევრების დასახელების

---

[1] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 10—11.

[2] ყურადღებას იქცევს ყაფარის შვილების (ივანეს, მერაბის და დავითის) ნიშანდობლივი დასახელება. ფეოდალის „სახლის“ წევრების ჩამოთვლა სიმონ I-ის სხვა ორენოვანი საბუთების სპარსულ ნაწილებშიც გვხვდება. ამ მხრივ ზოგჯერ საბუთის სპარსული ნაწილი ქართულ ნაწილზე უფრო სრულია. იბადება კითხვა: ხომ არ იყვნენ საბუთის მიმღებნი იმით პირადად დაინტერესებულნი, რათა წყალობის სიგელს შაჰის (სიგელის გამცემი მეფის „პატრონის“) მოხელეების სპარსული ტექსტიც დართოდა? აქ უნდა გავიხსენოთ ის გარემოება, რომ ყველა ქართულ საბუთს (უმრავლესობას) სპარსული ტექსტი არ ახლდა და თანაც ის უპირატესად ქვემო ქართლის ფეოდალების საბუთებში იჩენდა თავს. ქვემო ქართლში შექმნილი ვითარება გასაგებს უნდა ხდიდეს აქაური ფეოდალების ამგვარ მიდრეკილებას. მით უმეტეს, რომ შაჰის დასტური მისი უზენაესობის მხოლოდ ფორმალური გამოხატულება უნდა ყოფილიყო და დამოკიდებულების ეს ფორმა არ გამორიცხავდა ადგილობრივ მიწისმფლობელობის და მიწათსარგებლობის წესებს.

წესი უცხოა სპარსული სათიულო ფირმანებისათვის. და ეს იმ ვასაგები გარემოების გამო, რომ თიული მიმაგრებული იყო არა პიროვნებაზე, არამედ თანამდებობაზე. „სახლის“ წევრებს ასახელებენ მხოლოდ სასოიურღალო ფირმანები, რადგან სოიურღალის მფლობელობა მემკვიდრეობით გადადიოდა, როგორც პირდაპირი შთამომავლობის ხაზით, ისე, საჭირო შემთხვევაში, გვერდითი შტოს ხაზითაც.

ყიზილბაშურ ირანში მემკვიდრეობით მხოლოდ სოიურღალის და მულქის გადაცემა წარმოებდა[1]. თიულის მფლობელის შვილისათვის ან ნათესავისათვის მემკვიდრეობითი უფლებით გადაცემა არ შეიძლებოდა[2]. მხოლოდ შაჰს, განსაკუთრებული წყალობის წესით, შეეძლო მამის თიული შვილისათვის გადაეცა[3]. ამასთან საამისოდ საჭირო იყო მფლობელობის განახლება ახალი ფირმანით[4]. ასე წარმოებდა, მაგალითად, ელისუს და წახურის ფეოდალური მფლობელების სათიულო მფლობელობის განახლება XVII ს-ის შაჰების ფირმანებით[5].

ი. პეტრუშევსკი, როგორც გამონაკლისს საერთო წესიდან, სპარსული წყაროების მიხედვით ასახელებს ირანელ ფეოდალებს, რომელთა მფლობელობას შაჰები ხელახლად განაახლებდნენ ხოლმე[6].

პეტრუშევსკი, მიუხედავად XVII ს-ის ოფიციალური თეორიისა, ამ მოვლენაში მართებულად ხედავს თიულების მემკვიდრეობით დასაკუთრების ტენდენციებს და თიულდარების მხრივ ამგვარი მიდრეკილების უეჭველ გამოხატულებას. მაგრამ ეს ტენდენციები, შენიშნავს მკვლევარი, ჯერ კიდევ არ იყო ქცეული იურიდიულ ნორმად[7] ამასთან გამონაკლისის სახით მემკვიდრეობით მიცემული თიულის საფუძველი მაინც ყოველთვის ძველი წყალობის განახლება იყო[8].

ორენოვანი საბუთების სპარსული ტექსტის მიხედვითაც წყალობა-განახლება ქართველი მეფის კომპენტენციას შეადგენს. შაჰი,

---

[1] И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 212.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] იქვე, გვ. 202, 212. მფლობელობის უფლების განახლების საჭიროება წახურის და ელისუს სახანოებში ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან წინათ ეს ქვეყნები ორგანულად იყვნენ დაკავშირებული ფეოდალურ კახეთთან.

[6] იქვე, გვ. 213.

[7] იქვე.

[8] იქვე.

კარგად ჩანს, არ ერევა ქართველი ფეოდალების საადგილმამულო ურთიერთობაში. მაგრამ იგი თითქოს ერთგვარ კონტროლს უწევს ამ ურთიერთობას. ამას უნდა მოწმობდეს სპარსულ ტექსტში სიტყვასიტყვით გამეორებული და სპარსული დიპლომატიკიდან კარგად ცნობილი ფორმულა — „დ ი დ ე ბ უ ლ მ ა მ უ ს ტ ო ფ ე ბ მ ა შ ე ი ტ ა ნ ო ნ [ეს ბ რ ძ ა ნ ე ბ ა] დ ა ვ თ ა რ შ ი“. მუსტოფების მიერ ბრძანების დავთარში გატარების (რეგისტრაციის) საჭიროება სავსებით ბუნებრივი უნდა იყოს ორენოვანი საბუთების არსებობის პირობებში, თუკი, რა თქმა უნდა, ქართული საბუთებისათვის დართულ სპარსულ ტექსტს რამე აზრი აქვს. და რომ მას უეჭველად გარკვეული, ოღონდ ჩვენთვის ჯერ გასარკვევი აზრი აქვს, ამის მოწმობა უნდა იყოს ქართველი მეფის სპარსული ტექსტისადმი დამოკიდებულება.

დოც. ვლ. ფუთურიძეს შენიშნული აქვს, რომ, მაგალითად, სიმონ I-ის 1583 წ. წყალობის წიგნის სპარსული ტექსტის ბოლოში დასმულია სიმონ I-ის მცირე მრგვალი ბეჭედი გაურკვეველი წარწერით. ამავე დროს, სამი სპარსული სარეგისტრაციო ბეჭედი და საკანცელარიო აღნიშვნები ქართული ტექსტის გვერდზეა მოთავსებული[1]. ამრიგად ირკვევა: სპარსული ტექსტი ქართველი მეფის კონტროლს ექვემდებარება და მის ბეჭედს მოითხოვს. მეორე მხრივ მუსტოფებს (შაჰის მოხელეებს) ევალებათ კონტროლი გაუწიონ სამამულო ურთიერთობაში მომხდარ აქტს და იგი რეგისტრაციაში გაატარონ. სწორედ ეს საინტერესო მოვლენა უნდა გვირკვევდეს ორენოვანი საბუთების ნამდვილ აზრსა და დანიშნულებას. ორენოვანი საბუთი, ჩვენი აზრით, ორგანულ კავშირში უნდა იყოს საპატრონყმო ურთიერთობის იმ პოლიტიკურ ფორმასთან, რომლის რეალურად არსებობისათვის აუცილებლივ საჭიროა საკუთრების და მფლობელობის მტკიცედ განსაზღვრა. საკითხის ამ მხარეს შევეხებით ქვემოთ.

დამოწმებული საბუთების სპარსული ტექსტის სხვა დეტალიც იქცევს ჩვენს ყურადღებას. მალუჯათი, ისევ ჩანს, ირანის სახელმწიფო დივანის მიერაა განსაზღვრულ-დაწესებული. თიულდარების მოვალეობაა „მოითხოვონ ის, რასაც მაღალი დივანის დადგენილების თანახმად მოითხოვდნენ წინანდელი თიულდარები“. ამის არავითარი კვალი საბუთის ქართულ ნაწილში არ ჩანს. გადასახადების სფერეში „მაღალი დივანის“ დადგენილება ჩვეულებრივი ტრაფარეტი

[1] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 18—19. იხ. აგრეთვე გვ. 24.

უნდა იყოს, რადგან არ არსებობს საამისო პირობა: „ქვეყნის აწერა“. მაგრამ სპარსულ ტექსტში ქართული ფეოდალური სინამდვილე იმითაა ხაზგასმული, რომ გლეხებს „თიულდარებისათვის“ (ქართველი ფეოდალებისათვის) წლიდან წლამდე უკლებლივ უნდა გადაეცათ „მალუჯათი და სხვა სახელმწიფო გადასახადი“. საკუთრივ ირანში თიულდარები ხშირად გადასახადებს იღებდნენ არა უშუალოდ გლეხებისაგან, არამედ სახელმწიფო მოხელეებისაგან, ანდა დივანში (ხაზინაში) იმ „ბარათით“, რომელშიაც რენტა-ხარკის ან მისი წილის ოდენობა იყო აღნიშნული.

საბუთის სპარსულ ტექსტში მოხსენებული მალუჯათი რომ მხოლოდ სპარსული დიპლომატიკის ფორმულაა და არა რეალური შინაარსის შემცველი, ეს კარგად ჩანს ორენოვანი სითარხნის წიგნებიდან[1]. ქართული ტექსტის შინაარსის შედარება სპარსული ტექსტის შინაარსთან ცხადყოფს, რომ ნამდვილად ამ დროს არავითარი მალუჯათი არ არსებობდა და ვერც იარსებებდა, რადგან „ქვეყანა დაუწერელი“ იყო.

1581 წ. სიმონ I-ის მიერ დავით ბერაძის და სხვებისადმი მიცემულ სითარხნის წიგნში ნათქვამია:

„ქ. ჩუენ, ღ[უ]თივ გუირგუინოსანმან მეფეთ-მეფემან სუიმეონ, ესე წყალობისა და სითარხნის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერთგულთა ყმათა კაეთისკეველთა ჯილავის მეთოფეთა ბერაძეს დავითს, იმნას-ძეს ზურაბს და მირიანის-ძეს იოვანეს;—მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და სითარხნისა წყალობისა წიგნსა გუეჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, წიგნითა ამით გათარხნეთ და განგათავისუფლეთ ესრე და ამა პირსა ზედან, რომე არაფერი საჩუენო სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს რა: არა ბაშმალი, არა ღალა, არა კულუხი, არა ულაყი, არა სხუა სათხოვარი, თუინიერ კარისა ჩუენისა მსახურობისა და სათათროსა საურისაგან კიდე. გქონდეს თქუენ, ერთობილთა ჯილავის მეთოფეთა და გიბედნიეროს ღ[მერ]თ[მა]ნ ჩუენსა ერთგულად სამსახურსა ქუეშე. გიბ[ძანე]ბთ კაეთისკევისა მოურავო და სხუანო მოხელენო და კარისა ჩუენისაგან წარვლენილნო მოსაქმენო, ბ[ძანე]ბა და ნიშანი ესე თქუენცა ასრე გაუთავეთ და ნურას შეუცულით“.

---

[1] სითარხნეს ყიზილბაშურ ირანში მხოლოდ სოიურღალი გულისხმობდა, თიულთან დაკავშირებით სითარხნის წიგნების აქ მოტანა გვგირდება იმის გამო, რომ მათი საშუალებით კარგად ირკვევა „მალუჯათის“ თავისებურება სპარსულ ტექსტებში.

[2] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 12.

სპარსული ტექსტის ქართული თარგმანი:

„ამჟამად კავთისხევის ქვემოთ მოხსენიებულ ჯილავის მეთოფეთა მიმართ უსაზღვრო წყალობის გამო, ჩვენ ვუბოძეთ და ვუწყალობეთ სითარხნე, გველის წლის დასაწყისიდან, დავითს ორ ძმითურთ, ზურაბს [და მის] ერთ ძმას, ივანეს [და მის] სამ ძმას. კავთისხევის ტარუღამ და ქედხუდებმა, თანახმად დაწერილისა, დადგენილად იცნონ [ეს და] გარდა თამღისა [და] საურისა, რომელიც საჭიროა მაღალი დივანის მოხელეთათვის და [რომელიც] თანაბრად განაწილებული იქნება ხსენებულთა [შორის], ნურაფერს მოსთხოვენ და უსამართლოდ და ძალადობით ნუ გადაახდევინებენ მათ, ამის შესახებ [გამოცემული] ბრძანება იცოდნენ, ნუ გასწევენ წინააღმდეგობას და თავის ვალდებულებად აღიარონ [ამის შესრულება]. დაიწერა რაჯაბის თვის 9-ს, 989 წ.“[1]

საბუთის სპარსული ტექსტის აშიაზე მიწერილია: „დადგენილია, რომ თამღასა და საურს გლეხები წესისამებრ გადაიხდიან“.

ორენოვანი სითარხნის ეს წიგნი და სხვა წიგნებიც, მამულისა და ყმების წყალობის წიგნების მსგავსად, ნაგვიანევი ხანის სითარხნის წიგნთა ჩვეულებრივ ნიმუშს წარმოადგენს. მისი შინაარსით გათვალისწინებული საგადასახადო იმუნიტეტი ქართული ფეოდალური სინამდვილისათვისაა დამახასიათებელი. ასევე ჩვეულებრივია გარკვეული შინაარსის შემცველი და ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი სათათრო გამოსაღების ფორმულა: „სათათროსა საურისაგან კიდე“. საინტერესოა, რომ სპარსულად მწერლისათვის საური იმდენად ცნობილია და მახლობელი, რომ სპარსულ ტექსტში ზუსტად აქვს მოცემული მისი მნიშვნელობაც და მისამართიც.

სპარსულ ტექსტში საურის გამო ნათქვამია: „გარდა თამღისა [და] საურისა, რომელიც საჭიროა მაღალი დივანის მოხელეთათვის და [რომელიც] თანაბრად განაწილებული იქნება ხსენებულთა [შორის], ნურაფერს მოსთხოვენ და უსამართლოდ და ძალადობით ნუ გადაახდევინებენ მათ“. მაღალი დივანის მოხელეთა შორის, ცხადია, შაჰის მეთვალყურე მოხელენია ნაგულისხმევი. საბუთის ქართულ ტექსტში არაფერია ნათქვამი ტამღაზე—ვაჭრობასა და ხელოსნობაზე დაწესებულ გადასახადზე. მაგრამ მეთვალყურე მოხელეებს რომ ასეთ გადასახადშიც ედოთ წილი, ეს ჩვენ ვეზირის სარგოს ანალიზის საფუძველზე გვაქვს დადგენილი[2].

---

[1] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 13—15.

[2] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, სახელმწიფო წყობილების საკითხისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში, გვ. 154—155.

საურისაგან გაუთარხნებლობა, ოღონდ ტამღის დაუსახელებლად, როგორც წესი, სიმონ I-ის სხვა ორენოვან სითარხნის წიგნებშიც არის აღნიშნული.

1582 წ. სიმონ I სითარხნის წიგნს აძლევს დიღმის წმინდა გიორგის დეკანოზს ნათანელ ერემას-ძეს და მის შვილს ზეჟთელს. მათი აჯა და მოხსენება ამგვარადაა შეწყნარებული: „გათარხნეთ და განთავისუფლეთ წიგნითა ამითა ასრე, რომე არა საჩუენო ბეგარა და გამოსაღები არა გეთხოებოდეს რა, არა ბაშმალი, არა ღალა და არა კულუხი, ერთისა წმიდის გი[ორ]გის სამსახურისა და სათათროს საურის მეტი". სპარსულ ტექსტში ეს შემდეგნაირადაა გადმოცემული: „ამის საფუძველზე ტარუღამ, ქეთხუდამ და სხვებმა მალისა და მცირე ბაჰრის [ასაღებად] დეკანოზისა და მისი სახლის ახლოს გაიარონ და ხელი არ შეუშალონ"[1].

მალი და ბაჰრა, ცნობილია, მალუჯათის სინონიმებს წარმოადგენენ. მათ არაფერი აქვთ საერთო ქართულ ტექსტში მოხსენებულ ბაშმალთან, რომლის მნიშვნელობა აგრეთვე კარგად არის ცნობილი. მთავარი მაინც ისაა, რომ მალისა და ბაჰრას ამკრეფნი სპარსული ტექსტის მიხედვითაც ქართველი მეფის მოხელენი: ტარუღები და ქეთხუდები არიან. ისინი ქართული საგადასახადო სისტემით გათვალისწინებულ გადასახადებს აგროვებენ. თვით ისეთი საყაენო გადასახადი, როგორიცაა „სათათრო საური" მეფის მოხელეების საშუალებით იკრიფება. გასაგებია: საური დამოკიდებულების მეტად თავისებურ პოლიტიკურ ფორმასთანაა დაკავშირებული, „სათათრო მალით" კი „ყიზილბაშობა" ან „ოსმალობაა" გაპირობებული. მოკლედ: მალუჯათი ხანის შესაფერისია, საური მეფის შესაფერისი.

შეიძლება დავასკვნათ: სითარხნის წიგნების ქართული და სპარსული ტექსტების ერთმანეთთან შედარებიდან საბოლოოდ ირკვევა, რომ სიმონ I-ის დროს არავითარი მალუჯათი არ არსებობს. სპარსულ ტექსტში მოხსენებული მალუჯათი, აშკარა ხდება, მხოლოდ ტექნიკური ტერმინია, რომელშიაც არ შეიძლება მოვათავსოთ ირანულ-ყიზილბაშური ფეოდალური სინამდვილისათვის შესაფერისი შინაარსი. თუ ეს ასეა (ეჭვისათვის კი არავითარი საფუძველი არ გვაქვს), მაშინ თიულიც არ უნდა არსებობდეს, რადგან სათიულო მფლობელობით გათვალისწინებული უფლება რენტა-ხარკზე მალუჯათშია გამოხატული.

დავუბრუნდეთ საკითხს: გათვალისწინებული აქვს თუ არა ქართული ფეოდალური სინამდვილე სპარსული ტექსტის შემდგე-

---

[1] ~~ქართულ-სპარსული~~ ისტორიული საბუთები, გვ. 16, 17.

ნელს? იგი, უპირველეს ყოვლისა, ზუსტად იცავს სპარსული დიპლომატიკის წესებს და ფორმულებს, მიუხედავად იმ შინაარსობლივი განსხვავებისა, რაც ქართულ და ირანულ-ყიზილბაშურ საადგილმამულო ურთიერთობებს შორის არსებობს. ამის შეგნება, როგორც ვნახეთ, სპარსული ტექსტის შემდგენელს იძულებულს ხდიდა სიტყვიერად გადმოეცა ის, რის გადმოცემაც მისთვის ცნობილი სპეციალური ტერმინით შეუძლებელი იყო. საამისო მაგალითები ზემოთ იყო გარჩეული, მაგრამ მარტო ეს, ჩანს, სპარსულად მწერლისათვის საკმარისი არ იყო, ამიტომ ის სხვა საშუალებასაც მიმართავს იმისათვის, რათა უფრო ზუსტად გადმოსცეს ქართული ფეოდალური ინსტიტუტის თუ სოციალური ურთიერთობის ამა თუ იმ მოვლენის შინაარსი.

ორენოვანი საბუთების სპარსული ტექსტების აშიებზე მიწერილი სპარსული სტრიქონების შინაარსი ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა. მათი შინაარსი ეხება ქართული ფეოდალური ურთიერთობის თითქმის ყველა სფეროს. საჭირო შემთხვევაში, მაგალითად, საგანგებოდაა აღნიშნული, თუ რა წესით იკრიფება საური საქართველოში და ისიც, რომ საური მწარმოებელი საზოგადოების სავალდებულო გადასახადია. არანაკლებ საინტერესოა იმ მინაწერების შინაარსი, სადაც ქართველი გლეხების ფეოდალებზე დამოკიდებულების თავისებურებაზეა ლაპარაკი.

სანიმუშოდ მოგვაქვს სამამულო მფლობელობასთან დაკავშირებული სპარსული მინაწერები, რომელთა საშუალებით შაჰის მოხელეები ცდილობენ გადმოსცენ ქართველი ფეოდალების სამამულო უფლებების ნამდვილი შინაარსი.

1580 წ. სიმონ I-ის მამულის წყალობის წიგნის სპარსული ტექსტის აშიაზე მიწერილია: „დადგენილია, რომ თვითეული ის კერძი, რომელიც მათ მამებს ხსენებულ სოფლებში ჰქონდათ, მათ მივეცით“[1]. ასეთ რამეს საკუთრივ ირანში ვერ აღნიშნავდა სათიუნო ფირმანის დამწერი, რადგან ირანის სახელმწიფო სამდივანმწიგნობროს სპარსელი მწერლები ამ საკითხში შაჰის ოფიციალური თვალსაზრისის ზუსტი გამომხატველნი იყვნენ.

XVI ს-ის სპარსულ წყაროებში არ ვხვდებით იმის მაგალითებს, რომ ვინმეს თიული მემკვიდრეობით მისცემოდა. საამისო მაგალითები, როგორც ვნახეთ, დამოწმებული არაა არც დოკუმენ-

---

[1] იქვე, გვ. 1—2. مقرّار انکه هر حصه که پدران در قرای مذکوره داشته باشند بدیشان داده ایم

ტურ და არც ნარატიულ წყაროებში. „სამკვიდრო თიული“ მხოლოდ საქართველოს შესახებ სპარსულ დოკუმენტებში იხმარება. შემთხვევით არ აიხსნება, რომ ეს აღნიშნულია როგორც ერთენოვანი (შაჰების მიერ ქართველი ფეოდალისათვის მიცემულ სპარსულ ფირმანებში), ისე ორენოვანი (ქართველი მეფეების) საბუთების სპარსულ ტექსტებში.

ერთენოვანი (სპარსული) და ორენოვანი (ქართულ-სპარსული) საბუთების შემდგენელნი ამგვარი საშუალებით ცდილობენ იმ განსხვავების ჩვენებას, რაც მხოლოდ ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობისათვის იყო დამახასიათებელი, თუმცა გარეგნულად ძალზე ძნელია შევნიშნოთ ეს დამოწმებულ საბუთებს, როგელთა შემდგენელნი ზუსტად იცავენ სპარსული დიპლომატიკის წესებს და ფეოდალური ირანის იურიდიულ ნორმებს. მათ მხოლოდ მსგავსი მოვლენების შესაფერისი ტერმინები მოაქვთ. მაგ., გლეხის აღსანიშნავად გამოყენებულია „რაიათი“ ან „მულაზიმი“. „მსახურის“ აღსანიშნავად „ნოკარი“. ქართულ საბუთში მოხსენებული მკვიდრი, ნასყიდი და სხვა კატეგორიის გლეხის შესატყვისი სპარსულ ტექსტში ყოველთვის „რაიათია“, იშვიათად „მულაზიმი“[1]. ორენოვანი საბუთის სპარსული ნაწილის შემდგენელნი გარეგნულად მსგავსების თუ ანალოგიური მოვლენის აღსანიშნავად იყენებენ მათთვის ცნობილ და მახლობელ ტერმინებს. ასე, მაგალითად, საქართველოს შესახებ სპარსული დოკუმენტების „თიულში“ ისინი ერთ შინაარსს სდებენ, ხოლო „სოიურღალში“ მეორეს. ეს რომ ასეა, ამას მკაფიოდ გვიჩვენებს იმ ორენოვანი საბუთების კრიტიკული ანალიზი, სადაც „თიულების“ მაგიერ „სოიურღალებია“ მოხსენებული.

სოიურღალი პირველად იხსენიება სიმონ I-ის 1581 წლით დათარიღებულ ორენოვან (ქართულ-სპარსულ) საბუთში. ორენოვანი საბუთის ქართული ტექსტი წარმოადგენს ჩვეულებრივ, ნაგვიანევი ხანის ქართული დიპლომატიკისათვის დამახასიათებელ, შეწირულების წიგნს, რომლითაც სიმონ I, მისი თანამეცხედრე ნესტან-დარეჯან და ძენი გიორგი, ლუარსაბ და ალექსანდრე სვეტიცხოველს და კათალიკოსს სწირავენ სოფელ მოხისს: „...სადღეგრძელოდ ჩუენთუის განსამარჯუებლად და წარსამართებლად მეფო-

---

[1] დამახასიათებელია, რომ სპარსულ ნარატიულ წყაროებში (ჰასან რუმლუ, ისკანდერ მუნში...) ქართულ სოციალურ ურთიერთობასთან დაკავშირებით ზოგჯერ პირდაპირ ქართული სახელებია მოტანილი: თავადი, აზნაური, მსახური...

ბისა ჩუენისა და ჯსნისათუის ცოდვილის სულის ჩუენისათუის ზეგ-
მო ქართლის — სოფელი მოხისი მისითა შე[ნ]ითა და ოჯერითა,
ველითა, ვენაჯითა, წყლითა, წისქვილითა, საჯნავითა, უჯნავითა,
სათიბითა, უთიბრითა, საჯმრითა და უჯმრითა, მთითა და ბარითა,
ტყითა და ჭალითა და ყოვლითურთ მისითა სამართლიანითა საზღუ-
არითა, უნაკლოდ და ჯელშეუვალად, რამაზის შვილის კოსტანტინეს
გლეხებს გარეთ რაც სახასო ყოფილა ამას წინათ, ყოველივე ყოვ-
ლის ჯორციელის ჯაცისაგან შემოუცილებლად"[1].

სპარსული ტექსტის ქართული თარგმანი ასეთია: „ამჟამად
სიდიადის საფარველის, მაღალღირსებათა სფეროს, ქრისტიანობის
ბურჯის კათალიკოზის მიმართ მრავალი წყალობისა და შეწყნარე-
ბის გამო, ჩვენ გადავეცით და ვუწყალობეთ მას სიურღალად,
გველის წელიწადის დასაწყისიდან ალს დამოკიდებული სოფელი-
მოხისი. ხსენებული სოფლის ქედხუდებმა, ღარიბებმა და უძლუ-
რებმა დაწერილის თანახმად დადგენილად იცნონ ეს, წლითი წლამ-
დე თავისი მალუჯათი და სხვა სახელმწიფო გადასახადი უნაკლოდ და
უზიანოდ გადასცენ ხსენებული სიდიადის საფარველის მოხელეებს,
[მცირე] ნაწილიც არ შეუჩერონ, არასოდეს არ გადაუხვიონ მის
სიტყვას და რჩევას, სათანადოდ და საჭიროდ იცნონ [მისდამი]
მორჩილება და ერთი წუთიც არ დაჰკარგონ [მის სამსახურში]. ხსე-
ნებული ბედნიერების საფუძვლის (ე. ი. კათალიკოსის) ვალდებუ-
ლება ის არის, რომ დაიცვას ის, რაც ჭეშმარიტების და სამარ-
თლიანობის კანონს შეეფერება. ამის შესახებ [გამოცემული] ბრძა-
ნება იცოდნენ"[2].

ორენოვანი საბუთის შინაარსის სპარსულად გადმომცემს არა-
ვითარი საფუძველი არ ჰქონდა საბუთში მოთხრობილი შეწყალე-
ბისა და შეწირულებისათვის თიული ეწოდებინა. იგი ამ შემთხვე-
ვაშიც თავისებურად გააზრებულ „ანალოგიებს" მიმართავს. სპარ-
სული ტექსტის შემდგენელს არ შეიძლებოდა არ გაეთვალისწინე-
ბინა ქართულ საბუთში აღნიშნული საგადასახადო იმუნიტეტი, რაც
აღმოსავლეთში სიიურღალის ერთ-ერთი პირობა იყო. ამას უკარ-
ნახებდა მას საბუთში ნათქვამი: „უნაკლოდ და ჯელშეუვალად...
ყოველივე ყოვლის ჯორციელისა ჯაცისაგან შემოუცილებლად".
მასვე მხედველობაში უნდა მიეღო ისიც, რომ მოხისი სამუდამოდ
ეძლეოდა მცხეთას. ამ მხრივაც საბუთში მოთხრობილი სპარსული-

---

[1] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 11.
[2] იქვე, გვ. 12—13.

ტექსტის შემდგენელს სოიურღალზე ანიშნებდა, მთავარი კი მისთვის მაინც ის უნდა ყოფილიყო, რომ სოფელ მოხისი, სპარსული თვალსაზრისით, სოიურღალად ეძლევა ქართველთა ეკლესიის მეთაურს კათალიკოს-პატრიარქს.

სოიურღალი, თითქოს, მოხსენებული უნდა ყოფილიყო სიმონ I-ის სხვა საბუთის სპარსულ ნაწილშიც. 1587 წ. დმანისის ეკლესიისადმი მიცემულ შეწირულების წიგნის სპარსულ ტექსტში გვხვდება გამოთქმა: „დაიმოკლონ (მოხელეებმა) კალამი და ფეხი“ (قلم و قدم کوتاه و کشیده داشته)[1], რაც, როგორც წესი, მხოლოდ სოიურღალის ფირმანებისათვის იყო დამახასიათებელი და მათს ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. სოიურღალის მოუხსენებლობა, შესაძლებელია, აიხსნებოდეს საბუთის ქართული ნაწილის ვრცელი შინაარსისადმი სპარსულად გადმოცემის თავისებური დამოკიდებულებით. დოც. ვლ. ფუთურიძის სიტყვით, „როგორც ჩანს, დამწერს განზრახვა ჰქონია სპარსულის შედარებით მოკლე ტექსტით შეევსო მთელი გვერდი მოზრდილი სიგლისა და ამიტომ უწერია მსხვილი ხელით და ზოგიერთ სტრიქონზე მხოლოდ თითო-ოროლა სიტყვაღა მოუთავსებია“[1]. ამასთან სპარსული ტექსტის ამ სტრიქონებზე სადაც, ჩვენი აზრით, სოიურღალის ხსენება იყო მოსალოდნელი, „გაურკვეველი სიტყვებია“. იყო თუ არა მოხსენებული სოიურღალი სპარსულ ტექსტში, ეს იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც მნიშვნელოვანია ის, რომ იქ ნახმარია სოიურღალების ფირმანებისათვის დამახასიათებელი ცნობილი ფორმულა. სპარსული ნაწილების და, საერთოდ, საქართველოს შესახებ სპარსული საბუთების შემდგენელნი რომ კარგად ასხვავებდნენ საეკლესიო სოიურღალებს საერო ფეოდალისათვის მიცემული სოიურღალებისაგან, ამას ქვემოთ მოტანილი საბუთებიც მოწმობენ.

საინტერესოა, რომ XVII ს-ის ერთ სპარსულ საბუთში იხმარება „სოიურღალის“ ჩვეულებრივი შესატყვისი „მადად ო მეჟ'ბ“ სწორედ სასულიერო პირის შეწყალებასთან დაკავშირებით. მ. ხუბუას სპარსული ფირმანების და ჰოქმების პუბლიკაციაში გამოქვეყნებულია კახეთის მმართველის აბას ზიადოღლის 1684 წ. ბრძანება, რომლის მიხედვით ბრმა ეპისკოპოსს (?) ზაქარიას კახეთის ოლქის ფაგაბაშიდან ყოველწლიურად ენიშნება 5 თავრი-

---

[1] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 27.

ზული თუმანი მადად ო მე'აშად[1]. სოიურღალის მფლობელისათვის რომ შეიძლებოდა სახსრის წყაროდ გაეჩინათ გარკვეული გადასახადის ან გამოსაღების წილი, ეს ჩვენ საკუთრივ ირანის შესახებ საბუთებში ვნახეთ.

სოიურღალის შესატყვისი იყო აგრეთვე „მუაფი".

მონღ. სოიურღალი და არაბულ-სპარსული „მუაფი" ხშირად გვხვდება ერთიმეორის გვერდით[2]. ერთად ახსენებენ მათ არა მარტო დოკუმენტური, არამედ ნარატიული წყაროებიც. ერთად ასახელებს მათ, კერძოდ, ისკანდერ მუნში—„მუაფიათ ვა სოიურღალათ"[3]. „მუაფი" ნიშნავს გადასახადებისაგან გათარხნებულს და განთავისუფლებულს. ი. პეტრუშევსკის ეჩმიაძინის სპარსულ დოკუმენტთა კოლექციიდან მოაქვს სეფიანი შაჰების (შაჰ-აბას I, შაჰ-სულეიმანის, შაჰ-ჰუსეინის) და ნადირ-შაჰის საბუთები, რომელთა მიხედვით სომხური ეკლესიის სხვადასხვა მონასტრის საქონელი („ამლაქ-ი მოუკუფათ") და სოფლები გადასახადებისაგან განთავისუფლებულად და ხელშეუვალად („ძუაფ ვა მუსალა") არის გამოცხადებული[4].

„მუაფი", სოიურღალის მნიშვნელობით, გვხვდება სიმონ I-ის ორენოვან საბუთებშიც. ერთი მათგანი ზემოთ უკვე იყო დამოწმებული. ამ საბუთში მოხსენებული დიღმის წმინდა გიორგის დეკანოზი ნათანელი და მისი შვილი გამოცხადებულია თარხნად („თარხან"), გადასახადებისაგან თავისუფალი და ხელშეუვალია („მუაფ ვა მუსალამ"). მეფის მოხელეების საყურადღებოდ სპარსულ ტექსტში ნათქვამია, რომ „მათ დეკანოზისა და მისი სახლის ახლოს არ გაიარონ და ხელი არ შეუშალონ, რათა თავისუფლად ილოცოს ჩვენთვის და მასზე დავალებულ სამსახურში ბეჯითობა და მეცადინეობა გამოიჩინოს".

აღნიშნული თავისი შინაარსით იგივეა, რაც სოიურღალების ჩვეულებრივი ფორმულა: მოხელეებმა „ქალამი და ფეხი დაიმოკლონ და იქაურობას გასცილდნენ". მოტანილი ამონაწერი სხვა მხრივაც იქცევს ყურადღებას. სპარსული ტექსტის მიხედვით დიღ-

---

[1] هر ساله مبلغ پنج تومان تبریزی از بابت وجوه مزبوره در وجه مدد ومعاش همه ساله زکریا کشیش اعمی مقرر دانسته سال بسال رسانیده

მ. ხუბუა, საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, გვ. 22.

[2] И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 178.

[3] თარიხ-ი ალემარა, გვ. 178.

[4] И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 178—180.

მის წმიდა გიორგის დეკანოზს იგივე ევალება, რაც ინდური საბუთების მიხედვით შეიხს თუ სეიდს—ლოცვა იმისათვის, ვინც საეკლესიო პირს ათარხნებს და სოიურღალს უწყალობებს. ამგვარადვე აქვს გაზრებული სპარსულად მწერალს საბუთის ქართულ ნაწილში აღნიშნული: „ერთისა წმიდის გი[ორ]გის სამსახურისა... მეტი“.

ამრიგად, ორენოვან სითარხნის წიგნებში გვხვდება სოიურღალი, მადად ო მე´აშ, მუაფი და საყოველთაოდ გავრცელებული თარხანი. ორენოვანი სითარხნის წიგნების სპარსული ტექსტებით მტკიცდება საეკლესიო სოიურღალების იმ ტიპის არსებობა, რომელსაც ი. პეტრუშევსკი გამორიცხავს (უკეთ არ აღნიშნავს), ხოლო ბელენიცკის და ანტონოვას გამოკვლევებში მოტანილი საბუთებით ეჭვმიუტანლად მტკიცდება. ორენოვანი საბუთების ზოგადი მნიშვნელობა ამ მხრივაც ცხადი უნდა იყოს. მაგრამ ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა ის, თუ როგორ ეძებს ქართული ტექსტის სპარსულად მთარგმნელი ქართული ფეოდალური ინსტიტუტების ანალოგიებს ირანულ ფეოდალურ სინამდვილეში.

საზოგადოდ გათარხნების აქტს მისთვის სოიურღალზე უნდა ენიშნებინა, რადგან საგადასახადო იმუნიტეტი სოიურღალის ძირითადი ნიშანი იყო. ამდენადვე სოიურღალებად უნდა მიეჩნია მას სიმონ I-ის დროინდელი ყველა ის სითარხნის წიგნი, რომელთაც იგი სპარსულ ტექსტს ურთავდა. მართალია, სოიურღალს ან მუაფს იგი მხოლოდ ეკლესიის ან საეკლესიო პირის სითარხნესთან დაკავშირებით აღნიშნავს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სპარსულ ტექსტებში ქართველი საერო ფეოდალების სითარხნეს სოიურღალი არ ეწოდებოდეს. საამისო მოწმობა XVII ს-ის ერთენოვან (ირანის შაჰის მიერ გაცემულ) საბუთში მოგვეპოვება.

1660 წ. შაჰ-აბას II-ის ფირმანით ელიზბარ-ბეგს ეძლევა მისივე სამკვიდრო და არა სამკვიდრო (غیر موروثی و موروثی) სოფლები: კუმისი, მონასტერი, ღოუბანი, ტაგნაგეთი, ასურეთი და ჰალა სოიურღალ-აბადად და ეჰსან-სარმადად (بسیورغال ابدی و احسان سرمدی)[1]. ელიზბარ-ბეგი, რომელიც ხსენებული სოფლების მალუჯათისაგან თავისუფლდება, საერო ფეოდალია. და სწორედ ამით იქცევს ჩვენს ყურადღებას დამოწმებული საბუთი.

საბუთის გამცემს, როცა იგი ელიზბარ-ბეგის საქონებელს (الملکی) სოიურღალად აცხადებდა, მხედველობაში უნდა მიეღო მისი

---

[1] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, გვ. 14.

მემკვიდრეობითი უფლება დასახელებულ სოფლებზე და, რაც მთავარია, საგადასახადო იმუნიტეტი. საბუთიდან არ ჩანს, სარგებლობდა თუ არა ელიზბარ-ბეგი ადმინისტრაციული და სასამართლო იმუნიტეტით. მაგრამ როგორც XVI ს-ის უკანასკნელი მეოთხედის, ისე XVII ს-ის ორენოვანი და ერთენოვანი (სპარსული) საბუთებიდან ვიცით, რომ ქართველი ფეოდალები სარგებლობდნენ სასამართლო იმუნიტეტით. მათ მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე არ მიუწვდებოდათ ხელი (ეს სათანადოდ იყო კიდევაც ხაზგასმული საქართველოს შესახებ სპარსულ დოკუმენტებში)[1]. ადმინისტრაციული იმუნიტეტი კი ქართველ თავადს კარგა ხანი იყო მოპოვებული ჰქონდა.

ამრიგად, სპარსული დოკუმენტებით, როცა მათი შინაარსით ქართული ფეოდალური სინამდვილეა დახასიათებული, სოიურღალით აღინიშნება ის, რაც უშუალოდაა დაკავშირებული საგადასახადო იმუნიტეტთან, თიული კი გვევლინება იმ დროს, როცა მხოლოდ მამულის ან ყმების წყალობაზეა ლაპარაკი, ხოლო საგადასახადო იმუნიტეტი ან გათვალისწინებული არაა, ანდა საბუთის მთავარი საგანი არაა. ორსავე შემთხვევაში, თიულიც და სოიურღალიც, მიახლოებითაც ვერ გამოხატავს ქართული საადგილმამულო ურთიერთობის თავისებურებას. ამიტომ საბოლოო ანგარიშში საქმე გვაქვს ტრაფარეტებთან, რომელნიც, გარეგნულად „ანალოგიურ“ მსგავსებათა ამსახველნი, არ ცვლიან, და არც შეიძლება რომ შეცვალონ, პრაქტიკაში არსებული ქართული აგრარული სისტემის და სოციალური ურთიერთობის შინაარსი.

ამის შეგნება XVII ს-ის შაჰის სამდივანმწიგნობროს მოხელეთა შორის უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო, რადგან სწორედ ამ დროინდელ საბუთებში მკაფიოდაა აღნიშნული, რომ ქართულად დაწერილის (بخط گرجی) მიხედვით სპარსულად დაწერილში მოთხრობილი უნდა „გათავდეს“ (შესრულდეს) „საქართველოს ზნეჩვეულების შესაბამისად (موافق معمولی گرجستان)“ ან, მეორენაირად, „საქართველოს კანონების და დასტურლამალის შესაბამისად“.

XVI—XVIII სს. წყაროებში ჩვენთვის ცნობილია ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ირანული ფეოდალური ინსტიტუტის და მისი აღმნიშვნელი სახელის შესაბამისია თვითონ შინაარსი.

---

[1] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, გვ. 16.

ჩვენი ყურადღება მიიქცია დასტურლამალის „ქართლის აწერის“ დებულებაში მოხსენებულმა „საულღარმა“, რომელიც ბგერითი შედგენილობით მოგვაგონებს „სოიურღალს“[1]. ნიშნავს თუ არა „საულღარი“ იმასვე, რასაც „სოიურღალი“?

„ქართლის აწერის“ დებულებაში ვკითხულობთ: „როდესაც ქართლი აწერილია და ან აიწერების, ამ წესით უნდა აიწერებოდეს: ყაიყულიდამ, შემოყოლებით, თათარსა და მელიქის საულღარს გარდა. სომხითს, ტაშირს, ყაიყულს, თრიალეთს და საბარათაშვილოში ამაზედ საბარათაშვილოს სარდალი წავა. ერთი მდივანი წავა, ასწერს და დავთარს დაიჭერს, მეფის მდივანი წავიდოდეს“[2].

„ქართლის აწერის“ დებულებით თათრის (ელის ხალხის) და მელიქის საულღარის ასაწერად, წესისამებრ, საბარათაშვილოს სარდალი ვერ წავიდოდა, ხოლო მეფის მდივანი მათ ვერ ასწერდა და „დავთარს ვერ დაიჭერდა“. ელის ხალხის აღწერა, სამ წელიწადში ერთხელ რომ ხდებოდა, განსაკუთრებული წესით წარმოებდა. ამიტომ ელის გამორიცხვა „ქართლის აწერის“ დებულებიდან გასაოცარი და მოულოდნელი არაა. თვითონ დასტურლამალის „ელის დებულებაში“ საგანგებოდაა აღნიშნული, რომ „სამს წელიწადში ერთხელ ელი აიწერების“. ქართლი შვიდ წელიწადში ერთხელ უნდა „აწერილიყო“, ელი კი, კანონით, ამ ხნის განმავლობაში ორჯერ „აიწერებოდა“. ასე რომ, სავსებით გასაგებია „ქართლის აწერის“ დებულების შენიშვნა ელის მიმართ. გასაოცარია მხოლოდ მელიქის საულღარის გამორიცხვა „ქართლის აწერის“ დებულებიდან.

ფეოდალურ საქართველოშიც, ცნობილია, ქვეყნის აღწერა სამხედრო და ფისკალური მიზნით წარმოებდა. აღწერის მიზანი იყო მოლაშქრეების და გადასახადების საერთო რაოდენობის გამორკვე-

---

[1] „საურღალი“ ქართულში ადვილად შეიძლებოდა ქცეულიყო „საულღარად“. ქართულში შემონახულ „საულღარს“ მნიშვნელობა აქვს ამ ტერმინის სწორი გამოთქმისათვის. სპეც. ლიტერატურაში „სოიურღალი“ სხვადასხვანაირად გამოითქმის: «сойургал» (პეტრუშევსკი), „сюургал“ (იაკუბოვსკი), „суюргал“ (ანტონოვა), „Sourghal“ (ხანიკოვი). „Siurghal“ (მინორსკი—1939 წლიდან „Soyúrghal“), „Soyurghal“ (ლამბტონი), „Sayurghal“ (ბლოხმანი), „Swyurghal“ (მორელენდი— უფრო გვიან „Sayurghal“). შდრ. К. А. Антонова, Сюургал в Акбаровской Индии, გვ. 149, შენ. 4.

[2] დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის გამოც., თბილისი, 1886, გვ. 13. დასტურლამალის ზოგიერთ ხელნაწერშია: „საულღარი“.

ვა. მელიქი, ჩანს, ამ მხრივ, განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობს, რაკი მისი ქვეყანა „დაუწერელია“, ე. ი. მოლაშქრეების გამოყვანა და სახელმწიფო გადასახადების გადახდა არ ევალება. ამავე დროს, იმავე დასტურლამალიდან ვიცით, რომ სომხითის მელიქი ქართლის მეფის მოხელეა და ამასთან ორგანულად დაკავშირებული ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასთან (ვახტანგის სამართალი, ვახუშტი). ამიტომ მელიქის საულღარში ნაგულისხმევი უნდა იყოს ის ქვეყანა (სამელიქო მთლიანად თუ არა, მისი გარკვეული ნაწილი მაინც), რომლის მფლობელი სრული საგადასახადო, ადმინისტრაციული და სასამართლო იმუნიტეტით სარგებლობს. მელიქის ამგვარი შეუვალობა ისტორიულად ირანის შაჰის (შაჰ-აბას I-ის?) „წყალობა“ უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ამ თვალსაზრისით ხდება გასაგები, თუ რატომ ეწოდება მელიქის ფეოდალურ სამფლობელოს საულღარი.

ქართულ და სპარსულ საისტორიო ნაწარმოებებში (ფარსადან გორგიჯანიძე, ისკანდერ მუნში, მოჰამედ თაჰერ ვაჰიდი...) დაცული ცნობებით ცხადად ირკვევა სომხითის მელიქების ირანის შაჰების წინაშე „სამსახურის“ პოლიტიკური აზრი და შინაარსი.

კარგადაა ცნობილი მელიქის სახლის დამოკიდებულება შაჰის ხელისუფლებასთან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე. ამ ქართული ფეოდალური „სახლის“ ერთგულება შაჰ-აბასს მუდამ სწამდა და სჯეროდა. სპარსული ნარატიული წყაროებიდან სხვა მნიშვნელოვანი დეტალებიც ირკვევა: სომხითის მელიქმა მირმანმა პირველმა უარყო ქრისტიანობა და გამაჰმადიანდა. მისი ძე ყორმხაზი, აგრეთვე სომხითის მელიქი, შაჰ-აბასს ერთგულად „ემსახურებოდა“. მირმანის მეორე ვაჟი თამაზყული-ხანი ერთ-ერთი უპირველესი დიდკაცი (ყულარაღასი, უფლისწულის აღმზრდელი) იყო შაჰ-აბასის კარზე, ხოლო მისი ძმისწული სეფიყული-ხანი (ყორმხაზის ძე) ჯერ ყოლმარის და ალაშქერის ბეგლარბეგი იყო, შემდეგ ჰამადანის, ბოლოს. როგორც ბაღდადის დამპყრობელი (1623 წ.), ერაყის მმართველად იჯდა 1633 წლამდე. სომხითის მელიქი ათაბეგი შაჰ-აბასის საქართველოს წინააღმდეგ ორივე ლაშქრობის აქტიური მონაწილეა. თუ როგორ დაუფასა მას შაჰმა „ერთგულებით სამსახური“, ეს ისკანდერ მუნშის აქვს აღნიშნული. კახეთის აოხრების შემდეგ, მოგვითხრობს ისკანდერ მუნში, შაჰ-აბასი თბილისში მივიდა, სადაც მას დიდის ამბით დახვდა ბაგრატ-ხანი. შაჰი „აქედან... სომხითისაკენ გაემართა და რამდენიმე დღე მელიქ ათაბეგის, სომხითის მელიქ მირმანის შვილიშვილის, რომელიც ამ დინასტიის (სეფიანების—ვ. გ.)

ერთსულოვან და ერთგულ ხალხთა წრეში ირიცხებოდა, სამფლობელოში (სიტყვასიტყვით: სადგომებში) დაჰყო...“[1]

ყველა ამ სამსახურის „სანუქფოდ“ შაჰ-აბასს სომხითის მელიქისათვის სოიურღალად უნდა მიეცა ქვეყანა, რომლის ხელშეუვალობა დასტურლამალითაც არის აღიარებული.

შაჰ-აბასის ეს „წყალობა“ სხვა განზრახვასთანაც უნდა ყოფილიყო დაკავშირებული: ლორესა და დებედას მიტაცების შემდეგ ქვემო ქართლის ერთ ნაწილში ირანული ფეოდალური ინსტიტუტის შემოღება მას, უეჭველია, ქართული მიწისმფლობელობის დასარღვევად სჭირდებოდა. საამისოდ შაჰის ხელისუფლებისათვის ყველაზე მისაღები, სწრაფი და გადამწყვეტი საშუალება—ქართული მიწების მიტაცება—ყველგან და ყველა კერძო შემთხვევაში შეუძლებელი იყო (ამ საშუალებას შაჰ-აბასმა მხოლოდ იმ დროს მიმართა, როცა მრავალწლოვანი წინასწარი სამზადისის შემდეგ „გურჯისტანის საკითხის“ ირანის სასარგებლოდ გადაწყვეტა შესაძლებლად მოეჩვენა...). ცბიერი შაჰი ფრთხილად მოქმედებდა. ყველაზე სასურველი მისთვის თიულის შემოღება უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას ირანის წინააღმდეგ დარაზმავდა. სოიურღალად ქცეული ტერიტორია, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაციისაგან მხოლოდ თანდათანი გამოთიშვის შესაძლებლობას იძლეოდა, უფრო კომპრომისული ხასიათის მატარებელი იყო. ამ მხრივ სოიურღალს დაახლოებით ისეთივე როლი უნდა შეესრულებინა, როგორსაც მონღოლთა ბატონობის ხანაში „ხასინჯუს“ ინსტიტუტი ასრულებდა. დამახასიათებელია, რომ შაჰს სოიურღალი საქართველოს გარკვეულ ნაწილში შემოაქვს იმ დროს, როცა საკუთრივ ირანში ცენტრალური ხელისუფლება კრძალავს სამხედრო სოიურღალების გაცემას და, ზოგიერთ შემთხვევაში, მხოლოდ მისი განახლება მიაჩნია დასაშვებად. მთავარი მაინც ეს იყო: სოიურღალის ინსტიტუტი უცხო იყო ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობისათვის და ამდენადვე ერთ-ერთი საშუალება ამ მიწისმფლობელობის დასარღვევად.

XVIII ს-ის დამდეგს შედგენილი ქართული სახელმწიფო სამართლის მიხედვით, ამრიგად, ირკვევა „სოიურღალის“ არსებობა

---

[1] თარიხ-ი ალემ არა, გვ. 648. واز آنجا ... بجانب سمخوت معطوف گردانیده چند روز در منازل ملك اتابیگ نواده ملك میرمن سمخوتی که از زمره یکجهتان صادق العقیده این دودمان...بوده

ქართლის სანაპირო ოლქში. მისი გამორიცხვა „ქართლის აწერის“ დებულებიდან საფუძველს გვაძლევს ისიც აღვნიშნოთ, რომ საქმე გვაქვს საერო ანუ სამხედრო სოიურღალთან.

ქართული წყაროს ჩვენება, „ქართველობის“ დროს სოიურღალის არსებობას რომ აღნიშნავს, ერთადერთია და ამდენადვე მისი განზოგადების საკითხი სავსებით გამორიცხულია. ამასთან, ეტყობა, იგი ყალიბდება გარკვეულ ისტორიულ ვითარებაში და გეოგრაფიულადაც მისი წარმოშობა მოულოდნელი არ არის იქ, სადაც ეს ირანული ფეოდალური ინსტიტუტი წარმოიშვა.

ქართული წყაროების ეს ერთადერთი მოწმობა იმის საბუთიც უნდა იყოს, რომ ორენოვან საბუთებში სოიურღალი მხოლოდ პირობითი ტერმინის მნიშვნელობით არის ნახმარი. ამ სახელს, რა თქმა უნდა, არავითარი კავშირი არ აქვს ქართულ საეკლესიო მიწისმფლობელობასთან, რომლის მიმართ, როგორც ვნახეთ, უპირატესად სწორედ სოიურღალია გამოყენებული.

ჩვენი მსჯელობის სისწორეს, „თიულთან“ და „სოიურღალთან“ დაკავშირებით, ადასტურებს „ოსმალობის“ და „ყიზილბაშობის“ დროინდელი ვითარების გათვალისწინება.

XVI—XVIII სს. ქართული წყაროები, მათ შორის დასტურლამალი, „ოსმალობამდე“ და „ყიზილბაშობამდე“ არ გვაწვდიან არავითარ მოწმობას ქართულ საადგილმამულო ურთიერთობაში მომხდარ ცვლილებებზე[1]. საამისო მოწმობანი, რა თქმა უნდა, არ გვაქვს იმის გამო, რომ ამგვარ ცვლილებებს არ ჰქონდა ადგილი ქართულ ფეოდალურ მიწისმფლობელობაში.

ოსმალური და ყიზილბაშური მიწისმფლობელობის ამა თუ იმ მოვლენის არსებობა პრაქტიკაში მისი არსებობის აღნიშვნის საჭიროებასაც გამოიწვევდა, უპირველეს ყოვლისა კი ორენოვან საბუთთა ქართულ ნაწილებში.

აღებული ხანის ქართულ საბუთებში, და ისიც გარკვეული დროიდან მოყოლებული, მხოლოდ მოცემული პოლიტიკური დაჯოკიდებულების ძესაფერისი მოვლენების ანარეკლი შეინიშნება.

თუ მაგალითად, სიმონ I-ის საბუთები იწერება „წყალობითა ღუთისათა“, გამაჰმადიანებულ-გასპარსებულ ბაგრატ-სიმონის საბუთები იწერება „წყალობითა შაჰაბასისათა“. თუ როსტომ-ხანის

---

[1] საამისო ჩვენებანი მოიპოვება მხოლოდ სამხრეთ საქართველოს მიმართ, სადაც 1587—1595 წწ. „ოსმალობამ“ იწყო გავრცელება და დაპყრობილი ქვეყანა ოსმალური წესით აღიწერა.

საბუთებისათვის ჩვეულებრივია ფორმულა „ყაენის ფეხთა მტვერი“. უფრო ნაგვიანევი ქართული საბუთებით ქართველი მაჰმადიანი მეფეები ყაენის მიერ არიან „გახელმწიფებულნი და გაბატონებულნი“. ეს არის და ეს. სამაგიეროდ „ოსმალობის“ და „ყიზილბაშობის“ დროიდან არა ერთი ისეთი ქართულად დაწერილი საბუთი მოგვეპოვება, სადაც მკაფიოდაა ხაზგასმული ის, თუ რითი განსხვავდება ქართული მიწისმფლობელობა ოსმალურ-ყიზილბაშური მიწისმფლობელობისაგან.

1733 წ. ტბელი იაგულაშვილი გიორგის მიერ ხელფეხა გიორგისადმი მიცემულ მამულის ნასყიდობის წიგნში ნათქვამია: „ასე რომე დამეჭირა და მოგადექ კარსა და მოგყიდე ჩემი სამკვიდრო მამული. ასე რომ ავიღე ფასი სრული, რითაც ჩემი გული შეგჯერდებოდა. არა დარჩომილა რა ჩემი შენზედა არც ერთის იოტის ფასის. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა. ვითა სხვას მონასყიდეს მოხმარდეს, შენც ისრე მოგახმაროს ღმერთმა. ამინ“. და იქვე დართულია მეტად საინტერესო, თავისი შინაარსით, შენიშვნა: „ერთი ესე რომე ქვეყანა ურუმთ ეჭირა და არც ნასყიდს და არც უსყიდს არ იკითხავენ. კულუხზედა აიღებენ, თვარემა ვინ იცის, ეგება მათს ბძანებით ქართველობა იქნას, არც კულუხი გეთხოებოდეს. ასრე ამა პირობით მომიყიდია ჩემი სამკვიდრო ვენაკი...“[1] ამ შენიშვნის აზრი ცხადი უნდა იყოს ისევე, როგორც 1739 წ. ერთ საბუთში ნათქვამისა: „ჩვენ ამ კაცებსა და მამულთან არც თათრობასა და არც ქართველობაში ჩვენ კელი არა გვქონდეს“[2].

1737 წ. დათარიღებულ მამულის ნასყიდობის წიგნში ეკითხულობთ: „დამიჭირდა და მოგყიდეთ ჩვენის მამისაგან ნასყიდი და ნაქონი მამული ვაჟიბედურა. ქართველობას თარხანი, ყოველის კაცის უცილობელი და მოუდევარი“[3]. ქართველობას თარხანი მამული ჩანს შინაარსს იცვლის ოსმალობის თუ ყიზილბაშობის დროს. დამოწმებულ საბუთში სწორედ ეს გარემოებაა აღნიშნული. საზოგადოდ, XVIII ს-ის მეორე მეოთხედის საბუთებში მკვეთრადაა ხაზგასმული მამულის მდგომარეობა „ქართველობაში“ თუ „ოსმალობა-ყიზილბაშობაში“.

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, II, გვ. 26.

[2] იქვე, გვ. 34.

[3] დოკუმენტები..., I, გვ. 265.

1745 წ. დათარიღებული თეიმურაზ II-ის სამართალი ქრცხინვალელებისა და ფავნელიშვილების სარჩელზე ამრიგადაა გარიგებული: „ქართველობაში ქრცხინვალელს მუურადაშვილს და იმის მეზობლებს ნიქოზს, რხვითს მამული ეყიდათ. იქიდამ ამ თარიღამდი ამათ სჭერიდა. ამისი ბარა ქრცხინვალის მალუჯათში ეძლიათ. ამ წელიწადს მოსულიყო ფავნელიშვილი: ნიქოზი ჩემი არის, ა[მ] მამულის ბარას მე ავიღეფო. ძალათ წაერთმიათ. მოვიდენ. სამართალში ილაპარაკეს. ჩვენ მოკითხული ვქენით. ქრცხინვალელებმა ქართველი და თათარი მოწამე მოიყვანეს, ეს მამული რა გვიყიდია, არც ქართველობაში, არც ურუმობაში, არც ყიზილბაშობაში თქვენ ბარა არ ყამოგირთმევიათ. უსამართლობით წელს გამოართვითო. ფავნელიშვილებსაც მოწმეები ვსთხოვეთ. იმათ ვერ იშოვეს. სამართლით ის მამული დარჩათ ქრცხინვალელთ. ფავნელიშვილებს ხელი არ აქვთ. თუ რამ გამოურთმევიათ, ისევ უნდა ქრცხინვალელებს მისცენ“[1].

აღებული ხანის საბუთებში, სავსებით გასაგებ გარემოებათა გამო, სამამულო ურთიერთობასთან დაკავშირებით ხშირად გვხვდება: ქართველობა (შესადარებლად), ოსმალობა, ურუმობა, ყიზილბაშობა, თათრობა (ოსმალობა-ყიზილბაშობის აღსანიშნავად). „მამულების ამოძრავება“ ოსმალობასა და ყიზილბაშობაში დახასიათებულია აკად. ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევაში: „XVIII ს-ის საქართველოს ისტორიიდან“[2].

„ქართველობის“ (ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის) აღდგენას სამამულო უფლებების და მამულის გამოსაღებების „ისევ ძველს რიგზე და დასტურზე დაყენება“ მოჰყვა.

1750 წ. თეიმურაზ II-ის მიერ როჭიკას-შვილებისადმი სოფლის დაბრუნების წიგნში ეს საგანგებოდ არის აღნიშნული: „ჩვენ, პატრონმან მეფეთ-მეფემ თეიმურაზ როჭიკას-შვილების მამული სკრა ამას წინათ მერალიბეგს ქალანთარს უბოძეთ, ამიტომ რომ ქვეყანას ბევრი სახელმწიფო სათხოვარი ედვა და როჭიკას-შვილებმა თავეთის სოფლის სკრის მალუჯათი და სათხოვარი ამოეკვეთა და ისევ ძველს რიგსა და დასტურზე და[ა]ყენეს. მერალიბეგს რა ჩვენ წიგნი უბოძეთ, მას აქეთ. ამ როჭიკას-შვილის მამულის მალუჯათი არა მიეცა რა და

---

[1] დოკუმენტები..., I, გვ. 326.

[2] მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1944, ნაკვ. I, გვ. 173—211.

როჭიკას-შვილებს ოთარს და ამის ძმისწულს დავითს და სხვათა სკრა, თავეთი მამული, ისევ ამათ უბოძეთ და დავანებეთ. მერალიბეგს ქალანთარს ამ როჭიკას-შვილების მამულთან ხელი არ[ა] აქვს. იმისი წიგნი ამ წიგნით გაგვიცუდებია, მტკიცე ესე ოდენ არს"[1].

მაგრამ, ერეკლე II-ის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მშვიდობა მტრისაგან დიაღ მოკლედ გასწევს ხოლმე" (ერეკლე II წერილი ანტონ I-თან, 1756 წ.). „ყიზილბაშობა" უკვე „ამოკვეთილი" იყო, მაგრამ მისი აღდგენის შიში ჯერ ისევ ჰქონდათ. ამიტომაა, რომ 1749 წ. ნათლისმცემლის მონასტრისათვის სიგლის მიმცემი საჭიროდ თვლის აღნიშნოს: „ვინ იცის ღ-თ ნუ ქნას რომ კიდამ მალიათობა შეიქნას რაც შეგეძლოსთ კიდამ ნაკლებაო თქვენც მოგვიდგეთ"[2]. ამგვარი პირობა, მამულით სარგებლობასთან დაკავშირებით, აუცილებელი იყო, როცა ან „ოსმალობა" იყო ანდა „ყიზილბაშობა".

XVIII ს-ის მეორე მეოთხედამდე აღნიშნული გარემოებანი ქართულად დაწერილ საბუთებში არა გვხვდება. პირიქით, ზემორე დამოწმებულ საბუთებში ოსმალობის და ყიზილბაშობის წინარე ხანა „ქართველობის" ხანადაა გამოცხადებული და მამულების მდგომარეობაც იქ ქრონოლოგიური თანამიმდევრობითაა წარმოდგენილი: ქართველობაში, ოსმალობაში, ყიზილბაშობაში და ბოლოს, ისევ ქართველობაში.

„წინარე ხანა" („ქართველობა") ირანის პოლიტიკური ბატონობის პერიოდზე მოდის, როცა მრავლად იწერებოდა ორენოვანი საბუთები. ამ ორენოვანი საბუთების სპარსულ ტექსტებში, როგორც ვნახეთ, მოხსენიებულია თიულიც, სოიურღალიც და მალუჯათიც. მათი არსებობის კვალი კი ქართულ ტექსტებში არსად არ ჩანს. მაგრამ ოსმალობის ან ყიზილბაშობის დროს, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობა ამ დროსაც ძირითადად უცვლელი რჩება, შექმნილი ვითარება, როცა ქართველი ფეოდალები მოვალენი არიან თავიანთი მამულების მფლობელობის უფლება ხელახლად მიიღონ ხონთქრისაგან (ოსმალობის დროს) ან შაჰისაგან (ყიზილბაშობის დროს), დაუყოვნებლივ პოულობს თავის გამოხატულებას ქართულ საბუთებში. ცხადია, იმის გამო, რომ ქართველი ფეოდალი საჭიროდ თვლის დაიცვას თავისი სამამულო უფლებები ოსმალობის ან ყიზილბაშობის პირობებში.

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 346.

[2] ისტ. საბ., V, გვ. 71.

როცა არც ოსმალობაა და არც ყიზილბაშობა, მაშინ ქართულ „რიგზე და დასტურზე დაყენებული“ სამამულო მფლობელობა მხოლოდ ქართული საადგილმამულო ურთიერთობის ნორმების აღნიშვნას საჭიროებს. ამდენადვე ამ საბუთების ერთი ნაწილისათვის დართულ სპარსულ ტექსტებში აღნიშნული ირანული ნორმები მხოლოდ იურიდიული ფიქციაა, რასაც არ შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა ქართული ფეოდალური საზოგადოების საადგილმამულო ურთიერთობაზე. ერთიმეორის გამომრიცხველი ირანულ-ყიზილბაშური „თიული“ და ქართული „მამული“ საერთო იურიდიულ ნორმებში ვერ მოთავსდებოდა. ეს გარემოება თავისებურად არის კიდევაც ასახული ორენოვანი საბუთების სპარსულ ტექსტებში. საამისო მაგალითები ზემოთ უკვე იყო მოტანილი: ორენოვანი ქართული საბუთების სპარსული ტექსტების შინაარსის ისტორიულ-კრიტიკული ანალიზით მხოლოდ ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის და საბატონყმო ურთიერთობის თავისებურებანი მტკიცდება.

ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის თავისებურებანი, ყოველგვარი შენიშვნის გარეშე (ე. ი. „ქართველობის“ აღუნიშნავად), თავისთავად მოცემულია ორენოვანი საბუთების პერიოდის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქართულ სიგელებში—XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან დაწყებული XVIII ს-ის მეორე მეოთხედამდე.

XVIII ს-ის მეორე მეოთხედამდე ქართული საბუთები არ აღნიშნავენ აღმოსავლური მიწისმფლობელობის რაიმე გამოვლინებას ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში. ამის აღნიშვნის საჭიროება ჩნდება მხოლოდ „ოსმალობის“ და „ყიზილბაშობის“ დროს, როცა ქართველობას უპირისპირდება ქართული ფეოდალური ურთიერთობისათვის უცხო „ოსმალობა“ და „ყიზილბაშობა“.

XVI—XVII სს. ქართულ დოკუმენტურ წყაროებში ყიზილბაშური მიწისმფლობელობის არავითარი გამოვლინება არ ჩანს, რადგან არ არსებობს შაჰის წყალობის ობიექტი საკუთრივ საქართველოში (ამდენადვე XVII ს-ის შაჰების ქართველი ფეოდალებისათვის მიცემული სპარსული ფირმანების შინაარსი ისეთივე იურიდიული ფიქციაა, როგორც ორენოვანი საბუთების სპარსული ტექსტების შინაარსი). მაგრამ XVIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, როცა საკუთრების სუბიექტად გვევლინება ჯერ ხონთქარი, ხოლო შემდეგ შაჰი,

ქართული დოკუმენტები საჭიროდ თვლიან უჩვენონ „ქართველობისაგან“ განსხვავებული „ოსმალობის“ ან „ყიზილბაშობის“ თავისებურებანი. ამის აღნიშვნა გაპირობებულია იმით, რომ „ოსმალობა“ და „ყიზილბაშობა“ ქართული ფეოდალური ურთიერთობისათვის უჩვეულო გარემოებათა შემცველი იყო. „ოსმალობა არ სცნობდა თ ა რ ხ ა ნ ს, ა ზ ა ტ ს, რომლებიც ქართული ფეოდალური წყობილების მიხედვით სავსებით ან ნაწილობრივ თავისუფალი იყვნენ სხვადასხვა გადასახადისაგან, არ არჩევდა ნასყიდს უსყიდისაგან, ყველა და ყველაფერი დაბეგრილი იყო მძიმე გადასახადებით“[1]. ქართლში, „ოსმალებმა დახარკეს საეკლესიო ქონება, მისი ყმა-მამული“[2]. ასეთ ვითარებაში „ქართლის ფეოდალები მოვალენი იყვნენ თავიანთი ყმა-მამულის მფლობელობის უფლება ახლად მიეღოთ ოსმალთა ხელისუფლებისაგან“[3]. ქართული საბუთები სწორედ ამ დროს აღნიშნავენ „მირს“ (ოსმალურ გადასახადს) და „მალუჯათს“ (ყიზილბაშურ გადასახადს). ვინც „მირს“ ან „მალუჯათს“ არ იხდის (უკეთ, არ შეუძლია გადაიხადოს), ის მამულს ჰკარგავს, რადგან „მირით“ და „მალუჯათით“, წესისამებრ, „დაწერილი ქვეყანაა“ დახარკული.

XVI—XVII სს. ორენოვანი საბუთების სპარსული ტექსტების მალუჯათი რეალურ შინაარსსაა მოკლებული, რადგან იმ დროს, პაპუნა ორბელიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქვეყანა დაწერილი არ იყო“.

1735 წლიდან („ყიზილბაშობიდან“) კი „მალუჯათის“ დასახელება ქართულ საბუთებში ჩვეულებრივია. ჩვენ მოგვეპოვება იმდროინდელი მალუჯათის საგადასახადო ნუსხებიც[4]. ცოტა უფრო ადრე (1724 წლიდან—„ოსმალობიდან“)ასევე გავრცელებულია ოსმალური გადასახადები.

ასე მაგ., ქაიხოსრო ორბელიანის 1733 წ. პირობის წიგნში ვკითხულობთ: „ქ. ესე წიგნი მოგეც მე, ქაიხოსრომ თქვენ, ჩვენს ბიძაშვილს ელისბარს და ვახტანგს, ასე რომე ქარტაკს თქვენი მეზრეტუსიაშვილი რომ არის, ხ ა რ ა ჯ ა ს გ ა რ დ ა, ა რ ც ვ ს თ ხ ო ო ს ა ლ ი ა ნ ი, ა რ ც ბ ა რ ა, ა რ ც ს პ ე ნ ჯ ი, ე რ თ ი ს ხ ა რ ა ჯ ა ს მ ე ტ ი ი მ ა ს ა რ ა გ ა მ ო ს ა ღ ე ბ ი ა რ ე თ ხ ო ე ბ ო-

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, გვ. 179.

[2] იქვე, გვ. 180.

[3] იქვე.

[4] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. III, თბ., 1955, გვ. 42—59.

დ ე ს. თ ქ ვ ე ნ ი მ ი ს ა ხ უ რ ე თ“[1]. აქ, როგორც ვხედავთ, დასახელებულია ოსმალური გადასახადები ხარაჯა, სალიანი, ბეჭრე, ისფენჯი. ამასთან მოიპოვება საგადასახადო ნუსხები საიდანაც ჩანს, თუ ვის მამულს რა ოდენობით უნდა გამოეღო „მირი“[2].

ამრიგად, ჩვენთვის ზუსტადაა ცნობილი როდის და რატომაა რეალური ყიზილბაშური ან ოსმალური გადასახადები ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში.

ისმის კითხვა: მაშ რით იყო გამოწვეული ორენოვანი (ქართულ-სპარსული) საბუთების საჭიროება და არსებობა?

ჩვენი აზრით, ა მ ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო მ ო ვ ლ ე ნ ი ს გ ა ს ა ღ ე ბ ი ი რ ა ნ - ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ურ თ ი ე რ თ ო ბ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ფ ო რ მ ი ს თ ა ვ ი ს ებ უ რ ე ბ ა შ ი უ ნ დ ა ვ ე ძ ი ო თ.

ეჭვი არაა, რომ ორენოვანი საბუთის სპარსული ტექსტის შემდგენელი შაჰის მოხელეა. ამის გარდა, საბუთზე დასმულია სპარსული საკანცელარიო და სარეგისტრაციო ბეჭდები. ზოგან პირდაპირაა მითითებული, რომ დაწერილს ერწმუნონ, როცა „მ ა ღ ა ლ ი ბ ე ჭ დ ი თ შ ე ი მ კ ო ბ ა“, ე. ი. შაჰის ბეჭდით დამტკიცდება.

ირკვევა: მამულის წყალობის, ნასყიდობის, თუ სითარხნის ყოველგვარი აქტი მაღალი დივანის მუსტოფებს დავთარში უნდა გაეტარებინათ. ერთი შეხედვით, შეიძლება ყველაფერი ეს სპარსული დიპლომატიკის წესების ჩვეულებრივ გამეორებად წარმოგვედგინა და მათთვის ტრაფარეტების მნიშვნელობა მიგვეწერა, მაგრამ ნამდვილად რომ ეს ასე არაა და ყველაფერი ეს გარკვეულ აზრს არ არის მოკლებული, კარგად ჩანს XVII ს-ის მეორე ნახევარში ქართულად დაწერილი „მუსტოფის სარგოს“ წიგნიდან.

ამ დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ მამულის სითარხნის სათასილდაროს ან იჯარადარის წიგნები მუსტოფის დავთარში იყო რეგისტრირებული და მისივე ბეჭდით დამტკიცებული. საინტერესოა, რომ მუსტოფის დავთრის „სავთის“ და ბეჭდის გარეშე მეფის მურდარს არ შეეძლო ამ წიგნების დაბეჭდვის ნება დაერთო[3].

მაშასადამე, მამულის თუ სითარხნის აქტი ჯერ მუსტოფის დავთარში უნდა გატარებულიყო და მისი ბეჭდით დამტკიცებულიყო, შემდეგ კი მეფის სამდივანმწიგნობროს, საიდანაც საბუთი იყო გა-

---

[1] საქ. სიძვ., II, გვ. 369.

[2] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III, გვ. 37—42.

[3] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, სპარსული ტექსტი, გვ. 347, ქართული თარგმანი, გვ. 347—349.

მოსული, დასაბეჭდად გადასცემოდა. თუ დავთარში მუსტოფის „სავთი“ არ იყო ან მისი ბეჭედი არ იჯდა, მეფის მურდარი მამულის წყალობის თუ სხვა წიგნების დაბეჭდვის ნებას ვერ დართავდა. ჩანს, მხოლოდ ამის შემდეგ მონაწილეობდა სახლთუხუცესი, ქართველი მეფის უპირველესი მოხელე, მამულის და სითარხნის წიგნების დაბეჭდვაში. ასე რომ, საბოლოოდ, მამულის წყალობის თუ სითარხნის წიგნი მეფის სამდივანმწიგნობროში იბეჭდებოდა და მტკიცდებოდა. ამ შემთხვევაში ქართველი მეფის უფლება არაფრით არ ჩანს შეზღუდული და ფაქტიურად სამამულო უფლებები ქართული ფეოდალური ურთიერთობისათვის შესაფერისი შინაარსით ხორციელდება.

ის გარემოება, რომ სპარსული ტექსტი ზოგჯერ მამულის ნასყიდობის წიგნებსაც ახლავთ, გვაფიქრებინებს, რომ ზათი „სავთიც“ და ბეჭედიც მუსტოფის საკითხავი იყო.

ამრიგად, ქართველ ფეოდალთა სამამულო ურთიერთობაში მომხდარი აქტი მუსტოფის დავთარში ტარდება, რასაც თავის ეხრივ, ქართველი მეფე ადასტურებს, ოღონდ იმ არსებითი მნიშვნელობის კორექტივით, რომ ამ აქტის საბოლოო დამტკიცების უფლებას შეუზღუდავად ინარჩუნებს.

ქართულ ფეოდალურ მიწისმფლობელობასთან შაჰის „ფორმალური“ დამოკიდებულებისათვის სავსებით შესაფერისი ფორმა უნდა ყოფილიყო ქართულად დაწერილი საბუთისათვის დართული სპარსული ტექსტი. თუ ეს ასეა, მაშინ საქმის ვითარება ასეთნაირად წარმოგვიდგება: შაჰს სურს ხელი დასდოს ქართულ მიწისმფლობელობას, მაგრამ ეს განზრახვა რომ რეალური შინაარსით შეიავსოს, საჭიროა სულ სხვა რამ, ვიდრე ქართული საბუთის სპარსული ტექსტი მისი უსაგნო შინაარსით. საამისოდ საჭიროა ქვეყნის აწერა, რამდენადაც ქვეყნის აწერა უშუალოდ ეხებოდა მიწისმფლობელობის წესს და სამამულო ურთიერთობას.

ორენოვანი საბუთის გაჩენა სწორედ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი უნდა ყოფილიყო და ამდენადვე, როგორც ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის დასარღვევად მოწოდებული ერთ-ერთი საშუალება, უშუალოდ დაკავშირებული ქართული მიწებისათვის წარმოებულ იმ ბრძოლასთან, რასაც სეფიანი შაჰები XVI ს-ის დამდეგიდან აწარმოებენ.

ორენოვანი საბუთების გაჩენას XVI ს-ის 80-იან წლებში, ვფიქრობთ, წინ სწორედ ქვეყნის აწერა უსწრებდა. ეს, რა თქმა უნდა,

„ყიზილბაშობის“ დამყარებას ნიშნავდა. ამას შიდა ქართლის („აუწერელი ქვეყნის“) ფეოდალები კიდევ უფრო მეტად უნდა დაერაზმა დაუთ-ხანის წინააღმდეგ, ხოლო ის ფეოდალები, ვინც თბილისსა და ქვემო ქართლში მამულებს ფლობდნენ, არანაკლებ მკვეთრად უნდა დაპირისპირებოდნენ შაჰის ამ მოხელეს „სომხით-საბარათიანოში“. ანტიირანული განწყობილების გაძლიერება ირან-ოსმალეთის ახალი ომის პირობებში, თავის მხრივ, შაჰის ხელისუფლებას ქართლის მიმართ პოლიტიკის შეცვლას უკარნახებდა. შაჰი ასეც მოიქცა. სიმონ I-ის ქართლში დაბრუნებით ირანი ორ მიზანს ისახავდა: „ერთგული“ მოკავშირის გაჩენას ქართლში ოსმალეთის წინააღმდეგ და ნდობის მოპოვებას ქართველ ფეოდალებს შორის. ნდობის მოსაპოვებლად კი საჭირო იყო ყიზილბაშობის შემოღების განზრახვაზე დროებით ხელის აღება. ქართველების „მოკავშირეობა“ მხოლოდ ასეთ პირობებში ჩანდა შესაძლებელი. მაგრამ „მიღწეულის“ მიღებანად დათმობას შაჰი მაინც არ აპირებდა. შექმნილ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი კომპრომისი იყო და შაჰიც, ჩანს, კომპრომისის გზას დაადგა.

ორმხრივი დათმობა იმას ნიშნავდა, რომ შაჰი ხელს იღებდა ქვეყნის გაყიზილბაშების განზრახვაზე; სიმონ მეფეს „ძმობით“ უწერდა რაყამს და ამით მას დაუთ-ხანისაგან ასხვავებდა. სიმონ I კი, თავის მხრივ, ცნობდა შაჰის უზენაესობას და, როგორც „ყმა“ (და არა მოხელე), მისთვის მისართმეველის („საურის“) გამზადებას კისრულობდა. საპატრონყმო ურთიერთობის ეს ფორმა თავისთავად გამორიცხავდა თბილისის და ქვემო ქართლის მიწებს ირანის დივანის დავთრიდან. კომპრომისული პოლიტიკა სამამულო ურთიერთობის სფეროს იმ თვალსაზრისით უნდა შეხებოდა, რომ მან მხოლოდ სიმბოლური გამოხატულება ჰპოვა ორენოვანი საბუთის სპარსულ ტექსტში.

კომპრომისული პოლიტიკა ირან-ქართლის ურთიერთობის უშუალო ნაყოფი იყო. ქართლისათვის მიუღებელი დაუთ-ხანის დროინდელი მდგომარეობა კომპრომისული პოლიტიკით შეიცვალა (ამ მხრივ სიმონ მეფეს ზოგიერთი მკვლევარი როსტომ-ხანის წინამორბედად თვლის)[1]. სწორედ ამ დროს ჩნდება პირველად ორენოვანი

---

[1] განსხვავება სიმონ მეფესა და როსტომ-ხანს შორის უეჭველად შეინიშნება. როსტომ-ხანის მოხელეობას ირანმა საჭირო საფუძველი იმით მოუძებნა, რომ მას ხოფლები საკუთრივ ირანის ტერიტორიაზე მისცა. მაგრამ ორსავე შემთხვევაში კომპრომისი ნიშნავდა იმას, რომ ორენოვანი საბუთების არსებობის პირობებში ქართული სოციალურ-ეკონომიური წყობა ძირითადად უცვლელი რჩებოდა.

საბუთი. ამასთან ქართველი მეფის გამაჰმადიანებით ირანი მნიშვნელოვან წარმატებას აღწევდა. ამდენადვე მაჰმადიანობა და ქრისტიანობა ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში მხოლოდ სარწმუნოებრივი დაპირისპირება კი არ იყო, არამედ ქართული მიწებისათვის ბრძოლის პირდაპირი გამოხატულებაც. ამიტომ, გასაგებია, ქრისტიანი ქართველის სინონიმად იქცა. ქართველობას (ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას) ქართველები ქრისტიანობის ალმით იცავდნენ და მაჰმადიანობას (თათრობას) ებრძოდნენ[1]. ასე ესმოდა ეს ხელახლად გაქრისტიანებულ სიმონ მეფესაც.

მაგრამ ორენოვანი საბუთის სპარსული ტექსტი მეტად თავისებურად უნდა ხაზავდეს ქართლის მეფის „ყმობას" და ირავითარ შემთხვევაში არ უნდა აძლიერებდეს მას. „ყმა", ცნობილია, „მოხელე" არაა. „ყმა", ირანული წესისამებრ, „მოხელედ" გადაიქცეოდა იმ შემთხვევაში, თუ შაჰი ხელს დასდებდა ქართლის მეფის ქვეყანას და ქართლელი ფეოდალების მამულებს. ორენოვანი საბუთების სპარსული ტექსტების შინაარსის ქართული ტექსტების შინაარსთან შედარება, მათი კრიტიკული ანალიზი, როგორც ვნახეთ, არ გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ შაჰს ქართველ ფეოდალთა მამულებზე ხელი მიუწვდება. სპარსული ტექსტი გამოხატავს მხოლოდ შაჰის ხელისუფლების ცდას—ხელი დასდოს ქართულ მიწისმფლობელობას, რასაც იგი ერთგვარად აღწევს იმით, რომ წესად შემოდის ქართული საბუთებისათვის სპარსული ტექსტების დართვა. თავისთავად ქართული მიწისმფლობელობის წინააღმდეგ მიმართული ეს ღონისძიება რეალურ მნიშვნელობას უნდა ყოფილიყო მოკლებული მანამდე, სანამ შაჰის მოხელეები ქვეყანას აღწერდნენ. ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის გაუქმების შედეგად ორენოვანი საბუთის საჭიროებაც მოისპობოდა. ამ შემთხვევაში ორენოვანი საბუთი საჭირო აღარ იქნებოდა ისევე, როგორც ის საჭირო არ იყო სომხეთში, აზერბაიჯანში...

ორენოვანი საბუთები, ამრიგად, დაკავშირებულია საპატრონყმო ურთიერთობის განსაკუთრებულ ფორმასთან. ამ ურთიერთობის ფორმალური საფუძველია შაჰის, როგორც „პატრონის", „უფლება-

---

[1] აღმ. ამიერკავკასიის მნიშვნელოვან ნაწილში აღმოსავლური მიწისმფლობელობა (არაბთა ბატონობის დროიდან მოყოლებული) მაჰმადიანობით გრცელდება, რის გამოც ქრისტიანობა ადრევე იქცა ადგილობრივი (ქრისტიანი მიწისმოქმედი ხალხების) მიწისმფლობელობის დაცვის იდეოლოგიურ იარაღად.

ქართველი მეფის („ყმის“) ქვეყნის მიმართ. ეს სიმბოლური „უფლება“ თავის გამოხატულებას პოულობს ორენოვანი საბუთის სპარსულ ტექსტში. ახლა, თითქოს, გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ იწერება ორენოვანი საბუთი და რატომ ტარდება მამულის წყალობის, ნასყიდობის და სითარხნის წიგნები მუსტოფის დავთარში (და არა დივანის დავთარში, რომლის მოხელეები მუმეიზები არიან). ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ორენოვანი საბუთი, როგორც წესი, თავს იჩენს მხოლოდ ქართველი ფეოდალების სამამულო ურთიერთობაში და ირანის სახელმწიფო სამდივანმწიგნობროსათვის საქართველო ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისია, უეჭველად ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის თავისებურების მთავარი საბუთია.

ქართველი ფეოდალებისათვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო თვით შაჰის სიმბოლური „უფლება“ მათს მამულებზე. ალბათ ამით აიხსნება, რომ სპარსული ტექსტები XVI—XVII სს. ქართული საბუთების შედარებით უმნიშვნელო ნაწილს ახლავს. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ მათი უმრავლესობა მოდის ქვემო ქართლზე, რომლის მიმართ ირანის გავლენა მუდამ ძლიერი იყო; როსტომ-ხანამდე მხოლოდ აქ ისხდნენ გამაჰმადიანებული ქართველი ძეფეები (წყაროებში „სომხით-საბარათიანოს მეფედ“ წოდებულნი). ცნობილია: ყიზილბაშთა შემოსევების დროს პირველად ეს მხარე ირბეოდა და აქაური ფეოდალები სულ იმის ცდაში იყვნენ, რათა მათი მამულები „ყიზილბაშთაგან არ დარბეულიყო და არ აოხრებულიყო“.

სიმბოლური „უფლება“ ქართულ მიწა-წყალზე არც შაჰის ხელისუფლებას აკმაყოფილებდა. ამიტომ XVI ს-ის სეფიანი შაჰების „ნამოღვაწარის“ განვითარებას XVII ს-ის დამდეგს შაჰ-აბას I ენერგიულად შეუდგა. შაჰ-აბასის საამისო ღონისძიებანი იმის მკაფიო მაგალითებს წარმოადგენენ, რომ ორენოვანი საბუთების ნამდვილი მნიშვნელობა ირანშიაც კარგად ესმოდათ. შაჰ-აბასმაც სწორედ იმით დაიწყო, რაც ქართველი მეფეების შაჰთან დამოკიდებულებას უფრო რეალურ საფუძველს შეუქმნიდა, ვიდრე ეს ორენოვანი საბუთის სპარსულ ტექსტში იყო ნაგულისხმევი. ცბიერმა შაჰმა თავდაპირველად ამ დამოკიდებულებას უფრო რეალური საფუძველი მოუძებნა, სანამ იგი დღის წესრიგში ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის გაუქმებას დააყენებდა.

XVII ს-ის დამდეგს ქართველი მეფეებისათვის ირანში სოფლების მიცემით შაჰმა მათი მოხელეებად გადაქცევა მოიწადინა. ირანულ წესისამებრ მხოლოდ ამით შეიძლებოდა მოხელის შაჰის ხელი-

სუფლებაზე დამოკიდებულებას რეალური საფუძველი ჰქონოდა. ამავე დროს შაჰ-აბასი უფრო ეფექტურ საშუალებებსაც მიმართავდა: ელისუს და ლორე-დებედას მიტაცება, მათი სახანოებად გადაქცევა, იმ დიდი ამოცანის განხორციელების დასაწყისი იყო, რასაც „გურჯისტანის საკითხის“ ირანის სასარგებლოდ გადაწყვეტა გულისხმობდა.

უკვე XVII ს-ის დამდეგს სომხით-საბარათიანოს ტერიტორიის ერთ ნაწილში სახანოები წარმოიქმნა, აქვე შემოაქვს შაჰს სოიურღალი, აქ ასახლებს უპირატესად ელის ხალხს. ყველა ამას ორენოვანი საბუთის გაუქმება თავისთავად უნდა გამოეწვია.

დამახასიათებელია, რომ XVII საუკუნიდან მოღწეული პირველი ორენოვანი საბუთი დათარიღებულია 1626 წლით, როდესაც შაჰ-აბასი იძულებული იყო „კომპრომისის“ გზას დასდგომოდა საქართველოსთან ურთიერთობაში.

XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში შემოღებული ორენოვანი საბუთი, შეიძლება დავასკვნათ, უკავშირდება ყიზილბაშების მიერ ქართული მიწებისათვის წარმოებულ ბრძოლას. მაგრამ იმთავითვე ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის გასაუქმებლად გამოყენებული ეს ღონისძიება ირანისათვის სასურველი მიმართულებით ვერ განვითარდა. შაჰმა ხელი ვერ დასდო ქართულ „მამულებს“, ვერ აქცია ისინი „თიულებად“ და, ამდენადვე, მისი „უფლება“ ქართულ მიწა-წყალზე სიმბოლურად გამოხატული აღმოჩნდა მხოლოდ ორენოვანი საბუთის სპარსულ ტექსტში.

საპატრონყმო ურთიერთობის საფუძველზე აღმოცენებული ეს „უფლება“ არ ქმნიდა ახალ ეტაპს ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის განვითარების ისტორიაში არც XVI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში და არც ორენოვანი საბუთების არსებობის მომდევნო პერიოდში.

სპარსული დიპლომატიკისათვის (და, ალბათ, საზოგადოდ სხვა ქვეყნების დიპლომატიკისათვის) ეს უჩვეულო წესი (ორენოვანი საბუთი) მხოლოდ ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის თავისთავადობას და თავისებურებას ადასტურებდა.

3. „ელის დებულება“

თურქულ-თურქმანული ტომების ჩამოსხდომა საქართველოს ტერიტორიაზე XI ს-ში იწყება.

XI საუკუნიდან მოკიდებული საქართველოშიც ისევე მწვავედ დგება „ელის საკითხი“, როგორც ამიერკავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ (სამიწათმოქმედო) ქვეყნებში.

საქართველოს ტერიტორიაზე არა ერთხელ შემოჭრილან აქ ჩამოსხდომის მიზნით: თურქ-სელჩუკები (XI—XII სს.), მონღოლ-თურქები (XIII—XIV სს.), ჩობანიანები, ჯალაირები, მცირე აზიის თურქები, თურქმანები (XIV—XV სს.), ოსმალები, ყიზილბაშები (XV—XVI სს.).

XVI ს-ის დამლევი და XVII ს-ის პირველი ნახევარი წარმოადგენს მნიშვნელოვან ტეხილს მომთაბარული ტომების საქართველოში ომით გადმოსახლების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში: სამხრეთ საქართველოში მტკიცედ ჩამოსხდნენ ოსმალო მომთაბარეები (იურიუქები), აღმ. კახეთსა და ქვემო ქართლში ყიზილბაშური ტომები.

შაჰ-აბასმა დიდი რაოდენობით შემოიყვანა მომთაბარული ტომები საქართველოში (და, აგრეთვე, აღმ. ამიერკავკასიაში) ცენტრალური და სამხრეთ ირანიდან, სამაგიეროდ დიდი რაოდენობით გაიყვანა ირანის დასახელებულ რაიონებში ამიერკავკასიის კულტურული მეურნეები, ვაჭრები და ხელოსნები.

XVII ს-ის პირველ მეოთხედში კახეთში და, განსაკუთრებით, ქვემო ქართლში გაჩნდა მომთაბარეთა კომპაქტური მასა.

დასტურლამალში მოთავსებულ „ელის დებულებაში“ ჩამოთვლილია (ქართლის და კახეთის) ყიზილბაშური ტომების განტოტებანი, რომლებიც ამ ტომების დაშლისა და დანაწევრების შედეგად წარმოიქმნენ: ჯ ა ვ ა ნ შ ი რ ი, ქ ე შ ა ლ უ, ნ ა ჯ ბ ა დ ი ლ უ, ა რ უ ხ ლ უ, დ ე მ ურ ჩ ი ჰ ა ს ა ნ ლ უ, ა ჰ მ ა დ ლ უ, ხ ი ა ლ უ, ს ა რ ა ჯ ლ უ და სხვ.

ელის სოციალური ორგანიზაცია საქართველოში არ ყოფილა სპეციალური შესწავლის საგანი. ამ საკითხის შესწავლას კი ზოგადი მნიშვნელობა ენიჭება. აღმოსავლეთის მკვლევარებისათვის უეჭველად საყურადღებო უნდა იყოს ის, რომ „ელი“ საქართველოში განვითარებული ფეოდალიზმის გარემოცვაში იმყოფებოდა.

ბევრი კუთხით სწვდება ელის ამგვარად შესწავლა, კერძოდ, „ნახევრადპატრიარქალურ-ნახევრადფეოდალური“ წყობის არსის საკითხს[1].

---

[1] ელის შესახებ სომხეთსა და აზერბაიჯანში იხ. И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI-начале XIX вв., გვ. 310—320; Н. Богданова, К вопросу о феодальной эксплоатации кочевников в Закавказском крае в первой трети XIX в., «Исторический архив», II, 1939, გვ. 221—238.

აკად. ივ. ჯავახიშვილი სწავლობდა ელს დემოგრაფიული და ფისკალურ-ეკონომიური თვალსაზრისით. მას აინტერესებდა ელი ერძოდ ხალხის აღწერის და ქართული სასოფლო-სამეურნეო იარაღების მომთაბარულ ტომებში გავრცელების საკითხებთან დაკავშირებით[1].

ქვემო ქართლის სტატისტიკური მასალების შესწავლისას ელის ტერიტორიული განსახლებისა და რაოდენობის თაობაზე ვრცლად საუბრობს იას. ლორთქიფანიძე[2]. საამისოდ მას გარდა ხალხის აღწერის დავთრებისა გამოყენებული აქვს ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიიდან დამოწმებული ცნობებიც.

იას. ლორთქიფანიძემ დასტურლამალში ნაჩვენები ელის 76 თაბუნიდან აღადგინა 28 თაბუნის მდებარეობა: „სახელდობ ამ 28 თაბუნიდან მოქცეული იყვნენ: ალგეთში 3, ქციის ხეობაში 6, მტკვრის გაღმა მხარეს 13, სომხითში 5 და დაბნისის ხეობაში 1 თაბუნი. საფიქრებელია, რომ დანარჩენი თაბუნებიც მოქცეული იყო ზემოხსენებულ მხარეებში (შესაძლებელია დაბნისის გარდა) და ბანბაკისა და ბერდუჯის მხარეში... დასტურლამალში მათი შეუტანლობა აიხსნება იმით, რომ ბანბაკი და ბერდუჯი ცალკე სახანოს შეადგენდნენ და იმათი აღწერა არც საზოგადოდ ქართლის სამეფოს აღწერაში და არც ქართლის ელის აღწერაში არ შედიოდა“[3].

იას. ლორთქიფანიძის დაკვირვებით, ელის „დასახლებიდან (XVII საუკუნის პირველ მეოთხედში) მე-XVIII საუკუნის დასაწყისამდე, ე. ი. დაახლოებით 70—100 წლის განმავლობაში ამ ხალხს გადაულახავს პირველად მიჩენილი საზღვრები და დაუპყრია ახალი ადგილები. დასავლეთით ისინი გადასულან სომხითში და მისულან შულავერამდე, ერთ მათგანს (ნასიბლუ) დმანისის ხეობამდისაც მიუღწევია. მაგრამ განსაკუთრებით ისინი გაწეულან ქციის ხეობაში, და ალგეთში და აღმოსავლეთისაკენ. უკანასკნელ შემთხვევაში გასულან მტკვრის გაღმაც, ე .ი., მოკიდებიან ლილოების სამხრეთის და ყარაიის მიწა-წყალს, სადაც უფრო კარგი საძოვარი ადგილები იყო და სადაც რუებიც იყო გაყვანილი“.

იას. ლორთქიფანიძემ ყურადღება მიაქცია აგრეთვე ელის სოციალურ შემადგენლობას, მეურნეობის დარგებს, მოხელეობა-საქმია-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I და II.

[2] იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, I—II, 1935, გვ. 15, 244—249 და III—IV, 1938, გვ. 135—157.

[3] იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, ნაწ. I და II, გვ. 248.

ნობას, ბეგარა-გადასახადებს, მაგრამ მას შეუმჩნეველი დარჩა ელის სოციალური ორგანიზაციის დამახასიათებელი თავისებურებანი.

ელის სოციალური აღნაგობის აღდგენა ხერხდება „ელის დებულებით“, რომელიც ჩვენ, როგორც წყაროთა მიმოხილვაში ვუჩვენეთ, აღდგენილი გვაქვს დასტურლამალის უძველესი 1729 წლის ხელნაწერის მიხედვით.

საამისოდ გამოყენებულია ავრეთვე XVII—XVIII სს. დოკუმენტური (ელის შესახები საბუთები) და ნარატიული წყაროები (ფარსადან გორგიჯანიძე, ვახუშტი ბაგრატიონი).

ელის სოციალური ორგანიზაცია საქართველოში ყიზილბაშური ტომების სოციალური ორგანიზაციის ზუსტ გამეორებას წარმოადგენდა. თუმცა ადმინისტრაციულად ელი მეფის მოხელეების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

ამასთან არსებობდა როგორც სამეფო, ისე სადედოფლო და ფეოდალების ელი.

„ელის კაცნი“, დასტურლამალის მიხედვით, „ბატონის (მეფის) ყმად“ ითვლებოდნენ.

ელის მფლობელი ქართველი მაჰმადიანი მეფე იყო. ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით: „ხუთი ათასი კომლი თათარი ელი და ოიმახი როსტომ მეფეს ჰქონდა“[1].

ვახუშტი ბაგრატიონს აღნიშნული აქვს: „ნახიდურს ქვეით, ქციის ამიერ და იმიერ კიდესა, სახლობენ ელნი მოჰმადიანნი, მ ო ხ ა რ კ ე ნ ი დ ა მ ო ლ ა შ ქ რ ე ნ ი მ ე ფ ი ს ა“[2].

ელის აღწერა სამ წელიწადში ერთხელ ხდებოდა, რადგან ელის მოძრავი მასის კონტროლი უფრო რთული იყო, ვიდრე ბინადარი მოსახლეობისა, რომლის აღწერა შვიდ წელიწადში ერთხელ ხდებოდა.

ელის აღწერის გამო დასტურლამალში ნათქვამია: „სამს წელიწადში ერთხელ ელი აიწერების“[3]. იქვე გარიგებულია ასამწერლოს ოდენობა (კომლზე, ობაზე). ელი მდივანბეგის მიერ იყო აღწერილი.

ელის აღწერაც, რა თქმა უნდა, ფისკალური და სამხედრო მიზნით (ელის ნოქრის გამოყვანა) წარმოებდა. ელის დავთრის პირი

---

[1] ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ი ს ისტორია, გვ. 260.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 45, 48.

[3] გორის ეთნოგრაფიულ-ისტორიული მუზეუმის ხელნაწერი, გვ. 142; დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის გამოც., გვ. 75.

შედგენილი იყო იმის გამოსარკვევად, თუ „რამდენი ოიმახი არის ან რამთონი კომლი, მდივანბეგმა რომ აწერა“[1].

მეფეზე იყო დამოკიდებული ელის კაცთა გათარხნება—„ელის კაცნი თარხანი, რომე ბატონი უნდა მოშლის უნდა ათარხნებს“[2]. გადასახადები გადაკვეთილი იყო მეფის და მისი მოხელე-ხელისუფლების (სახლთუხუცესი, მდივნები, მოურავ-ტარუღები, ჩობანბეგი, ჩინბაში, მეყორუღე, მუთაჯირი, ხასადარი...) სასარგებლოდ.

ელი თაბუნებად იყო დაყოფილი.

თითოეული თაბუნი ემორჩილებოდა ან მეფის მოხელეს ანდა ტომის მეთაურს.

დასტურლამალის „ელის დებულებაში“ დასახელებულია: ოთარ მდივნის თაბუნი, მეითრის თაბუნი, ბეჟან შანშიაშვილის თაბუნი, მდივანბეგის თაბუნი, ისას თაბუნი, მუსტოფის ნაყმევი შისიას თაბუნი, ასლანა ფარეშის თაბუნი[3]. დასახელებულია აგრეთვე დემურჩი ჰასანლუ უზბაშის თაბუნი, სარაჯლუ ემინის თაბუნი, ხიალუ მერაბას თაბუნი, ესკი დემურჩი ასანლუს თაბუნი და სხვ.

„ელის დებულებაში“ აღნიშნულია აგრეთვე მომთაბარული ტომების ჩვეულებრივი დაყოფა: ოიმახი, ობა[4].

თაბუნის შიგნით არსებულ სოციალურ განშრეებას მიუთითებს დასტურლამალში დამოწმებული ტერმინები:

1. აღალარი
2. უზბაში
3. თარხანი
4. ყოლბეგი
5. მოლა
6. ნოქარი
7. ფაღირი (ფუღარა)
8. ლანჩბარი

ელის მოხელეებიდან დასახელებულია:

1. ელიაღასი
2. აყსაყალუ

---

[1] დასტ. ხელნაწ., გვ. 141; დასტ. გამოც., გვ. 27.

[2] დასტ. ხელნაწ., გვ. 127; დასტ. გამოც., გვ. 30.

[3] დასტ. ხელნაწ., გვ. 143; დასტ. გამოც., გვ. 28.

[4] „ოჯახის“, „ოიმახის“ და „ობას“ კავშირის შესახებ გვაროვნულ წყობილებასთან იხ. Вл. Гордлевский, Государство Сельджукидов Малой Азии, გვ. 63.

3. გზირი
4. ბაზიერი
5. მუთაჯირი
6. ჩობანბეგი
7. მეყორულე

ელის კაცთა გადასახადებიდან და ვალდებულებებიდან ჩამოთვლილია:

1. რუსუმი
2. მახტა
3. ქოდავი
4. სანავროზო
5. აღამათი
6. სამასპინძლო
7. ოდუნახჩა
8. ღალა
9. ულაყი
10. ყონახლუ
11. ჩინბაში
12. ქეჩბაში
13. ფეშქაში
14. თუთუნჯაგი
15. ტუთხუ
16. ეთაზი
17. ჯერგა
18. კონი
19. ყორული

სხვა ქართულ დოკუმენტურ წყაროებში დამოწმებულია:

1. უშრი
2. მალუჯათი
3. ბაჰრა
4. ფაგაბაში
5. ბელბაში

თუ ყველაფერ ამას შევადარებთ ფეოდალურ საქართველოს სოციალურ სტრუქტურას, სამოხელეო ორგანიზაციას და საგადასახადო სისტემას, განსხვავებას ადვილად შევამჩნევთ.

ასე მაგ., ელის გადასახადებსა და ვალდებულებებში მოხსენებულია გადასახადთა ის სახეობები, რომელთაც ჩვენ ყიზილბაშური საგადასახადო ნომენკლატურიდან ვიცნობთ: რუსუმი, უშრი, ბაჰრა, მალუჯათი, ქოდავი (ჩობანბეგი), ფეშქაში, ულაყი. ამავე დროს დამოწმებულია ისეთი გადასახადებიც, რომელთაც სპარსულ წყაროებში არ ვხვდებით. მაგ., ეთაზი, ტუთხუ, თუთუნჯაგი, ფაგაბაში, ჩინბაში, ქეჩბაში.

აღნიშნული გარემოება იმას უნდა მოწმობდეს, რომ ელის გადასახადები და ვალდებულებანი აზერბაიჯანის ფეოდალური ურთიერთობის ნიშანდობლივ თავისებურებებს უფრო მეტად უნდა ემ-

ზრობოდეს, ვიდრე ყიზილბაშთა ირანის ფეოდალურ ურთიერთობას.

ამას ადასტურებს „ელის დებულებაში“ მოტანილი ლანჩფარის (რანჩბარის, რანჯბარის) შესახები პარაგრაფების შინაარსი, რომლითაც საკმაოდ ვრცლადაა დახასიათებული რანჯბარების უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობა.

რანჯბარის ინსტიტუტი, როგორც ვნახეთ, აზერბაიჯანის ფეოდალური ურთიერთობის სპეციფიკურ მოვლენას წარმოადგენდა.

ამის გარდა, საქართველოში ჩამომსხდარ ყიზილბაშურ ტომებს ბევრი საერთო რამ ჰქონდათ აზერბაიჯანის ყიზილბაშურ ტომებთან.

მაგრამ ჩვენთვის ცნობილია ისიც, რომ აზერბაიჯანის (ისევე როგორც სომხეთის) ფეოდალურ ურთიერთობას ბევრი მსგავსება ჰქონდა ირანის ფეოდალურ ურთიერთობასთან. ამიტომ, გასაგებია, რომ საქართველოს ელის სოციალურ ორგანიზაციაში და ფეოდალური ექსპლოატაციის წესებში მკვეთრ გამოხატულებას პოულობენ ყიზილბაშური ირანის დამახასიათებელი ფეოდალური ურთიერთობანი.

ამავე დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამიერკავკასიის სინამდვილეში მომთაბარული ტომების ნახევრადბინადარ ან ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა უფრო სწრაფად ხდებოდა, ვიდრე საკუთრივ ირანში[1]. მომთაბარეების ერთი ნაწილი საქართველოშიც ბინადარ ცხოვრებაზე ჩანს გადასული. ამის თქმის საბაბს გვაძლევს „ელის დებულებაში“ დამოწმებული გლეხი, რომელიც ირანში ყოველთვის „ილიათის“ (მომთაბარის) საპირისპირო ცნებას წარმოადგენდა.

გლეხის გამო „ელის დებულებაში“ ნათქვამია: „ოდუნახჩა, რაც დავთარში გ ლ ე ხ ი ჩავარდების გამამღებად, იმან კომლზე თვითო აბაზი უნდა გამოიღოს, ამისი ათისთავი სალთხუცისა და

---

[1] ამ შემთხვევაში მხედველობაში არ გვყავს ის მომთაბარული ტომები, რომლებიც უშუალოდ ყიზილბაშ ამირებს ემორჩილებოდნენ. ეს უკანასკნელნი დაინტერესებული არ იყვნენ მომთაბარეების ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლით, რადგან ისინი მარჯვედ იყენებდნენ „ილიათების“ ტომობრივ ორგანიზაციას ფეოდალური ექსპლოატაციის შესანიღბავად, თანაც მომთაბარულ ტომებს იყენებდნენ ბინადარი მიწათმოქმედი მოსახლეობის წინააღმდეგ. სომხეთის განმათავისუფლებელი ბრძოლის ენერგიული მოღვაწე დავით-ბეგი არა ერთგზის ცდილობდა მომთაბარული ტომების სომხეთიდან განდევნას. П. Т. А р у т ю н я н, Освободительное движение армянского народа в первой четверти XVIII века, გვ. 12, შენ. 1.

მდინარეებისა არის"[1]. იქვე, ამის მომდევნო პარაგრაფში, ვკითხულობთ: „სანავროზო კომლზე აბაზი არის, რაც გამამღები გლეხი დაიწერების. ამისი რუსუმი არავისა აქეს. ისინივ სალაროს ნაზირის ფლურზედ ორ შაურს მოსცემენ"[2].

ამასთან, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ელში დაწესებული იყო მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული გადასახადები: უშრი,ბაჰრა, მალუჯათი. ამ გადასახადებს აღმ. ამიერკავკასიასა და ირანში ბინადარი მიწათმოქმედი მოსახლეობა იხდიდა.

ელის ხალხში რომ მიწათმოქმედებასაც მისდევდნენ, საამისო ცნობებს ვახუშტი ბაგრატიონიც გვაწვდის. ვახუშტი აღნიშნავს: ალაღაჯს „სახლობენ ელნი ქციამდე ველსა ზედა, და სთესენ ყოველსა მარცვალს, და თესლთა ზეით წერილთა, და მტილოვანთა, სავსენი პირუტყვითა"[3]. ამგვარი ცნობების მოტანა ვახუშტის აღწერიდან სხვაც შეგვეძლო[4]. დავკმაყოფილდებით მხოლოდ ერთი მათგანის მოტანით: „ხოლო ალგეთის შესართვის ჩრდილოთ, იაღლუჯამდე, მტკვრის პირს სახლობენ ელნი მოჰმადიანნი, მთესველნი ბრინჯისა, ბამბისა და ყოვლის თესლ-მარცვლისა და აკეთებენ აბრეშუმსა. მოხარკენი არიან მეფისა, სავსენი ყოვლითა პირუტყვითა"[5].

ვახუშტის შენიშვნები, რომ ელის ხალხი არიან „სავსენი პირუტყვითა" ან „სავსენი ყოვლითა პირუტყვითა", მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად ძლიერია ელში ჯერ კიდევ მომთაბარული მესაქონლეობა. მიწათმოქმედება, ამდენადვე, ან მეურნეობის დამხმარე დარგი უნდა ყოფილიყო, რაც მომთაბარეთა შორის სხვაგანაც არის დამოწმებული, ანდა შედარებით სუსტად განვითარებული.

შემთხვევით არ აიხსნება, რომ ელის გადასახადებში ერთი მთავარი ადგილთაგანი უჭირავს ქოდავს (საბალახეს). ყურადღებას იქცევს აგრეთვე მესაქონლეობასთან დაკავშირებული ტერმინები: ჩობანბეგი, გალდარი, ქეჩბაში, შიშლიგი და სხვ.

მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ „ელი" მომთაბარული ტომის აღმნიშვნელი იყო. „ელი", როგორც არა ერთგზის აღვნიშნეთ, ამ გაგებით უპირისპირდებოდა „რაიათს"—გლეხს, მიწისმოქმედს.

მაშასადამე, „ელის დებულებაში" მოხსენიებული გლეხი „ილიათი" არაა. მაგრამ დასტურლამალში მრავალგან იხსენიება რანჯ-

---

[1] დასტ. ხელნაწ., გვ. 139; დასტ. გამოც., გვ. 66.
[2] დასტ. ხელნაწ., გვ. 139; დასტ. გამოც., გვ. 75.
[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 36.
[4] იქვე, გვ. 45.
[5] იქვე, გვ. 48.

ბარი (ლანჩფარი, ლანჩბარი), ე. ი. გლეხთა ის სოციალური კატეგორია, რომელიც ჩვენთვის აზერბაიჯანის ფეოდალური სინამდვილიდანაა ცნობილი.

ისმის კითხვა: რომელი გლეხია ნაგულისხმევი დასტურლამალის ელის შესახებ დებულებაში—რაიათი თუ რანჯბარი?

იას. ლორთქიფანიძის სიტყვით, „ლანჩბარი გამომღები იყო"[1]. გამომღები იყო „ილიათიც" (მომთაბარე); გამომღებია, ცხადია, „რაიათიც". მაგრამ ჩვენთვის უკვე ცნობილია თუ რა განსხვავება არსებობდა რაიათსა და რანჯბარს შორის. რაიათი მიწის და კერძო მეურნეობის მქონე გლეხი იყო, რანჯბარი ჩვეულებრივ უმიწაწყლო გლეხი ან მხოლოდ მცირე, სრულიად უმნიშვნელო მეურნეობის მქონე. ამიტომ რანჯბარი თავდაპირველად (XVI—XVII სს.) მხოლოდ მეიჯარე გლეხს აღნიშნავდა. XVIII ს-ში კი რანჯბარი ფეოდალის პირად მეურნეობაში მომუშავე მიწის მუშაკის აღმნიშვნელიცაა.

რაიათები სასოფლო თემებში იყვნენ გაერთიანებული, რანჯბარები თემის გარეშე იდგნენ.

თუ დასტურლამალის „ელის დებულებაში" გლეხი „რაიათის" სინონიმური მნიშვნელობით არ იხმარება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ გლეხი იქ მხოლოდ რანჯბარის აღმნიშვნელია. მაგრამ გლეხთან დაკავშირებული კონტექსტის ანალიზი თითქოს გვირკვევს, რომ ეს ასე არ უნდა იყოს.

საიდან ჩანს ეს?

ჩვენ ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებას, რომ „ელის დებულებაში" მოხსენიებული გლეხი იხდის ოდუნახჩას და სანავროზოს. ოდუნახჩას და სანავროზოს, ალბათ, რანჯბარიც იხდიდა. ლანჩფართან დაკავშირებით, მართლაც, იხსენიება სანავროზოც და ოდუნახჩაც. მაგრამ საეჭვოა ამ შემთხვევაში ლანჩფარი გლეხთა გარკვეულ სოციალურ კატეგორიას აღნიშნავდეს.

„ელის დებულების" იმ პარაგრაფში, რომელსაც „ინდოს ლანჩფარი" ეწოდება, ნათქვამია: „ლანჩფარი ინდოს თუ რა სძეს. უნდა გამოიღოს კომლზე მახტა აბაზი ხუთი, ქოდავი ერთი შაური, სანავროზო და სამასპინძლო უნდა გამოიღონ, და ოდუნახჩა გვიპატივებია"[2]. ადამიანს აქ უპირველეს ყოვლისა თვალში ეცემა გაუმართავი (და ამასთან, ერთი შეხედვით, გაუგებარი) ფრაზა „ლანჩფარი ინდოს თუ რა სძეს". იას. ლორთქიფანიძე დასტურლამალის ამ თავის გამო

---

[1] **იას. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქვემო ქართლი, III—IV, გვ. 138.**

[2] **დასტ. ხელნაწ., გვ. 132; დასტ. გამოც., გვ. 46.**

შენიშნავდა: „ეტყობა ეს თავი (პდ) სხვადასხვა საბუთებიდან და სხვადასხვა ცნობებიდან არის შედგენილი და საბოლოო რედაქციას მოკლებულია. ამიტომ იგი მეტად არეული და დეფექტიანია“[1]. დასტურლამალის ხელნაწერების მდგომარეობის წყალობით ამგვარი რამ შეიძლებოდა ადვილად ეთქვა მკვლევარს. მაგრამ დასტურლამალის ყველაზე უძველესი ხელნაწერის აღმოჩენამ ამ მხრივ ბევრი რამ დააზუსტა და გასაგები გახდა[2].

საინტერესოა, რომ ფრაზა „ლანჩფარი ინდოს თუ რა სძეს“ მოიპოვება დასტურლამალის 1729 წლის ხელნაწერშიც. ჩვენი დაკვირვებით ამგვარი გამოთქმა დედნის ან გადამწერის უნებლიე შეცდომა კი არ არის, არამედ სავსებით გამართული ფრაზაა. საქმე ისაა, რომ დამოწმებულ ფრაზაში ინდო საკუთარ სახელს ნიშნავს. მართლაც, ეს ინდო სხვაგანაცაა მოხსენებული. მაგ., „ნაგებში ინდოს რუზედ თაღარი ოთხმოცი“ ან „ყარამანლუ ინდოსი კომლი“[3]. ინდო რუს მფლობელია ისევე, როგორც ფადარალია, შაჰგელდიოღლი და სხვ.[4] ამიტომ გამოსარკვევია თუ რას გულისხმობს შინაარსობლივად ლანჩფარი ფრაზაში: „ლანჩფარი ინდოს თუ რას სძეს“. მით უმეტეს, რომ ინდო კი არაა ლანჩფარი, არამედ თვითონ მას ჰყავს ლანჩფარები.

ლანჩფარი დამოწმებულ ფრაზაში ნახმარი უნდა იყოს მისი თავდაპირველი ტერმინოლოგიური მნიშვნელობით (რანჯბარი—ტვირთის მზიდველი). ამ გაგებით, „ლანჩფარი“ უნდა ნიშნავდეს“ გადასახადს, საგადასახადო ტვირთს. ამრიგად, „ლანჩფარი ინდოს თუ რა სძეს“ ნიშნავს იმას, თუ რა უნდა გამოეღო ყარამანლუ ინდოს თაბუნს იმგვარადვე, როგორც მომდევნო პარაგრაფში ნათქვამი: „იოლჩიშვილების თაბუნმა მახტა აბაზი სამი კომლზე, ქოდავი შაური ერთი ოდუნახჩა, სანავროზო და სამასპინძლო“.

ამასთან, საინტერესოა, რომ ორსავე შემთხვევაში ლაპარაკია მომთაბარე მესაქონლეების გადასახადებზე (მახტა, ქოდავი). რანჯბარები კი არც მომთაბარეობას და არც მესაქონლეობას არ მისდევდნენ.

აღსანიშნავია, რომ იას. ლორთქიფანიძე საჭიროდ თვლიდა ემტკიცებინა: „რომ ლანჩბარი ელი იყო, ამის დამამტკიცებელია:

---

[1] იას. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქვემო ქართლი, III—IV, გვ. 147.

[2] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასტურლამალის 1729 წ. ხელნაწერი, მას. საქ. და კავკას. ისტორიისათვის, ნაკვ. 30, გვ. 83—99.

[3] დასტ. ხელნაწ., გვ. 134; დასტ. გამოც., გვ. 46.

[4] დასტ. ხელნაწ., გვ. 133; დასტ., გამოც., გვ. 46.

1) თვით თათრული სახელი, 2) ლანჩბარების მოთავსება მდივანბეგის აღწერაში და 3) ლანჩბარების სოფლების და თაბუნების მდებარეობა ელის რაიონში"[1].

„თათრული სახელი" საბუთად არ გამოდგება, რადგან, ძაგალითად, გლეხი თათრული სახელი არაა, მაგრამ დასახელებულია სწორედ ელის დებულებაში; ლანჩბარების აღწერაც ფისკალური მიზნით წარმოებდა, ისიც გარკვეული გადასახადების გადამხდელი იყო, ამიტომ მოულოდნელი არაა მისი მდივანბეგის აღწერაში მოხვედრა: საეჭვოა აგრეთვე ლანჩბარების თაბუნებში გაერთიანება, რადგან ლანჩბარი სოციალური კიბის ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგა და ეკონომიურად თვით ფუღარაზე (ღარიბზე) მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ყველა ამის გამო უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ ელის თაბუნებს რანჯბარები ჰყავდათ იმავე პირობით, რა პირობითაც, მაგალითად აზერბაიჯანში, რანჯბარის შრომა იყო გამოყენებული ფეოდალის მეურნეობაში.

იას. ლორთქიფანიძის უეჭველი დამსახურებაა რანჯბარების რიცხობრივი რაოდენობის მიახლოებით დადგენა[2], მაგრამ მისთვის, ჩანს, გაუგებარი დარჩა რანჯბარის ინსტიტუტის ნამდვილი მნიშვნელობა.

რანჯბარის უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობის ზოგადი მონახაზი, რომელსაც ქვემოთ ერთხელ კიდევ დავუბრუნდებით, საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ „ელის დებულებაში" მოხსენებული გლეხი „რაიათია" და არა „რანჯბარი". ამას დაბრკოლებას არ უქმნის ის, რომ დებულებაში ტერმინი „რაიათი" არ მოიპოვება. სამაგიეროდ ელის რაიონში საბუთებით დამოწმებული უშრი, ბაჰრა და მალუჯათი[3] უეჭველად გულისხმობენ გლეხის ისეთი მეურნეობის არსებობას, რომელსაც აღმოსავლეთში ჩვეულებრივ რაიათი უძღვებოდა.

რაიათის ჩვენება ელის რაიონში აშკარად მოწმობს ფეოდალური ურთიერთობის გაღრმავებას ელში. ასეთსავე მოწმობას წარმო-

---

[1] იას. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., ნაწ. III და IV, გვ. 149.

[2] „დასტურლამალის დაუმთავრებელი ცნობებით ლანჩბარების კომლთა რიცხვი იყო 182, თავი 438, რადგან ერთ თაღარს ამუშავებდა ერთი ლანჩბარი". იას. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., ნაწ. III და IV, გვ. 148.

[3] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 421; საქ. სიძველენი, III, გვ. 404—405.

ადგენს რანჯბართა ინსტიტუტი, რომლის გამოც ვრცლადაა საუბარი დასტურლამალის „ელის დებულებაში“.

რანჯბართა გადასახადები „ელის დებულებით“ მეურნეობის, იმ დარგებით იყო განსაზღვრული, რომელშიაც რანჯბარები მუშაობდნენ.

საქართველოშიც რანჯბარები ჩალთუკის (ბრინჯის) და აბრეშუმის მეურნეობაში იყვნენ გამოყენებული.

საინტერესოა, ამასთან დაკავშირებით „ელის დებულებაში“ დამოწმებული გამოთქმები „ლ ა ნ ჩ ბ ა რ ი ჩ ა ლ თ უ კ ი ს ა“ და „ა ბ რ ე შ უ მ ი ს ლ ა ნ ჩ ბ ა რ ი“.

ძნელი სათქმელია, ეწოდებოდა თუ არა რანჯბარი მეიჯარე გლეხსაც. მაგრამ ის კი ცხადია, რომ საქართველოს ელის რაიონშიც რანჯბარი უმიწაწყლო გლეხი იყო.

„ელის დებულებაში“ იჯარაზე ორგანაა ლაპარაკი. ერთგან ნათქვამია: „რაც ბატონის რუებიდამ ბრინჯი მოვა ან რაც ალაგიდამ ბრინჯის იჯარა არის, იმისი ათისთავი სახლთხუცისა და მდივნებისა არის, სხვა კაცს კელი არა აქვს. და თუ იჯარად არ არის, ვინც ხასადარი იქნების ათისთავის ნახევარი ხასადრისა იქნების და ნაკევარი სახლთხუცისა და მდივნებისა“[1]. მეორეგან მხოლოდ მოკლედაა აღნიშნული: „ყადარ ალიას იჯარა“[2].

პირველად დამოწმებულ მაგალითში ლაპარაკია ბრინჯის მოსავლის განაწილებაზე მეფის ჩალთუკის მეურნეობიდან, რომლის იჯარით გაცემის შემთხვევაში მოსავლის წილი გადაკვეთილი აქვთ მხოლოდ სახლთუხუცესს და მდივნებს; მაგრამ თუ ჩალთუკის მეურნეობა იჯარით არ გაიცემოდა, მაშინ სახასო სოფლების ხასადარსაც ჰქონდა წილი დადებული. აქედან თითქოს ირკვევა, რომ იჯარით გაცემის შემთხვევაში მოსავლის აკრეფის პასუხისმგებელი მეიჯარე იყო. მაგრამ კონტექსტიდან მთლად ნათელი არაა, თუ ვინ იგულისხმება მეიჯარედ: მეიჯარე-შემსყიდველი თუ მეიჯარე-რანჯბარი.

საინტერესოა, რომ მეორე მაგალითში დასახელებული ყადარ ალია მოხსენებულია იმათ შორის, ვისაც რანჯბარები ჰყავთ. მავ., დასახელებულია რანჯბარების კომლობრივი რაოდენობა შაჰგელდასი, ყარამანლუ ინდოსი, შულავრის ბოლოს მოლისა, ფათას თაბუნის ლანჩფარი და სხვ[3]. ცხადია, რომ ეს რანჯბარები საიჯარო პირობით მუშაობდნენ ჩალთუკის და აბრეშუმის მეურნეობაში.

---

[1] დასტ. ხელნაწ., გვ. 132; დასტ. გამოც., გვ. 46—47.
[2] დასტ. ხელნაწ., გვ. 134; დასტ. გამოც., გვ. 46—47.
[3] „იქვე“.

მეიჯარე-რანჯბარების არსებობას უნდა მოწმობდეს „ელის დებულების“ შემდეგი ადგილის შინაარსი: „ჩალთუკი ერთი თაღარი რომ დანაყონ, თხუტმეტი ლიტრა ბრინჯი ბატონს უნდა მოართვან და თავეთის ულაყით ქარხანაში უნდა მოუტანონ. ვისაც რუ აბარია, ლანჩბარი კომლზედ თვითოს აბაზს ყონახლუს მოსცემენ“[1]. რუ კი ჩვეულებრივ თაბუნის ზედა ფენის (უზბაშების-აღალარების...) ხელთ იყო. ისინი, უნდა ვიფიქროთ, წყალსა და მიწას რანჯბარებს იჯარის პირობით აძლევდნენ.

მეიჯარე რანჯბარების კატეგორიის არსებობას უნდა მოწმობდეს ჩინბაშის (მოსამკალის) ასაღების წესიც: თუ ყანას „უცხო მუშა“ მომკიდა, „თერთმეტის თავს ძნას“ აიღებდა და ერთ აბაზს ტარუღას მისცემდა, თუ „თვითონ ლანჩფარი მომკიდა“ ძნას ის აიღებდა და აბაზსაც ის მისცემდა[2].

ერთდროულად საუბარი „უცხო მუშაზე“ და რანჯბარზე მიწის იჯარის წესით დამუშავებაზე უნდა მიუთითებდეს. ამასთან ცხადი ხდება, რომ რანჯბარი უმიწაწყლო გლეხია, მას არ აქვს საკუთარი მეურნეობა.

მიწის იჯარით დამუშავებას ელის რაიონში აშკარად მოწმობს ტერმინი „ღალა“. მიწის საღალოდ გაცემა ყოველთვის საიჯარო პირობით ხდებოდა. საინტერესოა, რომ დასტურლამალის „ელის დებულება“ იცნობს მოსავლის განაწილების ხუთ წევრიან ფორმულას, რომელიც ფეოდალური აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი იყო შუა საუკუნეების თითქმის მთელ მანძილზე და ახალ დროშიც.

რანჯბარის გამო „ელის დებულებაში“ ნათქვამია: „ერთი ლანჩფარი დასთესავს ერთ თაღარს ჩალთუკს. ამისგან, რაც გამოვა, ჯერ ერთს თაღარს, შუადამ, ისევ თესლად აიღებენ; იმის გარდა, რაც დარჩება ხუთისაგან ერთი ღალა არის, დარჩების ოთხი წილი, ამისგან ნაკევარი პატრონისა არის და ნაკევარი საბატონო არის“[3]. გამარტება არ სჭირდება იმას, რომ „პატრონში“ მიწისმფლობელი იგულისხმება, ხოლო „საბატონოში“ სამეფო

ფეოდალურ აღმოსავლეთში, მოსავლის განაწილებისას გათვალისწინებული იყო: მიწა, წყალი, თესლი, მუშა-საქონელი და სა-

---

[1] დასტ. ხელნაწ., გვ. 135; დასტ. გამოც., გვ. 47.

[2] იქვე.

[3] დასტ. ხელნაწ., გვ. 134; დასტ. გამოც., გვ. 47.

სოფლო-სამეურნეო ინვენტარი. მეიჯარე გლეხის წილში კი ან მხოლოდ მისი შრომა იყო გათვალისწინებული ანდა, მასთან ერთად, აგრეთვე მეურნეობის წარმოების სხვა საკუთარი კომპონენტები (თესლი, მუშა-საქონელი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი). დასტურლამალის დამოწმებული დებულება კარგად მეტყველებს, თუ სად და როგორ სოციალურ-ეკონომიურ პირობებშია საძიებელი იჯარის აღმოსავლური ფორმა.

მაგრამ რანჯბარების ერთ ნაწილს უნდა ჰქონოდა საკუთარი, რა თქმა უნდა, უმნიშვნელო მეურნეობაც. დასტურლამალის დებულებით, ვინც სახასო ქუმს შეჰკრავდა, სამი ბატონისა იყო და ორი ლანჩბარისა[1]. მაგრამ „ვინც თ ა ვ ი ს მ ა მ უ ლ შ ი შეჰკრავს, იმისი მოსავლის მეხუთედი ბატონისა არის"[2]. „თავის მამულში" რანჯბარის მეურნეობა უნდა იყოს ნაგულისხმევი, „ბატონის მამულში", ცხადია, მეფის სახასო. „ელის დებულების" სათანადო თავის შინაარსი განმარტავდა: „ვინც აჰვიათ (უნებართვოდ, ხელშეკრულების გარეშე—ვ. გ.) ბატონის მამულში შეჰკრავს, იმისი ნაკევარი ბატონის არის, ნაკევარი შემკვრელისა არის"[3].

საყურადღებოა ისიც, რომ რანჯბარს მეურნეობის მოსაწყობად და გასამართავად „ბ ე ლ ბ ა ს ი" ეძლეოდა: „ლანჩბარს ბელბასი ერთს წელიწადს ერთს ლანჩბარს მიეცემის ერთი აბაზი, მეორეს წელიწადს ორი შაური, აგრეთვე ყოველს წელიწადს ასრეთვე იქნებისა"[4]. როგორც ზემოთ ვნახეთ (თავი III, § 4), სრულიად გარკვეული დანიშნულებით ამგვარადვე ეწყობოდა რანჯბარის კერძო მეურნეობა აზერბაიჯანში.

ქართველი მეფის სახასო ელში რანჯბარის შრომა, ჩანს, ჩალთუკის და აბრეშუმის მეურნეობაში ისევე ფართოდ იყო გამოყენებული, როგორც XVIII ს-ის აზერბაიჯანში. ამის მიზეზიც ერთი და იგივე იყო: მოთხოვნილების ზრდა ბრინჯზე და აბრეშუმზე.

ელის ტერიტორიაზე, გარდა ბრინჯისა და აბრეშუმისა, მოჰყავდათ აგრეთვე ბამბა, პური, ქერი, ფეტვი—„ამ რუებში ბამბა, რაც მოვა, ერთი ბატონისა არის; პურზე, ქერზე და ფეტვზე შვიდზედ ერთი ბატონისა არის"[5].

---

[1] დასტ. ხელნაწ., გვ. 136; დასტ. გამოც., გვ. 47.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 135; იქვე, გვ. 47.
[5] დასტ. ხელნაწ., გვ. 136, დასტ. გამოც., გვ. 47.

ამრიგად, ელში მეჯოგურ მეურნეობასთან ერთად წარმოდგენილი იყო აგრეთვე მიწათმოქმედების სხვადასხვა დარგი. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ელის ერთი ნაწილი ბინადარ ან ნახევრად ბინადარ ცხოვრებაზეა გადასული. მაგრამ მეორე ნაწილიც, უეჭველია, მეჯოგურ მეურნეობას მიწათმოქმედებასაც უთავსებდა. სწორედ ასეთ ვითარებაში უნდა გავრცელებულიყო ელის ხალხში ქართული სახელების მატარებელი სოფლის მეურნეობის იარაღები, რასაც ფაქტიური მასალების მიმოწმებით აღნიშნავდა აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“.

მაგრამ ჩვენთვის მთავარია ის, რომ ელის მწარმოებელი საზოგადოების ექსპლოატაციის ფორმები ისეთივეა, როგორიც აზერბაიჯანში, სომხეთში და ირანში იყო. ამავე დროს, მეტად ნიშანდობლივი და დამახასიათებელია ის, რომ ელის ტერიტორიაზე მოქმედებდა უპირატესად მუსლიმანური სამართლის ნორმები. ელი მხოლოდ სისხლის სამართლის სფეროში ექვემდებარებოდა ქართველი მეფის კარს და მდივანბეგის სასამართლოს.

დასტურლამალში მოთავსებული „მდივანბეგის გარიგების“ წიგნიდან ვგებულობთ, რომ ელის კაცთა გასამართლება ყიზილბაშურ სამართლის წარმოებასთან იყო დაკავშირებული. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს არა „შარიათი“, არამედ „ურფი“ (ადათობრივი, პრეცენდენტებზე აგებული სამართალი). ამასთან საინტერესოა, რომ თუ სამოქალაქო და საოჯახო საქმეები ელიაღასის კომპეტენციაში შედიოდა, სისხლის სამართლის საქმეები მდივანბეგის კომპეტენციას ექვემდებარებოდა. მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში მდივანბეგს შეეძლო ელში მომხდარი საქმეები (სამოქალაქო და საოჯახო სამართლის სფეროდან) გაერჩია.

„მდივანბეგის გარიგების“ მიხედვით: „თუ ელიაღასი ან მთასა და ან ბარს ელში იყოს, იქ გარეშემო კაცმან ელის კაცს შემოსჩივლოს, იმისი სამართალი ელიაღასმან უყოს“[1]. მაგრამ „თუ გარეშე კაცი ელის კაცსა და ან ელის კაცი გარეშე კაცს უჩიოდეს მდივანბეგმან უნდა გაარიგოს“[2]. ასევე: „თუ ელის კაცი ერთმანერთს უჩიოდეს და თავისის ნებით მდივანბეგთან მოვიდეს და შემოსჩივლოს, იმისი სამართალი მდივანბეგმან უყოს“[3]. სხვა შემთხვევაში, როგორც ჩანს, მოსამართლედ ელში ელიაღასი იყო.

---

[1] დასტ. ხელნაწ., გვ. 64; დასტ. გამოც., გვ. 56.
[2] იქვე.
[3] იქვე.

სამაგიეროდ ელში მომხდარი სისხლის სამართლის დანაშაულობანი მხოლოდ მდივანბეგის კომპეტენციას შეადგენდა: „თუ ელში ეს ოთხი საქმე მოხდეს: კაცის სიკვდილი, ბიქრი, თვალისა და კბილის გაგდებინება, ეს კარზედ უნდა მოვიდეს, მდივანბეგმან გაარიგოს“[1].

საინტერესოა, რომ ეს ოთხი საქმე (მკვლელობა, ქალწულობის პატივის ახდა, სხეულის ნაწილების დასახიჩრება) ყიზილბაშურ ირანშიც მდივანბეგის კომპეტენციას შეადგენდა. ამ გარემოებას სპარსული და ქართული დასტურლამალების შინაარსის შედარებისას მივაქციეთ პირველად ყურადღება[2].

ამ შინაარსობლივი თანადამთხვევის მთელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ თუ, ერთი მხრივ, გასამართლება ყიზილბაშური სამართლის მიხედვით წარმოებს, მეორე მხრივ, გასამართლება, იმავე სამართლის მიხედვით, ქართლის მეფის ხელისუფალის— მდივანბეგის კომპეტენციას შეადგენს.

მუსლიმანური სამართალი თავს იჩენდა აგრეთვე მიწათსარგებლობის წესებში.

ყურადღებას იქცევს ამ მხრივ 1702 წლით დათარიღებული ორენოვანი საბუთის ქართული ტექსტის შემდეგი ადგილი: „ბაიამთლამ უნდა ჭნას, და უშურ, ბარა და ფაგაბაში, თუთ[უნ]ჯაგი, საბალ[ა]ხე მოურავს უნდა მიეცეს“[3]. უეჭველია, რომ „უშურ“ უშრია, ხოლო „ბარა“ ბაჰრა. უშრს, სახალიფოს დროიდან მოკიდებული, მხოლოდ მუსლიმანი იხდიდა. ამიტომ უშრი, ამ გაგებით, თანაბრად იყო დამახასიათებელი როგორც ირანისათვის, ისე ოსმალეთისათვის. ბაჰრა კი, როგორც ვნახეთ, მალუჯათის სინონიმურ შესატყვისს წარმოადგენდა.

საინტერესოა, რომ უშრი და ბაჰრა გვხვდება არა ორენოვანი საბუთის სპარსულ ტექსტში, არამედ მის ქართულ ნაწილში.

მალუჯათი, ყიზილბაშობამდე კარგა ხნით ადრე, გვხვდება აგრეთვე ერეკლე I-ის 1703 წლით დათარიღებულ წყალობის სიგელში. სიგელი მიცემული აქვთ თუმანიშვილ ნაზირ-მდივანს შიოშ-ბეგს, მის ძმებს და შვილებს „ერდგულ და წესისამებრი ნამსახურობის“ სანუქფოდ. წყალობის წიგნში ნათქვამია: „ასრე რომე ბედნიერს

---

[1] დასტ. ხელნაწ., გვ. 63—65; დასტ. გამოც., გვ. 56.

[2] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, სპარსული დასტურლამალი, გვ. 210, იმავე გვერდის შენიშვნა 2.

[3] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 421.

ყეენს ჩვენთვის ყულარაღასობა და კახეთი ებოძებინა და ჩვენ კარზედ დავებარებინეთ. იქ წავედით და შენ თან გაგიტანეთ (sic), და შენი ცოლშვილი ბატონს დედოფალს ვახელით, იმათ სარჩოთ უბოძეთ ყარსოსობა, ადემურჩასლი, აჯი ყარა-ოღლი თავისის თაბუნითა, რუვითა, საჩალთუქითა და ყოვლის მისის გასადევრითა, ნიბის მალუჯათით, საჩვენო გამოსაღები მალი არა ეთხოვებოდეს რა»[1].

დამოწმებული საბუთის შინაარსიდან საინტერესოა: 1. სარჩოთ ყარსოსობის (?) ბოძება, 2. ქართველი ფეოდალისათვის ელის თაბუნების წყალობა რუებით, საჩალთუქით და ყოვლის მისის გასადევრით, 3. შეწყალებულისათვის მალუჯათით სარგებლობის უფლების გადაცემა, ე. ი. მისთვის რენტა-ხარკში წილის დადება.

როგორც ვხედავთ, აქ ქართული და აღმოსავლური ფეოდალიზმის ნორმები ერთმანეთშია არეული, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა არა საკითხის ეს თავისთავად საყურადღებო მხარე, არამედ ის, რომ ელში მიწაზე დაწესებულ გადასახადს მალუჯათი ეწოდება.

ამით სავსებით დასტურდება ელში მიწათმოქმედების და რაიათების (გლეხების) არსებობა.

ელი ამ შემთხვევაშიც ინარჩუნებს აღმოსავლური ფეოდალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელ ნიშანდობლივ თვისებას, თუმც, ამავე დროს, მის ექსპლოატატორად ქართველი ფეოდალის სახლი გვევლინება.

ქართველ მეფეს, დედოფალს და ფეოდალებს წილი აქვთ დადებული „თათრის გამოსაღებებში" (მალუჯათი, ბაჰრა, ქოდავი (ჩობანბეგი), ფაგაბაში, ეთაზი, თუთუნჯაგი და სხვ.). ისინი იუზბაშებთან და აღალარებთან ერთად ეწევიან ელის მწარმოებელი საზოგადოების (მომთაბარეების, რაიათ-რანჯბარების, ხელოსნების[2]) ექსპლოატაციას.

ქართველი ფეოდალები, მართალია, ებრძვიან ქართველი გლეხების რაიათებად გადაქცევას, მაგრამ ელთან დამოკიდებულებაში ისინი მარჯვედ იყენებენ ექსპლოატაციის აღმოსავლურ ფორმას.

აღნიშნული გარემოება უშუალოდ გამომდინარეობდა ელის მეფეზე ფეოდალური დამოკიდებულებიდან. ელის ხალხი მეფის (სახელმწიფოს) სასარგებლოდ იხდიდა თათრის გამოსაღებებს ისევე, როგორც ამავე გადასახადებს (მთლიანად თუ ნაწილობრივ) უხდიდა

---

[1] საქ. სიძვ., III, გვ. 404—405.

[2] ელში ხელოსნების არსებობას მიუთითებს ზარგარის დასახელება, აგრეთვე გამოსაღები ნალ-ლურსმანზე.

ელის ზედაფენას (ელიაღასს, იუზბაშებს, აღალარებს...) და ქართველ ფეოდალებს.

ელის ხალხს, როდესაც მეფე ყარაიას მივიდოდა, მართებდა აღამათი ანუ სამასპინძლო; ყოველ 20 კომლზე: 1 ძრობა, 4 ცხვარი, 4 ბატკანი, 10 ლიტრა ბრინჯი, $2^1/_2$ ლიტრა ერბო, 10 ლიტრა ფქვილი, 20 ლიტრა ქერი, 5 ლიტრა მარილი, 5 ლიტრა ხახვი, 2 საპალნე ბზე. ამ ცნობის დამოწმებისას იას. ლორთქიფანიძე შენიშნავდა: „ბრინჯი, ფქვილი, ქერი, ხახვი, ბზე მიწის ისეთი მოსავალია, რომელიც დროებით მჯდომ ხალხს არ მოეთხოვება. საფიქრებელია, რომ ეს ხალხი ადრე მართლაც დროებით მჯდომი იყო, მხოლოდ შემდეგ მობინადრე შეიქმნა“[1]. იას. ლორთქიფანიძემ სამართლიანად მიაქცია ყურადღება ტერმინ „ელის“ პირობით მნიშვნელობას[2]. მაგრამ მაც მხედველობიდან გამორჩა ელის სოციალური ორგანიზაციის ფეოდალური ხასიათი, მისი ფეოდალური განვითარება[3].

ელის ხალხს მართებდა სხვადასხვა ფეოდალური ვალდებულებანი.

ელის ხალხის მოვალეობას შეადგენდა მონაწილეობა მიეღო „ჯერგაში“ (ნადირობაში). ჯერგას ვერ დააკლდებოდა „ცხენკეთილი და ქვეითი კაცი“, მისი აუსაყალით, განაყარი კაცით და ნოჭრით. ელის კაცებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ ყარაიის „კონშიც“ (თევზის ჭერაში)—„ყარაის კონს, რაც ქვის შევსება მოუნდების, ელის კაცმან უნდა ქვით შეავსონ“. მათვე მართებდათ „ულაყი“—მეფის ქარხნებში ტვირთის ზიდვა.

ელს მეფისათვის უნდა გაეგზავნა ფეშქაშიც: „როდესაც ბედნიერის ყეენის ფეშქაში წავა ტყვე, მაშინ ასი თუმანი ელმა ბატონს ფეშქაშის გასაგზავნი უნდა მოართვან“.

მძიმედ იყვნენ ექსპლოატირებულნი როგორც მომთაბარე, ისე ბინადარ ცხოვრებასა და მიწათმოქმედებაზე გადასული ელის კაცნი. დასტურლამალის „ელის დებულება“ ასახელებს 17-მდე გადასახადს და ვალდებულებას. ამას თუ ჩვენ დავუმატებთ სხვა დოკუმენტური წყაროებით ცნობილ „თათრის გამოსაღებებს“, მაშინ ელის ხალხზე

---

[1] იას. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქვემო ქართლი, III—IV, გვ. 149.

[2] იქვე.

[3] ნ. ბოგდანოვა შენიშნავს, რომ XIX ს-ის დამდეგს «У кочевых народов Ереванского ханства... пережитки родового строя далеко еще не были изжиты, но феодальные отношения в достаточно развитой форме, уже были налицо». Н. Б о г д а н о в а, феодальная эксплоатация кочевников, გვ. 225.

დაკისრებული გადასახადების და ვალდებულებების რაოდენობა 25-მდე გაიზრდება.

ელს სხვა მოვალეობაც მართებდა ქართველი მეფის მიმართ. ელიდან გამოდიოდნენ: ნოქრები, ფარეშები, ბაზიერები, შათირები, ყულუხჩები და სხვ.

ელში იყვნენ თარხნებიც. მაგრამ გადასახადებიდან განთავისუფლებულთა შორის დასახელებულნი არიან უპირატესად ელის ზედაფენის წარმომადგენლები: აღალარი, აყსაყალი, მოლა, გზირი, ბაზიერი.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ მათგანს არც ასამწერლოს გამოღება ევალებოდა: „რომელსაც მოლას ბატონის წიგნი აქვს, არ ეთხოვების... აღალარს ასამწერლო არ ეთხოვების და არც იმის განაყარს ძმასა და სახლის კაცსა“[1]. ამწერლის სასარგებლოდ, „ელის დებულებით“, დაწესებული იყო: „კომლზე სამი აბაზი, ორი შაური აღამათისა, ობაზე ხუთი აბაზი სამეჰმანდრო“.

ქართველი მეფის ხელისუფლება უზრუნველყოფდა იუზბაშების, აღალარების, ყოლბეგების მიერ ელის ფართო მასების ექსპლოატაციას.

„ელის საკითხი“ ფეოდალურ საქართველოში ქართული ფეოდალური საზოგადოების სასარგებლოდ გადაწყდა იმ მხრივ, რომ ელი ქართველი მეფის ხელისუფლების კონტროლს დაექვემდებარა. თანაც ქართველმა ფეოდალებმა „ექსპლოატაციის აღმოსავლური ფორმა“ შეუთავსეს ელის ფეოდალურ ექსპლოატაციას და ამით თავიანთი კლასობრივი ინტერესები დაუკავშირეს ელის ზედაფენის ინტერესებს.

საქართველოში არსებობდა სამეფო, სადედოფლო და ფეოდალების ელი. საამისო არა ერთი ცნობა მოიპოვება XVII—XVIII სს. ქართულ დოკუმენტურ წყაროებში. ამ წყაროების მიხედვით შესაძლებელია ფეოდალური ექსპლოატაციის იმ წესების გათვალისწინება, რომელსაც ქართველი ფეოდალები იყენებდნენ ელის ხალხის მიმართ.

ამდენადვე ქართველი ფეოდალები, იუზბაშ-აღალარების მსგავსად, დაინტერესებული არ უნდა ყოფილიყვნენ ელის ტომობრივი ორგანიზაციის დაშლით. მით უმეტეს, რომ მომთაბარული ტომების შედარებით მცირე რაოდენობით არსებობა უშუალო საფრთხეს არ უქმნიდა ქართული ფეოდალური ორგანიზაციის არსებობას.

---

[1] დასტ. ხელნაწ., გვ. 142; დასტ. გამოც., გვ. 75.

ბახტრიონის შემდეგ „ელის საკითხი“ ძველი სიმწვავით აღარ დასმულა. ელთან შეტაკებები განახლდა XVIII ს-ის 20-იან წლებში, როდესაც უკიდურესად გართულდა მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვითარება.

ქართველი ხალხის ელის წინააღმდეგ ბრძოლა XVI—XVIII სს. აღწერილი და შეფასებული აქვს ვახუშტი ბაგრატიონს[1]. XVIII ს-ის 20-იან წლებში ვახუშტი ბაგრატიონი პირადად მონაწილეობდა შულავრის ბრძოლაში განჯის ხანის წინააღმდეგ, როცა „სპითა საბარათიანო იმერელთა მოსრნეს ელნი ბორჩალუ“[2].

ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს კვლავ დაიწყო ელების მოძრაობა საქართველოს ტერიტორიაზე. ნადირ-შაჰმა ზოგი მათგანი ახლად შემოიყვანა საქართველოს ტერიტორიაზე, ძველი ელის ზოგი ტომი კი ხორასანს გადაასახლა.

მაგრამ არც ამ ღონისძიებებს დაურღვევიათ მომთაბარული ტომების ბინადარ მოსახლეობასთან თავისებური „თანაფარდობა“ XVIII ს-ის საქართველოში.

4. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ წარმოადგენს არა მარტო XVI ს-ის დამლევის საქართველოს (სამცხე-საათაბაგოს) ისტორიის წყაროს, არამედ მნიშვნელოვან წყაროსაც თურქული ფეოდალიზმის შესასწავლად.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ აღბეჭდილია თურქული ფეოდალური ორგანიზაცია განვითარების იმ საფეხურზე, რომელსაც მან XVI ს-ის უკანასკნელი მეოთხედისათვის მიაღწია.

„დავთრის“ მნიშვნელობას ამ მხრივ ზრდის ის გარემოებაც, რომ იგი შედგენილია სულტან სულეიმანის (1520—1566) „კანუნნამეს“ შემდეგ. დასახელებული „კანუნ-ნამეთი“ გათვალისწინებული ფეოდალური ურთიერთობის ზოგიერთი მხარე კი XVI საუკუნის დამლევისათვის უკვე აღარ იყო დამახასიათებელი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ შესწავლილია სხვადასხვა თვალსაზრისით (ისტორიული-გეოგრაფიული, დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიური, ლინგვის-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ხ. ჯიჯინაძის გამოც., გვ. 32, 69—70, 77, 128, 180—181, 189—190.

[2] იქვე, გვ. 128.

ტურ-ფილოლოგიური)[1]. აღნიშნულია კერძოდ მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა „ოსმალობის“ დასახასიათებლად სამცხე-საათაბაგოში.

„ოსმალობა“ (ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემა), სამცხე-საათაბაგოს მაგალითზე, საშუალებას გვაძლევს ვუჩვენოთ თურქული ფეოდალიზმის თავისებურებანი. ამ თვალსაზრისითაა ჩვენ მიერ გამოყენებული „დავთრის“ სათანადო მონაცემები.

„ოსმალობის“ შემოღებას (სამცხე-საათაბაგოში, იმერეთში, ქართლში...) სულტნის მთავრობა 1578 წელს შეუდგა. საამისო ცნობებს უხვად გვაწვდიან იმდროინდელი წყაროები („მესხური ქრონიკა“, აალი, ტომაზო მინადოი, ისკანდერ მუნში). მაგრამ მას წარმატება ხვდა მხოლოდ სამცხე-საათაბაგოში, რომელიც „დავთრის“ ცნობებით ოსმალებმა ორგზის აღწერეს (ე. წ. „ძველი“ და „ახალი დავთარი“).

ოსმალეთი იძულებული იყო ხელი აეღო ქართლის სწრაფ გაოსმალებაზე, მარცხი განიცადა მან აგრეთვე იმერეთში. თურქული საბუთების მიხედვით იმერეთის მეფეებს შენარჩუნებული აქვთ დამოუკიდებელი მეფეების ტიტულაცია[2]. მხოლოდ სამცხე-საათაბაგოში დაიჭირა ათაბაგის ადგილი მირმირანმა ანუ ბეგლარბეგმა[3].

მაგრამ არც სამცხე-საათაბაგოს გაოსმალების პროცესი დასრულებულა XVI ს-ის დამლევს. „ოსმალობა“ აქ (ოსმალეთის მომიჯნავე ოლქების გამოკლებით) ახლად იყო შემოღებული. ამიტომ, ბუნებრივია, „დავთარში“ ასახულიყო ქართული ფეოდალური ურთიერთობის ზოგიერთი თავისებურებანიც. მართლაც, ეს კარგად ჩანს როგორც „დავთრისათვის“ წამძღვარებულ „კანონ-ნამეს“ („კა-

---

[1] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის I და II წიგნის წინასიტყვაობა; გ. ტივაძე, სამცხე-საათაბაგო „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, „მნათობი“, 1946, № 8, გვ. 117—144; გ. გამყრელიძე, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, როგორც დემოგრაფიულ-სტატისტიკური ძეგლი, უნივერსიტეტის შრომები, 34 a—b, 1948, გვ. 77—89; С. С. Джикия, Пространный реестр вилайета Гюрджистан (автореферат докторской диссертации), Тб., 1956.

[2] მაგ., იმერეთის მეფე, თურქული საბუთებით „მელიქია“ („მეფე“), გურიელი „ჰაქიმი“, ფერიდუნ-ბეი, მუნშაათ ალ-სალატინ, I, გვ. 13. შდრ. L. Fekete, Zur Geschichte der Grusiner des 16 Jahrhunderts, გვ. 112.

[3] 1600—1605 წ. ერთი საბუთით ათაბაგის სახლის წევრები „მამულით შეწყალებული“ პირის მისამართით იძულებული ყოფილან აღნიშნონ: „...ასე და ამა პირსა ზედა, რომე რას წამ ღ“თან იპრიანოს და ჩუენი საბატონო ჩუენ დაგურჩეს“. საქ. სიძვ., III, გვ. 533.

ნონთა წიგნის“) შინაარსიდან[1], ისე თვით „დავთრის“ ტექსტიდან.

არასოდეს ოსმალეთის სახელმწიფო ისე ვრცელი არ ყოფილა, როგორც 1578—1612 წლებში იყო. 1590—1606 წწ. ამიერკავკასიაში ოსმალეთი იყო გაბატონებული. 1606 წლის შემდეგ კი ამიერკავკასიის ქვეყნები, მათ შორის აგრეთვე სამცხე-საათაბაგოს გარკვეული ნაწილები, ირან-ოსმალეთის ომების შედეგად ხელიდან ხელში გადადიოდა. ამით აიხსნება, რომ XVII ს-ის თურქულ დავთრებსა და რისალეებში (აინი ალი, კოჩიბეი გორიჯელი) არ გვხვდება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ აღწერილი ზოგიერთი ოლქი. ოსმალებს ხანგრძლივი დრო დასჭირდათ სამცხე-საათაბაგოს გაოსმალებისა და მის ახალციხის საფაშოდ გადაქცევისათვის.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, რომელიც სულტნის თუღრით დამტკიცებულ ოფიციალურ დოკუმენტს წარმოადგენს, აღწერილია სამცხე-საათაბაგოში შემოღებული ოსმალური ფეოდალური ინსტიტუტები.

„დავთრის“ მიხედვით „გურჯისტანი“ დაყოფილია ოსმალური სამხედრო-ადმინისტრაციული სისტემის საფუძველზე. „დავთარში“ დასახელებულია: ვილაიეთი, ლივა, სანჯაყი, ნაჰიე, კარიე, ქალე, რაბათი.

მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმებიდან და მიწისმფლობელებიდან დასახელებულია: თიმარი, ზეამეთი, ვაკუფი, ჩიფთლიქი, მულქ-ი მოურის (სამკვიდრო მულქი), ზაიმი (ზეამეთის მფლობელი), თიმარის მფლობელი („საჰიბი თიმარ“ ან „ერბაბი თიმარ“), თიმარის კაცი („მერდი თიმარ“).

სოციალური, სამხედრო-სამოხელეო, საფინანსო და სასულიერო ორგანიზაციის ოსმალური ტერმინებიდან: რეაია (გლეხი), აღა, ბეგი, მუაფი (თარხანი), ფაშა, სერასქერი, მირმირანი, ბეგლარბეგი, ვეზირი, სანჯაყ-ბეგი, მირლივა, მირალაი, მირიალემ, იენიჩერი, სიფაჰი, ღულამი, დიზდარი, იუზბაში, ჩავუში, სუბაში, ემინი, ქათიბი, ქეთხუდა, სალარი, ყადი, მუეზინი.

---

[1] გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნი, თურქ. ტექსტი, გვ. 1—5, ქართ. თარგ., გვ. 1—6.

გადასახადებიდან: ჯიზიე, ბეჰრე, უშრი, ბენაქი, ისფენჯი, მოურახხასიე, ხუმსი, თაფუ, სალარიე, დეშთიბანი, ბადჰავა, საქორწინო (რესმი არუსიე), ჩიფთის გამოსაღები (რესმი ჩიფთ), სანახევრო გამოსაღები (რესმი ნიმ), დონუმის გამოსაღები (რესმი დონუმ), საკვამლე (რესმი დახან), ყიშლაყჩი ან რესმი ყიშლაღ (გამოზამთრების გადასახადი), გამოსაღები ცხვარზე (რესმი აგნამ), გამოსაღები ფარეხზე (რესმი ყოიუნ), გამოსაღები იათაღზე და იალაღზე, გამოსაღები ფუტკარზე, ღორზე, ხილზე, ბოსტანზე, წისქვილზე.

სამცხე-საათაბაგოს ქრისტიანულ მოსახლეობას, ისევე როგორც ოსმალეთის ევროპულ ნაწილში, ეწოდება ზიმმი. „დავთარი" სამცხე-საათაბაგოს ქრისტიანულ მოსახლეობას „ქაფირებსაც" (ურწმუნოებს) უწოდებს. „კანუნ-ნამეში" ნათქვამია: „გურჯისტანის ვილაიეთის ქაფირები რეგისტრირებულ არიან როგორც ხუმსი. ხუმსად რეგისტრირებულ ადგილებში სალარიე არ აიღება"[1].

ამრიგად, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში" წარმოდგენილია ოსმალური ფეოდალური ორგანიზაციის ყველა მხარე: სოციალური სტრუქტურა, სამხედრო-ადმინისტრაციული წყობა, აგრარული და საფინანსო-საგადასახადო სისტემა, გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაციის ფორმები. „ქართველობა" სამცხე-საათაბაგოში შეცვლილია ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემით.

ქართული სოციალური ტერმინოლოგიიდან „დავთარში" დასახელებულია მხოლოდ „აზნაური" (ქართველი ფეოდალის აღმნიშვნელი ზოგადი სახელის მნიშვნელობით). მაგრამ აზნაური იხსენიება იმასთან დაკავშირებით, რომ აზნაურთა მიწები გადასულია ოსმალო ფეოდალებისა და მოხელეების განკარგულებაში.

ოსმალების სამცხე-საათაბაგოში გაბატონების შედეგი იყო მიწების გადანაწილება და ფეოდალური უფლებების გადაჯგუფება დამპყრობელთა სასარგებლოდ. საამისო ცნობები დავთრის მთელ მანძილზე მოიპოვება.

იმათ შორის, ვისაც მიწები ჩამოერთვათ, დასახელებულია: ათაბაგი და მისი სახლის წევრები (მანუჩარი, მისი მეუღლე ელენე, დედა დედისიმედი, ანა ხათუნი და სხვ.), აზნაურები, სასულიერო ფეოდალები (ეპისკოპოსი, დეკანოსი, მღვდელი, ბერი), ეკლესია-მონასტრების მამულები. ამრიგად, მიწების ექსპროპრიაცია გავრ-

---

[1] დიდი დავთარი, თურქ. ტექსტი, გვ. 1, ქართ. თარგმანი, გვ. 1.

ცელებულია სამცხე-საათაბაგოში გაბატონებულ ფეოდალთა კლასის ყველა ფენაზე. ყველაზე მძიმედ მაინც ეკლესია-მონასტრები დაზარალდნენ. სამცხე-საათაბაგოში ამიერიდან მოისპო საეკლესიო-სამონასტრო მფლობელობა.

მიწები პირველ რიგში ჩამოერთვათ, რა თქმა უნდა, ათაბაგის მომხრე ქართველ ფეოდალებს. მათ ჩამოერთვათ არა მარტო სახნავ-სათესი, საყანე და სამოსახლო მიწები, ვენახები და ბაღები, არამედ აგრეთვე სახლები, კალო-საბძელი, წისქვილები, სამეურნეო დანიშნულების სხვა ნაგებობანი.

აღნიშნული მოვლენის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოგვაქვს მხოლოდ რამდენიმე მაგალითი.

მაგ., „ვენახი მანუჩარისა ერთი ნაკვეთი —5 ქილიანი, აწ ჩილდირის ვილაიეთის დავთრის ქეთხუდას ყაჲას მფლობელობაში [მყოფი]“[1].

ან: „ვენახი ეკლესიისა, აწ იუსუფ-აღისა და მუსტაფა ჩავუშის მფლობელობაში [მყოფი]“[2].

ან: „მიწა სახელად გიორგი აზნაურისა, აწ ისმაილის მფლობელობაში [მყოფი]“[3].

ან: „მიწა არსენა ბერისა და ქეიბად აზნაურისა, აწ ალი ქეთხუდას მფლობელობაში [მყოფი]“[4].

ან: „მამული[5] მირზა ალი-ბეგისა — 1 ნაკვეთი და ბაღი ერთი ნაკვეთი, აწ ვაზირ მუსტაფა-ფაშას მფლობელობაში [მყოფი]“[6].

ქართველი ფეოდალებისათვის ჩამორთმეული მიწების ახალ მფლობელებად დასახელებულია: სერასქერი, მირალაი, მირიალემი, ჩავუში, სიფაჰი, ემინი, ქეთხუდა და სხვ. ვაკუფად გადაქცეული მამულის და საქონებელის მესაკუთრეა ჯამე და მეჩეთი. გაჩნდა „სულტნის სახასოებიც“, აგრეთვე „ბეგლარბეგისა და მირლივას სახასო მიწები“.

როგორც ცნობილია, მესხი ფეოდალების ერთი ნაწილი გადავიდა იმერეთსა და ქართლში. მათი მიწებიც, ცხადია, ოსმალო ფეოდალების ხელში უნდა გადასულიყო. ამ მიწების ნაწილი უნდა რგებოდათ იმ ქართველ ფეოდალებსაც, რომელთაც საკუთარი მიწები

---

[1] დიდი დავთარი, თურქ. ტექსტი, გვ. 22, ქართ. თარგმანი, გვ. 25.
[2] იქვე, თურქ. ტექსტი, გვ. 26, ქართ. თარგმანი, გვ. 29.
[3] იქვე, თურქ. ტექსტი, გვ. 27, ქართ. თარგმანი, გვ. 31.
[4] იქვე.
[5] თურქულ ტექსტშია „ჩიფთლიქ“.
[6] იქვე, გვ. 181 და შემდეგ.

გამაჰმადიანების ან ოსმალებისათვის დახმარების აღმოჩენის პირობით შეინარჩუნეს.

მიწების გადანაწილებისა და ფეოდალური უფლებების გადაჯგუფების შედეგები სამცხე-საათაბაგოშიც ისეთივე იყო, როგორც აღმ. ამიერკავკასიის სახანოებში, სადაც სწრაფად გაიზარდა მომთაბარული არისტოკრატიის მიწისმფლობელობა ადგილობრივი (სომეხი, აზერბაიჯანელი) ფეოდალების ხარჯზე. ამის შესაბამისად მოეწყო აღმ. ამიერკავკასიის პოლიტიკური ორგანიზაციაც (სახანოები). ასევე ჩილდირის ვილაიეთად გადაქცეულ სამცხე-საათაბაგოში წარმოიქმნა ოსმალური სანჯაყები.

მსგავსება აღმ. ამიერკავკასიაში განვითარებულ მოვლენებთან სხვა მხრივაც შეინიშნება: სამცხე-საათაბაგოშიც მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები გაბატონებული კლასის ეთნიკურ შემადგენლობაში.

ამიერიდან ქართველი ფეოდალების გვერდით წარმოდგენილი იყვნენ ოსმალო ფეოდალებიც. ამავე დროს, ჩანს, ოსმალებმა საქცხე-საათაბაგოში შემოიყვანეს მომთაბარული „ჲურუქისა და ჲუზდეჯის ტომები," რომელთაც „კანონ-ნამეს" ერთ-ერთი თავის თანახმად, „არ გააჩნიათ განსაზღვრული [საცხოვრებელი] ადგილი". ანალოგია ამ მხრივაც მეტად თვალსაჩინოა.

მაგრამ XVI ს-ის დამლევს სულტნის მთავრობას არ შეეძლო ხელის ერთის დაკვრით შემოეღო „ოსმალობა". იგი ოსმალურ ფეოდალურ ნორმებს უქვემდებარებდა ქართველი ფეოდალების მიწისმფლობელობას, მაგრამ ანგარიშს უწევდა იმასაც, რომ ყველა ოსმალური წესის შემოღება ქართველ ფეოდალებს მის წინააღმდეგ დარაზმავდა და გვერდში ამოუყენებდა ათაბაგს, რომელიც კვლავ ბრძოლას განაგრძობდა ოსმალეთის წინააღმდეგ.

ამასთან „დავთრის" შედგენის მომენტისათვის (1595 წ.) შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობაში. შაჰ-აბასი გამალებით ემზადებოდა ოსმალეთთან ახალი ომისათვის. ამავე დროს, ირანის შაჰი ენერგიულად საქმობდა რუსეთთან სამხედრო კავშირის შესაკვრელად ოსმალეთის წინააღმდეგ. ათაბაგი და მისი მომხრეები ირან-ოსმალეთის მოსალოდნელ ომს უკავშირებდნენ ქვეყნის განთავისუფლების საქმეს. რთული და დაძაბული იყო სამცხე-საათაბაგოს

შინაგანი ვითარებაც. მძიმედ დახარკული გლეხობა მხარს უჭერდა ათაბაგს და გაოსმალებას არ აპირებდა[1].

ამიტომ ოსმალეთის მთავრობა მოქნილსა და ფრთხილს პოლიტიკას ახორციელებდა ქართველ ფეოდალებთან დამოკიდებულებაში. გამაჰმადიანებულ ქართველებს იგი პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებდა, მაგრამ ამავე დროს, ჩანს, ითმენდა ზოგიერთი ფეოდალის ქრისტიანობას. ასეთ პოლიტიკას უნდა დაექსაქსა ადგილობრივი ფეოდალური ძალები, ათაბაგისათვის უნდა ჩამოეშორებინა ქრისტიანობის დამცველი აზნაურები და გადაეყვანა ისინი ოსმალეთის მხარეზე.

ოსმალეთში კარგად ესმოდათ და შეგნებული ჰქონდათ, რომ წარმატება სამცხე-საათაბაგოში მნიშვნელოვან წილად ათაბაგის მოწინააღმდეგე ქართველი ფეოდალების ღალატის წყალობით იყო გაპირობებული.

„დავთრის“ მიხედვით ქრისტიანები ჩანან ის ქართველი ფეოდალები, რომელთაც ისფენჯის და სუბაშის საქმეები აქვთ დაკისრებული. „დავთარში“ ნათქვამია: „ახალციხის რაბათის მცხოვრებლები, კეთილშობილნი კონსტანტინე და სარგისი, ბეგის შვილები არიან, ვინაიდან მათ აჩიკბაშში მგზავრობის დროს ვაჭრებისა და ქარავნის მშვიდობიანი მიმოსვლის საქმეში დიდი სამსახური მიუძღვით, ამიტომ, როგორც [ეს] ძველ დავთარში იყო აღნიშნული, ახალ დავთარშიაც ჩაწერილ იქმნა, რომ ისინი განთავისუფლებულ იქმნან ჯიზიეე და საგანგებო გამოსაღებთაგან და თვით ახალციხეში ისფენჯისა და სუბაშის საქმეები მათ დაეკისროთ“[2].

„კეთილშობილნი კონსტანტინე და სარგისი“, „დავთრის“ ცნობით, „ბეგის შვილები („ბეგ ზადე“) არიან“. მაგრამ ბეგი აქ აზნაურის, უკეთ ფეოდალის, მიწისმფლობელის სინონიმური მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი. ისინი რომ ქრისტიანები არიან, საკუთარ სახელებს გარდა, იქიდანაც ჩანს, რომ მათ ჯიზიეს და საგანგებო გადასახადების გადახდა ევალებათ. ოღონდ ისინი გათარხნებული (მუაფ) არიან გარკვეული „სამსახურის“ სანუქფოდ. ჯიზიეს, როგორც წესი, არა მუსლიმანები იხდიდნენ. ამიტომ იყო ეს სულადი გადასახადი აღმ. ამიერკავკასიის ქრისტიანულ მოსახლეობაზე დაწესებული ირანის მფლობელობის დროს.

---

[1] გ. ტივაძე, სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ვითარება XVI საუკუნეში, „ცნობა“, № 10, 1947, გვ. 145.

[2] დიდი დავთარი, თურქ. ტექსტი, გვ. 50, ქართ. თარგ., გვ. 54—55.

საინტერესოა ისიც, რომ ზიმიებს, ე. ი. არა მუსლიმანებს „დავ-თრის“ მიხედვით „სამეფო ლაშქრობაში“ მონაწილეობა და სამხედ-რო სამსახური მართებთ.

„დავთარში“ ამის გამო ნათქვამია: „მამული ერთი და ერთი ნაკვეთი წისქვილი სოფელ ფანაკში [მდებარე]—ნურაზიზის ძის გულაზიზ ზიმმის მფლობელობაში [მყოფი]. ძველ დავთარში ჩაწერილია, რომ სამეფო ლაშქრობის შემ-თხვევაში დაუყოვნებლივ გამოდის სამხედ-რო სამსახურში“[1].

ან:

„მამული ერთი და ერთი ნაკვეთი წისქვილი درادور-ის ძის ზა-ქარ გურჯის მფლობელობაში [მყოფი]. ძველ დავთარში ჩაწერილია, რომ სამეფო ლაშქრობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამოდის სამხედრო სამსახურში“[2].

ან:

„მამული ერთი და ერთი ნაკვეთი წისქვილი ზემოხსენებულ სო-ფელში ზიმმი ზურაბ მირაშა (?) სძის მფლობელობაში[ა]. ძველ დავ-თარში ჩაწერილია, რომ სამეფო ლაშქრობის შემთხვევაში დაუყოვ-ნებლივ გამოდის სამხედრო ლაშქრობაში“[3].

აღსანიშნავია, რომ იმ ზიმიების სახელები, რომელთაც სამხედ-რო სამსახური მართებთ, ქართული ან, იშვიათად, სომხურია: ზაქა-რია, ზურაბი, გიორგი, მიკირტიჩ, მურადხან მიკირტიჩის ძე გურჯი, ჯამასპ გურჯი, ათაბეგ გურჯის ძე, ოან მიჰრანის ძე, ყანდურალი გურჯი, როსაფ გურჯი.

პირველ მაგალითში დასახელებული გულაზიზ ნურაზის-ძეც ქრისტიანია, რადგან ჯერ ერთი იგი ზიმმია, მეორეც სხვაგან დასახე-ლებულია ლეონ ნურაზის-ძე მისი ძმა თუ ნათესავი[4]. საინტერესოა, რომ დასახელებულ პირთა უმეტესობის მიწების და ვენახების მფლობელობა ცალკე არის აღნიშნული[5].

მხოლოდ ერთ შემთხვევაში, სალაშქრო მოვალეობასთან დაკავ-შირებით, გვხვდება მაჰმადიანური სახელი. ოღონდ მისი მატარებე-ლი თითქოს ზიმმი არაა. ეს مُرَاد მურად აბდუ-ლ აჰის-ძეც „სამე-ფო ლაშქრობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამოდის სამხედრო

---

[1] დიდი დავთარი, თურქ. ტექსტი, გვ. 352, ქართ. თარგმ., გვ. 335.

[2] იქვე, გვ. 344.

[3] იქვე, თურქ. ტექსტი, გვ. 359, ქართ. თარგმ., გვ. 351.

[4] იქვე, ქართ. თარგმ., გვ. 364.

[5] იქვე, გვ. 387—388.

სამსახურში"[1]. თუ ის მართლაც მაჰმადიანია, გაუგებარი სრულიადაც არ ხდება მისი სამეფო ლაშქრობაში მონაწილეობა. მაგრამ გაუგებარია, ოსმალური წესების თანახმად, ზიმიების სამხედრო სამსახური.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ აღწერილი გარემოება „დავთრის" მიხედვით დამახასიათებელია მხოლოდ ფანაკის ლივასათვის, რომელიც უშუალოდ ეკრა ოსმალეთს. ფანაკის ლივას სოფლები დაცარიელებული იყო გლეხებისაგან. გარბოდნენ ფეოდალებიც (იმერეთში, ქართლში...). ამიტომ სულტნის მთავრობა, ჩვენი აზრით, ვილაიეთის სანაპირო ოლქებში, დანარჩენ საქართველოს ზედ საზღვარზე, საერთოდ განსხვავებულ პოლიტიკას უნდა დასდგომოდა. ამით უნდა აიხსნებოდეს ის, რომ ფანაკის ლივაში ქართველი ფეოდალების დიდს უმეტესობას შენარჩუნებული აქვთ მიწები. ამავე დროს, ოსმალეთის მთავრობა ოსმალურ წესებს იმითაც უხვევდა გვერდს, რომ ზიმიები (ქრისტიანი ფეოდალები) სამეფო ლაშქარში შეჰყავდა. მაგრამ ხომ არ იყო ეს უკანასკნელი გარემოება მხოლოდ „ძველი დავთრისათვის" დამახასიათებელი?

დანარჩენ საქართველოს მდგომარეობა რთულდებოდა იმით, რომ ოსმალებს ახლა გაადვილებული ჰქონდათ სამცხიდან „თავიანთი სანჯახებით ჩამოსვლა"[2] ქართლში და ქვეყნის დარბევა.

XVI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში სამცხე-ჯაათაბაგოს პოლიტიკური ორგანიზაცია ოსმალურ საფუძველზე მოეწყო.

შეიქმნა ჩილდირის ვილაიეთი, რომელიც სანჯაყებად დაიყო.

„სანჯაყი" ოსმალეთის სახელმწიფოში ძირითადი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული იყო.

XIV—XV სს. ოსმალეთის სახელმწიფო დაყოფილი იყო სანჯაყებად (სადროშოებად). სანჯაყის არაბული შესატყვისი იყო „ლივა". აქედანაა ნაწარმოები სანჯაყ-ბეგი და მირლივა. ორთავე ეს ტერმინი დამოწმებულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში".

1453 წლამდე ოსმალური სანჯაყები იყოფოდა ორ მთავარ ჯგუფად და განლაგებული იყო რუმელიასა და ანატოლიაში, ე. ი. ოსმალეთის ევროპულ და აზიურ ნაწილებში. თითოეული მათგანის სათავეში იდგა ბეგლარბეგი ანუ მირმირანი.

---

[1] თურქ. ტექსტი, გვ. 393, ქართ. თარგმ., გვ. 384. سفر پادشاهی واقع اولدقجه اشوب خدمت ایدر دیو مقیددر دفتر عتیقده

[2] საამისო მაგალითები. მოტანილია „მესხურ ქრონიკაში".

XVI ს-ში ოსმალეთის სახელმწიფოს ტერიტორიულმა ზრდამ მოითხოვა ორი მთავარი საბეგლარბეგოს მაგიერ ახალი საბეგლარბეგოების შექმნის. საჭიროება გარკვეული რაოდენობის სანჯაყებითურთ. ამიტომ ახალი ტერიტორიული ერთეულის აღსანიშნავად გაჩნდა ახალი ტერმინი „ეიალეთი“[1]. დ'ოსონი ამ სიახლეს მიაწერდა მურად III (1574—1595)[2]. მაგრამ იმდროინდელ თურქულ წყაროებში არაფერია ნათქვამი ამგვარი რეორგანიზაციის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, XVI ს-ის განმავლობაში ზოგიერთი სანჯაყი დამოუკიდებელი ეიალეთის ანუ ვილაიეთის ფარგლებში მოექცა. ზოგიც ერთს ეიალეთს გამოეყო და მეორეს შეუერთდა[3].

XVI ს-ის მეორე ნახევარში (1578 წლიდან) გაჩნდა ახალი ეიალეთები: დაღისტანის, შირვანის, ყარადაღის (ირანის), თავრიზის (სამხრეთ აზერბაიჯანის ერთი ნაწილითურთ), ერევნის და ლურისტანის[4]. ამ დროსვე წარმოიშვა ჩილდირის ეიალეთი—სამცხე-საათაბაგოში.

ყველა დასახელებული ეიალეთი ირან-ოსმალეთის მეორე ომის (1578—1590) შედეგად წარმოიშვა.

ეიალეთის სათავეში იდგა ბეგლარბეგი ანუ მირმირანი (თულღების რაოდენობის მიხედვით მას შეიძლებოდა ვეზირიც რქმეოდა). ბეგლარბეგს მოსდევდნენ: სანჯაყ-ბეგი (მირლივა), ალაი-ბეი, სუბაში ანუ ჩერიბაში. ალაი-ბეის ხელქვეითნი იყვნენ: ბაირაკთარი (ალამდარი) და ჩავუში.

დასახელებული მოხელეები უძღვებოდნენ პროვინციის ფეოდალურ ორგანიზაციას, საკარგავებით სარგებლობის საქმეს, ფეოდალური ლაშქრის გამოყვანას, სამოქალაქო ადმინისტრაციას.

ყოველ ვილაიეთს და თითოეულ სანჯაყს ჰყავდა საკუთარი ყადი. ყადი გასამართლებას შარიათის მიხედვით აწარმოებდა. მისი განაჩენი სისრულეში მოჰყავდათ სუბაშებს. მათვე ევალებოდათ საპოლიციო სამსახური და წესრიგის დაცვა.

ვილაიეთში იმყოფებოდნენ დეფთერდარ-ემინები და მდივან-მწერლები. პროვინციული ემინების საერთო აღმნიშვნელი სახელი იყო „სიფაჰი იაზიჯილარი“ („სიფაჰის მდივნები“). ესენი

---

[1] H. A. R. Gibb and Harold Bowen, დასახ. ნაშრომი, გვ. 140—141.

[2] დამოწმებულია Gibb-ის და Bowen-ის დასახ. ნაშრ. მიხედვით, გვ. 141.

[3] იქვე, გვ. 142, შენ. 3, 4, 5 და 6.

[4] იქვე, გვ. 142, შენ. 2

იყვნენ: დეფთერ ემინი (დავთრის ემინი) და მისი ორი თანაშემწე: დეფთერ კაჰიასი და თიმარ დეფთერდარი. პირველი დეფთერდარი ზეამეთების საქმეს განაგებდა (ზეამეთ დეფთერდარი), მეორე თიმარებს (თიმარ დეფთერდარი).

ვილაიეთის მთავარი დეფთერდარი იყო „მალ დეფთერდარი" ანუ „ხაზინე დეფთერდარი". მისი საკითხავი იყო სამონეტო საქმე, ნაღდი ფულის მიღება და გასტუმრება, ფეოდალური საკარგავების ფინანსების მოწესრიგება, რამდენადაც საკარგავები გულისხმობდა ჯამაგირის მაგიერ სარჩოს (დირლიქის) გაცემას[1].

ყველა ზემოთ დასახელებული მოხელე-ხელისუფალი დამოწმებულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარშიც".

გურჯისტანის ანუ ჩილდირის ვილაიეთის საათავეში იდგა მირმირანი (ხიდირ-ფაშა—ვ. გ.). მას მოსდევდნენ ოსმალური სამხედროადმინისტრაციული იერარქიის თანახმად, სანჯაყ-ბეგი ანუ მირლივა, მირალაი (ოლთისის, ახალციხის, არტანუჯის, არტაანის, ხერთვისის), სუბაში, დიზდარი (ციხისთავი).

ჩილდირის ვილაიეთს ჰყავდა თავისი მირიალემი (ალამდარი).

„დავთარში" დასახელებულია აგრეთვე „ვილაიეთის ყადი".

საფინანსო მოხელეებიდან ჩამოთვლილია: გურჯისტანის ემინი, დავთრის ემინი, დავთრის ქეთხუდა, ქათიბი. გურჯისტანის ემინი მნიშვნელობით უნდა უდრიდეს „მალ დეფთერდარს". დავთრის ქეთხუდა კი იგივე „დეფთერკაჰიაა".

„დავთარში" ცალკე დასახელებული ემინი და ქეთხუდა, უეჭველია, ემორჩილებოდნენ ჩავუშს, როგორც ეს ოსმალეთში იყო, ხოლო ყველა ერთად ექვემდებარებოდა დეფთერდარების კონტროლს.

ოსმალეთში ორნაირი სუბაში იყო: მირის სუბაში („მირი სუბაშილარი") და თიმარის კაცთა სუბაშები („ეჰლი თიმარ სუბაშილარი"). მაგრამ როგორც მირის, ისე ფეოდალური საკარგავების სუბაშებს საპოლიციო სამსახური ჰქონდათ დაკისრებული[2]. „დავთარში" დასახელებული „თიმარის კაცი" (გვ. 337, 384, 433) „ეჰლი თიმარ სუბაშილარის" არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. ამის გარდა „დავთრის" მიხედვით სულტნის სახასოში სულტნის ემინები მოქმედებდნენ, ხოლო სანჯაყ-ბეგებზე მიწერილ ადგილებში სანჯაყის სამხედ-

---

[1] H. A. R. Gibb and Harold Bowen, დასახ. ნაშრ., გვ. 150.
[2] იქვე, გვ. 154.

რო მეთაურები[1]. ოსმალური ადმინისტრაციული სისტემა ამ მხრივაც ზუსტად იყო დაცული.

დასახელებული მოხელეების უფლება-მოვალეობის გათვალისწინება გვირკვევს, თუ რამდენადაა გავრცელებული სამცხე-საათაბაგოში ოსმალური საკარგავები: ზეამეთები და თიმარები. ამ მოხელეების საკითხავი იყო საკარგავების კონტროლი, შემოსავლის აღრიცხვა და „ბარათების" (რენტა-ხარკის წილის უფლების) განაღდება.

ყურადღებას იქცევს „დავთრის" ორი ადგილი, სადაც ნათქვამია: „აწ სამეფო კარის ჩავუშის ალის მფლობელობაში [მყოფი], გ უ რ ჯ ი ს ტ ა ნ ი ს ე მ ი ნ ი ს თ ე ზ ქ ე რ ე ს თ ა ნ ა ხ მ ა დ იჯარის წესით წელიწადში [იძლევა] 50 [ახჩას]"[2]. საინტერესოა, რომ ორს-შემთხვევაში ჩვენ არ გვხვდება მუსლიმანთა მფლობელობასთან დაკავშირებული ჩვეულებრივი გამოთქმა: „სასამართლოს განაჩენის თანახმად იჯარის წესით წელიწადში [იძლევა]... [ახჩას]".

რას ნიშნავს „თეზქერე"?

დამოწმებულ კონტექსტში „თეზქერე" შეიძლება წერილობით გადაწყვეტილებას ნიშნავდეს. მაგრამ XVI ს-ის მეორე ნახევრის ოსმალეთში თეზქერე სრულიად გარკვეული მნიშვნელობითაც იხმარებოდა. თეზქერე ეწოდებოდა ბეგლარბეგის მიერ საკარგავის მფლობელად რეკომენდებული პირის იმ საბუთს, რომელიც პროვინციიდან სატახტო ქალაქის დეფთერხანეში იგზავნებოდა.

საქმე ისაა, რომ 1530 წლიდან მოყოლებული ბეგლარბეგებს ჩამოერთვათ საკარგავების გაცემის უფლება და მფლობელობის „ბარათის" მიცემა სულეიმანის „კანუნ-ნამეთი" ბარათს ამიერიდან სულტნის კარი იძლეოდა. ბეგლარბეგი მხოლოდ ასახელებდა საკარგავის მფლობელობის კანდიდატს. „თეზქერე" სწორედ ასეთ რეკომენდაციას ეწოდებოდა. გამონაკლისს შეადგენდნენ მცირე თიმარები, რომელთა შემოსავალი 3.000 ახჩას არ აღემატებოდა. ამის მიხედვით თიმარები იყოფოდა ორ ჯგუფად: რეკომენდებულ თიმარებად („თეზქერელი)" და ისეთ თიმარებად, რომელთაც ასეთი რეკომენდაცია არ სჭირდებოდათ („თეზქერესიზ")[3].

სულეიმანის დროიდან მხოლოდ რეკომენდებული თიმარების მფლობელები ითვლებოდნენ სიფაჰის სახელის ღირსად, დანარჩენებს კი უბრალოდ თიმარჯიები (თიმარიოტები) ეწოდებოდათ. მაგრამ ეს იყო ოფიციალური თვალსაზრისი. ნამდვილად ყველა საკარ-

---

[1] **დიდი დავთარი, თურქ. ტექსტი, გვ. 3—4, ქართ. თარგმანი, გვ. 3.**

[2] **იხ. ქართ. თარგმანი, გვ. 42, 59.**

[3] **H. A. R. Gibb and Harold Bowen, დასახ. ნაშრ., გვ. 49.**

გავის (ზაიმების ჩათვლით) მფლობელის ზოგადი სახელი სიფაჰი იყო[1]. ვითარება ამ მხრივ მნიშვნელოვნად შეიცვალა XVI ს-ის დამლევს, როცა მსხვილმა მიწისმფლობელებმა ხელი დასდეს „თეზქერესიზ“ თიმარებს. ამ დროიდან, როგორც ჩანს, სიფაჰი უპირატესად საშუალო და წვრილ მიწისმფლობელს (მოსაკარგავეს) აღნიშნავდა.

„დავთარში“ დამოწმებულ „თეზქერეს“ ჩვენ არ ვაიგივებთ „თეზქერეს“ ზემოთ დამოწმებულ მნიშვნელობასთან. მაგრამ აღნიშნული გარემოების გათვალისწინება, ვფიქრობთ, აუცილებელია ოსმალური აგრარული სისტემის შესწავლისას სამცხე-საათაბაგოში.

ცნობები ოსმალურ მიწისმფლობელობაზე მოიპოვება როგორც „დავთრის“ ტექსტში, ისე განსაკუთრებით „კანონ-ნამეში“.

თიმარების და ზეამეთების შესახებ ცნობებს ვხვდებით აგრეთვე დავთრის მიწაწერებში, რომლებიც XVII—XVIII სს. მანძილზეა შესრულებული[2].

მაგრამ ოსმალური მიწისმფლობელობის თავისებურებათა მთავარი წყარო მაინც „დავთრისათვის“ წამძღვარებული „გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნია“. იგი, როგორც ეს ნაჩვენები აქვთ „დავთრის“ მკვლევარებს, შედგენილია ოსმალეთში მოქმედი „კანონ-ნამეების“ მიხედვით. ოღონდ მასში გათვალისწინებულია ადგილობრივი ცხოვრების პირობებიც და წესებიც.

„კანონ-ნამეში“ დასახელებულია სულტნის სახასოები, ბეგლარბეგის და მირლივაა სახასო მიწები, ზაიმთა და სიფაჰთა თიმარები.

„კანონ-ნამეში“ ყველაზე დაწვრილებით სიფაჰების მფლობელობაზე და მათს რეაიაებთან (გლეხებთან) დამოკიდებულებაზეა საუბარი. ეს გასაგებიცაა, რადგან ამ შემთხვევაში ლაპარაკია გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაციის ოსმალურ ფორმებზე, გადასახადების სახეობებსა და აკრეფის წესებზე.

„კანონ-ნამეს“ მიხედვით გლეხი „თ ა ფ უ ს“ საფუძველზე ფლობს მიწას. „თაფუ“ სამცხე-საათაბაგოში, ზოგიერთი დეტალის

---

[1] H. A. R. Gibb and Harold Bowen, დასახ. ნაშრ., გვ. 49—50.

[2] მართებული არ უნდა იყოს გ. ტივაძე, როცა შენიშნავს, რომ ზეამეთების და თიმარების არსებობა სამცხე-საათაბაგოში სწორედ ამ ნაგვიანევი მინაწერებით დასტურდება. იხ. გ. ტ ი ვ ა ძ ე, სამცხე-საათაბაგო „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, „მნათობი“, 1946, № 8, გვ. 140—142. მართალია, საკუთრივ ტექსტში ხშირად პირდაპირი ჩვენება არ მოგვეპოვება ოსმალურ მიწისმფლობელობაზე, მაგრამ საათანადო მონაცემების ანალიზი გვირკვევს მის ადგილსა და მნიშვნელობას XVI ს-ის დამლევს.

გამოკლებით, ზუსტად იმეორებს ზემოთ აღწერილ თაფუს წესს (იხ. თავი III, § 3).

„კანონ-ნამე“ ითვალისწინებს რეაიას მიერ მიწის ტრადიციულ, მემკვიდრეობით მფლობელობას. რეაია „საგლეხო მულქის“ მფლობელია. „საგლეხო მულქის“ აშკარა შესატყვისად ჩანს „م ۆ ل ڭ ى م ۆ ر ى س ى“. „კანონ-ნამეში“ ამის გამო ნათქვამია: „უკეთუ რეაჲ-დან კვდება ვინძე და მას მიწა რჩება, [ეს მიწა] შვილზე გადადის, როგორც სამკვიდრო მფლობელობა“[1]. მაგრამ მფლობელობის განახლება ყველა შემთხვევაში (გადაეცემოდა მიწა უმემკვიდრო გლეხის ძმას თუ ნათესავს) თაფუს წესს ექვემდებარებოდა.

რეაია მიწერილი იყო სიფაჰიზე, ე. ი. ფეოდალის პიროვნებაზე. ფეოდალს შეეძლო გაქცეული გლეხის ძებნა და მისი უკან დაბრუნება: „თუ დავთარში რეგისტრირებული რეაჲას [ხალხი] დაიფანტება,—დაწესებულია კანონი, რომ ისინი მოყვანილ იქნენ უკანვე და დასახლებულნი თავიანთ ადგილას, ხოლო, უკეთუ ათმა, ან მეტმა წელმა განვლო, უკან გადმოსახლება არ შეიძლება; გამოსაღები მათ გადახდებათ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით“[2].

როგორც ვხედავთ, რეაია მიმაგრებულია გადასახადზე, ხოლო გადასახადი რეაიაზე. ამავე დროს იგი მიმაგრებულია მიწისმფლობელის პიროვნებაზე. რეაია მიწერილია სიფაჰიზე. ფეოდალს შეეძლო გაქცეული გლეხის 10 წლის განმავლობაში ძებნა და მისი უკან დაბრუნება.

„კანონ-ნამე“ არ ითვალისწინებს გლეხის პირად თავისუფლებას. მასში ნათქვამია „რაიათის შვილი არის რაიათი, სანამდის ის სხვას არაა მიწერილი“[3].

---

[1] თურქ. ტექსტი, გვ. 1, ქართ. თარგმ., გვ. 1. رعایادن بری فوت اولوپ طپراغی قالسه اوغلنه انتقال ایدر ملك موروث کبی‌در

[2] თურქ. ტექსტი გვ. 1. ქართ. თარგმ., გვ. 1. دفترده مقیّد اولان رعایا پراکنده اولسه کوچروب کیرو یرلرینه کتورمك قانون مقرّردر اما اون ییل و داخی زیاده اسه کوچورمك اولماز ساکن اولدقلری یرلرنده رسملری النور

[3] თურქ. ტექსტი, გვ. 1, ქართ. თარგმ., გვ. 1. رعیّت اوغلی رعیّتدر مادام که آخره قید اولنمیه

რეაია მხოლოდ მიწის დამუშავების პირობით ფლობდა მიწას: „რეაიას ის მიწა, რომელსაც [რეაია] სამ წელიწადს ზედიზედ უმიზეზოდ დაუმუშავებელს და ცარიელს დასტოვებს, ჩამოერთვას მას და გადაეცეს სხვას, თაფუს საფუძველზე"[1]. აღნიშნული გარემოება გათვალისწინებულია ყველა ოსმალურ „კანონ-ნამეში".

თაფუს საფუძველზე ამუშავებდა მიწას „გარეშე რაიათი(ც)": „თუ [ვინმე] გარეშე რაიათი მოვა და თაფუს საფუძველზე სიფაჰის მიწას დახნავს და დათესავს, მაშინ [დაწესებული] ბეჰრეს გადახდის შემდეგ აიღება ორი დონუმი უკეთესი ადგილიდან ერთი ახჩა. ხოლო სამი დონუმი უარესი ადგილიდან [აგრეთვე] ერთი ახჩა"[2].

რეაიას მრავალნაირი ფეოდალური მოვალეობა და ვალდებულება მართებდა სიფაჰის მიმართ. მას თავისი სიფაჰის უშური უნდა მიეტანა უახლოეს ბაზარზე, მოსულ მიწის დამმუშავებელს (გარეშე რაიათს) კი სოფელში არსებულ ბეღელში[3].

რეაიას მოსავალზე უშურის აღება ლეწვის დროს ხდებოდა: „სალარებმა დაუყოვნებლივ, იმწამსვე უნდა გამორწყონ დამთავრებული კალო"[4]. იქვე ნათქვამი, რომ „რეაია არ უნდა შეავიწროვონ" იმას მეტყველებს, თუ როგორ იყვნენ ნამდვილად გლეხები შეავიწროებული სალარებისაგან კალოზე, მოსავლის ლეწვის დროს.

ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს შაჰისა და სულტნის ფირმანებისათვის ჩვეულებრივ გამოთქმასთან იმის თაობაზე, რომ ფეოდალებმა არ უნდა შეავიწროონ რაიათები. ეს ოფიციალური თვალსაზრისი მიზნად ისახავდა არა გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ გლეხთა რაციონალური ექსპლოატაციის უზრუნველყოფას.

ამგვარივე ხასიათის შენიშვნები მოიპოვება „კანონ-ნამეშიც". იქ, მაგალითად, ნათქვამია: „სანჯაყ-ბეგებმა და სუბაშებმა არ უნდა იარონ თემში ბევრი მხლებლით და უფულოდ ალაფი და საჭმელი [ვისმე] არ უნდა გამოართვან"[5].

საინტერესოა აგრეთვე დამნაშავეთა დასჯისა და დასჯის გამო გაკეთებული შენიშვნა: „სანჯაყ-ბეგებსა და სუბაშებს და მათ კაცებს ეკრძალებათ დანაშაულობის გამოუძიებლად და ბოროტმოქ-

---

[1] დიდი დავთარი, თურქ. ტექსტი, გვ. 1, ქართ. თარგმ., გვ. 2.
[2] იქვე.
[3] იქვე, თურქ. ტექსტი, გვ. 2, ქართ. თარგმ., გვ. 2.
[4] იქვე.
[5] იქვე, თურქ. ტექსტი, გვ. 5, ქართ. თარგმ., გვ. 5.

შედების გამოუაშკარავებლად დაიჭირონ დამნაშავეები და გამოართვან მათ რაიმე და განათავისუფლონ [ისინი]. და ვიდრე [ზემოხსენებულ პირთა მიერ] ვილაიეთის ყადის თანდასწრებით არ იქნება დამტკიცებული დანაშაული, დამნაშავეების დაჭერა ან დასჯა ეწინააღმდეგება სამართალსა და კანონს"[1]. ან: „სანჯაყ-ბეგებსა და სუბაშებს ეკრძალებათ სხვადასხვა ბრალდების წამოყენებით რეაჰადან ბოროტმოქმედნი ჯაჭვით შებორკონ და სოფელ-სოფელ ატარონ, ვიდრე ისინი არ იქნებიან ყადის წინაშე წარდგენილნი. ასეთი ბრალდებულები ჯაჭვით არ უნდა იქნენ შებორკილნი მანამ, სანამ ისინი არ იქნებიან ყადის სასამართლოში მოყვანილნი და სანამ [მათი დანაშაული] სამართლით არ იქნება დამტკიცებული"[2]. გლეხების ჯაჭვით შებორკვა, ეტყობა, ჩვეულებრივი ამბავი იყო, რადგან „კანუნ-ნამე" ამას დასაშვებად ცნობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გლეხის დანაშაული დამტკიცებული იყო.

გლეხის ვალდებულებებში შედიოდა გზების ფოვლა, ხიდების შეკეთება, ყარაულობა, ტვირთის ზიდვა. ფართოდ იყო გავრცელებული ბეგრის აღმოსავლური ფორმა.

„ოსმალობის" დროინდელ სამცხე-საათაბაგოში გლეხობის დიდი უმეტესობა ისევ ქრისტიანი იყო, მაგრამ ჩანს იყვნენ მუსლიმანი ან გამუსლიმანებული გლეხებიც. ქრისტიან გლეხთა უმრავლესობას აშკარად მოწმობს ფართოდ გავრცელებული გადასახადი „ისფენჯი".

„ისფენჯი" სამცხე-საათაბაგოში, ისევე როგორც ოსმალეთის ვილაიეთების ევროპულ ნაწილში, ქრისტიანულ მოსახლეობას ჰქონდა დაკისრებული. მასვე მართებდა „ჯიზიას" გადახდა.

ისფენჯი, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში", როგორც წესი, ყველა სოფლის საგადასახადო ნუსხაში მოხსენებული. ამასთან პირველად ყოველთვის ისფენჯია დასახელებული. საგადასახადო ნუსხა კი მოსდევს სოფლის მცხოვრებლების (მამაკაცების) სიას, რომლებშიაც ქართული სახელების და გვარების მატარებელი გლეხები არიან ჩამოთვლილი.

მუსლიმანებზე დაწესებული ჩანს უშრი, ბენაქი და ბეჰრე.

საკუთრივ ოსმალეთში მუსლიმან რეაიას უნდა გადაეხადა: ბ ე ნ ა ქ ი, მ უ ჯ ე რ რ ე დ ი და ჩ ი ფ თ ა ხ ჩ ე ს ი. ბენაქი დაქორწინებულ მუსლიმანზე იყო დაწესებული, მუჯერრედი დაუქორწინებელზე, ჩიფთ ახჩესი კი მეურნეობის ნებართვის გამოსაღებ ფულს ნიშნავდა.

---

[1] დიდი დავთარი, თურქ. ტექსტი, გვ. 5, ქართ. თარგმ., გვ. 5.
[2] იქვე.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სამთავე ეს გადასახადი ქრისტიანთათვის გაერთიანებული იყო „ისფენჯის“ სახელს ქვეშ[1]; ისფენჯი დაწესებული იყო ზომმი თასარუფზე, ე. ი. იგულისხმებოდა, რომ მფლობელად არამუსლიმანი იყო. ამასთან გათვალისწინებული იყო მიწის მოცულობა და სიავკარგე. მაგრამ რამდენჯერმე იყო გაზრდილი ქრისტიანი გლეხის გადასახადები მუსლიმან გლეხთან შედარებით. მხედველობაში არ მიიღებოდა არც ის, დაქორწინებული იყო თუ დაუქორწინებელი ზომმი.

სამაგიეროდ, ერთ შემთხვევაში, მუსლიმანი ქრისტიანთან შედარებით ორჯერ მეტს იხდიდა: ეს იყო საქორწინო გამოსაღები („რესმი არუსიე“)[2].

დაწვრილებითაა ლაპარაკი საქორწინო გამოსაღების გამო გურჯისტანის ვილაიეთის „კანონთა წიგნშიც“. იქ ნათქვამია: „ზაიმთა, თიმარის მფლობელთა, მონადირეთა, ციხის მცველთა და ღურებასასულთაგან საქორწინო გამოსაღები მიწერილი აქვს სულტნის სახასო [სალاროს]; [იგი] სულტნის სახასოს ემინებმა უნდა აიღონ“[3].

მუსლიმან გლეხთა ქალების საქორწინო გამოსაღების გამო ნათქვამია: „საქორწინო გამოსაღები აიღება სამოც-სამოცი ახჩა ქალწულისაგან და ოცდაათ-ოცდაათი ახჩა ქვრივისაგან, თუ ისინი ცხოვრობენ ბეგლარბეგისა და მირლივას სახასო [მიწებ]ზე, ზაიმთა თიმარსა და სხვა თავისუფალ თიმარზე. [რაც შეეხება] სხვა თიმარის მფლობელების საქორწინო გამოსაღებს: სიფაჰიებზე მიწერილი ადგილებიდან [გამოსაღების] ნახევარს იღებენ ისინი, ხოლო მირლივაზე მიწერილი ადგილებიდან მეორე ნახევარს იღებენ სანჯაყის სამხედრო მეთაურნი“[3]. „დავთრის“ მიხედვითაც მუსლიმანთა საქორწინო გამოსაღები რამდენჯერმე აღემატება ქრისტიანთა საქორწინო გამოსაღების ოდენობას ახჩებში.

საინტერესოა საქორწინო გამოსაღებთან დაკავშირებული განმარტება: „ქალწულის საქორწინო გამოსაღებს, რა ადგილიდანაც არ უნდა გათხოვდეს ის, იხდის მისი მამა და უხდის მას, ვისი რეაჰაც ის არის. ქვრივი უხდის საქორწინო გამოსაღებს იმ თიმარის მფლობელს, რომლის მიწაზედაც ის იმყოფება. ვინაიდან ჟურუქისა და ჟუზდეჯის ტომებს არ გააჩნიათ განსაზღვრული [საცხოვრებე-

---

[1] **H. A. R. Gibb and Harold Bowen**, დასახ. ნაშრ., გვ. 241.
[2] იქვე, გვ. 240—241.
[3] **დიდი დავთარი, თურქ. ტექსტი, გვ. 2—3, ქართ. თარგმ., გვ. 3.**
იქვე, თურქ. ტექსტი, გვ. 3, ქართ. თარგმ., გვ. 3.

ლი] ადგილი, ქალწული და ქვრივი მამასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, თანაბარნი არიან"[1].

გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნი და საგადასახადო ნუსხები ასახელებენ მრავალნაირ გადასახადს და გამოსაღებს, რომელთა ჩამოთვლას აქ აღარ შევუდგებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ „თათრის ხარაჯობამ" დააცარიელა გლეხებისაგან სამცხე-საათაბაგოს სოფლები. გამოთქმა „ცარიელია რეაიასაგან" „დავთრის" მრავალ ადგილზე გვხვდება. აყრილ-გაქცეული გლეხები ქართლისა და იმერეთის მიმართულებით გარბოდნენ.

„ოსმალობამ" დაამძიმა გადასახადები სამცხე-საათაბაგოში, აღმ. ამიერკავკასიაში. საამისო ცნობები მრავლად მოიპოვება არაქელ თავრიზელის საისტორიო თხზულებაში. ასეთსავე წყაროს, ოსმალური საგადასახადო პოლიტიკის გასათვალისწინებლად წარმოადგენს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი".

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" შედგენა 1595 წელს სამცხე-საათაბაგოში „ოსმალობის" შემოღებას ნიშნავდა.

XVI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში დაწყებული „ოსმალობა" XVII ს-ის პირველი მეოთხედის დამლევს დამთავრდა ჩილდირის ანუ ახალციხის საფაშოს წარმოქმნით.

მაგრამ ახალციხის საფაშოც ინარჩუნებდა მთელ რიგ თავისებურებებს ოსმალეთის სახელმწიფოს ორგანიზმში. სწორედ ამან **ათქმევინა Gibb-ს და Bowen-ს, რომ „ჩილდირის მდგომარეობა მთლად** ნათელი არაა"[2]. ევლია ჩელების ცნობაზე დაყრდნობით ისინი აღნიშნავენ ოთხი „სამკვიდრო სანჯაყის არსებობას ჩილდირში"[3].

ამის გარდა, დასახელებული მკვლევრები მიუთითებენ ევლია ჩელების იმ ცნობაზე (ევლია ჩელები, I, 88, 95—96), საიდანაც ჩანს, რომ ზოგიერთი ვილაიეთი დაყოფილი არ იყო სანჯაყებად, ე. ი. არ არსებობდა ოსმალური ფეოდალური ორგანიზაცია[4]. ასეთებად ევლია ჩელები ასახელებს: საქართველოს, ბასრას, ლაჰსის, იემენს და ჰაბეშს[5]. ასეთ ეიალეთებს, თვით სანჯაყების არსებობის პირობებშიც კი, განაგებდნენ დამოუკიდებელი მმართველები, თვი-

---

[1] თურქ. ტექსტი, გვ. 3, ქართ. თარგმ., გვ. 3.

[2] H. A. R. Gibb and Harold Bowen, დასახელებული ნაშრომი, გვ. 163.

[3] იქვე. მიწისმფლობელობის თავისებურებას „ოსმალეთის საქართველოში" ჯერ კიდევ XIX ს-ის 70-იან წლებში ყურადღება მიაქცია დ. ბაქრაძემ.

[4] H. A. R. Gibb and Harold Bowen, დასახ. ნაშრ., გვ. 147.

[5] იქვე, გვ. 177, შენ. 7.

თონ კრეფდნენ გადასახადებს და მის გარკვეულ წილს ყოველწლიურად გზავნიდნენ სულტნის სატახტოში. ამიტომ ასეთ ეიალეთებს ოსმალურ წყაროებში „სალიანელი“ ეწოდებოდათ, რაც ყოველწლიურს ნიშნავს[1].

სალიანელი, რა თქმა უნდა, ჩილდირის ვილაიეთი ვერ იქნებოდა. ევლია ჩელების ცნობაში ნაგულისხმევი ჩანს იმერეთი, სადაც სულტნის სასარგებლოდ საური და სალიანი გროვდებოდა. სალიანელით ცნობილი ეიალეთები მოხარკეობის საფუძველზე იყვნენ დაკავშირებული სულტნის მთავრობასთან. ჩვენთვის უკვე ცნობილია ასეთი ქვეყნის აღმნიშვნელი თურქული ტერმინი: „ოჯაკლიკ ჰუქუმეთი“, რომელიც იმერეთის მიმართ იყო გამოყენებული.

XVI ს-ის დამლევს ათაბაგის სახლი ამაოდ ცდილობდა, რომ ოსმალეთთან ურთიერთობის პოლიტიკურ ფორმად კვლავინდებურად მეხარკეობა ყოფილიყო. ოსმალები ამაზე მტკიცე უარს ამბობდნენ. ამდენადვე ცხადი უნდა იყოს, რომ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ სამცხე-საათაბაგოში შემოღებული ოსმალური ფეოდალური ორგანიზაციის გამომხატველი იყო.

ჩვენ მიერ დახასიათებულ კონკრეტულ მასალებს შორის „დავთარი“ ერთადერთი ძეგლია, რომელიც ყველაზე ნაკლებ ითვალისწინებს ქართული ფეოდალური წყობილების თავისებურებებს.

ამ მხრივ იგი განსხვავდება თვით „ელის დებულებისაგან“, რომელიც, როგორც ვნახეთ, ადვილად მოთავსდა ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლში.

თუ „ელის დებულება“ ქართველი მეფის მოხელეების მიერ იყო შედგენილი, ოსმალურ „კანუნ-ნამეებს“ სულტნის მოხელეები ადგენდნენ.

ჩვენ მოგვეპოვება 1570 წელს შედგენილი „გურჯისტანის კანუნ-ნამე“ **(Gürcistan kanunnamesi)**[2], რომელიც სამცხე-საათაბაგოს სამხრეთ ნაწილის სანჯაყებისათვის უნდა ყოფილიყო შედგენილი. ამიტომ მისი შინაარსი არ უნდა ეხებოდეს 1595 წლის „დავთარში“ აღწერილ ტერიტორიას. 1570 წლის „კანუნ-ნამე“ შინაარსობლივად ახლო დგას 1595 წელს შედგენილ „დავთრისათვის“ წამძღვარებულ „კანუნ-ნამესთან“. ამიტომ მისი გაანალიზება საჭიროდ არ ჩავთვალეთ. ჩვენთვის ეს დოკუმენტი საინტერესოა მხოლოდ როგორც „ოსმალობის“ შემოღების დამამტკიცებელი სამცხე-საათაბაგოს სამხრეთ ნაწილში.

---

[1] **H. A. R. Gibb and Harold Bowen**, დასახ. ნაშრ., გვ. 148.

[2] **Omer Lûtfi Barkan, XV ve XVI inci asirlarda zîraî ekonominin hukukî ve malî esaslar, ტ. I (Kanunlar), სტამბოლი, 1943, გვ. 197—200.**

თავი მეხუთე

კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლა ირანის და ოსმალეთის ბატონობის პერიოდში

ირანისა და ოსმალეთის ბატონობა ან მფლობელობა მკვეთრ გამოვლინებას პოულობდა შინაკლასობრივი და კლასობრივი ბრძოლის ხასიათსა და ფორმებში.

უცხო ძალის მფლობელობა-ბატონობას კლასობრივი თვალსაზრისით აფასებდა სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენა (ფეოდალები, ვაჭრები, ხელოსნები, გლეხები). თითოეული მათგანი არ ერიდებოდა „უცხო ძალასთან" კავშირს, როცა საქმე საკუთარი კლასობრივი ინტერესების დაცვას და უზრუნველყოფას ეხებოდა[1].

კლასობრივი თვალსაზრისითვე ფასდებოდა პოლიტიკური ორიენტაციების საკითხი XVI—XVIII სს. საქართველოში.

ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესულ ნაწილს გეზი რუსეთთან ურთიერთობაზე ჰქონდა აღებული, რეაქციულს — ირანსა და ოსმალეთზე.

რუსეთთან ურთიერთობის გაძლიერებას უჭერდა მხარს ყველა, ვინც კი დაინტერესებული იყო ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებით, მისი ეკონომიური და კულტურული დაწინაურებით, ფეოდალური შინაომების, „ტყვის სყიდვის" და „ლეკიანობის" ლიკვიდაციით.

ირანსა და ოსმალეთს მხარს უჭერდა ყველა, ვისთვისაც მიუღებელი იყო ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება, რასაც არ შეიძ-

---

[1] კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში შესწავლილი აქვს ნ. ბერძენიშვილს. იხ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1955, გვ. 155—186.

ლებოდა დღის წესრიგში არ დაეყენებინა სამეფო-სამთავროების და სათავადოების სისტემის არსებობის საკითხი.

ასეთ ვითარებაში „უცხო ძალის“ მოწვევა (დასახმარებლად ან მასთან კავშირი) გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებთან და ფეოდალურ-კლასობრივ ინტერესებთან იყო დაკავშირებული[1].

XVI საუკუნიდან მოყოლებული ქართული ფეოდალური საზოგადოება ორ ფრთად იყო გაყოფილი: ერთი ნაწილი (პროგრესული) რუსეთთან ურთიერთობას უკავშირებდა ქვეყნის გამოხსნა-განთავისუფლების საქმეს და მის მომავალს, მეორე ირან-ოსმალეთის დახმარებით ფეოდალური დაქსაქსულობის შენარჩუნებას.

მსხვილი მიწისმფლობელები (საფეოდალოების „ნახევარ-ხელმწიფეები“) „უცხო ძალას“ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ იყენებდნენ განსაკუთრებით იმ მომენტში, როცა მეფის ხელისუფლება თავადების უფლებების შეზღუდვას ცდილობდა. ირანს ან ოსმალეთს კი იმ შემთხვევაში უპირისპირდებოდნენ, როცა ირანული ან ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შემოღების საფრთხე დგებოდა.

ფეოდალური საქართველოს ყველა საზოგადოებრივი ფენა კლასობრივი თვალსაზრისით აფასებდა ირანის და ოსმალეთის ბატონობას ან მფლობელობას[2].

„ყიზილბაშობის“ ან „ოსმალობის“ საფრთხე, უპირველეს ყოვლისა, საეკლესიო-სამონასტრო მფლობელობას ემუქრებოდა მოსპობით. სამცხე-საათაბაგოს მაგალითი, სადაც ეკლესია-მონასტრებმა მთლიანად დაკარგეს დიდძალი ყმა-მამულები და საქონებელი, ეკლესიას უკარნახებდა გაეჩაღებინა ანტიმაჰმადიანური პროპაგანდა. ანტიმაჰმადიანური პროპაგანდა გულისხმობდა არა მარტო ქრისტიანობის განმტკიცებას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ქართული მიწისმფლობელობის დაცვას, რამდენადაც გამაჰმადიანებას უშუალოდ თან სდევდა არსებითი ხასიათის ცვლილებები საადგილმამულო ურთიერთობაში და მიწათსარგებლობის წესებში.

სოციალურად და ეკონომიურად თავადებზე დამოკიდებული აზნაურების მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმდებოდა „ყიზილბაშობისა“ და „ოსმალობის“ დროს. გაღარიბებული აზნაური თათრის გამოსაღებებს ვერ აუდიოდა, კიდევ უფრო ღარიბდებოდა, ხელიდან

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქ. საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, გვ. 178, 179.

[2] ვ. გაბაშვილი, ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი კლასები და კლასობრივი ბრძოლა ირანის და ოსმალეთის ბატონობის პერიოდში. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, გვ. 379—389.

ეცლებოდა ისედაც შემცირებული ყმა-გლეხი. გლეხები, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიურად შევიწროებული აზნაურების მამულებიდან გარბოდნენ. გასაგებია, რომ აზნაურები აქტიურად იბრძოდნენ ყიზილბაშების და ოსმალების წინააღმდეგ.

აზნაურები დაინტერესებული იყვნენ მეფის ხელისუფლების განმტკიცებით. მეფის გაძლიერებას უკავშირებდნენ ისინი თავიანთი უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. შემთხვევით არ აიხსნება თავადის აზნაურების სამეფო აზნაურობაში გადასვლის ტენდენციის გაძლიერება XVII—XVIII საუკუნეებში. ამავე დროს, აზნაურები უაღრესად იყვნენ დაინტერესებული რუსეთთან ურთიერთობით, რადგან რუსეთის დახმარებას უკავშირებდნენ ისინი მშვიდობიანი ცხოვრების პირობების უზრუნველყოფას, დაუსრულებელი ფეოდალური შინაომების აღკვეთას და წარმატებით ბრძოლას ყიზილბაშების და ოსმალების წინააღმდეგ.

რა თქმა უნდა, ყიზილბაშებთან ან ოსმალებთან დამოკიდებულებას აზნაურებიც კლასობრივი თვალსაზრისით აფასებდნენ. ცნობილია, რომ XVII ს-ის დამდეგს ბევრი აზნაურიშვილი აღმოჩნდა ირანში „გასაკეთებლად“ და შაჰის „წყალობის“ მოსაპოვებლად. მაგრამ როდესაც „ყიზილბაშობის“ საქართველოში შემოღებას შაჰ-აბასი ენერგიულად შეუდგა, აზნაურები აქტიურად ჩაებნენ გაყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლაში.

კლასობრივი თვალსაზრისით აფასებდნენ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს ვაჭრებიც; სრულიად გარკვეული პოზიცია ეკავათ მათ ირანის მიმართ.

ქართული ქალაქების ვაჭრები მუდამ ირანული ორიენტაციისანი იყვნენ. ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ირანის საერთაშორისო ვაჭრობასთან, ამიტომ მხარს უჭერდნენ ირანს და მოქმედებდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ. ამგვარადვე იქცეოდნენ სომეხი ვაჭრები აღმ. ამიერკავკასიაში. არაქელ თავრიზელს აღნიშნული აქვს, თუ რატომ იყო სასურველი ირანული ორიენტაცია მიუხედავად ირანელთა ძალადობისა. თვითონ იგი შაჰ-აბასს უარყოფითად უყურებდა, მაგრამ პირადად ირანული ორიენტაციის თვალსაზრისზე იდგა[1].

თბილისის და სხვა ქალაქების ვაჭრებს უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ აღმ. ამიერკავკასიის და ირანის ქალაქებთან, ირანის საშუ-

---

[1] **Livre d'histoire par le vartabed Arakel de Tauiris Collection d'histoirens Armeniens, traduits par M. Brosset, I, გვ. 287, 288, 294.**

ალებით აქტიურად მონაწილეობდნენ მსოფლიო ვაჭრობაში. ამიტომ მათთვის მნიშვნელობა ჰქონდა არა ირანის პოლიტიკურ ძალაუფლებას, არამედ ირანის მეშვეობით აღმოსავლეთის და დასავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობას. ამით იყო შეპირობებული მათი ირანული ორიენტაცია აღმ. ამიერკავკასიაში, საქართველოში.

დიდვაჭართა სპარსოფილურ განწყობილებას სხვა ფაქტორიც აძლიერებდა. ქართველი ფეოდალების ძალადობისაგან დაცვას, ვაჭრობა-აღებმიცემის ნორმალურად განვითარებას ისინი მაჰმადიანი მეფის გაძლიერებას უკავშირებდნენ, რამდენადაც ასეთ მეფეს, გასაგებ გარემოებათა გამო, ზურგს ირანის მთავრობა უმაგრებდა. ქართველი ფეოდალებისათვის კი მეფის გაძლიერება მიუღებელი იყო. მაჰმადიანი მეფის პოლიტიკა მკვეთრად აძლიერებდა მათს ანტიირანულ განწყობილებას. ამ ნიადაგზე სრულიად გარკვეულ გამოხატულებას პოულობდა კლასობრივი ბრძოლა ქალაქებში ფეოდალებსა და ვაჭარ-მოქალაქეებს შორის.

სპარსოფილი და მოქალაქეთა წრიდან გამოსული ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე არა ერთგან აღნიშნავს მოქალაქეთა (ქალაქის ზედაფენის) ირანის სასარგებლო განწყობილებას 1614—1625 წლებში, როდესაც საქართველოში შაჰ-აბასი მოქმედებდა[1]. ამ თვალსაზრისითვე აფასებდა იგი ქართველი ფეოდალების დამოკიდებულებას როსტომ-ხანის პოლიტიკისადმი[2]. ანტიირანული და პროირანული პოლიტიკის დაპირისპირების სოციალური და კლასობრივი საფუძვლები XVII ს-ის 30—40-იან წლებში აღნიშნული აქვს პროფ. ს. კაკაბაძეს[3].

მსხვილი ვაჭრები ირანის მთავრობის და მაჰმადიანი მეფის საშუალებით ცდილობდნენ თავიანთი კლასობრივი ინტერესების უზრუნველყოფას. წვრილი ვაჭრები და ხელოსნები ძალადობას განიცდიდნენ ქალაქის ზედაფენის მხრივ. ამათ (ხშირ შემთხვევაში მეფე-დედოფლის და ფეოდალების ყმებს) საკუთარი ბატონები მფარველობდნენ, მაგრამ მათთვის ძნელი იყო მეტოქეობა გაეწიათ მსხვილი ვაჭრებისათვის, რომელნიც მრავალნაირად იყვნენ დაკავშირებული მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ვაჭრობასთან. ამასთან დიდვაჭრები გაერთიანებული ჩანან ამხანაგობაში, რომელთაც ურტაღის მსგავსი ფუნქციები უნდა ჰქონოდათ XVII—XVIII სს. სა-

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 233—234.

[2] იქვე, გვ. 264—265.

[3] С. Н. Какабадзе, Крестьянский вопрос и крестьянские движения Восточной Грузии в XVIII веке.

ქართველოში. ისინი მხოლოდ „ოსმალობის“ დროს გამოდიოდნენ უცხო ძალის მფლობელობის წინააღმდეგ და მხოლოდ ამ შემთხვევაში უჭერდნენ მხარს დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლას[1].

ირანის და ოსმალეთის ბატონობის ან მფლობელობის პოლიტიკური და ეკონომიური შედეგები ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მწარმოებელ საზოგადოებას აყენებდა. „ყიზილბაშობა“-„ოსმალობის“ დროს კი ქართველ გლეხს ერთდროულად ორი ექსპლოატატორი უჩნდებოდა: ადგილობრივი ფეოდალი და უცხო მოხელე.

ქართველი გლეხობაც, რა თქმა უნდა, კლასობრივი თვალსაზრისით აფასებდა პოლიტიკურ მოვლენებს (ამის ყველაზე მკაფიო ნიმუშია ბატონყმობის უღელში ახლად შებმული გლეხობის დამოკიდებულება მონღოლთა შემოსევისადმი). კლასობრივი თვალსაზრისითვე ფასდებოდა „ლეკიანობა“ (გლეხების გაქცევა ლეკთა უბატონო თემებში), ყიზილბაშებთან და ოსმალებთან დამოკიდებულების საკითხი[2].

მძიმედ ექსპლოატირებული გლეხი ადვილად შეიძლებოდა მიმხრობოდა გარეშე მტერს, თუ მასში მისი მჩაგვრელი ფეოდალების დამასუსტებელ ძალას დაინახავდა. მით უმეტეს, რომ პირველ ხანებში დამპყრობლები მიმართავდნენ სოციალურ დემაგოგიას. სეფიანი შაჰები ადგილობრივ მმართველებს და მფლობელებს, რომელთა დამორჩილებასაც ისინი ცდილობდნენ, დემაგოგიურად გლეხთა მჩაგვრელებს, მტარვალებს და მოძალადეებს უწოდებდნენ[3]. ასეთსავე ხერხს მიმართავდა ირანი (და ოსმალეთიც) საქართველოში.

მაგრამ ყიზილბაშების და ოსმალების შემოსევებისა და რბევა-თარეშის შედეგები, უპირველეს ყოვლისა, გლეხთა მდგომარეობას აუარესებდა. ამიტომ დამპყრობელთა წინააღმდეგ ყველაზე აქტიურად ქართველი გლეხები იბრძოდნენ.

განსაკუთრებით უარესდებოდა გლეხთა მდგომარეობა „ყიზილბაშობის“ და „ოსმალობის“ დროს. სათათრო ხარკის მაგიერ გლეხებს ახლა „თათრის გადასახადების“ გადახდა ევალებოდათ. ამით ქართველი გლეხის სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა უახლოვდებოდა რაიათის მდგომარეობას.

დამახასიათებელია, რომ სიტყვა „რაიათი“ ქართველი გლეხის აღსანიშნავად სწორედ „ყიზილბაშობა“-„ოსმალობის“ დროს

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, 1944, ნაკვ. I.
[2] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 186, 191, 192 და სხვ.
[3] ჰაბიბ ას-სიარ, III, გვ. 85.

ჩნდება (XVIII ს-ის მეორე მეოთხედში) და კვლავ ჰქრება „ქართველობის“ აღდგენის პერიოდში. ამასთან „რაიათი“ დამოწმებულია ქართულ საბუთებში, რომლებიც მაჰმადიანი ხანების ან ქართველი ნეფეების მიერაა გაცემული[1].

აღებული ხანის ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში „რაიათი“ შემთხვევით არ უნდა გაჩენილიყო. ამ დროს ქართველი გლეხის გადასახადები და ვალდებულებანი დაემსგავსა რაიათის გადასახადებსა და ვალდებულებებს. „ოსმალობა“-„ყიზილბაშობის“ დროს გაჩნდა: მირი, ბაჰრა, ისფენჯი, სალიანი, სურსათი, მალუჯათი და სხვ. გაჩნდნენ მუბაშირები, რომლებიც ქართველ გლეხებში აღმოსავლური საგადასახადო სისტემის მიხედვით კრეფდნენ გადასახადებს.

რაიათი, უეჭველია, ნახმარია იმის გამო, რომ გლეხები დაკავშირებული აღმოჩნდნენ აღმოსავლურ საგადასახადო სისტემასთან, უკეთ, მიმაგრებული იქნენ გადასახადებზე და არა გლეხის ქართველ ფეოდალზე დამოკიდებულების ხასიათის შეცვლის გამო. ფეოდალური ექსპლოატაციის ქართული ფორმები (გადასახადები და ვალდებულებანი) ამ დროსაც შენარჩუნებული იყო და ადგილობრივი ფეოდალები ახლაც მონაწილეობდნენ გლეხთა ორმაგ ექსპლოატაციაში.

ქართველი გლეხები ებრძოდნენ „თათრის მფლობელობას“, რომელთანაც უშუალოდ იყო დაკავშირებული „თათრის ხარაჯობა“. საამისოდ ისინი იყენებდნენ კლასობრივი ბრძოლის როგორც აქტიურ (მონაწილეობა ანტიოსმალურ და ანტიირანულ აჯანყებებში), ისე პასიურ ფორმებს (აყრა-გაქცევა).

მეტად გამჭვირვალედაა აღბეჭდილი ქართველი გლეხების კლასობრივი ბრძოლა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“-

„დავთრის“ მიხედვით მთელი რიგი სოფლები „ცარიელია რეაიასაგან“[2], ე. ი. აყრილ-გაქცეული გლეხებისაგან. „დავთრის“ ნაგვიანევ ჩანაწერებშიც (XVIII ს-ის მეორე ნახევარი) ლაპარაკია „გადახვეწილთა, დაკარგულთა, მოძებნილთა, გაქცეულთა“ შესახებ[3]. ყველაფერი ეს დოკუმენტურად მოწ-

---

[1] საამისო საბუთები იხ. ჩვენს ნაშრომში: ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი კლასები და კლასობრივი ბრძოლა ირანის და ოსმალეთის ბატონობის პერიოდში, გვ. 384—385.

[2] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 36, 37, 81, 83, 85, 97, 98, 107, 111, 115, 126 და შემდეგ.

[3] იქვე, თურქული ტექსტი, გვ. 262, ქართული თარგმანი, გვ. 258.

შობს გლეხთა ბრძოლას ოსმალების წინააღმდეგ XVI ს-ის დამლევიდან XIX საუკუნემდე.

საინტერესოა, რომ გლეხთა „დაფანტვა“ დაკავშირებული ჩანს ბეგრის აღმოსავლურ სახეობასთან. ამ შემთხვევაში გარბიან იმ სოფლის გლეხები, რომელთაც ხიდების შეკეთება ევალებათ. ასე დაიფანტნენ, მაგალითად, სოფ. ყუთარ-მელიქის გლეხები. „დავთრის“ მიხედვით მათ დაკისრებული ჰქონიათ ხიდების შეკეთება ხსენებული სოფლიდან არტაანამდე. გაქცეული გლეხების უკან დაბრუნების პირობად მოხელეები აუცილებლად თვლიან მათ სხვადასხვა გადასახადებისაგან განთავისუფლებას და მხოლოდ ხიდების მოვლა-შეკეთების დაკისრებას. ოსმალო მოხელეების ამგვარი მზრუნველობის მიზეზი იქვეა განმარტებული: „ვინაიდან ზემოხსენებული სოფელი (ყუთარ-მელიქი—ვ. გ.) არზრუმის, არტაანისა და ახალციხის გზებზე მდებარეობს და ვინაიდან [მას] გამვლელ-გამომვლელთა განუწყვეტელი მგზავრობისა და დაბანაკებისაგან მოსვენება არა აქვს, მისმა მცხოვრებლებმა ამის გამო დაფანტვა იწყეს და [სოფელი] ლამის გაპარტახდეს“[1]. აღწერილი სურათი ზედმიწევნით მოგვაგონებს გზების გასწვრივ მდებარე სოფლების მდგომარეობას მორღოლთა ბატონობის ხანაში.

გლეხთა კლასობრივი ბრძოლის პასიური ფორმის (აყრა-გაქცევა) გამო მრავლად მოიპოვება ცნობები XVIII ს-ის ქართულ დოკუმენტურ წყაროებში.

XVIII ს-ის დამდეგის ერთ საბუთში ნათქვამია: „მე ხეჩუასშვილმა გიორგიმ, ჩემ[მ]ა ძმამ ზურაბამ ჩვენის ორის შვილის არუთინათი და ავთანდილათი და ჩემის ცოლით და ორის ქალითა ოცდარვა წელიწადი ჯავახეთს ვიყავით. თ ა თ რ ი ს ქ ე ლ ი ს ა გ ა ნ დ ა ხ ა რ ა ჯ ი ს ა გ ა ნ ძ ა ლ ა დ ა გ ვ ე მ ა რ თ ა. მოვედით ერთობილათ, დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი თავი“[2]. საბუთის მიმცემი, რომელიც „თათრის ხარაჯობას“ გამოექცა, ძმითა და ცოლშვილით ნასყიდობის წესით თბილისელ მოქალაქეს ყმად უხდება.

1779 წ. კათალიკოსი ანტონ I კახეთში აყრილსა და უკან დაბრუნებულ გლეხს ასე მიმართავს: „ო ს მ ა ლ ი ს ა დ ა ყ ი ზ ი ლ-

---

[1] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქ. ტექსტი, გვ. 286, 453, ქართ. თარგმ., გვ. 280, 442—443.

[2] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, I, გვ. 117.

ბაშის გამოსაღებისაგან ვეღარ დამდგარი-ყავ აყრილიყავ და კახეთს ხიზნათ გასულიყავ"[1].

„ოსმალობა"-„ყიზილბაშობის" დროს გლეხთა აყრა-გაქცევამ მასიური ხასიათი მიიღო. ქართველი ფეოდალები ამ მოვლენას ოსმალო ან ყიზილბაში მოხელეების საშუალებით ებრძოდნენ, მათი შემწეობით ცდილობდნენ აყრილ-გაქცეული გლეხების უკან დაბრუნებას[2]. საამისო არა ერთი საბუთი მოგვეპოვება ოსმალთა და ყიზილბაშთა მფლობელობის ხანიდან (1724—1749 წწ.)[3].

მუბაშირ-დავთარდარები აღმოსავლური წესით მოითხოვდნენ ყმა-მამულის გამოსაღებს. მოქმედებაში იყო ხალხის აღწერის დავთარი, რომელშიაც ყველა სოფელი იყო აღწერილ-აღნუსხული[4]. ვისაც უჭირდა და გადასახადებს ვერ იხდიდა, მას მუბაშირები იჭერდნენ და ყიდდნენ, ზოგი კი მამულის გაყიდვით ან დაგირავებით აღწევდა თავს მუბაშირებს[5].

აქამდე ოსმალო და ყიზილბაში მოხელეები ფეოდალებისაგან თხოულობდნენ გადასახადებს, ფეოდალები ყმა-გლეხებისაგან. ზოგი მამულს ჩალის ფასად ჰყიდდა, ზოგი ყმა-გლეხებს, რათა როგორმე თათრის გადასახადი გადაეხადა.

გლეხის მეურნეობა ამდენ გადასახადს ვერ უძლებდა; თანაც გლეხებს უნდა გამოეყვანათ ურმები სამხედრო ტვირთის და სურსათის გადასაზიდად, რაც მათ მეურნეობიდან მოცდენას იწვევდა, ყველაფერი ეს აპირობებდა სოფლის მეურნეობის დაქვეითებას, მის გაპარტახებას. მეურნეობის წარმოება აზრს კარგავდა. ამიტომ „თათრის მფლობელობა" საქართველოში მიუღებელი იყო როგორც მფლობელებისათვის, ისე მწარმოებლებისათვის.

„თათრის მფლობელობის" დროს ქართველი ფეოდალი იძულებული იყო წილი დაედო ირანის ან ოსმალეთის ხაზინისათვის.

---

[1] დოკუმენტები..., I, გვ. 109.

[2] საქ. სიძვ., III, გვ. 49, 418—419; საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, გვ. 66, 82—84, 86. საინტერესოა სპარსულ საბუთებში დამოწმებული ტერმინები: „დაფანტული" („მოთაფარაკე") და „შეკრება-შეგროვება" („ჯამ'-აური". შდრ. XVIII ს-ის სპარსული საბუთების „ქუჩიდან"). ამავე დროს აღნიშნულია, რომ „დაფანტული" გლეხები „თავიანთ თავდაპირველ ადგილზე" უნდა დაბრუნონ. ამ ტერმინებს მნიშვნელობა აქვთ გლეხთა მიწაზე მიმაგრების საკითხის გამოსარკვევად აღმ. ამიერკავკასიაში.

[3] ვ. გაბაშვილი, ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი კლასები და კლასობრივი ბრძოლა..., გვ. 386—387.

[4] საქ. სიძვ., II, გვ. 365.

[5] საქ. სიძვ., II, გვ. 353; იქვე, I, გვ. 140—141.

ამავე დროს, გადასახადებით დამძიმებული გლეხი ტოვებდა მეურნეობას და გარბოდა. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ „თათრის მფლობელობა“ ქართველი ფეოდალების მამულებს ყიზილბაშური ან ოსმალური მიწისმფლობელობის წესებს უქვემდებარებდა.

ქართველი გლეხისათვის „თათრის მფლობელობა“ მიუღებელი იყო იმის გამო, რომ იგი ორმაგი ექსპლოატაციის მსხვერპლი ხდებოდა, თანაც „თათრის ხარაჯობას“ ახალი გადასახადები შემოჰქონდა.

ქართული ფეოდალური საზოგადოების გაერთიანება ადვილად ხერხდებოდა, როდესაც საქმე „თათრის მფლობელობის“ წინააღმდეგ ბრძოლას ეხებოდა. „თათრის მფლობელობის“ შემოღების ცდებს ანდა „თათრის მფლობელობის“ დამყარებას ჩვეულებრივ თან სდევდა აჯანყებები (შაჰ-აბასის წინააღმდეგ XVII ს-ის პირველ მეოთხედში, ნადირ-შაჰის წინააღმდეგ XVIII ს-ის მეორე მეოთხედში). ასეთ ვითარებაში დამპყრობელს უძნელდებოდა კვლავინდებურად გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ ფეოდალური საქართველოს სოციალური სტრუქტურა, შინაკლასობრივი და კლასობრივი ბრძოლა.

ასეთი ვითარება შეიქმნა კერძოდ XVII ს-ის პირველ მეოთხედში, როცა ახალი ძალით განახლდა ქართული მიწების მიტაცებისათვის ბრძოლა და ირანმა მტკიცედ გადაწყვიტა საქართველოს მაჰმადიანურ სახანოდ გადაქცევა.

შაჰ-აბასი (1587—1629) მრავალი წლის განმავლობაში ემზადებოდა საქართველოს დასაპყრობად. „გურჯისტანის საკითხი“ ერთნაირი სიმწვავით იდგა ირანის წინაშე როგორც რუსეთთან, ისე ოსმალეთთან ურთიერთობაში. შაჰი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ არ დაეშვა საქართველოს ურთიერთობის გაღრმავება-გაძლიერება რუსეთთან. ამიტომ, მისი აზრით, საქართველოს დაპყრობა აუცილებელი იყო. შაჰს ესმოდა, რომ საქართველოს ურთიერთობა რუსეთთან განამტკიცებდა იმ ძალებს, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას ცდილობდნენ.

შაჰ-აბასი შესანიშნავად ერკვეოდა ქართული ფეოდალური საზოგადოების წინააღმდეგობებსა და ძალთა განწყობილებაში[1]. მის

[1] ამ წინააღმდეგობებით მარჯვედ სარგებლობდნენ ოსმალებიც. საამისო ცნობების გამოკრეფა შეიძლება ოსმალური წყაროებიდან. იხ. ს. ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევი საქართველოს შესახებ, ენიმკის „მოამბე“, 1940, ტ. V—VI, გვ. 370-389; მისივე, ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, იქვე, ტ. XIII, გვ. 207—217; მისივე, ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი, იქვე, გვ. 233—242.

აგენტებს კავშირი ჰქონდათ მეფე-მთავრებთან, თავადებთან, აზნაურებთან, ვაჭრებთან, გლეხებთან.

შაჰ-აბასი მიმართავდა სხვადასხვა საშუალებას ქართული ფეოდალური საზოგადოების სხვადასხვა ფენის მისამხრობად, ირანის მხარეზე გადასაყვანად, ირანის სამსახურში გამოსაყენებლად. ამ მხრივ ერთი უმთავრესი საშუალებათაგანი იყო ქართველების დაწინაურება ირანის პოლიტიკურ და სამხედრო სარბიელზე.

ვინც კი საქართველოში რითიმე უკმაყოფილო იყო, ირანში ეძებდა სამართალს, მეტოქე-მოწინააღმდეგის წახდენას, გაკეთებაგამდიდრებას, სახელის მოხვეჭას. შაჰ-აბასი ყველას პატივით იღებდა, ჯამაგირს უჩენდა, თიულებს ურიგებდა, „წყალობასა“ და სახელს არ აკლებდა. მათგან იგი მხოლოდ გამაჰმადიანებას მოითხოვდა.

ჯავახიშვილებთან დავის დროს გიორგი საკაძე სასამართლოში აღნიშნავდა: „ბევრი საბატიოს კაცისშვილი სხვაც წავიდა ბედნიერის ყეენთანა, დღესაც სრულ საბატიოს ქართუელთ კაცის შვილებიც იქ არიან“[1]. ვისაც დაწინაურება-წარმატება სურდა, ირანში მიდიოდა, ყულის ჯარში შედიოდა. მაგრამ ყულის ჯარის შესავსებად შაჰი მუქარა-იძულებასაც მიმართავდა[2].

შაჰ-აბასის პოლიტიკურ გეგმებთან ორგანულად იყო დაკავშირებული ქართული მიწების მიტაცების საკითხიც.

შაჰ-აბასი აგრძელებდა XVI ს-ის ირანის შაჰების იმ პოლიტიკას, რომლის რეალიზაციამ აღმ. ამიერკავკასიაში ყიზილბაშური სახანოები წარმოქმნა. „საქართველოს მიმართ შაჰ-აბასი ყველაზე თანამიმდევრული ყიზილბაში იყო. მისი მოღვაწეობა ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში თურქმან-ყიზილბაშ მომთაბარეთა მიერ ქართული მიწების მიტაცებისათვის ბრძოლის ახალ ეტაპს მოასწავებდა“[3]. ასე განახლდა ქართული მიწების მიტაცებისათვის წარმოებული ის ბრძოლა, რომელიც XVI ს-ში ყიზილბაშებმა წამოიწყეს.

შაჰ-აბასის მთავარი მიზანი ქართული მიწისმფლობელობის გაუქმება იყო: „საქართველოს სამხრეთით და აღმოსავლეთით, მის ყოფილ მიწა-წყალზე, გაქრა ქართული მიწისმფლობელობა, გადაშენდა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა, საბოლოოდ განმტკიც-

---

[1] საქ. სიძვ., II, გვ. 56.

[2] დაწვრილებით იხ. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი კლასები და კლასობრივი ბრძოლა..., გვ. 390—391.

[3] ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, „მიმომხილველი“, III, გვ. 78.

და ამ ადგილებში სახანო-სასულთნოები (ლორე-ბამბაკი, შორაგილი, შამშადილუ, ყაზახი, ბორჩალუ, ბაიდარი და მტკვრის მარცხენა მხარე—დემურჩი ასალუ) თურქმანულ-ყიზილბაშური მოსახლეობით"[1]. ყველაფერი ეს მიზნად ისახავდა ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის ირანულ-ყიზილბაშური მიწისმფლობელობით შეცვლას. ამ განზრახვის წარმატებით გადაწყვეტაზე იყო დამოკიდებული აღმ. საქართველოს სამხედრო-ადმინისტრაციული რეორგანიზაცია ყიზილბაშურ საფუძველზე—მაჰმადიანური სახანოს შექმნა. ყველა ამან კითხვის ქვეშ დააყენა „ქართველობის" (ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის), ქართული სახელმწიფოს არსებობის საკითხი.

1614 წლიდან შაჰ-აბასი სასტიკად ახორციელებდა „ეკონომიური ომის" საშუალებებს კახეთის მიწა-წყალზე: მისი ბრძანებით ყიზილბაშებმა დაანგრიეს სასახლეები, ციხეები, ეკლესია-მონასტრები, სამეურნეო ნაგებობანი, აჩეხეს კახეთის ბაღ-ვენახები, ძირიანად ამოყარეს თუთის ხეები (მეაბრეშუმეობის საფუძველი), 40.000 კომლი (უპირატესად გლეხ-კაცობა) ირანს გადაასახლეს. შაჰმა კახეთის სოფლები დააცარიელა კულტურული მეურნეებისაგან. ყველა ამან მდიდარი კახეთი წელში გატეხა, ქვეყანა კი სახანოდ იქცა.

რისხვად მოევლინა შაჰ-აბასი ქართლსაც. აქ მან ხანად გამაჰმადიანებულ-გასპარსელებული ბაგრატ-მირზა დასვა. შაჰი დაუყოვნებლივ შეუდგა ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის გაუქმებას. უკვე 1603—1606 წწ. შექმნილ სახანო-სასულთნოების განმტკიცება-გაფართოებასთან ერთად ახლა იგი საამისო ღონისძიებებს ქართლის შიდა ოლქებში ახორციელებდა.

შაჰ-აბასი ხელს სდებდა ქართულ მიწებს, ქართველი ფეოდალების მამულებს. ეს ჩანს 1614—1626 წწ. საბუთებიდან, აგრეთვე შედარებით ნაგვიანევი იმ საბუთებიდან, რომლებშიაც 1614—1626 წწ. საადგილმამულო ვითარებაა გახსენებული მამულის მფლობელობის განახლებასთან დაკავშირებით[2].

ზაქარია და იესე ჯავახიშვილების და მოურავის (გიორგი საakაძის) 1624 წ. გაერთიანების პირობაში ვკითხულობთ: „ამად რომე ჩვენი სამკვიდრო თავა მისთა დღეში ჩვენი ყოფილიყო და მერმე ბედნიერის ყეენისაგან არ წაგვრთმეოდა და ისრევ ჩვენი იყო"[3]. დამოწმებული საბუთიდან ირკვევა, რომ იყვნენ ისეთი

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 78.
[2] ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 392—394.
[3] საქ. სიძგ., II, გვ. 61.

ქართველი ფეოდალებიც, რომელთაც „სამკვიდრო მამულები“ წაერთვათ. ქართული ფეოდალური სამართლით „სამკვიდრო მამული“, განსაკუთრებით „ნასყიდი“, როგორც წესი, „დაუნაშავებლად არავის წაერთმოდა“. შაჰ-აბასს ეს წესი შეიძლებოდა გამოეყენებინა იმ ფეოდალების მიმართ, რომლებიც მის ღონისძიებებს წინააღმდეგობას უწევდნენ და შაჰს ებრძოდნენ. მაგრამ მამულის მფლობელობისათვის რომ ახლა საერთოდ „ყაენის ფარვანა“ (შაჰის ფირმანი) იყო საჭირო, ამას 1615 წლით დათარიღებული მამულის და ყმების წყალობის წიგნის შინაარსიდან ვგებულობთ[1]. იქ პირდაპირ არის ნათქვამი: „რ ა რ ი გ ა ც ა ბ ე დ ნ ი ე რ ი ს ყ ა ე ნ ი ს ფ ა რ ვ ა ნ ა გ ქ ო ნ დ ე ს, ჩ უ ე ნ ც ა ი ს რ ე გ ა გ უ ი თ ა ვ ე ბ ი ა“. მაშასადამე, ირანის შაჰის ფირმანი მამულისა და ყმის მფლობელობისათვის აუცილებელი იყო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ასეთი ფირმანები (ორთენოვანი) უკვე არსებობდა ანდა ქართველი ფეოდალები ჩქარობდნენ მიეღოთ ის ირანის შაჰისაგან. საინტერესოა გაცემული საბუთის თარიღი: 1615 წელი. ამ დროისათვის ლუარსაბ II-ის ბედი ჯერ კიდევ არ იყო გამორკვეული და მამულისა და ყმის მფლობელობის სიმტკიცისათვის ეეიძლებოდა მიემართათ შაჰის „საპატიო ტყვისათვის“, რომელიც ჯერ ისევ მეფედ ითვლებოდა. მართალია, მამულის მფლობელობის სიმტკიცე გამომდინარეობდა ფეოდალის უფლებიდან და არა მეფის გადაწყვეტილებიდან, მაგრამ სახლის კაცებთან უთანხმოება-წინააღმდეგობის დროს ფეოდალს სჭირდებოდა მეფის დასტური იმაზე, რომ „არას შენის გუარის კაცს შენს მამულზედ კელი არა ჰქონდეს“, როგორც ეს დამოწმებულ საბუთშია ნათქვამი.

ამავე დროს, თვითონ მეფე საჭიროდ თვლის განმარტოს, რომ ის „გაათავებს“ (შეასრულებს) იმას, რაც შაჰის ფირმანშია აღნიშნული. ამას იგი ამბობს ძველად ნაქონ და მეფისაგან ნაბოძებ ყმა-მამულთან დაკავშირებით. მაშასადამე, ფეოდალს (დავითიშვილი დავითს და მის შვილებს) აქვთ შაჰის ფირმანიც. როგორც ვხედავთ, საბუთში მეტად საინტერესო მდგომარეობაა ფიქსირებული. ერთი მხრივ, არსებობს ქართული საბუთი, ხოლო, მეორე მხრივ, შაჰის ფირმანი. აღნიშნული გარემოება, ვფიქრობთ, კარგად გვირკვევს, თუ როგორ ვითარებაში უნდა გაჩენილიყო ორენოვანი (ქართულ-სპარსული) საბუთები XVI ს-ის 80-იან წლებში. მაგრამ ამ შემთხვევაში ქართველი მეფე მიუთითებს შაჰის ფირმა-

---

[1] საქ. სიძვ., II. გვ. 228.

ნის (ერთენოვანი საბუთის) არსებობაზე, მაშინ, როდესაც XVI ს-ის ორენოვანი საბუთებით ყმა-მამულის მფლობელობა ქართველი მეფის მიერ არის განახლებული ან ნაბოძები. შაჰის ფირმანი, კარგად ჩანს, ყმა-მამულის მფლობელობას შეეხებოდა. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ ფეოდალს მფლობელობის სიმტკიცისათვის „ჯა-მოხსენებით" უნდა მიემართა როგორც მეფისათვის, ისე შაჰისათვის. ამის დამამტკიცებელია XVII ს-ის მეორე ნახევრის და XVIII ს-ის პირველი ნახევრის შაჰის ფირმანები, რომლითაც დადასტურებულია ქართველი ფეოდალების მფლობელობა. მაგრამ ეს ფირმანები არსებობდნენ ორენოვანი საბუთების გვერდით. შაჰ-აბასი კი დაინტერესებული უნდა ყოფილიყო ერთენოვანი საბუთის შემოღებით, რადგან ეს მას შესაძლებლობას მისცემდა ქართველი ფეოდალებისათვის მამულისა და ყმის „წყალობა" შაჰის უფლებასთან დაეკავშირებინა.

სოფლების გაცემა რომ ახლა შაჰზე იყო დამოკიდებული ეს ჩანს ერთი საბუთიდან[1], რომლის შინაარსი ჩვენ მიერ გაანალიზებული და დამოწმებული იყო იმის საჩვენებლად, თუ როგორ ერეოდა შაჰ-აბასი ქართული ფეოდალური საზოგადოების საადგილმამულო ურთიერთობაში[2].

ჩვენი აზრით, შაჰ-აბასს უნდა შემოეღო ერთენოვანი სპარსული ფირმანები მამულის მფლობელობისა და განახლებისათვის, მოეს ორენოვანი საბუთები (ქართულ-სპარსული) და, ამრიგად, რეალური შინაარსით შეეცვლო წინათ ქართულზე დამოკიდებული სპარსული ტექსტი. ალბათ ამიტომაა, რომ 1626 წლამდე ჩვენ არ მოგვეპოვება ორენოვანი საბუთები. ხელახლად ჩნდება ასეთი საბუთი 1626 წლისათვის, როდესაც შაჰ-აბასის პოლიტიკამ საქართველოს მიმართ მარცხი განიცადა და შემუშავდა საქართველოსთან ურთიერთობის კომპრომისული ფორმა.

ორენოვანი საბუთების არ არსებობა შაჰ-აბასის პოლიტიკის განხორციელების წლებში საყურადღებო ფაქტია. საეჭვოა, რომ ეს შემთხვევით აიხსნებოდეს (მაგ., ამგვარი საბუთების დაკარგვა-დაღუპვით), რადგან შაჰის პოლიტიკა ქართული მიწისმფლობელობის გაუქმების ხაზით თავისთავად გამორიცხავდა ორენოვანი საბუთების არსებობას. ყველაფერი ეს შაჰს სჭირდებოდა იმისათვის, რათა ქვეყანა სახანოდ გადაექცია. ამიტომ დასხა მან ქართლსა და კახეთში

---

[1] საქ. სიძვ., I, გვ. 113.

[2] ვ. გაბაშვილი, ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი კლასები და კლასობრივი ბრძოლა..., გვ. 393—394.

ხანებად გამაჰმადიანებულ-გასპარსელებული ქართველი უფლისწულები.

მაგრამ შაჰ-აბასი უფრო შორს მიდიოდა, ვიდრე ამას ფეოდალებისათვის მამულების ბოძება გულისხმობდა. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი „გურჯისტანის საკითხის“ ერთხელ და სამუდამოდ ირანის სასარგებლოდ გადაჭრა. 1614 წელს განახლდა რუსეთში გლეხთა ომის დროს შეწყვეტილი ირან-რუსეთის ურთიერთობა. რუსმა ელჩებმა შაჰის კარზე კვლავ წამოსწიეს საქართველოს საკითხი ირანთან ურთიერთობაში. თანამედროვე რუსულ დოკუმენტურ მასალებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ რუსეთი ირანთან მოლაპარაკების შსვლელობაში იმოწმებდა კახეთის მეფის ხელდებულებას მოსკოვის მეფის მიმართ. ნაგრამ იმას, რასაც XVI ს-ის 80-იან წლებში შაჰ-აბასი დიპლომატიურად ითმენდა[1], ახლა გადაჭრით უარყოფდა. ირანს ერთნაირად მიუღებლად მიაჩნდა როგორც ოსმალეთის, ისე რუსეთის შემოსვლა ამიერკავკასიაში[2].

შაჰ-აბასი ჩქარობდა. მას განზრახული ჰქონდა, გამარჯვების შემთხვევაში, ქართლის თავადების ირანს გადასახლება. ამ განზრახვის გამჟღავნებამ (მარტყოფის აჯანყების წინ) გააერთიანა და დარაზმა ქართველი ფეოდალები, გააძლიერა ანტიირანული განწყობილება.

შაჰ-აბასის წინააღმდეგ ახლა მოქმედებდნენ ისინიც, ვინც ქართლში ხანად გამოგზავნილ გამაჰმადიანებულ-გასპარსელებულ სიმონ II-ს თან ძოჰყვნენ ირანიდან. საქმე ეხებოდა თავადის უფლებებს, თავადის ძალაუფლების მატერიალურ საფუძველს (ყმა-მამულის მფლობელობას), თავადურ-ბატონყმური სახელმწიფოს არსებობას. ასეთ ვითარებაში თავადებმა ძველი შუღლი ადვილად დაივიწყეს და ერთმანეთს გაუერთიანდნენ ყმა-მამულებისათვის საერთო ბრძოლაში.

შაჰ-აბასს სწრაფად მოეშალა სოციალური დასაყრდენი აღმ. საქართველოში. მას აღარ შეეძლო კვლავინდებურად გამოეყენებინა არც შინაკლასობრივი და არც კლასობრივი ბრძოლა.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, 1944.

[2] შაჰ-აბასის პოლიტიკა საქართველოს მიმართ მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობის ფონზე შესწავლილია ჩვენს წერილში: ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, გვ. 89—124. იქვე დამოწმებულია რუსული და დას. ევროპული წყაროები.

საყურადღებოა, რომ შაჰ-აბასის პოლიტიკით საქართველოს მიმართ უკმაყოფილონი იყვნენ გასპარსელებულ-გაყიზილბაშებული ქართველებიც. უკმაყოფილო უნდა ყოფილიყო, უპირველეს ყოვლისა, ირანში მყოფი გამაჰმადიანებული ქართველების თავადური ნაწილი. გამაჰმადიანებულ-გასპარსელებულ ქართველ ფეოდალებს კავშირი არ ჰქონღათ გაწყვეტილი ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასთან და წილი ედოთ თავიანთი ფეოდალური „სახლეების“ ყმა-მამულში. ამიტომ შაჰ-აბასის პოლიტიკა უშუალოდ ეხებოდა გამაჰმადიანებულ-გასპარსელებული ქართველების კლასობრივ ინტერესებსაც. XVII ს-ის ევროპულ წყაროებში (პიეტრო დელლა ვალლე, თომას ჰერბერტი) დამოწმებული გვაქვს ირანში მყოფი ქართველების უკმაყოფილების მიზეზები[1].

საინტერესოა, რომ მარტყოფის აჯანყებასთან (1625 წ.), სომეხი ისტორიკოსის ზაქარია სარკავაგის ცნობის მიხედვით, დაკავშირებულია ირანის დიდმოხელე და განჯის ბეგლარბეგი დაუდ-ხან უნდილაძე[2].

ზაქარია სარკავაგის სიტყვით, დაუდ-ხანს ახლო ურთიერთობა ჰქონდა გიორგი საკაძესთან. მასთან საუბრების დროს, ამბობს სომეხი ისტორიკოსი, ის ყარჩიხა-ხანის (ყიზილბაშთა ლაშქრის სარდლის) ლანძღვა-გინებას არ ეხსნებოდა. აჯანყების საკითხი გადაწყვიტა მოურავის მიერ შეპყრობილი შაჰის შიკრიკის წერილმა. ეს საიდუმლო წერილი, რომელშიაც შაჰი ყარჩიხა-ხანის, მისამართით ქართველების დახოცვაზე და „საქართველოს მოთხრაზე“ ლაპარაკობდა, მოურავმა უჩვენა დაუდ-ხანს. ამ უკანასკნელმა ურჩია მოურავს გაეკეთებინა ყველაფერი, რის გაკეთებაც შესაძლებელი იყო, თვითონ კი განჯას წავიდა[3]. საინტერესოა ზაქარია სარკავაგის ის ცნობაც, სადაც ნათქვამია, რომ დაუდ-ხანმა არ შეასრულა შაჰის ბრძანება და არ შეუერთდა ყორჩიბაშის ლაშქარს (მარაბდის ომის წინ). ავადმყოფობა მოიმიზეზა და განჯაში დარჩა[4].

---

[1] ვ. გაბაშვილი, ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი კლასები და კლასობრივი ბრძოლა..., გვ. 395.

[2] დაუდ-ხანი ირანის პირველი ყულარაღასის და ფარსის ბეგლარბეგის ალავერდი-ხანის შვილი იყო. მისი ძმა იმამყული-ხანი ფარსის ბეგლარბეგად იჯდა. უნდილაანთ ფეოდალური სახლი ნათესაური ურთიერთობით იყო დაკავშირებული ქართველ მეფე-ფეოდალებთან: თეიმურაზ I-ის და ელენე ცოლად ჰყავდა დაუდ-ხანს, იმამყული-ხანის ქალი—ანდუყაფარ ამილახვარს, მეორე ქალი გათხოვილი იყო დაუდ-ბეგ საკაძეზე, ირანის ამირსპასალარის და თაკრიზის ბეგლარბეგის ძმაზე

[3] Collection d'histoirens Armeniens, traduits par M. Brosset, t. II, გვ. 23.

[4] იქვე.

დაუდ-ხანი შემდეგაც აქტიურად მონაწილეობდა თეიმურაზ I-ის აჯანყებაში. ქართველი ისტორიკოსები (არჩილი, ვახუშტი ბოგრატიონი), როსტომ-ხანის პოლიტიკის მომხრე ფარსადან გორგიჯანიძის გამოკლებით, დადებითად აფასებენ დაუდ-ხან უნდილაძის მოღვაწეობას. თეიმურაზ I კი თავის პოემა „ქეთევან დედოფლის წამებაში“ აქებს მის ძმას იმამყული-ხანს—ფარსის ბეგლარბეგს, რომელიც ირანის სახელმწიფოში მეორე პირი იყო შაჰის შემდეგ. უნდილაანთ ფეოდალური სახლის პოლიტიკური განწყობილება მეტად ნიშანდობლივია XVII ს-ის 20-იანი წლებისათვის შექმნილი ვითარებისათვის. მით უმეტეს, რომ ეს ფეოდალური სახლი ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობდა მთელს ირანში და განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილში.

ამრიგად, შაჰ-აბასს დასაყრდენი მოეშალა ირანში მყოფი ქართველების წრეშიც[1]. კიდევ უფრო ჰკვეთრად დაუპირისპირდნენ მის პოლიტიკას „შაჰის წყალობის“ მომხვეჭელი ქართველი ფეოდალები საკუთრივ საქართველოში.

საქართველოში მრისხანე აჯანყებამ იფეთქა გიორგი სააკაძის მეთაურობით. ამ აჯანყებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველი გლეხები.

შაჰ-აბასის შემოსევების შედეგებმა ყველაზე მძიმედ ქართველი გლეხკაცობა დააზარალა. დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტა, სოფლების გადაწვა, აყრა-გადასახლება, ყველაფერი ეს რისხვად დაატყდა თავს გლეხობას. კახეთი ნასოფლარებით მოიფინა, ქართლის სოფლები ასეთივე საფრთხის წინაშე იდგა. გლეხობა უბრძოლველად არ სთმობდა თავის სახლ-კარს, ოჯახს, სოფელს. მრისხანე განმათავისუფლებელი ბრძოლის მთავარ ძალად გლეხობა იქცა. ისკანდერ მუნშის მიერ დაწვრილებით აღწერილი ქართველი ხალხის მედგარი და შეუპოვარი ბრძოლის ეპიზოდები ყიზილბაშების წინააღმდეგ ფაქტიურად გლეხთა ბრძოლასთანაა დაკავშირებული.

შაჰ-აბასი იძულებული იყო ანგარიში გაეწია ქართველი ხალხის მედგარი წინააღმდეგობისათვის. 1625 წლისათვის ომი საქართველოში მას წაგებულად მიაჩნდა. იმავე წელს მან მოლაპარაკება დაიწყო თეიმურაზთან. შაჰი მზად იყო თეიმურაზი ქრისტიანობით

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიიდან ირკვევა, რომ ირანში მყოფ ქართველებში ერთსულოვნება არ არსებობდა შაჰთან დამოკიდებულების საკითხში. აქ, ჩანს, საკუთარი დასები ჰყავდათ დაუდ-ხანს და ხოსრო-მირზას (როსტომ-ხანს), რომელთა შორის აშკარა მტრობა-შუღლი არსებობდა. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, „საისტორიო მოამბე“, წ. II, 1925, გვ. 238—240.

ეცნო მეფედ, თუ ის „ოსმალურ ხალათს გაიხდიდა და ყიზილბაშურ ხალათს ჩაიცვამდა“ (ისკანდერ მუნში...). საქმე, ამრიგად, ეხებოდა ვასალური დამოკიდებულების ოდინდელი ფორმის აღდგენას.

შაჰი ახლაც ქართული ფეოდალური ძალების დაქსაქსვის ნაცად გზას დაადგა. ოსმალეთის იზოლაციის განზრახვა (თეიმურაზ-საკაძის ბრძოლაში) შაჰს უკარნახებდა კომპრომისის გზას დასდგომოდა და „გურჯისტანის საკითხში“ ის დაეთმო, რასაც იგი 1614—1624 წწ. არა გზით არ სთმობდა.

შაჰ-აბასს ესმოდა, რომ კომპრომისული პოლიტიკა მას შესაძლებლობას მისცემდა გადაეყვანა ქართველი თავადები ირანის მხარეზე. ამას ქართველი თავადები აკეთებდნენ კიდეც, როცა სავსებით იყო უზრუნველყოფილი მათი კლასობრივი ინტერესები. მეხარკეობა ან მეძღვნეობა, როგორც ვასალური დამოკიდებულების გარკვეული ფორმა, უშუალოდ არ ეხებოდა ყმა-მამულის მფლობელობას. დამოკიდებულების ეს ფორმა არ გამორიცხავდა „ქართველობას“. ამიტომ, შაჰის ვარაუდით, კომპრომისულ პოლიტიკას უნდა გაემრავლებინა ფეოდალური დაჯგუფებანი და გაეძლიერებინა წინააღმდეგობანი ამ ფეოდალურ დაჯგუფებებს შორის. საყურადღებოა, რომ სწორედ ამ მიზნით იგი თბილისში სტოვებდა მაჰმადიან სიმონ-ხანს. მანვე ხელახლად აღადგინა ორენოვანი საბუთი. ქართლში თავისებური „ორიანობა“ შეიქმნა. თბილისში მაჰმადიანი ხანი იჯდა, ხოლო ამავე დროს შაჰი თეიმურაზ I-ს ქართლ-კახეთის ქრისტიან მეფედ სცნობდა[1].

შაჰის ვარაუდი გამართლდა. საქართველოში ფეოდალური შინა ომი კვლავ განახლდა. ბაზალეთის ომმა (1626 წ.) ცხადყო მოპირდაპირე ფეოდალური ძალების ნკვეთრი დაპირისპირება. ამ ომში ფაქტიურად მონაწილეობდნენ ირანის და ოსმალეთის მომხრე ფეოდალური დაჯგუფებანი. აღსანიშნავია, რომ საგარეო ორიენტაციების საკითხში მკვეთრად გამოვლინებული წინააღმდეგობანი ეა წოდებრივი ბრძოლა კლასობრივი თვალსაზრისითაა შეფასებული XVII—XVIII სს. ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლების მიერ (ფარსადან გორგიჯანიძე, არჩილი, იოსებ თბილელი, ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი). ამით აიხს-

---

[1] აღსანიშნავია, რომ თეიმურაზ მეფის სახელთან დაკავშირებული არაა არც ერთი ორენოვანი საბუთი. როგორც ჩანს, ორენოვანი საბუთები მხოლოდ მაჰმადიანი ქართველი მეფეების დროს არსებობდა.

ნება აზრთა სხვადასხვაობა დასახელებულ ისტორიკოსთა ნაწარმოებებში ისეთი მოღვაწეების შეფასებაში, როგორიც იყვნენ გიორგი საკაძე, თეიმურაზ I და როსტომ-ხანი. სწორედ ამის გამო აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს: „არა ნაკლებ საინტერესოდ გამოიყურება ქართული საზოგადოების სხვადასხვა კლასის დამოკიდებულების საკითხი შაჰ-აბასთან. აქაც კლასობრივ-წოდებრივ ბრძოლაში საკუთარი სისუსტის „ღონედ", „უცხო ძალის" მოწვევის თვალსაზრისი ერთადერთი მართებული ხერხი ჩანს ამ განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიული ფაქტის მეცნიერული ახსნისათვის („საკაძის საკითხი"), ასევე ნაყოფიერი იქნებოდა ამ თვალსაზრისით გაშუქება „სპარსოფილურის" თუ ამის საწინააღმდეგო პოლიტიკისა XVII—XVIII სს-ში (როსტომი და თეიმურაზი...)[1]".

ბაზალეთის ომის შემდეგ მოვლენები სწრაფად განვითარდა. დამარცხებული გიორგი საკაძე ოსმალეთში გადაიხვეწა. მოწინააღმდეგე ფეოდალები სიმონ II-ის და თეიმურაზ I-ის გარშემო დაარაზმნენ. მაგრამ თავადების მნიშვნელოვანი ნაწილი თეიმურაზს ემხრობოდა, რადგან „ქართველობის" გადასარჩენად ბრძოლა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. შაჰ-აბასს სახელი გატეხილი ჰქონდა და ადვილად მას ახლა არავინ ენდობოდა.

„ქართველობისათვის" ბრძოლა ძირითადად მაინც მოგებული იყო. ქართველი ხალხის შეუდრეკელმა წინააღმდეგობამ და თავგადადებულმა ბრძოლამ შაჰ-აბასი აიძულა ხელი აეღო საქართველოს გაყიზილბაშებაზე. ქართველი ხალხის ბრძოლამ შაჰი დაარწმუნა, რომ „საქართველოს მოთხრა" მის შესაძლებლობას აღემატებოდა. შაჰი იძულებული იყო თავი დამარცხებულად ეცნო.

ქართველი ხალხი მის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მარტო არ იყო. მას დიდი მორალური დახმარება აღმოუჩინა რუსეთმა თავისი დიპლომატიური დემარშებით ირანის შაჰის კარზე[2]. შაჰი იძულებული იყო უკან დაეხია, რადგან არ სურდა საქართველოში გაეძლიერებინა რუსეთის მომხრეთა დასი.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქ. საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში, გვ. 179.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, გვ. 132. ვ. გაბაშვილი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან..., გვ. 120—124.

ქართველი ხალხის ბრძოლას ირანის წინააღმდეგ დახმარება აღმოუჩინეს და ხელი შეუწყვეს ამიერკავკასიის მოძმე ხალხებმა. საქმე ისაა, რომ 1614 წლიდან შაჰ-აბასს საქმე ჰქონდა აჯანყებებთან აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. 1614 წელს აჯანყებამ იფეთქა შირვანში. აჯანყებაში მონაწილეობდნენ აზერბაიჯანელი ხალხის ფართო მასები. აჯანყებულებმა კავშირი შეკრეს თეიმურაზთან და აიღეს ქ. არეში[1].

1625 წელს ჩრდ. აზერბაიჯანში დაიწყო სომეხ გლეხთა მოძრაობა, რომელიც გარეგნულად რელიგიურ სამოსელში იყო გამოხვეული და რომელსაც უდი მეხლუ-ბაბა მეთაურობდა. საინტერესოა, რომ მეხლუ-ბაბას მფარველობას უწევდა განჯის ბეგლარბეგი დაუდ-ხანი[2].

მიუხედავად იმისა, რომ ეს აჯანყება ანტიფეოდალური ხასიათის მატარებელი იყო, ის არ შეიძლებოდა მიმართული არ ყოფილიყო ირანის წინააღმდეგაც, რამდენადაც სომეხ გლეხთა ექსპლოატაციაში მთავარი ადგილი ყიზილბაშ ფეოდალებს ეჭირათ. ამასთან ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ანტიფეოდალური ბრძოლა არა ერთხელ გადაზრდილა განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ამ თვალსაზრისით აფასებს პ. ა რ უ თ ი ნ ი ა ნ ი სომეხ გლეხთა მოძრაობას მეხლუ-ბაბას მეთაურობით. საამისო მონაცემების ანალიზმა მას საფუძველი მისცა აღენიშნა, რომ ეს მოძრაობა მიმართული იყო არა მარტო სასულიერო და საერო ფეოდალების წინააღმდეგ, არამედ სეფიანთა ბატონობის წინააღმდეგაც[3]. საამისო არგუმენტად მას მოაქვს კერძოდ დაუდ-ხანის კავშირი გიორგი საკაძის აჯანყებასთან[4].

ქართველი ხალხის ბრძოლის წარმატებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი შაჰ-აბასის „რეფორმების“ მარცხმაც, ირანის საშინაო ვითარების გართულებამ.

შაჰ-აბასმა ვერ შეძლო ირანის გაძლიერება მუდმივად მოქმედი ფაქტორების საფუძველზე, სახელმწიფოს მტკიცედ ცენტრალიზება. გადასახადების განუხრელმა ზრდამ ეკონომიური დაქვეითების პირობებში მკვეთრად გააუარესა ირანელ გლეხთა მდგომარეობა.

---

[1] თარიხ-ი ალემ არა, გვ. 626—627; И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 329.

[2] ზ ა ქ ა რ ი ა ს ა რ კ ა ვ ა გ ი, გვ. 48; И. П. Петрушевский, დასახ. ნაშრ., გვ. 329—331.

[3] П. Т. Арутюнян, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

[4] იქვე.

ირანში უაღრესად გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა, დაიწყო გლეხთა მოძრაობანი, რაც მალე გადაიზარდა გლეხთა სერიოზულ აჯანყებაში[1].

გართულდა ირანის საგარეო პოლიტიკური ვითარებაც. მრავალწლოვანი ომი ოსმალეთთან ისევ გრძელდებოდა. გაუთავებელმა ომმა ერთნაირად დაასუსტა ორთავე მეტოქე სახელმწიფო. ამით მარჯვედ სარგებლობდნენ დაპყრობილი ხალხები და აჯანყებებით ცდილობდნენ თავისუფლების მოპოვებას (ქურთები, არაბები, სომხები, აზერბაიჯანელები, ქართველები...).

ასეთ ვითარებაში შაჰ-აბასს არ შეეძლო განეხორციელებინა ის, რაც მან 1614 წელს მიზნად დაისახა. ერთადერთი გამოსავალი იყო საქართველოს მიმართ კომპრომისული პოლიტიკის გამოყენება, საქართველოსთან ურთიერთობის მეხარკეობაზე და ვასალურ დამოკიდებულებაზე დაფუძნება.

შაჰ-აბასის გარდაცვალების შემდეგ ირანის შინაგანი და საგარეო ვითარება (ოსმალეთის შემოტევა) იმდენად გართულდა, რომ შაჰ-აბასისეული გეგმების აღდგენაზე საქართველოში ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. პირიქით, ახალ ვითარებაში ქართველები ირანის პოლიტიკური ბატონობისაგან მთლიანად განთავისუფლებას ცდილობდნენ. ამას ისახავდა მიზნად თეიმურაზ I-ის აჯანყება, რომელსაც ქართველი მეფე-მთავრებიც შეუერთდნენ და რომელშიაც მონაწილეობდა განჯის ბეგლარბეგი დაუდ-ხანი, ავრეთვე ალვანეთის სომეხთა კათალიკოსი[2]. აჯანყებასთან დაკავშირებული იყვნენ თავისუფლებისათვის მებრძოლი სომხები და აზერბაიჯანელები.

ახალი აჯანყება თეიმურაზ I-ის მეთაურობით მარცხით დამთავრდა. მაგრამ ამ მარცხს არ გამოურიცხავს საქართველოსთან ურთიერთობის კომპრომისული ფორმა. შაჰ-აბასის მემკვიდრე შაჰ-სეფი (1629—1642) იძულებული იყო თავისი წინამორბედის ის პოლიტიკა გაეგრძელებინა, რომელიც 1625 წლისათვის შემუშავდა.

ამ პოლიტიკის გამტარებელი იყო ქართლის ვალი როსტომ-ხანი (1632—1658). საქართველოსთან კომპრომისული ურთიერთობის პოლიტიკურმა ფორმამ მკაფიო გამოხატულება და რეალიზაცია მის მოღვაწეობაში ჰპოვა.

განსხვავება 1625 წელთან შედარებით იმაში იყო, რომ ახლა ქართლის მეფედ მაჰმადიანი ინიშნებოდა. მაგრამ ეს ოდნავადაც არ ცვლიდა და არ ეხებოდა ქართულ სოციალურ-ეკონომიურ წყობას,

---

[1] И. П. Петрушевский, Народное восстание в Гиляне в 1629 году, Ученые записки, ИВ, III, გვ. 225—226.

[2] ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 238—239.

რომლის წარმონაქმნსაც თავადურ-ბატონყმური სახელმწიფო წარმოადგენდა.

თეიმურაზთან ბრძოლაში როსტომმა იმით გაიმარჯვა, რომ ჰან უზრუნველყო თავადების კლასობრივი ბატონობის ყველა ის პირობა, რომელიც ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემიდან გამომდინარეობდა.

XVII ს-ის 30-იან წლებში აღმ. საქართველოში ირანის პოლიტიკური ბატონობა დამყარდა, სამცხე-საათაბაგოში კი ჩილდირის ანუ ახალციხის საფაშო შეიქმნა. თუ აღმ. საქართველოში კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლა განსაზღვრავდა სპარსოფილურ და ამის საწინააღმდეგო პოლიტიკას (თეიმურაზ I და როსტომი, ერეკლე I და გიორგი XI), ოსმალეთის მფლობელობის პირობებში ამ ბრძოლის მეთოდები და ხერხები მკვეთრად შეიცვალა. პოლიტიკური ბატონობისაგან განსხვავებით მფლობელობის დროს ხელდებულობის და მეხარკეობა-მეძღვნეობის საკითხი უკვე აღარ იდვა. აქ გამაჰმადიანებულმა ქართველმა ფეოდალებმა ოსმალურ წესებს შეუხამეს თავიანთი კლასობრივი ინტერესები. გაოსმალებულ სამცხე-საათაბაგოში მიმდინარე გლეხთა ანტიფეოდალური მოძრაობანი ერთდროულად ბიმართული იყო ადგილობრივი ფეოდალების და ოსმალო მოხელე-ფეოდალების წინააღმდეგ. გლეხთა ეს ანტიფეოდალური მოძრაობანი ისეთივე ხასიათისა იყო, როგორც აღმ. ამიერკავკასიაში, სადაც ყიზილბაში ფეოდალები და მოხელეები ბატონობდნენ.

XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან აღმ. საქართველოში ანტიირანული ძალები უპირატესად ბრძოლის იდეოლოგიურ საშუალებებს იყენებდნენ (ანტიმაჰმადიანური პროპაგანდა და სხვ.), რათა არ დაეშვათ ირანის პოლიტიკური ბატონობის და ირანული ინსტიტუტების განმტკიცება. ამ ძალების ამოცანას შეადგენდა რუსეთთან ურთიერთობის გაძლიერება, თავადების უფლებების შეზღუდვა და ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება. ქართული საზოგადოების რეაქციული ნაწილი კი ირანს ან ოსმალეთს უჭერდა მხარს. თავის მხრივ ირანი და ოსმალეთი სათავადოების სისტემის და თავადების ბუნებრივ მოკავშირედ გამოდიოდა[1]. კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლაც სწორედ ამ საკითხებში პოულობდა თავის მკვეთრ გამოხატულებას.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, გვ. 130, 137.

თავი მეექვსე

აღმოსავლეთ საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილება XVII საუკუნეში

როსტომ-ხანის დროს ძირითადად უცვლელი დარჩა ფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიური წყობა.

ირანის პოლიტიკური ბატონობის მიუხედავად არსებობას განაგრძობდა ქართული ფეოდალური საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, აგრარული სისტემა და სახელმწიფო წყობილება.

გაბატონებული კლასი წარმოდგენილი იყო თავადებით და აზნაურებით.

თავადობა იყოფოდა სამ კატეგორიად: „დიდებული თავადები", „შუა თავადები" და „დაბალი თავადები".

ასევე აზნაურობა შედგებოდა: „დიდი აზნაურებისაგან", „შუა აზნაურებისაგან" და „ცალმოგვი აზნაურებისაგან". ცალმოგვიანი აზნაურები წვრილ აზნაურებს ეწოდებოდათ.

უცვლელი დარჩა გლეხთა სოციალური კატეგორიებიც: მკვიდრი, ნაწყალობევი, შეწირული, ნებიერი, აზატი, ბოგანო, ხიზანი...

მიწის ფეოდალური საკუთრების გაბატონებული ფორმების საფუძველზე ხორციელდებოდა გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაცია. ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობა უცვლელი და ძირითადად ხელუხლებელი დარჩა XVII საუკუნეში.

1. საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილება

სოციალურ-ეკონომიური წყობა, რომლის ნიადაგზეც თავადურ-ბატონყმური სახელმწიფო განვითარდა, ყალიბდება XV—XVI სს. მაგრამ დამთავრებული სახე მიიღო მან XVII ს-ში. თავადური ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი განვითარების ეს სა-

ფეხურია აღბეჭდილი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში და „დასტურლამალში“.

ფეოდალური „სახლის“ პოლიტიკური ძლიერების მატერიალური საფუძველი ყმა-მამულის მფლობელობა იყო. ფეოდალის აღზევების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი იყო აგრეთვე „სახელო“— სახელმწიფო თანამდებობა.

უმაღლესი სახელოს წყალობის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა წოდებრივ მდგომარეობას, გვარსა და გვარის „შეჭლებულობა-გაუყრელობას“. ფეოდალის შეგნებაში „სახლი“ და „სახელო“ ერთიმეორეს ავსებდა და ერთიმეორესაგან განუყოფელი იყო. ფეოდალის ძლიერება „სახელოს“ ქონებასაც ემყარებოდა. ამიტომ ფეოდალური ქიშპი სახელოების ირგვლივაც იყო გაჩაღებული. ზოგიერთი „ქელის“ აგებულებაში მკაფიოდ არის უკუფეჩილი შინაკლასობრივი ბრძოლის ანარეკლი[1].

უმაღლესი და შემოსავლიანი სახელოები დიდებული თავადების ხელთ იყო, საშუალო სახელოები თავადების და თავადიშვილების ხელთ, უფრო დაბალ ანუ „მცირე სახელოებს“ მეფის აზნაურები და მსახურები განაგებდნენ (მეფეები სათავადოს და ეკლესიის აზნაურებს სამეფო თანამდებობებზე არ ნიშნავდნენ). სასახლის და მისი მეურნეობის („ქარხნების“) მოხელეებად მოქალაქეები იყვნენ, ხოლო უბრალო მსახურებად („ყულუხჩებად“) დაბალი სოციალური წარმოშობის ადამიანები.

ზოგიერთი სახელო სამკვიდრო იყო. მამის თანამდებობა შვილზე გადადიოდა (დაკავებული თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინის გვარად გადაქცევა ჩვეულებრივი და ამიტომ მეტად გავრცელებული მოვლენა იყო). მეფის ხელისუფლება წინააღმდეგობას უწევდა ამგვარი ტენდენციის გაძლიერებას. თავის მხრივ მსხვილი ფეოდალები ცდილობდნენ თავიანთ „სახლთან“ დაეკავშირებინათ სახლთ-უხუცესობა, მდივანბეგობა და სხვ.

მსხვილი ფეოდალები დიდის გავლენით სარგებლობდნენ სახელმწიფო „დარბაზში“. მეფე „დარბაზ-ბატონებს“ მხოლოდ მოახსენებდა, მდაბალთ კი უბრძანებდა. მეფის პოლიტიკას განსაზღვრავდნენ დარბაისლები (მსხვილი საერო და სასულიერო ფეოდალები)— დარბაზის რიგის ხელისუფლები და „ქვეყნის გამგენი“.

„სახლის“ უფროსობა და „ქელის“ მფლობელობა უმნიშვნელოვანესი პირობათაგანი იყო ფეოდალის წარმატებისათვის. აღსა-

---

[1] საამისო ნიმუშები იხ. ჩვენს ნაშრომში: **დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, ენიმკის „მოამბე“, XIII, გვ. 164, 166—169.**

ნიშნავია, რომ „დიდებული“ XVI—XVII სს. საქართველოშიც თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინი იყო. მაგრამ „დიდებულ თავადებად“ იწოდებიან მხოლოდ ფეოდალური „სახლის უფროსნი“ და ქვეყნის გამგენი. თავადი თავის სამფლობელოში ნახევარ „ხელმწიფედ“ იჯდა.

თავადი სარგებლობდა ადმინისტრაციული და სასამართლო იმუნიტეტით. თავადის სამფლობელოში (სათავადოში) „სახელმწიფო ხელი არა შევიდოდარა“. ერთი თანამედროვე მწერლის ცნობით „თვის-თვისად უფლობდნენ ქართლის თავადნი“ და „მეფეს თავს არ უდებდნენ“. მტკიცედ იყო გაასაზღვრული და განწესებული მეფის მოხელეების სარბაელი ეკლესიის სამფლობელო ეკვყანაშიც.

„კარით წარვლენილ მოხელეებს“ ძირითადად სახელმწიფო გადასახადების აკრეფა ევალებოდათ, ხოლო მეფეს უშუალოდ სამეფო სახასოს „საქვეყნოდ გამრიგე“ მოხელენი ემორჩილებოდნენ.

ხშირად ფეოდალი საგადასახადო იმუნიტეტითაც სარგებლობდა, ოღონდ სახელმწიფო გადასახადებს გლეხებისაგან მაინც მოითხოვდა.

ადმინისტრაციული და, ნაწილობრივ, სასამართლო შეუვალობა ფეოდალებმა მეფის ხელისუფლებასთან ხანგრძლივ ბრძოლაში მოიპოვეს. მათ ჰყავდათ საკუთარი მოხელენი: კარის და ქვეყნის გამგენი, იგივე სახლთუხუცესები, ეშიკაღასბაშები, მდივან-მწიგნობრები, მოურავები, მამასახლისები და სხვ. თავადის კარი მეფის კარის მსგავსად იყო მოწყობილი, ასევე მცხეთის საკათალიკოსოს კარი და ადმინისტრაცია.

როსტომ-ხანის სამოხელეო რეფორმას, რომლის შესაბამისად, ვახუშტის სიტყვით, „აწინდელი წესი“ მოეწყო, არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფეოდალურ საქართველოს პოლიტიკურ ორგანიზაციაზე.

როსტომ-ხანის სამოხელეო რეფორმის შედეგი იყო მხოლოდ ქართული სამოხელეო სახელების სპარსულ-ყიზილბაშურ ყაიდაზე ვადასახელება. შემთხვევით არ აიხსნება, რომ როსტომის სამოხელეო რეფორმის აღწერას ვახუშტიმ სათაურად წაუმძღვარა: „აწინდელის ხელისუფალთა შეცვლილთა სახელთათჳს“.

„აწინდელია ხელისუფალთა“ გამო ვახუშტი ამბობს: „ხოლო როსტომ ხელისუფალთა უწოდა: მსახურთუხუცესსა—ყ ო რ ჩ ი ბ ა შ ი, სპასპეტსა—ს ა რ დ ა რ ი, მონათუხუცესსა—ყ უ ლ ა რ ა ღ ა ს ი, მეჭურჭლეთუხუცესსა — მ ო ლ ა რ ე თ უ ხ უ ც ე ს ი და მეჭურჭლეთუხუცესი არღარა, არცა იგი წინათი მოლარეთუხუცესი,

ჩუნჩერახსა — სუფრაჯი, ჩაჩნაგირსა — სუფრაქეში, ნანდატურთუხუცესსა — ეშიყაღასი, მანდატურს — სოჰბათიასაული, ბოქაულსა — ელიაღაჯი, მსაჯულუხუცესსა — მდივანბეგი, ეზოსმოძღვარსა — ნაზირი, მესტუმრეთუხუცესსა — მეჰმანდარი, მწერალსა — მუშრიბი, ხუროთმოძღვარსა — სარაიდარი და ეჯიბი არღარა, არამედ მსგავსი მისი მეითარი. ხოლო სხვანი ხელისუფალნი იყვნენ ეგრეთვე, არამედ კვალად ყიზილბაშთა რიგის შესძინა ვეზირი, მუსტოფი და მუნში. კვალად შეკარესა — ყაფიჩი და ასისთავსა უზბაში და ყახთაცა განაწესეს ეგრეთ"[1].

ვახუშტი ბაგრატიონს სწორად ესმის როსტომის რეფორმის აზრი და მიზანი. მისი წარმოდგენით როსტომი არ ცვლიდა „ქართველობას" ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემისათვის უცხო ყიზილბაშობით.

როსტომის კომპრომისული პოლიტიკის თავისებურებას ვახუშტი აღნიშნავს თავისი „ისტორიის" თხრობის ტექსტშიც. მისი სიტყვით: „ამან (როსტომმა) განაგნა წესსა ზედა ყიზილბაშთასა კარის გამგენი თვისნი, და არცა მოშალნა ქართულნი და დადგინა ორნივე"[2]. ეგნატაშვილი ბერის „ახალ ქართლის ცხოვრებაში"-ც ნათქვამია: როსტომ-ხანი იყო „წესსა ზედა ყიზილბაშისასა და გაარიგა სახლი თვისისა ყიზილბაშურად და განაწესა მოხელენი და გამრიგენი თათართანი და არცა მოშალა ქართველი მოკელე"[3].

ქართველი ისტორიკოსები აღნიშნავენ ირანული პოლიტიკური ინსტიტუტების გავლენას მაჰმადიანი მეფის კარის ორგანიზაციაზე.

---

[1] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება (ავტოგრაფი). საქ. ცენტრ. არქივის ხელნაწერი № 103, ფ. 10, ლეოლრაფიული აღწერა საქართველოსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, მ. ბროსეს გამოც., სანკტ-პეტერბურგი, 1842, გვ. 38—40 (ქართული ტექსტი); ვახუშტი, საქართველოს ისტორია, განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ბაქრაძის მიერ, ნაწ. I, თბ., 1885, გვ. 17—18; ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის გამოც., თბილისი, 1904, გვ. 22; ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 23—24.

[2] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 71.

[3] ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის რედ., გვ. 171.

ზათ არაფერი აქვთ ნათქვამი იმის თაობაზე, თუ როგორი იყო ირანულის გავლენა ადგილობრივ ადმინისტრაციაზე.

სავსებით გასაგებ გარემოებათა გამო, ირანის სახელმწიფო წყობილების გავლენას უფრო მკაფიო გამოხატულება სამეფო კარის ორგანიზაციულ აღნაგობაში უნდა ეპოვნა, ვიდრე ადგილობრივ ადმინისტრაციაში[1].

მართლაც, ყიზილბაშური „წესის" ძლიერი გავლენა სამეფო კარს, მეჯლისობის წესს, სასახლის ხელშინაურ მოხელეობას და სამეფო „ქარხნების" ორგანიზაციას ეტყობა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ძირითადად უცვლელი დარჩა ქართული სახელმწიფო აპარატი— „ხოლო სხვანი ხელისუფალნი იყვნენ ეგრეთვე".

სამაგიეროდ სრულიად უცვლელი იყო ქართული ადგილობრივი ადმინისტრაციული წყობა.

ვახუშტი ბაგრატიონი კარგად ერკვეოდა სეფიანთა სახელმწიფოს ადმინისტრაციული ორგანიზაციის თავისებურებაში. საინტერესოა, რომ მას აღნიშნული აქვს აღმ. ამიერკავკასიის სამხედრო-ადმინისტრაციული რეორგანიზაცია ყიზილბაშურ საფუძველზე XVI ს-ის პირველ ნახევარში. ვახუშტი ამბობს: „მაშინ ყეენმან დასხნა რანს, მოვაკანს და ერევანს ბეგლარბეგნი და მათ ქვეშეთნი. კვალად დასხნა ხანნი და სულტანნი". და იქვე განმარტებულია სეფიანთა ირანის ადმინისტრაციულ ხელისუფალთა (იერარქიის ზუსტი დაცვით) მნიშვნელობა: „რომელნი არიან ბეგლარბეგი ერისთავთ-ერისთავი, ხანი ერისთავი, სულთანი ჭეკის-ბერი"[2]. მაგრამ ვახუშტი არ სვამს იგივეობის ნიშანს ქართულ და ყიზილბაშურ ადმინისტრაციულ თანამდებობებს შორის. მას ამგვარი შედარება ფაქტიურად ბეგლარბეგ-ხანი-სულტანის მნიშვნელობის განმარტებისათვის სჭირდება ქართველებისათვის გასაგები ადმინისტრაციული სახელების საშუალებით.

სამაგიეროდ ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს სამეფო კარზე ისეთი ყიზილბაშური თანამდებობების შემოღებას, როგორიც იყო ვეზირის, მუსტოფის და მუნშის თანამდებობები. ამავე დროს, მისი სიტყვით, როსტომმა „განაგნა წესსა ზედა ყიზილბაშთასა კარის გამ-

---

[1] XVI ს-ის 70-იან წლებში შემოღებული სამოხელეო სახელები ტარუღა, მელიქი და ქეთხუდა არ ცვლიდა ქართული ადმინისტრაციის თავისებურებას. ამავე დროს ტარუღა ყოველთვის მოურავის სინონიმური მნიშვნელობით იხმარებოდა.

[2] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 37.

გენი თვისნი“ (შდრ. ეგნატაშვილი ბერის „გაარიგა სახლი თვისისა ყიზილბაშურად“).

XVII ს-ის დამდეგს შედგენილი „დასტურლამალის“ შინაარსით სავსებით დასტურდება, რომ როსტომის დროიდან საზოგადოდ სამეფო კარს ირანული ინსტიტუტების ძლიერი გავლენა ეტყობა. მაგრამ არც „ქართულნია“ მოშლილი და არც „ქართველი მოკელე“. როსტომის დროიდან ფართოდ გავრცელებული სპარსულ-აღმოსავლური სამოხელეო სახელები უპირატესად კარის მოხელეების აღსანიშნავად იხმარებოდა. ამასთან კარის მოხელეთა „ჯამაგირების“ გასტუმრება ამიერიდან ყიზილბაშური წესით წარმოებდა. ამას მოწმობენ ტერმინები: რ უ ს უ მ ი, ჰ ა მ ა ს ა ლ ა[1], ი ნ ა მ ი, დ უ შ ა ლ ი კ ი და სხვ. მათი შინაარსობლივი მნიშვნელობა დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც საკუთრივ ყიზილბაშურ ირანში.

აღსანიშნავია, რომ რუსუმი, ჰამასალა და მისთანანი, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ (იხ. § 2 და 3) გამოიყენებოდა უპირატესად მაჰმადიანი მეფისათვის მიცემული ირანული სოფლების შემოსავალთან დაკავშირებით. შემთხვევით არ აიხსნება, რომ ამ სოფლების რუსუმიდან და ჰამასალადან გარკვეული წილი ჰქონდათ დადებული ისეთ მოხელეებს, როგორიც იყვნენ ვეზირი და მუსტოფი. საკუთრივ საქართველოში კი კარის მოხელეებისათვის რუსუმი, ინამი და დუშალიკი გათვალისწინებული იყო მეფის იმ შემოსავალში, რომელიც „ქარხნებიდან“, ბაჟებიდან ან იჯარებიდან აიღებოდა.

ამავე დროს, მეფის ხელისუფლებს (სახლთუხუცესს, მდივანბეგს, მურდარს, მდივნებს და სხვ.) წილი დადებული ჰქონდათ სამეფოს და სახასოს შემოსავალში, სახელმწიფო და ფეოდალურ გადასახადებში.

ამრიგად, კარის მოხელენიც დაკავშირებული იყვნენ ქართულ საგადასახადო სისტემასთან.

თავადურ-ბატონყმური სახელმწიფო უზრუნველყოფდა გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაციის ადგილობრივი ფორმების ბატონობას.

---

[1] ამის გარდა, ზოგიერთი გადასახადის აკრეფა ამა თუ იმ პირს ჰამასალად ჰქონდა მიცემული. მაგ., „საბარათიანოს საბალახეს მკრეფელობა ჰამასალად“. ჰამასალა ამ შემთხვევაში ყოველწლიურს ნიშნავდა. საბალახეს მკრეფელობა ამის მიხედვით ყოველწლიურად გაიცემოდა. ამიტომ, ჩანს, იგი არ გულისხმობდა თიულის იმ სახეობას, რომელიც ირანის ფეოდალურ სინამდვილეში „ჰამასალას“ სახელით იყო ცნობილი. ამ „ჰამასალადან“ ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში აღებული უნდა ყოფილიყო ის ელემენტი, რომელიც გულისხმობდა მოხელის ანაზღაურებას გაწეული სამსახურისათვის.

როსტომის დროსაც (და შემდეგაც) სამხედრო საქმეს (ფეოდალური ლაშქრის წვევა-შედგენა) ფინანსებს, სასამართლოს, სამდივანმწიგნობროს (კანცელარიას), ქალაქებსა და სოფლებს გაგებდნენ ქართველი მოხელენი: სარდლები, სახლთუხუცესები, მდივანბეგები, მურდარები, მდივნები, მოურავები, მამასახლისები. „ქართველობა" (ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემა) თავადურ-ბატონყმური სახელმწიფოს არსებობას აპირობებდა.

ირანული გავლენა, როგორც ვნახეთ, თავს იჩენს კარის და სასახლის დაწესებულებათა მოხელეების აღმნიშვნელ სახელებში და მოხელეთა ჯამაგირის და სარჩოს სახელწოდებებში. ირანული გავლენა ეტყობა ქალაქის რიგის ზოგიერთ გარიგებასაც.

საქმე ისაა, რომ ირანული საქალაქო წყობილების გავლენამ ერთგვარი გამოხატულება ჰპოვა XVI—XVIII სს. ქართლის საქალაქო წყობილებაში. ამ გავლენის თავისებურებას შეეხო ჯერ კიდევ აკად. ივ. ჯავახიშვილი[1]. ამავე საკითხს მოკლედ და ზოგად ხაზებში შეეხეთ ჩვენც 1949 წელს გამოქვეყნებულ წერილში[2]. მაგრამ ეს საკითხი ჯერ კიდევ არაა საჭირო სისრულით შესწავლილი.

ქართული ქალაქები და საქალაქო წყობილება XVI—XVIII საუკუნეებშიც ინარჩუნებდა ყველა იმ თავისებურებას, რომელიც ქართული ფეოდალური წყობილების ნიადაგზე იყო აღმოცენებული და განვითარებული. ირანული გავლენა კი, ერთი მხრივ, გამოწვეული იყო ირანის პოლიტიკური ბატონობით, ხოლო, მეორე მხრივ, იმავე ირანთან დაკავშირებული ვაჭრობის ხასიათით. ირანის მეშვეობით წარმოებულ საერთაშორისო ვაჭრობაში, როგორც ვნახეთ, მონაწილეობდნენ თბილისის და სხვა ქართული ქალაქების ვაჭრებიც.

ცნობილია, რომ XVI საუკუნიდან მოყოლებული, ირანის პოლიტიკური ბატონობის პერიოდებში, თბილისში ისხდნენ ირანის შაჰის მოხელე-ხანები, რომლებსაც ქართული წყაროები „თბილისის და სომხით-საბარათიანოს მეფეებს" უწოდებენ. XVI საუკუნეშივე გაჩნდა მ ი ნ ბ ა შ ი ს თანამდებობა. მინბაში (თბილისის ციხისთავი) ირანიდან იყო გამოგზავნილი და ყიზილბაშთა მეციხოვნე ჯარის უფროსი იყო. ციხის მფლობელობა პოლიტიკური ბატონობის დასაყრდენად ითვლებოდა და, ამდენადვე, მინბაში იყო არა მარ-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება XVIII ს-ის საქართველოში, „პრომეთე", № 1, 1918.

[2] ვ. გ ბ ა შ ვ ი ლ ი, სპარსული დასტურლამალი, გვ. 205, 211.

ტო ქართველი. მაჰმადიანი მეფის ქეშიკი (მცველი), არამედ მისი მეთვალყურეც. მინბაში, ჩანს, აქტიურად ერეოდა ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მინბაშობა ქართულ თანამდებობად იქცა მხოლოდ XVIII ს-ის შუა წლებში, როდესაც ერეკლე II-მ ციხის კედელი აოარღვია და ქალაქი და ციხე შეაერთა.

ქართულ საქალაქო მმართველობაში დამოწმებული მ ე ლ ი ქ ი ს და ტ ა რ უ ღ ა ს სამოხელეო სახელები ჩნდება XVI ს-ის 70-იან წლებში. ამ სახელების შემოღებაც უშუალოდ არის დაკავშირებული ირანის პოლიტიკურ ბატონობასთან.

ამ დროიდან მოყოლებული ტარუღა გამგებლის, მათს შორის, ქალაქის გამგებლის აღმნიშვნელი იყო.

აღსანიშნავია, რომ ქართულ წყაროებში ტარუღა იხმარება მოურავის სინონიმური მნიშვნელობით, სატარუღო კი სამოურაოს ნიშნავს. მაგ., ფარსადან გორგიჯანიძე „ისფაჰანის ტარუღას" თავის ისტორიაში „ისფაჰანის მოურავს" უწოდებს. ქართ. დასტურლამალის 1729 წ. ხელნაწერის სარჩევში ნაჩვენები „სომხითის ტარუღა" ხელნაწერის ტექსტში „სომხითის მოურავად" იწოდება[1]. ჩვენ ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებასაც, რომ ისფაჰანის ტარუღას უფლება-მოვალეობას ბევრი რამ აქვს საერთო ქალაქის მოურავის უფლება-მოვალეობასთან. ამას გვიდასტურებს სპარსული დასტურლამალის მე-5 კარის შინაარსის სათანადო ადგილების შედარება ქალაქის მოურავის სარგოს წიგნის შინაარსთან[2]. მსგავსება თავს იჩენს კერძოდ საქალაქო იურისდიქციაში, ადმინისტრაციულ კომპეტენციაში და სხვ.[3] მაგრამ ქალაქის მოურავის სამოხელეო უფლება-მოვალეობა მიუხედავად ამისა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ისფაჰანის მოურავის უფლება-მოვალეობისაგან. ქალაქის მოურავის „ჰელი"-ს განვითარება ორგანულად იყო დაკავშირებული ქართული საქალაქო წყობილებისა და მმართველობის განვითარებასთან.

ქალაქის მელიქის თანამდებობა, როგორც აღვნიშნეთ, XVI საუკუნის 70-იან წლებში ჩნდება. ქალაქის მელიქი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო არა ქალაქის ადმინისტრაციულ ფუნქციებთან, არამედ ვაჭარ-მოქალაქეთა ორგანიზაციასთან.

---

[1] ყველა ეს მაგალითი დამოწმებულია ჩვენს წერილში: სპარსული დასტურლამალი, გვ. 205.

[2] იქვე, გვ. 205, 211.

[3] იქვე, გვ. 211.

საიდან ჩანს ეს?

ირანის სინამდვილეში დამოწმებულია „მალიქ ათ-თუჯარა“, რომელსაც შარდენი „ვაჭართა მოურავს“ („prevôts des marchands“) უწოდებს[1]. მალიქ ათ-თუჯარას თანამდებობა არსებობდა ირანის ყველა ქალაქში. მისი სამოხელეო ფუნქციები დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც ქალაქის მელიქისა, ე. ი. მის საკითხავს შეადგენდა ვაჭარ-მოქალაქეების საქმეთა გარიგება-გამგებლობა. ქართული საბუთებით, რომელთა შინაარსი საერთაშორისო ვაჭრობასთან არის დაკავშირებული, ირკვევა რომ ქართულ ქალაქებში არსებობდა ვაჭართა „ამხანაგობა“, ხოლო ამ ამხანაგობის მონაწილეს „ამხანაგი“ ეწოდებოდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ამხანაგობის საქმიანობა და გარიგებაც ქალაქის მელიქის კომპეტენციას შეადგენდა. ამრიგად, ჩვენი აზრით, მელიქის თანამდებობა ქართული ქალაქების სინამდვილეში უნდა წარმოშობილიყო ვაჭრობის ხასიათის შედეგად, რამდენადაც „ამხანაგობა“ მჭიდროდ იყო დაკავშირებული მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობასთან.

სხვა მხრივ ქართული ქალაქის სამოხელეო იერარქია ძველებური რჩებოდა: მ ო ურ ა ვ ი, ნ ა ც ვ ა ლ ი, მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. ტარუღა კი, როგორც ვნახეთ, მოურავის სინონიმური მნიშვნელობით იხმარებოდა. დროთა განმავლობაში ირანული საქალაქო წყობილების გავლენის შედეგად გაჩნდა: მ ე ლ ი ქ ი, ქ ა ლ ა ქ ი ს ვ ე ზ ი რ ი, ქ ა ლ ა ნ თ ა რ ი, ა ს ა ს ი. მაგრამ ამ სამოხელეო სახელების მატარებელი თანამდებობებიც თანდათან ქართულ ფეოდალურ სინამდვილეს დაუკავშირდა.

ამრიგად, ხრც XVI საუკუნეში და არც როსტომ მეფის დროს არ მომხდარა არსებითი ხასიათის ცვლილებები სამეფო კარის, ქალაქების და სოფლების გამგებლობაში. XVII ს-ის 30-იან წლებშიც ხელუხლებელი რჩებოდა ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფებრივი წყობილება.

მაგრამ ეს იყო ირანთან კომპრომისული ურთიერთობის პოლიტიკური ფორმის ერთი მხარე. ეს ირანის მთავრობის დათმობის შედეგი იყო. მეორე მხარე იყო მეფის მაჰმადიანობა, ვალის ინსტიტუტი და ირანის სამეთვალყურო აპარატი (ვეზირის, მუსტოფის და მუნშის შემადგენლობით). ეს უკვე ირანისადმი დათმობას ნიშნავდა. ქართველები იძულებული იყვნენ ეცნოთ ირანის პოლიტიკური ბატონობა ვასალური დამოკიდებულების საფუძველზე.

---

[1] Chardin, vol. V, გვ. 362.

2. ვალის ინსტიტუტი

XVII ს-ის ირანში სულ ოთხი ვალი იყო: არაბისტანის, ლურისტანის, გურჯისტანის და ქურთისტანის.

1725 წ. ახლო ხანში შედგენილ „თაზქირათ ალ-მულუქში“ (სპარსულ დასტურლამალში) ნათქვამია: „უპირველესია არაბისტანის ვალი, რომელიც უფრო მაღლაა დაყენებული და უფრო პატივცემული, ვიდრე დანარჩენი ვალიები, მისი სეიდების გვარისადმი კუთვნილების, ღირსების და მის ტომთა რაოდენობის გამო. ამის მომდევნოა ლურისტანის ვალი, რომელიც, იმის გამო რომ ის მუსლიმანია, უფრო პატივცემულია, ვიდრე გურჯისტანის ვალი. ირანის კუთვნილი საქართველოს ნაწილებია („გურჯისტანათ“) ქართლი, კახეთი და თბილისი. გურჯისტანის ვალის მომდევნოა ქურთისტანის ვალი“[1].

ვალის მდგომარეობა მეტად თავისებური იყო სეფიანთა ირანში. თითოეული ვალი ეკუთვნოდა მემკვიდრე მბრძანებლების დინასტიას. და იმის მიუხედავად, რომ ისინი დაკავშირებული იყვნენ სეფიანთა ირანის სახელმწიფოსთან, ფაქტიურად დამოუკიდებელი მდგომარეობით სარგებლობდნენ. ირანის ხელმწიფის ამ „ყმადნაფიცების“ შემოსავალი არ იყო შეტანილი ირანის სახელმწიფოს ბიუჯეტში და, გარდა სამხედრო დახმარებისა, დაკისრებული ჰქონდათ გამოსაღები, რომელიც ძ ღ ვ ე ნ ი ს სახით იყო გამოხატული.

მართლაც, „თაზქირათ ალ-მულუქ“-ის საგანგებო განაკვეთში, სადაც საუბარია ირანის ოლქების შემოსავალზე, ქართლი მოხსენებული არაა, სამაგიეროდ იხსენიება კახეთი, რომელსაც XVII ს-ის გარკვეულ პერიოდებში ყიზილბაში ხანები მართავდნენ და, როგორც ხარკის გადამხდელი, მიწერილი იყო ყარაბაღის საბეგლარბეგოზე[2].

ვალის უფლება-მოვალეობაში შედიოდა: 1. მონაწილეობა მიეღო ირანის ხელმწიფის ხელდასხმაში, 2. ეტარებინა თაჯი და მურასა ხმალი, 3. გამოეყვანა ლაშქარი ხელმწიფის სამსახურში, 4. ჰქონოდა ნაღარახანა, 5. მოეგროვებინა „ხელმწიფის ხარჯი“ და 6. გაემზადებინა ბარხანა.

ქართლის ვალის თაჯი და მურასა ხმალი დასახელებულია ნარატიულ წყაროებში (ფარსადან გორგიჯანიძე), ნაღარახანა და ბარხანა — „დასტურლამალში“.

---

[1] **Tadhkirat al-muluk**, სპ. ტექსტი, გვ. 6—7, ინგლისური თარგმანი, გვ. 43—44.

[2] იქვე, გვ. 101.

„ნაღარახანა“ ვალის ინვენსტიტურაში შედიოდა. ამიტომაა დაწვრილებით ჩამოთვლილი „დასტურლამალში“ ნაღარახანის მესაკრავენი. მუსიკალური საკრავების რაოდენობა, ჩვეულებრივ, განსაზღვრული იყო ვალის, ბეგლარბეგის და ხანის ღირსების შესაბამისად.

„ბარხანა“ პ. უმიკაშვილს განმარტებული აქვს როგორც „სახლის ბარგი“[1], ხოლო ს. კაკაბაძეს, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიისათვის დართულ ლექსიკონში, როგორც „ცნობის გამომცხადებელი მყვირალი“[2]. ნამდვილად ბარხანა ეწოდებოდა იმ მისართმეველს, რომელიც ქარავნის სახით იგზავნებოდა ხელმწიფის კარზე[3].

ხელმწიფის ბარხანა („ბარხანა-ი შაჰ“) ანუ „ხელმწიფის ქარავანი“ შეიცავდა ამა თუ იმ ქვეყნიდან ან ოლქიდან ხელმწიფისათვის გაგზავნილ სანაქებო პროდუქტებს, ნუგბარს, ხილს ან სხვა მისართმეველს. მაგ., კარაქი ქურთისტანიდან, ღვინო, მიმინოები და ქალ-ვაჟები საქართველოდან.

ოთხივე ვალი სანაპირო ადგილის ამირად იწოდებოდა. გურჯისტანის ვალი ერთ-ერთი „დიდ ამირათაგანი“ და ქართლის „ვალი“ იყო, ე. ი. ირანის მოხელე.

ქართლის ვალის მოხელეობის საფუძველი, ირანული წესისაებრ, შაჰის მიერ სამსახურის სანაცვლოდ ნაწყალობევი სოფლები იყო. ეს სოფლები ქართლის ვალის მიცემული ჰქონდა არა საკუთრივ ქართლში, არამედ ჩრდილოეთ ირანის ოლქებში.

ჯერ კიდევ XVII ს-ის დამდეგს შაჰ-აბასმა ქართლის და კახეთის მეფეებს „უწყალობა“ სოფლები ირანში. საამისო ცნობა ვახუშტი ბაგრატიონს მოეპოვება. როგორც ვნახეთ, იგი ასახელებს: ფუშოუქუნს, გილანს და ლაჰიჯანს.

ამ ღონისძიების მიზანი იყო ქართველი მეფის ირანის მოხელედ გადაქცევა. ეს მიზანი თავისებურ ფორმაში განხორციელდა XVII ს-ის 30-იან წლებში.

საინტერესოა, რომ ქართლის ვალის წილი აქვს დადებული ფუშთუქუნის, ხუინის და გილანის სოფლების შემოსავალში. ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, „ქართლი და კახეთი, ფუშტუქუ... სამასი თუმანი გილანით როსტომ მეფეს აქონდა“[4]. ირანის ამ სოფლების შემოსავალი დასახელებულია აგრეთვე XVII ს-ის საბუთებ-

---

[1] დასტ., გვ. 166.

[2] ფ. გორგიჯანიძის ისტორია, ლექსიკონი, გვ. 317.

[3] Tadhkirat al-muluk, გვ. 137, 153, 179.

[4] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 260.

ში[1]. ქართლის ვალის შემოსავალი ფუშთუქუნიდან მრავალგანაა აღნიშნული „დასტურლამალში“.

ასე მაგ., მუსტოფს ეკუთვნოდა „ფუშთუქუნიდამ ოთხი თუმანი, ხუთი აბასი, თორმეტი შაური და შვიდი ფული“[2], ვეზირს: „რვა თუმანი, სამი მინალთუნი და ხუთი შაური“[3].

პ. უმიკაშვილის დასტურლამალისათვის დართულ ლექსიკონში „ფუშთუქუნი“ განმარტებულია როგორც „მეშველი, მშველელი“[4]. მაგრამ ეს ახსნა დამოწმებული კონტექსტების შინაარსს არაფრით არ უდგება. ფუშთუქუნი სულ სხვას ნიშნავს.

ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ, რომ დასტურლამალში ფუშთუქუნი იხსენიება ჩრდილოეთ ირანის ოლქებს შორის. მდივნების სარგოს წიგნში ვკითხულობთ: „გილანისა, ფუშთუქუნისა, ხუინისა... ამათს ოქმებზედ საწიგნე“[5]. ფუშთუქუნი გილანის და ხუინის გვერდით შემთხვევით არაა მოხსენებული. ჩრდილოეთ ირანში (გილანში), მართლაც არსებობს ადმინისტრაციულ-გეოგრაფიული ერთეული ფუშთუქუნის სახელწოდებით. დასტურლამალი რომ სწორედ ამ ფუშთუქუნს გულისხმობს, ეს კარგად ჩანს აგრეთვე XVIII ს-ის ოთხმოციან წლებში გადაწერილი დასტურლამალის ხელნაწერის ერთი მინაწერიდან: „ფუშთუქუ არს გილანსა მაჰალი გინა მაზრა ერთი“[6].

როგორც ვხედავთ, ქართლის ვალის მიცემული ჰქონდა სოფლები ფუშთუქუნში, ხუინში და გილანში. ეს უნდა ყოფილიყო ქართლის ვალის „ჰამასალა“, რადგან მურდარის სარგოს 1637 წ. დათარიღებული წიგნის სპარსულ ნაწილში ნათქვამია: „გილანის ჰამასალას თასილდარი — სამი ათასი დინარი“[7]. სამი ათასი დინარი მურდარის ასაღები იყო, ვალის კი გილანში სამასი თუმანი ჰქონდა გადაკვეთილი[8]. ამავე დროს, ვალის ამ შემოსავალში, გარკვეული სამსახურის ასანაზღაურებლად (ოქმების სა-

---

[1] საქ. სიძვ., III, გვ. 544; ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 142—146.

[2] დასტ., გვ. 64.

[3] იქვე, გვ. 50.

[4] იქვე, გვ. 186.

[5] იქვე, გვ. 50.

[6] აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწ. განყ. S. № 4738, ფ. 55.

[7] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 146.

[8] „სამასი თუმანი გილანით“ თვითონ ფარსადან გორგიჯანიძესაც აუღია ლაჰიჯანს ყოფნისას: „მე იმ ზამთარს ლაჰიჯანს დამემყოვნა მეფის სამასის თუმანის ასაღებად“. ფ. გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 266.

წიგნეს გამზადება, დაბეჭდვა და სხვ.) მონაწილეობდნენ სახლთ-უხუცესი, მურდარი, მდივნები.

მაგალითად, მურდარისათვის განკუთვნილ დებულებაში ნათქვამია: „ფუშთუქუნის ბარხნიდამ საპონი ლიტრა—ა; ბროწეული—ე; ზეთისჯილი ჩარექი—ა, ხახვი ლიტრა—გ"[1]; მოლარეთუხუცესსაც სარგოს წიგნში უწერია: „ბროწეული ხუთი, ხახვი ცხრა, ზეთისჯილი ჩარექი ორი, საპონი ნახევარ ლიტრა"[2]. დასტურლამალის დამოწმებული ადგილებიდან ირკვევა, რომ ქართლის ვალის შემოსავალი ირანის სოფლებიდან ნატურითაც მოსდიოდა.

ქართლის სამეფოს ისეთი ხელისუფლის მონაწილეობა ბარხანის წილში, როგორიც იყო სახლთუხუცესი, ანდა მდივნების მიერ ირანის აღნიშნული ოლქებისათვის ოქმების საწიგნეს შედგენა, მოწმობს, რომ გილანის, ხუინის და ფუშთუქუნის სოფლების მიმართ ქართლის ვალი სრული განკარგულების უფლებით სარგებლობდა. ამ მხრივ იგი არაფრით არ განსხვავდებოდა ირანელი ფეოდალისაგან. მაგრამ ამ უფლებით იგი სარგებლობდა როგორც ქართლის ვალი. ამით აიხსნება ქართველი მოხელეების მონაწილეობა ბარხანის წილში. ბარხანა მარტო „ხელმწიფის ქარავანში" არ შედიოდა, ბარხანა ეგზავნებოდა ხანსაც მისთვის სარჩოდ მიცემული ოლქიდან. ბარხანის სამეფო ქარხანაში მოთავსების შემდეგ კი მასში არ შეიძლებოდა წილი არ დაედოთ სახლთუხუცესს, მდივნებს და მოლარეთუხუცესს, რაკი ესენი უშუალოდ იყვნენ დაკავშირებული სამეფო ქარხნებთან და მეფის პირად მეურნეობასთან. „ოქმების საწიგნე" კი, რომელსაც მდივანი გილანს წამსვლელ კაცზე ადგენდა და მურდარი ბეჭდავდა, იგივეა, რაც „ბარათი". „ბარათი" ქართლის ვალის შეეძლო მიეცა ყველა პირისათვის, განურჩევლად მისი სამოხელეო მდგომარეობისა, კუთვნილი თანხის ასაკრეფად ფუშთუქუნს, ხუინსა და გილანში. ასეთ პირს (ან მოხელეს) თასილდარი ეწოდებოდა[3]. ამიტომ აქვთ გადაკვეთილი გარკვეული თანხა მურდარსა და მდივნებს „გილანის ჰამასალას თასილდარიდან".

ქართლის ვალის, როგორც მოხელის, ირანთან პოლიტიკურ დამოკიდებულებას (მის მოვალეობა-ვალდებულებას სუზერენის

---

[1] დასტ., გვ. 50, 51, 60, 77.

[2] იქვე, გვ. 60.

[3] ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც ლაჰიჯანში (გილანს) მეფის სამას თუმანს აგროვებს თასილდარის მოვალეობას ასრულებს. თასილდარს შეეძლო მოხელისაგან „ბარათი" ეყიდა და გადასახადი თავის სასარგებლოდ აეღო.

მიმართ) აპირობებდა მოხელეობისათვის მიღებული მიწა, რომლის მესაკუთრედ ირანის ხელმწიფე იყო. მიწაზე მსხდარ გლეხებთან მას უშუალო დამოკიდებულება არ ჰქონდა, იქ არც მეურნეობას მისდევდა და არც იმ ოლქებს მართავდა, სადაც ეს მიწები მდებარეობდა. ის ამ ოლქების სოფლების „მჭამელი“ იყო[1].

ამრიგად ირკვევა, რომ ქართლის მაჰმადიან მეფეს (XVII—XVIII სს.) ირანის ხელმწიფისაგან მიწები ქართლის გარეთ აქვს მიღებული. ძირითადად ეს აპირობებს მის, როგორც მოხელის, ირანის ხელმწიფესთან დამოკიდებულებას. სეფიანთა ირანში სარჩოდ გაცემული ესა თუ ის ოლქი ამა თუ იმ სახელოსთან იყო დაკავშირებული[2]. ასევე ქართლის ვალიობასთან, მთელი საუკუნის სიგრძეზე, დაკავშირებული ყოფილა ფუშთუქუნი, ხუინი და გილანი. საინტერესოა, რომ XVIII ს-ის მეორე ნახევარში საქართველოში აღარ ესმით ფუშთუქუნის მნიშვნელობა და მას განმარტება სჭირდება.

შაჰი სოფლებს ირანში აძლევდა ქართველ ფეოდალებსაც. ქართული წყაროების მიხედვით მათ შაჰის მიერ ჰქონდათ გაჩენილი „ჯამაგირი“[3]. ამას ქართველი ფეოდალები მარჯვედ იყენებდნენ მეფის ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში. ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვით, „არამედ ვინადგან მთავართა ქართლისათა ვიეთთა აქუნდათ როჭი ყეენისაგან, მის გამო ვერ სცვლიდა მათ (მეფე—ვ. გ.) თვინიერ ყეენისა“[4]. ამგვარ პოლიტიკას არ შეიძლებოდა არ გაეძლიერებინა სპარსოფილური განწყობილება ქართლის თავადებში. მით უმეტეს, რომ ხელუხლებელი იყო მათი ყმა-მამული საკუთრივ საქართველოში.

თავადურ-ბატონყმურ სახელმწიფოსთან მჭიდროდ დაკავშირებული ქართლის მაჰმადიანი მეფე, თავისი უფლებრივი მდგომარეობით, განსხვავდებოდა არა მარტო ირანელი ბეგლარბეგებისა და ხანებისაგან, არამედ ირანელი ვალისაგანაც. ქართლის მეფე მათს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, თუ ქართლის მიწები ირანის დივა-

---

[1] ირანში ხშირად კითხულობდნენ არა იმას, თუ ვინაა ოლქის ბეგლარბეგი ან ხანი, არამედ იმას, თუ „ვინაა ოლქის მჭამელი“.

[2] Tadhkirat al-muluk, გვ. 86—90.

[3] მეფის მთავრობის მოხელეები ირან-საქართველოს ურთიერთობის შესწავლის შედეგად წერდნენ: «Царь и знатные князья получали приличное жалование от шаха ежегодно; имели от него пожалованные имения в Персии, коих доходы поставляемы им были каждый год в Грузии», Акты, II, გვ. 173.

[4] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 83.

ნის (სახელმწიფოს) საკუთრებად გამოცხადდებოდა. მაგრამ ირანისათვის ეს მიზანი მიუღწეველი აღმოჩნდა. ირანის შაჰმა ხელი ვერ დასდო ქართულ მიწისმფლობელობას.

ყველა ამის მიუხედავად ქართველი მაჰმადიანი მეფე დამოკიდებული იყო სუზერენზე — ირანის ხელმწიფეზე. „ხ ე ლ მ წ ი ფ ე“ XVII—XVIII სს. ქართულ წყაროებში ყველგან ირანის შაჰის აღმნიშვნელია. „ვ ა ლ ი“ (უპირატესად სპარსულ წყაროებში) შაჰის „ყმა“, ხელდებული, მოადგილე და მოხელეა, ოღონდ ამ მოხელეობის პირობა მისთვის ირანში მიცემული სოფლები იყო.

ასეთი იყო საქართველოს ირანთან დამოკიდებულება პრაქტიკაში. ოფიციალური თვალსაზრისით კი შაჰი გამოდიოდა ყველა ქართული მიწის უზენაეს მესაკუთრედ. ეს ოფიციალური თვალსაზრისი მკაფიოდაა გამოთქმული მირზა მოჰამედ თაჰერის საისტორიო თხზულებაში.

მოჰამედ თაჰერის ოფიციალური თვალსაზრისით მიწები ქართველ ფეოდალებს „წყალობის“ წესით აქვთ მიცემული საქართველოში. კახეთში ელების დასახლებასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს, რომ „იქაური თავადების და აზნაურებისათვის ნაწყალობევი“ მიწების გამოკლებით სხვა ადგილები ელებს გაუნაწილდათ[1]. ბახტრიონის აჯანყებამ ცხადყო, თუ ვისგან რას იცავდა ქართული ფეოდალური საზოგადოება. ახლაც ირანისათვის მიუღწეველი აღმოჩნდა ქართული მიწისმფლობელობის გაუქმება, მიტაცებულ ქართულ მიწებზე ელების დასახლება.

ირანის ოფიციალური თვალსაზრისი ქართული მიწისმფლობელობის თაობაზე გამოთქმულია სეფიანი შაჰების სპარსულ (ერთენოვან) ფირმანებშიც, რომლებიც ზოგიერთი ქართველი ფეოდალის სახელზეა გაცემული. მაგრამ XVII—XVIII სს. გავრცელებული ჩანს არა ერთენოვანი (სპარსული), არამედ ორენოვანი (ქართულ-სპარსული) საბუთები.

ორენოვანი საბუთების ნამდვილი მნიშვნელობა და დანიშნულება ჩვენთვის უკვე ცნობილია. დამახასიათებელია, რომ სწორედ როსტომის დროიდან მოყოლებული ორენოვანი საბუთების სპარსულ ნაწილებში, როგორც წესი, აღნიშნულია საბუთში მოთხრობილის „გათავების“ აუცილებლობა „საქართველოს (=ქართული) დასტურლამალის მიხედვით“ ან „საქართველოს განწესების კანონისამებრ“. ასეთი შენიშვნები შემთხვევით არ ახლავთ ორენოვანი საბუთების

[1] მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 393.

სპარსულ ტექსტებს. სპარსული დასტურლამალი ან კანონი არ გამოდგებოდა, რეალურ შინაარსს იქნებოდა მოკლებული ქართველი ფეოდალის მეფის ხელისუფლებასთან და, განსაკუთრებით, მწარმოებელ კლასთან დამოკიდებულების დასახასიათებლად. ამიტომ ირანის მთავრობის ოფიციალურ თვალსაზრისს არაფერი ჰქონდა საერთო პრაქტიკაში არსებულ ვითარებასთან.

როსტომის დროისათვის ხელახლად ჩნდება „მულქ-ი მოურუს" ქართული სამეფოს აღსანიშნავად (ისკანდერ მუნშის თხზულების გაგრძელება, მოჰამედ თაჰერი...). მაგრამ, როგორც ვიცით, ამას არ შეეძლო რეალური შინაარსით შეევსო ორენოვანი საბუთის სპარსული ნაწილი.

ორენოვანი საბუთის სპარსული ტექსტის რეალური შინაარსით შევსება ირანისათვის მიუღწეველი აღმოჩნდა. ქართველი ხალხის მედგარი წინააღმდეგობის წყალობით ირანმა ვერ მოიპოვა საამისოდ საჭირო პირობები. მან ვერ შეძლო ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის გაუქმება, საქართველოში სათიულო მიწისმფლობელობის შემოღება.

ორენოვანი საბუთის სპარსული ტექსტი ირანის მთავრობას შესაძლებლობას აძლევდა მხოლოდ კონტროლი გაეწია საადგილმამულო ურთიერთობისათვის და ამ საშუალებით განეხორციელებინა თავისი სიმბოლური უფლება ქართულ მიწებზე.

საამისოდ გამოყენებული იყო ირანული სამეთვალყურო აპარატი, რომელსაც აღმ. საქართველოს პოლიტიკური ვითარებისათვის თვალყურის დევნაც ევალებოდა.

3. ირანული სამეთვალყურო აპარატი

ვახუშტი ბაგრატიონის „სამოხელეო ისტორიის" ზემოთ დამოწმებულ ნაკვეთში, სადაც ძირითადად საუბარია ხელისუფალთა სპარსულ-თათრულ ყაიდაზე შეცვლილ სახელებზე, ჩართულია ორი, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი, წინადადება: „ხოლო სხვანი ხელისუფალნი იყვნენ ეგრეთვე" და ამის მომდევნო „არამედ კვალად ყიზილბაშთა რიგის შესძინა ვეზირი, მუსტოფი[1] და მუნში". ეს წინადადებები შინაარსობლივად დაკავშირებული არ უნდა იყვნენ ნაკვეთის თხრობის მთავარ საგანთან—ხელისუფალთა ახალ სამოხელეო სახელებთან. ეს რომ ასეა, იქიდან ჩანს, რომ იქ, სადაც წყდება ვეზირის, მუსტოფის და მუნშის შესახები ფრაზა, ხელახლად

[1] ქართულში არაბ.-სპ. „მუსტოუფი" გამოითქმოდა როგორც „მუსტოფი".

გრძელდება „ხელისუფალთა შეცვლილთა სახელთათჳს“ გამო შეწყვეტილი საუბარი: „კვალად მეკარესა — ყ ა ფ ი ჩ ი და ასიათავსა — უ ზ ბ ა შ ი“.

ბროსე ამ ორს, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ, წინადადებას აერთიანებდა და ამგვარად თარგმნიდა: „les autres dignitaire eurent de même les noms persians Visir, Mustophi et Munchi“[1]. თარგმანის თარგმანი ქართულად ასე იქნებოდა: „ასევე სხვა ხელისუფალთ („ხოლო სხვანი ხელისუფალნი იყვნენ ეგრეთვე“) ეწოდათ სპარსულივე სახელები ვეზირის, მუსტოფის და მუნშის („არამედ კვალად ყიზილბაშთა რიგის შესძინა ვეზირი, მუსტოფი და მუნში“)“. ცხადია ბროსეს მცდარად აქვს გაგებული ვახუშტის ქართულიც და აზრიც. ნამდვილად, ვახუშტის სულ სხვა რამის თქმა სურდა, როცა ვეზირის, მუსტოფის და მუნშის შესახებ ცნობას გვაწვდიდა[2].

ვახუშტის ჩვენთვის საინტერესო ცნობის განმარტებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორაა გამართული მეორე წინადადება მის ავტოგრაფში. მეტად საგულისხმოა, რომ ავტოგრაფში წერია: „არამედ კვალად ყ ი ზ ი ლ ბ ა შ თ ა რ ი გ ი ს შესძინა ვეზირი, მუსტოფი და მუნში“ და არა „...კვალად ყ ი ზ ი ლ ბ ა შ თ ა რ ი გ ს შესძინა“, როგორც ეს წაკითხული და დაბეჭდილი აქვს ვახუშტის გეოგრაფიის ზოგიერთ რედაქტორ-გამომცემელს (მ. ჯანაშვილს, თ. ლომოურსა და ნ. ბერძენიშვილს). უკანასკნელი წანაკითხი სრულიად შეცვლიდა ვახუშტის ცნობის აზრსა და მნიშვნელობას. მაგრამ რატომ უნდა შევცვალოთ ავტორის ხელიდან გამოსული ხელნაწერის სათანადო ადგილი?

ვახუშტის ფრაზაში: „არამედ კვალად ყიზილბაშთა რიგის შ ე ს ძ ი ნ ა ვეზირი, მუსტოფი და მუნში“ ქართული სამოხელეო სახელების სპარსულად გადაკეთება კი არაა ნაგულისხმევი, არამედ ახალი, საქართველოს სახელმწიფო წყობილებისათვის მანამდე უც-

---

[1] Description géographique de la Géorgie par le Tsarevitch Vakoucht, publiée d'après l'original autographie par M. Brosset, St. Psb., 1842, გვ. 39—41.

[2] შედარებით უფრო ზუსტ თარგმანს და, ამასთანავე, ვახუშტის ცნობის სწორ გაგებას იძლეოდა მ. ჯანაშვილი, რომლის რუსული თარგმანის მიხედვით: «Другие же должностные лица остались в том же виде, н о о н в в е л е щ е п о п е р с и д с к о м у о б р а з ц у в и з и р и я, м у с т о п а и м у н ш и» (ბატონი ჩვენია—ვ. ბ.). География Грузии (царевича Вахушти). Введение, перевод и примечания М. Г. Джанашвили. Зап. кавказ. отд. РГО, кн. XXIV, в. 5, 1904, გვ. 18.

ნობი „ყიზილბაშური რ ი გ ი ს“ თანამდებობათა დაწესება-შემოღებ[1], რომელთაც არ შეეძლოთ შეეცვალათ ქართული სახელმწიფო წყობილების ხასიათი და თავისებურება. მაგრამ თუ დავუშვებდით გამოთქმას—„ყიზილბაშურ რ ი გ ს“, მაშინ გამოვიდოდა, თითქოს როსტომის დროს საერთოდ საქართველოში შემოღებულ ყიზილბ-შურ რიგს შესძინეს აგრეთვე ვეზირი, მუსტოფი და მუნში[2].

ვახუშტის მოწმობით, პირიქით, როსტომმა ზოგ ხელისუფალს სახელი შეუცვალა, ან ძველი ქართული „ქელის“ მსგავსი თანამდებობა შემოიღო („არამედ მსგავსი მისი“...), ზოგსაც ქართული სამოხელეო სახელი შეუნარჩუნა — „ხოლო სხვანი ხელისუფალნი იყვნენ ეგრეთვე“.

ზემოთ მთლიანად ციტირებული ნაკვეთი რომ რამდენიმე (შინაარსობლივად განსხვავებული) ნაწილისაგან შედგება და ყველგან „ხელისუფალთა შეცვლილთა სახელთათჳს“ არაა საუბარი, ეს ძტკიცდება ვეზირის მაგალითზე. ვეზირის გამო აკად. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „მეცნიერი ბატონიშვილი აქა-იქ სცდება, როდესაც მაგ. ამტკიცებს თითქოს მუშრიბი და ვეზირიც როსტომ მეფის მიერ შეცვლილი სამოხელეო სახელი ყოფილიყოს. ჩვენ დაჭეშმარიტებით ვიცით, რომ მუშრიბი დიდი ხნით როსტომზე უწინარეს შემოვიდა საქართველოში, ხოლო ვეზირობა მაინც-და-მაინც ჩვენში უკვე XII საუკუნემდე არსებობდა“[3]. აკად. ივ. ჯავახიშვილიც დაახლოებით ისევე განმარტავდა ვახუშტის „აწინდელი“ სამოხელეო ისტორიის ნაკვეთის შინაარსს, როგორც თავის დროზე ბროსე. განსვ. მეცნიერის აზრითაც ვახუშტის სამოხელეო სახელების შეცვლაზე აქვს საუბარი. საისტორიო ლიტერატურაში განმტკიცებულ ამ შეხედულების გამო უკვე 1943 წელს აღვნიშნავდით

---

[1] ნ. შენგელიას აზრითაც: „ვახუშტი ბატონიშვილი ვაზირის თანამდებობას თვლის ირანულ სახელმწიფოებრივ ნორმად“ (იხ. ნ. შენგელია, ვაზირის თანამდებობა დასავლეთ საქართველოში, ქუთაისის ა. წულუკიძის სახ. პედინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1941, გვ. 99).

[2] ვახუშტის მოწმობით, პირიქით, ქართველებს „აწინდელთა ჟამთა აქუნდათ წესნი იგინივე (ე. ი. ქართული) და შერეულნი ყიზილბაშთა“ (ვახუშტი, აღწერა..., გვ. 23). სხვაგანაც ყველგან, „აწინდელ“ ყოფაცხოვრებასა თუ ხუროთმოძღვრებაში უცხოური ელემენტის აღსანიშნავად ნახმარია: „ყ ი ზ ი ლ ბ ა შ თ ა რ ი გ ი ს ა“ (იქვე), „ურ უ მ თ ა რ ი გ ი ს ა“ (იქვე) და „ს პ ა რ ს თ ა რ ი გ ი ს ა“ (იქვე, გვ. 54). მაგ., „თბილისს სახლნი ნაშენნი არიან ქვა-ტალახითა და გალესილი გაჯითა, ზოგთა სპარსთა რიგისა, ზოგთა ქართული“ (გვ. 54).

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, მეორე-მესამე შევსებული გამოც., 1945, გვ. 344.

(იხ. ჩვენი: დარბაზის რიგის მოხელენი...), რომ ვახუშტისათვის ვეზირი არ უნდა ყოფილიყო ახალი სამოხელეო სახელი.

ვახუშტიმ კარგად იცოდა სავაზიროს არსებობა XII—XV სს. საქართველოში. თავისი ისტორიის პირველ ნაწილში, XII—XV სს. ამბებთან დაკავშირებით, ის არა ერთგან ასახელებს ვეზირებს[1]. ვახუშტისათვის უცხო არ იყო ვეზირობის არსებობა როსტომის უწინარესაც. ვეზირობის შესახებ ცნობები მას გამოაქვს პირველი წყაროებიდან, რამდენადაც მისი „ისტორიის" პირველი ნაწილი „ქართლის ცხოვრების" შემოკლებულ რედაქციას წარმოადგენს. ამიტომ ცხადი უნდა იყოს, რომ ვახუშტი სულ სხვას ვარაუდობდა და გულისხმობდა, როცა ვეზირობას როსტომის სახელს უკავშირებდა. მისთვის ამ შემთხვევაში მთავარი უნდა ყოფილიყო არა საკუთრივ სამოხელეო სახელი, არამედ თვითონ ვეზირის „ქელის" თ ვ ი ს ე ბ ა და ხ ა ს ი ა თ ი, რითაც გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი ვ ე ზ ი რ ი არსებითად განსხვავდებოდა ა დ რ ი ნ დ ე ლ ი ვ ე ზ ი რ ი ს ა გ ა ნ.

ვახუშტი გარკვევით აღნიშნავს, რომ როსტომმა ქართულ სამოხელეო წყობას შ ე ს ძ ი ნ ა „ყიზილბაშური რიგის" ვეზირი, მუსტოფი და მუნში. მაგრამ მას არ განუმარტავს, თუ რატომ ან რის გამო არიან ისინი „ყიზილბაშური რიგის", რა შეადგენს მათს სამოხელეო კომპეტენციას ან რა ადგილი უჭირავთ მათ ქართულ სამოხელეო წყობილებაში. ამის გასარკვევად, გარდა ზემოთ შესრულებული ტექსტობრივი ანალიზისა, საჭიროა ვეზირის, მუსტოფის და მუნშის სამოხელეო კომპეტენციათა გათვალისწინება საკუთრივ სეფიანთა ანუ ყიზილბაშურ ირანში.

ვახუშტის ცნობის ნამდვილი ძნიშვნელობის დადგენის მიზნით ჩვენ შევისწავლეთ ირანული სავაზირო საზოგადოდ და, კერძოდ, სეფიანთა ბატონობის ხანაში[2]. სეფიანთა დროინდელი ვეზირების და მუსტოუფების უფლება-მოვალეობის შესწავლისას ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებას, რომ გარკვეული რიგის ვეზირები და მუსტოუფები, აგრეთვე მწერლები (ვაყაინავისები და მუნშიები) მონაწილეობენ სამეთვალყურო აპარატში და წარმოდგენილი არიან როგორც კარის ხელისუფლების, ისე ბეგლარბეგ-ხანების გვერდით.

საყურადღებოა, რომ 1725 წ. შედგენილ სპარსულ დასტურლამალში ვეზირი და მუსტოუფი მუდამ ერთიმეორეს გვერდით არიან მოხსენებულნი, თუმცა მათს სამოხელეო უფლება-მოვალეობაზე იქ

---

[1] საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., გვ. 218, 220, 303.

[2] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, სახელმწიფო წყობილების საკითხისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში, გვ. 134—142.

გამოყოფილად, ცალ-ცალკეა საუბარი[1]. ირანის განსაკუთრებული ვეზირ-მუსტოუფები ერთად მოღვაწეობდნენ საკონტროლო დაქვემდებარებულ დაწესებულებებში. ამავე დროს ისინი ორგანულად იყვნენ დაკავშირებულნი ყოველ დაწესებულებასთან. ვეზირები „ასრულებდნენ მდივნების და მეთვალყურეების მოვალეობას“ („acted as secretaries and auditors“)[2]. ამზადებდნენ თანამდებობაზე დანიშვნის საბუთს, სარგებლობდნენ საბუთზე ბეჭდის დასმის პრეროგატივით[3]. მუსტოუფები კი უპირატესად მოანგარიშენი იყვნენ და მათსავე კომპეტენციას შეადგენდა, მაგალითად, სამხედრო უწყებებში მოღვაწეობისას მეომრების სიების შედგენა, მათი აღწერა და მათივე ჯამაგირების აღნუსხვა[4].

ერთი სიტყვით, ირანულ-ყიზილბაშურ სამოხელეო ორგანიზაციაში ვეზირი და მუსტოუფი განუყრელი წყვილია („Pair vazir and mustaufi“)[5]. არსებული სპარსულ-უცხოური წყაროების მიხედვით ვერ ხერხდება აბსოლუტურად ზუსტი გამიჯვნა ვეზირის და მუსტოუფის სამოხელეო ფუნქციებს შორის, იმდენად მჭიდროდაა ეს წყვილი დაკავშირებული სამოხელეო მოღვაწეობის სარბიელზე[6]. მაგრამ ერთი რამ ცხადია: ვეზირები და მუსტოუფები მეტად თავისებურად არიან დაკავშირებული ამა თუ იმ ხელისუფალთან და დაწესებულებასთან. მიუხედავად მათ მიერ სათანადო დაწესებულებაში შესრულებული გარკვეული სამოხელეო საქმიანობისა, ისინი ემორჩილებიან არა თვითონ დაწესებულების გამგებელ ხელისუფალს, არამედ დამოკიდებულნი არიან უშუალოდ ხელმწიფეზე ან დიდ ვეზირზე. ისინი, ასე ვთქვათ, გარედან იყვნენ შეყვანილი სახელმწიფო თუ სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვან დაწესებულებაში. ასე რომ ვეზირ-მუსტოუფები ირანის ხელმწიფის მოხელის მოხელენიც იყვნენ და იმავ დროს უშუალოდ ხელმწიფეზე დამოკიდებული მოხელენიც. ამიტომაც მათ მთავარ მოვალეობას ხელისუფალთა და დაწესებულებათა მეთვალყურეობა შეადგენდა.

---

[1] Tadhkirat al-muluk, §§ 50, 51, 55, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 71, 72, 73, 74, 75.

[2] Tadhkirat al-muluk, Commentary, გვ. 141.

[3] იქვე.

[4] იქვე.

[5] იქვე.

[6] იქვე.

მ უ ნ შ ი მუსლიმანურ ქვეყნებში სახელმწიფო კანცელარიების (დივან ალ-ინშა) ოქმის მწერლებს ეწოდებოდათ[1].

სეფიანთა ირანში მთავარი მუნში იყო მ უ ნ შ ი ალ-მ ა მ ა-ლ ი ქ (სახელმწიფო მუნში). შარდენი მას უწოდებს „ს ა ხ ე ლ მ-წ ი ფ ო მ წ ე რ ა ლ ს“ („écrivan du Royome“)[2]. შარდენისავე ცნობით, „ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო მ დ ი ვ ნ ა დ“ („Secretaire d'Etat“) კ ა ყ ა-ი ნ ა ვ ი ს ი (იგივე მ ე ჯ ლ ი ს ნ ა ვ ი ს ი — სახელმწიფო მეჯლისის მდივანი) ითვლებოდა“[3].

მუნში ალ-მამალიქის მიერ შედგენილი საბუთი ეხებოდა მთლიანად სახელმწიფოს, ან ცალკეულ ოლქს, და ამიტომ საჭიროებდა დიდი ბეჭდის დასმა-დამოწმებას. ირანის ხელმწიფის კორესპონდენციის ერთი ნაწილის (ფ ა რ ვ ა ნ ა, ჯ ა ვ ა ბ ნ ა მ ე, მ ი ს ა-ლ ი და სხვ.) გამზადება მუნში ალ-მამალიქის კომპეტენციას შეადგენდა[4]. საბუთის თუღრას ოქროსფერი და წითელი მელნით მოხატვა-გამოყვანა მხოლოდ მუნში ალ-მამალიქს შეეძლო[5]; მასვე უნდა დაეწერა ფორმულა: „ჰუქმი ჯაპან მუთა შოდ“ („გამოვიდა, საქვეყნო ბრძანება“)[6]. მის სამდივანმწიგნობროში შედიოდა: 1 მუნში და 27 მწერალი. მას ემორჩილებოდა პროვინციული მუნში, რომელსაც დაწვრილებით უნდა აღეწერა საგამგეო ოლქებში მომხდარი ღირსშესანიშნავი ამბები, გაეცნო ოლქის გამგებლისათვის ხელმწიფის ფირმანის ან ჯავაბნამეს (პასუხის წიგნის) შინაარსი და დროზე მიეწოდებინა საჭირო ცნობები სახელმწიფო მწერლისათვის (მუნში ალ-მამალიქისათვის)[7]. ასეთსავე ცნობებს უგზავნიდნენ ვაყანავისები სახელმწიფო მდივანს (ყავა-ი ნავისს)[8]. ამიტომ იყო

---

[1] მუნშის თანამდებობა არსებობდა შუა აზიაშიც. იქ მუნში ითვლებოდა ხანის პირად მდივნად. იხ. А. А. Семенов, Бухарский трактат о чинах и о званиях и об обязанностях носителей их в средневековой Бухаре, СВ, ტ. V, გვ. 142; კ. ანტონოვას განმარტებით შუა აზიაში მოღვაწე მუნში არის: «Секретарь, надзиратель». К. А. Антонова, Суюргал в Акбаровской Индии, გვ. 153, შენ. 23.

[2] Voyages du chevalier Chardin, Du Gouvernement Politique, Militaire et Civil des Persiens. ამსტერდამის 1735 წ. გამოც., ტ. III, გვ. 364.

[3] იქვე, გვ. 302.

[4] Tadhkirat al-muluk, გვ. 61, 132.

[5] იქვე.

[6] იქვე.

[7] იქვე, გვ. 61.

[8] შარდენს ვაყანავისის ამ მოვალეობის გამო ნათქვამი აქვს: „Vakanuviez... qui tient registre de tout ce qui ce passe d'important, et qui en donne avis a la Cour“. ამ მხრივ ვაყანავისებს და მუნშიებს შორის არავითარი გან-

რომ ვაყანავისებს და მუნშებს უხვი და მრავალფეროვანი მასალა უგროვდებოდათ საისტორიო თხზულებების შესადგენად.

სამეთვალყურო აპარატი ირანში რთული აგებულებისა და შედგენილობისა იყო; მასში შედიოდნენ: ვეზირი, მუსტოუფი და მწერალი.

ირანში მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა უკლებლივ ყველა გავლენიანი ხელისუფალი (კარის, საგამგეო ოლქის)[1].

ყველა ხელისუფალს თუ მოხელეს, კონტროლს უწევდა განსაკუთრებული მოხელე. ამავე დროს თვითონ კონტროლი ისე ოსტატურად იყო მოწყობილი, რომ მეთვალყურე მოხელე ორგანულად იყო დაკავშირებული მისდამი საკონტროლოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებასთან. მაგ., როგორც ჯანიშინი (მოადგილე), ვეზირი, ვექილი, მუსტოუფი, მდივანი ან მწერალი. ერთდროულად იგი დაწესებულების მსახურიც იყო და მეთვალყურეც. მას ხელისუფალი იმსახურებდა იმის მიუხედავად, რომ უშუალოდ, როგორც მეთვალყურე, ხელმწიფეზე იყო დამოკიდებული. ცხადია, როცა მეთვალყურე მოხელე დაწესებულებაში შესაფერ საქმეს ასრულებდა, მას ადვილად შეეძლო მისი კონტროლი. მისთვის აქ ყველაფერი ცხადი და ნათელი უნდა ყოფილიყო— ხელისუფლის საეჭვო მოქმედებაც და დაწესებულების საერთო მდგომარეობაც. მაგრამ მეთვალყურე მოხელის ორმხრივი დამოკიდებულება (ხელისუფალსა და ხელმწიფეზე) იმის საწინდარი იყო, რომ თავის მხრივ ისიც მეთვალყურეობის ქვეშ აღმოჩნდებოდა.

მეთვალყურე მოხელეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვეზირს და მუსტოუფს, ერთიმეორესთან მჭიდროდ დაკავშირებულ და განუყრელ წყვილს ირანის სამოხელეო ორგანიზაციაში. ვეზირის და მუსტოუფის მნიშვნელობას, ირანის შაჰის და ხელისუფლის ურთიერთდამოკიდებულებაში, აძლიერებდა ის, რომ ორივე ეკუთვნოდა სამოქალაქო მოხელეთა ჯგუფს და უშუალოდ ცენტრალურ ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული[2].

სხვავება არ არსებობდა. შუა აზიაშიც ვაყანავისი იყო: «Записыватель текущих происшествий» (А. Семенов, Бухарский трактат, გვ. 144). ა. სემიონოვის განმარტებით: «Вока'навис обозначал письмоводителя, делавшего сводки ежедневных эмирских (ханских) осведомителей и о всем слышанном и виденном ими за день среди народа» (იქვე, გვ. 144, შენ. 36).

[1] Chardin, დასახ. ნაშრ., გვ. 302—303.

[2] ირანული სამეთვალყურო აპარატის შემადგენლობის შესახებ აზერბაიჯანში საუბარი აქვს ი. პეტრუშევსკის. მისი სიტყვით: «Шахи XVII в., дабы ог-

ამრიგად, როგორც ვნახეთ, სამეთვალყურო აპარატს ირანში ევალებოდა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება-განმტკიცება და საამისო პირობების უზრუნველყოფა[1]. მეთვალყურე[2] მოხელეს ცენტრალური ხელისუფლების და მოხელის ურთიერთდამოკიდებულებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. მეთვალყურე მოხელე, როგორც წესი, ამა თუ იმ ხელისუფლის (როგორც კარის, ისე საქვეყნოდ გამრიგეს) გვერდით იყო წარმოდგენილი. ეს საყოველთაო წესი ქართველ მეფეებზეც უნდა გავრცელებულიყო იმ მომენტიდან მოკიდებული, როცა ეს უკანასკნელი ირანის შაჰის მოხელედ იყო ქცეული. ეს დასაშვებია არა მარტო თეორიულად, არამედ მტკიცდება ფაქტიური მასალებითაც. ქართულ და სპარსულ წყაროებში შენახული ცნობების შესწავლა-გამოკვლევებით ერთბაშად გასაგები ხდება ვახუშტის ჩვენთვის საინტერესო კონტექსტის ნამდვილი აზრი და მნიშვნელობა.

დაუთ-ხანი, როგორც ცნობილია, პირველი ქართველი მაჰმადიანი ხანი იყო, რომლის სახით ირანმა ქართლში ერთგული მოხელე გაიჩინა.

ეს შენიშნული აქვთ თანამედროვე ევროპელ პოლიტიკურ დამკვირვებლებსაც. ტომაზო მინადოის სიტყვით: დაუთ-ხანმა „თათრული ხალათი (სიტყვა-სიტყვით: ბარბაროსთა ხალათი) ჩაიცვა, და შაჰ-თამაზის ბრძანებისამებრ მეფე ან მთავარი კი აღარ იყო, არამედ თბილისის ხანი“ („et vestito con habito Barbaro, fu per nome di Tamas constituito, non piu

---

раничить огромную власть беглярбегов, окружили их разными гражданскими сановниками, подчиненными непосредственно центральной власти». И. П. Петрушевский, Азербайджан в XVI—XVII веках. Сборник статей по истории Азербайджана, I, გვ. 247. სამეთვალყურო აპარატის მოხელეთა შესახებ, იხ. იქვე, გვ. 247—248.

[1] აქ არ ვეხებით საკითხს, თუ რამდენად წარმატებით აღწევდა ამას ცენტრალური ხელისუფლება.

[2] ვეზირს მეთვალყურე მოხელის ფუნქცია შენარჩუნებული ჰქონდა ყაჯართა დინასტიის ბატონობის დროსაც XIX ს-ის დამდეგს. ვეზირების გამო ფრანგი დრუვილი შენიშნავს: «Они не весьма редко дают имя Визирей тем мирзам своим, которым поручают отправление дела. Сии мирзы, получая от своих начальников в рассмотрение почти все дела, относящиеся о их правления, собственно говоря, суть шпионы Министров, так как их твари. И поэтому они уведомляют их обо всех поступках своих начальников, а наипаче о их расположении к Царской власти». Друвиль, Путешествие в Персию в 1812 и 1813 годах (перевод с франц.), М., 1826, ტ. II, გვ. 37.

Re' o Duca, ma Chan di Tiflis")[1]. რაკი დაუთ-ხანი ბეფე აღარაა, არამედ ყაენის მოხელე, მას, საერთო წესის თანახმად, მეთვალყურეც სჭირდებოდა. ამიტომ მოულოდნელი არაა ცნობა, რომელსაც ისკანდერ მუნში გვაწვდის დაუთ-ხანის მეთვალყურე მოხელეების შესახებ.

ისკანდერ მუნში მოგვითხრობს: „სამოთხეში დამკვიდრებულმა შაჰმა (იგულისხმება შაჰ-თამაზი—ვ. გ.) მისი (დაუთ-ხანის) ალერსიანი მოპყრობა-აღზრდა ბრძანა და [მას] შვილის წოდებულება მიანიჭა. უზენაესი დივანისადმი დაქვემდებარებული თბილისი და მიმდგომი სანახები მასვე უწყალობეს. დრო და დრო კარის (დარგაჰ) ერთ-ერთი ამირთაგანი თბილისის ციხისთავად (მინბაშად — ვ. გ.), დაუთ-ხანის ლალად და მის საქმეთა გამგებლად იყო".

ისკანდერ მუნშის ეს ცნობა მრავალმხრივ არის საყურადღებო. აქედან კარგად ჩანს დაუთ-ხანის უფლებრივი მდგომარეობის (ირანთან დამოკიდებულების თვალსაზრისით) ყველა მხარე. უპირველეს ყოვლისა, იგი ხელმწიფის — სუზერენის ჩვეულებრივი ვასალია, მას „შვილობის რაყამი უბოძეს" (დაუთ-ხანი, რომელსაც „რაყამში შვილობა ჩაუწერეს", ამ მხრივ დიდად განსხვავდება არა მარტო სიმონ პირველისაგან, არამედ როსტომ ხანისაგანაც). მეორე: თბილისი და მის სანახები (ქართული წყაროების მიხედვით: „ქალაქი და სომხით-საბარათიანო") გამოცხადებულია სახელმწიფო დივანის საკუთრებად, ე. ი. შეტანილია ირანის სახელმწიფო მიწების ფონდში (აშკარაა: ირანი ამ ღონისძიებით ქართლის პოლიტიკურ-ეკონომიურ ინკორპორაციას ცდილობს...). მხოლოდ ამის შემდეგ ეს მიწები, „წყალობის" წესით (როგორც ეს წესად ბყო მიღებული ირანში ყველა მოხელის მიმართ) მიუღია დაუთ-ხანს. მესამე: ირანის კარის ერთ-ერთი ამირთაგანი დროგამოშვებით იგზავნებოდა თბილისის ციხის მინბაშად და დაუთ-ხანის საქმეთა გამგებლად. მინბაში არაა ხანი, დაუთ-ხანს ყოველწლიურად ქეშიკად რომ მოუყენებდნენ ხოლმე. იგი ერთდროულად დამოუკიდებელი ხელისუფალიცაა, რო-

---

[1] Thomaso Minadoi. Historia della guerra fra Turchi et Persiani, Venice, 1588, გვ. 57.

[2] თარიხ-ი ალემ არა, გვ. 67. شاه جنت مکان اورا نوازش و تربیت فرموده بسمت والای فرزندی اختصام داده ولایت تفلیس و توابع که در حیطه تصرف دیوان اعلی بود باو ارزانی داشتند هر چند گاه یکی از امرای در گاه کوتول قلعه تفلیس لله راتق و فاتق فهمات داود خان بود

გორც მინბაში და ნახევრად დამოკიდებული მოხელეც, როგორც დაუთ-ხანის სამოხელეო მოღვაწეობის მონაწილე და მისივე მზრუნველი (ისკანდერ მუნშის ტერმინოლოგიით — „ლალა“ —რეგენტი). ამრიგად, ირანის პირველივე მაჰმადიანი მოხელის გვერდით საქართველოში დაუყოვნებლივ აღმოჩნდა მეთვალყურე მოხელე. ასე რომ, ირანული წესიდან გადახვევა არც აქაა. ირანის კარის ამირები განსაკუთრებული დავალებით იგზავნებიან დაუთ-ხანის კარზე.

ისკანდერ მუნში ერთგან ასახელებს კიდეც დაუთ-ხანის მეთვალყურე მოხელის სახელს: „შაჰყული სულთან კარინჯე ოღლუ,—ამბობს ისკანდერ მუნში,—მაჰიფიკულუს ოიმახისა, დებედას (?) ჰაქიმი, თბილისში დაუთ-ხანის ქომაგად და მის საქმეთა მომწესრიგებლად იყო“[1]. შაჰ-თამაზ I-ის (1524—1576) გარდაცვალების შემდეგ და ირანში დაწყებული არეულობის დროს შაჰყული სულთან კარინჯე ოღლუ საქართველოდან უკან გაბრუნებულა: „შაჰყული კარინჯე ოღლუ,—აღნიშნავს სხვა ადგილას ისკანდერ მუნში,—თბილისში რომ იმყოფებოდა, უკან დაბრუნდა, მაგრამ ვერ მოიპოვა ისმაილ-მირზას კეთილგანწყობილება“. საყურადღებოა, რომ შაჰყული სულთან კარინჯე ოღლუ, რომელსაც ისკანდერ მუნში იხსენიებს შაჰ-თამაზის დროინდელ სახელოვანი ამირების მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებში, დაუთ-ხანის „ქომაგია“ და ამ უკანასკნელის საქმიანობის მონაწილე. ცხადია, ირანიდან გამოგზავნილი ეს მოხელე შაჰის პოლიტიკის გამტარებელი უნდა ყოფილიყო ქართლში მოღვაწეობის დროს.

ირანის განსაკუთრებული მოხელე მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო სიმონ I-ის კარზეც, როცა ეს უკანასკნელი ოსმალების წინააღმდეგ ირანს დაუკავშირდა. მაგრამ საამისო ცნობებს წყაროებში ვერ მივაგენით. ვიცით მხოლოდ, რომ სიმონ I-ის ქართლში მაჰმადიანად დაბრუნების დროიდან აქ გავრცელდა ზოგიერთი ირანული წარმოშობის ინსტიტუტი[2]. სიმონ ქართლის მეფის მოღვაწეობის ამ პერიოდს ეკუთვნის აგრეთვე ე. წ. ორენოვანი (ქართულ-სპარსული) დოკუმენტები. ასეთ ვითარებაში გამორიცხული არ უნდა ყოფილიყო ირანის შაჰის რწმუნებული მოხელის ყოფნა

---

[1] თარიხ-ი ალემ არა, გვ. 105. شاه قولی سلطان قارنجه اغلی اویماق ماهی فیقه‌لوی حاکم دبدی و در تفلیس کومگ داود خان گرجی تمشیت فهمات مامور بود

[2] Н. А. Бердзенишвили, Очерк..., გვ. 44—45; ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა, 1922, გვ. 26—27.

ქართლის მეფის კარზე 1578—1590 წწ. მაგრამ ეს ვარაუდი დასაბუთებას საჭიროებს. ს. კაკაბაძე ერთსა და იმავე წიგნში ერთგან ვარაუდობდა, რომ „საზოგადოდ სვიმონის მეფობის დროსავე უნდა დაარსებულიყო ქართლში სპარსეთის მიბაძვით განსაკუთრებული ვეზირისა და აგრეთვე მდივანბეგის თანამდებობა[1]“, მეორეგან კი კატეგორიულად აცხადებდა: „უკვე XVI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში სვიმონ პირველის დროს შემოღებული იყო სპარსეთის კარის მიხედვით თანამდებობა ვეზირისა“[2]. ს. კაკაბაძის ამ მტკიცების წყარო ჩვენთვის უცნობია. არც ისაა ცხადი, თუ ვის ან რას ნიშნავს „განსაკუთრებული ვეზირი“.

ირანის შაჰის განსაკუთრებულ მოხელეებს ვხედავთ XVII ს-ის პირველივე მაჰმადიანი ქართველი ხანების კარზე. მეთვალყურე მოხელეები შაჰ-აბასმა „მოუყენა“ ისა-ხანს, ბაგრატ-ხანს, სიმონ-ხანს. ყველა ესენი იმ დროს გაგზავნეს, როცა ისკანდერ მუნშის სიტყვით, „საქართველო პატრონებისაგან გაწმენდილი იყო“ (گرجستان خالی از صاحبان بود)[3]. ისკანდერ მუნშის მხედველობაში ჰყავს ლუარსაბ II და თეიმურაზ I.

კახეთის გამგებლად დასმულ ისა-ხანს „ვექილათ მოუყენეს“ დავით ასლანიშვილი[4] (ფარსადან გორგიჯანიძის მიერ ნახმარი „მოუყენეს“ საუცხოოდ გამოხატავს ვექილის დანიშნულებას ხანის კარზე). ამასვე აღნიშნავს ისკანდერ მუნში, რომლის სიტყვით „ქართველი დიდ აზნაურთაგანი დაუდ-ბეგი მას (ისა-ხანს—ვ.გ.) ვექილად განუწესეს“[5].

თბილისის ჰაქიმთან (ბაგრატ-ხანთან?) მუდმივად იმყოფებოდა ნურ ედ-დინ ბაიდარი. ისკანდერ მუნშის მოწმობით, „ნურ ედ-დინ ბაიდარი შირვანელი თარაქამების ჩამომავალი, მუდამ თბილისის ჰაქიმთან იყო დაკავშირებულ-დაქვემდებარებული (تابینی) და იქ ასრულებდა თავის სამსახურს“[6].

---

[1] იქვე, გვ. 27. სიმონ I-ის 1594 წ. ორენოვანი საბუთის სპარსულ ნაწილში მოხსენებული „ვეზირანე“ (სავეზირე), ვეზირის თანამდებობის არსებობაზე უნდა მიუთითებდეს. იხ. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 459—460; Персидские указы Матенадарана, 1, გვ. 295.

[2] ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

[3] თარიხ-ი ალემ არა, გვ. 617.

[4] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., გვ. 230.

[5] داود بیگ که از معظم ازناوران گرجی بود بوکالت او معین گشت
تاریخ-ی عالم آرا, გვ. 616.

[6] نور الدین بایدر از عسار تراکمات شیروان است و همیشه در تابینی حاکم تفلیس بخدمات آنجا قیام داشت
تاریخ-ی عالم آرا, გვ. 763.

სიმონ-ხანის ვექილად იყო გიორგი სააკაძე.

როგორც ისა-ხანის, ისე სიმონ-ხანის ვექილი ირანის შაჰის მოხელეა. გიორგი სააკაძის ვექილობის გამო ისკანდერ მუნშის ნათქვამი აქვს: ბაგრატ-ხანის „შვილი სიმონი, რომელიც ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ყმაწვილია, მამის მაგიერ იმ ვილაიეთის (ქართლის—ვ. გ.) მმართველად დაადგინეს და წარჩინებულ ქართველთაგანი მოვრავბეგი, გამაჰმადიანებული და ერთ-ერთი პატივდებული სახელმწიფო დიდკაცი, მის ვექილად და ათალიკად გახდა“[1].

საყურადღებოა, რომ გიორგი სააკაძე არა მარტო ვექილია, არამედ ათალიკიც. ათალიკი იგივეა, რაც ათაბაგი და ლალა (აღმზრდელი, მეურვე, მზრუნველი, რეგენტი). ირანული წესის მიხედვით ლალას უნიშნავდნენ ყველა მცირეწლოვან უფლისწულს და ოლქის გამგებელს. საგამგეო ოლქის გამგებლადაც ფაქტიურად ლალა ითვლებოდა. ასე რომ გიორგი სააკაძე, როგორც ათალიკი, იყო ქართლის რეგენტი (წაიკითხე: ქართლის მოურავი). მაგრამ შაჰ-აბასს არ გამოადგა არც ისა-ხანის და არც სიმონ-ხანის ვექილი. ორივე, სხვადასხვა დროს, სათავეში მოექცა ირანის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებას. ალბათ ამით აიხსნება, რომ XVII ს-ის 30-იანი წლებიდან ნოკიდებული ქართლის მაჰმადიანი მეფეების კარზე მეთვალყურეებად ინიშნებიან უკლებლივ ირანული წარმოშობის პირები, რომელთაც არავითარი ურთიერთობა არა აქვთ ადგილობრივ ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასთან.

ვექილი ეწოდებოდა შაჰის რწმუნებულს, რომელიც შუამავლის როლს ასრულებდა შაჰსა და იმ ხელისუფალს შორის, რომლის კარზეც ის საგანგებო დავალებით იყო წარგზავნილი. შარდენის სიტყვით, ყველა მმართველი და ოლქის სხვა დიდმოხელე მოვალე იყო თავის კარზე ჰყოლოდა ა გ ე ნ ტ ი, რომელსაც ვ ე ქ ი ლ ს უწოდებენ. ვექილებს, ირანის ხელმწიფის მოთხოვნისთანავე, უნდა მიეწოდებინათ საჭირო ცნობები ხელისუფლის საგამგეო ოლქში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბების შესახებ[2]. ვექილის სამოხელეო

---

[1] იქვე, გვ. 667. پسرش سمیون‌را که هنوز طفل خورد سال است بجایی پدر بحکومت آنولایت سر افراز گردانیدند و از معتبران گرجیه موراو بیگ که شعار الاسلام ظهر ساخته از زمره دولتخواهان معتمد بود بوکالت و اتالیق او معین گشت

[2] „Tous les Gouverneurs, et les autres grands Officers qui sont dans les Provinces sontobliges d'entretenir un Agent a la Cour. On appelle ces agent Vikil... ils sont la pour rendre compte de le qui se passe de considerable dans le Gouvernement de leur Maitre, lorsque la Cour demande d'en etre informée“. Chardin, დასახ. ნაშრ., გვ. 306.

ფუნქციაც დაახლოებით ისეთი იყო, როგორც ვეზირისა. ბეთვალ-ყურე ვეზირის მსგავსად ვექილსაც შაჰის ინტერესების დაცვა ევალებოდა[1]. ვექილი იყო ირანის შაჰის მოხელედ ირანის შაჰისავე მოხელესთან.

ცნობილია, რომ გამაჰმადიანებულ-გასპარსელებული ბაგრატ-ხანი და სიმონ-ხანი იყვნენ არა „მ ე ფ ე ნ ი“, არამედ „ხ ა ნ ე ბ ი“— ირანის შაჰის მოხელეები. პ ი ე ტ რ ო დ ე ლ ლ ა ვ ა ლ ლ ე ს წერილებში ლუარსაბ II და თეიმურაზ I მეფედ (il Re) იწოდებიან, გასპარსელებული ბაგრატ—სიმონი კი ხ ა ნ ა დ[2]. იგივე ავტორი თეიმურაზის დედის, ქეთევან დედოფლის გამო, ამბობს, რომ „ის იწოდებოდა ქეთევან Diduphali, ოაც ნიშნავს დედოფალს (la Regina), რადგან ქართველები თავიანთ მთავრებს მ ე ფ ე ს უწოდებენ და, ვფიქრობთ, უფლებაც აქვთ ასე უწოდონ მათ“[3]. ქართველი „მაჰ-მადიანი მთავრები (di principi Mahomettani), შენიშნავს პიეტრო დელლა ვალლე,—სპარსეთის ბატონობის ჟამს (sotto il Domino di Persia), იმის მიუხედავად, რომ ისინი ეკუთვნიან მემკვიდრე ბატო-ნების სახლს (della casa de principi naturali), მთლიანად დამოკიდე-ბული არიან ირანის ხელმწიფეზე“[4]. მასვე სიმონ-ხანის უფლებრივი მდგომარეობის დახასიათებისას აღნიშნული აქვს, რომ ის „აღარ იყო სრულუფლებიანი მთავარი, არამედ ითვლებოდა დაქვემდება-რებულ ხანად, და დამოკიდებული იყო სპარსეთის გვირგვინზე“[5].

ასეთ ვითარებაში, როგორც ამას ჩრანულ-ყიზილბაშური სამო-ხელეო ორგანიზაციის წესი მოითხოვდა, მათ გვერდით უნდა აღმოჩენილიყვნენ განსაკუთრებული მოხელენი. ახლა ჩვენთვის უკ-

---

[1] ამის მიუხედავად განსხვავება მაინც იყო: ვექილებად ჩვეულებრივ ფეო-დალები (ყიზილბაშები ან არაყიზილბაშები) იყვნენ, ვეზირებად კი უკლებლივ სპარსელები (სამოქალაქო მოხელეები). გარდა ამისა, ვექილი რეგენტის მოვალე-ობას ასრულებდა, ვეზირი კი ასეთად არასოდეს ყოფილა.

[2] Pietro della Valle, Viaggi, ნაწ. II, რომი, 1658, გვ.165—168.

[3] „Si chiama Keteuan Diduphali, che vuol dire la Regina Keteuan; perche i Giorgiani il loro Principi ghli chiamano Re, e credo, che con ragione possan chiamarli“. Pietro della Valle, იქვე, გვ. 166.

[4] იქვე, გვ. 165—166.

[5] „Non piu Principe assoluto, ma solo tiene come un Chan soggeto, e dipendente della Corona di Persia“, იქვე, გვ. 168.

ვე ცხადია, თუ რატომ „მოუყენეს“ გამაჰმადიანებულ ქართველ ხანებს ვექილები[1].

მაგრამ გარკვეულ დრომდე ირანი ასეთ წარმატებას აღწევდა ან დროებით ანდა განსაზღვრულ ტერიტორიაზე, რომელიც სრულიადაც არ მოიცავდა მთელ ქართლს. ირანის შაჰის ყველა მოხელე: დაუთ-ხანი, ბაგრატ-ხანი, სიმონ-ხანი, ქართული და სპარსული წყაროების მიხედვით, მხოლოდ „თბილისის და სომხით-საბარათიანოს მეფედ“ იწოდებიან (სპარსულ წყაროებში: „ჰაქიმად“). სამაგიეროდ „როსტომი პირველი მაჰმადიანი მეფე იყო, რომელმაც ქართლში მტკიცედ ფეხის მოკიდება შესძლო“[2]. როსტომის დროსვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ირანის სამეთვალყურო აპარატი, რომლის შემადგენლობაში წარმოდგენილი იყო: ვ ე ზ ი რ ი, მ უ ს ტ ო ფ ი დ ა მ უ ნ შ ი.

ამჟამად ჩვენთვის ცნობილია როსტომის პირველი ვეზირის და მუსტოფის ვინაობაც.

ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიაში როსტომ მეფის ვეზირად დასახელებულია ვინმე ა ღ ა მ ო ი ნ ა[3]. ისკანდერ მუნშის ისტორიის გაგრძელებაში კი როსტომის ვეზირს მ უ ი ნ მ ო ჰ ა მ ე დ ი ეწოდება[4]. ცხადია, აღა მოინა და მუინ მოჰამედი ერთი და ივიკე პირია. ეს, თავის დროზე, ჯერ კიდევ ბ რ ო ს ე მ შენიშნა[5].

---

[1] ამ წესის მიხედვით სიმონ-ხანს ვექილი უნდა ჰყოლოდა გვიანაც. ასეთად თითქოს ჩანს ა ლ ი ყ უ ლ ი. საინტერესოა: 1626 წ. სიმონ-ხანის წყალობის წიგნებზე მოთავსებულ ფორმულას: „ჭ. ეაე ბრძანება: ასრე: უნდა გათავდეს“ უზის ბეჭედი სპარსული წარწერით غلام شاه عباس عليقولى (მონა შაჰისა ალიყული) ასეთივე წარწერაა მოთავსებული სიმონ-ხანის ბეჭედზე: غلام شاه عباس سميون (მონა შაჰისა სიმონ). ყველა საბუთში სიმონიც და ალიყულიც შაჰ-აბასის მონად იწოდება (ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 60, 62) და ეს კი, ალბათ, იმიტომ, რომ ორივე ირანის ხელმწიფის მოხელეა. ალიყული რომ სიმონ-ხანის მოხელე ყოფილიყო და არა, ვთქვათ, ვ ე ქ ი ლ ი (შაჰის მოხელე), მისი ბეჭდის წარწერა განსხვავებული შინაარსის იქნებოდა, ხოლო მისი თანამდებობითი დამოკიდებულება სიმონ-ხანისადმი საგანგებოდ ხაზგასმული. ქართული ბეჭდების წარწერათა შედარებანი იხ. ვ. გაბაშვილი, სახელმწიფო წყობილების საკითხისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში, გვ. 147, შენ. 1.

[2] საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, მეორე შესწორებულ-შევსებული გამოცემა, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს რედაქციით, გვ. 347.

[3] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოც., „საისტორიო მოამბე“. 1925, ნაწ. II, გვ 244.

[4] ისკანდერ მუნშის ისტორიის გაგრძელება, ვსარგებლობთ აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში დაცული სპარსული ტექსტის ხელნაწერის ფოტოპირებით.

[5] Histoire de la Géorgie par M. Brosset, II partie, I livraison, 1856, გვ. 499, შენ. 2.

მართალია, აღა მოინას „როსტომის ვეზირი“ ეწოდება (ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიაშიც და ისკანდერ მუნშის ისტორიის გაგრძელებაშიც), მაგრამ ეს სრულიად არაა იმის საწინააღმდეგო, რასაც ირანულ-ყიზილბაშური სამეთვალყურო აპარატის საერთო წესი გულისხმობდა. აღა მოინა, როგორც ვიცით, ერთდროულად შეიძლებოდა ქართლის ვალის ვეზირიც ყოფილიყო და უშუალოდ ირანის ხელმწიფეზე დამოკიდებული მოხელეც. ამასთანავე ვეზირი, მიუხედავად ორმხრივი დამოკიდებულებისა, იმ ხელისუფლის ვეზირად იწოდებოდა, რომელთანაც შაჰის მიერ მეთვალყურედ იყო დანიშნული. საამისოდ არა ერთი მაგალითის დამოწმება შეიძლება XVI—XVII სს. სპარსულ ნარატიულ წყაროებიდან.

ვეზირს რომ საქართველოში ნიშნავდა არა ქართლის ვალი, არამედ ირანის შაჰი ან ხელისუფალი, ეს კარგად ჩანს ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიიდან. მაგ., ნაზარალი-ხანის ვეზირის, ყიასას გამო ფარსადანს ნათქვამი აქვს, რომ ყიასა თავრიზის ბეგლარბეგმა და საქართველოში სარდრად დადგინებულმა ჰაჯი-ალი-ხან ზანგანმა გაავეზირა: „სარდარმა ყიასა ვ ე ზ ი რ ა თ დ ა ა ყ უ ნ ა და ა ს რ ე დ ა ა ბ ა რ ა, რომ განჯის ხანის წახდენას და ნ ა ზ ა რ ა ლ ი-ხ ა ნ ი ს დ ა ტ ყ უ ე ბ ა ს ე ც ა დ ე ო, რომ ჩემი ნამსახური გამოჩნდესო“[1]. ყიასა ვეზირის პოლიტიკური მოღვაწეობა, ფარსადან გორგიჯანიძის მიერ ვრცლად აღწერილი, ჩვენ ერთხელ უკვე გამოვიყენეთ გვიანდელი ვეზირის უფლება-მოვალეობის დახასიათებისას[2].

ირანული სამეთვალყურო აპარატი არსებობდა „ყიზილბაშობის“ დროსაც, როცა ქართლს ბეგლარბეგები და ხანები განაგებდნენ. ბეგლარბეგები და ხანები, რომელთაც ქართლში „მემკვიდრე ბატონების“ ადგილი დაიჭირეს (ისინი ან რენეგატი ქართველი ფეოდალები იყვნენ ანდა ხორასნელი ყიზილბაშები), ღირსებით ვალზე დაბლა იდგნენ.

სწორედ ამიტომ სამეთვალყურო აპარატი „ყიზილბაშობის“ დროს განვითარებული სახითაა წარმოდგენილი. ქართლში ამ დროს მოღვაწეობენ ირანის ხელმწიფეზე დამოკიდებული ვეზირები, მუსტოფები და მუმეიზები. საამისო ცნობების მოტანა მრავლად შეიძლება პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს საისტორიო თხზუ-

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 287—288.

[2] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დარბაზის რიგის მოხელენი დასტურლამალის მიხედვით, ენიმკის „მოამბე“, ტ. XIII, გვ. 195—198.

ლებიდან. ერთ ადგილას ის ამბობს: „ამ ყეენისა (ნადირ-შაჰის—ვ. გ.) რიგი იყო, რაც ჯარი ჰყვანდა დიდი ანუ მცირე, ყველა ჯამაგირით ჰყვანდა, რომ ყველას მარტს, რომ ნავროზი მოუვათ, ეს ვექილი და ვეზირი მუსტაფი, ამისთვის უსხდა ყოველს ქვეყანაში, რომ ქვეყნის გამოსავალს სახელმწიფოდ აიღებდნენ და ამ ჯარებს გაუყოფდნენ და თუ რამ გადარჩისთ ქვეყნისაგან სახელმწიფოდ შეინახავდენ“[1]. ეს მოხელენი ირანის ხელმწიფეს ქართლის ამბებს წერილობით ან პირადად ატყობინებდნენ ხოლმე: „წავიდნენ ეს მუმეიზები, რომელ არს მწერალნი, —გადმოგვცემს „ყიზილბაშობის“ თანადამხდური და თვითმხილველი ისტორიკოსი,—და წაიღეს დავთარი. ვეზირი, ვექილი ქალაქის და ქალანთარი, ესენიც დაბარებული იყვნეს. ჩავიდნენ, მიართვეს (ხელმწიფეს—ვ. გ.) დავთარი და აცნობეს საქმე ქვეყნისა“[2].

პაპუნა ორბელიანი დაწვრილებით აღწერს ირანელი მოხელეების ქართლში საქმიანობას: „გამოეგზავნა აქავ ნავეზირალი მირზა აშუმა. ქართველნი ჩივიან, ქვეყანა ხარაბა არისო და მიდი, დაწერე და მართალი მომახსენეო“[3]. ამ ცნობაში ყურადღებას იქცევს გამოთქმა: აქავ ნავეზირალი. იგი გვირკვევს, რომ მირზა აშუმა ერთხანს საქართველოში ვეზირად ყოფილა და შემდეგ ირანს უკან გაუწვევიათ, რითაც აშკარად დასტურდება ვეზირის შაჰზე დამოკიდებულების ფაქტი, აგრეთვე განსაკუთრებით ის აშკარავდება, რომ ვეზირი ირანის ხელმწიფის საგანგებო დავალებას ასრულებს საქართველოში.

პაპუნა ორბელიანს თავისი ისტორიის თხრობაში მრავალგან ჩაურთავს ასეთი ცნობები: „დაებარებინა (ხელმწიფეს—ვ. გ.) ქართლის ომალები: წავიდნენ ვექილი, ვეზირი, მუსტაფი და ქალაქის მელიქი[4]“; „დაიბარა ხანმა ვექილ-ვეზირი და მუსტაფი: რა მოვიდნენ გორს დაუწყეს ზემო ქართლის რიგება და მალუჯათისაც თხოვნა დაუწყეს[5]“. „მოვიდა ჩაფარი,

---

[1] პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი ანუ მცირე ქართლის ცხოვრება. იხ., „ქართლის ცხოვრება“, ნაწ. II, დ. ჩუბინაშვილის გამოც., გვ. 371.

[2] იქვე, გვ. 359.

[3] იქვე, გვ. 358.

[4] პაპუნა ორბელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 380.

[5] იქვე, გვ. 358.

დაებარებინა ბატონიშვილი აბდულა ბეგ; რა ჩაბძანდა ჰკითხა ამბავი ქართლის და მოახსენა ყოველივე: ამის შემდგომად ჩამოვიდა ჩაფარი, დაებარებინა ვექილ-ვეზირი, მუსტოფი და ქალაქის ვეზირი აღა, ჩავიდნენ ესენიცა და მათგანც უწყო ამბავი ქართლისა"[1]. ასე გებულობდნენ ირანის ხელმწიფენი დაქვემდებარებულ ქვეყნებსა და ოლქებში მომხდარ საყურადღებო პოლიტიკურ ამბებს.

ვეზირ-მუსტოფები იმყოფებოდნენ არა მარტო ყიზილბაში ბეგლარბეგების თუ ხანების კარზე, არამედ ქართლს გაბატონებული თეიმურაზ II-ის კარზედაც: „მოვიდა იასაული ხელმწიფისა,— მოგვითხრობს იგივე პაპუნა ორბელიანი,—და დაებარებინა ქართლისა და კახეთის ომალები: მაშინვე წაასხეს მირზა იბრეიმა, რომელი იყო ვეზირი ქართველი ბატონისა, ვექილები, ვეზირი მუსტაფა (sic), ყოველივე მოხელენი ქართლისა და კახეთისანი, ბატონმა თავისი მეითარი ზურაბთან გაატანა, რა მიეახლენ ვარსკულავთაგან უმრავლეს ჯარსა მოახსენდა ხელმწიფეს შაჰნადირს, რომელს ახლა ეწოდებოდა შანშე... თითონ (ხელმწიფემ—ვ. გ.) გააკეთა არბაბი ქართლსა და კახეთზე, ორასი თუმანი დააწესა და ქართველის ბატონის ვეზირს მირზა იბრეიმას, ვექილებს, ვეზირს მუსტაფას ყველას თუ რამ ჰქონდა წაართო, თვალების დათხრა ბრძანა; დათხარეს ყველას და ეგრევე ბრძანი ქართლში გაისტუმრა"[2]. ასე სასტიკად მოეპყრო ნადირ-შაჰი თავის მოხელეებს ქართველების გულის მოსაგებად, რათა ქართლის სათხოვრით გათავება და შეწუხება მათთვის გადაებრალებინა.

ეხლა, როცა დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს ვეზირისა და მუსტოფის განსაკუთრებული მდგომარეობა ქართლის მეფის კარზე, გასარკვევია ერთი საკითხი: რა ადგილი უჭირავთ ვეზირს და მუსტოფს ქართულ სამოხელეო წყობილებაში? რა შეადგენს მათ კომპეტენციას ან რითი განისაზღვრება მათი სამოხელეო მოღვაწეობის სარბიელი? ამავე დროს ბუნებრივად ისმის კითხვა მათი კავშირის შესახებ ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასთან. საამისოდ ჩვენს მიერ გამოყენებულია XVII—XVIII სს. ქართული დოკუმენტური და ნარატიული წყაროები.

---

[1] პაპუნა ორბელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 358.

[2] იქვე, გვ. 395.

ა) ვეზირი

სათანადო ქართული წყაროების შესწავლისას, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ის, რომ XVII—XVIII სს. საქართველოში ვეზირებად და მუსტოფებად უკლებლივ მუსლიმანები არიან.

მაგ., როსტომ-ხანს ვეზირად ჰყავდა აღა-მოინა; შაჰნავაზის ვეზირიც მაჰმადიანი უნდა ყოფილიყო, რადგან მისი ვაჟი სეხნია ჩხეიძის „მეფეთა ცხოვრებაში“ ჯაფარ-ბეგად იწოდებოდა („ის ჯაფარ-ბეგი იყო მეფის შაჰნაოზის ვეზირის შვილი“); გიორგი XI-ის და ნაზარალი-ხანის ვეზირადაა ყიასა; თეიმურაზ II-ის ვეზირად კი მირზა იბრეიმა და ვეზირი მირზა ალინღი-ბეგ; ვახტანგ მეექვსის ვეზირიც მაჰმადიანი მოხელე უნდა ყოფილიყო, რადგან „დასტურლამალში“ იხსენიება „ვეზირის ძმისწული მუსტოფა“[1]. მუსლიმანი ვეზირების უბრალო რეგისტრაციაც კი, როცა როსტომიდან მოყოლებული მათ ვხვდებით ქართლის ყველა მეფის კარზე, თავისთავად აყენებს ამ მოვლენის სპეციალური შესწავლის საჭიროებას.

მუსლიმანები არიან ქართლის მეფის კარზე მოღვაწე მუსტოფებიც. მაგ., როსტომ-ხანის მუსტოფი (რიგით პირველი?) იყო მ ა ჰ მ ა დ ზ ა მ ა ნ ა[2]. მაჰმად ზამანავეა შაჰნავაზის მუსტოფიც[3].

მუსლიმანია ნაზარალი-ხანის მუსტოფიც: მ ა ჰ მ ა დ ბ ა ღ ი რ ა. სხვათა შორის, ნაზარალი-ხანის მიერ გაცემული მუსტოფობის წყალობის წიგნიდან ვგებულობთ, რომ მუსტოფობა მაჰმად ბაღირას სახლის კუთვნილება ყოფილა. „...პატრონმან ნაზარალიხან ესე წყალობის წიგნი [და] სიგელი გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერთგულსა და [ე]რთგულობით ნამსახურსა ჩვენსა მისანდოსა და ხვაშ[იადი]ს შემნახავს ყმასა მუსტოფ მაჰმად ბაღირას [ას]ე რომე ჩვენი კარის მუსტოფობა თქვენს სახლსა და მამა თქვენს ჰქონებოდა, აწე ჩვენც შეგიწყალეთ და იმ წესით ჩვენი მუსტოფობა გიბოძეთ“[4]. 1691 წ. 28 აგვისტოთი დათარიღებულ წყალობის წიგნში, მუსტოფ ბაღირ-ბეგისადმი მიცემულში, მოხსენებულია, როგორც ბაღირ-ბეგის წინამორბედი, მუსტოფი ხ ა ნ ყ უ ლ ი. შესაძლებელია, სწორედ ეს ხანყული იყოს მაჰმად ბაღირას მამა (და მაჰმად ზამანას შვილი?),

---

[1] მუსლიმანი ვეზირების შესახებ იხ. ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დარბაზის რიგის მოხელენი..., გვ. 196.

[2] ფ. გორგიჯანიძე. გვ. 268.

[3] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 287.

[4] იქვე, გვ. 347

რომელსაც ქართლის მეფის კარზე მუსტოფის თანამდებობა სჭერია (საფიქრებელია, გიორგი XI-ის მეფობაში, რადგან შაჰნავაზის კარზე მუსტოფად, როგორც უკვე ვიცით, მაჰმად ზამანა იყო).

ნაზარალი-ხანის მომდევნო ქართლის მეფის მუსტოფთა ნიშანდობლივი ვინაობა ჩვენთვის უცნობია. მაგრამ ზემოთ მოტანილი ნასალების მიხედვით მათი მუსლიმანობა არავითარ ეჭვს არ იწვევს.

როგორც ვეზირების, ისე მუსტოფების მუსლიმანობა, უეჭველია, საქართველოს ირანთან ურთიერთობის პოლიტიკური ფორმის თავისებურებასთანაა დაკავშირებული.

მუსლიმანი ვეზირის გამო ჯერ კიდევ 1943 წ. გამოქვეყნებულ წერილში ვწერდით: „ეს მნიშვნელოვანი ფაქტი, ჩვენი აზრით, იმას უნდა მოწმობდეს, რომ ირანზე დამოკიდებული ქართლის მეფის ვეზირი ირანის „რწმუნებული“ უნდა ყოფილიყო საქართველოს მთავრობასთან მეთვალყურედ და მრჩეველად დანიშნული“[1]. დაახლოებით ასეთივე შეხედულება გამოთქვა ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა მ სწორედ ვახუშტის ჩვენთვის საინტერესო ცნობის განმარტებასთან დაკავშირებით, ოღონდ ფაქტიური მასალის დაუმოწმებლად[2].

ჩვენ ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებას, რომ ვეზირ-მუსტოფები არსებობენ XVIII ს-ის მეორე ნახევარშიც, როდესაც აღმ. საქართველო (ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფო) პოლიტიკურად ირანზე უკვე აღარ იყო დამოკიდებული[3]. ვეზირობა, და მუსტოფობა ამ დროს ქართულ თანამდებობებად არის გადაქცეული. მოიპოვება XIX ს-ის დამდეგს უმაღლესი ხელმწიფის სახელზე შედგენილი არზა: „ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ვ ე ზ ი რ ი ს დ ა მ უ ს ტ ო ფ ი ს მ ი რ ზ ა რ ა ბ ი ს ა“[4]. 1803 წლითაა დათარიღებული: „თ ა ვ ა დ ი ს ვ ე ზ ი რ ი ს შ ვ ი ლ ი ს გ ი ო რ გ ი ს ა გ ა ნ უ მ დ ა ბ ლ ე ს ი მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა“[5]. მოხსენების შინაარსი-

---

[1] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დარბაზის რიგის მოხელენი, გვ. 196.

[2] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ვაზირის თანამდებობა დასავლეთ საქართველოში, ჭუთაისის ა. წულუკიძის სახ. პედინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1941, გვ. 99; პროფ. ივ. სურგულაძე ვეზირს და მუსტოფს „განსაკუთრებული ხასიათის მოხელეებს“ უწოდებს და ძირითადად იზიარებს ჩვენ მიერ ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს. იხ. ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, გვ. 381—383.

[3] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, სახელმწიფო წყობილების საკითხისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში, გვ. 152—154.

[4] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობისათვის. მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, 1948, ნაკვ. I (26), გვ. 18.

[5] იქვე, გვ. 70.

დან ირკვევა, რომ საქართველოში სამოღვაწეოდ დარჩენილა ნადირშაჰის მიერ მეფე თეიმურაზთან ვეზირად გამოგზავნილი სპარსელი. ამ ვეზირის შვილი გიორგი მეფე ერეკლეს მოუნათლავს, „მართლმადიდებლობაში მოუყვანია“, სახელოდ ნასახჩიბაშის ნაბიბა. უბოძებია და ჯამაგირი გაუჩენია. მისი გვარი (ვეზირიშვილი) კი ტრაქტატშიაც ყოფილა აღნიშნული როგორც ქართველი თავადისა[1] მეტად საგულისხმოა მაჰმადიანი ვეზირის გაქრისტიანებული შვილის თავადობა. ჩანს, მას ქართველი ფეოდალის თვისებები შეუძენია. იგი ემსახურება ქართველ მეფეებს (ერეკლეს, გიორგის), ამათ მიერ სახელოთია შეწყალებული და მამის სახელოს მიხედვით ვეზირიშვილის გვარს ატარებს. მაგრამ ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობა საკუთრივ მუსლიმანი ვეზირის კავშირის შესახებ ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასთან. ის, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ქართული ფეოდალური ურთიერთობის მონაწილედ არ გამოდის.

არაფრით არ ჩანს არც ვეზირ-მუსტოფ მირზა რაბის კავშირი ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასთან. საზოგადოდ, XVII — XVIII სს. ვეზირები მოკლებული არიან ფეოდალის დამახასიათებელ თვისებებს. აღებული ხანის ქართული დოკუმენტების შესწავლისას ჩვენ არ შეგვხვედრია ვეზირი კერძო საბუთების მოწმეთა შორის (ასეთ მოწმეებად არიან ფეოდალები, მოხელეები, ვაჭრები, მოქალაქეები, ხელოსნები). ეს კი ისეთი გამონაკლისია, რაც მყისვე ვეზირის უცხოურობას და მისი „ჯელის“ თავისებურებას გვაგულისხმებინებს.

ვეზირი შეწყალებული არაა მამულითა და ყმებით. ეს კი ალბათ იმით აიხსნება, რომ მას არაფერი აქვს საერთო ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასა და წყობილებასთან. ყველა ნიშნის მიხედვით ვეზირი ქართლშიც ისევე, როგორც ირანში, აზერბაიჯანსა და სომხეთში, გვევლინება სამოქალაქო მოხელედ.

დასტურლამალში მოთავსებული ვეზირის სარგოს წიგნი არ შეიცავს ფეოდალურ გამოსაღებთა წილს. ის ისეთი გადასახადების მონაწილეა, რომელნიც მისი „ჯელის“ თავისებურებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

დასტურლამალში ვეზირის სარგო ამრიგადაა გარიგებული: „ვეზირს სარგო ყოველს წელიწადს ჩელიეჭიედამ თუთხმეტი მი-

---

[1] შ. მ ე ს ხ ი ა, მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობისათვის, გვ. 70.

ნალთუნი; ტყვის ბაჟიდამ თერთმეტი თავის მეოთხედი, აგრეთვე ყაფნის იჯარიდამ, აგრეგე აბანოდამ; აგრეგე თამბაქოს იჯარიდამ; ყასაბხანიდამ ქონი ლიტრა ასი; ქოდავიდამ ბატონის თეთრიდამ გარდაკუშთით თუმანი თორმეტი; ქალაქის ბაშმალიდამ მელიქ-მამასახლისის სარგოსთან თორმეტი მინალთუნი. ფუშთუქუნიდამ რვა თუმანი, სამი მინალთუნი და ხუთი შაური. რაც ჯამაგირი გაიცემის, თუმანზე სამი შაური; სარხათზედ დასაბეჭდავად თუმანზედ აბასი"[1].

ვეზირის სარგოს მიხედვით ძნელია მისი უფლება-მოვალეობის გათვალისწინება. მაგრამ უნებლიეთ იქცევს ყურადღებას მისთვის დადებული წილი სხვადასხვა რიგის გადასახადში (აგრეთვე მისი მონაწილეობა ჯამაგირის გაცემაში და ვეზირის ბეჭდის დასმის საჭიროება ჯამაგირის სარხათზე). ამასთან ვ ე ზ ი რ ს ს ა კ უ თ რ ი ვ ი რ ა ნ ი ს ტ ე რ ი ტ ო რ ი ა ზ ე ა კ რ ე ფ ი ლ გ ა დ ა ს ა ხ ა დ-ზ ი ც ა ქ ვ ს წ ი ლ ი დ ა დ ე ბ უ ლ ი. ვეზირის სარგო მთლიანად და უკლებლივ საგადასახადო და საიჯარო ასაღებებისაგან შედგება.

ისმის კითხვა: ხომ არ ნიშნავს ყოველივე ეს მის ურთიერთობას საფინანსო საქმეებთან? სარგებლობს თუ არა ვეზირი საფინანსო მოხელის კომპეტენციით? სეფიანთა ირანში ეს იყო მეთვალყურე ვეზირის ერთ-ერთი სამოხელეო ფუნქცია, რის გამოც იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მუსტოუფის მოღვაწეობასთან (გავიხსენოთ, რომ ყიზილბაშურ ირანში ვეზირ-მუსტოუფი განუყოელი წყვილია). თუ როგორ იყვნენ დაკავშირებული ერთიმეორესთან ქართლში მოღვაწე ვეზირები და მუსტოფები, საამისო პირდაპირი ჩვენება წყაროებში არ მოგვეპოვება. მაგრამ დასტურლამალში მოთავსებული ვეზირის და მუსტოფის სარგოს წიგნების შინაარსობლივი მსგავსება (მათ შორის მცირეოდენი განსხვავებაა: ვეზირი მეტს იღებს, ვიდრე მუსტოფი, და ზოგიერთ ისეთ გადასახადში მონაწილეობს, რაც მუსტოფისათვის გათვალისწინებული არაა) თითქოს მათი სამოხელეო ურთიერთობის მოწმობა უნდა იყოს. ამასთანავე საყურადღებოა, რომ XVIII ს-ის დამლევს ვეზირის და მუსტოფის თანამდებობები გაერთიანებულია. ვეზირ-მუსტოფობა ამ დროს ერთი მოხელის ხელთაა—მირზა რაბის ეკუთვნის.

„დასტურლამალით" ვეზირის სარგო შედგება სახელმწიფო და მეფის კერძო „შესავლისაგან"—იჯარებისგან. მისი ასაღები არ სცილდება სამეფო კარის და ქალაქის ფარგლებს (ჩელიექი, ბაშმა-

[1] დასტურლამალი, გვ. 32.

ლი), ოღონდ ერთ შემთხვევაში ბატონის (მეფის) ქოდავიდან აღებული თეთრიდან მას გარდაკვეთით აქვს თორმეტი თუმანი მაშინ, როდესაც, მაგალითად, სახლთუხუცესის, რომელიც ერთდროულად მეფის კერძო და სახელმწიფო მოხელეცაა, სარგო შეიცავს სახელმწიფო, საქალაქო და აგრეთვე ფეოდალური გამოსაღებების (საბატონო ერბოს მოსავალი, სამასპინძლო, საშობაო-სააღდგომო ძღვენი და სხვ.) გარკვეულ წილს. ვეზირს, ეტყობა, საქმე აქვს არა მეფეფეოდალთან, არამედ მეფე-მოხელესთან, რომელიც ირანის ყაენის მიერაა „გაბატონებული და გახელმწიფებული".

რა შეადგენდა ვეზირის უფლება-მოვალეობას?

ქართლის მეფის კარზე მყოფი ვეზირი ერთდროულად მეფის მ რ ჩ ე ვ ე ლ ი (ვალის მოხელე) და მ ე თ ვ ა ლ ყ უ რ ე ა (ხელმწიფის მოხელე). ეს რომ ასეა, ამის მოწმობად გამოდგება ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიაში დაცული საკმაოდ ვრცელი ცნობები. მაგ., ფარსადანს ნაზარალი-ხანზე ნათქვამი აქვს: „თ ა ვ ი ს ი ვ ა ზ ი რ ი ც კ ა რ გ ს ა ქ მ ე ს უ შ ლ ი დ ა დ ა ა ვ ს კ ი უ რ ჩ ე ვ დ ა-ო"[1]. ნაზარალი-ხანს „ყიასას ვაზირობით (ე. ი. რჩევით— ვ. გ.) ეს დაემართა, რომ ორგულობა და უღონობა და ქელგამოუსვლელობა ღასწამეს და ასრე ბოლო მოუღო და კიდევ მისს სიტყვას არ გარდვიდის"[2]. ნაზარალი-ხანის მოღვაწეობის და ყიასას „ვაზირობის" აღწერის ბოლოს ისტორიკოსი დასძენს: „ა მ რ ი გ ა თ გ ა უ რ ი გ ა კ ა რ გ მ ა ნ ვ ა ზ ი რ მ ა ნ ს ა მ ე ფ ო ს ა ხ ლ ი დ ა ს ა ბ ა ტ ო ნ ო"-ო[3].

აქ ციტირებული ადგილების მიხედვით ვეზირი მეფის მრჩეველია. როგორც მეფის მრჩეველი და კარის ერთ-ერთი ხელისუფალი, იგი სახელმწიფო საქმეშია გარეული (ამიტომაა შეტანილი ვეზირის დებულება დასტურლამალში). მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ „ყიზილბაშების გაზრდილი თათრის შვილი ყიასა" საქართველოში სარდრად დადგინებულმა ჰაჯი ალი-ხან ზანგანმა „ვეზირათ დააყენა". აქედან იგი ირანის მთავრობას წერილებს უგზავნიდა, რომლითაც ნაზარალი-ხანის „უღონობასა და ქელგამოუსვლელობას" ამტკიცებდა. ეს კი ვეზირის მოვალეობის ის მხარე იყო, რომელიც მეთვალყურეობას გულისხმობდა.

ვეზირის დამოკიდებულება ირანის ხელმწიფეზე, მისი, როგორც მეთვალყურე მოხელის, მოვალეობა კარგად ჩანს ფარსადან გორ-

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 288.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 288, 289.

გიჯანიძის ისტორიიდან. ფარსადანის სიტყვით, ვეზირი წერილობით ცნობებს აწვდიდა ირანის შაჰს ქართლის ვალის მოქმედების შესახებ. ნაზარალი-ხანის მიმართ მტრულად განწყობილი ვეზირი ყიასა „უკადრისსა და ჯემწიფის საწყენს არზებს მიაწერინებდის“[1], რომ შაჰს ნაზარალი-ხანის „უღონობა აცნოსო“[2]. ამას ვეზირი სჩადიოდა იმის დასამტკიცებლად, რომ ნაზარალი-ხანს „ხელით ბატონობა არ გამოუვაო“[3]. ვეზირი არა მარტო იწერებოდა ირანს, არამედ იქიდან ინსტრუქციებიც ეგზავნებოდა. ფარსადანის სიტყვით, გიორგი XI-ის მომხრე ვეზირი ყიასა დიდად ირჯებოდა იმისათვის, „რომ რაც ყაენით ამბავი მოუვიდეს, გიორგი მეფეს გაუგზავნოს“[4]. ვეზირის ცნობების საფუძველზე ირანში ქართლის ამბები სათანადოდ შეაფასეს. ნაზარალი-ხანის დედას, ელენე დედოფალს, ყაენის კარზე ასე მოახსენეს: „შენმან შვილმანო ვერა ქნა რაო, რაგინდ ჯემწიფე მის მწყალობელი არისო და საქართველოდ ამიწერებიანო, რომ მათ (ყაენის მტრებს — ვ.გ.) სიტყვა და პირობა ერთი აქვთო და შენი სიძე არჩილი შენს შვილს ვერ გამოუმეტებიაო. ამაში ჯემწიფემ რა ქნასო, ან უღონო არისო და შენს შვილს მეფობის ქნა არ შეუძლიაო. და ანიმათთან პირობა ერთი აქვსო და ჯემწიფე აღარ ენდობისო... ჯემწიფეს სამსახური და ჯელგამამავლობა დაანახოსო და მრავალი წყალობა დაიმართოსო, თორადა თვითან იცისო. აქ ჯემწიფეს მოახსენაო, წავალ და ყველას მჯარ წაკრულებს გაახლებო და წავიდა და ერთი ასეთი სამსახური ვერა ქნა რაო, რომ ჯემწიფის სა[ა]მებელი ყოფილიყო“[5]. ამრიგად, ვეზირი არა მარტო მრჩეველია, არამედ მეთვალყურეც.

ვეზირის ორივე სამოხელეო ფუნქცია სავსებით შეესაბამება ირანული სამეთვალყურო აპარატის წესსა და რიგს. როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ამა თუ იმ ხელისუფლის დაწესებულებაში, ან ქვეყნის გამგებლის კარზე, გარედან შეყვანილი მეთვალყურე მოხელე გარეული იყო დაწესებულების საქმიანობასა და საგამგეო ქვეყნის მართვა-გამგეობაში. ის არ იყო მხოლოდ გარედან მაყურებელი,

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 288.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] იქვე, გვ. 296. ხაზი ყველგან ჩვენია.

მისი სამოხელეო ფუნქციები შეესაბამებოდა დაწესებულების აგებულებასა და შინაარსს, ერთდროულად იგი ხელისუფლის მეთვალყურეც იყო და მისი დამხმარე-მშველელიც.

ბ) მუსტოფი

მუსტოფის „ჰელიც“ ვეზირის „ჰელივით“ ორბუნება იყო. ერთი მხრივ მუსტოფი ქართლის მეფის მოხელე იყო, ხოლო, მეორე მხრივ, ირანის ხელმწიფეზე დამოკიდებული. მუსტოფის „ჰელის“ ამ მეორე თვისების დადგენა ხერხდება XVII—XVIII სს. ქართული დოკუმენტური და ნარატიული წყაროების კრიტიკული ანალიზით.

მ უ ს ტ ო ფ ი ქართლშიაც საფინანსო მოხელეს ეწოდებოდა. მუსტოფის საკითხავს რომ საფინანსო საქმე შეადგენდა, ეს ჩანს როგორც დასტურლამალიდან, ისე მუსტოფის წყალობის წიგნების შინაარსიდან[1].

მამულის, სითარხნის, სათასილდაროს, ან იჯარადარის წიგნები მუსტოფის დავთარში იყო რეგისტრირებული და მისივე ბეჭდით დამტკიცებული. მუსტოფის დავთრის „სავთის“ და ბეჭდის გარეშე მეფის მურდარს არ შეეძლო ამ წიგნების დაბეჭდვის ნება დაერთო. გარდა ამისა, სამეფო ქარხნების (სამეურნეო-სახელოსნო დაწესებულებების) თავილდრებს და საბატონოს სხვადასხვა გადასახადგამოსაღებთა ამკრეფ მოხელეებს, აგრეთვე კარის მოხელეთ, ანგარიში მუსტოფისათვის უნდა მიეცათ და მათი ანგარიშები მუსტოფს დავთარში უნდა „ჩაეგდო“—დავთარში გაეტარებინა.

ამრიგად, მუსტოფის სამოხელეო მოღვაწეობის სარბიელი სავსებით ცხადია. მუსტოფი მოხელე-მოანგარიშეა. ამავე დროს, ვტყობილობთ, რომ მუსტოფს ჯამაგირი ქართლის მეფის მიერ აქვს გაჩენილი. მას მეფის მიერვე აქვს მიცემული მუსტოფის სახელოს წყალობა და იგი თავისი საქმიანობით მჭიდროდაა დაკავშირებული ქართლის სამოხელეო ორგანიზაციასთან. მუსტოფის რუსუმის გამო დასტურლამალში ნათქვამია: „ვინც ჯამაგირის სარხათს აიღებს, თუმანზედ ერთი აბასი ᲐᲐᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘᲐ; ვისაც ჯამაგირი აქვს, თუმანზედ ყოველ წელიწადს ორი შაური მუსტოფისა არის, გერაქიარაღის დანიმზედ თუმანზედ ორი შაური“[2]. ამავე დროს მუსტოფის ასაღებს შეადგენდა: „დაბახანაზედ ორი თუმანი; ტყვის ბაჟზედ ორი თუ-

---

[1] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 287—290; 347—349.

[2] დასტურლამალი, გვ. 64.

შანი"[1]. ერთი სიტყვით, მუსტოფი ქართლის მეფის მოხელედ გამოიყურება. მას მეფე იმსახურებდა, როგორც საფინანსო უწყების მოხელე-მოანგარიშეს. ამ მხრივ დამახასიათებელია ნადირ-შაჰის მიერ თეიმურაზ II სახელზე გამოგზავნილი ბრძანების ერთი ადგილი: „ერთი ჩვენი მუსტაფი შენთან იყოსო, როგორც გინდა შენ იმსახურეო"[2]. პაპუნა ორბელიანის თხრობაში ჩართული ეს ცნობა, ვფიქრობთ, კომენტარს აღარ საჭიროებს. მუსტოფი, ამ ცნობის მიხედვით, შაჰის მიერაა ვალის კარზე გამოგზავნილ-დანიშნული, მაგრამ ამავე დროს ის მეფის მსახურიცაა.

მუსტოფის თანამდებობრივ ურთიერთობას ირანთან დასტურლამალის ერთი ცნობაც უნდა მოწმობდეს. დასტურლამალით მუსტოფის ერთ-ერთ მოვალეობას ციხის მეთოფის აღწერა შეადგენდა: „ციხის მეთოფეს რომ აღწერს, ფუშთუქუნიდამ ოთხი თუმანი ხუთი აბასი თორმეტი შაური და შვიდი ფული"[3] ერგებაო,—ნათქვამია დასტურლამალში მოთავსებული მუსტოფის რუსუმის წიგნში. ციხის მეთოფე კი თბილისის ციხის ყიზილბაში მეციხოვნე იყო. გამოდის, რომ მუსტოფს ყიზილბაში მეომრები უნდა აღეწერა. საკითხავია: ვის საყურადღებოდ? ცხადია, ირანის მთავრობის, რადგან თბილისის ციხეში ჩაყენებული ყიზილბაშთა მეციხოვნე ჯარი ირანის პოლიტიკური ბატონობის დასაყრდენს წარმოადგენდა საქართველოში. ამასთანავე საჭიროა აღინიშნოს, რომ ცნობები ირანის მოხარკე ქვეყნებსა და ოლქებში განლაგებული ლაშქრის ნაწილების რიცხობრივი რაოდენობის, მათი შენახვისა და ხარჯების შესახებ ყოველწლიურად იგზავნებოდა ირანის სახელმწიფო დავთარხანის განსაკუთრებულ უწყებაში—„სარქარ-ი მამალიქში". მეომრების აღმწერლებად კი ყველგან მუსტოფები იყვნენ. საამისო მოვალეობის შესრულება დასტურლამალის მიხედვითაც მუსტოფს აქვს დაკისრებული. ყიზილბაში მეომრების აღსაწერად, ცხადია, ქართლის მეფეზე უშუალოდ დამოკიდებულ მოხელეს ხელი ვერ მიუწვდებოდა. ასეთი რამ იმ მოხელის კომპეტენციაში უნდა ყოფილიყო ნავარაუდევი, რომელიც ირანის შაჰის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა.

მუსტოფს, ისევე როგორც ვეზირს, ხელი მიუწვდებოდა გილანის, ხუინის და ფუშთუქუნის რუსუმზე: „ხუინიდამ რუსუმი ორი

---

[1] დასტურლამალი, გვ. 64.
[2] პაპუნა ორბელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 353.
[3] დასტურლამალი, გვ. 64.

თუმანი". ტერმინი „რუსუმი" დამოწმებულ ფრაზაში—„ხუინიდამ რ უ ს უ მ ი ორი თუმანი"—იმას ნიშნავს, რომ მუსტოფს ეკუთვნოდა გარკვეული წილი ხუინის რაიათებზე (გლეხებზე) გაწერილი და სახელმწიფო ბაპარატის საფინანსო და სხვა მოხელეების სასარგებლოდ დაწესებული გამოსაღებიდან[1]. ამრიგად, ირკვევა, რომ ქართლის მეფე ვეზირს და მუსტოფს (უნდა ვიფიქროთ მუნშისაც) ისტუმრებდა საკუთრივ ირანს აკრეფილი შემოსავლიდან, რაც საკვსებით შეესაბამებოდა სეფიანთა ირანში განმტკიცებულ წესს. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ვეზირი და მუსტოფი რუსუმს იღებდნენ, როგორც ირანის სახელმწიფო მოხელეები. მაგრამ ქართლის მეფის სამსახურისათვის მათვე ადგილობრივ, ე. ი. ქართლშიაც, გადაკვეთილი ჰქონდათ ასაღები მეფის „კერძო შესავლიდან". ამავე დროს არავითარი ურთიერთობა არა აქვთ ფეოდალურ გამოსაღებებთან. საინტერესოა, რომ მუსტოფობის წყალობის წიგნში პირდაპირაა აღნიშნული: „სახლთხუცისა და მდივნების სარგოს გა[რ]დაისად რუსუმი რაც გერგებოდეს, როგორც გარიგე[ბ]ულია, ისრე გვიბოძებია"[2]. სახლთხუცისა და მდივნების სარგო კი უპირატესად ფეოდალური გამოსაღებებისაგან შედგებოდა. ეს კი იმის მოწმობად გამოდგება, რომ ვეზირი და მუსტოფი დაკავშირებული არ იყვნენ ქართულ ფეოდალურ საზოგადოებასთან.

ამიტომაა, რომ ქართლის ვალის ვეზირს და მუსტოფს ირანის ოლქებიდან აქვთ გაჩენილი რუსუმი (წმინდა ირანული გადასახადის გარკვეული წილი). ისინი ამ შემთხვევაში გარკვეულ გასამრჯელოს იღებენ როგორც ირანის ხელმწიფის მოხელის მოხელენი. მათი სარგოც ისეთივე ორბუნება ხასიათისაა, როგორც თვითონ სახელო.

გ) მუნში

„ყიზილბაშური რიგის" მოხელედ ქართლის სამეფოში „მ უ ნ შ ი ც" იყო. მაგრამ მუნშის „ქელის" და მუნშიების პიროვნება-ვინაობისათვის ხელშესახები ცნობები ქართულ წყაროებში არ შენახულა. ვიცით მხოლოდ, რომ ვახუშტის სიტყვით, მუნშობა „ყიზილბა-

---

[1] «Сбор с раийятов (в продуктах или деньгами) в пользу финансовых и иных чиновников». იხ. И. П. Петрушевский, Очерки..., გვ. 279.

[2] „რუსუმი" ამ შემთხვევაში ნიშნავს შემოშავებული წესის თუ დადგენილი ჩვეულების საფუძველზე შედგენილ სამოხელეო ასაღებს, პეტრუშევსკის განმარტებით: «Русум—ар., მნ. ч. от «расм»—букв. «обычай», «правило», отсюда «установленное обычаем жалованье служилым людям» (И. П. Петрушевский, იქვე).

შური რიგისაა". მისი ცნობის სარწმუნოებას უკვე ვეზირისა და მუსტოფის განსაკუთრებული მდგომარეობის დამახასიათებელი ცნობები მოწმობენ. მუნშის სამოხელეო სახელი ჩვენ მიერ, ჯერჯერობით, მხოლოდ ორ ქართულ წყაროშია დამოწმებული: ვახუშტის საქართველოს ისტორიასა და დასტურლამალში.

დასტურლამალში მუნშის რუსუმი შეუვსებლადაა დატოვებული, ამიტომ მოკლებული ვართ საშუალებას გავითვალისწინოთ მისი სამოხელეო ფუნქცია ან სარგო. აღსანიშნავია ერთი გარემოება: დასტურლამალის ყველა ხელნაწერში, სულხან მდივნის ხელნაწერის გამოკლებით, ყველგან „მ უ ნ შ ი ს" მაგიერ „მ უ შ ი ს" წერია. ასევეა დასტურლამალის 1729 წელს გადაწერილ ყველაზე უძველეს ხელნაწერში. თუ მუნშის სამოხელეო სახელი გადამწერის მიერ არაა დამახინჯებული, უნდა ვიფიქროთ, რომ თვითონ ეს სამოხელეო სახელი იმდენად ახალი და უცხო იყო ქართული სინამდვილისათვის, რომ იგი დამახინჯებული სახით გავრცელდა მეტყველებასა და მწერლობაში.

განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას მუნშის რუსუმის შეუვსებლობა, თანაბრად დამახასიათებელი დასტურლამალის ამჟამად არსებული ყველა ხელნაწერისათვის. საფიქრებელია, რომ მუნშის სარგოს შესახები დებულება დასტურლამალის შედგენისას ალბათ ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული, თორემ მისი შემდგენელი მას უთუოდ მოათავსებდა იქ, სადაც ახლა „მ უ ნ შ ი ს რ უ ს უ მ ი" მხოლოდ სათაურითაა წარმოდგენილი, ხოლო ქვეშ, ყველა ხელნაწერში, ცარიელი სტრიქონებია დატოვებული. ასეთ ცარიელ სტრიქონებს, როცა დებულება ჯერ კიდევ არაა დასრულებული ან სრულიად არაა შემუშავებული, ვხვდებით არა მარტო დასტურლამალში, არამედ ვახტანგის „სამართლის წიგნშიაც". ცხადია, „მუნშის რუსუმი" გარიგებული რომ ყოფილიყო, მისი მოთავსება დასტურლამალში არ დაბრკოლდებოდა[1].

სამაგიეროდ ვახტანგ VI, ვახუშტის მსგავსად, მუნშის უკავშირებს ვეზირსა და მუსტოფს. დასტურლამალის ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ა დ დ ა ლ ა გ ე ბ უ ლ 1729 წ. ხელნაწერში ვეზირის, მუსტოფის და მუნშის შესახები დებულებები, როგორც ამას საგნობრივი წესი

---

[1] თვითონ სიტყვა „რუსუმი", როგორც ზემოთ იყო შენიშნული, ნიშნავდა, აგრეთვე, დადგენილი წესისა და ჩვეულების მიხედვით შემუშავებულ სარგოს, რომელიც ამა თუ იმ მოხელის გარკვეული სამოხელეო მოღვაწეობის მსვლელობაში თანდათანობით დგებოდა.

მოითხოვდა, რიგით ერთიმეორეს მისდევენ. ვეზირი, მუსტოფი და მუნში ერთიმეორის გვერდით არიან დაყენებული[1].

მუნშის უფლება-მოვალეობის დადგენისას, უწინარეს ყოვლისა, ჯასათვალისწინებელია თვითონ მისი სამოხელეო სახელის მნიშვნელობა. მუნში მწერალია და არა მდივანი. მაშასადამე, თავისთავად იგულისხმება, საქართველოშიც მას სამწერლობო მოვალეობა უნდა ჰქონოდა დაკისრებული. მაგრამ საქართველოს სახელმწიფო სამდივანმწიგნობროს (კანცელარიის) მოხელედ მუნში არ ჩანს. XVII—XVIII სს. ქართული სახელმწიფო და კერძო საბუთების შემდგენელი არიან: მ დ ი ვ ა ნ - მ წ ი გ ნ ო ბ რ ე ბ ი, მ წ ე რ ა ლ - მ წ ი გ ნ ო ბ რ ე ბ ი, მ დ ი ვ ნ ე ბ ი, მ წ ე რ ლ ე ბ ი, ხოლო ქარხნების ბწერლებად მუშრიბები. მათ შორის მუნში არ გვხვდება. ეს კი საერთოდ საფიქრებელს ხდის, რომ მუნში არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული არც ქართულ სამდივანმწიგნობროსთან და არც სამეფო ქარხნებთან. XVII—XVIII სს. არც ერთი სახელმწიფო თუ კერძო ხასიათის საბუთი მუნშის ნახელავი არ არის. ამავე დროს მუნშის თანამდებობის არსებობა საქართველოში დადასტურებულია ვახუშტის ისტორიით და დასტურლამალით. ამიტომ მუნშის მოუხსენებლობა ქართული საბუთების შემდგენელთა შორის მისი სამოხელეო ფუნქციის ხასიათით თუ თავისებურებებით უნდა აიხსნებოდეს. ახსნის სხვა შესაძლებლობა გამორიცხულია, რაკი დანამდვილებით ვიცით, რომ მუნში მწერალია.

მუნში მწერალია. მაგრამ რას, რისთვის და ვისთვის წერს ის ქართლის ვალის კარზე, ეს არ ჩანს, ამიტომ ი'ევ ანალოგიას უნდა მივმართოთ.

ზემოთ, თავის ადგილას, ნაჩვენები იყო, რომ მუნშის საკითხავს ირანში შეადგენდა შაჰის კორესპონდენციის ერთი ნაწილი, სახელდობრ: ფარვანა, ჯავაბნამე (პასუხის წიგნი) და მისალი. პროვინციებში მოღვაწე მუნშიები კი ვაყანავისებთან ერთად ადგილობრივ მომხდარი და ცენტრალური ხელისუფლებისათვის საყურადღებო ამბების აღმწერელნი იყვნენ. პროვინციის მუნში სათანადო ცნობებს უგზავნიდა მუნში ალ-მამალიქს (სახელმწიფო მწერალს), ხოლო ვაყანავისი ვაყა-ი ნავისს (სახელმწიფო მდივანს). ასეთივე მოვალეობის ამსრულებელი უნდა ყოფილიყო მუნში საქართველოშიც. ჩვენ მოგვეპოვება არა ერთი ცნობა, რომ პოლიტიკური ხასიათის კორესპონდენციები იგზავნებოდა როგორც ირანის სახელმწიფო კა-

---

[1] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, სპარსული დასტურლამალი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XXXV, გვ. 203.

რიდან საქართველოში, ისე საქართველოდან ირანში. ირანის ყაენს წერილებს უგზავნიდა ქალაქის მინბაშიც[1].

საქართველოდან ირანს გაგზავნილ წერილებში აღწერილი იყო აქ მომხდარი პოლიტიკური ამბები ანდა შეიცავდა შაჰის წიგნის პასუხებს. მაგ., ყიასა ვეზირი ქართლში დატრიალებულ ამბებზე „უკადრისსა და ჭემწიფის საწყენ არზებს მ ი ა წ ე რ ი ნ ე ბ დ ი ს“. როგორც ჩანს, ვეზირი თვითონ არ წერდა ამ არზებს, არამედ სხვას „მიაწერინებდის“. საინტერესოა ვის მიაწერინებდის? საამისოდ მას უნდა ჰყოლოდა სათანადო მოხელე-მწერალი, სპარსელი თუ არა, სპარსულის მცოდნე მაინც (ირანს მიწერილი ხომ სპარსულად იწერებოდა). ასეთ მწერლად კი მუნში ან ვაყანავისი უნდა ყოფილიყო, რადგან ამგვარ კორესპონდენციაში ცხადია, ქართველი მდივან-მწიგნობრები ვერ გაერეოდნენ. მუნშის ეს მოვალეობა იმდენად თავისებური უნდა ყოფილიყო, რომ მას ქართლის მეფე ვეზირივით, განსაკუთრებით კი მუსტოფივით, ვერ იმსახურებდა. თუ ეს ასეა, მაშინ გასაგები ხდება, თუ რატომ უნდა დაბრკოლებულიყო მუნშის სარგოს წიგნის შედგენა-შემუშავება და მისი დასტურლამალში მოთავსება.

მოიპოვება პირდაპირი ჩვენება, რომლის მიხედვით აქ, ქართლში, მოღვაწეობდა მ უ მ ე ი ზ ი — სპარსელი მწერალი-კონტროლიორი[2]. მაგრამ ეს იყო „ყიზილბაშობის“ დროს. ამასთან ქართლში მოღვაწე მუმეიზის საკითხავი იყო ქართლის აწერის დავთრების (საფინანსო რეესტრების) წარმოება და არა პოლიტიკური კორესპონდენცია. მუმეიზი „ყიზილბაშობამდე“ ქართულ წყაროებში არსად არ გვხვდება. „ყიზილბაშური რიგის“ მწერლად ვახუშტის ისტორიის შესავალში დასახელებულია მხოლოდ მუნში. სპარსელი მწერალი საგულვებელია ქართველ მაჰმადიან მეფეთა კარზე არა მარტო ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო, არამედ განსაკუთრებით იმის გამო, რომ ქართული სახელმწიფო დოკუმენტები, XVI ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან მოყოლებული, სისტემატურად ითარგმნებოდა სპარსულად.

ორენოვანი დოკუმენტის სპარსული ნაწილის შემდგენელი სპარსული დიპლომატიკის და ტექნიკური ტერმინების ზედმიწევნით მცოდნეა. ასეთ მცოდნედ კი, ცხადია, სპარსულ სამდივანმწიგნობროსთან დაკავშირებული მოხელე უნდა ყოფილიყო. ახლა ასეთ მო-

---

[1] ფარსადან გორგიჯანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 229, 236.

[2] პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 359.

ხელე-მწერლად მუნში (ვახუშტის ცნობით, როსტომის დროიდან მოკიდებული) უნდა ვიგულოთ. ამავე დროს ჩვენთვის ისიცაა ცნობილი, რომ მუნში საერთოდ მწერლის აღმნიშვნელი ზოგადი სახელი იყო როგორც საკუთრივ ირანში, ისე სხვა მუსლიმანურ ქვეყნებში. გარდა ამისა, ირანულ სამეთვალყურო აპარატში ვეზირთან და მუსტოფთან ერთად მწერალიც (მუნში ან ვაყანავისი) შედიოდა.

ყველა ზემოაღნიშნულის შე^დეგ შეიძლება დავასკვნათ: ირანული სამეთვალყურო აპარატის არსებობა XVII—XVIII სს. საქართველოში დასტურდება სათანადო ქართულ-სპარსული წყაროების ისტორიულ-კრიტიკული ანალიზით.

ირანის სამეთვალყურო აპარატი შედგება სამი მეთვალყურე მოხელისაგან: ვ ე ზ ი რ ი ს, მ უ ს ტ ო ფ ი ს და მ უ ნ შ ი ს ა გ ა ნ.

ამრიგად, თუ დღემდე ირანის სამხედრო-პოლიტიკურ წარმომადგენლად ვიცნობდით მხოლოდ მინბაშს, თბილისის ყიზილბაშური-გარნიზონის ციხისთავს, ან მაჰმადიანი მეფეებისათვის ქეშიკად მოყენებულ ყიზილბაშ სარდლებს, ახლა უკვე, ვახუშტის ცნობის საფუძველზე, ქართლის ვალის კარზე გამოვლინებულია ირანის სამეთვალყურო აპარატი ვეზირის, მუსტოფის და მუნშის შემადგენლობით.

ვახუშტის ჩვენთვის საინტერესო ცნობის ახლებური განმარტება ახალ მასალას იძლევა ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ქართველ მაჰმადიან მეფეთა ხელისუფლების და, საზოგადოდ, XVII—XVIII სს. ქართლის სამეფოს სახელმწიფო წყობილების შესასწავლად. ამავე დროს, შინაარსობლივად სავსებით გასაგები ხდება ვახუშტის „ისტორიის“ შესავალში ჩართული ის ნაკვეთი, რომელსაც სათაურად უწერია: „აწინდელის ხელისუფალთა შეცვლილთა სახელთათჳს“.

დამოწმებული ნაკვეთი, მიუხედავად მისი ზოგადი სათაურისა, როგორც ვნახეთ, შეიცავს ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ და შინაარსობლივად განსხვავებულ რამდენსამე ნაწილს. თუმცა, მთლიანად აღებული, ის საქართველოს სახელმწიფო წყობილების გამომხატველია.

რამდენად ეფექტური იყო სამეთვალყურო აპარატის მოქმედება საქართველოში? თვით ირანში სამეთვალყურო აპარატი სრულიად აც არ მოქმედებდა ცენტრალური ხელისუფლებისათვის სასურ-

ველი ეფექტურობით. ისკანდერ მუნში მრავალგან მოგვითხრობს, რომ ბეგლარბეგებსა და ვეზირებს შორის დაუსრულებელი დავა იყო გამართული, რაც ხშირად ვეზირის მკვლელობით მთავრდებოდა. კიდევ უფრო ნაკლებ ეფექტური უნდა ყოფილიყო სამეთვალყურო აპარატის მოქმედება საკუთრივ საქართველოში. ქართველი მეფეები (განსაკუთრებით გიორგი XI, ვახტანგ VI...) იმის ცდაში უნდა ყოფილიყვნენ, რათა შეესუსტებინათ ვეზირ-მუსტოფების სამეთვალყურო ფუნქცია და გაეძლიერებინათ მეფის სამსახურთან დაკავშირებული მათი სამოხელეო მოვალეობა. ყოველ შემთხვევაში XVIII ს-ის მეორე ნახევარში ვეზირ-მუსტოფი ქართველი მეფის მოხელედაა ქცეული. ამავე დროს ვეზირობა და მუსტოფობა ერთ თანამდებობად გაერთიანებული ჩანს. ამ ორი „ჭელის" გაერთიანება, საფიქრებელია, სამეთვალყურო ფუნქციის მოშლით ყოფილიყო გამოწვეული.

საზოგადოდ ირანულ-ყიზილბაშური წარმოშობის ინსტიტუტები (მაგ., მინბაშის, ნასახჩიბაშის და სხვ.) თანდათან ქართული ფეოდალური ორგანიზაციის შესაბამისად ეწყობოდა. პირუკუ პროცესი გამორიცხული იყო, სანამ არსებობდა XVI—XVIII სს. საქართველოს დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიური წყობა, რომლის წარმონაქმნსაც წარმოადგენდა თავადურ-ბატონყმური სახელმწიფო.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩვენი ნაშრომის საგანი: ქართული ფეოდალიზმის შედარებითი შესწავლა, წარმოადგენს სპეციალური გამოკვლევის პირველ ცდას ქართულ ისტორიოგრაფიაში. ფეოდალიზმის შედარებით შესწავლას კი საზოგადოდ საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. კერძოდ, ინტენსიურად წარმოებს აღმოსავლური ფეოდალიზმის შედარებითი შესწავლა როგორც საბჭოურ, ისე ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში.

ბურჟუაზიულ ორიენტალისტიკურ ისტორიოგრაფიაში, როგორც ვნახეთ, აღმოსავლური ფეოდალიზმის ცნება შინაარსობლივად განსხვავებულია დას. ევროპული ფეოდალიზმის ცნებისაგან. აღმოსავლური ფეოდალიზმი აქ განხილულია როგორც სრულიად გარკვეული, მხოლოდ აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი „ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული სისტემა". ამას გარდა, აღმოსავლური ფეოდალიზმის მიმართ გამოყენებულია ე. წ. „უნივერსალური" ანუ „მარადიული ფეოდალიზმის" თეორიები.

„უნივერსალური ფეოდალიზმის" თეორიის მიხედვით ფეოდალიზმი აღმოსავლეთს თითქოს თან სდევს III—II ათასწლეულიდან. ამგვარადაა დაწერილი როგორც ძველი, ისე უახლესი გამოკვლევები ამ საკითხზე. ამგვარადვეა შედგენილი 1956 წელს ავტორთა კოლექტივის მიერ ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომი: „ფეოდალიზმი ისტორიაში"[1]. აღმოსავლეთის ქვეყნების ფეოდალიზმის

---

[1] **Feudalism in History. Ed by Ruston Coulborn, Princeton, New Jersey. Princeton University Press, 1956.** ნაშრომი შედგება სამი ნაწილისაგან: 1. ფეოდალიზმის ცნება („**The Idea of Feudalism**"), 2. სპეციალური გამოკვლევები („**Special Studies**"), რომელშიაც სხვადასხვა ავტორთა მიერ შესწავლილია ფეოდალიზმი ძველ მესოპოტამიასა და ირანში, ძველ ეგვიპტეში და სხვა აღმოსავლურ ქვეყნებში, 3. ფეოდალიზმის შედარებითი შესწავლა („**A Comparative study of Feudalism**"). ეს ნაწილი მთლიანად დაწერილია წიგნის რედაქტორის რასტონ კოლბორნის მიეო. მას შედარებითი თვალსაზრისით მიმოხილული აქვს მახლობელი, შუა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ფეოდალიზმი. ამ ნაწილის მერვე თავში საუბარია ირანული ფეოდალიზმის თვისებურებაზე („**The Case of Iran**").

სპეციალური და შედარებითი შესწავლა მასში დაფუძნებულია „უნივერსალური“ ანუ „მარადიული ფეოდალიზმის“ თეორიებზე.

ფეოდალიზმის შედარებითი შესწავლა საბჭოური მედიევისტიკის აქტუალური და მნიშვნელოვანი ამოცანათაგანია. ამ მიმართულებით მეტად თვალსაჩინოა საბჭოთა ორიენტალისტი ისტორიკოსების მიღწევები.

აკად. ვ. ბარტოლდის ფუძემდებელი ნაშრომების შემდეგ გამოქვეყნდა არა ერთი მონოგრაფიული გამოკვლევა აღმოსავლეთის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიური ისტორიის საკითხებზე. ამასთან, წარმატებით იქნა მომარჯვებული მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგია. აღმოსავლური ფეოდალიზმის სხვადასხვა საკითხის მეცნიერულ შესწავლას ფართო გასაქანი მისცა „წარმოების აზიური წესის“ და „სახელმწიფო ფეოდალიზმის“ თეორიების კრიტიკამ. საბჭოთა მედიევისტმა ორიენტალისტებმა უჩვენეს, რომ აღმოსავლეთისათვის შუა საუკუნეებში დამახასიათებელი იყო ისეთიკე წარმოებითი ურთიერთობა, როგორიც დამახასიათებელია ყველა ხალხისათვის ე. წ. „კლასიკური ფეოდალიზმის“ ქვეყნებში. ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, ხაზგასმულია აღმოსავლური ფეოდალიზმის სპეციფიკური თავისებურებანი.

თუ „უნივერსალური ფეოდალიზმის“ თეორიის მიხედვით ფეოდალიზმი აღმოსავლეთში განიხილება როგორც კანონზომიერი, ბუნებრივი და მარადიული მოვლენა, საბჭოთა ორიენტალისტებმა უჩვენეს ფეოდალურ ურთიერთობათა გახანგრძლივების ნამდვილი მიზეზები აღმოსავლეთში. ფეოდალურ ურთიერთობათა გახანგრძლივებით კი ახსნილია აღმოსავლეთის ქვეყნების ჩამორჩენა და მათი დასუსტება.

ჩვენ ვცადეთ გვეჩვენებინა, რომ განვითარებული ფეოდალიზმის გახანგრძლივება არ ყოფილა არც ქართული და არც აღმოსავლური ფეოდალიზმის კანონზომიერი და ბუნებრივი განვითარების შედეგი. ორგანვე აღნიშნული მოვლენა განაპირობა საგარეო ხასიათის თითქმის მუდმივად მოქმედმა ფაქტორმა. ამიტომ არ შეიძლება პროგრესული მნიშვნელობა არ ჰქონოდა საქართველოს ურთიერთობას რუსეთთან, ხოლო იმავე რუსეთს არ შეესრულებინა პროგრესული როლი აღმოსავლეთის მიმართ (ფრ. ენგელსი).

ჩვენ ვცადეთ გვეჩვენებინა ისიც, რომ თუ ზოგან (ირანში, მცირე აზიაში, ნაწილობრივ აგრეთვე აღმ. ამიერკავკასიაში...) საგარეო ფაქტორი შინაგან ფაქტორად იქცა, საქართველომ შეინარჩუნა შედარებით პროგრესული სოციალურ-ეკონომიური წყობა. სწორედ ამ მიზნითაა შედარებული ჩვენს გამოკვლევაში ქართული

და აღმოსავლური ფეოდალური მიწისმფლობელობა, საგადასახადო სისტემა და გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაციის ფორმები. ამავე დროს ყურადღება გამახვილებული იყო იმაზე, თუ რა საშუალებებს იყენებდა ქართველი ხალხი, რათა საგარეო ფაქტორი, ყიზილბაშების და ოსმალების მოძალების შედეგად, შინაგან ფაქტორად არ გადაქცეულიყო. ეს კი ასე მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ დაპყრობლები მოახერხებდნენ ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის გაუქმებას, მისი პოლიტიკური ორგანიზაციის მოსპობას და მის ადგილზე სახანოების და საფაშოების შექმნას.

მაგრამ საგარეო ფაქტორი მაინც მჭიდროდ დაუკავშირდა შინაგანი ხასიათის სოციალურ და ეკონომიურ მოვლენებს (ქვეყნის სამეურნეო დაქვეითებისა და პოლიტიკური დასუსტების შედეგად სათავადოების სისტემის წარმოქმნა, ტყვის სყიდვა, ლეკიანობა) და ძირითადად ამით გაპირობდა განვითარებული ფეოდალიზმის გახანგრძლივება საქართველოში. მაგრამ თუ XVI—XVII საუკუნეებში შენარჩუნებული იყო განვითარებული ფეოდალიზმის ხანის თავისებურებანი, მეორე მხრივ არსებობდა გვიანფეოდალური ხანის გამაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორიც—ბატონყმობა. ბატონყმობა კი, როგორც ცნობილია, ყველგან და ყოველთვის გვიანფეოდალურ პერიოდთან იყო დაკავშირებული.

სწორედ აღნიშნული მოვლენის შეფასებისას ჩვენს გამოკვლევაში ხაზგასმულია, რომ სათავადოები ბატონყმობის ნიადაგზე კი არ წარმოიქმნა, არამედ, პირიქით, ბატონყმობა თავისებურად შეუთავსდა სათავადოების სისტემას. ამიტომ, თუ სათავადოების სისტემა აპირობებდა განვითარებული ფეოდალიზმის ხანის თავისებურებებს, ბატონყმობას უნდა შეექმნა გვიანფეოდალური ხანისათვის საჭირო პირობები. ამდენადვე ძნელია განვითარებული ფეოდალიზმის ხანის უშენიშვნოდ გავრცელება XVI—XVII საუკუნეებზე.

განვითარებული ფეოდალიზმის გახანგრძლივების საკითხი მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში შედარებით მარტივად წყდება. აქ XVI—XVII საუკუნეებში გაბატონებული იყო პირობითი მიწისმფლობელობა, ხოლო გლეხთა ექსპლოატაციის ფორმები მიწის ფეოდალური საკუთრების მოცემული ფორმების შესაბამისი იყო. მაგრამ, როგორც თავის ადგილზე ვუჩვენეთ, ფეოდალურ მიწისმფლობელობას მახლობელ აღმოსავლეთში განვითარების ეს საფეხური ერთხელ უკვე განვლილი ჰქონდა. სწორედ ამიტომ განვითარებული ფეოდალიზმის ხანა აქ არ შეიძლება არ გახანგრძლი-

ვებულიყო. ვითარება ამ მხრივ რამდენადმე შეიცვალა XVIII ს-ში. უეჭველად პროგრესული მოვლენა იყო მიწის ფეოდალური დასაკუთრება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (შინაარსობლივი განსხვავების წაშლა სოიურღალის და თიულის ინსტიტუტებს შორის). ამავე დროს, ამ დროინდელ საბუთებში მკაფიოდ და აშკარად არის ლაპარაკი გლეხთა მიწაზე მიმაგრების თაობაზე. თუმცა ეს პროცესი აღმ. ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახანოებში უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ირანში, სადაც მიწის მემკვიდრეობითი და უპირობო მფლობელობა გამოკვეთილ სახეს იღებს მხოლოდ XIX ს-ის 60-იან წლებში.

XVI—XVII სს. საქართველოში მიწის ფეოდალური საკუთრების შედარებით უფრო განვითარებული ფორმები იყო გაბატონებული, ვიდრე აღებული ხანის ირანსა და ოსმალეთში. ქართველი გლეხები ბატონყმურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ, მათი ბატონყმური დამოკიდებულება კი ქართული სამართლის წიგნებშია ფიქსირებული. ვახტანგ VI-ის სამართალი ბატონყმურ სამართალს წარმოადგენდა და ბატონყმური ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით იყო შედგენილი XVIII ს-ის დამდეგს. ამავე დროს, სამართლის ამ ძეგლში, ბექასა და აღბუღას სამართლისაგან განსხვავებით, აისახა ბატონყმური ურთიერთობის ის განვითარება, რომელიც ქართულმა ფეოდალურმა საზოგადოებამ XIV ს-ის შემდეგ განვლო.

XV ს-ში წარმოშობილი სათავადოების სისტემა დაგვიანებულ მოვლენას წარმოადგენდა განვითარებული ქართული ფეოდალური ურთიერთობისათვის, XII—XIII სს. გამარჯვებული ბატონყმობა კი ამ ურთიერთობის განვითარებას მოწმობდა, უკეთ, ფეოდალიზაციის პროცესის დასასრულს ნიშნავდა. სწორედ ამ დროს უნდა შექმნილიყო საჭირო სოციალურ-ეკონომიური წინამძღვრები განვითარების გვიანფეოდალურ ხანაში გადასასვლელად. მაგრამ ამის მაგიერ, ჩვენთვის უკვე ცნობილი შინაგანი და გარეგანი მიზეზების წყალობით, ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში მივიღეთ განვითარებული ფეოდალიზმის ხანის გახანგრძლივება. ამ მხრივ გადამწყვეტი როლი შეასრულა სათავადოების სისტემამ. სათავადოების ნიადაგზე კი, ცნობილია, ერთიანი ქვეყანა პოლიტიკურად დაიშალა.

სათავადოების სისტემა, როგორც ეს ხაზგასმით არის აღნიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში, საქართველოს ჩამორჩენილობის შედეგი იყო და ამ ჩამორჩენილობას აპირობებდა. ასეთ ვითარებაში ბატონყმობის ეკონომიური ფუნქცია არ შეიძლებოდა არ შეზღუდულიყო და არ შემოფარგლულიყო სათავადოების პოლიტიკუ-

რი და სამეურნეო საზღვრებით. ამასთან, ბატონყმობა არსებობდა მწარმოებელი საზოგადოების კატასტროფულად შემცირების პირობებში, რის გამოც ზედმეტი პროდუქტის მითვისებამ არაჩვეულებრივად მახინჯი ფორმები მიიღო. გლეხის მეურნეობის გაჩანაგება, საგლეხო მეურნეობების შემცირება, ბოგანო გლეხების გამრავლება ქვეყნის ეკონომიური დაქვეითებისა და პოლიტიკური დასუსტების უმთავრესი მიზეზი იყო. ყველა ამის შედეგი კი იყო ტყვეობა სყიდვა და ლეკიანობა.

საბატონო-სასაკუთრო მეურნეობების გამრავლებას თუ გაფართოებას ბევრი დაბრკოლება ეღობებოდა წინ. შინაგანი ერთიანი ბაზრის წარმოსაქმნელად, ქალაქების და საქალაქო ცხოვრების დ ცემულობის წყალობით, არ არსებობდა საჭირო ეკონომიური პირობები. ასეთ ვითარებაში ბატონყმობის თავისებური მდგომარეობა ისევე ახანგრძლივებდა განვითარებული ფეოდალიზმის ხანას, როგორც სათავადოების სისტემა. მხოლოდ ერთიანი ბაზრის შექმნა გამოიწვევდა საბატონო-სასაკუთრო მეურნეობათა გამრავლებას. მაგრამ საამისოდ საჭირო იყო ხანგრძლივი მშვიდობიანი ცხოვრება, ქვეყნის მტრული გარემოცვისაგან გამოხსნა და მისი განვითარება ახალ გზაზე გამოყვანა.

მხოლოდ სათავადოების დაშლამ, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, მისცა გასაქანი ბატონყმური მეურნეობის განვითარებას საბატონო-სასაკუთრო მეურნეობების სახით და შეიქმნა საჭირო სოციალურ-ეკონომიური პირობები გვიანფეოდალური ხანისათვის. თუმცა საამისო წინამძღვრები შეიძლება შევნიშნოთ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მოვლენებშიც (ერეკლე II-ის ღონისძიებები სათავადოების წინააღმდეგ, მისივე „საგლეხო რეფორმა", ზოგიერთი სამრეწველო წამოწყებანი, დარიალის გზის გახსნა და საეკლესიო ურთიერთობის გაფართოება რუსეთთან...).

განვითარებული ფეოდალიზმის ხანის გახანგრძლივება საქართველოში ხასიათდებოდა მთელი რიგი თავისებურებებით. ამითაც ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში მკვეთრად განსხვავდებოდა აღებული ხანის ირანული თუ ოსმალური ფეოდალური წყობილებისაგან. თუმცა განვითარებული ფეოდალიზმის გახანგრძლივება როგორც საქართველოში, ისე მის მეზობელ ქვეყნებში ერთი და იგივე ფაქტორის მოქმედებით იყო გამოწვეული. ეს მოვლენა მჭიდროდ უკავშირდებოდა XIII საუკუნიდან მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილ ვითარებას.

ქართული ფეოდალიზმის შედარებითი შესწავლის მკვლევარი ხელსაყრელ მდგომარეობაშია იმყოფება იმის გამო, რომ მის განკარგულებაშია მრავალმხრივი შინაარსის შემცველი კონკრეტული მასალები (წყაროები სათათრო ხარკის დასახასიათებლად, ორენოვანი საბუთები, „ელის დებულება“ და „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“). ამ კონკრეტული მასალების ისტორიულ-კრიტიკული ანალიზი შუქს ჰფენს XVI—XVIII სს. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიის არა ერთ მნიშვნელოვან საკითხს.

ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობათა შედარებითი შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ:

1. XVI—XVII საუკუნეებში საქართველომ შეინარჩუნა საკუთარი სოციალურ-პოლიტიკური სისტემა („ქართველობა“). საქართველოში, ზოგიერთი კუთხის გამოკლებით, არც „ყიზილბაშობა“ იყო, არც „ოსმალობა“.

2. საქართველოში ირანული და ოსმალური ფეოდალური ინსტიტუტების შემოღების ცდანი მარცხით დამთავრდა. ეს აიხსნება, ერთი მხრივ, ქართველი ხალხის მედგარი წინააღმდეგობით, ხოლო, მეორე მხრივ, ამიერკავკასიის მოძმე ხალხების (სომხების, აზერბაიჯანელების) აქტიური დახმარებით. დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლას აღმ. ამიერკავკასიაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხისათვის. ამავე დროს, დამპყრობლები იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ ახალი ფაქტორისათვის — რუსეთის გამოსვლისათვის კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობის ასპარეზზე.

3. დამპყრობლები სხვადასხვა საშუალებით ცდილობდნენ საკუთარი ფეოდალური ინსტიტუტების შემოღებას საქართველოში. სათათრო ხარკი, ორენოვანი (ქართულ-სპარსული) საბუთები, მომთაბარული ტომების ჩამოსახლება და მათი ორგანიზაცია, ქვეყნის და ხალხის აღწერა სხვადასხვა საფეხური იყო ამ საბოლოო მიზნის მიღწევის საქმეში.

4. დამპყრობლები საქართველოს ინკორპორაციის საკითხს უშუალოდ უკავშირებდნენ ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის გაუქმებას, მის ადგილზე აღმოსავლური ფეოდალური მიწისმფლობელობის შემოღებას, სახანო-საფაშოების წარმოქმნას, სწორედ ამგვარი ღონისძიებების აღსანიშნავად იყო გამოყენებული ქართულ ფეოდალურ ისტორიოგრაფიაში „ყიზილბაშობა“ და „ოსმალობა“.

5. ქართული მიწების მიტაცებისათვის თანამიმდევრულ ბრძოლას ირანი შეუდგა XVI ს-ის 40-იან წლებში, როდესაც აღმ. ამიერკავკასიის სამხედრო-ადმინისტრაციული ორგანიზაცია ყიზილბაშურ საფუძველზე მოეწყო, ოსმალეთი კი ამავე საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც ოსმალეთმა პირველი სანჯაყები შექმნა სამცხე-საათაბაგოს სამხრეთ ნაწილში.

6. სამცხე-საათაბაგოში XVI ს-ის 80-იან წლებში შემოღებული „ოსმალობა“ ახალი ეტაპი იყო ქართული მიწებისათვის ბრძოლაში. ამავე ქართული მიწებისათვის ბრძოლის ახალ ეტაპს მოასწავებდა შაჰ-აბასის პოლიტიკა საქართველოს მიმართ.

7. დამპყრობლებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს მხოლოდ საქართველოს სანაპირო ოლქებში. წარმოიქმნა სახანო-სასულტნოები აღმ. კახეთში, ქვემო ქართლში; სამცხე-საათაბაგოში გზა გაიკაფა „ოსმალობამ“ და მომზადდა ნიადაგი ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს წარმოსაქმნელად.

8. ირანმა ვერ შეძლო საქართველოს დაპყრობა, ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობის გაუქმება. შაჰ-აბასი იძულებული იყო დასდგომოდა კომპრომისის გზას საქართველოსთან ურთიერთობაში. ირან-საქართველოს ურთიერთობის კომპრომისულმა ფორმამ ყველაზე მკაფიო გამოხატულება ჰპოვა როსტომ-ხანის მოღვაწეობასა და პოლიტიკაში.

9. ირანის სამეთვალყურო აპარატის შემოღება ვეზირის, მუსტოფის და მუნშის შემადგენლობით და ორენოვანი საბუთების გავრცელება არ ეხებოდა ქართულ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას, ფეოდალური ექსპლოატაციის ადგილობრივ ფორმებს და კლასობრივი ბატონობის ადგილობრივ პოლიტიკურ ორგანიზაციას. „ქართველობა“ არსებობას განაგრძობდა ირანის პოლიტიკური ბატონობის პირობებშიც.

10. როსტომ-ხანის დროიდან დამკვიდრებული „აწინდელი წესი“ (ვახუშტი ბაგრატიონის ტერმინოლოგიით) არსებობას გაგრძელებდა XVIII ს-ის მეორე მეოთხედამდე. XVIII ს-ის მეორე მეოთხედში შემოღებული „ოსმალობა“ და „ყიზილბაშობა“, რომელიც კვლავ „ქართველობამ“ შეცვალა ამავე საუკუნის 50-იან წლებში, კარგად უჩვენებენ იმ თავისებურებას, რაც ქართული ფეოდალური წყობილებისათვის იყო დამახასიათებელი XVI—XVII საუკუნეებში.

პირთა საძიებელი[1]

აალი, 34, 327
აბას ზიადოღლი, 289
აბას II, 33, 34, 45
აბას I, 51, 52
აბდ-არ-რაზაყ სამარყანდელი, 115, 174
აბდულა ბეგ ბატონიშვილი, 397
აბუ იუსუფ იაკუბი, 163, 165, 222
Abu Yusuf Yaqub, 222
ავალიანი ს., 6, 7, 10, 60
Авалиани С. Л., 6
ავგიორგი, 240
ავთანდილა (ხეჩუას-შვილი), 351
ათაბეგ გურჯის ძე, 333
ათაბეგი, სომხითის მელიქი, 294
აიასი, 68
აინი ალი, 54, 328
აკაჯან იბნ-მოჰამედ-რიზა თებრიზელი, 50
აკოფაშვილი გ., 155, 156
ალავერდი-ხანი, 359
ალექსანდრე, კახთა მეფე, 241, 242, 255—257, 262, 265, 266
ალექსანდრე, მეფე, 263, 264
ალექსანდრე (სიმონ I-ის ძე), 287
ალი არ-რიზა, 177
ალი-ზადე ა., 20, 86, 172, 207
Али-заде А. А., 86, 87, 207, 241
ალი, ქარის ჩავუში, 337
ალი ქეთხუდა, 330
ალიყული, 394
ალ-მუმინი, 259
ამილახვარი ალექსანდრე, 245, 250
ამილახვარი ანდუყაფარ, 359
ამილბარაშვილი, 201
ამირ ალვანდი, 233
ანა ხათუნი, 329
ანტონ I, 299, 351
ანტონოვა კ., 20, 160, 177—179, 290, 291, 293, 386
Антонова К. А., 160, 174, 177—179, 293
არაქელ თავრიზელი, 28, 29, 211, 343, 347
არსენა ბერი, 330
არსლანიანი დ., 185
Арславян Д., 185
არუთინა (ხეჩუას-შვილი), 351
არუთინიანი ბ., 20, 87, 209, 210
Арутюнян Б. М., 134
არუთინიანი პ., 134, 135, 363
Арутюнян П. Т., 84, 85, 87, 101, 102, 106, 107, 109, 230, 313, 363
არღუნ-ყაენი, 86
არჩილი, 29, 202, 360, 361, 403
ასლან-ბეგი, 247
ასლანა, ფარეზი, 311
ასლანიშვილი დავით, 391
აქბარი, 78
აქბარი ჯელალედ-დინ, 259
აღა მოინა, 394, 395, 398
აღბუღა, 81, 194, 415
Акбуга, 213
აშიკფაშა-ზადე, 186
Ашрафян К., 73, 235

[1] საძიებლები შეადგინა ისტ. მეცნ. კანდიდატმა დ ა ვ ი ჯ ა ნ მ ე გ რ ე ლ ა ძ ე მ.

აჯი ყარა-ოღლი, 323
აჰმედ აყ-ყოინლუ, 179, 180—183
აჰმედ სულტანი, 262
აჰმედ ღაფარი, 180—182
ბაგრატ-მირზა, 355.
ბაგრატ-ხანი, 262, 270, 294, 391, 392, 393, 394
ბაგრატიონი ვახუშტი, 3, 5, 26—28, 38, 148, 245, 310, 314, 326, 360, 361, 369, 370, 376, 379, 381, 418
ბაიაზეთი, 66
ბაიაზეთ II, 181
ბარათაშვილები, 96
ბარტოლდი ვ., 121, 162, 413
Бартольд В., 121, 122
ბაქრაძე დ., 5, 7, 8, 9, 37, 39, 343, 369, 384
Бакрадзе Д., 7, 8, 9
ბახტაძე ი., 6
Бахтадзе И., 224
ბეგის შვილი კონსტანტინე, 332
ბეგის შვილი სარგისი, 332
ბეკერი, 124
ბელენი, 54
ბელენიცკი ა., 20, 176, 177, 178, 179, 291
Беленицкий А. М., 176, 177, 178
ბელიაევი ე., 20
ბელოკუროვი, 58
Белокуров С. А., 58
ბერაძე დავით, 283
ბერნჰაუერი, 54
ბერძენიშვილი ნ., 13—15, 45, 60, 61, 63, 65, 70, 72, 76, 81, 82, 84, 93—95, 103, 108, 116, 120, 127, 136, 137, 140—143, 145, 149, 155, 157, 194, 196, 234, 252, 257, 265, 269, 274, 298, 301, 345, 346, 349, 354, 355, 358, 362, 365, 382
Бердзенишвили Н. А., 14, 62, 70, 74, 76—78, 81, 85, 94, 114, 115, 120, 149, 155—157, 194, 195, 199, 239, 390
ბექა, 81, 194, 415
Бека, 213
ბლოხმანი, 293
ბოგდანოვა, 324
Богданова, 308, 324
Bowen Harold, 187, 205, 335—337, 341—343
ბროსე მ., 5, 33, 241, 265, 266, 369, 382, 383, 394
Brosset M., 33, 347, 359, 382, 394
გაბაშვილი ვ., 37—39, 43, 45, 64, 67, 118, 119, 241, 246, 248, 284, 322, 346, 352, 354, 355, 357—359, 362, 372, 384, 394, 395, 398, 399, 408
გამყრელიძე გ., 327
გერმანოზ, 146
გვრიტიშვილი დ., 13, 14, 78, 145, 148—151, 195, 196, 198, 200, 202, 203
Gibb, H. A. R., 187, 205, 335—337, 341, 342
გიორგი, აზნაური, 330
გიორგი XI, 244, 365, 398, 399, 403, 411
გიორგი II, 138
გიორგი მეფე (გიორგი VII), 253
გიორგი (სიმონ I-ის ძე), 261, 262, 287
გიორგი ხელფეხა, 297
გორგიჯანიძე ფარსადან, 27, 28, 31, 33, 70, 294, 310, 348, 360, 361, 364, 373, 375—378, 391, 394, 395, 398, 402, 403, 409
გორდლევსკი ვ., 20
Гордлевский Вл., 160, 182, 311
გრეკოვი ბ., 154, 206
Греков Б. Д., 154, 206
Гуланян Х., 209
დავიდ-ბეგი, 313
დავით, 284
დავით აღმაშენებელი, 140, 141
დავით ბატონიშვილი (სიმონ მეფის ძმა), 31
დავით II (იმამყული-ხანი), 243, 249
დავით მეფე (დავით IX), 254
დავით (როფიკაშვილი), 299

დავით (სოლოღაშვილი), 279
დავით (ყაფარის შვილი), 280
დავითიშვილი დავით, 356
დათუნა, 146
დ'ალესანდრი, 256
დაუდ-ბეგი, 363
დაუდ-ბეგი (ასლანიშვილი), 391
დაუდ-ხანი, 31, 360, 364
დაუთ-ხანი, 256, 264, 269, 270, 272, 275, 304, 388, 389, 390, 394
დე გუე, 160
დედისიმედი, 329
დემბო ლ., 154, 155
Дембо Л. И., 154, 155
დენეტი დ., 162
Dennett D. C., 162
Deny J., 185
დივ-სულთანი, 254
დიუმანი რაფაელ, 53, 59
დოლიძე ი., 194
დორნი, 33, 34, 241
Dorn M., 33, 50, 189
დ'ოსონი, 335
დრუვილი, 388
Друвиль, 388
დუბროვინი ნ., 6
დუმბაძე მ., 13
Егиазаров С. А., 108
ეგნატაშვილი ბერი, 29, 361, 369, 371
ევლია ჩელები, 34, 258, 343
ელეკეში ლაიოშ, 104, 105
Elekes Laios, 105
ელენე დედოფალი, 403
ელენე (თეიმურაზ I-ის და), 359
ელენე მანუჩარ ათაბაგის მეუღლე, 329
ელიზბარ-ბეგი, 291, 292
ელისბარ (ორბელიანის), 301
ემინი სარაჯლუ, 311
ენგელსი ფ., 17, 21—23, 63, 84, 117 118, 126, 234, 413
Энгельс Ф., 23, 71, 120, 126, 160
ენუქიძე თინა, 148
ერეკლე II, 203, 244, 299, 373, 400, 416
ერეკლე I, 322, 365
ერემაძე ნათანელ, 285
ერმოლოვი ა., 234
ესაიანი ა., 20, 134, 209, 234
Есаян А. М., 133, 134, 209, 224, 234
ესაძე ბ., 6
ესაძე ს., 6, 7
Эсадзе С., 6
ეფენდიევი მ., 20, 135, 225, 226
Эфендиев М. М., 135, 225
ვალუისკი ვ., 20, 184
Валуйский А. М., 185
ვასაფი, 86
ვახტანგ მდივანბეგი, 146
ვახტანგ VI, 37, 38, 107, 150, 294, 367, 398, 407, 411, 415
ვახტანგ (ორბელიანი), 301
ვახუშტი, 3, 4, 245, 294, 368, 379 382—384, 388, 399, 406—410
ვეზირიშვილი, 400
ვეზირის შვილი გიორგი, 399, 400
ველაუზენი ი., 162
ვენედიქტოვი ა., 154
Венедиктов А. В., 154
ვესელოვსკი, 58
Веселовский Н. И., 58
Владимирцов В. Я., 173
ვოლინსკი, 256
Воронцов С. М., 214
ზაზა ბეგი, 244
ზაქარ გურჯი, 333
ზაქარია, 333
ზაქარია, ბრმა ეპისკოპოსი, 289
ზაქარია სარკაეაგი, 28, 29, 359, 363
ზახოდერი ბ., 20, 162, 167, 207
Заходер Б. Н., 207
ზვედგინიძე, 253
ზეთელ (ერემაძე), 285
ზურაბ, 284, 333
ზურაბა (ხეჩუას-შვილი), 351
თამარ მეფე, 141

თამაზ II, 50
თამაზ I, 52
თამაზ სარდალი, 146
თამაზყული-ხანი, 294
თამდივნიშვილი გიორგი, 271
თაყაიშვილი ე., 26
თეიმურაზი, 360, 361, 363
თეიმურაზ II, 298, 397, 400, 405
თეიმურაზ I, 29, 261, 262, 359, 360—363, 364, 365, 391, 393
თემურ ლენგი, 12, 27, 28, 61, 87, 92, 96, 173, 176
თექეში, ხორეზმ შაჰი, 169
თულაშვილები, 275
თულაშვილი ამირან, 272—274
თულაშვილი გიორგი, 272—274
თუმანიშვილი შიოშ-ბეგი, 322
თუღანშაჰი (მელიქი), 169
იავულაშვილი გიორგი, 297
იაკუბოვსკი ა., 20, 162, 164, 166, 167, 293
Якубовский А. Ю., 85, 166, 167, 221
იაღმურჩ ხანი, 65
იბრაჰიმ ფეჩევი, 34
Ибрагимов Г. И., 235
Иевлев, дьяк, 58
იესე, 146
იესე, კახთა ბატონიშვილი, 31
ივანე, 284
ივანე მრისხანე, 66
ივანენკო .ვ., 6
Иваненко В. И., 6
ივანე (სოლოღაშვილი), 279
ივანე (ყაფარის შვილი), 280
ივანოვი ბ., 20
Иванов П. П., 217, 220, 221
Ильинский Г. Н., 223
იმამყული-ხანი, 360
იმამყული-ხანი (დავით II), 243, 249
იმნაძე ზურაბ, 283
ინდო, 315, 316, 318
იოვანე მირიანის ძე 283
იოლჩიშვილები, 316
იოსებ თბილელი, 29, 243, 361
ირაკლი მეორე, 250
ისა, 311
ისმაილი, 330
ისმაილ-მირზა. 390
ისმაილ I. 30
ისა-ხანი, 391, 392
ისკანდერ მუნში, 27, 28, 30—33, 115, 211, 241, 242, 245, 247, 254—256, 261,263, 270, 274, 287, 290, 294, 327, 360, 381, 389—392, 394, 395, 411
Ismail Husrev, 185
იუსუფ აღა, 330
იუსუფ-ხანი, 245
იუსუფ-მოჰამედ, 33
კაკაბაძე ს., 10, 12, 13, 16, 99, 100, 120, 127, 128, 196, 348, 376, 390, 391, 394.
Какабадзе С. Н., 12, 16, 99, 100, 120, 127, 203, 348
კატრმერი, 241
Quatrmére, 241
კემპფერი ენგელბერტ, 53, 59
კიკვიძე ა., 13
Ключарев, дьяк, 58
კოლბორნი რასტონ, 412
Coulborn Ruston, 412
კონსტანტინე მეფე, 266
კოჩიბეი გორიჯელი, 54, 328
კრემერი ა., 162
კუდამა, 165
Кушева Е. Н., 65
კუტაევი მ., 6
Кучаев М. М., 6
ლალა ფაშა, 241
ლამბტონი, 50, 124, 162, 233, 293
Lambton Ann, 50, 124, 162, 163, 174, 179, 206, 220, 223, 233
ლენინი ვ., 22, 122, 123, 194
ლოკეგორი ფ., 162, 164, 165
Lokkegaard F., 162, 164, 165, 166
ლომინაძე ბ., 151, 152
ლომოური თ., 369, 382

ლორთქიფანიძე იას., 309, 315—317, 324
ლუარსაბ II, 261, 262, 356, 391, 393
ლუარსაბ (სიმონ I-ის ძე), 287
მაევრდი, 165
მანუჩარ ათაბაგი, 263, 329
მარი ი., 45, 47, 277
Марр Ю. Н., 47
მარქსი კ., 17, 21, 22, 84, 88, 92, 116—118, 123, 125, 126, 142, 159, 200, 230, 234
Маркс К., 23, 71, 118, 120, 126, 160
მაჰმად ბაღირა, 398
მაჰმად ზამანა, 398, 399
მაჰმუდ-ხანი, 270
მედნიკოვი ნ., 162
მელიქსეთ-ბეგი ლ. ,253
მერაბ, 249
მერაბ (სოლოღაშვილი), 279
მერაბ (უაფარის შვილი), 280
მერალიბეგ ქალანთარი, 298, 299
მესხია შ., 13, 399
მეწოფელი თომა, 28, 253
მეხლუ-ბაბა, 363
მეჰმედ II, სულტანი, 181
მიკირტიჩ, 333
მილერი ა., 20, 184
Миллер А. Ф., 185
მინადოი ტომაზო, 58, 327, 388
მინორსკი ვ., 37—39, 50, 174, 177, 180—183, 189, 190, 192, 232, 241, 256, 293
Minorsky V., 50, 170, 180—182, 189, 232, 241, 246
Minovi M., 170
მირაშას ძე ზურაბ, 333
მირზა ალი-ბეგ, 330
მირზა ალინღი-ბეგ, 398
მირზა აშუმა, 396
მირზა იბრეიმა, 397
მირზა მეჰდი-ხან ასტრაბადელი, 50
მირზა რაბი, 399, 400
მირზა სალმანი, 255
მირიანის-ძე იოვანე, 283
მირმანი, სომხითის მელიქი, 294
მირხონდი, 115
მორლენდი, 124, 293
მოჰამედ ბაღდადი, 169
მოჰამედ თაპერი, 27, 30, 33, 34, 294, 380
მოჰამედ იუსუფი, 33
მოჰამედ კაზიმი, 211, 212
მოჰამედ-მეჰდი-იბნ ჰადი შირაზელი, 52
მუინ მოჰამედი, 394
მურად აბდულლაჰის ძე, 333
მურადაშვილი, 298
მურად III, 259, 335
მურადხან გურჯი, 333
მუსტაფა ვეზირი, 395
მუსტაფა, ვეზირის ძმისწული, 398
მუსტაფა ნაიმა, 34
მუსტაფა ჩავუში, 330
მუსტაფ-ფაშა, 330
მუსხელიშვილი ლ., 196
Мхитар Гош, 210
Мышецкий, князь, 58
ნადირ-შაჰი, 50, 70, 211, 252, 290, 326, 353, 396, 400, 405
ნაზარალი-ხანი, 269, 395, 398, 399, 402, 403
ნათანელ დეკანოზი, 290
ნასირ ედ-დინ ტუსი, 170, 220
Nasir-al-Din Tusi, 170
Наталзе Г., 157, 197
ნესტან-დარეჯან, 287
ნიზამ ედ-დინ შამი, 174
ნიზამ ულ-მულკი, 167, 168, 190
ნიზამშაჰი, 257
ნონიაშვილი, 271
ნურაზის ძე გულაზიზ, 333
ნურაზის ძე ლეონ, 333
ნურ ედ-დინ ბაიდარი, 391
ოან მიჰრანის ძე, 333
ოთარ, 146
ოთარ მდივანი, 311
ოთარ (როჟიკას-შვილი), 299
ოლეარი ადამ, 59, 232

ორბელიანი პაპუნა, 28, 29, 252, 254 301, 395—397, 405, 409
Omer Lûtfi Barkan, 344
ორბელიანი სტეფანოს, 87
ორბელიანი ქაიხოსრო, 301
ოსმანი, 186
ოსმან ეფენდი, 54
ბაატა, 146
პეტრუშევსკი ი., 7, 18—20, 29, 33, 34, 45—47, 50, 57, 89—93, 109, 127, 128, 133—135, 167, 170—177, 180—183, 189—193, 204, 207—215, 222, 227—229, 232, 237, 241, 255, 257, 258, 260, 276—278, 281, 290, 291, 293, 387, 406
Петрушевский И. П., 7, 18, 19, 29, 32—34, 45—47, 50, 51, 57, 63, 85, 86, 88, 89—91, 109, 110, 133—135, 170, 172—179, 180—183, 188—193, 204, 207—209, 211, 221, 223—229, 232, 235—237, 241 245, 246, 255—258, 271, 276—279, 281, 290, 308
პიგულევსკაია ნ., 20, 162, 164
პიეტრო დელლა ვალლე, 53, 58, 256 359, 393
Pietro della Valle, 393
პოლიაკი ა., 125
Poliak A. N., 125
პოლიევქტოვი, 58
Полиевктов М. А., 58, 59
ჟამთააღმწერელი, 89
რამაზი (დავით მეფის შვილი), 254
რამაზის შვილი კონსტანტინე, 288
რაშიდ ედ-დინი, 222, 223
Рашид ад-дин, 18
რეისნერი ი., 20, 103
Рейснер И. М., 103
Roemer H., 51
როზენი ვ., 162
როსაფ გურჯი, 333
როსტომი, 203, 244, 365, 369, 371, 372, 380, 381, 383, 384, 394, 395, 370, 410
როსტომ მეფე, 4, 28, 45, 267, 268, 310, 374, 376
როსტომ-ხანი, 40, 245, 270, 296, 304, 348, 360, 362, 364, 366, 368, 398, 418
როჭიკას-შვილები, 298, 299
საკაძე, 361, 362
საკაძე გიორგი, 28, 354, 355, 359, 362, 363, 391, 392
საკაძე დაუდ-ბეგ, 359
საკაძე სიაუშ, 45
საბა, 248
სანსონი, 53
სევინდიკ-ბეგი, 68
სეიდ მუსტაფა, 54, 187.
სემიონოვი ა., 386
Семенов А. А., 385, 386
სეფი I, 45
სეფიყული-ხანი, 294
სვიმონ მეფეთ-მეფე, 273, 279
სიმონ II, 358, 362
სიმონ მეფე, 31, 261, 263, 270, 304
სიმონ I, 45, 245, 267, 269, 271, 272, 275, 280, 282, 283, 285, 287, 289, 290, 291, 296, 304, 389—391
სიმონ-ხანი., 361, 391—394
Симеон Ереванци, 210
სიხარულიძე ე., 165
Сихарулидзе Э. Т., 165
სოლოღაშვილი ყაფარ, 279
სოსელია ო., 78, 196
სულეიმანი, 33, 326, 337
სულხან მდივანი, 269, 407
სურგულაძე ივ., 17, 18, 129—132, 136, 250, 399
ტაბატაძე კ., 52
ტვერიტინოვა ა., 20, 184
Тверитинова А. С, 119, 132, 185, 235
ტივაძე გ., 18, 54, 185, 327, 331, 338
ტიშენდორფი, 54
Tischendorf P., 185
Тодоров Николай, 49
Толочанов, стольник, 58
ტუსიაშვილი, 301

უარი კ. (Huart), 162
უზუნ-ჰასანი, 176, 181, 253
უმიკაშვილი პ., 293, 376, 377
უნდილაანი, 359, 360
უნდილაძე დაუდ-ხან, 359, 360
უღურლუ-მოჰამედ, 181
ფავლენიშვილები, 298
ფათა, 318
ფაფაზიანი ა., 48
Папазян А. Д., 48
ფერიდუნ-ბეი, 54, 327
ფეკეტე ლ., 67
Fekete L., 68, 187, 258, 327
Фехнер М. Ф., 64, 65
ფილროზე ნ., 129
Фильрозе Н., 129, 174
ფუთურიძე ვლ., 27, 33, 34, 41—43, 45, 249, 282, 289
ქალბალიხან, 246
ქეთევან დედოფალი, 29, 360, 393
ქეიბად აზნაური, 330
ქოიავა ნ., 248
ღაფარი, 181
ყადარ ალია, 318
ყაზან ყაენი, 88, 171, 207, 208
ყანდურალი გურჯი, 333
ყარჩიხა-ხანი, 359
ყაჟა ქეთხუდა, 330
ყაფარის შვილები, 279, 280
ყიასა, 395, 402, 403, 409
ყორმბაზი (მირმანის ძე), 294
შანშიაშვილი ბეჟან, 311
შარდენი, 53, 59, 99, 256, 374, 386, 392
Chardin, 374, 386, 387, 392
შაჰ-აბასი, 24, 28, 29, 31, 32, 36, 183, 242, 247, 258—260, 262—264, 295, 307, 308, 331, 347, 348, 353—364, 376, 391, 392, 394, 418
შაჰ-აბას II, 34, 291
შაჰ-აბას I, 47, 192, 290, 294
Шах Аббас I, 190
შაჰ-თამაზ I, 31, 52, 65, 66, 105, 181, 182, 259, 263, 388, 389, 390
შაჰ-ისმაილ I, 254
შაჰ-ნავაზი, 398, 399
შაჰ-ნადირი, 397
შაჰ ნავაზ (ბაქარი), 272
შაჰრუხი, 176
შაჰ-სეფი, 45, 364
შაჰ-სულეიმანი, 244, 290
შაჰყულე ბ., ჰამზა, 68
შაჰყული სულთან კარინჯე ოღლუ, 390
შაჰ-ჰუსეინი, 50, 188, 220, 290
შენგელია ნ., 383, 384, 399
შერეფ ედ-დინ ალი იეზდ, 27, 274
შერეფ-ხან ბითლისელი, 180, 181
შეშაბერიძეები, 244
შიოუშბეგ მდივანი, 243
შისია, 311
შოპენი ი. ნ., 223
Шопен, 209
Чехович О. Д., 49
ჩინგიზ-ხანი, 173
ჩოჩიევი ვ., 67
ჩხეიძე სუხნია, 398
ჩხეტია შ., 13
ციციშვილი, 148
ციციშვილი დავით, 202
ციციშვილი პაატა, 202
ჭავჭავაძე ილია, 23, 60, 80, 108
ჭიჭინაძე ზ., 245, 326
ხანიკოვი ნ., 46, 50, 189, 293
Khanykov N., 47, 50, 189
ხანყული, 398
ხახანაშვილი ალ., 10, 60
ხეჩუას-შვილი გიორგი, 351
ხონდემირი, 28, 30, 250, 254
ხოსრო-მირზა, 360
ხოჯა იაკუბი, 256
ხუბუა მ., 45, 244, 277, 278, 289
ხურშა ჰი, 257
ჯავახიშვილები, 354
ჯავახიშვილი ზაქარია, 355
ჯავახიშვილი იესე, 355
ჯავახიშვილი ივ., 10—13, 27, 30, 57, 62, 63, 98, 111, 114, 120, 136—140,

143, 144, 146, 147, 154, 251, 253, 254, 256, 265, 309, 321, 369, 372, 383, 384
ჯამბურია გ., 14, 78, 81, 148,—151, 195—197, 199, 200
ჯამასპ გურჯი, 333
ჯანაშია ს., 3—5, 13, 34, 96, 97, 130, 131, 136, 137, 139, 141, 142, 148
ჯანაშვილი მ., 382, 369
Джанашвили М. Г., 382
ჯაფარ-ბეგი, 398
ჯაჰან-შაჰი, 253
ჯელალ ედ-დინ აქბარი, 259
ჯიქია ს., 34, 55, 112
Джикия С. С., 55, 327
ჰაკსტჰაუზენი ა., 234
Гакстгаузен А., 234
ჰამდალაჰ ყაზვინი, 86, 222
Хамдалах Казвини, 58, 86
Hamdullah Mustaufi, 222
Hammer, 185
ჰასანოვი ი., 20, 135, 210, 213, 214, 225, 226, 234
Гасанов И. М., 135, 210, 223, 225—227, 235
ჰასან რუმლუ, 27, 28, 30, 31, 181, 270, 287
ჰაჯი ალი-ხან ზანგანი, 395, 402
ჰერბერტი თომას, 359
ჰორნი, 52
Horn P., 52, 66

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ადრაბადაგანი, 211
აზერბაიჯანი, 6, 18—20, 22, 29, 41, 46, 48, 52, 63, 73, 86—91, 97, 101—103, 106, 107, 109, 133—135, 169, 170, 174, 180, 189, 211, 214, 223, 226, 227, 230, 232, 238, 241, 242, 251, 271, 305, 308, 312, 313, 315, 317, 320, 321, 387, 400
Азербайджан, 91, 135, 210, 213, 214, 237, 276
აზერბაიჯანი სამხრეთი, 112, 335
აზერბაიჯანი ჩრდილოეთი, 65, 363
აზია, 105
აზია მცირე, 73, 89, 120, 169, 251, 413
აზია შუა, 7, 49, 64, 73, 85, 88, 89, 103, 131, 132, 167, 169, 173, 174, 178, 179, 204, 385, 386
აზია წინა, 128, 172
ალადაღი, 86
ალავერდი, 151
ალაზანი, 93
ალამუტი, 31
ალაღაჯი, 314
ალაშქერი, 294
ალგეთი, 273, 309, 314
ალეპო, 73
ალვანეთი, 364
ალი, 75, 288
ალის ხეობა, 202
ამასია, 67—71
ამიერკავკასია, 6, 10, 11, 14, 20, 21, 30, 32, 44, 46, 51, 52, 57, 58, 62—65, 67, 69—73, 76, 83—85, 88, 92, 98—100, 103, 105—107, 110, 112, 118, 174, 210, 236, 307, 308, 313, 328, 358, 363
Закавказье, 135
ამიერკავკასია აღმ., 5—7, 10, 31, 45—47, 52, 62—64, 68, 69, 73, 75, 86, 88, 89, 91—93, 95, 97—101, 103—106, 108—110, 128, 132, 133, 135, 136, 178, 179, 193, 204, 205, 208, 214—217, 221, 229, 232, 236, 305, 308, 314, 331, 332, 343, 347, 348, 354, 365, 370, 413, 415, 418
Закавказье Вост., 110
ანაკლია, 74
ანატოლია, 334
ანატოლია აღმოსავლეთი, 11, 112
არაბეთი, 19, 131
არაბისტანი, 375
არანი, 86
არდაგანი, 55

არდებილი, 86, 183, 223
არეზი, 86
არეში, 363
არზრუმი, 351
არტაანი, 55, 336, 351
არტანუჯი, 104, 336
ასტრახანი, 64—67, 73, 75
ასურეთი, 201, 291
ატენი, 271
აღმოსავლეთი ახლო, 82, 83
აღმოსავლეთი მახლობელი, 11, 12, 14, 22, 23, 57—60, 64—67, 83, 93, 97, 98, 100, 101, 103, 110, 112, 118—120, 124, 136, 167, 171, 177, 195, 215, 237, 276, 307, 326, 331, 348, 412, 414, 416, 417
აღმოსავლეთი შორეული, 412
აღმოსავლეთი შუა, 119, 120, 167, 177, 179, 183, 215, 276, 348, 412, 414
აჩიკბაში, 332
აწუფისი, 273, 274
აკარა, 7, 8
ახალქალაქი, 55, 75
ახალციხე, 7, 55, 74, 104, 328, 332, 336, 342, 351, 365, 418
ბაზალეთი, 361, 362
ბაიდარი, 354
ბალკანეთი, 20, 49, 73, 104, 118
ბამბაკი, 354
ბანბაკი, 309
ბასრა, 343
ბაქო, 19
ბაღდადი, 294
ბახტრიონი, 326, 380
ბერდუჯი, 309
ბიზანტია, 98, 104
ბიჭვინტა, 151
ბომბეი, 86
ბორჩალუ, 355
ბორჯომის ხეობა, 55
ბრიტანეთი, 21
ბულგარეთი, 49, 132
განჯა, 68, 211, 326, 359, 363, 364, 395
გარესჯა, 244
გელათი, 151
გილანი, 40, 75, 258, 376, 377—379, 405
გომბორი, 244
გორი, 75, 243, 396
გრემი, 76
გუდელისი, 279, 280
გურია, 7
გურჯისტანი, 34, 56, 69, 70, 211, 262, 295, 326—329, 334, 336—338, 341—344, 350, 353, 358, 361, 375, 376
გუჯარეთი, 202
დაბნისი, 309
დარიალი, 75, 416
დაღისტანი, 76, 335
დებედა, 93, 295, 307, 390
დერბენდი, 47, 48
დიღომი, 285, 290
დონი, 66
დრე, 279
ეგვიპტე, 132, 412
ევროპა, 125, 247
ევროპა აღმ., 20, 49, 118
ევროპა დას., 10, 58, 73, 122—124, 177
ელისუ, 281, 307
ენისელი, 249
ერანი, 252, 254
ერაყი, 19, 68, 70, 132, 180, 294
Ирак, 221, 276
ერევანი, 19, 44, 68, 102, 133, 134, 209, 211, 223, 335, 370
ესპანეთი, 247
ეჩმიაძინი, 134, 290
ვანანდი, 47
ვანის ტბა, 86
ვერის ხევი, 273, 279, 280
ვოლგა, 64, 66, 73
Волга, 64
ზაგემი, 76
ზრბითი, 273, 274
თავრიზი, 211, 247, 335, 359, 395

თალიში, 223, 225, 226
თბილისი, 19, 31, 34, 44, 54, 55, 75, 92, 263, 269, 270, 271, 279, 294, 304, 347, 361, 372, 375, 388—391, 394, 405, 410
Тбилиси, 94
თეირანი, 50, 51
თელავი, 76
თიფლის, 34
თრიალეთი, 293
თურქეთი, 9, 21, 131, 136
იაღლუჯა, 314
იემენი, 343
იმერეთი, 24, 68, 76, 77, 79, 196, 203, 258, 330, 334, 343, 344
იმიერკავკასია, 64—67, 76, 111
ინდოეთი, 21, 30, 125, 131, 160, 174, 178, 179, 204, 247, 259
ინდოეთი ჩრდილოეთი, 89
იორი, 93
ირანი, 3, 5, 14, 17, 19, 23, 24, 28, 32, 36, 39, 40, 44—46, 50—54, 56, 58, 59, 64—70, 72—74, 85, 87—89, 99, 100, 103, 106, 107, 116, 118—121, 126, 129, 131, 132, 136, 160, 161, 173, 174, 178, 179, 181, 184, 188, 191, 193, 204—208, 210, 211, 215—217, 220—222, 223, 226, 230, 232, 233, 235—239, 242, 245—248, 250, 251, 254—262, 264, 270—272, 275, 278, 280—283, 286, 287, 290, 291, 295, 299, 302—307, 313, 314, 321—323, 331, 335, 345, 346—349, 352, 353, 354—356, 358, 359—361, 363—365, 370—372, 374, 375, 378, 379—381, 384—397, 399—403, 405, 406, 408—410, 412, 413, 415, 418
Иран, 65, 91, 234, 276
ირანი დასავლეთი, 166
ირანი სამხრეთი, 308
ირანი ჩრდ., 376, 377
ირანი ცენტრალური, 308
ირან-ოსმალეთი, 105, 346
ისფაჰანი, 211, 373
კავთის ჭევი, 283, 284
კავკასია, 7, 27, 34, 44, 57, 58, 64, 68, 87, 92, 103, 417
კავკასიის მთიანეთი, 76
კასპიის ზღვა, 66
კახეთი, 4, 19, 22, 24, 42, 43, 53, 64, 65, 72—77, 79, 100, 158, 196, 211, 212, 242, 246, 254, 256, 261—263, 266, 281, 289, 294, 308, 323, 352, 355, 357, 358, 360, 375, 376, 380, 391, 397
კახეთი აღმ., 23, 76, 107, 308, 418
კიევი, 131
კოლა, 55
კუმისი, 291
ლაჰსა, 343
ლაჰიჯანი, 376, 377
ლილოები, 309
ლორე, 295, 307, 354
Лори, 210
ლურისტანი, 68, 70, 258, 335, 375
მაზანდარანი, 211, 212, 245, 258
მამისდაბა, 279
მარაბდა, 359
მარტყოფი, 358, 359
მაქუ, 102
მესოპოტამია, 412
მესხეთი, 68, 69, 75
მოვაკანი, 370
მონასტერი, 291
მოსკოვი, 66, 247
მოხისი, 287, 288, 289
მტკვარი, 86, 93, 309, 314, 354
მტკვრის ხეობა, 55
მუღანი, 86
მცხეთა, 151—153, 266, 267, 288, 368
ნაგები, 316
ნახიდური, 310
ნახჭევანი, 47, 102, 134, 223
ნიზაბადი, 232
ნიქოზი, 298
ნოვგოროდი, 154
ოსმალეთი, 3, 5, 14, 23, 24, 28, 36,

44, 50, 52, 54, 57, 61, 62, 64—66, 68—70, 72—76, 98, 99, 104—107, 116, 118, 119, 120, 132, 161, 181—188, 193, 204, 205, 217—219, 229, 230, 233, 235, 237—239, 242, 247, 251, 253, 259, 260, 263, 304, 322, 327—329, 331, 332, 334—338, 341, 343, 344—347, 349, 352, 353, 358, 361, 362, 364, 365, 415, 418

Турция, 65

ოლთისი, 55, 336

ორდუბადი, 46, 47

პალაკაციო, 55

რანი, 370

რუმელია, 334

რუსეთი, 7, 14, 23, 50, 57, 58, 61, 64—67, 71—73, 75, 82, 84, 99, 103, 106, 131, 151, 208, 209, 331, 345—347, 353, 358, 362, 365, 413, 416, 417

Россия, 64, 65

რუხი, 74

რხვითი, 298

საბარათაშვილო, 293

საბარათიანო, 326, 371

საგარეჯო, 246

სამცხე, 4, 55, 334

სამცხე-საათაბაგო, 8, 15, 18, 22—24, 27, 35, 54—57, 75, 98, 107, 132, 236, 251, 253, 263, 326—332, 334, 335, 338, 341—344, 346, 365, 418.

საციციანო, 202

საქართველო, 3—5, 7—20, 22, 23—34, 36, 38, 40—43, 46, 51, 52, 54, 57, 58, 60—65, 67, 68, 70—75, 77—79, 81—85, 89, 90—93, 95—100, 102—104, 107—116, 119, 120, 127, 130—132, 136, 137, 140—145, 151—153, 158, 159, 173, 176, 179, 193—197, 199, 200, 201—204, 206, 208, 237—242, 248, 251—253, 255, 261, 263—266, 271, 274, 276, 277, 279, 286, 287, 289, 292, 293, 295, 298, 299, 302, 307, 308, 310, 312, 313, 318, 326, 334, 343, 345—349, 352—354, 357—362, 364, 366, 368, 371, 374,—376, 379, 380—384, 389—391, 395, 396, 399, 400, 402, 403, 405—411, 413—418

Грузия, 10, 12, 91, 94, 110, 127, 128, 276, 379

საქართველო აღმ., 17, 24, 32, 36, 37, 42, 67, 69, 104, 109, 355, 358, 365, 366, 381, 399

საქართველო დას., 24, 42, 67, 69, 74—76, 78, 104, 196

საქართველო სამხრეთი, 8, 35, 42, 104, 296, 308

საქართველო სამხრეთ-დასავლეთი, 56

სივნიეთი, 87

სირია, 132

სკრა, 298, 299

სომხეთი, 6, 11, 18—20, 22, 29, 41, 46, 48, 52, 62, 63, 73, 86—91, 97, 98, 101—103, 105—107, 133—135, 170, 173, 174, 189, 210, 211, 214, 223, 227, 230, 251, 276, 294, 305, 308, 313, 321, 400

Армения, 91, 135, 210, 276

სომხითი, 243, 293—295, 309, 373.

სომხით-საბარათიანო, 278, 304, 307, 372, 389, 394

სპარსეთი, 11, 37, 117, 124, 126, 132, 256, 390, 391, 393

Персия, 128, 379

სტამბოლი, 8, 54

სურამი, 75

ტაბახმელა, 279, 280

ტაგნაგეთი, 279, 291

ტაო, 55

ტაშირი, 293

ტაშის-კარი, 55

ტბა, 202

ტრაპიზონი, 98, 104

უნგრეთი, 49, 104, 105

ფავნისი, 201

ფანაკი, 333, 334

ფარსი, 180, 359, 360

ფუშთუქუნი, 376—379, 401, 405
ქალაქი, 248, 279, 389, 401, 409
ქარტაკი, 301
ქართლი, 14, 17, 19, 22, 24, 39, 40, 42, 43, 46, 53, 68, 75—77, 79, 100, 104, 196, 242, 245, 246, 250—254, 261—264, 293—296, 299, 304, 305, 309, 330, 334, 355, 357, 360, 361, 364, 368, 372, 375—379, 389, 390, 392, 394—406, 408—410
ქართლი ზემო, 288, 369
ქართლი ქვემო, 23, 31, 256, 263, 270, 271, 280, 304, 308, 309, 418
ქართლი შიდა, 304
ქართლ-კახეთი, 43, 79, 145, 195, 203, 361, 399
ქერმანი, 206
ქვიშხეთი, 55
ქობულეთი, 8
ქრცხინვალი, 298
ქურთისტანი, 376
ქცია, 314
ქციის ხეობა, 309
ღვევი, 273, 274
ღოუბანი, 291
ყაზანი, 64, 65, 67
ყაზახი, 68, 354
ყაზვინი, 31, 270
ყაიყული, 293
ყარაბაღი, 53, 86, 214, 246, 375
ყარადაღი, 335
ყარაია, 309, 324
ყარსის ოლქი, 55
ყირიმი, 66
ყირიმის ნახევარკუნძული, 98
ყოლმარი, 294
ყუბა, 47, 48, 214
ყუთარ-მელიქი, 351
შავი ზღვა, 74, 98
შავნი, 279
შამშადილო, 68, 354
შაქი, 62, 68, 102, 223, 226.
შემახა, 75
შიომღვიმე, 137, 151
შირვანი, 62, 67—69, 73, 86, 102, 223, 226, 242, 245, 335, 363
შორაგელი, 354
შულავერი, 309, 318, 326
ჩაღათუ, 86
ჩილდირი, 331, 334—336, 343, 365, 418
წახური, 281
წყისე, 137
ჭოროხის ხეობა, 55
ხერთვისი, 336
ხორასანი, 259, 260, 326
ხოფი, 74.
ხრამი, 93
ხუდადი, 47
ხუინი, 376, 377—376, 405, 406
ჯავახეთი, 55, 351
ჯულფა, 211
ჰაბეში, 342
ჰალა, 291
ჰამადანი, 294

ეთნიკურ სახელთა საძიებელი

ავღანელები, 103
ადემურჩასლი, 323
აზერბაიჯანელები, 102, 111, 364, 417
ალბანური (შირვანული) ტომები, 103
არაბები, 36, 83, 84, 161—163, 171 364
არუხლუ, 308
აყ-ყოინლუ, 232
აჰმადლუ, 308
ბორჩალუ (ტომი), 112, 325
დემურჩი ასალუ, 355
დემურჩი ასანლუ, 311
დემურჩი ჰასანლუ, 308
ელი, 22, 40, 41, 110, 111, 204, 225, 238, 243, 248, 293, 307—315, 317—326, 344, 380, 417

თათარ-მონღოლები, 64, 85, 87, 89
თათრები, 103, 115, 239, 240, 251
თარაქამა, 331
თურქები, 4, 8, 36, 86, 93, 111, 120, 171
თურქები, მცირე აზიის, 308
თურქმანები, 36, 61, 87, 89, 90, 92, 97, 98, 173, 204, 308
თურქმანები თეთრბატკნიანი, 53, 98, 174, 180
თურქმანები შავბატკნიანი, 98, 174
თურქმან-ყიზილბაშები, 354, 355
თურქობა, 103
თურქულ-თურქმანული ტომები, 71, 110, 307
თურქ-სელჩუკები, 36, 83—85, 93, 98, 103, 126, 161, 167, 169, 220, 232, 308
ინდოელები, 103
ირანელები, 62, 85
იურიუქები, 308
მაჰიფიკულუ, 390
მონღოლები, 4, 36, 61, 83—86, 88, 89, 82, 93, 95, 98, 109, 112, 113, 125, 126, 143, 161, 171, 190, 207, 211, 220, 231, 232, 240, 251, 295, 349, 351
Монголы, 91
მონღოლ-თათრები, 85, 87, 89, 109, 112
მონღოლ-თურქები, 86, 308
ნასიბლუ, 309
ნაჯბადილუ, 308
ჟუზდეჯი, 331, 342
ჟურუქი, 331
ოესები, 245
ოზბეგები, 259
ოსმალები, 18, 55, 62, 70, 75, 80, 83, 84, 89, 92, 98, 103—105, 118, 126, 127, 161, 182, 187, 202, 203, 215, 240, 242, 251, 252, 262, 263, 308, 328, 334, 344, 347, 349, 351, 390, 397, 414
ოსმალო მომთაბარეები, 308
სარაჯლუ, 311
სელჩუკები, 92
Сельджуки, 91
სომხები, 102, 111, 364, 417
სპარსელები, 4, 36, 245, 393
უნგრელები, 104
ურუმები, 297
ურუქი, 342
უსტაჯლუ, 68
ქართველები, 31, 70, 102, 103, 111, 211, 359, 364, 372
ქართველი ხალხი, 103, 104, 106, 108, 110, 162, 360, 362, 363, 417
ქეშალუ, 308
ქურთები, 185, 364
ყარამანლუ, 316, 318
ყივჩაღები, 112
ყიზილბაშები, 62, 68, 75, 83, 84, 89, 90, 92, 98, 99, 105, 118, 126, 127, 161, 183, 202, 203, 211, 215, 240, 242, 251, 307, 308, 347, 349, 354, 360, 393, 414
ყიზილბაშ-ოსმალები, 115, 239
ყიზილბაშური ტომები, 40, 52, 63, 112, 310, 313
შაჰგელდი, 316, 318
ჩერქეზები, 245
ჩობანიანები, 309
ხასინჩლუ, 52
ხიალუ, 308, 311
ჯავანშირი, 308
ჯალაირები, 308
ჰასანლუ, 311

ტერმინთა საძიებელი

ااალ გიოზლუ, 187
აბადან, 171
ადეთი აგნამი, 233
ავარიზ, 230
ავარიზათი, 232, 268
აზატი, 196, 301, 366
ათალიკი, 392
აკ ბენზლუ, 187
აკარი, 222
აკერი, 134, 223, 225, 227
ალ-მამალიქ, 408
ალაფე, 231, 232
ალოდი, 161
ამლაქი, 130, 216, 233
ამლაქ-მოუკუფათ 290
ამლაქ-ი რაია, 216
ამქარი, 118
ამხანაგი, 374
ამხანაგობა (ვაპართა), 374
არატი, 207
არბაბი, 188
არბაბ-ი ბერათ, 192
არაზი-ე დივანი, 188
არაზი-ე უმუმი, 216
არეან გინ, 102
არზი მემლუქეთ, 184
არუსიე რესმი, 233, 329, 342
არფალიკი, 187
ასლ, 230
ასნაფი, 111, 118
აღამათი, 312, 324
ახჩა, 337, 340, 342
ახჩი, 187, 186
აჯილ რესმი, 233
ბადპაეა, 329
ბაზდიდი, 231
ბაშმალი, 283, 285, 401
ბაშტინა, 132
ბაეი, 240, 242, 254, 255, 371, 400
ბარა, 301, 322
ბარათი, 172, 233, 234, 337, 378
ბარზიგარ, 220
ბარხანა, 246, 375, 376, 378
ბაჯ ო ხარაჯ, 242, 254—257, 261—264, 268
ბაპრა, 251, 256, 264, 268, 285, 312, 314, 322, 323, 350
ბაჭრაკერი, 224
ბეგარა, 96, 105, 116, 142, 169, 170, 194, 195, 216, 232, 250, 341, 351
  თავი, 199, 230
  „ გადასახადები, 310
ბეგარა გამოსაღები, 195, 199
  „ საბატონო, 116
  „ სამსახური, 153
  „ სამუშაო, 169
  „ სახელმწიფო, 231
  „ სხუაი, 230
  „ შრომითი, 198, 278
  „ ყაენის, 239, 245
ბელბასი, 320
ბელბაში, 312
ბენაქი, 219, 233, 328, 341
ბენეფიციუმი, 12, 164, 177, 189, 191
ბერათ, 34, 192
ბეჰრე, 328, 302, 340, 341
ბიგა, 179
ბიგარ, 231
ბითიქჩი, 172
ბინაჩი, 224
ბოგანო, 196, 197, 199, 360
ბუღდა ბენზლუ, 187
განძაგინ, 102
გლეხი, აზნაურის, 157

ბლეხი აყრილ-გაქცეული, 72, 76, 171, 224, 343, 350, 352
„ ახლად მოსული, 199, 220
„ გადასახადზე მიმაგრებული, 208
„ გამომდები, 314
„ თარხანი, 196
„ მებეგრე, 159
„ მეიჯარე, 221, 222, 223, 315, 318, 320
„ მკვიდრი, 198, 199, 287
„ მსახური, 157
„ ნასყიდი, 196, 287
„ ნაწყალობევი, 196
„ ნებით მოსული, 196
„ საბატონო, 196, 197
„ საეკლესიო, 196, 197
„ სამეფო, 196, 197
„ სამონასტრო, 197
„ საუკეთესო, 198
„ საშუალო, 198
„ სახასო, 197
„ სახელმწიფო, 229, 233
უმიწაწყლო, 88, 173, 216, 219, 220, 221, 315, 318, 319
„ შეძლებული, 198
„ ხიზანი, 196
გუსფენდი, 233
დაბახანა, 404
დავთარი, 39, 55, 57, 281, 293, 302, 303, 306, 309, 310, 313, 328, 329, 332—334, 336—339, 342, 344, 351, 396, 404, 409
დავთარხანა, 405
დანიმი, 404
დარუღეგი, 232
დასტაიდაზი, 232, 268
დასტურლამა, 39
დასტურლამალი, 5, 37—41, 107, 111, 243, 248, 250, 293—296, 308—311, 314—317, 319—322, 324, 364, 371, 373, 375—398, 400—402, 404, 405, 407, 409
დასტურლამალი სადედოფლო, 40, 243
„ საქართველოს, 43
„ სპარსული, 38—40, 53, 373, 375, 381, 384
დასტურლამალი ქართული, 38—40, 380
დეჰყანი, 205
დეჰყან-ი მარდ, 205
დია, 130
დივან ალ-ინშა, 385
დივანი, 31, 33, 95, 104, 187, 188, 204, 216, 228, 229, 256, 269, 271, 280, 282—284, 302, 304, 389
დიზდარი, 328, 336
დირლიქი, 187, 336
დიშქირასი, 232
დიჰაყინ, 220
დოთაყუ, 268
დონუმი, 329, 340
დრამა, 198
დრამაგინ, 102
დუშალიკი, 371
ეთაზი, 312, 323
ეიალეთი, 335, 343, 344
ერაზ-ი მირიე, 253
ერბაბი თიმარ, 186
ეჰსან-სარმადი, 291
ვაკუფი, 33, 153, 163, 164, 184, 187, 188, 328, 330
ვაკფი, 134, 216—219, 226, 228, 268
ვალი, 32, 40, 46, 54, 364, 374—377, 379, 380, 395, 403, 405, 406, 408, 410
ვაჯდიჰათ, 188
ვეზირი, 33, 35, 99, 187, 255, 256, 284, 328, 369—371, 374, 381, 383—385, 387, 388, 391, 393—403, 405, 407, 408, 410, 411, 418
ვეზირანე, 268
ვილაიეთი, 326, 328, 335, 336, 343, 382
ვილაჲეთი, 340
ვუჯუჰათ, 231
ზაიმი, 328, 337, 338, 342
ზამინდარობა, 160
ზაქათი, 168, 230, 233
ზია, 130
ზიმმი, 162, 329, 332, 334, 341
ზეამეთი, 185—188, 328, 337, 338
თაბუნი, 10, 111, 309, 311, 316—319, 323

თავლიდარი, 404
თავშეწირული, 197
თათრობა, 297, 298, 305
თალიკა, 47, 269
თამლა, 284
თანხა, 192
თარხანი, 197, 290, 291, 297, 301, 311, 325
თარჰი, 268
თასარუფი 217, 218, 341
თასილდარი, 36, 377, 378
თაუჯიპათი, 232
თაფავუთი, 230, 232
თაფუ, 217, 218, 328, 338—340
თაქალიფ-ი დივანი, 231
თაპმილიათ-ი დივანი, 231
თეზქერე, 52, 105, 337
თეზქერელი, 337
თეთიმეი სუქნა, 217
ფერაკი, 186
თიმარი, 131, 161, 164, 184—188. 328, 336, 337, 338, 342
„ სიფაპლერ, 186
თიმარჯი (თიმარიოტი), 186, 337
თიულდარი, 51, 191—193, 229, 268, 273, 274, 276, 277, 279, 280, 281, 283
თიული, 16, 32, 42, 44, 46—48, 51—53, 127, 128, 131, 134, 161, 164, 178, 182—184, 188—193, 215, 229, 268, 273, 275, 276—281, 283, 285—288, 292, 295, 296, 299, 300, 307, 354, 371, 381, 415
„ მემკვიდრეობითი, 276
„ მოურის, 19, 276
„ სამკვიდრო, 19, 193, 287
თოპფე, 247
თუთუნჯაგი, 312, 323
თუღი, 335
თუღრა, 386
იალაღი 279
იარიკერი, 223
იარლიყი, 171, 207
იასა, 208
იაქსალე, 192
ითლაკათ-ი დივანი, 231
იკტა, 86, 124, 125, 164—172, 175, 189—191, 215
„ ალ-თამლიკ, 165
„ ალ-ისთიღლალ, 165, 166
იკტადარი, 165—169, 172
იკტა თამლიკ, 164
ილიათი, 313—315
ილჯა, 166, 167
ინამი, 371
ინშა, 50
ინჯუ, 86
ისფეინჯი, 233, 302, 328, 332, 341, 350
იურტლუკი, 185, 187
იშხანი, 107
იხრაჯათ, 232
იხრაჯათ-ი დივანი, 231
მამლაქათი, 231
„ შაპზადე, 231
იჯარა, 222, 318, 337, 371, 401
„ აღმოსავლური, 173
„ თამბაქოსი, 401
კაბალა, 222
კალე, 328
კანუნ-ნამე, 54—57, 185, 205, 337—341
კილიჯ, 186
კოდისპური, 198, 268
კონი, 312, 324
კულუხი, 198, 283, 285, 297
კუფთერი, 233
ლანჩბარი, 311, 315, 317, 320
ლანჩფარი, 41, 226, 313, 315, 316, 319
ლეკიანობა, 72, 75, 83, 115, 144, 345, 349, 414, 416
ლივა, 328, 334
მადად ო მე'აშ, 179, 289, 290, 291
მავათი, 163
მალი, 36, 198, 199, 230, 239, 240, 256, 264, 265, 268, 285
მალიათობა, 251
მალი მუკათელე, 187
„ სათათრო ,248, 251, 271
მალუჯათი, 188, 213, 223, 225, 230, 232, 240, 248, 251—254, 256, 262, 264, 268, 273, 275, 280, 282, 283, 285, 288, 291, 298, 299, 301, 312,

314, 317, 322, 323, 350, 396
მამული, 137, 138, 147, 148, 275, 278, 300, 306, 307, 330
„ მკუიდრი, 138, 155
„ მონაგებ-ნაშოები, 138
„ ნამზითვი, 156
„ ნასისხლ-მონაგები, 149
„ ნასყიდი, 156
„ ნაწყალობევი, 138, 140, 149
„ საგლეხო, 195
„ საერთო, 149, 275
„ სამკვიდრო, 127, 128, 195, 275
მარდ, 206
მარიფეთ აკჩესი, 233
მახტა, 312, 315, 316
მდაბიორები, 140
მეგკუფჩე, 219
მეითარი, 311, 369
მემკვიდრე, 197
მილქი, 161
მირი, 184, 217—219, 240, 252, 253, 275, 301, 302, 336, 350
მისალი, 386, 408
მკვიდრი, 197, 366
„ მიწა, 138
მოდგამი, 112
მოთაფარაკე, 352
მოჯალაბე, 100
მსახლობარი, 197
მსახური, 115, 149, 196, 197, 287, 367
მუაფ ვა მუსალა, 290
მუაფი, 204, 228, 290, 291, 328, 332
მუზარა, 222
მუზარან, 220
მუთავალი, 229
მუთავაჯიბათ-ი დივანი, 231, 232
მუთალიბათ-ი სულტანი, 231
მუთასარიფები, 233
მუთაჯირი, 312
მუკტა, 165, 167, 168
მულაზიმი, 227, 268, 287
მულთაზიმი, 233
მულქადარი, 229, 233
მულქადარობა, 133, 209
მულქი, 16, 47, 127, 128, 130, 134, 161, 163, 164, 168, 170, 184, 188, 216, 228, 229, 257—259, 268, 281, 338
მულქი აზერბაიჯანული, 133
„ გლეხის, 217
„ ირანული, 133
„ მოურისი, 32, 51, 257—262, 328, 338, 339, 381
„ საგლეხო, 216, 217
„ სამკვიდრო, 32, 257, 258, 260, 261
„ სულტანი, 164
„ ხალის, 170
„ ხარაჯ, 164
„ ხურრ, 170
„ ხურრი ხალის, 170
მულქპაი-ე ზარხარიდე, 170
მუნასიფი, 222
მუნში, 369, 370, 374, 381, 383, 384—387, 394, 406—410, 418
მურახხასიე, 328
მუსაკატ, 222
მუსთაირი, 222
მუსთაჯირი, 222
მუსტაფი, 396, 397, 405
მუსტოუფი, 385, 387
მუსტოფი, 99, 280, 282, 302, 303, 306, 311, 369—371, 374, 377, 381, 383—385, 387, 394—401, 404—411, 418
მუშთულუკ, 232
მუჯერრედი, 341
მუჰთასიბი, 177
ნამზითვი, მიწა, 138, 150, 156
ნასთალიკი, 42
ნასისხლი, 156
„ მიწა, 138
ნასყიდი, 150, 151, 156, 158, 170, 197, 301, 356
ნასყიდი მიწა, 138, 145, 196
ნაღარახანა, 375, 376
ნაწყალობევი, 197, 366
„ მიწა, 138
ნახირის თავი, 198, 268
ნაჰიე, 328
ნებიერი, 197, 366
ნიშან-ი მუაფი, 180

ნოქარი, 40, 41, 135, 204, 224, 226, 227, 232, 234, 268, 287, 310, 311, 324, 325
ნუზლი, 242
ობა, 311
ოდუნახჩა, 312, 313, 315, 316,
ოიმახი, 310, 311, 390
ოსალი, 396
ოსმალობა, 15, 19, 23, 24, 26, 29, 35, 36, 44, 45, 49, 54—57, 63, 68, 76, 101, 136, 264, 238, 251, 254, 275, 285, 296, 297, 299, 300, 301, 326, 327, 331, 341, 343, 346, 349, 350, 352—354, 417, 418
ოქმი, 39, 44
ოჯაკლიკი, 185, 187
ოჯაკლიკ ბუქუმეთი, 258, 344
პარგუჯანაკ, 102
პირისთავი, 198, 268
რაზათი, 328
რაია, 204, 205, 219
რაიათი, 100, 101, 105, 109, 116, 135, 168, 181, 182, 204, 205, 211—213, 215, 216, 219, 220, 221, 223—227, 229, 234, 235, 278, 287, 314, 315, 317, 323, 339, 340, 349, 350, 405
რანჭბარი, 41, 100, 204, 224—227, 234, 313
რანჯბარი, 41, 47, 100, 134, 204, 221, 234, 313—316, 318, 319, 323
რაყამი, 39, 244, 389
რვაია, 328, 338—341, 343
რვაია, 339, 340, 342
რგსში აგნამ, 329
„ ყოინუმ, 329
რისალე, 59, 185, 328
რუზნამე, 52
რუსუმი, 232, 312, 314, 371
„ მუნშის, 407
„ მუსტოფის, 404, 405
საბაზიერო, 198
საჩალახე, 198, 268, 371
საკაფი, 163
სავერი, 232, 241, 243, 246, 263
სავთი, 302, 303, 404
სათავისთაო, 113, 147, 149—151, 158
სათათრო, 239, 240, 248, 253
„ გამოსაღები, 115, 237—239, 240
„ საური, 240, 283, 285
„ ულუფა, 240
საიამე, 239
საკარგავი, 125, 137, 138, 335—337, 171, 186, 187, 219
„ ოსმალური, 337
„ სამხედრო, 186
„ ფეოდალური, 336
„ ზასის, 187
საკვამლე, 329
საკომლო, 195
სალამათი, 231
სალარი, 328
სალარიე, 233, 328, 329
სალაშქრო, 239
სალეკო, 239, 250
სალიანი, 24, 301, 302, 344, 350
სალიანელი, 343
სამამულო მიწები, 139
სამასპინძლო, 198, 231, 255, 312, 316, 324
სამკვიდრო, 139
„ მამული, 356
სამწირველო, 152
სანავროზო, 312, 314—316
სანჯაყი, 68, 104, 119, 183, 328, 187, 334, 335, 342, 343
„ ოსმალური, 68
„ სამკვიდრო, 343
საოსმალო, 239
სარუსო, 250
სარჭარ-ი მამალიქ, 405
სარღუ, 233
სარშომარა, 268
სარხათი, 401
სასვიანო, 198
სასტუმრო, 198
სატყვეო, 240, 244
საულუსო, 239
საულღარი, 293, 294
საური, 24, 36, 198, 240, 242—244, 246, 247, 249, 250, 264, 284—286, 304, 344

საური სათათრო, 244, 248, 254, 266 271
„ საყაენო, 239, 244, 248
საუფლისწულო, 113
საქვრივო, 198
საქორწინო, 329
საყაენო, 239
საყიზილბაშო, 239
საშევარდნო, 198
საჩექმო, 198
საძალო, 240
საწინამძღვრო, 152
სახასო, 78, 113, 147, 149, 153, 158
„ მეფის, 157, 158
„ მიწები, 188
„ შაჰის, 33
საჰიბ-ი თიმარ, 186
„ სოიურღალ, 184
სიგელი, 138, 169, 289, 299, 322
„ გათარხნების, 180
„ მეფის, 107
„ მცხეთის, 240
სავაკუფო, 50
სამამულო, 98
სასისხლო, 43
სითარხნის, 35, 47, 250
„ წყალობის, 280, 322
სიფაჰი, 186, 187, 218, 219, 233, 328, 330, 337—340, 342
„ იაზიჯილარ, 335
სოიურღალ-აბადი, 291
სოიურღალი, 32, 40, 46, 51, 53, 165, 172—179, 181—184, 188, 191, 193, 229, 233, 257, 268, 277, 281, 283, 287, 289—293, 295, 296, 299, 307, 415
„ საეკლესიო, 176, 177, 179, 289
„ სამხედრო, 177
სპენჯი, 301
სურსათი, 232, 265, 350
სუფრებაჰა, 233
სუქნიათ, 217
სუხრა, 142, 169, 170, 216, 231
„ გირიფთან, 169
ტამლა, 239, 284, 285
ტუთხუ, 312
ტყვის სყიდვა, 72, 74—76, 83, 115, 145, 202, 203, 345, 414, 416
უდების დადება, 199
ულაღი, 231, 232
ულაყი, 198, 283, 312, 324
ულუსობა, 15, 35, 251, 264
ულუფა, 36, 198, 231, 232, 239, 240, 265, 266
ულუფა მთელი, 265
„ მუდამი, 265, 267
„ საელჩო, 267
„ სათათრო, 254, 265, 266
„ წვრილი, 265—267
ურტაღი, 348
ურუმობა, 298
ურფი, 321
უშრი, 162, 168, 230, 232, 233, 312, 314, 317, 322, 328, 340, 341
ფაგაბაში, 312, 323
ფაი, 163
ფარვანა, 279, 386, 408
ფაღირი (ფუღარა), 311, 317
ფელაჰი, 205
ფექმეზი, 233
ფეშქაში, 231, 232, 242—250, 312, 324
ფეშქაშჰა-ი ლაიეყ, 245—246
ფირმანი, 39, 42, 45—48, 50, 133, 175, 177, 188, 190, 215, 232, 277, 281, 289, 340
სავაკუფო, 50
სათიულო, 50, 51, 277, 278, 281, 286
სასოიურღალო, 50 179, 182, 189, 233, 281, 289
სულტნის, 54
სპარსული, 46, 48, 276, 287
შაჰის, 31, 39, 45, 51, 175, 190, 356, 357
„ ყმების წყალობის, 280
ქართველობა, 5, 24, 35, 238, 272, 275—299, 305, 329, 350, 355, 361, 362, 369, 417, 418
ქეჩბაში, 312, 314
ქითაბ-ი სუხან, 52
ქოდავი, 232, 312, 314, 316, 323, 400, 402

ღალა, 196, 198, 283, 285, 312, 316, 319
ყალანი, 239
ყაფჩერი, 239
ყიზილბაშობა, 15, 19, 23, 24, 29, 35, 36, 63, 136, 137, 246, 248, 251, 252, 254, 272, 275, 285, 296—301, 304, 326, 329, 346, 347, 349, 350, 352, 369, 395, 396, 409, 417, 418
ყიშლაღი, 279
ყონალღა, 232, 268
ყონახლუ, 312, 319
ყორუღი, 312
შეწირული, 366
„ მიწა, 138
შიგარი, 232
შილან ბაჰა, 232
შილთაკათი, 232
შიქარი, 231
შიშლიგი, 314
ჩინბაში, 311, 312, 319
ჩიფთ ახჩესი, 233, 341
ჩიფთის გამოსაღები, 329
ჩიფთლიქ, 233, 328
ჩობანბეგი, 232, 246, 311, 312, 314
წიგნი გარიგების, 35, 39
„ გაყრილობის, 147
„ გაცვლის, 35
„ დაგირავების, 35
„ იჯარადარის, 302, 404
„ მამულის, 404
მამულის წყალობის, 272, 306
მოხელეთა განწესების, 50
ნასყიდობის, 35, 43, 47, 303, 306
პირობის, 301
სათასილდარო, 302, 404
სარგოს, 35, 39, 400, 401, 409
სახელოს ბოძების, 43
სითარხნის, 43, 240, 244, 250, 272, 283—285, 291 302, 303, 306, 404
წიგნი შეყრილობის, 146, 147
„ შეწირულების, 35, 267
„ ძმობის, 146
„ წყალობის, 35, 43, 45, 249, 406
ხარაჯა, 162, 166—169, 213, 230, 232, 233, 242, 251, 253—257, 261—264, 268, 301, 302, 351
ხარაჯი მუვაზაფ, 233
„ მუკასამა, 233
ხარაჯობა, 23, 101, 105, 203, 235, 251, 342, 350, 351, 353
„ ხელმწიფის (ყაენის), 239
ხარკი, 238, 239, 242, 246—248, 250—254, 256, 263, 264
მონღოლური, 95
სათათრო, 22, 24, 116, 251, 253, 349, 417
ხარჯი ტყვის, 243
ხასი, 164, 187
„ მიწები, 184, 188
ხასეი-ე შერიფე, 188
ხასინჯუ, 95, 295
ხასი ჰუმაიუნ, 184
ხიზანი, 197
ხორდა მალიქი, 205, 206
ხუმსი, 328, 329
ჯარჯი, 240
ჯაგირი, 160, 178, 179
ჯავაბნამე, 386, 408
ჯამაათი, 108, 163, 188
ჯებელი, 187
ჯერგა, 198, 231, 312, 324
ჯიზია, 168, 204, 230, 232, 233, 328, 341
ჰადიე, 247
ჰავალე, 192
ჰაირენიქ, 102
ჰაკკ-ი თასარუფ, 186
ჰამასალა, 34, 53, 192, 371, 377
ჰომა, 164
ჰისე, 186
ჰოქმი, 45, 47, 51, 214, 269, 289

შემოკლებანი

დასტ.—დასტურლამალი.

ენიმკის მოამბე—ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე.

ისტ. საბ.—ისტორიული საბუთები (I—V), ს. კაკაბაძის გამოცემა.

საქ. სიძვ.—საქართველოს სიძველენი (I—III), ე. თაყაიშვილის გამოცემა.

АКАК—Акты, собранные Кавказской археографической комиссией.

ВВ—Византийский временник.

ВИ—Вопросы истории.

ИВАН—Институт востоковедения АН СССР.

Изв. Кавказ. Отд. РГО—Известия Кавказского отделения Росс. Географического общества.

КСИИМК—Краткие сообщения Института истории материальной культуры АН СССР.

СВ—Советское востоковедение.

ССИА—Сборник статей по истории Азербайджана.

BSOAS (BSOS)—Bulletin of the School of Oriental and African Studies, Bulletin of the School of Oriental Studies.

GMS—Gibb memorial series.

EI—Enziclopaedie des Islam.

MA—Mélanges Asiatiques.

OTEM—(TOEM) تاريخ عثمانى انجمنى مجموعه‌سى

REI—Revue des études islamiques.

ZDMG—Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft.

შინაარსი

შესავალი 3

თავი პირველი

წყაროთა მიმოხილვა 26

თავი მეორე

საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთი 60

1. საქართველო XVI საუკუნეში 60
2. კონკრეტული პარალელები 83

თავი მესამე

ფეოდალური წყობილების თავისებურებანი საქართველოსა და აღმოსავლეთში 121

1. ზოგადი შენიშვნები 121
2. ქართული ფეოდალური მიწისმფლობელობა 136
3. აღმოსავლური ფეოდალური მიწისმფლობელობა 159
4. გლეხთა ფეოდალური ექსპლოატაციის ფორმები 194

თავი მეოთხე

კონკრეტული მასალები ქართულ და აღმოსავლურ ფეოდალურ ურთიერთობათა შედარებითი შესწავლისათვის 237

1. სათათრო გამოსაღები 239
   - ა) სათათრო საური 240
   - ბ) სათათრო მალი 251
   - გ) სათათრო ულუფა 265
2. ორენოვანი (ქართულ-სპარსული) საბუთები 268
3. „ელის დებულება“ 307
4. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ 326

თავი მეხუთე

კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლა ირანის და ოსმალეთის ბატონობის პერიოდში 345

თავი მეექვსე

აღმოსავლეთ საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილება XVII საუკუნეში . 366
1. საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილება 366
2. ვალის ინსტიტუტი 375
3. ირანული სამეთვალყურო აპარატი 381
ა) ვეზირი 398
ბ) მუსტოფი 404
გ) მუნში 406
დასკვნა 412
პირთა საძიებელი 419
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი 426
ეთნიკურ სახელთა საძიებელი 430
ტერმინთა საძიებელი 432
შემოკლებანი 439

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი: შ. მესხია
გამომცემლობის რედაქტორი ც. იანქოშვილი
ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე
კორექტორი ნ. კონდრატენკო

გადაეცა წარმოებას 30.5.1958; ანაწყობის ზომა 6×10; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 7.12.1958; ქაღალდის ზომა 60×92 1/16;
ქაღალდის ფურცელი 13,75; საბეჭდი ფურცელი 27,5; საავტორო
ფურცელი 25,1; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 25,46
შეკვეთა 1085; უე 06594; ტირაჟი 1000
ფასი 18 მან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5